

შემდგენელი ირაკლი იმედაძე

ფსიქოლოგიის საფუძვლები



გამომცემლობა „მწიგნობარი“
თბილისი - 2011

რედაქტორი: პროფესორი ზ. ვახანია

ტექნიკური რედაქტორი: ა. ჭილიტაშვილი

დიზაინი: გ. ცინცაძე

ISBN 978-9941-424-35-9

© ი. იმდაძე, 2011

© გამომცემლობა „მწიგნობარი“, 2011

წინასიგყვაობა

ეს წიგნი მემკვიდრეა იმ სახელმძღვანელოსი, რომელიც გამოქვეყნდა 2001 წელს სასელწოდებით “ფსიქოლოგიის შესავალი”. იგი საფუძვლიანად გადაკეთდა, შეივსო და “ფსიქოლოგიის საფუძვლების” სახელწოდებით გამოიცა 2005 წელს. ეს სახელმძღვანელო ფსიქოლოგიის პრობლემატიკული კურსია, ანუ განკუთვნილია იმათთვის, ვინც იწყებს ფსიქოლოგიის შესწავლას. თავისი სტრუქტურითა და შინაარსით იგი მაქსიმალურად უახლოვდება თანამედროვე დასავლურ სტანდარტებს, ამასთან ინარჩუნებს ქართული ფსიქოლოგიური სკოლისთვის დამახასიათებელ გრადიციებს. წიგნში მოკლედ არის განხილული მთავარი ფსიქოლოგიის ყველა ძირითადი თემა (ფსიქიკური პროცესები, ცნობიერების, არაცნობიერის, პიროვნებისა და ქცევის კატეგორიები), ფსიქიკური ცხოვრების ფილოგენეტიკური და ონტოგენეტიკური განვითარების პრობლემატიკა, სოციალური ფსიქოლოგიის საკითხები, ფსიქიკური აშლილობებისა და მათი ფსიქოლოგიური მკურნალობის ძირითადი ასპექტები.

ასეთ სახელმძღვანელოზე დიდი მოთხოვნის გამო იგი კიდევ ორჯერ გამოიცა 2007 და 2008 წლებში. სახელმძღვანელოს სრულყოფა არსებითად უსასრულო პროცესია, მით უფრო, როცა სწავლების პრაქტიკა ზუსტად გაჩვენებს, რისი შეცვლა და შევსებაა საჭირო. ეს ამოცანა დავისახეთ მიზნად. შედეგად, მოცემული წიგნი საგრძნობლად განსხვავდება წინამორბედისაგან. მისი სტრუქტურა იგივე დარჩა, ხოლო თავების უმრავლესობაში გექსტი მნიშვნელოვნად შეიცვალა. ერთი თავი მთლიანად განახლდა. ახალი მასალა, მეტ-ნაკლები დამატებების სახით უკლებლივ ყველა თავში შევიდა. შესაბამისად გაიზარდა წიგნის მოცულობაც. იმედია, ეს წიგნი კარგ სამსახურს გაუწევს ყველას, ვისაც ფსიქოლოგია აინტერესებს.

განსაკუთრებული მადლობა მსურს გადაუხადო მურაბ ვახანიას და ნანა კენჭაძეს იმ დახმარებისთვის, რომელიც მათ გამიწიეს ამ წიგნის დახვეწის პროცესში.

სახელმძღვანელო შექმნილია ავტორთა კოლექტივის მიერ: I, II, III, V, VI, VII, IX, XII თავების ავტორია პროფ. ი. იმედაძე; IV თავის

ვის პროფ. ზ. ეახანია, პროფ. ი. იმედაძე და პროფ. თ. კერძაია; VIII თავის პროფ. ი. იმედაძე, პროფ. ნ. იმედაძე და პროფ. მ. წერეთელი; X თავის პროფ. დ. ბერეკაშვილი, პროფ. ი. იმედაძე და პროფ. ნ. იმედაძე; XI თავის პროფ. ი. იმედაძე და პროფ. რ. ნათაძე; XIII თავის პროფ. ზ. ეახანია, პროფ. ი. იმედაძე და პროფ. ნ. იმედაძე; XIV თავის პროფ. ნ. იმედაძე; XV თავის პროფ. დ.ჩარკვიანი; XVI თავის პროფ. ი. იმედაძე და პროფ. რ.საყვარელიძე.

პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ირაკლი იმედაძე.

თავი I. ფსიქოლოგიის ზოგადი საფუძვლები

§ 1. ფსიქოლოგიური მეცნიერების თავისებურებანი

მეცნიერებათა სისტემაში ფსიქოლოგიას სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც მისი საკვლევი საგნის თავისებურებებით არის გაპირობებული. ბუნება მრავალსახონებაა, მასში არსებითად სამი ფენა გამოიყოფა: ფიზიკური (არაეოცხალი), ბიოლოგიური (ეოცხალი) და ფსიქოლოგიური (სულიერი). ისინი იერარქიულ რიგს ქმნიან: ეოცხალი არაეოცხალზე რთული ორგანიზაციისაა, ხოლო ფსიქიკა ეოცხალი ბუნების განვითარების შედეგია. ამგვარად ფსიქოლოგია, როგორც მეცნიერება სულიერი სამყაროს შესახებ, განსაკუთრებით რთულ მოვლენას შეისწავლის. ესაა მისი პირველი დამახასიათებელი ნიშანი. აღსანიშნავია, რომ ამავე იდეით იწყებს თავის გრაქტაგს “სულის შესახებ” უდიდესი ძველი ბერძენი ფილოსოფოსი არისტოტელე. მას მიაჩნია, რომ სხვა ეოცხათა შორის პირველი ადგილი სულის შესახებ გამოკვლევებს უნდა მიეკუთვნოს, რადგან “იგი არის ეოცხა ყველაზე უფრო ამაღლებულსა და გასაოცარის შესახებ”.

ადამიანის სულიერმა და პრაქტიკულმა მოღვაწეობამ, თავის მხრივ, შექმნა “მეორე ბუნება” კულტურის სახით, რამაც ადამიანური არსის გამოვლენისა და მის შემდგომი სრულყოფის შესაძლებლობა შექმნა. უფრო მეტიც, ფსიქიკის ადამიანური ფორმის ჩამოყალიბება სოციალურ-კულტურული გარემოს აქტიური შემოქმედების გარეშე პრინციპულად შეუძლებელია. მხოლოდ ადამიანის ბიოლოგიური პოტენციალი (პირველ ყოვლისა უნიკალური გენი) ადამიანურ ფსიქიკას ვერ წარმოქმნის; ბუნებრივი (გენეტიკური) საწყისი აუცილებელია, მაგრამ არასაკმარისი. ამაზე ნათლად მეტყველებს სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან იზოლირებული ინდივიდების ფსიქიკური განვითარების ფაქტები, რომლებიც საკმაოდ დავროვდა მეცნიერებაში. მაგალითად, 1799 საფრანგეთში გყეში იპოვეს დაახლოებით 12 წლის ბავშვი, რომელიც იქ ცხოვრობდა. ბიჭი, რომელსაც ვიქტორი დაარქვეს, განსხვავებულად ადამიანური არსებისაგან ფსიქიკურად და ფიზიკურადაც კი: დადიოდა ოთხ ფეხზე, ყველას კბენდა, ყინვაში შიშველი დარბოდა და ძალიან ცხელი წყლიდან უმ-

ტკივნეულოდ იღებდა საკმელს. ბავშვი მხოლოდ გაუნაწვრებელ ბგერებს გამოსცემდა და არ შედიოდა კონტაქტში ახალ გარემოსთვის, რომელსაც საფრთხედ განიცდიდა.

XIX საუკუნის გამოჩენილმა ფსიქიატრმა პინელმა ვიქტორს ორგანული წარმოშობის გამოუსწორებელი გონებასისუსტის დიაგნოზი დაუსვა. მას არ დაეთანხმა ერთი ახალგაზრდა ექიმი, რომელმაც ჩათვალა, რომ ბავშვის ქცევის თავისებურებანი მისი ადამიანებისაგან ხანგრძლივი იზოლაციის შედეგი იყო. იგი ფიქრობდა, რომ კულტურულ გარემოში დაბრუნება და სათანადო ზემოქმედება გამოასწორებდა არსებულ მდგომარეობას. მაგრამ ამ მიმართულებით ხანგრძლივმა და შეუპოვარმა ძალისხმევამ თითქმის არავითარი შედეგი არ გამოიღო. რამდენიმე სიგყვის ათვისების იქით ვიქტორის სამეცყველო განვითარება არ წასულა, მისმა სოციალურმა განვითარებამაც სრული კრახი განიცადა — მან ვერ ისწავლა ვერც თამაში და ვერც სხვა სახის ადამიანური ურთიერთობა, მათ შორის ვერც სექსუალურ სფეროში. მოკლედ, ვიქტორის ფსიქიკამ ადამიანური სახე ვერ მიიღო. მას არ ჰქონდა ნორმალური ადამიანური არსებისთვის დამახასიათებელი აღქმა: სხვაგვარად ესმოდა და ხედავდა, ემოციური და მოგვიყაციური სფეროც ძალიან განსხვავებული ჰქონდა, ხოლო რამდენადმე სერიოზულ გონებრივ მოქმედებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო.

აღწერილია სხვა, გაცილებით წარმატებული შემთხვევებიც, თუმცა აქ ყველაფერი დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ადრე მოხდა ინდივიდის დაბრუნება ადამიანურ გარემოში. მაგრამ თავისთავად ნათელია, რომ ბუნებრივი (ბიოლოგიური) და სოციალური (კულტურული) ფაქტორები სრულყოფილი ადამიანური ფსიქიკის ჩამოყალიბების უცილობელი მომენტია. ადამიანის ფსიქიკის ეს პრინციპულად ორმაგი, ბიო-სოციალური განსაზღვრულობა მისი მეორე გამორჩეული ნიშანია. ეს გარემოება განაპირობებს იმას, რომ ფსიქოლოგია ერთსა და იმავე დროს საბუნებისმეცყველო დისციპლინაც არის და ჰუმანიტარულ-სოციალურიც.

მესამე ნიშანი, რომელიც ფსიქოლოგიის განსაკუთრებულ მდგომარეობას განსაზღვრავს, ის არის, რომ მასში შერწყმულია მეცნიერების ობიექტი და სუბიექტი. პირველყოფილ საზოგადოებაში ადამიანთა ძირითადი ძალები არსებობისთვის ბრძოლას, გარემომცველი სამყაროს ათვისებას ხმარდებოდა. ადამიანები

მოიპოვებდნენ ცეცხლს, ნადირობდნენ, ომობდნენ და ამ პროცესში იძენდნენ ბუნების შესახებ პირველ ცოდნას. ამ პერიოდის კაცობრიობას, ახალშობილის მსგავსად, არ ახსოვს თავისი თავი. კაცობრიობის ძალები და შესაძლებლობები თანდათან იზრდებოდა. თავიანთი ფსიქიკური უნარების წყალობით ადამიანებმა მაგერიალური და სულიერი კულტურა შექმნეს. გაჩნდა დამწერლობა, ხელოვნება, მეცნიერება. დადგა მომენტი, როცა ადამიანმა თავის თავს დაუსვა კითხვები: რა ძალებია ის, რომლებიც მას სამყაროს შეცნობის, მისი დამორჩილების, ახლის შექმნის საშუალებას აძლევენ, როგორია მისი გონება, რა კანონებს ემორჩილება მისი შინაგანი სამყარო.

ეს იყო სწორედ კაცობრიობის თვითცნობიერების აღმოცენების მომენტი, ე.ი. ფსიქოლოგიური ცოდნის დაბადება. ეს მოვლენა ასეც შეიძლება გამოიხატოს: თუ ადრე ადამიანის აზრი მიმართული იყო გარე სამყაროსკენ, ახლა საკუთარი თავისკენ წარიმართა. აზროვნების საშუალებით თვით აზროვნების კვლევა დაიწყო. ფსიქოლოგიის ამოცანები იმიტომ არის განუზომლად რთული, ვიდრე ნებისმიერი სხვა მეცნიერებისა, რომ აზრი მხოლოდ მასში ახდენს თავისთავისკენ შემობრუნებას; მხოლოდ მასში გადაიქცევა ადამიანის მეცნიერული ცნობიერება მის მეცნიერულ თვითცნობიერებად.

რას შეისწავლის ფსიქოლოგია

მეცნიერების შესწავლა მისი საგნის განსაზღვრით და საკვლევ მოვლენათა წრის აღწერით იწყება. რა არის ფსიქოლოგიის საგანი? ამ კითხვაზე პასუხის ორი გზა არსებობს; პირველი უფრო სწორია, მაგრამ რთული. მეორე – შედარებით ფორმალური, სამაგიეროდ მოკლე. ფსიქოლოგიის საგნის განსაზღვრის პირველი გზა განსხვავებული თვალსაზრისების ანალიზს ვარაუდობს ისე, როგორც ეს ფსიქოლოგიის ისგორიაშია მოცემული. აქ იგულისხმება იმ საფუძვლების განხილვა, რომელთაც ემყარებოდა ერთი მეხედულების შეცვლა მეორით, ის, თუ რა დარჩა საბოლოოდ მათგან და ფსიქოლოგიის საგნის გაგების რა ვარიანტები არსებობს ამჟამად. ყოველივე ამას მალე გავეცნობით.

მოკლე პასუხი კი ასეთია: სიგყვა ფსიქოლოგია ნიშნავს “მეცნიერებას სულის შესახებ” (psychic-სული + ლოგოს-ცნება, მოძღვრება). დღეისთვის “სულის” ცნების ნაცვლად გამოიყენება “ფსიქიკის” ცნება, თუმცა ენაში შერჩენილია ბევრი სიგყვა და გამოთქმა, რომელთა ძირში სიგყვა სულია: სულიერი, უსულო, სულიერი სიასლოვე, სულიერი ავადმყოფობა და სხვა. ლინგვისტური თეალსაზრისით “სული” და “ფსიქიკა” სინონიმებია, თუმცა კულტურისა და, განსაკუთრებით, მეცნიერების განვითარებასთან ერთად ამ ცნებათა მნიშვნელობა ერთმანეთს მაინც დაშორდა. ფსიქიკურ პროცესებს მიეკუთვნება აღქმა, მესსიერება, აზროვნება, ემოცია, მოგივაყია და ა.შ.

ფსიქიკური პროცესები და სამოგადოდ ფსიქიკა დამოუკიდებლად კი არ არსებობენ, არამედ არიან კონკრეტული ადამიანის, მთლიანი პიროვნების გამოვლენა. ამიგომ მათი მიმდინარეობის ხასიათი დამოკიდებულია პიროვნების ინდივიდუალურ ნიშნებზე და შინაგან მდგომარეობაზე. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნიკალური ინდივიდი მოქმედებს. აქედან გამომდინარე, ფსიქიკური პროცესების გაგება ადამიანისაგან მოწყვეტილად, მისი პიროვნების თვისებათა და მის შინაგან მდგომარეობათა გათვალისწინების გარეშე შეუძლებელია. მაშასადამე, ფსიქოლოგია შეისწავლის არა მხოლოდ ფსიქიკურ პროცესებს, არამედ სუბიექტის, პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებსაც – მის ხასიათსა და გემპერამენტს, მის უნარებსა და ინტერესებს და ა.შ.

ფსიქიკური პროცესები სუბიექტის ქცევაში ვლინდება. ქცევას ფიზიკური და ფსიქიკური მხარეები აქვს, ის ფსიქოფიზიკური აქტივობაა. ქცევის განხორციელებაში არსებით როლს ფსიქიკური პროცესები ასრულებს. საგნის ან მოვლენის აღქმა თუ გააზრება, მსჯელობა, მიზნის დასახვა, გადაწყვეტილების მიღება, სურვილი, მისწრაფება და ა.შ. ადამიანის ქცევის განუყრელი, არსებითი მომენტებია. ქცევის გაგება მათი შესწავლის გარეშე უნაყოფოა. ამასთან ერთად, სათანადო ქცევის გათვალისწინების გარეშე, თვითონ ფსიქიკური პროცესების გაგებაც შეუძლებელია. ერთი მხრივ, ფსიქიკური პროცესები ყოველთვის მონაწილეობენ ადამიანის ქცევაში და მის არსებით მხარეს წარმოადგენენ. მეორე მხრივ, ადამიანი ქცევის პროცესში არა მხოლოდ გარემოს ცვლის,

არამედ თვითონაც იცვლება. ქცევის პროცესში ყალიბდება პიროვნება და მისი თვისებები: ხასიათი, ნებისყოფა, მიღრეკილებები, ამროვნების, მესსიერებისა თუ მეტყველების თავისებურებანი.

დაბოლოს, ფსიქიკის დახასიათება ვერ შემოიფარგლება განმხოლოებელი ინდივიდის დახასიათებით. ფსიქიკის მრავალი ნიშან-თვისება ვლინდება ადამიანთა ურთიერთმიმართებებსა და ურთიერთქმედებაში. პიროვნების ქცევა, მისი ფსიქიკური პროცესები და თვისებები ამის წყალობით სრულიად ახალ თავისებურებას იძენს. ამდენად, ფსიქოლოგიამ უნდა შეისწავლოს ფსიქიკა ადამიანის ქცევასთან კავშირში, აგრეთვე როგორც სოციალური პიროვნების აქტივობის გამოვლენა.

ცხოვრებისეული, ხალხური და მეცნიერული ფსიქოლოგია

ფსიქიკის რაობაზე გარკვეული არამეცნიერული შეხედულების ერთგვარი კონტურები უკვე პირველყოფილი ადამიანის ცნობიერებაში ჩაისახა. იმყოფებოდა რა მაგიისა და მითოლოგიის ღონებზე, იგი ბუნების მოვლენებს სულების მოქმედებას უკავშირებდა. ადამიანის პირველი და უშუალო ცოდნა მარგოლოდენ ფსიქიკას (სულს) არ ეხებოდა და მოიცავდა ყველა სფეროს, რაც მის თვალსაწიერში ხვდებოდა. მაგრამ საკუთარ სულთან (ფსიქიკურ ცხოვრებასთან) დამოკიდებულება სპეციფიკური იყო, ვინაიდან სულში მომხდარი ცვლილებები ადამიანს უშუალოდ ეძლეოდა და, ამდენად, დიდი დამარწმუნებლობით გამოირჩეოდა. ადამიანმა თანდათანობით ირწმუნა ფსიქიკური ცხოვრების გარკვეული წესებისა და ნორმების არსებობა. შეიქმნა მეგ-ნაკლებად საერთო და, ამავე დროს, საკუთარი ცოდნა-შეხედულება ფსიქიკური სფეროს მოვლენებზე. ამას ისიც ადასტურებს, რომ ყველა ადამიანს, გარკვეულწილად, შეუძლია გაუგოს და დაეხმაროს მეორე ადამიანს, გავლენა მოახდინოს მის მოქმედებაზე, გაითვალისწინოს მისი ინდივიდუალური თავისებურებანი და იწინასწარმეტყველოს მისი ქცევა. ისეთი პროფესიის მქონე ადამიანი, რომლის საქმიანობა სხვებთან მუდმივ ურთიერთობაზეა აგებული, ცხოვრებისეული ფსიქოლოგიის სფეროში განსაკუთრებული ცოდნით გამოირჩევა; მაგალითად, ადვოკატი, მღვდელმსახური, პედაგოგი, ექიმი, მენეჯერი და სხვა.

ყოველდღიური ინდივიდუალური ფსიქოლოგიის გარდა უნდა ვილაპარაკოთ ხალხურ ფსიქოლოგიაზეც. მასში იგულისხმება ერთგვარი ფსიქოლოგიური ცოდნა, რომელიც შემონახულია ხალხურ შემოქმედებაში, ფოლკლორში. ეს ის მასალაა, რომელშიც გასაგნებელია, ხელშესახებადაა მოცემული სულიერი ცხოვრება. მათი შესწავლის გზით მეცნიერული ფსიქოლოგია იკვლევს აქ დაგროვილ ხალხურ ფსიქოლოგიურ ცოდნას. ვინაიდან ე.წ. ხალხური გამოცდილება (ენა, თქმულება, მნე-ჩვეულება, ან-დაზა, იგავ-არაკი, ზღაპარი და ა.შ.), როგორც მეცნიერების წყარო, შესაძლებლობათა მხრივ შეზღუდულია, იგი ზოგჯერ არასწორი შეხედულების საფუძველი ხდება. ხშირად ამით არის გაპირობებული სულის შესახებ მისტიკურ-რელიგიური (არამეცნიერული) შეხედულებანიც.

ყოველდღიური და ხალხური ფსიქოლოგია, სამოგადოდ, ყოფითი ცოდნის ნაწილია, რომელიც მეცნიერული, მათ შორის ფსიქოლოგიური ცოდნისაგან არსებითად განსხვავდება. ყოფითი ფსიქოლოგიის ცნებები რაციონალურ კრიტიკას ვერ უძლებს, ისინი არ არიან მკაფიოდ და ზუსტად განსაზღვრული, მათი შინაარსი ხშირად წინააღმდეგობრივი ხასიათისაა. ამასთან, ხშირად ამ ცნებათა გერმინოლოგია ემთხვევა მეცნიერული ფსიქოლოგიის ცნებებს, რაც მათი იდენტურობის სახიფათო ილუზიას ქმნის. ყველა ადამიანი ხმარობს სიტყვებს “განცდა”, “ქცევა”, “აზროვნება”, “ნებისყოფა”, “პიროვნება”, “ხასიათი” თუ სხვა, მაგრამ, უმეტესწილად, არა იმ მნიშვნელობით, სიზუსტით და მოცულობით, როგორც ეს მეცნიერულ ფსიქოლოგიაშია. ყოფითი ფსიქოლოგიის შეხედულებები წარმოადგენს მოარული და საკმაოდ გაურკვეველი, სავარაუდო და არაცხადი პრინციპების, დარიგებების, წესებისა თუ რწმენების ნაკრებს. ისინი ვერ ჩაითვლება სანდოდ და დასაბუთებულად, ვინაიდან არ გაუვლიათ მეცნიერული ცოდნისთვის სავალდებულო მკაცრი შემოწმება, რაც ზუსტი ემპირიული და ლოგიკური კვლევითი პროცედურების მეშვეობით ხორციელდება. ყოველდღიური ფსიქოლოგიის დამარწმუნებლობის წყარო ინდივიდუალური ყოფითი გამოცდილება ან ინტუიციაა, ხალხური ფსიქოლოგიის ცოდნა კი სამოგადოებრივი ცხოვრებისა და ურთიერთობის პრაქტიკას ეფუძნება; ამის გამო ცოდნა უკიდურესად დამოკიდებული ხდება მისი მაგარებლის

კულტურულ-ეთნიკურ მიკუთვნებულობაზე, რაც ეწინააღმდეგება მეცნიერული ცოდნის ობიექტურობის ფუძემდებლურ პრინციპს.

ამრიგად, ყოველდღიური და ხალხური ფსიქოლოგია არ შეესაბამება მეცნიერული ცოდნის აგების მოთხოვნებს, ნორმებს და ღირებულებებს. მისი წარმოშობისა და ფორმირების წესი, ლოგიკური შეთანხმებულობა და ობიექტურობის დონე არ იძლევა ფსიქოლოგიაში, როგორც მეცნიერულ დისციპლინაში მისი პირდაპირი ჩართვის შესაძლებლობას. ყოველდღიური და ხალხური ფსიქოლოგია კაცობრიობის ყოფითი ცოდნის მოუცილებელი ნაწილია და მისი მნიშვნელობა ამით განისაზღვრება.

ფსიქოლოგია და სულიერი სამყაროს გაგების სხვა ფორმები

ადამიანის სულიერი ცხოვრების მიმართ პროფესიული ინტერესი მხოლოდ ფსიქოლოგიას არ გააჩნია. ამ კუთხით საინტერესოა ფსიქოლოგიის კავშირი საზოგადოებრივი ცნობიერებისა და ადამიანური მოღვაწეობის ისეთ სახეებთან, როგორცაა ხელოვნება და რელიგია.

1. ხელოვნებასთან ფსიქოლოგიას ბევრი რამ აკავშირებს, მაგრამ არსებობს სერიოზული განმასხვავებელი ნიშნებიც. ფსიქოლოგია მეცნიერებაა და, როგორც ასეთი, იგი ჭეშმარიტებაზე, ცოდნის მოპოვებაზეა მიმართული, ხელოვნება კი გარეგანი და შინაგანი სამყაროს ესთეტიკურ გადამუშავებასა და გადმოცემას ცდილობს. ხელოვნება ადამიანში ესთეტიკური გრძნობების გამოწვევაზეა მიმართული, ხოლო ფსიქოლოგია ამ გრძნობებს შეისწავლის, როგორც შინაგანი სამყაროს მოვლენებს.

(ხელოვნებისაგან (მხატვრული მეთოდი) მეცნიერებას ისიც განასხვავებს, რომ იგი, როგორც წესი, მიისწრაფის მაქსიმალურად გაუპიროვნებელი ცოდნისკენ, ხოლო ხელოვნებისთვის შთავარია ორიენტაცია შემოქმედის უნიკალურ პიროვნებაზე, მის მიერ სამყაროს სუბიექტურ ხედვაზე. ხელოვნების ნაწარმოებში, უფრო ხშირად, სწორედ ესაა ყველაზე მეტად საინტერესო. ხოლო მეცნიერების იდეალია ობიექტურობა, თვალსაზრისების განსხვავებულობათა მინიმუმაცია და საყოველთაოდ მისაღები ცოდნის მიღ-

წევა. სხვა საკითხია რომ ზოგიერთი მეცნიერება, მათ შორის ფსიქოლოგიაც, ჯერ კიდევ შორს არის ამ იდეალისაგან.

მეცნიერება, ძირითადად, ზოგადი კანონზომიერების გამოვლინებაზეა ორიენტირებული, ხელოვნება კი პირიქით, — ინდივიდუალობისა, თუმცა განზოგადებას, ცხადია, ისიც მიმართავს. ეს განსხვავება არ არის უნივერსალური, განსაკუთრებით საზოგადოებრივ მეცნიერებებთან მიმართებაში. ფსიქოლოგიაც ცდილობს ზოგად კანონზომიერებათა გამოვლენას, მაგრამ თავისი ჰუმანიტარულობის გამო, ის ვერ შემოიფარგლება აბსტრაქტული, განზოგადებული ადამიანური ფსიქიკის შესწავლით. კონკრეტული და განსაკუთრებული შემთხვევები მისი კვლევის პირდაპირი საგანია. საქმე ისაა, რომ ფსიქოლოგია პრეგენზიას გამოთქვამს პიროვნების შესწავლაზე; პიროვნების გამორჩეული ნიშანი კი მისი უნიკალურობაა. იგი ყოველთვის ერთეულ და ინდივიდუალურ ფორმაშია მოცემული, ანუ ისე, როგორც მას ხელოვნება აშუქებს. პიროვნების დახასიათების თვალსაზრისით ფსიქოლოგიას და ხელოვნებას, კერძოდ, ლიტერატურას, კონკურენტებადაც კი მიიჩნევენ ხოლმე.

უნდა ითქვას, რომ პიროვნების დახასიათების მხრივ ახალგაზრდა ფსიქოლოგიური მეცნიერება ხშირად ვერ უგოლდებოდა უძველესი გრადიციების მქონე ლიტერატურას, რაც ფსიქოლოგიის განვითარების პირველ ეტაპზე აღშფოთებულ შეფასებებს იწვევდა, კერძოდ, რომ “მაკბეგსა“ და „ლირში“ მეტი ფსიქოლოგიაა, ვიდრე ყველა ფსიქოლოგიურ სახელმძღვანელოში (ვ. დილთაი). ასეთი დაპირისპირება ძირშივე უმართებულოა. მართალია, ფსიქოლოგიაც და ლიტერატურაც პიროვნებას ახასიათებს, მაგრამ ერთი მეცნიერების მეთოდს იყენებს, მეორე კი — ხელოვნებისა. ეს გარემოება სხვადასხვა სურათს გვაძლევს, განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე რეალურად არსებულ პიროვნებებს ეხება. მაგალითისთვის გამოდგება ლიტერატურაში და მეცნიერებაში შექმნილი გამოჩენილი ადამიანების პორტრეტები. ფსიქოლოგიური დახასიათება ნაკლებ მხაგერულია, ნაკლებ მეტაფორული და სახალისო. სამაგიეროდ, ის უფრო ზუსტია და მკაცრი იმ მხრივ, რომ ლოგიკურად გამომდინარეობს მეცნიერული საფუძვლიდან, ადამიანის ფსიქიკური მოქმედების გაგების ამა თუ იმ კონცეფციიდან. ისიც აღსანიშნავია, რომ თანამედრო-

ვე ფსიქოლოგია სულ უფრო სრულყოფს ფსიქოლიაგნოსტიკურ მეთოდებს, რომელია საშუალებითაც შესაძლებელია გამოვლინდეს და საკმარისი სიზუსტით შეფასდეს ცალკეული პიროვნების ფსიქიკური თავისებურებანი.

ფსიქოლოგია თავისი კუთხით შეისწავლის თვით ხელოვნების ფენომენსაც. ამას ემსახურება სპეციალური დარგი – ხელოვნების ფსიქოლოგია. მისი ძირითადი ამოცანებია: მხატვრული ნაწარმოების აგება-შექმნის ფსიქოლოგიური მექანიზმების კვლევა, ხელოვნების ზოგადი ფსიქოლოგიური რაობისა და სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლენა, შესწავლა მხატვრული ნაწარმოების გემოქმედებისა მის აღმქმელზე.

საგულისხმოა, რომ ხელოვნებაც განიცდის ფსიქოლოგიის გეგავლენას. ფსიქოლოგიური თეორიები, მოვლენები და კანონზომიერებები ხელოვნების ნიმუშებში აისახება. ზოგი მხატვრული ნაწარმოები გარკვეული კონცეფციისა თუ ფსიქიკური ფენომენის ილუსტრაციის სახით შეიძლება იქნეს განხილული. განსაკუთრებით ღიდი კვალი დატოვა XX საუკუნის ხელოვნებაზე ფსიქოანალიზმა. საკმარისია დავასახელოთ ისეთი მწერლები, როგორცაა პ. ჰესე, ჯ. ჯოისი, თ. მანი, ს. ცეაივი, მხატვარი ს. დალი, რეჟისორები ა. ჰიჩკოკი, ი. ბერგმანი, ფ. ფელინი და მრავალი სხვა.

2. რელიგიას, ფსიქოლოგიის მსგავსად, აქვს პრეტენზია, რომ ფლობს ცოდნას ადამიანის ფსიქიკის, ანუ სულის თავისებურებათა შესახებ. მაგრამ ეს ცოდნა სხვა გზით მიიღწევა, რადგან მეცნიერება და რელიგია სამყაროს შეცნობის სხვადასხვა ფორმებს წარმოადგენენ.

მეცნიერებას რელიგიისაგან პირველ ყოვლისა განასხვავებს მისი მზაობა, უარყოს თავისი თუნდაც საბაზისო პრინციპები და დებულებები, თუ ისინი კვლევით “გამოცდას” ვერ გაუძლებენ. ხოლო რელიგიური ცოდნა, ამა თუ იმ კონფესიის ფარგლებში, მიმართულია ამოსავეალი დოგმატების მხოლოდ დადასტურებისკენ. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ რელიგიურ ცოდნაში სამყარო მოცემულია ღვთიური ჩანაფიქრებისა და მეგაფიზიკური ძალების გამოვლინებად, ხოლო მეცნიერებაში, მაშინაც კი თუ მეცნიერი რელიგიურია, სამყარო განიხილება შედარებით დამოუკიდებელ რეალობად, რომელიც თავისთავად უნდა იყოს შესწავლის საგანი.

ასეთივეა ფსიქოლოგიური მეცნიერებისა და რელიგიის ურთიერთმიმართებაც. რელიგიებში მოცემულია ღოჭკრინები ადამიანური ბუნების სწორი, ანუ ღვთიური წყობის, მისი სულიერი სამყაროს, ფსიქიკის შესახებ. ფსიქოლოგია კი ცდილობს, შეისწავლოს ადამიანი და მისი ფსიქიკა რაიმე ზებუნებრივი ძალებისაგან განყენებით და ყოველგვარი წინასწარი დაშვების გარეშე გაარკვიოს, თუ როგორია ან როგორი უნდა იყოს მისი ბუნება.

მაგალითისთვის ვნახოთ, თუ როგორ ხსნის ერთსა და იმავე ქცევას რელიგია (ქრისტიანობა) და ფსიქოლოგია. დავეშვათ, რომ ვიღაც კონკრეტულმა პირმა იქურდა. რელიგიის წარმომადგენელი იტყობს, რომ იგი განუღვა ღმერთის მცნებას “არა იპარო” და ჩაიღინა ცოდვა, დაეცა, დამლაბლდა. მან თავისი დანაშაული იმით უნდა გამოისყიდოს, რომ მოინანიოს და დაუბრუნდეს ღმერთს, ანუ თავის ჭეშმარიტ ბუნებას. ფსიქოლოგი დაიწყებდა ძიებას, თუ რა პირობებში (გარეშე სიგუაცია), ვინ (პიროვნების ისტორია და გიპი) და რაგომ (მოტივაცია) ჩაიღინა მოცემული ქმედება და, ამ ცნობების შეჯერების გზით, გამოაელენდა მის განმპაირობებელ ფაქტორს ან ფაქტორების ერთობლიობას (სოციალური გავლენა ან იძულება, პიროვნული გადახრა ან დაუსრულებელი სოციალიზაცია და ა.შ.). ამასთან, ფსიქოლოგი, ცხადია არ იტყობს, რომ ადამიანის “ჭეშმარიტი სულიერი ბუნების” ეგალონად ის უნდა ჩაითვალოს, ვისაც არასდროს ჩაუდენია ეს ქმედება. განსხვავება რელიგიასა და ფსიქოლოგიას შორის სწორედ ეგალონის მოცემულობაა. რელიგიისთვის არსებობს ეგალონი – ღვთის მიერ განსაზღვრული ჭეშმარიტი ადამიანური ბუნება. ფსიქოლოგისთვის არ არსებობს ეგალონი და, შესაბამისად, მისთვის ადამიანის ყველა ქცევა მისი სულიერი ბუნების დემონსტრირებაა.

მიუხედავად ამისა, საჭიროა ითქვას, რომ ადამიანის შესახებ მეცნიერებებისთვის და, კერძოდ ფსიქოლოგიისთვის რელიგიურ ძიებებს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. რწმენის, რელიგიური ცნობიერების პრობლემებს დიდი ადგილი უკავია რიგი გამოჩენილი ფსიქოლოგების შემოქმედებასა და პირად ცხოვრებაში. კონკრეტულ ადამიანებს კი, ერიჰ ფრომის თქმით, ქცევის ბალანსისა და ბედნიერი ცხოვრებისთვის თანაბრად ესაჭიროებათ რელიგიაცა და ფსიქოლოგიაც. ამიგომ თანამედროვე

ცივილიზებულ ქვეყნებში არ არის იშვიათობა, როცა პიროვნება ენთუზიაზმით დადის ეკლესიაში და ფსიქოთერაპიულ კაბინეტშიც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი ფსიქოთერაპიული სისტემა ითვალისწინებს, ზოგი კი აქტიურადაც იყენებს სულიერ სფეროსთან მუშაობის რელიგიური ძიებით შეძენილ გამოცდილებას. მაგალითისთვის სხვადასხვა მედიგაციური მეთოდიც გამოდგება. ეს არც არის გასაკვირი, რადგან რელიგიურ რიტუალებს და წესებს ხშირად ამკარა ფსიქოთერაპიული დაგვირგთეაც აქვს. ქრისტიანული აღსარება, მაგალითად, პირდაპირ იძლევა შევების-მომგვრელ, დამამშვიდებელ, კათარსისულ ეფექტს. ხოლო ზოგიერთი აღმოსავლური რელიგიურ სისტემა (მაგ, ბუდიზმი), უშუალოდაა მიმართული ადამიანის ცნობიერების მდგომარეობის შეცვლაზე და ამისთვის რთული სპეციალური ფსიქო-გექნიკებითაცაა აღჭურვილი (იხ. თავი VI და XVI).

რელიგიურობა ადამიანის ერთ-ერთი ნიშანია. ამიგომ ისეთი მეცნიერებანი, როგორცაა სოციოლოგია, ანთროპოლოგია, ეთნოგრაფია და მათ შორის ფსიქოლოგია, შეისწავლის რელიგიური ქცევის სხვადასხვა ასპექტებს. ფსიქოლოგიური მეცნიერების სტრუქტურაში არსებობს დარგი – რელიგიის ფსიქოლოგია, რომლის ფარგლებში მიმდინარეობს ისეთი საკითხების კვლევა, როგორცაა რელიგიური ცნობიერების შინაარსი და სტრუქტურა, რელიგიური განცდების სპეციფიკა, რელიგიური ჯგუფების სოციალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებანი, გეგაელების, ურთიერთობის, მიბაძვის, ჩავონებისა თუ სხვა მექანიზმების გავლენა რელიგიურ ქცევაზე, რელიგიური კულტურის ამა თუ იმ ასპექტის ზემოქმედება ადამიანის ფსიქიკაზე და ა.შ.

ფსიქოლოგიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან

გემოთ გავაანალიზებთ სულიერი სამყაროს არამეცნიერული შემეცნების ფორმები. დაეუბრუნდეთ მეცნიერულ ფსიქოლოგიას და განვიხილოთ, თუ რა ადგილი უკავია ფსიქოლოგიას მეცნიერებათა სისტემაში. თანამედროვე მეცნიერებათმცოდნეობის მონაცემებით ეს ადგილი სრულიად განსაკუთრებულია. მაგალითად, XX საუკუნის ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოლოგი და ლოგიკოსი ეან პიაჟე თვლის, რომ ფსიქოლოგიას საკვანძო პოზიცია

უკავია სხვა მეცნიერებებს შორის, ვინაიდან იგი შეისწავლის აზროვნებას, ხოლო ყოველი მეცნიერება, ფაქტობრივად, განხორციელებული აზროვნებაა. ფსიქოლოგიის განსაკუთრებულობა იმაშიც იჩენს თავს, რომ თავისი საგნის (ფსიქიკის) ორგვარი (ბიო-სოციალური) ბუნების გამო იგი ორგანულად და არსებითად არის დაკავშირებული მეცნიერებათა ყოველგვარ კლასთან თუ სახეობასთან – საბუნებისმეტყველო იქნება ის თუ საზოგადოებრივ-ჰუმანიტარული.

საბუნებისმეტყველო დისციპლინებიდან ყველაზე აშკარაა ფსიქოლოგიის კავშირი ბიოლოგიურ მეცნიერებებთან. ფსიქოლოგიამ თავისი თეორიული პოსტულატების ჩამოყალიბებისას ბიოლოგიის რამდენიმე ზოგადი დებულება გამოიყენა. მაგალითად, ევოლუციური ბიოლოგიის პრინციპები საფუძვლად ედება ფსიქიკის ცხოველურ სამყაროში განვითარების პრობლემის განხილვას. ამ კუთხით ნაყოფიერი კვლევა-ძიება მიმდინარეობს ფსიქოლოგიის დარგში – ზოოფსიქოლოგიაში. თანდაყოლილისა და შეძენილის მიმართების საკითხი შეისწავლება გენეტიკასთან მჭიდრო კავშირში, კერძოდ მისი მოსაზღვრე დისციპლინის, ფსიქოგენეტიკის ფარგლებში. მაგრამ ფსიქოლოგია ყველაზე ორგანულად მაინც ფიზიოლოგიასთან არის დაკავშირებული. ფსიქოლოგია ცდილობს, განიხილოს სულიერი მოვლენები მათ ორგანიზმულ, მათ შორის ნერვულ საფუძვლებთან მიმართებაში. სხეულისა და სულის ურთიერთმიმართება ყოველთვის ცენტრალური იყო ფსიქოლოგიისთვის. ამის გათვალისწინებით წარმოიქმნა და წარმატებით ვითარდება ისეთი მოსაზღვრე დარგები, როგორცაა ფსიქოფიზიოლოგია, ნეიროფსიქოლოგია და სხვა. უმნიშვნელოვანესია ფსიქოლოგიის კავშირი მედიცინასთან. მხედველობაში გვაქვს ის მრავალრიცხოვანი კვლევები, რომლებიც კლინიკური ფსიქოლოგიის საზღვრებში ხორციელდება (იხ. თავი XVI).

ნაკლებ თვალსაჩინო და ნაკლებ უშუალოა ფსიქოლოგიის კავშირი ფიზიკასა და ქიმიასთან. მკაცრი მეცნიერული კვლევის წარმატებულობის თვალსაზრისით ფიზიკა ყოველთვის ეგალონურ მეცნიერებად მოიაზრებოდა. ამიგომ წარმოდგენები სულიერ მოვლენებზე და მათი კვლევის პრინციპებზე ხშირად ფიზიკაში დამკვიდრებულ შეხედულებათა მსგავსად ყალიბდებოდა. მაგალითად, ფსიქიკურ სამყაროს მიუსადაგეს ატომური ატეხულებ-

ბის პრინციპი; სხვადასხვა ფსიქოლოგიურ თეორიაში გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორცაა ენერჯია, ეელი და ა.შ. ქიმიასთან ფსიქოლოგიის კავშირი უფრო მკაფიოა. არის ისეთი სფეროები, სადაც ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თეორიებთან ერთად გამოიყენება ქიმიური და ბიოქიმიური თეორიებიც (მაგ. მეხსიერების მექანიზმები). გარდა ამისა, არსებობს ფსიქოფარმაკოლოგია – ფსიქიკაზე სამკურნალო პრეპარატების ზემოქმედების შემსწავლელი დისციპლინა.

განსაკუთრებით მჭიდროა ფსიქოლოგიის კავშირი სოციალურ და პუმანიგარულ დისციპლინებთან. ზოგიერთი სპეციალისტის აზრით, თუ ბუნების მეცნიერებებს ის აერთიანებს, რომ ბუნების გამოვლინებებს შეისწავლიან, საზოგადოებრივ-პუმანიგარულ მეცნიერებათა კლასში შემავალ დისციპლინებს, როგორც ბიაცა ისგორია, ეთიკა, ეკონომიკა, იურისპრუდენცია, პედაგოგია, ხელოვნებათმცოდნეობა და სხვა, აერთიანებს ის, რომ მათი კვლევის სპეციფიკური საგანი (მეურნეობა, სამართალი, ხელოვნება, მორალი, აღზრდის სისტემა და ა.შ.), აღამიანთა გონითი მოღვაწეობის შედეგია. ამ მოვლენების წყარო აღამიანის სულიერ აქტიუობაშია. ფსიქიკური ფაქტები და ამდენად, ფსიქოლოგიური ანალიზიც, მათი აუცილებელი შემადგენელი ნაწილია. აქედან გამომდინარე, მათ ზოგად მეთოდოლოგიას სწორედ ფსიქოლოგია წარმოადგენს. ასეც ამბობენ – ფსიქოლოგია საზოგადოებრივ-პუმანიგარულ მეცნიერებათა საფუძველია, ისევე როგორც ფიზიკა ბუნებისმეცნიერებათა საფუძველი. ეს თვალსაზრისი შესაძლოა ერთგვარი გადაჭარბებაც იყოს, მაგრამ, ასეა თუ ისე, ფსიქოლოგიის უმჭიდროესი კავშირი საზოგადოებრივ-პუმანიგარულ დისციპლინებთან მართლაც უეჭველია.

ისგორიასთან და ეთნოგრაფიასთან მას აახლოებს ინგერესი სხვადასხვა ეპოქებისა და განსხვავებული კულტურების ინდივიდების ფსიქიკური წყობის მიმართ (ისგორიული ფსიქოლოგია და ეთნოფსიქოლოგია). სოციოლოგიასთან ფსიქოლოგიას აკავშირებს პიროვნებისა და მისი სოციალური გარემოცვის, ჯგუფის შიგნით და ჯგუფთა შორის მიმდინარე პროცესების შესწავლა (სოციალური ფსიქოლოგია; იხ. თავი XV). სამართალმცოდნეობასთან ფსიქოლოგიას აკავშირებს იმ ფსიქოლოგიური ფაქტორებისა და კანონზომიერებების დადგენის აუქსილუბლობა, რომე-

ლიც დაკავშირებულია დანაშაულებრივი ქსევის ჩადენასთან ან მის აღკვეთასთან და სამართლებრივი შეჯახების პროცესში მონაწილე სუბიექტების პიროვნულ თავისებურებებთან (იურიდიული ფსიქოლოგია).

ძალიან მრავალმხრივია კავშირი ფსიქოლოგიასა და ისეთ გრადიციულ ჰუმანიტარულ დისციპლინას შორის, როგორცაა ენათმეცნიერება. მათ აახლოებს ენობრივი სტრუქტურების შეთვისების საფუძველზე მეტყველების ფორმირების პრობლემა, ენის ანალიზი აზროვნებასთან კავშირში, ენობრივ ურთიერთობათა შინაარსეული და ექსპრესიული მხარეებისადმი ინტერესი. ფსიქოლოგიურ პრობლემატიკასთან უშუალო კავშირშია გამონათქვამის წარმოშობის თავისებურებები, მეტყველების აღქმა, ენის როლის დადგენა კულტურის ანალიზის კონტექსტში და სხვა. ამ საკითხების გარკვევას ემსახურება სპეციალური დარგი – ფსიქოლინგვისტიკა (იხ. თავი XIV). განუყრელია კავშირი ფსიქოლოგიასა და ფილოსოფიას შორის. მრავალი საუკუნის განმავლობაში ფსიქოლოგია ფილოსოფიის წიაღში ვითარდებოდა (იხ. § 2). ეს კავშირი დღესაც უმჭიდროესია. ყველა ძირეულ ფსიქოლოგიურ პრობლემას აქვს ფილოსოფიური კონტექსტი (მაგ., როგორ წარმართება შემეცნების პროცესი, როგორია მიმართება შინაგანსა და გარეგანს, სულსა და სხეულს შორის და მრავალი სხვა).

§ 2. ფსიქოლოგიის ბანკოტარება და თანამედროვე მდებარეობა

1. ადამიანს ყოველთვის აინტერესებდა თავისი სულიერი სამყაროს გაგება. ჩვენი მორეული წინაპრები ფიქრობდნენ, რომ ადამიანის სხეულში მოთავსებულია მეორე არსება, რომელიც დაკავებულია იმის თვალთვალთ. თუ რას ხედავს თვალი, რა ესმის ყურს და რას გრძნობს კანი. ამ “სულს” ან “აჩრდილს” ჰქონდა უნარი, გამოსულიყო სხეულიდან ძილის დროს და ეცხოვრა თავისი საკუთარი ცხოვრებით სიმშარში. ძილში მონადირე კლავს ცხოველს, მეომარი ხდება მამაცი, შეყვარებული ეუფლება საგრუოს და ა.შ. ითვლებოდა, რომ უკანასკნელ ამოსუნთქვასთან ერთად სული საბოლოოდ გოვებს სხეულს. უძველეს დროში გაჩენილი ეს რწმენა ჯერ კიდევ შემორჩენილია ე.წ. “პრიმიტიულ ხალხებში”.

ძველმა ცივილიზაციებმა მოიგონეს ილუზიური ძალით დაჯილდოებული ღმერთები და ქალღმერთები. ისინი იწვევენ ყველაფერს ამ ქვეყნად: არის სიყვარულის, ომის, სელოვნებისა და მრავალი სხვა ღმერთი. ამგვარად, ავადმყოფობა და ჯანმრთელობა, სიკეთე და ბოროტება, სიმამაცე და სიმხდალე, ანუ ყველაფერი ის, რასაც მოკვდავი განიცდის და რაც სულიერ სამყაროდ იწოდება, დამოკიდებულია ღმერთების ხასიათსა და მათ შორის პაექრობაზე. ღმერთების პანთეონის შემადგენლობა, ადგილსამყოფელი და მათთან ურთიერთობის წესი კულტურიდან კულტურაში ცვალებადობდა. უცვლელი იყო ერთი – ადამიანმა პატივი უნდა სცეს და დაემორჩილოს მათ ნებას, თუ კი სურს შეინარჩუნოს კეთილდღეობა და სიმშვიდე, როგორც გარე, ისე შიდა, სულიერ სამყაროში.

2. პირველი ფილოსოფიური სისტემები შეიქმნა ძველ საბერძნეთში ძვ.წ. VII საუკუნეში. აქედან მოყოლებული, სულიერი სამყაროს გააზრება ფილოსოფიური წარმოდგენების ფარგლებში მოექცა. პირველი სპეციალური ფსიქოლოგიური ნაშრომი, გრაქტაგი “სულის შესახებ” ეკუთვნის არისტოტელეს (ძვ.წ. IV საუკუნე). ამ ნაწარმოებში არისტოტელე გადმოგვცემს საკუთარ მოძღვრებას და აგრეთვე სხვა ავტორების, მათ შორის მისი მასწავლებლის, პლატონის შეხედულებებს. პლატონს მიაჩნდა, რომ ჩვენგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არსებობს იდეათა უხილავი სამყარო. სული ამ სინამდვილეს მიეკუთვნება და მარადიული არსებობით ხასიათდება. იგი ღრობებით უკავშირდება სხეულს, სიკვდილის შემდეგ კი უბრუნდება იდეათა სამყაროს, სადაც მუდამ იძენს ჭეშმარიტ ცოდნას, რომელიც სხეულთან შეერთებისას ავიწყდება. შემეცნება ადამიანის მიერ ამ ცოდნის აღდგენის, არსებითად, გახსენების პროცესია.

არისტოტელეს მიაჩნდა, რომ სული სხეულის არსია, ანუ ის, რაც სხეულს ცოცხლად ხდის. მაგრამ, თუ ეს ასეა, სხეული და სული ერთმანეთისაგან განცალკევებულად ვერ იარსებებენ, ისინი ერთ მთლიანს უნდა ქმნიდნენ. მათი ფუნქციები დაუმორებელია: “თვალი რომ ცოცხალი არსება ყოფილიყო, მხედველობა მისი სული იქნებოდა”. ყველაფერი, რაც ცოცხალ არსებაში, მათ შორის ადამიანში ხდება, სულის მოქმედების გამოვლინებაა. ყოველივე ცოცხალი სულიერია. ამასთან, სიცოცხლის ორგანიზაცი-

ის სამ ღონეს სულის სამი ფორმა შეესაბამება: მცენარეული სული, რომელიც კვების, ზრდის და გამრავლების პროცესებს განაგებს; ცხოველური სული, რომელიც შეიკრძნებებს მართავს და ადამიანური სული, რომელიც ამროვნების უნარით არის დაჯილდოებული. არისტოტელემ მოგვცა ადამიანის სულიერ გამოვლინებათა ანუ, ღღევანდელი ენით რომ ვთქვათ, ფსიქიკური პროცესების (შეგრძნება, მესხიერება, წარმოსახვა, ამროვნება, გრძნობები, ნებელობა) დახასიათება, რომელიც ღღესაც გვაოცებს დაკვირვების სიმახვილით და ანალიზის სიმზუსტით. მიუხედავად ამისა, არისტოტელესთვის მთავარი მაინც ეს რეალურად მიმდინარე პროცესები კი არა, მათ საფუძელადმდებარე სულის რაობის გარკვევაა.

ერთი სიგყვით, ბერძენი ფილოსოფოსების თხზულებებში უკვე მოცემულია ფსიქიკური პროცესების ერთგვარი გულუბრყვილო გაგება: ისინი ისეთი მოვლენებია, რომლებიც რაღაც ზებუნებრივი, “სინამდვილის გადაღმა არსებული”, მეტაფიზიკური არსის – “სულის” გამოვლინებაა. ფსიქოლოგიის ამოცანა ამ “სულის” გაგებაა. საუკუნეების მანძილზე ფსიქოლოგია “სულის” შესახებ მოძღვრებად ითვლებოდა; ფსიქოლოგიის განვითარების ამ ეტაპს “მეტაფიზიკური ფსიქოლოგიის” ეტაპს უწოდებენ.

3. ასეთი იყო ფსიქოლოგია XVII საუკუნემდე. ამ პერიოდში მკვეთრად იწყებს განვითარებას საბუნებისმეტყველო მეცნიერებანი, რომლებიც რეალური მოვლენების ემპირიული შესწავლის მყარ ნიადაგზე ღღანან. ბუნებრივია, რომ მეცნიერული აზრი ველარ ურიგდება სპეკულაციებს სულის ბუნების შესახებ. ყოვლისამხსნელი “სული”, რომელიც დაკვირვებადი მოვლენების მიღმა არსებობს და თავად აუხსნელ ძალად რჩება, თანდათანობით გამოირიცხა მეცნიერებიდან. დაღვა ხანა ე.წ. “ემპირიული ფსიქოლოგიისა”, რომელიც შეისწავლის რეალურ ფსიქიკურ სინამდვილეს, ემპირიულად მოცემულ ცნობიერების შინაარსებს, განცდათა სამყაროს. ყველაზე გაბედული ნაბიჯი ამ მიმართულებით გადაღვა ინგლისელმა ფილოსოფოსმა ჯონ ლოკმა.

ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითად კატეგორიას ცნობიერება შეადგენს, იგი ჭეშმარიტად ცნობიერების ფსიქოლოგიაა. ემპირიული ფსიქოლოგია ამოდის იქიდან, რომ ცნობიერების პროცესები მიუწვდომელია გარეშე დამკვირვებლისთვის. სხვადასხვა

აღამიანების ცნობიერება შეიძლება შედარდეს დახმულ სფეროებს, რომელთა შორის უფსკრულია. ამ უფსკრულს ვერაინ გადალახავს; ვერაინ განიცდის ჩემი ცნობიერების მდგომარეობას ისე, როგორც ამას მე განვიციდი. მე, ავრეთვე, ვერასდროს შევალწევ სხვათა აზრებსა და გრძნობებში. ცნობიერების პროცესები უშუალოდ მხოლოდ თვით სუბიექტს ეძლევა. ამიგომ, მათი ემპირიული შესწავლისთვის სუბიექტმა უნდა აწარმოოს დაკვირვება საკუთარი ცნობიერების შინაარსებზე, ე.ი. განახორციელოს თვითდაკვირვება ანუ ინტროსპექცია. ასეთია ემპირიული ფსიქოლოგიის არსი. მისი ყველაზე გავრცელებულ მიმდინარეობაა ე.წ. ასოციაციური ფსიქოლოგია. იგი ორი საუკუნის განმავლობაში ვითარდებოდა მრავალი გამოჩენილი მოაზროვნის მიერ.

ასოციაციონიზმის მეცნიერული იდეალი ბუნებისმეცყველება, კერძოდ ფიზიკა და ქიმია იყო. აქ შემეცნება კონკრეტულ მოვლენათა ანალიზით იწყება და სამყაროს გამაერთიანებელი კანონზომიერების გამოვლენამდე მიდის. იმავეს გაკეთებას ცდილობს ასოციაციური ფსიქოლოგია. პირველ ყოვლისა ის გამოკყოფს ცნობიერების საშენ მასალას, ფსიქიკურ ელემენტებს, ხოლო შემდგომ დაადგენს კანონს, წესს, რომელიც მათ რთულ ფსიქიკურ მოვლენებად გააერთიანებს. ფსიქიკურ ელემენტებად შეგრძნებები და მათი ასლები, წარმოდგენები გვევლინება, ხოლო მათ გამაერთიანებელ პრინციპად ასოციაციის ძალაა მიჩნეული. ასოციაცია ცნობიერების მოვლენებს შორის ისეთ კავშირს გულისხმობს, როცა ერთი წარმოდგენის გაჩენა მეორის აღმოცენებას იწვევს. ცნობიერების ელემენტები ასოციაციის საშუალებით უკავშირდება ერთმანეთს და ქმნის ფსიქიკური სამყაროს მთელ მრავალფეროვნებას. ასოციაცია ცნობიერების უნივერსალური მასინტეგრირებელი პრინციპია; ის ერთგვარი მსოფლიო მიზიდულობის კანონია ფსიქიკის სფეროში. ასოციაციური კავშირი მყარდება წარმოდგენათა მეზობლობის, მსგავსებისა და თანხვედრის მრავალჯერადობის შემთხვევაში. თუ ეს პირობები შესრულდა, ვთქვათ, ორი წარმოდგენა რამდენჯერმე ერთდროულად გაჩნდა ცნობიერებაში, მათ შორის მექანიკურად მყარდება კავშირი: ერთ-ერთის გაჩენა მეორეს მექანიკურადვე გამოიწვევს. ასოციაციონიზმის, როგორც ემპირიული ფსიქოლოგიის ძირითადი მიმდინარეობის ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი და,

ამავე დროს, ყველაზე სერიოზული ნაკლი სწორედ მისი მექანიციზმში და ელემენტარიზმში.

4. ემპირიული ფსიქოლოგია თითქმის მთლიანად ფილოსოფიის წიაღში ჩამოყალიბდა, რადგან ფსიქოლოგია, როგორც დამოუკიდებელი დისციპლინა, ჯერ კიდევ არ არსებობდა. თეორიულ მუშაობასთან ერთად, უპირატესად ფიზიოლოგების მიერ, მიმდინარეობდა ფაქტობრივი მონაცემების დაგროვების პროცესიც. XIX საუკუნის მეორე ნახევარში დღის წესრიგში დადგა ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად დამკვიდრების ამოცანა. ამ საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის გერმანელ მეცნიერს, ვილჰელმ ვუნდტს. 1879 წელს მან ლაიფციგში დააარსა პირველი ფსიქოლოგიური ლაბორატორია. აქ მიმდინარე კვლევები ეფუძნებოდა ფაქტობრივად ექსპერიმენტულად ორგანიზებული თვითდაკვირვება იყო. ცდისპირებს ევალებოდათ, აღეწერათ განცდები, რომლებსაც მათში გარკვეული გამღიზიანებლების ზემოქმედება იწვევდა. მარტივი ფსიქიკური პროცესების კვლევით ვუნდტი ცდილობდა, გამოეყო და დაეხასიათებინა რთული ფსიქიკური მოვლენების შემადგენელი ელემენტები. ამით იგი, არსებითად, ასოციაციონიზმის ხაზს აგრძელებდა ექსპერიმენტის გამოყენებით. ელემენტების დამაკავშირებელ მექანიზმებად ასოციაცია იგულისხმებოდა, თუმცა, ამასთან ერთად, გონების უფრო რთული მასინთეზირებული მოქმედების არსებობაც იყო დამუშავებული. ვუნდტის სისტემა იყო ელემენტარისტული, ვინაიდან მასში ცნობიერება მარტივი ერთეულებისაგან აგებულად განიხილებოდა და, ასევე, ინტროსპექციული, რადგან ფსიქოლოგიური ცოდნის ნამდვილ წყაროდ მაინც თვითდაკვირვება იყო მიჩნეული.

5. კრიტიკის საგანი, პირველ რიგში, ელემენტარიზმი გახდა. ფსიქოლოგებმა მონახეს და დაახასიათეს ცნობიერების ისეთი შინაარსები, რომელთაც ვერც ცალკეულ ელემენტებად დაშლი და ვერც მათი უბრალო ჯამის სახით წარმოადგენ. გერმანული სიტყვა “გემტალგი” ნიშნავს ფორმას ან კონფიგურაციას. “გემტალგფსიქოლოგიის” მიხედვით, გარემო ჩვენ მიერ არ განიცდება ცალკეული ელემენტების სახით, რომლებიც ცნობიერებამ უნდა გააერთიანოს; სამყარო შედგება ორგანიზებული ფორმებისაგან და მისი აღქმაც იმთავითვე ორგანიზებულია. მაგალითად, გარკვეული თანმიმდევრობით და გემპით მოცემული ბგერების

ერთობლიობა ქმნის მელოდიას. თუ შეიცვლება ნოტების რიგი ანუ მთლიანობა, შეიცვლება მთელი მელოდია; მაგრამ თუ მელოდიას გადავიტანთ სხვა გონალობაში, მაშინ შეიცვლება მისი შემადგენელი თითოეული ბგერა (ელემენტი), მაგრამ თვით მელოდია უცვლელი დარჩება. მაშასადამე, ჩვენ განვიცდით გარკვეულ ორგანიზებულ მთლიანობას და არა მისი ელემენტების უბრალო ჯამს.

6. კლასიკური ფსიქოლოგიის ინგროსპექციონიზმს დაუპირისპირდა XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე გაელენიანი მიმდინარეობა – ბიჰევიორიზმი. მისი სახელწოდება მიღებულია ინგლისური სიტყვისაგან – behavior, რომელიც ქცევას ნიშნავს. მაშასადამე, ბიჰევიორიზმი ქცევათმეცნიერებაა. იგი მოუწოდებს ფსიქოლოგებს, უარი თქვან სუბიექტური საშყაროს, ცნობიერების შესწავლაზე და გადაინაცვლონ ობიექტურად მოცემული ქცევის კვლევაზე. ბიჰევიორიზმის ფუძემდებელი, ამერიკელი მეცნიერი ჯონ უოტსონი, ცდილობდა ფსიქოლოგია ზუსტ საბუნებისმეტყველო მეცნიერებად ექცია. გრადიციულმა ფსიქოლოგიამ ეს ვერ შეძლო, რადგან მისი საკვლევი საგნის – ცნობიერების – შესწავლის ერთადერთ გზას თვითდაკვირვებაში ხედავდა. ეს უკანასკნელი კი, თავისი სუბიექტურობის გამო, ვერ იძლევა მყარ და სანდო მონაცემებს. ამიგომ იგი უნდა შეიცვალოს ობიექტური დაკვირვების მეთოდით. მაგრამ ვინაიდან თვითდაკვირვება და ცნობიერება ბიჰევიორიზმის წარმოდგენაში ორგანულად იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, ერთის უარყოფა მეორის უარყოფასაც ნიშნავდა. მეთოდის შეცვლას ფსიქოლოგიის საგნის შეცვლა მოჰყვა. სუბიექტური მეთოდით სუბიექტური (ცნობიერი) მთვლენები შეისწავლება, ხოლო ობიექტური მეთოდით – ობიექტური მთვლენები. ესენია ცოცხალი არსების მიერ განხორციელებული ქცევები, რეაქციები, რომლებიც მისაწვდომია გარეშე დაკვირვებისთვის. ამ რეაქციებს ობიექტურად მოცემული სტიმულები იწვევს. ყოველი ქცევა არის პასუხი რაიმე გამღიზიანებელზე: S-R – ასეთია ბიჰევიორიზმის ფორმულა. ბიჰევიორიზმი ცდილობს ზუსტად განსაზღვროს, თუ როგორი იქნება ორგანიზმის პასუხი – რეაქცია (R) მოცემულ გამღიზიანებელზე – სტიმულზე (S). ბიჰევიორიზმის ყველა ნაირსახეობისთვის მთავარია ქცევის წინასწარმეტყველება და მართვა. მიჩნეულია,

რომ ადამიანის თითქმის ყველა ქცევა შექმნილია. ამიგომ ასალი ქცევების გამოუშავების პროცესი, ანუ დასწავლა, ემპირიული კვლევის ძირითად სფეროდ გადაიქცა.

სწორად ამბობენ, რომ რადიკალური ბიპევიორიზმი უფსიქიკო ფსიქოლოგიაა. მართლაც, S-R ფორმულაში არანაირად არ არის გათვალისწინებული ფსიქიკის მონაწილეობა – გამღიზიანებელი უშუალოდ იწვევს რეაქციას. ეს არ ეთანხმება ყოველდღიური დაკვირვების მონაცემებს. კვლევის პროცესმაც ნათელყო ქცევის ასეთი უკიდურესად გამარტივებული დახასიათების უმართებულობა. ამიგომ ბიპევიორისტიკების მომდევნო თაობამ (ე.წ. ნეობიპევიორისტიკებმა) ქცევის პროცესის დახასიათებისას მიმართეს შინაგან სამყაროსთან დაკავშირებულ მოვლენებს (მოთხოვნილება, მოლოდინი, მიზანი, განწყობა და სხვა) და ე.წ. “შუალედური ცვლადების” სახით მოათავსეს ისინი სტიმულსა და რეაქციას შორის. ქცევის კატეგორია, რომელიც ამ ცვლადებით შეპირობებულ აქტივობად იქნა გააზრებული, სულ უფრო მეტად იტვირთებოდა ფსიქიკური შინაარსით. დღეს ქცევას უკვე აღარაფერ აიგივებს კუნთებისა თუ ჯირკვლების ობიექტურად გამოვლენილ აქტივობასთან. ასეთი მოვლენები ფიზიოლოგიის შესწავლის საგანია. თანამედროვე ფსიქოლოგიაში ქცევა დახასიათებულია, როგორც ობიექტურისა და სუბიექტურის, სხეულებრივისა და ფსიქიკურის განუყოფელი ერთიანობა.

7. ფსიქოლოგიური მეცნიერების განვითარების მესამე ხაზი, რომელიც გეშგალტფსიქოლოგიასთან და ბიპევიორიზმთან ერთად დაუპირისპირდა გრადიციულ ცნობიერების ფსიქოლოგიას, იყო ფსიქოანალიზი. ამ მოძღვრების ცენტრალური კატეგორია არის არაცნობიერი. მისი შემქმნელი ავსტრიელი მეცნიერი ზიგმუნდ ფროიდი ამტკიცებდა, რომ ცნობიერება ფსიქიკის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენს. ჩვენი ქცევა განსაზღვრულია არა მხოლოდ და არა იმდენად ცნობიერებით, რამდენადაც არაცნობიერი ლტოლვებით. ეს ის მისწრაფებებია, რომელთა არსებობას ადამიანი თავის თავსაც არ უმხელს და რომლებიც თავისი “შიულებლობის” გამო არ დაიშვება ცნობიერებაში; ისინი არაცნობიერში განიღვენება. ეს ფსიქიკური შინაარსები არ ეთანხმება იმ ნორმებსა და იდეალებს, რომლებიც უმუშავდება ადამიანს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, უპირატესად ბავშვობაში, მშობლებთან ურთიერთო-

ბის პროცესში. სექსუალური ლტოლევები, მათ მიმართ უძლიერესი სოციალური შეზღუდვების გამო, ყველაზე მეტად ითრგუნება. ამი-
გომ ადამიანის ქცევა, პირველ რიგში, ამ ლტოლევების არააქნობი-
ერიდან მომდინარე ენერჯით აღიქვრება. ფროიდმა მას ლიბიდო
უწოდა. ეს ენერჯია ბაჟემობასა და მოზარდობაში გაიელის გან-
ვითარების გარკვეულ სტადიებს, რასაც მოჰყვება პიროვნების
ამა თუ იმ გიპის ფორმირება (იხ. თავი VIII).

არააქნობიერი ქმედითი ძალაა, რომელიც მუდამ ესწრაფვის,
შეაღწიოს ცნობიერებაში და აღძრას ქცევა, რასაც უმეტესად
ახერხებს კიდევ, თუმცა ისე რომ სუბიექტმა ამის შესახებ არა-
ფერი იცის. არააქნობიერი გენდენციები შენიღბული სახით შეიბ-
ლება გამოვლინდეს სიზმრში, ფანტაზიაში, შემოქმედებაში,
მცდარ მოქმედებაში, ნევროზულ დარღვევაში და სხვა. ფროიდის
მიხედვით, ნევროზული სიმპტომი არის გრაემის გამომწვევი
განდევნილი განსკლების ნარჩენი (კვალი), რომელიც არააქნობი-
ერში მძლავრ დამუხტულ კერას ქმნის და იქიდან დამანგრევე-
ლად მოქმედებს. ფსიქოანალიზი, როგორც მკურნალობის მეთო-
დი, მიმართულია იმაზე, რომ გაიხსნეს ნევროზის ნამდვილი მი-
ზეზი, გაცნობიერდეს გრაემა და მოიხსნეს მისი ნევატიური ვაუ-
ლენა პაციენტზე.

ფსიქოანალიზს მკაცრად აკრიტიკებდნენ, პირველ ყოვლისა
მისი გადაჭარბებული სექსუალიზაციის გამო, აგრეთვე იმიტომ,
რომ მის დებულებათა უმეტესობის ექსპერიმენტული შემოწმება
გაძნელებულია, ან სულაც შეუძლებული. ეს შეფასება არ არის
უსაფუძვლო. მაგრამ ისიც მართალია, რომ ფროიდმა ისე ღრმად
ჩაიხედა არააქნობიერის სფეროში, როგორც მანამდე არავის გა-
უკეთებია. არაჩვეულებრივად მდიდარ კლინიკურ პრაქტიკაზე
დაყრდნობით, ფროიდმა აღწერა ფსიქიკური შინაარსის ცნობიე-
რებიდან არააქნობიერისკენ და პირიქით, არააქნობიერიდან ცნო-
ბიერებისკენ მოძრაობის პროცესი.

ფროიდის იდეებმა სტიმული მისცა მრავალი შეხედულების
გაჩენას ე.წ. "სიღრმის ფსიქოლოგიის", ხოლო შემდგომ "ნეოფ-
როიდიზმისა" და "ეგო-ფსიქოლოგიის" ფარგლებში. მათში სა-
ფუძვლიანად გადამუშავდა ფსიქოანალიზის პოზიციები ისეთ არ-
სებით საკითხებზე, როგორცაა არააქნობიერის ფორმები და სა-
ხეები, ქცევის მამოძრავებელი ძალების ბუნება, სოციალური

ფაქტორების როლი ფსიქიკურ ცხოვრებაში, მე-ს ფუნქცია პიროვნების სტრუქტურაში და სხვა.

8. XX საუკუნის შუა ხანებში ბიპვეიორისტული ფსიქოლოგია აშკარა კრიზისის ფაზაში შევიდა. თავისი ამოსავალი პრინციპების საწინააღმდეგოდ, იგი იძულებული გახდა გაითვალისწინოს ცნობიერების მონაცემები. ამგვარად, შეიქმნა ვითარება, რომელიც განაპირობებდა ცნობიერების ფსიქოლოგიის ხელმეორე აღორძინებას. ასეც მოხდა. ჩამოყალიბდა ე.წ. ‘კოგნიტური ფსიქოლოგია’, რომელმაც თავისი შესწავლის საგნად შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები გახადა. ფსიქოლოგიის ამ მიმართულების დაფუძნებას და გავრცელებას ღიდად შეუწყო ხელი კიბერნეტიკისა და ინფორმატიკის განვითარებამ.

კიბერნეტიკა იმ იდეიდან ამოდის, რომ მართვისა და ინფორმაციის გადამუშავების პროცესები ყოველგვარ რთულ სისტემაში – კომპიუტერშიც და ცოცხალ არსებაშიც, საერთო, ზოგად კანონზომიერებებს ემორჩილება. ბიპვეიორისტული კრიზისით გზაბნეული ფსიქოლოგიისთვის ეს პრინციპები უაღრესად პროდუქტიულად გამოიყურებოდა. თითქოს გაიხსნა ახალი გზა ფსიქიკური, უპირატესად შემეცნებითი პროცესების შესასწავლად. კომპიუტერის მსგავსად, ადამიანში ინფორმაცია აისახება, გაიშიფრება, კლასიფიცირდება, შეინახება, გამოიყენება; ერთი სიგყვით, ხდება ინფორმაციის გადამუშავება. ბიპვეიორიზმის მიერ გაბუღებული ცნობიერი, კოგნიტური პროცესები (აღქმა, მეხსიერება, ყურადღება, ამოცანის გადაწყვეტა და ა.შ.) რეალური მოვლენების სტატუსს იძენს, როგორც ინფორმაციის გადამუშავების ერთიანი, რთული პროცესის ეტაპები თუ ელემენტები. გამომთვლელ მანქანებთან ანალოგია, ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, “კომპიუტერული მეტაფორა”, კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესების შესწავლის ახალ საშუალებებს იძლევა. ამჟამად კოგნიტური ფსიქოლოგია საყოველთაოდ არის გავრცელებული. მის ფარგლებში იქმნება უზუსტესი გამომკვების შემეცნელი ექსპერიმენტული მეთოდები; ახალი ცნებებით მდიდრდება ფსიქოლოგიური ლექსიკონი, რომლითაც აღიწერება კოგნიტური მოქმედება: ინფორმაცია, გადამუშავება, კოდირება, პროგრამა და სხვა. მართალია, თავიდანვე დაისვა და ახლაც მწვავედ ღვას საკითხი მანქანური და ადამიანური ფსიქიკური პროცესების იგი-

ვეობის მართებულობის შესახებ, მაგრამ ისიც ნათელია, რომ კომპიუტერთან ფსიქიკური პროცესების ანალოგიას გარკვეული სარგებლობის მოგანა შეუძლია.

მოვლიანებით კოგნიტური ფსიქოლოგია გასცდა შემეცნებითი პროცესების კვლევის ჩარჩოებს. ბევრი რამ გაკეთდა იმის საჩვენებლად, თუ რამდენად დიდი როლი ენიჭება ცნობიერებას, ცოდნას ადამიანის ყოველგვარ ქცევაში. ცოდნა, აზრი, კოგნიცია განსაზღვრავს ქცევას – ასეთია ქცევითი კოგნიტივიზმის სხვადასხვა განშტოების ამოსავალი დებულება (იხ. თავი VIII). კოგნიტური სისტემის ელემენტებს შორის გაჩენილი შეუსაბამობა აღძრავს ქცევას, რომელიც მიმართულია ამ შეუსაბამობის მოსახსნელად. ამგვარად, შემეცნებითი სფეროს ფარგლებში აქტივობის მამოძრავებელი ძალები წარმოიქმნება. ამჟამად აქტიურად შეისწავლება ე.წ. კოგნიტურ-მოგიეატიური და კოგნიტურ-ემოციური ფენომენები.

9. XX საუკუნის 60-იან წლებში მეცნიერულ ასპარეზზე გამოვიდა ახალი ფსიქოლოგიური მიმდინარეობა, ე.წ. “ჰუმანისტური ფსიქოლოგია”, რომელიც “მესამე ძალის” სახით დაუპირისპირდა ბიჰევიორიზმს და ფსიქოანალიზს. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის თანახმად, ადამიანი არის მიზანდასახული, შემოქმედი არსება; იგი თავისუფალია გარეგანი და შინაგანი დეტერმინაციისაგან, რადგან თავისუფალი არჩევანისა და საკუთარი ნების შესაბამისი ქცევის განხორციელების უნარი აქვს. უფრო მეტიც, იგი თავად ქმნის, ძერწავს საკუთარ თავს. პიროვნული სამყარო განცდათა სამყაროა, რომელიც ყოველ ადამიანში განუმეორებელი და ინდივიდუალურია. ამიგომ საჭიროა ცალკეული, უნიკალური პიროვნების შესწავლა. ყოველი ადამიანი მიისწრაფვის განვითარებისკენ, რათა მაქსიმალურად მიუახლოვდეს იდეალური მე-ს იმ სურათს, რომელიც მას აქვს. პიროვნება მოგადად თვითაქტუალიზაციისკენ ისწრაფვის, მაგრამ ცხოვრების პროცესში მეტ-ნაკლებად აღწევს ამას. თავის პრაქტიკულ, ფსიქოთერაპიულ საქმიანობაში ჰუმანისტური ფსიქოლოგია ორიენტირებულია ისეთი ფსიქოლოგიური პირობების შექმნაზე, რომ პიროვნებამ შეძლოს თავისი პოტენციის სრული გამოვლენა, იმის რეალიზაცია, რაც მასში ბუნებრივად არის მოცემული.

ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში მთავარ ადგილს პიროვნების კატეგორია იკავებს. ეს კატეგორია ცენტრალურია ე.წ. “დისპოზიციური” თეორიებისთვისაც. მათში ადამიანი დასასიათებულია პიროვნული ნიშნების ან თვისებების იმ ერთობლიობის სახით, რომელიც მის ქცევას განსაზღვრავს. ამ გაგებას უპირისპირდება ე.წ. “სიგუაციონისტური” მოდელები”, რომლებიც ქცევის განსაზღვრელ ფაქტორებს პიროვნების გარეთ ეძებს. არსებობს ე.წ. ინტრაქციული შეხედულებებიც, რომლებშიც ქცევას შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ერთობლივი მოქმედების შედეგად მიიჩნევენ (იხ. თავი VIII).

ყველა თეორიაში ქცევისა და ზოგადად ფსიქიკური ცხოვრების დეტერმინაციის ერთ-ერთი ვარიანტია გათვალისწინებული. სერიოზულ კონცეფციებს შორის მხოლოდ ჰუმანისტური ფსიქოლოგია (განსაკუთრებით მისი “ეგზისტენციალური” განშტოება) უარყოფს დეტერმინიზმს და თავისუფლების პრინციპიდან ამოდის. იგი გვერდს უვლის ექსპერიმენტსა და გაზომვას, იფარგლება უნიკალური პიროვნების აღწერით და უარს ამბობს ზოგადი კანონზომიერების ძიებაზე. რაც მთავარია, ის ეყრდნობა რწმენას, რომ ყოველ პიროვნებას ძალუძს საკუთარი თავისუფალი ნების საფუძველზე წარმართოს თავისი ქცევა და, საბოლოოდ, განსაზღვროს საკუთარი ბედი. ყოველივე ეს გარკვეულად ეწინააღმდეგება მეცნიერების აღიარებულ იდეალებს. მეცნიერება ხომ ზოგად კანონზომიერებათა გამოვლენას ცდილობს (მათ შორის ფსიქიკური ცხოვრების სფეროშიც). კანონზომიერება კი მოვლენათა განსაზღვრულობას, ანუ, ფართო გაგებით დეტერმინირებულობას გულისხმობს. თავისუფალი განსაზღვრულობა ნონსენსია. სპეციალისტების უმეტესობას მიაჩნია, რომ ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში თავისუფლების პრინციპის გაზვიადება ფსიქოლოგიურ მეცნიერებას კანონზომიერების გარეშე გოვებს. ამ შეფასების სერიოზულობას ადასტურებს ის, რომ ამჟამად ჰუმანისტური და ეგზისტენციალური ფსიქოლოგია ფაქტობრივად ჩამოშორდა ფუნდამენტურ კვლევას და პრაქტიკული ფსიქოლოგიის დარგად გადაიქცა.

10. როგორც ვნახეთ, მას შემდეგ, რაც ფსიქოლოგია დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბდა, იგი არსებითად განსხვავებული თვალსაზრისების პაექრობის ასპარეზად იქცა. საყოველ-

თაოდ მისაღები, ერთიანი ფსიქოლოგიური სისტემის შემუშავება მომავლის საქმეა. ჯერ-ჯერობით კი შეიძლება ითქვას, რომ თანამედროვე ფსიქოლოგია “ოთხ ვეშაპზე” დგას; ესენია ცნობიერების, არაცნობიერის, ქცევისა და პიროვნების კატეგორიები. სწორედ ამ კატეგორიათა გარშემო მოიყარა თავი ძირითადად ფსიქოლოგიურმა შეხედულებებმა. ისინი შემოსაზღვრავენ არეს, რომელსაც ფსიქიკურ ცხოვრებას ვუწოდებთ. ფსიქიკა ან ცნობიერია ან არაცნობიერი, ის ქცევის ფორმაში ვლინდება, ქცევას კი პიროვნება ახორციელებს. ეს მსოლოდ ძალზე პირობითი და გამარტივებული სქემაა, მაგრამ მაინც ერთგვარ წარმოდგენას გვიქმნის ფსიქოლოგიის შესასწაველი სფეროს შესახებ.

§ 3. ფსიქოლოგიის დარბაზი

თანამედროვე ფსიქოლოგიური მეცნიერება ცალკეულ ფსიქოლოგიურ დისციპლინებს ან დარგებს აერთიანებს. ზოგი მათგანი ზემოთ, ფსიქოლოგიის სხვა მეცნიერებებთან მოსაზღვრეობის კონტექსტში იქნა აღნიშნული.

ზოგადი ფსიქოლოგია შეისწავლის ზრდასრული, ნორმალური, კულტურის თანამედროვე დონეზე მდგომი ადამიანის ფსიქიკის ზოგად კანონზომიერებებს. ამ სახელმძღვანელოში განხილული მონაცემები ადამიანის შემეცნებითი, ემოციური და მოტივაციური პროცესების შესახებ, უმეტესად ზოგადი ფსიქოლოგიის სფეროს მიეკუთვნება.

დიფერენციალური ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანთა შორის არსებულ ფსიქოლოგიურ სხვაობებს, იმ თავისებურებებს, რომლებიც ახასიათებს სხვადასხვა გიპის, ასაკის, სქესის, პროფესიისა თუ ეროვნების ადამიანებს; აგრეთვე კონკრეტულ პიროვნებათა გემპერამენგის, ხასიათის, უნარების, მოტივებისა თუ სხვა ინდივიდუალური მარჩვენებლების რაოდენობრივ და შინაარსულ განსხვავებულობას.

გენეტიკური ფსიქოლოგია ფსიქიკის განვითარებას იკვლევს, ის, თავის მხრივ, რამდენიმე დისციპლინას შეიცავს:

ასაკობრივი ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანის ფსიქიკის განვითარებას და ცვალებადობას ონტოგენეზში, ანუ მისი ცხოვრების განმავლობაში, დაბადებიდან სიკვდილამდე.

შედარებითი ფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკის განვითარებას ფილოგენეზში – ცხოველთა განვითარების საფეხურზე. ფსიქიკის განვითარების ეს დაბალი ფორმები განიხილება ადამიანის ფსიქიკის ღონესთან შედარების თვალსაზრისით, ე.ი. მათი განვითარების ასპექტით.

სოციალური ფსიქოლოგია ადამიანის, როგორც სამოგადოებრივი არსების ფსიქიკურ თავისებურებებს იკვლევს. იგი შეისწავლის იმ გავლენას, რომელსაც ადამიანის პიროვნებაზე, ფსიქიკურ პროცესებსა და მოგადად ქცევაზე ახდენს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, აგრეთვე ის როლები, რომელთაც იგი ასრულებს, როგორც წვერი მცირე სოციალური ჯგუფის (ოჯახი, მეგობართა წრე, სამუშაო კოლექტივი...), ან უფრო ფართო სამოგადოებრივი სისტემისა (სოციალური ფენა, ერი, სახელმწიფო...). შეისწავლება თვით ამ ჯგუფების ფსიქოლოგიური მახასიათებლები (იხ. თავი XV).

პათოფსიქოლოგია შეისწავლის ფსიქიკის ანომალურ, პათოლოგიურად შეყვლილ ფორმებს, რაც თავს იჩენს ფსიქიკურ დაავადებათა შემთხვევაში. პათოფსიქოლოგიურ მონაცემებს მოგადფსიქოლოგიური მნიშვნელობაც აქვს: ფსიქიკური მოვლენების პათოლოგიურად შეყვლილი ფორმების დაპირისპირება ამ მოვლენათა ნორმალურ ფორმებთან, ამ უკანასკნელთა ბუნების დადგენას ემსახურება.

პედაგოგიკური ფსიქოლოგია შეისწავლის აღზრდისა და სწავლების პროცესის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს მათი რაციონალიზაციის მიზნით. მაგალითად, რა მეთოდები უნდა იქნეს გამოყენებული ინდივიდის ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით; ბავშვის თუ მოზარდის ასაკიდან გამომდინარე, როგორი უნდა იყოს სასწავლო მასალის შინაარსი, სირთულე, საერთო სასწავლო დატვირთვა, როგორ უნდა მოხდეს ბავშვის მზებრივი თუ პიროვნული აღზრდა და სხვა.

შრომისა და საინჟინრო ფსიქოლოგია შეისწავლის პროფესიული შრომის ფსიქოლოგიურ საფუძვლებს. ამ დარგის ძირითადი ამოცანებია: ადამიანების მიზანშეწონილი განაწილება სხვადასხვა სახის საქმიანობაზე, ინდივიდების ფსიქიკურ თავისებურებების, მათი უნარებისა და შესაძლებლობების მიხედვით (პროფორიენტაცია და პროფმერჩევა); შრომითი ჩვევების ათვის-

სების და შრომის პირობების რაციონალიზაცია; მათი შეთავსება ადამიანის ფსიქიკურ და ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებთან და ამ გზით შრომის პროცესის გაადვილება, მისი ნაყოფიერების გაზრდა. მართვის ავტომატიზებული სისტემების განვითარება მოითხოვს ამ სისტემებთან ადამიანის შეგუებას. განსაკუთრებით მწვავედ დგება ეს საკითხი, როცა ადამიანს გართულეულ პირობებში უხდება მუშაობა: ემოციური დაძაბულობა, მაღალი პასუხისმგებლობა, დროის ან ინფორმაციის დეფიციტი და ა.შ.

პრაქტიკული ფსიქოლოგია

ფსიქოლოგიაში, ისევე როგორც სხვა მეცნიერებებში, არის დარგები, რომლებიც ორიენტირებული არიან უპირატესად ცოდნის მოპოვებაზე, კვლევაზე და დარგები, რომლებიც უშუალოდ პრაქტიკის საჭიროებებს ემსახურებიან. ფსიქოლოგიის გამოყენებითი სფერო ძალზე მრავალფეროვანია. პრაქტიკოს ფსიქოლოგებს შორის ერთნი დაკავებული არიან ცალკეული ადამიანების პრობლემებით, მეორენი – ჯგუფში (ოჯახი, გუნდი, კოლექტივი და ა.შ.) ურთიერთობათა მოგვარებით, მესამენი ორიენტირებული არიან განათლების, ვაჭრობისა თუ ჯანდაცვის სფეროში წარმოქმნილ პრობლემებზე, ხოლო სხვები ქმნიან პროგრამებს, რათა მოსახლეობის ყურადღება მიაპყრონ სხვადასხვა საზოგადოებრივ ღონისძიებებს (მაგ, არჩევნები, ბუნების დაცვის მოძრაობა და სხვა). ზოგიერთი მათგანი პირად კაბინეტში მუშაობს, სხვები კლინიკაში, სკოლაში, საწარმოში, საზოგადოებრივ, სახელმწიფო დაწესებულებაში თუ სხვაგან.

რა უბანზეც უნდა მუშაობდეს პრაქტიკოსი ფსიქოლოგი, მას ევალება, გაერკვეს პრობლემის არსში, ე.ი. დასვას დიაგნოზი (ფსიქოდიაგნოსტიკა), გამოიმუშაოს რეკომენდაციები ნეგატიური მოვლენების პროფილაქტიკის ან პრევენციის (ფსიქოპროფილაქტიკა) კუთხით და უშუალოდ იმუშაოს ინდივიდთან ან ჯგუფთან მდგომარეობის გამოსწორების (ფსიქოკორექცია) მიზნით სხვადასხვა სპეციალური მეთოდების ან ტექნიკების გამოყენებით. ეს ტექნიკები ისეთი ხერხების ერთობლიობაა, რომლებიც საშუალებას გვაძლევენ, კონკრეტული პრობლემიდან გამომდინარე, გავაუმჯობესოთ ადამიანთა შორის ურთიერთობები, ვავრძნო-

ბინოთ ადამიანს შვება, შეეუმსუბუქოთ განჯვა, დაეხმაროთ თავისი ქცევის ორგანიზაციის ან ოპტიმიზაციის საქმეში და სხვა. აღსანიშნავია, რომ ამა თუ იმ გეჟნიკის არჩევას, თვით პრობლემის ხასიათთან ერთად, განაპირობებს ის, თუ რომელ თეორიულ სისტემაზეა ორიენტირებული პრაქტიკოსი ფსიქოლოგი (ფსიქონალიზი, ბიპევიორიზმი, კოგნიტივიზმი, ჰუმანისტური ფსიქოლოგია და ა.შ.).

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ პრაქტიკოსი ფსიქოლოგის საქმიანობის სამი ძირითადი სფეროა ფსიქოდაგნოსტიკა, ფსიქოპროფილაქტიკა და ფსიქოკორექცია. ამ კრილში ფსიქოთერაპია, როგორც მკურნალობა ადამიანზე ფსიქიკური გემოქმედების საშუალებით, ძალიან უახლოვდება ფსიქოკორექციას და, პრინციპში, მის სახეობად ან გარკვეულ ნაწილად შეიძლება ჩაითვალოს. ფსიქოთერაპიის ძირითად პრინციპებს და სახეობებს მკითხველი სპეციალურ თავში გაეცნობა (იხ. თავი XVI).

თავი II. კვლევის მეთოდები

§ 1. ფსიქოლოგიური კვლევის ზოგადი პრინციპები

როგორც წინა თავში დავრწმუნდით, ფსიქიკური ცხოვრება განსაკუთრებით რთული სინამდვილეა. მისი შესწავლისთვის ფსიქოლოგიას მრავალი განსხვავებული მეთოდის გამოყენება უხდება. თანამედროვე ფსიქოლოგია ემპირიული (ცდისეული) მეცნიერებაა. ამა თუ იმ მეთოდის შერჩევა საკვლევი ფენომენის ბუნებით და კონკრეტული ემპირიული კვლევის ამოცანებითაა განსაზღვრული. თუმცა ერთი რამ ყველა შემთხვევაში ცხადია – კვლევის მეთოდი მიმართულია მოვლენის მუსგ დახასიათებაზე, მისი სხვა მოვლენებთან მიმართებებისა თუ კავშირების გამოვლენაზე. არსებითად, კვლევის მეთოდებით მოიპოვება მეცნიერული მონაცემები, ფაქტები. თუ ორ და მეტ მონაცემს შორის მყარი, რეგულარული კავშირი დასტურდება, მაშინ ვამბობთ, რომ დადგენილია კანონზომიერება (კანონი).

ყველა მეცნიერება, მათ შორის ფსიქოლოგიაც, მიმართულია იმაზე, რომ მოიპოვოს რაც შეიძლება მეტი ფაქტობრივი მონაცემი და კანონზომიერება. მაგრამ ამ ემპირიული მასალის სიმრავლეს სისტემაში მოყვანა ესაჭიროება. “მეცნიერება, ამბობდა ანრი პუანკარე, ფაქტებისაგან აიგება, ვითარცა სახლი ქვებისაგან, მაგრამ ფაქტების კრებული ჯერ კიდევ არ არის მეცნიერება, ისევე როგორც ქვების გროვა არ არის სახლი”. ფაქტები და ემპირიული კანონები გარკვეული პრინციპების შესაბამისად უნდა დალაგდეს ცოდნის ერთიან სისტემაში, რომელიც საკვლევი მოვლენის შესახებ მთლიან სურათს შეგვიქმნის. ასეთ რაიმეს მეცნიერული თეორია ეწოდება. თეორია არის სინამდვილის ამა თუ იმ “ფრაგმენტის” შესახებ განზოგადებული ცოდნის სისტემა, რომელიც აღწერს, ახსნის და წინასწარმეგყველებს მოვლენებს. სინამდვილის ეს “ფრაგმენტები” შეიძლება სხვადასხვა სიდიდისა იყოს. შესაბამისად, არსებობს დიდი და მცირე თეორიები. ეს უკანასკნელი ეხება ცალკეულ მოვლენებსა თუ პროცესებს. მაგალითად, “მეხსიერების თეორია” ან კიდევ უფრო მცირე და კონკრეტული – “დავიწყების თეორია”. დიდი თეორიები მიმართულია მოვლენათა ფართო წრის აღწერა-ახსნაზე. ფსიქოლოგიაში

ასეთებია ე.წ. “ქცევის ზოგადფსიქოლოგიური თეორიები” ან “პიროვნების თეორიები”, რომლებიც ფსიქიკური ცხოვრების თითქმის ყველა ასპექტს მოიცავს. ფაქტებსა და თეორიას შორის მიმართება ორმხრივია. თეორია განსაზღვრავს ფაქტების აღწერის საშუალებებს (ენა, გერმინები, ფორმალიზაციის ხარისხი), ახდენს მათ კლასიფიკაციას და მოაქცევს მიმართებათა ერთიან სისტემაში. სხვაგვარად, თეორია ემპირიული მონაცემების განზოგადებასა და ორგანიზაციას ემსახურება. ამავე დროს, თეორია აუცილებლად უნდა აყალიბებდეს ვარაუდებს მოვლენათა შორის არსებული კავშირების შესახებ. ამ ვარაუდებს ჰიპოთეზები ეწოდება. თეორია, რომელსაც ჰიპოთეზების გამომუშავების უნარი არ გააჩნია, უვარგისია. ჰიპოთეზა უნდა შემოწმდეს გარკვეული ემპირიული მეთოდებისა თუ პროცედურების მეშვეობით. მიღებული მეცნიერული მონაცემები და ემპირიული კონონომიერებანი აისახება თეორიაში, ამლიდრებს მას, ხელს უწყობს მის დამუსტებას და, საჭიროებისამებრ – გადახალისებას. ამდენად, ჰიპოთეზის ემპირიული შემოწმება თეორიის დადასტურებასა და სრულყოფას ემსახურება. მეცნიერულ ღირებულებას თეორია დადასტურების შემდეგ იძენს. უნდა გვახსოვდეს: ყოველთვის არსებობს საფრთხე, რომ ვირწმუნოთ თეორიის მოხდენილი ფორმულირებები იმის შეუმოწმებლად, რამდენად მუსტად წინასწარმეტყველებს და აღწერს იგი ემპირიულ მოვლენებს. მაგალითად, ფსიქოლოგთა უმეტესობისთვის ნათელია, რომ ასტროლოგია მაღალორგანიზებული ფორმალური სისტემაა (თეორიაა), რომელსაც რეალურ ემპირიულ მოვლენებთან ძალზე ცოტა ან სულ არაფერი აქვს საერთო.

ჰიპოთეზები წარმართავენ მთელ კვლევა-ძიებას გარკვეული მიმართულებით, აჩენენ კვლევის ახალ სფეროებს და ამით მეცნიერების პროგრესს განსაზღვრავენ. გარდა ამისა, სწორედ წინასწარმეტყველური ვარაუდების წყალობით, ანუ თავისი პროგნოზტული ფუნქციით იძენს თეორია პრაქტიკულ ღირებულებას. ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი უდიდესი ფსიქოლოგი კურტ ლევინი ამბობდა, რომ “არაფერია იმაზე უფრო პრაქტიკული, ვიდრე კარგი თეორია”. მაგალითად, დაეწიების ადეკვატური მცირე თეორია შესაძლებლობას იძლევა, მასზე დაყრდნობით გამოითქვას რეკომენდაციები მეხსიერების გასაუმჯობესებლად, ხოლო ქცევი-

სა თუ პიროვნების დიდი თეორია საფუძვლად დაედოს უსიქოლი-
აგნოსტიკურ, უსიქოკორექციულ თუ სხვა სახის პრაქტიკას.

საზოგადოდ, მეცნიერული კვლევა პიპოთეზებით იწყება, გა-
იელის კვლევით სტადიას, რომლის შედეგები აისახება თეორია-
ში. ამ უკანასკნელის შესამოწმებლად გამოთქმული ვარაუდები
ისევ ემპირიულ კვლევასთან გვაბრუნებს და ასე გრძელდება
იქამდე სანამ არ შეიქმნება თეორიული სისტემა, რომელიც
ამომწურავად და მუსტად დაგვიხასიათებს საკვლევ სფეროს.
კარგი თეორია უნდა გვაგვობინებდეს, თუ რას წარმოადგენს
მოვლენა, რაგომ აღმოცენდება და როგორ ფუნქციონირებს იგი.

ემპირიული კვლევისა და თეორიის ურთიერთმიმართების
საილუსტრაციოდ განვიხილოთ კვლევის მიმართულება, რომე-
ლიც, ბიპევიორისტული პარადიგმის ფარგლებში, მრავალი წლის
განმავლობაში პრიორიტეტული იყო ამერიკის ბევრი კვლევითი
ცენტრისთვის. საქმე ეხება მოტივაციისა და დასწავლის მიმარ-
თების პრობლემას. ეთქვათ, დასაწყისში გამოვიკვლიეთ კავში-
რი კვების შეწყვეტასა (კვებითი დეპრივაცია) და დასწავლის
სისწრაფეს შორის. დასწავლის დონე განისაზღვრება მცდელობა-
თა რიცხვით, რომელიც დასჭირდება ცხოველს ლაბირინთიდან
გამოსასვლელად. მრავალი ექსპერიმენტის შედეგად გაირკვა,
რომ რაც უფრო დიდხანს გრძელდება კვებითი დეპრივაცია, მით
უფრო ჩქარა დაისწავლის ცხოველი ლაბირინთიდან გამოსასვ-
ლელ გზას. ეს გარკვეული კანონზომიერებაა, რომელიც უსაჭმე-
ლოდ ყოფნის დროსა და დასწავლის კავშირს ეხება. შემდეგ
მკვლევარები გადადიან წყლის დეპრივაციის შესწავლაზე და
აღმოაჩინენ, რომ რაც უფრო დიდხანს რჩება ცხოველი წყლის
გარეშე, მით უკეთ ართმევს თავს ლაბირინთის დასწავლის ამო-
ცანას. ეს უკვე მეორე კანონზომიერებაა. შემდეგ სქესობრივი
მოტივაციის ჯერი ღვება. ისევ დასტურდება კანონზომიერება,
რომ სექსუალური კავშირების უქონლობის ხანგრძლივობა უფ-
რო სწრაფ დასწავლას იწვევს.

აქ უკვე მწიფდება ამ მონაცემების განზოგადებისა და შემდ-
გომი კვლევის მსვლელობის განსაზღვრის ამოცანა, რაც თეორი-
ული მსჯელობის სფეროს მიეკუთვნება. შეიძლება გაჩნდეს ისე-
თი თეორიული მტკიცებები, რომლებიც უშუალო დაკვირვების
მონაცემებს სცილდება. მაგალითად, მკვლევარებმა მიიჩნიონ,

რომ მშვიერი ცხოველები სამოგალოდ უკეთ სწავლობენ, ვიდრე მაძღრები. აქ მეცნიერებს შემოაქვთ “შიმშილის” ცნება, რომელიც ღეპრივაციის ყველა მდგომარეობას ეხება. შიმშილი 3ქვია იმასაც, როცა ცხოველს 10, 20 ან 40 საათი არ მიუღია საკვები და იმასაც, როცა უკმელობა 4, 6 და 8 საათს გრძელდება, რაც მოცემულ ექსპერიმენტებში ხდებოდა. ამრიგად, შიმშილის არადაკვირვებადი მდგომარეობის დაშვებით მეკლევარები ცდილობენ გააერთიანონ და განაზოგადონ კონკრეტული დაკვირვებები. მეტიც, ერთგვარად იწინასწარმეკვეულონ კვლევის შემდგომი მიმართულება. იგივე ითქმის წყურვილისა და სქესობრივი მდგომარეობების შესახებ.

მეკლევარებს შეუძლიათ კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგან ამ მიმართულებით და შეეცადონ, სამი თეორიული მოსაზრება ერთ თეორიულ დებულებად აქციონ. მაგალითად, შესაძლებელია გამოითქვას ვარაუდი, რომ ღეპრივაცია აძლიერებს მოტივაციას და რომ, სამოგალოდ, ცხოველები მაღალი მოტივაციით უფრო სწრაფად სწავლობენ. ამ შემთხვევაშიც თეორია განაზოგადებს მონაცემებს და შემდგომი კვლევის მიმართულებას სახაავს. მართლაც, მტკიცება იმის შესახებ, რომ მაღალმოტივირებული ცხოველები დაბალმოტივირებულებზე სწრაფად სწავლობენ, შეიცავეს ვარაუდებს სხვა სასიოცხოლო მოტივების, მაგალითად სუნთქვის, გემპურატურის ან ტკივილის თაობაზე. მეკლევარი შეიძლება უფრო შორსაც წაიდეღს თავის თეორიულ განზოგადებებში და მოტივაციის უფრო ფართო ვაგების ფარგლებში, რომელიც არ იზღუდება ბიოლოგიური მოტივებით, დაუკავშიროს ერთმანეთს დასწავლა და ფსიქოგენური თუ სოციოგენური ბუნების მოთხოვნილებები (მაგალითად, მიღწევის, პრესტიჟის თუ თვითაქტუალიზაციისა და სხვა). რა თქმა უნდა, ამ ჰიპოთეზების შემოწმებაც ვახდება საჭირო. ასეთია ემპირიული მონაცემებისა და თეორიის ურთირთმიმართება: ისინი ყოველთვის ერთმანეთს გულისხმობენ.

§ 2. ღაკვირვება

ემპირიული მონაცემები სხვადასხვა მეთოდებით მოიპოვება. ეს არც შეიძლება სხვანაირად იყოს, თუ ვავითვალისწინებთ, რამდენად რთული და შესწავლისთვის ძნელად მიწვდენადია ფსიქოლოგიური მოვლენები. გემოთ აღწერილ კვლევაში ექსპე-

რიმენგული მეთოდი გამოიყენებოდა. ფსიქოლოგი ხელოვნურად იწვევდა შესასწავლ მოვლენებს (მოგვიყვანა და დასწავლა) და ადგენდა მათ შორის არსებული ურთიერთკავშირის ბუნებას. ისტორიულად ექსპერიმენტის სისტემატური გამოყენება ფსიქოლოგიაში შედარებით გვიან დაიწყო. როგორც პირველ თავში აღინიშნა, ფსიქოლოგიის დამოუკიდებელ მეცნიერებად ჩამოყალიბების საქმეში სწორედ ექსპერიმენტული კვლევის დამკვიდრებამ ითამაშა გადაწყვეტი რილი. მანამდე ფსიქოლოგიური ცოდნა მოიპოვებოდა ძირითადად საკუთარ სულიერ ცხოვრებაზე დაკვირვების (თვითდაკვირვების), გონებატვრეგითი მსჯელობებისა და სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვების შედეგად. ცხოვრებისეული ფაქტების ანალიზისა და განზოგადების შედეგად წარმოიქმნა პირველი მეცნიერული თეორიები. ისინი მიმართული იყვნენ ფსიქიკური ფენომენებისა და ადამიანთა ქცევის ახსნაზე. როგორც ყველა თეორია, ისინი შეიცავდნენ, აგრეთვე, აღწერით ნაწილსაც, სადაც ამ მოვლენების დახასიათება და კლასიფიკაცია ხდებოდა. ამისთვის საჭირო ინფორმაციას აღწერითი ანუ დაკვირვებითი მეთოდები იძლეოდა. ახსნით ანუ ექსპერიმენტულ მეთოდებთან ერთად ისინი დღესაც წარმატებით გამოიყენება ფსიქოლოგიურ კვლევაში. ამ ორ მეთოდოლოგიას შორის განსხვავება არსებითად შესასწავლი მოვლენისა და მკვლევარის ურთიერთმიმართებას შეეხება: ექსპერიმენტის შემთხვევაში მოვლენა ხელოვნურად გამოიწვევა. დაკვირვება მიმდინარებს ჩვეულებრივ გარემოში და არ გულისხმობს შესასწავლი პროცესების გამოწვევისთვის საჭირო პირობების შექმნას, თუმცა არ გამოორიხბავს დასახული ამოცანებისთვის უფრო მეტად ხელსაყრელი დროის, ადგილისა და სიგუაციის წინასწარ დაგეგმვას.

ფსიქოლოგიური დაკვირვების რამდენიმე ვარიანტი არსებობს. პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისაგან სხვათა დაკვირვება და თვითდაკვირვება (ინტროსპექცია). დიდი ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით ე.წ. "ემპირიული ფსიქოლოგიის" ბატონობის ხანაში (XVII-XIX ს.), თვითდაკვირვება მიიჩნეოდა სულიერი სამყაროს შესწავლის ერთადერთ ადეკვატურ მეთოდად, რამდენადაც ითვლებოდა, რომ განცდების უშუალო დანახვა (წედომა) მხოლოდ თვით განმცდელს შეუძლია. დღესაც, როცა ფსიქოლოგს სურს, შეისწავლოს მისთვის საინტერესო

მოვლენა ისე, როგორც იგი უშუალოდაა წარმოდგენილი მის ცნობიერებაში, იგი მიმართავს თვითდაკვირვებას. როდესაც მკვლევარი უშუალოდ აკვირდება საკუთარ გრძნობებს, წარმოდგენებს, აზრებს და სხვა განცდებს – ეს არის უშუალო თვითდაკვირვება. თუ ფსიქოლოგი სხვა ადამიანების ინგროსპექციის შედეგებს ანალიზებს, მაშინ საქმე გვაქვს გამშალებულ თვითდაკვირვებასთან. დღიურების, ავტობიოგრაფიების, მოგონებების, წერილების და ა.შ. შესწავლა ამ მეთოდის გამოყენების მაგალითებია. ინგროსპექციული მეთოდი უკიდურესად სუბიექტურია და აუცილებლად საჭიროებს სხვა მეთოდებით გადამოწმებას. ამ სუბიექტურობის გამო ე.წ. “ობიექტური ფსიქოლოგია” (ბიპევიორიზმი) ფსიქოლოგიური კვლევის არსენალიდან მის მოკეეტას მოითხოვდა. მაგრამ კვლევის პრაქტიკა აჩვენებს, რომ ინგროსპექციის მონაცემების გარეშე საქმის ვითარებაში გარკვევა უადრესად ძნელია, განსაკუთრებით მაშინ, როცა საკვლევ მოვლენას არ გააჩნია სანდო სხეულებრივი, ქცევითი, სამეცნიერო თუ სხვა გარეგამოვლინებანი.

ზოგჯერ პირიქით, მხოლოდ სხვათა დაკვირვების გამოყენებაა შესაძლებელი. მაგალითად, ცხოველის, პატარა ბავშვის ან ზოგიერთი მძიმე ფსიქიკური აშლილობის შემთხვევაში, როცა ინდივიდი პრინციპულად მოკლებულია საკუთარი ფსიქიკური ცხოვრების წვდომისა და დახასიათების უნარს. სამოგადოდ, გარეგანი დაკვირვება ფსიქოლოგიაში ფართოდ გამოიყენება. თვითდაკვირვების მსგავსად, სხვათა დაკვირვებასაც აქვს უშუალო და გამშალებული ფორმა.

გამშალებული დაკვირვების მეთოდოლოგიის ფარგლებში შემოქმედების, კლინიკურ, ბავშვის, ისტორიულ ფსიქოლოგიაში და სხვაგან, გამოიყენება მოქმედების პროდუქტების შესწავლის მეთოდი. ამ შემთხვევაში ხდება შემოქმედებისა თუ შრომის პროდუქტების ანალიზი, რათა გამოვლინდეს იმ ქცევის თავისებურებანი, რომლის შედეგადაც ისინი წარმოადგენენ ასე შეიძლება შევიქმნათ წარმოდგენა ინდივიდის ინტერესებზე, უნარ-შესაძლებლობებზე, ფსიქოფიზიკური პროცესების განვითარებისა თუ დაზიანების დონეზე და ა.შ. მაგალითად, ძალზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის მოპოვება შეიძლება ბავშვებისა თუ სულით ავადმყოფთა შესახებ მათი ნაწერებისა ან ნახატების შესწავლის გზით.

უმუშალო დაკვირვების დროს მკვლევარი პირადად და პირდაპირ ახლენს დაკვირვებას. ეს დაკვირვება შეიძლება მიმდინარეობდეს წინასწარგნსაზღვრული ჩარჩოებისა და პროგრამის გარეშე. მაშინ თავისუფალ დაკვირვებასთან ვეაქვს საქმე. სტანდარტიზირებული დაკვირვების შემთხვევაში, პირიქით, მკაცრად არის განსაზღვრული რას და როგორ უნდა დაეკვირდეთ. თავისუფალი დაკვირვება მიზანშეწონილია მაშინ, როდესაც შეუძლებელია, ბუსტად განისაზღვროს, რას უნდა დაეკვირდეთ, როდესაც მკვლევარი წინასწარ ვერ ახერხებს განსაზღვროს, რა ნიშნებს გამოავლენს შესასწაველი პროცესი და როგორ წარიმართება იგი. სტანდარტული დაკვირვება უმჯობესია გამოვიყენოთ მაშინ, როცა მკვლევარი საკმარისად ბუსტად არჩევს შესასწაველი მოვლენის ნიშნებს.

სხვათა დაკვირვების ორივე ეს სახეობა, თავის მხრივ, შეიძლება იყოს ჩართული და გარეგანი. ჩართული დაკვირვება უფრო ხშირად გამოიყენება ასაკობრივ, პედაგოგიურ და სოციალურ ფსიქოლოგიაში. ამ დროს მკვლევარი თვითონ ხდება იმ პროცესის მონაწილე, რომელსაც შეისწავლის. მაგალითად, ადამიანების ურთიერთობის კვლევისას, ფსიქოლოგს შეუძლია თავად ჩაერთოს დასაკვირვებელ ადამიანებთან კომუნიკაციაში, ისე, რომ არ შეწყვიტოს დაკვირვება იმ ურთიერთობაზე, რომელიც მათ შორის ყალიბდება. გარეგანი დაკვირვება არ გულისხმობს დამკვირვებლის პირად მონაწილეობას შესასწაველ პროცესში. ჩართული დაკვირვება სასარგებლოა, როდესაც ფსიქოლოგი ვერ ახერხებს მოვლენის სწორ შეფასებას, თუ ის თავის თავზე არ გამოსცადა. მაგრამ, თუკი მკვლევარის პირადი მონაწილეობის გამო მოვლენების მისეული აღქმა და გაგება შეიძლება დამახინჯდეს, უმჯობესია მივმართოთ გარეგან დაკვირვებას, რომელიც დასაკვირვებელის უფრო ობიექტური დახასიათების საშუალებას იძლევა.

სამოგალოდ კი დამკვირვებლის სუბიექტურობა ყოველგვარი დაკვირვების თანმდევი პრობლემაა. დამკვირვებელი თავისდაუნებურად ინტერპრეტაციას უკეთებს ინფორმაციას თავისი განწყობებისა თუ პიროვნული თვისებების შესაბამისად და მზადაა აღიქვას უფრო ის, რასაც ელოდება, ვიდრე ის რაც, სინამდვილეშია. ასეთი რამ გამოცდილ ფსიქოლოგებსაც ემართება. ამიგომ

ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, საშურია გამოიყენოთ აუდიო და ვიდეო ჩამწერი ხელსაწყოები. თუმცა, ამ ჩანაწერების ინტერპრეტაციისას, აგრეთვე, შეიძლება თავი იჩინოს დამკვირვებლის გენდენციურობამ. ასეთ შემთხვევაში მიმართავენ ექსპერტებს – “გაღამუშალება” მათი შეფასებები, გამოითვლება ურთიერთშეთანხმებულობის კოეფიციენტი და განიხილება მხოლოდ იმ დაკვირვებათა შედეგები, რომელთა მიმართ ექსპერტების შეთანხმების საკმარისი ღონეა მიღწეული.

არანაკლებ სირთულეს უქმნის ფსიქოლოგიურ დაკვირვებას ის გარემოება, რომ დამკვირვებლის დასწრებას თავისთავად შემოაქვს დაკვირვების სიგუაციაში ახალი ცვლადი და, ასე თუ ისე, აისახება იმის ქცევაზე, ვისაც ვაკვირდებით. დასწრების ეფექტი შეიძლება შევამციროთ იმით, რომ საშუალება მივცეთ ინდივიდს ან ჯგუფს შეეჩვიოს დამკვირვებელთან ყოფნას ერთ სიგუაციაში, მაგალითად საკლასო ოთახში, და ბუნებრივად მოიქცეს. საუკეთესო გამოსავალი ამ სირთულის დაძლევისა კი ისაა, რომ დასაკვირვებელმა არც იცოდეს, რომ მასზე დაკვირვება მიმდინარეობს. ამისთვის გამოიყენება სხვადასხვა საშუალება, რომელთა შორის გავრცელებულია ე.წ. “ცალმხრივი ჭერეგის” შუშით გადაგხრული ოთახები. ასეთ დაკვირვებას დაფარულს უწოდებენ, განსხვავებით ღია დაკვირვებისაგან, რომლის დროს დამკვირვებელი არ მალავს დაკვირვების ფაქტს.

საუბარი და ანეკდირება

საუბარი (კლინიკური მეთოდი) წარმოადგენს უშუალო და ღია დაკვირვებას მკვლევარ სუბიექტსა და საკვლევ პირს შორის კომუნიკაციის პროცესში. ფსიქოლოგი ადამიანთან დიალოგის მსვლელობაში ცდილობს, მიიღოს მაქსიმალურად სრული ინფორმაცია ინდივიდუალურ-პიროვნულ თავისებურებათა, სასიცოცხლო ვზის, აზროვნების წესის, ცნობიერების თუ არააღიარებულ შინაარსებისა და სხვათა შესახებ. ე.წ. კლინიკური საუბრის მეთოდი ფართოდ გამოიყენება ფსიქიატრიასა და პათოფსიქოლოგიაში. ფსიქოანალიზში მონაცემები დიდწილად ამ მეთოდითაა მოპოვებული. კლინიკური საუბარი არ გულისხმობს მის ჩაგარებას აუცილებლად პაციენტთან კლინიკაში. ამ მეთოდის თა-

ვისებური ვარიანტით უაღრესად მნიშვნელოვანი მონაცემები მოიპოვა გამოჩენილმა ფსიქოლოგმა ეან პიაეიმ ბაეშეების გონებრივი განვითარების კანონზომიერებათა შესახებ. სამოგადოდ, სხვადასხვა ფსიქოლოგიურ მიმართულებათა წარმომადგენლები საუბრის წარმართვის განსხვავებულ სგრაგევიებს მიმართავენ. ზოგჯერ საუბარი მკაცრად მიჰყვება წანასწარ შემუშავებულ გეგმას, ზოგჯერ კი უფრო იმპროვიზებულია.

უკვე აღინიშნა, რომ სხვათა დაკვირვება შეიძლება იყოს უშუალო ან გაშუალებული. ეს უკანასკნელი გულისხმობს სხვადასხვა სახის ანკეგების, კითხვარების გამოყენებას. ანკეგა არსებითად დაუსწრებელი გამოკითხვაა. მისი მეშეებით შესაძლებელია მიღებულ იქნას ინფორმაცია ადამიანთა დიდ რაოდენობაზე (გენერალურ ერთობლიობაზე) მათი გარკვეული ნაწილის (ამონაკრების), გამოკითხვის გზით. ანკეგური, ექსპერიმენტული თუ სხვა სახის გამოკვლევაში, როდესაც ამონაკრების მონაცემებს მთელ პოპულაციაზე ავრცელებენ, ღვება პრობლემა – გამოკვლეული შედარებით მცირე ჯგუფი რამდენად შეიძლება ჩაითვალოს ადამიანთა დიდი ერთობლიობის წარმომადგენლად, იმეორებს თუ არა იგი პოპულაციის ზოგად მახასიათებლებს (მაგ, ასაკი, სქესი და სხვა), ანუ არის თუ არა – რეპრეზენტატული. რეპრეზენტატულობის მისაღწევად სხვადასხვა პროცედურებს მიმართავენ, რომელთაგან გავრცელებულია საკვლევი ჯგუფის დაკომპლექტება შემთხვევითი არჩევანის წესით.

ამონაკრების არარეპრეზენტატულობასთან დაკავშირებული შეცდომის კლასიკურ ნიმუშად ითვლება შემთხვევა, რომელიც აშშ-ში მოხდა 1936 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს. ჟურნალმა “ლიგერერი დაიჯესტ”, რომელიც მანამდე წარმატებით ახორციელებდა წინასაარჩევნო გამოკითხვებს, დაუგზავნა ათი მილიონი წინასწარი ბიულეტენი თავის ხელმომწერებს, აგრეთვე საგლეფონო წიგნებიდან და ავგომობილების სარეგისტრაციო სიებიდან შემთხვევით არჩეულ პირებს. უკან მიბრუნებულ 2,5 მილიონ ბიულეტენში 40%-მა მისცა ხმა მოქმედ დემოკრაგ პრეზიდენტ რუზველტს და 57%-მა რესპუბლიკელ კანდიდატს. მაგრამ არჩევნებში 60%-ზე მეტი ხმით დამაჯერებლად გაიმარჯვა რუზველტმა. ასეთი დიდი შეცდომის მიზეზი მალე გაირკვა. ჟურნალში იყოღნენ, რომ მათი მკითხველების უმრავლესო

ბა რესპუბლიკელებს უჭერს მხარს. ამიგომ გადაწყვიტეს, გაეფართოებინათ ამონაკრები გელეფონებისა და მანქანების მფლობელთა სიებიდან. მაგრამ მაშინ გელეფონებისა და მანქანების მესაკუთრეები ძირითადად შეძლებული ფენების წარმომადგენლები იყვნენ. მათ შორის კი გრადიციულად რესპუბლიკელები ჭარბობენ. ამდენად, გამოკვლევის ავტორებმა, სინამდვილეში, კიდევ უფრო გააძლიერეს რესპუბლიკელთა წარმომადგენლობა ამონაკრებში, რომელიც ამით ერთობ არარეპრეზენტატიული გახდა.

ანკეგების შედეგებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება კითხვების შინაარსის მკაფიო ფორმულირებას. კითხვები ისე უნდა იყოს დასმული, რომ მათ ერთმნიშვნელოვნად და ერთნაირად იგებდეს ყველა გამოკითხული. ეს არსებითია, რადგან ანკეგირების დროს გამოკვლევაში მონაწილე ინდივიდებთან უშუალო კონტაქტი არ არსებობს.

ანკეგები იყოფა ორ ჯგუფად: დახურული და ღია ანკეგები. ღია ანკეგებში ინდივიდებმა თვითონ უნდა მოხდინონ დასმულ კითხვებზე პასუხის ფორმულირება. დახურულში მათ უნდა აირჩიონ შეთავაზებული პასუხებიდან ერთ-ერთი. ღია ანკეგების უპირატესობა ისაა, რომ ისინი უფრო მდიდარი და სრული ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. მათი ნაკლოვანება პასუხების სხვადასხვაობის გამო დამუშავების სირთულეა. გარდა ამისა, სხვადასხვა რესპონდენტი განსხვავებული მოცულობითა და მიმართულებით აყალიბებს პასუხებს, ზოგ რამეს არ წერენ იმიტომ, რომ თავისთავად ცხადად გულისხმობენ – ეს კი ასე არაა ხოლმე. ამიგომ ღია ანკეგებით მიღებული მონაცემები ნაკლებად ზუსტია და ნაკლებად სანდო. დახურული ანკეგების დამუშავება ადვილია, პასუხებიც ზუსტია, მაგრამ მათი საშუალებით მიღებული მონაცემები შემზღვეულია წინასწარ ფორმულირებული პასუხებით. ამიგომ ოპტიმალურია კომბინირებული კითხვარი: ღია შეკითხვები ცოცხალი; უმრავლესობა დახურული შეკითხვებია, მაგრამ თვითვე უს, ასარჩევი პასუხების გარდა, ახლავს ცარიელი ადგილი – დამატებითი თავისუფალი კომენტარებისთვის

ანკეგური გამოკითხვა მოიცავს ადამიანთა ფართო წრეს და გვაძლევს ცნობებს მათი ცოდნის, ინტერესების, ღირებულებების, განწყობების და ა.შ. შესახებ.

ტესტები

ტესტირება გულისხმობს, რომ ადამიანი, რომელსაც ვამოწმებთ, სპეციალისტის დაეალებით ასრულებს გარკვეულ მოქმედებას (გამოყენებული მეთოდის შესაბამისად ეს შეიძლება იყოს ამოცანის ამოხსნა, დახატვა, კითხვებზე პასუხი, სურათის მიხედვით მოყოლა და სხვა), ანუ იგი გაიფლის გარკვეულ გამოცდას (ინგლისურად სიტყვა “test” ნიშნავს შემოწმებას, გასინჯვას), რის საფუძველზეც ფსიქოლოგი აკეთებს დასკვნას ამა თუ იმ თვისების არსებობის, თავისებურებისა თუ განვითარების დონის შესახებ. ტესტირება შემოწმებისა და გამოცდის, ე.ი. ფსიქიკური მოვლენების დიაგნოსტიკების საშუალებაა. ტესტი კითხვების, ამოცანებისა და სხვადასხვა საინტერპრეტაციო მასალის სტანდარტული ნაკრებია, რომლითაც მუშაობს ცდისპირი. სტანდარტიზებულია, ანუ შემოწმებული და მკაცრად გაწერილია დაეალებების მიწოდების პროცედურაც. თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში ფსიქოლოგს ეძლევა მოქმედების გარკვეული თავისუფლება – მაგალითად, შეიძლება დასვას დამატებითი კითხვა ან აავსოს საუბარი მასალის გარშემო. სტანდარტიზებულია აგრეთვე შედეგების შეფასების პროცედურაც. ეს იმას ნიშნავს, რომ განსაზღვრულია გასაზომი უნარ-თვისების განვითარების ნორმები ანუ საშუალო მაჩვენებლები და მათი გამოთვლის ხერხები. ასეთი სტანდარტიზაცია გულისხმობს ტესტირების ჩატარებისა და შეფასების პროცედურების ერთგვაროვნებას, რის გარეშე შეუძლებელია ერთმანეთს შედარდეს სხვადასხვა ცდისპირის მონაცემები. ტესტირების პირობები ყველასთვის ერთნაირი უნდა იყოს.

ტესტის აეკარგიანობა რამდენიმე კრიტერიუმით განისაზღვრება. აქედან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სანდლობა და ვალიდობა. ტესტის სანდლობა – ესაა ფსიქოლიაგნოსტიკური მეთოდის უნარი, მოგვეცე ერთნაირი მონაცემები განმეორებითი გამოყენებისას იდენტურ პირობებში. თუ ადამიანის ინტელექტის კოეფიციენტი ორშაბათს გამოვიდა 120, ხოლო პარასკევს – 80, ასეთი მაჩვენებლის სანდლობა ფრიად საეჭვოა. ტესტის ვალიდობა, არსებითად, მის ხარისხს გვიჩვენებს. ესაა ტესტის უნარი, გამომოს სწორედ ის მახასიათებელი, რომლის გასაზომადაც არის გამიზნული. ვთქვათ, თუ ტესტი ინტელექტის გასაზომადაა შექმნილი, მაშინ ის მართლაც ინტელექტს უნდა ზომავდეს და

არა სხვა რაიმეს (მაგ., ცოდნას ან განწყობა-დამოკიდებულებებს). ვალიდობის სხვადასხვა მაჩვენებლები არსებობს. ვალიდობაზე მეტყველებს ტესტით მიღებული მაჩვენებლების შესატყვისობა სხვა ხერხებით მიღებულ მონაცემებთან. ეს შეიძლება იყოს იმავე თვისების გამზომი სხვა ტესტები (მაგ., ინტელექტის), ან სხვადასხვა სიტუაციებში ადამიანის რეალურ ქცევაზე დაკვირვების შედეგები და სხვა. ტესტის ვალიდობის ერთ-ერთი მაჩვენებელია მისი უნარი იწინასწარმეტყველოს ადამიანის რეალური ქცევა ან მოგვეს დამაჯერებელი პროგნოზი ამა თუ იმ თვისების განვითარების შესახებ მომავალში.

ტესტები ძალზე მრავალფეროვანია. ისინი რამდენიმე ნიშნით შეიძლება განვასხვაოთ ერთმანეთისაგან, მაგალითად იმით, თუ რა სახის მასალა გამოიყენება მათში — ვერბალური ან არავერბალური (გრაფიკული). მაგრამ მთავარი ისაა, თუ რა თვისების გამოვლენა თუ გამოძევა ხდება მათი საშუალებით. ამ თვალსაზრისით ტესტების სამი ჯგუფი გამოიყოფა: 1. ცოდნა-ჩვევების ოდენობის გამზომი; 2. ფსიქიკური ფუნქციებისა და უნარების განვითარების დონის გამზომი (მაგ., ინტელექტის, მესხიერების, ყურადღების და ა.შ. ტესტები); 3. პიროვნების ამა თუ იმ ნიშან-თვისების არსებობისა და გამოხატულების ხარისხის შემფასებელი (ე.წ. პიროვნული ტესტები)¹.

დღეს ტესტები და ტესტირება გასცდა ფსიქოლოგიურ ლაბორატორიას და კულტურის, ცივილიზებული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. მათი მეშვეობით ხდება ადამიანთა გადარჩევა სხვადასხვა მიზნით, გამოცდების ნაცულად ცოდნის გამოსაყენებლად, გადახრების დიაგნოსტიკისა თუ მკურნალობის ეფექტურობის გასარკვევად, პროფესიული ვარგისიანობის გასარკვევად და ა.შ.

§ 3. კორელაციური კვლევა

დაკვირვების, ანკეტირების, ტესტირების თუ სხვა მონაცემები შეიძლება შევადაროთ ერთმანეთს და აღმოვაჩინოთ, რომ მათ შორის ვარკვეული კავშირი არსებობს. მაგალითად, კავში-

¹ ინტელექტისა და პიროვნულ ტესტებზე საგანგებოდ იქნება საუბარი შესაბამისად XII და VIII თავებში.

რი იარსებებს აგრესიულობის მაჩვენებელსა და გელევიზორში ნანახი ძალადობის სცენების რაოდენობას შორის; დეპრესიისა და თვითშეფასების მაჩვენებლებს შორის; სტრესისა და ინტელექტუალური ამოცანის გადაჭრის მაჩვენებელს შორის; შიშოფრენიის სიხშირისა და მაგერიალური უზრუნველყოფის მაჩვენებელს შორის და ა.შ. ყოველთვის, როდესაც ვამჩნევთ, რომ ადამიანის რაიმე ნიშან-თვისება ან ქცევის თავისებურება თანხედრაშია რომელიმე სხვა ნიშან-თვისებასთან ან ქცევასთან, ვამბობთ, რომ ისინი გარკვეულ კავშირში ან, სხვანაირად, კორელაციაში იმყოფება ერთმანეთთან. ცვლადებს შორის არსებული ურთიერთკავშირების გარკვევაზე მიმართულ კვლევას კორელაციური კვლევა ეწოდება.

ასეთი კვლევა იწყება გარკვეული ცვლადების მნიშვნელობის გაზომვით. მაგალითად, ჩვენ შეგვიძლია საკმრისად მუსკად გავზომოთ აგრესიულობის მაჩვენებელი და ნანახ გელევადაცემებში ძალადობის შემცველი სიუჟეტების რაოდენობა; ან სტრესის მაჩვენებელი და სააბროვნო ამოცანების სწორად ამოხსნის პოტენციალი. ამის შემდეგ, გარკვეული სტატისტიკური მანიპულაციების მეშვეობით, გამოითვლება სტატისტიკური ინდექსი, რომელსაც კორელაციის კოეფიციენტი ეწოდება. კორელაციის კოეფიციენტი (r) იცვლება $+1$ -დან -1 -მდე. ეს ნიშნავს, რომ არსებობს დადებითი და უარყოფითი კორელაცია. დადებითი კორელაციის შემთხვევაში ერთი ცვლადის ზრდასთან (კლებასთან) ერთად იზრდება (იკლებს) მეორე ცვლადის მაჩვენებელიც. ხოლო უარყოფითი კორელაცია გვიჩვენებს, რომ, პირიქით, ერთი ცვლადის ზრდა მეორეს შემცირებას უკავშირდება. ნულთან ახლო მნიშვნელობა ნიშნავს, რომ კორელაცია ანუ კავშირი არ არსებობს. რაც უფრო მეტია კორელაციის მაჩვენებელი ნულიდან ერთამდე, მით უფრო მჭიდროა კავშირი გაზომილ ცვლადებს შორის. ვთქვათ, მაგალითად, რომ სტუდენტების მიერ მეცადინეობებზე დასწრების რაოდენობასა და სემესტრის ბოლოს მიღებულ ნიშნებს შორის დადებითი კორელაციაა $r = +0,40$ (რაც მეტია დასწრება, მით მეტია ნიშანი). მეორე მხრივ, პირიქით, კორელაცია ნიშნებსა და ლექციების გაცდენას შორის იქნება უარყოფითი $-0,40$. კავშირის სიმკაცე იგივეა, მაგრამ დადებითობა-

უარყოფითობის ნიშანი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა მონაცემს ვითვლით – დასწრებას თუ გაცდენებს.

ზემოთ დასასვლელულ მაგალითებში უარყოფითი კორელაციაა, თვითშეფასებასა და ღებრესიას შორის (აღამიანები დაბალი თვითშეფასებით ღებრესიისადმი უფრო მიღრეკილნი არიან); აგრეთვე შიზოფრენიის რისკსა და აღამიანის სოციალურ-ეკონომიკურ სტატუსს შორის; სტრესის სიძლიერესა და ინტელექტუალურ პროდუქტულობას შორის. მოვიყვანოთ რამდენიმე მაგალითი კვლევებით გამოვლენილი დადებითი კორელაციებიდანაც: კორელაცია ინტელექტის ტესტირების შედეგებს შორის 7 წლის ასაკში და განმეორებითი ტესტირებისა 18 წლის ასაკში ძალიან მაღალია – $+0,70$; ერთკვერცხურედოვანი გყუპების მაჩვენებლები ექსტრავერსია-ინტროვერსიის ტესტებში კორელირებს $+0,60$ -ის ფარგლებში; სწავლის უნარის მაჩვენებლები სკოლასა და კოლეჯში კორელირებს $+0,40$ ოდენობით; აგრესიული სოციალური ქცევის კორელაცია ტელევიზორით ნანახ ძალადობის სცენებთან დაახლოებით $+0,30$ უდრის;

ფსიქოლოგიურ კვლევებში კორელაციის კოეფიციენტი $0,60$ და მეტი, ითვლება საკმარისად მაღალ მაჩვენებლად. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია საკმაოდ დიდი ალბათობით ვიწინასწარმეტყველოთ, მაგალითად, რომ ადრეულ ასაკში გამოვლენილი ინტელექტის დონე შენარჩუნებული იქნება მოგვიანებითაც; აგრეთვე ის, რომ თუ ერთი იდენტური გყუპი გამოკვეთილი ექსტრავერტია, მისი წყვილიც ასეთივე იქნება. კორელაციას $0,20-0,60$ დიაპაზონში აქვს ერთგვარი პრაქტიკული და თეორიული მნიშვნელობა რეკომენდაციებისა და პროგნოზების გამოთქმის თვალსაზრისით. ამიტომ შეგვიძლია დარწმუნებით ვურჩიოთ მშობლებს მორიდონ ბავშვები აგრესიის შემცველ გადაცემებს ტელევიზორში. კორელაციას $0-0,20$ ფარგლებში უნდა მოვეპყრათ ერთობ ფრთხილად, მისი პროგნოსტული მნიშვნელობა მინიმალურია, რადგან მოსალოდნელია, რომ კავშირი შემთხვევითია და არა კანონზომიერი.

ამრიგად, საკმარისად მაღალი კორელაცია პროგნოზის გაკეთების საშუალებას გვაძლევს: ძალადობის სცენები აგრესიულობასთან კორელირებს და ამდენად მის პროგნოზირებას ახდენს. მაგრამ დაისმის კანონიერი კითხვა – არის კი ამ სცენების

ყურება აგრესიის მიზეზში? ან კიდევ, იწვევს თუ არა დაბალი თვითშეფასება დეპრესიას? თუ კორელაციის მონაცემების საფუძველზე პირდაპირ დავასკვნით მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულების არსებობას, შეიძლება სერიოზული შეცდომა დაეუსვას. კორელაციური კავშირი შეიძლება ასახავდეს მიზეზობრიობას, მაგრამ, როგორც მალალიც არ უნდა იყოს კორელაცია, ის შეიძლება არც იყოს იმის გამოხატულება, რომ ერთმა ცვლადმა მეორე გამოიწვია. ძალადობა გელეექრანზე დადებით კორელაციაშია აგრესიულობასთან სოციალურ ცხოვრებაში, ოღონდ ნიშნავს კი ეს იმას, რომ ძალადობის სცენების ყურება უშუალოდ განაპირობებს აგრესიულ ქცევას? ხშირად ასეთი რამ მოსალოდნელია. თუმცა, შეიძლება, ისეც იყოს, რომ აგრესიულობისკენ მიდრეკილი ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ ძალადობის შემცველი პროგრამების ყურებას. ან კიდევ, რა უნდა ვთქვათ თვითშეფასებასა და დეპრესიას შორის არსებულ უარყოფით კორელაციაზე? შესაძლებელია, დაბალი თვითშეფასება ხშირად მართლაც იწვევდეს დეპრესიას. თუმცა ჩვენ გვექნება ბუსგად იგივე კორელაცია, თუკი პირიქითაა და სწორედ დეპრესია აიძულებს ადამიანებს, დაბალი შეფასება მისცენ საკუთარ თავს. უფრო მეტიც, შესაძლოა რაიმე სულ სხვა, ე.წ. მესამე ფაქტორი, მაგალითად მემკვიდრეობა ან გვინის ქიმიური შემადგენლობა იწვევს, როგორც დაბალ თვითშეფასებას, ისე – დეპრესიას.

ვთქვათ, X და Y ცვლადებს შორის გამოვლინდა ძალიან მაღალი კორელაცია +0.80. რას ნიშნავს ეს? 1. არც X-ის მაგება იწვევს Y-ის მაგებას 100%-ით და არც Y-ის მაგება იწვევს X-ის მაგებას 100%-ით (რადგან მაშინ კორელაცია +1 უნდა ყოფილიყო); 2. დიდი ალბათობით საკმაოდ ხშირად სდება, რომ ერთ-ერთის მაგება მართლაც იწვევს მეორის მაგებას $X \rightarrow Y$ ან $Y \rightarrow X$; 3. შესაძლოა, არსებობს რაღაც სხვა ცვლადი Z, რომლის მაგება ძალიან დიდი ალბათობით იწვევს ორივეს მაგებას $Z \rightarrow X$ და თან $Z \rightarrow Y$; ამიგომ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ვერ ვიწინასწარმეგყველებთ და არც დადასტურდება, რომ ერთ-ერთი ცვლადის მაგება მეორეს გამოიწვევს. მაგრამ 100 ინდივიდისაგან შემდგარ ჯგუფში (პოპულაციაში) დიდი უმრავლესობის შემთხვევაში მართლაც ასე მოხდება. თანაც ეს მით უფრო მოსა-

ლოდნელია, რაც უფრო მრავალრიცხოვანი იქნება პოპულაცია. მამასადაძე, კორელაციური დასკვნა გაცილებით უფრო სანდოა დიდი პოპულაციებისთვის, ვიდრე ცალკეული ინდივიდებისთვის; ანუ გაცილებით უფრო სანდოა სოციალური პროცესებისთვის, ვიდრე ინდივიდუალური მოვლენებისთვის.

გამოვლენილი კავშირების ბუნების ინტერპრეტაცია კორელაციური კვლევის სერიოზული სირთულეა. მოგიერთ შემთხვევაში მისი გადალახვა დამატებითი მონაცემების შეგროვების ხარჯზე ხერხდება. მაგალითად, მოგჯერ შეგვიძლია გავარკვიოთ, რომელი ფაქტორი გაჩნდა უფრო ადრე: ადამიანი ჯერ დააეაღდა ღებრესიით და მერე დაუქვეითდა თვითშეფასება, თუ ჯერ ძლიერ დაეწია თვითშეფასება და მერე განუვითარდა ღებრესია. აქ ამოვდიართ იმ უბრალო ჭეშმარიტებიდან, რომ მიზეზი ყოველთვის წინ უსწრებს შედეგს; ვერაფერი იქნება იმის შედეგი, რაც ჯერ არ დამდგარა. მაგრამ, საზოგადოდ, უნდა გვახსოვდეს, რომ თავისთავად კორელაცია არ ამტკიცებს მიზეზობრივი (კაუზალური) კავშირის არსებობას. ამის დასადაგენად სპეციალური სამუშაოა ჩასატარებელი, კერძოდ ექსპერიმენტული კვლევა.

§ 4. ექსპერიმენტული კვლევა.

ექსპერიმენტი მეცნიერული და, კერძოდ, ფსიქოლოგიური კვლევის ძირითადი მეთოდია. დაკვირვებისაგან განსხვავებით ექსპერიმენტი გულისხმობს მკვლევარის აქტიურ ჩარევას სიტუაციაში; ექსპერიმენტატორი თვითონ იწვევს შესასწავლ მოვლენას და საჭიროებისამებრ აქტიურად ზემოქმედებს მასზე. აქედან გამომდინარე, ჩნდება ცდის პირობებისა და შედეგების მრავალგზისი გამეორების შესაძლებლობა. ეს, თავის მხრივ, საშუალებას გვაძლევს დავავროოთ მონაცემები და დავასკვნათ, შესასწავლი მოვლენები კანონზომიერია თუ შემთხვევითი. გამოვლენილი კანონზომიერება წინასწარ არის ნავარაუდები ჰიპოთეზაში, რომელიც ყველა ექსპერიმენტულ გამოკვლევას უღევს საფუძვლად. კარგად მოუქრებული და განხორციელებული ექსპერიმენტი საშუალებას გვაძლევს, შევამოწმოთ ჰიპოთეზები მიზეზშედეგობრივ მიმართებათა შესახებ და არ შემოვიფარგლოთ ცვლადებს შორის კავშირის (კორელაციის) უბრალო კონსტატაციით.

ექსპერიმენტული გამოკვლევის არსი ისაა, რომ ექსპერიმენტგატორის მიერ ხდება შესასწავლი მოვლენებისა და ცვლადების გეგმაზომიერი მანიპულირება და გაკონტროლება. ამავე დროს, ექსპერიმენტულ სიტუაციაში ჩართული ყველა დანარჩენი ფაქტორი უცვლელი უნდა რჩებოდეს. ექსპერიმენტში ოპერირება ხდება ორგვარი ფაქტორით: დამოუკიდებელით და დამოკიდებულით. დამოუკიდებელი ცვლადი არის ფაქტორი ან ფაქტორები, რომელიც ზემოქმედებს სხვა ფაქტორზე და რომლის ვარიირებასა და კონტროლს ახდენს ექსპერიმენტგატორი. დამოკიდებული ცვლადი არის მოვლენა, რომელიც იცვლება დამოუკიდებელი ცვლადის ზემოქმედების შედეგად. დამოკიდებული ცვლადი ფსიქოლოგიაში ყოველთვის არის ორგანიზმული, მენტალური ან ქცევითი რეაქცია დამოუკიდებელ ცვლადზე, რომლის როლში შეიძლება გამოდიოდეს ფიზიკური, სოციალური ან ფსიქიკური სამყაროს სხვადასხვა მოვლენა. ცხადია, ექსპერიმენტში უნდა იზომებოდეს ორივე სახის ცვლადი და გათვალისწინებული იყოს მათ აღრიცხვასთან დაკავშირებული თავისებურებები. ექსპერიმენტში რეალურად მონაწილეობს აგრეთვე ფაქტორები, რომელთა იზოლაცია ან ნიველირებაა საჭირო, რათა ისინი დამატებით გავლენას არ ახდენდნენ ცდის მიმდინარეობაზე. თუ, მაგალითად, გელევიზიით ნაჩვენები ძალადობის სცენები საგანგებო მუსიკალური გაფორმების თანხლებით მიმდინარეობს, უფრო ხმამაღალია და ექსპრესიული, ვიდრე სხვა გიჟის სცენები, მაშინ “ძალადობას” სცენების ეს ასპექტებიც დაემატება და ჩვენ გავიჭირდება გავარკვიოთ, რომელი ფაქტორი განაპირობებს აგრესიულ ქცევას – სცენები თუ მუსიკა. ექსპერიმენტგატორი ვალდებულია, გააკონტროლოს ეს ფაქტორები, ამიგომ მათ კონტროლირებული ან დამატებითი ცვლადები ეწოდება.

ფსიქოლოგიურ ექსპერიმენტში მონაწილე ინდივიდს ცდისპირი ეწოდება. ცდისპირთა რაოდენობა განსხვავებულია ექსპერიმენტის თავისებურებიდან გამომდინარე და წინასწარ განისაზღვრება სპეციალური სტატისტიკური პროცედურების მეშვეობით. ექსპერიმენტულ გამოკვლევათა უმრავლესობაში ცდისპირებს სულ ცოტა ორ ჯგუფად ყოფენ: ექსპერიმენტული ჯგუფი, რომელიც დამოუკიდებელი ცვლადით სპეციალურ მანიპულირებას განიცდის და საკონტროლო ჯგუფი, რომელშიც ეს არ ხდება, მაგ-

რამ სხვა ყველაფერი ისევეა, როგორც ექსპერიმენტულ ჯგუფში. ამ ჯგუფების მონაცემების შედარება იმის შესამოწმებლად ხდება, რომ გაირკვეს, იქონია თუ არა ექსპერიმენტულმა ზემოქმედებამ რაიმე გავლენა შერჩეულ დამოკიდებულ ცვლადზე.

აღწევროთ რამდენიმე მაგალითი მეხსიერების ექსპერიმენტული კვლევიდან, რომელიც წარმატებით მიმდინარეობს ფსიქოლოგიაში. ვთქვათ, მკვლევარს სურს გაარკვიოს, დამოკიდებულია თუ არა გახსენების უნარი იმაზე, რამდენი ხანი ეძინა ადამიანს. მკვლევარს შეუძლია გააკონტროლოს ძილის დრო და შექმნას რამდენიმე ექსპერიმენტული ჯგუფი 2, 4 და 6-საათიანი ძილით და საკონტროლო ჯგუფი 8 საათიანი ნორმალური ძილით. ძილის წინ ყველა ცდისპირს აძლევენ დასამახსოვრებლად ერთი და იმავე მასალას. გაღვიძების შემდეგ ამოწმებენ გახსენებული მასალის ოდენობას და აღგენენ რა გავლენა მოხდინა დამოუკიდებელმა ცვლადმა ანუ ძილის ხანგრძლივობამ დამოკიდებულ ცვლადზე – გახსენების ნაყოფიერებაზე. ცხადია, ძილთან, გაღვიძებასთან, დამახსოვრებასთან თუ გახსენებასთან დაკავშირებული სხვა ფაქტორები ყველა ცდაში ერთნაირი უნდა იყოს.

მეორე ექსპერიმენტი ეხება ნარკოტიკის, ვთქვათ, მარისუანას ზემოქმედებას მეხსიერებაზე. ცდისპირებს აძლევენ ნამცხვარს მარისუანას სხვადასხვა – მცირე, საშუალო და დიდი დოზით. ექსპერიმენტატორი აკონტროლებს ცდის ყველა სხვა პირობის მუდმივობას (სეანსების ჩაგარების დრო და ადგილი, ინსტრუქცია, დასამახსოვრებელი მასალა, დამახსოვრებაზე დახარჯული დრო, მასალი აღდგენის პირობები). ერთადერთი ფაქტორი, რომელიც ცვალებადობს ამ სამ ჯგუფში, ნარკოტიკის დოზაა – დამოუკიდებელი ცვლადი. დამოკიდებული ცვლადი არის სიგყვების რაოდენობა, რომელიც ცდისპირებმა აღადგინეს ერთი კვირის შემდეგ. მარისუანას დოზირება იზომება მილიგრამებით, ხოლო დამახსოვრება – აღდგენილი სიგყვების რაოდენობით. იყო მეოთხე, საკონტროლო ჯგუფიც, სადაც იმავე მასალის დამახსოვრება და გახსენება ხდებოდა მარისუანას ზემოქმედების გარეშე. მაგრამ იმისთვის, რომ ექსპერიმენტის პირობები ერთნაირი ყოფილიყო, საკონტროლო ჯგუფშიც, მასალის დამახსოვრებამდე, ცდისპირები მიირთმეოდნენ ისეთივე გემოს ნამცხვარს, ოღონდ ნარკოტიკის გარეშე (დამატებითი ცვლადი). ყველა ჯგუ-

ში ცდისპირების ერთნაირი რაოდენობისაგან შედგებოდა და დაკომპლექტებული იყო რეპრეზენტატულობის ყველა მოთხოვნის გათვალისწინებით.

ექსპერიმენტის გამოყენებას ფსიქოლოგიაში გარკვეული სირთულეები ახლავს როგორც დაკვირვების შემთხვევაში, მათ ფსიქოლოგიური კვლევის სპეციფიკა იწვევს. საქმე ისაა, რომ კვლევაში მონაწილეობის ფაქტი გავლენას ახდენს დამკვირვებელზეც (ექსპერიმენტატორზეც) და დასაკვირვებელზეც (ცდისპირზეც). ცდისპირი მართლაც შეიძლება განიცდიდეს უხერხულობას ექსპერიმენტულ სიტუაციაში, შუოთაედეს და ა.შ., მით უფრო, თუ ცდა აპარატურული საშუალებების გამოყენებით, ლაბორატორიაში მიმდინარეობს. ე.წ. დასწრების ეფექტის ერთ-ერთი გამოვლინებაა ე.წ. “ზოგორნის ეფექტი”, როდესაც ცდისპირები უნებურად ცდილობენ, დაეხმარონ ექსპერიმენტატორს; ხშირად, თუ მათთვის ცნობილია სამუშაო პირობება, ისინი ცნობიერად ან არაცნობიერად, აჩვენებენ დაახლოებით იმ შედეგს, რომელსაც ელოდება ექსპერიმენტატორი. თავის მხრივ, საჭიროა დიდი სიფრთხილე, რათა მკვლევარმა ძალაუნებურად არ გაამჟღავნოს საკუთარი მოლოდინები და არ მიანიშნოს ცდისპირებს მათთვის სასურველ რეაქციებზე (ე.წ. “მოლოდინის ან როზენტალის ეფექტი”). მოკლედ, საფრთხე ცდაში მონაწილე ორივე მხარის სუბიექტურობასთან არის დაკავშირებული.

ეს დამატებით ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება, რომლის გამორიცხვა ან ნიველირება ხდება საჭირო. ექსპერიმენტული კვლევისას ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ მონაცემები ექსპერიმენტული ფაქტორის (მაგ., ნარკოტიკი) და არაა დამატებითი ფაქტორების (მაგ., მკვლევარის მოლოდინი ან ცდისპირის ნერვიულობა) მოქმედების შედეგი. დაკვირვებისა არ იყოს, ამ შემთხვევაშიც საუკეთესო გამოსაყალიბია ექსპერიმენტის ჩატარება ისე, რომ ცდისპირმა არ იცოდეს, რომ იგი ფსიქოლოგიურ გამოკვლევაში მონაწილეობს. ასეთ ცდას, ლაბორატორიული ექსპერიმენტისაგან განსხვავებით, ბუნებრივი ექსპერიმენტი ეწოდება. თვითონ სახელწოდება გვეუბნება, რომ ამ შემთხვევაში ცდა ტარდება ჩვეულებრივ ცხოვრებისეულ ვითარებაში, ბუნებრივად წარმართული ქცევის პირობებში. ინდივიდი ასრულებს თავის როლს, წყვეტს ამოცანას და ვერ ხვდება იმას, რომ

იგი სინამდვილეში ცდისპირია. ამით განსხვავდება ბუნებრივი ექსპერიმენტი სოციალურ ფსიქოლოგიაში გავრცელებული საველე ექსპერიმენტისაგან, რომელიც აკრეთვე ბუნებრივ პირობებში მიმდინარეობს, ოღონდ ცდის მონაწილეებმა იციან თავიანთი ცდისპირობის შესახებ.

ბუნებრივ ექსპერიმენტში, პრინციპში, შენარჩუნებულია ექსპერიმენტის ძირითადი ნიშნები: სასურველი პროცესების ხელოვნური გამოწვევა, გამეორება და პირობების ვარირება. მაგალითად, მესსიერების ასაკობრივი განვითარება შეისწავლება ლაბორატორიაში. ამისთვის საჭიროა შევადაროთ ერთმანეთს, როგორ იმახსოვრებენ გარკვეულ მასალას სხვადასხვა ასაკის ბავშვები. ამავე დროს, ეს გამოკვლევა შეიძლება ლაბორატორიაში კი არა, გაკეთილის ბუნებრივ პირობებში ჩატარდეს. ამ დროს მოსწავლეები ჩართულნი არიან მათთვის ჩვეულებრივ სასწავლო პროცესში. ფსიქოლოგ-ექსპერიმენტატორს, რომელიც მოსწავლეებისთვის მასწავლებლის როლში გამოდის, შეუძლია შესასწავლი მასალის ვარირება თავისი კვლევითი ამოცანებიდან გამომდინარე – ცვალოს მისი ოდენობა, ხასიათი (სტიკეები თუ ციფრები, აბსტრაქტული თუ თვალსაჩინო მასალა და ა.შ.). მთავარი ისაა, რომ ბუნებრივი ექსპერიმენტი დიდწილად თავისუფალია იმ სიძნელებებისაგან, რომელთაც ექსპერიმენტში მონაწილეობის ფაქტი წარმოშობს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ამ სახის ექსპერიმენტში უფრო შეზღუდულია დამატებითი ცვლადების კონტროლის შესაძლებლობანი.

სამწუხაროდ, ბუნებრივი ექსპერიმენტის ორგანიზება საკმაოდ რთულია, ბევრ შემთხვევაში კი უბრალოდ შეუძლებელი. ამიტომ, დასწრების ეფექტის დასაძლევად, შემუშავებულია ე.წ. “ბრმა მეთოდი”. ამ შემთხვევაში ინდივიდმა იცის, რომ იგი ცდის მონაწილეა, მაგრამ არ იცის გამოკვლევის მნიშვნელოვანი დეტალები, მაგალითად რომელ ჯგუფს მიეკუთვნება იგი – ექსპერიმენტულს თუ საკონტროლოს. თუ გვინდა ავირიდოთ გამოკვლევაში მონაწილე ორივე მხარის მოლოდინებისა ან სხვა სუბიექტურ გამოვლინებათა ზემოქმედება ცდის შედეგებზე, გამოიყენება ორმაგად ბრმა მეთოდი. ამ დროს არც ცდისპირმა და არც ექსპერიმენტის უშუალო ჩამტარებელმა, ფაქტობრივად, არ

იყის ცდის რეალური მიზნებისა თუ ტექნოლოგიის მნიშვნელოვანი დეტალები.

იმავე მეთოდოლოგიის გამოყენება შეიძლება კიდევ ერთი ხელისშემშლელი გარემოების თავიდან ასაცილებლად. მხელეულობაში გვაქვს ე.წ. “პლაცებო ეფექტი”. პლაცებო არის სამკურნალო თვისებების არმქონე პროცედურა ან ნივთიერება (აბები, ინექცია). პლაცებო ეფექტი ასეთი ნეიგრალური პრეპარატის მიღებით გამოწვეულ დადებით ეფექტს ეწოდება. იგი პლაცებოს ეფექტურობის რწმენის, სამკურნალო ეფექტის მოლოდინის შედეგია. ზოგჯერ ადამიანის ფსიქიკური და ფიზიკური მდგომარეობა მართლაც უმჯობესდება, როდესაც იგი იღებს პლაცებოს, რადგან დარწმუნებულია, რომ მკურნალობს რეალური სამედიცინო საშუალებით. ტკივილის გაყუჩებისას, მაგალითად, მარილიანი ხსნარის ინექციის ეფექტურობა მორფიუმის ეფექტურობის 70% აღწევს. ეს არის რეალური ფსიქოსომატური ზემოქმედების გამოვლინება. სახელდობრ, ამ დროს სათანადო განწყობის (მოლოდინის) მქონე ინდივიდის ჰიპოფიზი გამოყოფს ენდორფინს – მორფიუმის მსგავს ქიმიურ ნივთიერებას ტკივილგამაყუჩებელი თვისებებით.

პლაცებო ეფექტის დადებითი მხარეები გამოიყენება ფსიქოთერაპიულ პრაქტიკაში. მაგრამ იგი შეიძლება ხელისშემშლელ ფაქტორად გადაიქცეს ექსპერიმენტული კვლევისას, თუ კი ეს უკანასკნელი რაიმე ახალი პრეპარატის სამკურნალო თვისებების დადგენას ეხება. მართლაც, საიდან ვიცით, რომ “მკურნალობის სიგუაია” თავისით არ იწვევს გაუმჯობესების ეფექტს? ამის გასარკვევად ექსპერიმენტულ ჯგუფს ნამდვილი პრეპარატი, ხოლო საკონტროლო ჯგუფს პლაცებო უნდა მიეაღებინოთ. ისინიც ანალოგიური სამედიცინო ზრუნვისა და გედამსედეულობის ქვეშ იქნებიან და ეგონებათ, რომ ახალი წამალი დაენიშნათ, თუმცა რეალურად ნეიგრალურ აბებს მიიღებენ. მთავარია, ორივე ჯგუფის წევრები დარწმუნებული იყვნენ, რომ ნამდვილად მკურნალობენ, ერთნაირი მოლოდინები ჰქონდათ. ეს ნიშნავს, რომ კვლევაში რეალიზებულია ბრმა მეთოდი: პაციენტები “ბრმანი” არიან იმის მიმართ, რომელ ჯგუფს მიეკუთვნებიან. ორმაგად ბრმა კონტროლი კიდევ უფრო ეფექტური იქნება. ამ შემთხვევაში არც სამედიცინო პერსონალს ეცოდინება პაციენტებში წამლისა და პლაცებოს განაწილების წესი და ვერ გადასცემს ცდის-

პირებს ახალ პრეპარატთან დაკავშირებულ განწყობებს. იდეალში, ერთადერთი, ვისაც ეცოდინება ჯგუფების შემადგენლობის შესახებ, იქნებიან სპეციალისტები, რომლებიც გეგმავენ კვლევას და არა აქვთ უშუალო კონტაქტი პაციენტებთან.

ექსპერიმენტის შედეგებს ისევე სჭირდება სტატისტიკური დამუშავება, როგორც ანკეტირებისას. ამასთან, ექსპერიმენტის შემთხვევაში კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება ინსტრუქციის საკითხი. ინსტრუქცია ჩამოყალბებული უნდა იყოს ძალიან მკაფიოდ და სრულიად გასაგებად. ამიგომ ექსპერიმენტის ინსტრუქციის შედგენას საკმაო კვალიფიკაცია და შრომა სჭირდება. შემოწმებული უნდა გვქონდეს, რომ ყველა ცდისპირი მას ერთნაირად მოიაზრებს. ინსტრუქციის ერთიდაიგივე გეჟსტი უნდა მიეწოდოს ერთნაირ პირობებში და ერთნაირად. უამისოდ ექსპერიმენტის ფსიქოლოგიური სიწმინდე ირღევეა, შედეგების სანდოობა კლებულობს.

ექსპერიმენტული მეთოდის უდავო უპირატესობათა მიუხედავად, მას ყოველთვის ვერ გამოიყენებ. ექსპერიმენტი ხომ გარკვეული (დამოუკიდებელი) ცვლადებით მანიპულირებასა და შესაბამის ეფექტებზე დაკვირვებას გულისხმობს, რაც, ხშირად, ფაქტობრივად შეუძლებელია. მაგალითად, ჩვენ შეიძლება გვაინტერესებდეს განსხვავდება თუ არა დეპრესიული პაციენტების ამროვნება ჯანმრთელთა ამროვნებისაგან. დამოუკიდებელი ცვლადი ამ შემთხვევაში არის დეპრესიის არსებობა-არარსებობა, რომლითაც მანიპულირება მკვლევარს არ შეუძლია. იგი იძულებულია გამოიყენოს ბუნებრივად არსებული ჯგუფები დეპრესიული და ჯანმრთელი ადამიანებისა, გამოავლინოს მათი გონებრივი მუშაობის თავისებურებანი და შეადაროს ერთმანეთს, მოკლედ, მიმართოს კორელაციურ კვლევას. სხვა შემთხვევებში მკვლევარს პრინციპში შეუძლია დამოუკიდებელი ცვლადით მანიპულირება, მაგრამ ეს დაუშვებელია ეთიკური მოსაზრებებით. იწვევს თუ არა დეპრესიას გვინის გარკვეული უბნის დაზიანება? ან როგორ მოქმედებს დეპრესიის აღმოცენებაზე გარკვეული ჰორმონის შემოქმედება? მიუხედავად ამ საკითხების უდიდესი მეცნიერული და პრაქტიკული მნიშვნელობისა, არავენ წავა იმაზე, რომ ხელოვნურად მიაციენოს ზიანი ადამიანის ჯანმრთელობას.

საზოგადოდ ყველა მეთოდს აქვს თავის ძლიერი და სუსტი მხარეები. ამიგომ ამჟამად ფსიქოლოგები იყენებენ მეთოდების

ერთობლიობას. ფსიქოლოგიის განვითარების უფრო ადრეულ ეტაპზე მეთოდის არჩევა ბევრად იყო განპირობებული მკვლევარის თეორიული ორიენტაციით; ფსიქოლოგიის სხვადასხვა მიმართულების წარმომადგენლები სხვადასხვა მეთოდებს ანიჭებდნენ უპირატესობას. თანამედროვე ფსიქოლოგიაში მეთოდების პლურალიზმია დამკვიდრებული. ეთქვათ, ღებრესიის შესწავლისას გამოიყენება ექსპერიმენტული და კორელაციური კვლევა, ტესტებისა და კლინიკური საუბრის, ქცევაზე დაკვირვებისა და ფიზიოლოგიური მონაცემები.

როგორც ითქვა, ფსიქოლოგიური ექსპერიმენტი (საზოგადოდ კი ყოველგვარი ფსიქოლოგიური გამოკვლევა) ეთიკურ პრობლემებს აწყდება. ეს ბუნებრივია, როცა გამოკვლევა ცოცხალ ადამიანებს ეხება, მათ კი თავიანთი უფლებები აქვთ, რომელთა დაცვაც აუცილებელია. დღეს ამ საკითხს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა. ამერიკის, კანადის, ბრიტანეთისა და ზოგიერთი სხვა ქვეყნის ფსიქოლოგიური ასოციაციების მიერ შემუშავებულია ემპირიული კვლევის ეთიკური პრინციპები, რომელთა თანახმად: ექსპერიმენტატორმა უნდა მიიღოს ფორმალური თანხმობა ცდისპირებისაგან ცდაში მონაწილეობის თაობაზე; კვლევამ არ უნდა მოუტანოს ზიანი მათ ჯანმრთელობას; დაცული უნდა იყოს კონფიდენციალობისა და ანონიმურობის პრინციპი; ექსპერიმენტის დასრულების შემდეგ მასში მონაწილე პირს უნდა განემარტოს ცდის ნამდვილი მიზანი და შედეგები.

თავი III. ფსიქიკის განვითარება ფილოგენეზში

§ 1. ცხოველთა ფსიქიკური აქტივობის მარტივი და თანდაყოლილი ფორმები

ფსიქიკა მხოლოდ იქ არის, სადაც სიცოცხლეა. მაგრამ ყოველივე ცოცხალს არ გააჩნია ფსიქიკა. მეცნიერებაში დღეს ამაზე არ დავობენ. თუმცა თავის დროზე არსებობდა თვალსაზრისი (ბიოფსიქიზმი), რომლის თანახმადაც სიცოცხლის ყოველგვარი ფორმა, მცენარეების ჩათვლით, ფსიქიკის მაგარებელია. უფრო შორსაც მიდიოდნენ და სულიერებას მთელ ბუნებას, მათ შორის არაცოცხალსაც მიაწერდნენ (პანფსიქიზმი). ანთროპოფსიქიკური თეორია, პირიქით, ავიწროებდა ფსიქიკით დაჯილდოებულთა წრეს; მის მიხედვით, ფსიქიკა მხოლოდ ადამიანს გააჩნია.

ფსიქიკისა და ქცევის ცხოველური ფორმების განვითარების ანუ ფილოგენეზის დახასიათება უნდა დავიწყოთ იმ საკითხის განხილვით, თუ სად იწყება ფსიქიკური სინამდვილე, რა არის ფსიქიკის კრიტერიუმი, ცოცხალი ორგანიზმის ფუნქციონირების რა ნიშანი მიუთითებს იმაზე, რომ ეს არსება უკვე ფსიქიკის მქონეა. პასუხი მრავალნაირია: ძიებითი ქცევის უნარი, გარემოსთან "მოქნილი" შეგუების, ანუ დასწავლის უნარი და ა.შ. აღსანიშნავია, რომ ყველა ეს ვარაუდი ფსიქიკის ობიექტურ კრიტერიუმს ეხება, ანუ ისეთ გარედან დაკვირვებად ნიშან-თვისებას, რომელიც უფლებას მოგვცემს ვამტკიცოთ, რომ ორგანიზმს აქვს ფსიქიკა. სუბიექტური კრიტერიუმი აქ მართლაც არ გამოდგება, ვინაიდან ჩვენ ვერასოდეს ვიგყვით დანამდვილებით, აქვს თუ არა განცდა ჭიაყელას და თუ აქვს – როგორი.

ამჟამად ყველაზე მიღებული შეხედულება ფსიქიკის ობიექტურ კრიტერიუმად განიხილავს ცოცხალი ორგანიზმების თვისებას – რეაგირება მოახდინონ ბიოლოგიურად ნეიგრალურ ზემოქმედებაზე. ბიოლოგიურად ნეიგრალური, ანუ აბიოგური ზემოქმედებები – ესაა ენერჯის ის სახეები, ან საგნების ის თვისებები, რომლებიც უშუალოდ არ მონაწილეობენ ნივთიერებათა ცვლაში. ამგვარი ზემოქმედება თავისთავად არც სასარგებლოა და არც მავნე; იგი არ კვებავს ორგანიზმს და არც ანგრევს მას. მაშ რატომაა სასარგებლო მისი ასახვა ან მასზე რეაგირება?

იმიტომ, რომ ის იმყოფება მდგრად კავშირში ბიოლოგიურად მნიშვნელოვან ობიექტებთან და, მამასადამე, მათი პოტენციური სიგნალია. თუ ორგანიზმს უჩნდება უნარი, ასახოს ბიოლოგიურად ნეიგრალური თვისება და დაუკავშიროს იგი ბიოლოგიურად მნიშვნელოვან თვისებებს, მისი სასიცოცხლო პოტენციალი განუზომლად იზრდება. მაგალითად, არც ერთი ცხოველი არც იკვებება და არც იღუპება ჩვეულებრივი ინტენსივობის ბგერისაგან. მაგრამ ბგერები ბუნებაში უმნიშვნელოვანესი სიგნალია საკვების არსებობის ან საფრთხის მოახლოების შესახებ.

ბიოლოგიურად ნეიგრალური თვისებების ასახვა მჭიდროდ არის დაკავშირებული ცოცხალი არსებების აქტიუობის თვისობრივად ახალ ფორმასთან – ქცევასთან. აქამდე ცხოველქმედების პროცესები დაიყვანებოდა საკვები ნივთიერებების შეთვისებაზე, გამოყოფაზე, ზრდაზე, გამრავლებაზე და ა.შ. ახლა ჩნდება ახალი სახის აქტიუობა, რომელიც, ასე ვთქვათ, “ჩასმულია” აქტუალურ სიგუაციასა და სასიცოცხლო აქტს – ნივთიერებათა ცვლას შორის. ამ აქტიუობის (ქცევის) ამრიგია, რომ მიღწეულ იქნეს ბიოლოგიურად სასარგებლო შედეგი იქ, სადაც პირობები მისი უშუალოდ მიღების საშუალებას არ იძლევა.

ფსიქიკის ეს კრიტერიუმი (ბიოლოგიურად ნეიგრალური ზემოქმედების ასახვა და სასიგნალო ქცევა) არ გააჩნია მცენარეებს; იგი თავს იჩენს უმარტივესი, ერთუჯრედიანი ორგანიზმების დონეზე. მცენარე მხოლოდ ბიოლოგიურად მნიშვნელოვან გამლიზიანებლებზე რეაგირებს. ამ თვისებას გალიზიანებადობა ეწოდება. მცენარის ფესვები გალიზიანებადნი არიან ნიადაგში არსებული საკვები ნივთიერებების მიმართ, რომელთაც შეიწოვენ. ცხოველებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე ე.წ. მგრძნობელობა, რაც მათთან ფსიქიკის გაჩენას უკავშირდება. მგრძნობელობა, როგორც აბიოტური გამლიზიანებლის ასახვა, ორ ასპექტს შეიცავს: ობიექტურს და სუბიექტურს. ობიექტური თვალსაზრისით, ასახო და იყო მგრძნობიარე, ნიშნავს რეაგირება მოახდინო მოცემულ აგენტზე გარკვეული მოძრაობის სახით. გრძნობიერების სუბიექტური ასპექტი საგნის თუ მოვლენის შინაგან განცდაში ელინდება. აბიოტური გამლიზიანებელი, მაგალითად ბგერა, განცდის, კერძოდ შეგრძნების სახით უნდა მოგვეყეს, რათა მან თავისი სასიგნალო ფუნქცია შეასრულოს.

ფსიქიკის განვითარება ამ ორი ურთიერთდაკავშირებული მხარის გართულებაში მდგომარეობს. ფსიქიკის საწყის საფეხურზე მოცემულია გამლიზიანების უმარტივესი, ღიფუბური შეგრძნების უნარი. განცდათა სამკვიდრო, პირველ ყოვლისა, შეგრძნებათა გამრავალფეროვნების გზით ვითარდება. ორგანიზმებს, გარემოსთან შეგუების პროცესში, უჩნდებათ სხვადასხვა გამლიზიანების ასახვის უნარი შესაბამისი გრძნობის ორგანოების მეშვეობით. ღიფუბური, პირველადი შეგრძნება ღიფერენცირდება შეხების, გემოს, გემპერაგურის, სუნის, სმენის, მხედველობის და სხვა შეგრძნებებად. ესაა მხოლოდ დაქსაქული გამლიზიანებლების – საგნების ცალკეული თვისებების შეგრძნება. ფსიქიკის ფილოგენეტიკური განვითარების შემდგომ ეტაპზე თანდათანობით ჩნდება აგრეთვე მთლიანი საგნების ასახვის, ანუ მათი აღქმის უნარი. ეს ნიშნავს ე.წ. სენსორული (შეგრძნებითი) სტადიიდან პერცეპტულ (აღქმით) სტადიაზე გადასვლას.

პარალელურად მიმდინარეობს ცხოველთა ქცევის განვითარების პროცესიც. ეს ქცევები არსებითად ორი სახისაა: თანდაყოლილი და შეძენილი. ამ უკანასკნელთა მნიშვნელობა ფილოგენეტიკურ განვითარებასთან ერთად მაგულობს. რაც შეეხება თანდაყოლილი ქცევის პირველად ფორმას, მას გაქსისი ეწოდება და, უპირველესად, უმარტივეს ერთუჯრედოვან ორგანიზმებს ახასიათებს. გაქსისი იმაში ვლინდება, რომ ორგანიზმი ან უახლოვდება, ან განერიდება გარკვეულ გამლიზიანებელს. ასეთი ქცევა ზოგჯერ გვხვდება უფრო მაღალი ორგანიზაციის არსებებშიც. მაგალითად, მწერებს საღამოთი იზიდავს ანთებული ლამპარი, რაც გაქსისის გამოვლინებაა.

გაქსისი ორგანიზმის პირველადი რეაქციაა გარემოს ერთ გამლიზიანებელზე. ევოლუციურ კიბეზე ასვლასთან ერთად ხშირდება უფრო ზუსტი და ღიფერენცირებული რეაქციები სხვადასხვა გამლიზიანებლებზე. ეს ნერვული სისტემის ფორმირებასთან არის დაკავშირებული. რომელიმე შეგრძნების ორგანოდან სიგნალი ნერვული სისტემით გადაეცემა სამოძრაო ან სეკრეტორულ სისტემას და იწვევს სათანადო რეაქციას. რეფლექსი არის ცხოველის დაპროგრამებული და ორგანიზმის გარკვეულ ნაწილში ლოკალიზებული რეაქცია, მაგალითად თვალის დახუჭვა ან ნერწყვის გამოყოფა სათანადო გამლიზიანებელზე. რეფლექსი შეიძ-

ლება იყოს თანდაყოლილი, შეიძლება იყოს შეძენილიც, ე.წ. პირობითი. ამ შემთხვევაში დასწავლის შემდეგ რეფლექსური რეაქცია უკავშირდება რაიმე ახალ, არასპეციფიკურ გამღიზიანებელს. მაგალითად, ძალღმობი ნერწყვის გამოყოფას იწვევს არა მარგო ხორცის დანახვა (უპირობო რეფლექსი), არამედ ავრეთვე, ზარის გაგონება (პირობითი რეფლექსი).

ბუნებრივ პირობებში ცხოველები ახორციელებენ საკმაოდ რთულ ქცევებს, რომლებშიც მრავალი რეფლექსური რეაქცია ერთიანდება. ესაა საჭმლის მოპოვებასთან, თავდაცვასთან, საცხოვრებლის მშენებლობასთან, გამრავლებასთან, შთამომავლობის ჰაგრონობასთან და ა.შ. დაკავშირებული ქცევები, რომლებიც ხშირად გვაოცებენ თავისი სირთულით, სიმუსტიტით და მიზანშეწონილებით. მათ ინსტინქტები ეწოდებათ.

აღვწეროთ ერთი მაგალითი: კრაზანა – სუექსი, სანამ კვერცხების დადებას დაიწყებდეს, უზრუნველყოფს თავის მაგლს საკვებით – “კონსერვირებული” კალიით. სუექსი თავს ესხმის კალიას, მუსტად ჩხელეგს მას სამ ნერვულ კვანძში, რომლებიც კიდურების მოძრაობას აკონტროლებენ და ამით მის პარალიზებას ახდენს. შემდეგ შეათრევს კალიას სპეციალურად გაკეთებულ სოროში და ფრთხილად დებს კვერცხს მის მკერდზე.

ინსტინქტური აქტების ამ სერიაში ყველაფერი ძალზე მიზანშეწონილია; ჯერ ერთი, მსხვერპლის პარალიზება: მკედარი კალია მანამ გაიხრწნება, სანამ მაგლი გამოიჩეკება, ხოლო აქტიურ მდგომარეობაში დარჩენილი ადვილად მოკლავს მაგლს; მეორე – სუექსის მიერ კალიის განვლიების საოცრად მუსტი ჩხელეგა; და ბოლოს, ის აკურაგულობა, რომლითაც კვერცხი თავსდება სწორედ კალიის მკერდზე. ეს ერთადერთი უსაფრთხო ადგილია, საიდანაც მაგლს არ შეუძლია გადმოვარდნა, რადგან ჯერ კიდევ ცოცხალი კალია ამოძრავებს მუცელს, ყბებს და ულვაშებს. ხოლო, თუ უსუსური მაგლი მიწაზე აღმოჩნდება, იგი აუცილებლად დაიღუპება.

ინსტინქტების მაღალი მიზანშეწონილება ოდითგანვე კვებავდა შეხედულებას მათი “გონიერულობის” შესახებ. დროთა განმავლობაში მისი ადგილი დაიკავა საწინააღმდეგო შეუხებად. დაიწყეს ლაპარაკი ინსტინქტების “სიბრმავეზე”. ამის საბაზი გახდა ცდები, რომლებითაც ირკვევა, რომ თუ ცხოველების ინს-

გინქტურ მოქმედებებს დაუკარგავთ აზრს, ისინი მათ მაინც შეასრულებენ. მაგალითად, უკვე აღწერილი სფექსი, დადებს რა კვერცხს კალიის მკერდზე, გულმოდგინედ ამოქოლავს სოროს, მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერმა ახლახან ამოიღო იქიდან კალია. ამასთან, სანამ სოროს დალუქავს, სფექსი აუცილებლად შედის მასში და შეუძლებელია არ ხედავდეს, რომ ის ცარიელია. საბოლოო მოქმედება აზრს უკარგავს ყველა წინამორბედ მოქმედებას.

ამ და მსგავსი ფაქტებიდან თითქოს შეიძლება გაკეთდეს დასკვნა ინსტინქტების “სიბრმავის” შესახებ. მაგრამ იგი არ იქნება კორექტული ისევე, როგორც დასკვნა მათი “გონიერულობის” თაობაზე ამ უკანასკნელის ნაცვლად უნდა ვილაპარაკოთ ინსტინქტების ბიოლოგიურ მიზანშეწონილობაზე, ხოლო “სიბრმავის” ნაცვლად – მათ ფიქსირებულობაზე. ინსტინქტები მართლაც კარგადაა მორგებული სრულიად გარკვეულ გარემო პირობებს. სიგუაციის გლანქი, ხელოვნური შეცვლა, რასაც ადგილი აქვს ცდებში, იწვევს ინსტინქტების “სიბრმავის” ილუზიას. სიგუაციის ასეთი ცვლილებები ბუნებრივ პირობებში ნაკლებ მოსალოდნელია. ინსტინქტის მექანიზმი “სწორ” სიგუაციაზეა გათვლილი.

ამასთან ერთად, ისიც რეალობაა, რომ აქტივობის სიგუაცია ბუნებრივ პირობებში მუდმივად და ხშირად მნიშვნელოვნად ცვალებადობს. კრამანას მაგალითი ის შემთხვევაა, როდესაც ცოცხალი არსება ალღოს ვერ უღებს ახალ ვითარებას; რამდენჯერაც არ უნდა ჩაგარდეს ცდა, იგი ერთსა და იმევე გაიმეორებს – ვერ გამოიმუშავეს არასტანდარტულ მოქმედებასთან დაკავშირებულ ახალ გამოცდილებას. არადა, ბევრი ცხოველი ხომ სწორედ იმით გამოირჩევა, რომ მას შეუძლია ქცევის ახალი ფორმების შექმნა, რაც მას ცვალებად გარემოსთან შეუდარებლად უფრო შეგუებადს ხდის.

§ 2. ცხოველთა ფსიქიკური აპტივობის შეძენილი ფორმები

რთულ ინსტინქტურ მოქმედებებს უმაღლესი ადგილი უკავია თანდაყოლილი ქცევების იერარქიაში. ცხოველების ქცევის შემდგომი განვითარება აქტივობის ახალი ადაპტური ფორმების შეთვისების უნარის გამომუშაებასთან არის დაკავშირებული.

რაც უფრო მრავლადაა ცხოველის ქცევის რეპერტუარში შეტენილი, დასწავლილი მოქმედებები და რაც უფრო ნაკლებია მასში თანდაყოლილი, ინსტინქტური მოქმედებები, მით უფრო მაღალ საფეხურზე იმყოფება იგი ევოლუციური განვითარების რიგში. ეს მართლაც ასეა, მაგრამ არ არის მართებული თანდაყოლილისა და შეტენილის, ინსტინქტურისა და დასწავლილის მკაცრი დაპირისპირება, მით უფრო მათი ერთმნიშვნელოვანი მიწერა ცხოველთა სხვადასხვა სახეობისთვის: დაბალგანვითარებულისთვის და მაღალგანვითარებულისთვის.

ირკვევა, რომ ახალ სიგუაციასთან მორგება, გამოცდილების შეტენა უმდაბლეს ცხოველებსაც შეუძლიათ. სპეციალური ცდებით დადგინდა, რომ უმარტივესი ნერვული სისტემის მქონე ჭიკელებს შესაძლებელია ვასწავლოთ, მოუსვიოს მხოლოდ მარჯვნივ თ-ს მაგვარ ლაბირინთში. თუმცა ამისთვის მას მრავალი მცდელობა დასჭირდა, როცა მარცხნივ მოხვევისას ეჯახებოდა მავთულს, რომელშიც დენი გადიოდა. დასწავლის ეს უნარი ფილოგენეტიკური განვითარების კვალობაზე საგრძნობლად მაგულობს და უმაღლესი ცხოველების ცხოვრებაში გადაამწყვეტ როლს ასრულებს.

ამ უნარს ცხოველთა სამყაროში მუდამ ეხედებით. ხშირად იგი შეღავნდება იმდენად ადრეულ ასაკში, რომ იქმნება ილუზია, თითქოს ქცევა თავიდან ბოლომდე თანდაყოლილია. ამის ნათელი მაგალითია ე.წ. იმპრინგინგი (აღბეჭდვა). ეს მოვლენა აღმოაჩინა ცხოველთა ქცევის უდიდესმა სპეციალისტმა კონრად ლორენცმა. იგი დარწმუნდა, რომ ახალგამოჩეკილი ბაგის ჭკუები აუცილებლად თავის დედას კი არ მიჰყვებიან, არამედ იმ ობიექტს, რომელსაც ისინი გამოჩეკვისას პირველად ნახულობენ. ამ შემთხვევაში ეს იყო თვით ლორენცი, რომლისადმი ეს ბაგები მოზრდილობაშიც გასაოცარ მიჯაჭვეულობას ამჟღავნებდნენ. ბუნებრივ პირობებში ის, ვისი აღბეჭდვაც ხდება, დედაა და ჭკუებიც მას ავგომატურად დაჰყვებიან. მაგრამ სინამდვილეში ეს ინსტინქტის კი არაა, ადრეული დასწავლის გამოვლინებაა. იმპრინგინგის მექანიზმი განაპირობებს ხერხემლიანთა ბევრ ისეთ მოქმედებას, რომელიც დაკავშირებულია მშობლების, თავის გარემოცვის, სასიცოცხლო გარემოს ნიშანთვისებათა ცნობასთან.

საზოგადოდ, ცხოველთა ქცევაში ინსტინქტურისა და დასწავლილის ურთიერთმიმართება რთული და მრავალფეროვანია. უწინ ერთმანეთს უპირისპირებდნენ ინსტინქტზე და დასწავლაზე დაუშუქებულ ქცევებს. მიაჩნდათ, რომ ინსტინქტური მოქმედებები მკაცრად არის დაპროგრამებული და ცხოველებს შეუძლიათ მათი შესრულება ყოველგვარი ინდივიდუალური გამოცდილების გარეშე. თანამედროვე მონაცემებით, ეს ასე არაა. ნაჩვენებია, რომ ზოგიერთმა ინსტინქტურმა მოქმედებამ ცხოველის ინდივიდუალური განვითარების მსვლელობაში უნდა გაიაროს ჩამოყალიბებისა და ვარჯიშის პერიოდი. დასწავლის ასეთმა ფორმამ მიიღო ობლიგატური (ე.ი. აუცილებელი) დასწავლის სახელწოდება. მაგალითად, მიუსხდევად იმისა, რომ წიწილა გამოჩეკვისთანავე ახორციელებს ინსტინქტურ საკენკ მოძრაობებს, მათ სიმუსტე აკლია. პირველი დღეების განმავლობაში სიმუსტე მნიშვნელოვნად მაგულობს. ობლიგატური დასწავლის მეორე მაგალითია ჩიგების ფრენა. ბარტყი გამოჩეკვისთანავე აქნევს ფრთებს და მხოლოდ გარკვეული ხნის შემდეგ აფრინდება ჰაერში. მაგრამ მისი ფრენა, განსაკუთრებით დაშვებისას, პირველ ხანებში მაინც ძალიან არასრულყოფილია. ჩიგის გალობა ობლიგატური დასწავლის კიდევ ერთი მაგალითია. ზოგიერთ მაგალობელ ჩიგს არ შეუძლია გაიმეოროს თავისი სახეობის ჩიგების გალობა, თუ ის გაიზარდა იზოლაციაში ან სხვა სახეობის ჩიგების გარემოცვაში. მამასადამე, ბევრი ინსტინქტური (თანდაყოლილი) აქტი საჭიროებს სრულყოფას ცხოველის ინდივიდუალურ გამოცდილებაში; შეიძლება ითქვას, რომ ასეთი დასწავლა აგრეთვე დაპროგრამებულია. იგი უზრუნველყოფს ინსტინქტური მოქმედების მორგებას გარემო პირობებისადმი.

ქცევის ბევრად მეტ პლასტიკურობას უზრუნველყოფს ე.წ. ფაკულტატური დასწავლა. ამ გერმინით აღინიშნება ახალი, ნამდვილად ინდივიდუალური ქცევის ფორმების ათვისების პროცესი. ობლიგატური დასწავლის დროს ამ სახეობის ყოველი წარმომადგენელი იწაფება სახეობისთვის დამახასიათებელ ერთსა და იმავე მოქმედებაში, ხოლო ფაკულტატური დასწავლისას ცხოველები შეითვისებენ ქცევის ინდივიდუალურ, განსაკუთრებულ ფორმებს, რომლებიც ხელს უწყობენ მათ შეგუებას ინდივიდის არსებობის კონკრეტული პირობებისადმი. ამის ფართოდ გავრ-

ცელებული მაგალითია შინაური ცხოველების ყოველგვარი სასარგებლო ჩვევა ან ცხოველთა წერთნა ცირკში. თუმცა ამის მაგალითი ბუნებრივ პირობებშიც მრავლადაა.

არსებითად, ცხოველის ყოველ ქცევაში შერწყმულია სახეობისთვის დამახასიათებელი და შეძენილი ქცევის ელემენტები. საქმე ისაა, რომ ქცევა შედგება ორი ძირითადი ფაზისაგან: ძიუბითი (ან მოსამზადებელი) და დამამთავრებელი მოქმედებისაგან. პირველი ფაზა ყოველთვის რაიმე მოთხოვნით არის აქტივირებული. იგი გამოისაგება საერთო ალგზნებულობაში და ცხოველის ძიებით ქცევაში, ანუ არამიმართულ, “უმისამართო” გადაადგილებაში, გარემოს გამოკვლევაში. ამ აქტივობის პროცესში ცხოველი, როგორც წესი, წააწყდება ხოლმე ე.წ. ჩამრთველ სტიმულებს, რომლებიც აღძრვენ საკუთრივ ინსტინქტურ მოქმედებას, ან, უფრო ხშირად, მოქმედებათა წყებას. მაგალითად, მგაცებლის კეებითი ქცევა იწყება ქოგური სირბილით და გერიგორიის გამოკვლევით. ნადავლის გამოჩენა ქცევას ორიენტირებულს ხდის: ცხოველი ჯერ ეპარება, მერე მისდევს და ბოლოს კლავს თავის მსვერპლს, შემდეგ გლეჯს ნანადირევს და ყლაპავს ხორცს. აქტების ამ რიგში მხოლოდ ორი უკანასკნელი წარმოადგენს საკვების მოპოვების ქცევის დამამთავრებელ, საკუთრივ ინსტინქტურ ფაზას. ყველაფერი, რაც მას წინ უსწრებს, შედის ძიებით ფაზაში, რომლის შემადგენლობაც არაა ინსტინქტებით დაპროგრამებული.

ქცევა ყველაზე უფრო პლასტიკური ძიებით ფაზაშია. სწორედ აქ ითვისებს ცხოველი ქცევის ახალ ხერხებს. რაც უფრო ვუახლოვდებით დამამთავრებელ ფაზას, მით უფრო სტერეოტიპული ხდება მოძრაობები; საკუთრივ დამამთავრებელ ფაზაში კი მოძრაობები მთლიანად სტერეოტიპულია. ამიტომ ხშირად ინსტინქტურის ნაცელად მათ ფიქსირებულ მოძრაობათა კომპლექსს (ფმკ) უწოდებენ. ყველა სახეობას მისთვის დამახასიათებელი ფმკ გააჩნია. კვლევის შედეგად ზოგიერთი მათგანისთვის გამოიყო სპეციფიკური ჩამრთველი სტიმულები. ისინი, შესაძლოა, სრულიად განსხვავებული გამღიზიანებლების სახით წარმოგვიდგინენ: გარკვეული ფერის, ფორმის, სუნის, ხმის, მოძრაობებისა და ა.შ.

ძიებითი და დამამთავრებელი ფაზების თანაუარღობა განსხვავდება სხვადასხვა ცხოველებში. მთავარი კი ისაა, რომ რაც უფრო მაღალია ცხოველის ფსიქიკური ორგანიზაცია, მით უფრო გამწვანებული და ხანგრძლივია ძიებითი ფაზა, მით უფრო მდიდარი და მრავალფეროვანი ინდივიდუალური გამოცდილების მიღება შეუძლია ცხოველს.

ახალი ქცევის, გამოცდილების შექმნის პროცესი ცხოველებში მცდარი მოქმედებებიდან სწორი მოქმედებების გამოდიფერენცირებასა და ამ უკანასკნელთა განმტკიცებას გულისხმობს. გამოცდილების მიღების ასეთ ხერხს ცდისა და შეცდომის მეტოდს უწოდებენ. რაც უფრო ხშირად შეასრულებს ცხოველი შეუმცდარ, სასარგებლო მოქმედებას, რომელიც მის რაიმე მოთხოვნილებას აკმაყოფილებს, მით უფრო განმტკიცდება იგი, მით უფრო ძლიერი და მყარი იქნება კავშირი მოცემულ სტიმულსა და ახალ მოქმედებას შორის. ახალი ქცევის შექმნა, ანუ დასწავლა, ჩვევის ჩამოყალიბების ანალოგიურად (იხ. თავი IX), ხორციელდება თანდათანობით, წარმატებული მოქმედების მრავალჯერადი გამეორების გზით.

§ 3. ცხოველთა ფსიქიკური აქტივობის მაღალი ფორმები

ცხოველთა სამყაროში გვხვდება ქცევის უფრო მაღალი ფორმა – გონიერი ქცევა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ახალ სიტუაციასთან სწრაფად შეგუებისა და ახალი ამოცანის უცბად გადაწყვეტის უნარი, მოქმედებათა მრავალჯერადი გამეორების გარეშე (ე.წ. ინსაიტი). ქცევის ეს სახეობა – გონიერი ქცევა, ბევრად უფრო მაღალი საფეხურია. ჯერ ერთი, ჩვევისაგან განსხვავებით, ინდივიდი ახალი სიტუაციის შესაგყვის მოქმედებას მიაგნებს (ასორციელებს) ყოველგვარი გაწვრთვნისა და წინასწარი გაეარჯიშების გარეშე; მაგალითად, გალიაში მყოფი ადამიანის მსგავსი მაიმუნი (ანთროპოიდი) შორს დადებული საკვების ხელში ჩასაგდებად გამოიყენებს შორიახლოს მდებარე ჯოხს, თუმცა მას არასდროს ამ მიზნისთვის ჯოხი არ უხმარია; ან მაღლა კალათით დაკიდებული ბანანის მისაწვდომად შიმპანზე მოიგანს და ერთმანეთზე დადგამს მახლობლად მდებარე ცარიელ ყუთებს, ანუ მათზე და მისწვდება საჭმელს, თუმცა მსგავსი ქცევის გამოცდილება მას არ ჰქონია და ა.შ.

მნიშვნელოვანია გონიერი ქცევის მეორე განსხვავებაც დასწავლით შეძენილი ქცევისაგან. ეს არის ერთგვარი პრაქტიკული განზოგადება (გაერყელება/ვადაგანა): ასალი ამოცანის ერთჯერადი გადაწყვეტა საკმარისია, რომ ინდივიდი ამ მოქმედებას “ერთხელ და სამუდამოდ” დაეუფლოს. არაეითარი გაწერთნა, ამ მოქმედებათა გამეორება ამისთვის საჭირო არ არის, რადგან მოქმედება გონიერია. თუ, მაგალითად, შიმპანზე ერთხელ შეძლებს ყუთების გამოყენებას მაღლა დაკიდებული საგნის მისაღწევად, იგი სხვა ანალოგიურ სიტუაციაშიც უმაღვე გამოიყენებს ამ საშუალებას. ამას გადაგანა ან გრანსპოზიცია ეწოდება.

ის გარემოება, რომ გონიერ ქცევას ახასიათებს ინსაიგი და გრანსპოზიცია, იმას მოწმობს, რომ იგი აზროვნების პირველი გამოვლინებაა. მას გარკვეული ადგილი უკავია ადამიანის ქცევით რეპერტუარშიც. ხოლო ცხოველთა სამყაროში გონიერი ქცევა განვითარების მწვერვალია. იგი დასტურდება ყველაზე მაღალგანვითარებულ ცხოველებში – ანთროპოიდებში, როგორც ექსპერიმენტულ, ისე ბუნებრივ პირობებში. გალიაში მყოფი ძაღლის წინ რომ მოათავსოთ ძაფის წვერი, რომლის ბოლოს საკვები მიბმული, ძაღლი ვერასდროს მიხვდება, რომ ძაფი თავისკენ უნდა მიწიოს. ხოლო თუ კი შემთხვევით გააკეთებს ამას, შემდეგ ანალოგიურ სიტუაციაში ისევ უსუსური აღმოჩნდება. ანთროპოიდი მაშინვე მიხვდება, როგორ უნდა ჩაიგდოს ხელში საკვები ამ ვითარებაში და შეძლებისდაგვარად სხვა სიტუაციებშიც გამოიყენებს თავის ამ მიგნებას.

ყველაფერი, რაც ითქვა ცხოველთა ინსტინქტების შესახებ, ძალიან მნიშვნელოვანია სპეციფიკურად ადამიანური ქცევის ფორმების ბიოლოგიური წინა ისტორიის გასაგებად. მათ პირველ რიგში მიეკუთვნება ცხოველების ენა და ურთიერთობა და, აგრეთვე, მათ მიერ იარაღების გამოყენება.

ცხოველთა ენა წარმოადგენს სიგნალიზაციის რთულ სისტემას. სრულიად განსხვავებული სახის სიგნალების – ხმა, მოძრაობა, პოზა, სუნი, ფერი და სხვათა საშუალებით ცხოველები ერთმანეთს გადასცემენ ინფორმაციას ბიოლოგიურად მნიშვნელოვანი მოვლენებისა და მდგომარეობების შესახებ. ესაა განგაშის, მუქარის, დამორჩილების, ”არშიყის” თუ ბევრი სხვა სიგნალი.

ცხოველის ენის ადამიანის ენისაგან უმნიშვნელოვანეს განმასხვავებელი ნიშანია ისაა, რომ მას არ გააჩნია სემანტიკური ფუნქცია. ეს იმას ნიშნავს, რომ ცხოველის ენის ელემენტები არ აღნიშნავენ გარეგან საგნებს, მათ თვისებებსა და მიმართებებს. ისინი ყოველთვის დაკავშირებული არიან კონკრეტულ ბიოლოგიურ სიტუაციასთან და ემსახურებიან კონკრეტულ ბიოლოგიურ მიზნებს. ცხოველის სიგნალი უშუალოდ გრძნობებს გამოხატავს (როგორც ადამიანური ენის შორისდებულები), ანდა უშუალო ინსტინქტური რეაქციების აღმძვრელია (როგორც, მაგ., სირენის წვილი საფრთხის სიგნალია). ბევრი სიგნალი, გამოსახავს რა ცხოველის ემოციურ მდგომარეობას, მოქმედებს ემოციური “გადაღების” მექანიზმის მეშვეობით. მაგალითად, განგაშის ან შფოთვის სიგნალი, რომელსაც გამოსცემს ჩიგების გუნდის ერთ-ერთი წევრი, აიძულებს გუნდის დანარჩენ წევრებს, რომ აფრინდნენ. ანალოგიურად მოქმედებს ფუტკრების ქიმიური სიგნალიზაცია. ფუტკარი, რომელიც გესლავს მტერს, გამოყოფს გარკვეული სუნის მქონე ნივთიერებას. ეს ნივთიერება აგრესიულად განაწყობს სხვა ფუტკრებს, რომლებიც მიემართებიან მტრისკენ და გესლავენ მას. ამის შედეგად საგრძნობლად იზრდება ქიმიური სიგნალის ინტენსიობა და, მასთან ერთად, შეგვეამბე გადასული ფუტკრების რაოდენობაც.

ცხოველთა ენის განმასხვავებელი ნიშანია აგრეთვე მისი გუნეტიკური ფიქსირებულობა. იგი დახურული სისტემაა სიგნალების შეზღუდული რეპერტუარით, თუმცა სიგნალების რაოდენობა შეიძლება არც ისე მცირე იყოს. მაგალითად, ვაშიფრულია ქათმების 20-მდე სხვადასხვა სიგნალი, ადამიანის მსგავსი მაიმუნისა – 90-მდე. ცხოველთა სამყაროს ყოველმა წარმომადგენელმა დაბადებიდანვე “იცის თავისი ენა”. ხოლო ადამიანი ენას ცხოვრების განმავლობაში, სხვა ადამიანებთან ურთიერთობის პროცესში ითვისებს. თანაც ადამიანის ენა ღია სისტემაა: იგი მუდმივად ვითარდება, მდიდრდება ახალი ცნებებითა და სტრუქტურებით.

ცხოველთა ენის გენეტიკური ფიქსირებულობა იმაში გამოიხატება, რომ მისი ელემენტები წარმოადგენენ ე.წ. “ჩამრთველ სტიმულებს”, რომლებიც იწვევენ ან ამუხრუჭებენ ინსტინქტურ მოქმედებას. ბარკყების გამოკვების პერიოდში ბევრი ფრინველი აქტიურად ესხმის თავს მცირე ზომის ყველა მოძრავ არსებას,

რომელიც ბუდის სიახლოვეს აღმოჩნდება (ასეთებია პაგარა მგაცებლები, რომლებიც ბარტყებით იკვებებიან). გაჩნდა კითხვა, რაგომ არ ერჩიან ფრინველები თავიანთ საკუთარ ბარტყებს? გამოირკვა, რომ ბარტყებს იცავს მათი წრიპინი. ეს სივანალები ამუხრუჭებს ფრინველთა აგრესიას და აძლიერებს მშობლის ინსტინქტთან დაკავშირებულ ქცევებს. ერთ ცდაში ბუდეში ბაწრით უშეებდნენ ბარტყის ფიგულს – ჩიგი გააფთრებული ეკვეთებოდა მას, მაგრამ ბარტყის წრიპინის ჩანაწერის ჩართვისთანავე შეტევა მკვეთრად მუხრუჭდებოდა. მეორე ცდაში დაყრუებული ინდაური უმაღ კლაედა წიწილებს.

ცხოველთა ენის თაობაზე მოყვანილი ზოგადი დებულებების კარგ ილუსტრაციად გამოდგება მდიდარი მასალა, რომელიც არსებობს “პოზებისა და მოძრაობების ენასთან” დაკავშირებით. დიდი მეცნიერული მონაპოვრია ფუტკრების “ცეკვების” მნიშვნელობის გაშიფრვა, რაშიც ავსტრიელმა სწავლულმა ფრიშმა ნობელის პრემია დაიმსახურა. ფუტკარი, რომელმაც აღმოაჩინა ნექტარი, სკაში დაბრუნებისას ახორციელებს მოძრაობათა რთულ კომპლექსს, სადაც შედის წრიული გარბენები ფიჭაში, მუცლის ქნევა და ა.შ. ამ მოძრაობათა ხასიათი, მათი ორიენტაცია და ინტენსივობა ზუსტად შეესაბამება იმყოფება საკვებისკენ ფრენის მიმართულებასა და სიშორეს. ფუტკრები ეხებიან “მოცეკვავე” ფუტკარს და გემოსა და სუნის მეშვეობით დამატებით ინფორმაციას საკვების შემადგენლობის შესახებ. ამ ერთობ რთული ინფორმაციის კოდირება-დეკოდირების უნარი ფუტკრებს თანდაყოლილი აქვთ.

შუქლათ თუ არა ცხოველებს ისწავლონ ადამიანური ენა? XX საუკუნის დასაწყისში ამ საკითხის ემპირიული შესწავლის რამდენიმე მცდელობა იყო. ექსპერიმენტატორები იყვანდნენ ახლადდაბადებულ შიმპანზებს ოჯახში და ზრდიდნენ საკუთარ შვილთან ერთად, ერთნაირ პირობებში. მაქსიმუმში, რასაც მაიმუნებმა მიაღწიეს ასეთი ცდებით, ის იყო, რომ ესმოდათ რამდენიმე ათეული სიტყვის მნიშვნელობა და წარმოთქვამდნენ რამდენიმე მარტივ სიტყვას, მაგრამ დიდის გაჭირვებით და დაუნაწევრებლად. მალე გაირკვა, რომ მაიმუნების აკუსტიკური აპარატი არაა მორგებული ადამიანის მეგყველების ბგერათა გამოსაყვამად. გაჩნდა იდეა, გამოეყენებინათ ეესტების ენა. პირველი, ვის-

ბეც ჩატარდა ასეთი ექსპერიმენტი, იყო შიშპანზე სახელად ვაშუ-ოთხი წლისთვის ვაშუმ ისწავლა ასზე მეტი ქესტის მნიშვნელობა და შეეძლო მარტივი ორ-სამ სიტყვიანი ფრაზების ფორმირება: ““მოდი აქ” ან “მომეცი კბილის ჯაგრისი”, “ვთხოვ შენ მე სეირნობა” და სხვა. ასეთივე მეთოდით ნასწაველმა სხვა შიშპანებმა სახელად ბასია გამოიყენა თავისი 130-სიტყვიანი მარაგი და იხვის დანახვაზე წარმოთქვა: “წყალი და ჩიტი”. მრავალ გამოკვლევაში გამოიყენებოდა ნიშნების სხვა ხელოვნური სისტემები, როგორებიცაა ფერადი კლავიატურა ან კომპიუტერული გამოსახულება და ა. შ. ერთ-ერთი ასეთი ექსპერიმენტის მონაწილე მაიმუნმა პინოქიო აღწერა, როგორც “ბავშვი სპილო”; მეორე მაიმუნი, რომელიც დილაკებზე დაჭერით “ლაპარაკობდა” და არ იცოდა სასურველი ფორთოხლის სახელი, შექმნა იმპროვიზაცია ნაცნობი სიტყვებიდან: “მომეცი ვაშლი, რომელიც ნარინჯისფერი”.

თავდაპირველად ყოველივე ამან დიდი აეიოგაქი გამოიწვია სამეცნიერო და არასამეცნიერო წრეებში. ფიქრობდნენ, რომ ახლოსაა დრო, როცა დამყარდება ნამდვილი კონტაქტი ადამიანისმაგვარ მაიმუნებთან და ისინი მოგვიყვებიან თავიანთი შინაგანი სამყაროს შესახებ. მაგრამ მალე გაჩნდა სერიოზული ეჭვი ამ მონაცემთა მიმართ. გამოითქვა მოსაზრება, რომ მაიმუნების “ფრაზები” სინამდვილეში უმეტესწილად ექსპერიმენტატორის ან სხვა ადამიანების უნებლიე ქესტიკულაციის უბრალო წაბაძვას წარმოადგენენ. გაჩნდა ეჭვი, რომ ექსპერიმენტატორები სასურველს სინამდვილედ ასალებდნენ, იმასსოვრებდნენ მხოლოდ საინტერესო გამონათქვამს და უყურადღებოდ გოვებდნენ უამრავ უამრო სიგვათშეთანხმებას. მოკლედ, სიტუაცია ერთგვარად წააგავდა “ჭკვიანი ჰანსის” ისტორიას.

XX საუკუნის დასაწყისში მსოფლიო ალაპარაკდა მოაზროვნე ცხენზე, სახელად ჰანსი. ცხენი მშვენივრად ფლობდა შეკრება-გამოკლებას, მარტივ მოქმედებებს წილაღებზე, არჩევდა ფერებს, რიცხვებს საათზე და ა.შ. საკმარისი იყო მიგვემართა შესაბამისი კითხვით, რომ ჰანსი იძლეოდა სწორ პასუხს წინა ფეხის ჩლიქის კაკუნით ან თავის ქნევით. ამან საგონებელში ჩააგდო ბევრი სოლიდური კომისია და ცნობილი მეცნიერი. საბოლოოდ ჭკვიანი ჰანსის საიდუმლო გაიხსნა. თურმე ჰანსი მხოლოდ მაშინ პასუხობდა სწორად, როცა გამომცდელმა იცოდა პასუხი.

გაირკვა, რომ გამომცდელი თავისდაუნებურად “ჰკარნახობდა” ცხენს სწორ პასუხს. პანსი ამჩნევდა მის არაყნობიერ, არაკონგროლირებად დაძაბულობას, გამომხატველ მოძრაობებს, მიმოკის, სუნთქვის სისშირის და სხვა სულ უმნიშვნელო ცვალებადობას და იყენებდა ამას სიგნალად, რათა დაეწყო ან შეეწყვიტა ჩლიქების ბაკუნი. ჭკვიანი პანსის ფენომენის გამოვლენის შემდეგ ცხოველთა ქცევის შესწავლისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არაყნობიერი მინიშნებების არსებობას.

პრიმატების ენობრივ უნარებს რომ დაეუბრუნდეთ, ძნელი სათქმელია, ნამდვილად ქმნის მაიმუნი ამრიან ფრაზას, თუ მხოლოდ იმეორებს უნებლიედ ნაკარნახევს, ან იქნებ შემთხვევითი კომბინაცია იქმნება. სიგყვათწყობა “წყალი ჩიგი” თითქოს გამოიყურება როგორც შთამბეჭდავი ფრაზა: “ჩიგი, რომელიც წყალში ცხოვრობს”. მაგრამ, რამდენად მართებულია ასეთი ინტერპრეტაცია? ჩვენ არ ვიცით, ნამდვილად უნდოდა თუ არა შიმპანზეს რამენაირად დაეკავშირებინა ეს სიგყვები; ან იქნებ სხვა რაიმეს ამბობდა, მაგალითად “ეს წყალი ჩიგისთვისაა”. ამ კითხვებზე დამარწმუნებელი პასუხის გარეშე ძნელია შეაფასო ამ შიმპანზეს რეალური ენობრივი მიღწევები.

ამრთა სხვადასხვაობა ამ საკითხში ღლესაც არსებობს. ერთნი საერთოდ უარყოფენ მაიმუნების რაიმე ენობრივ პოტენციალს. მათი აზრით, მგკიცება, რომ მაიმუნები ენას ითვისებენ, ვინაიდან შეუძლიათ ეესტებით სიგყვების გამოხატვა, იგივეა, რაც იმის თქმა, რომ ადამიანებს შეუძლიათ იფრინონ, რადგანაც ხტუნავენ.

პრიმატების ენობრივი შესაძლებლობები მართლაც ძალზე შემზღუდულია და საშუალოზე დაბალგანვითარებული ორი წლის ბავშვის მიღწევებს არ აღემატება. პოტენციურად კი მასაც ჩამოუვარდება, ვინაიდან მაიმუნებისთვის უცხოა ის სპონტანური “გკკკიკი”, რაც აგრერივ დამახასიათებელია ბავშვისთვის და მისი უდიდესი ენობრივი ინტერესის გამოხატულებაა. დამგკიცებულად უნდა ჩაითვალოს, რომ ადამიანისმსგავს მაიმუნებს აქვთ ნიშნებით ინტელექტუალური ოპერირების პრიმიტიული უნარი. მაგრამ მათი კონკრეტული ენობრივ-სამეცყველო უნარი არ არის თანდაყოლილი, როგორც ეს ადამიანის შემთხვევაშია. სიძნელეები, რომლითაც პრიმატები ენას ეუფლებიან, ახალი ენობრივი კონსტრუქციების შექმნის შემოქმედებითი უნარის შემზღუ-

დულობა, სინგაქსის ძალზე მარტივი დონე და ენობრივი ურთიერთობის შინაგანი მოტივაციის არარსებობა, ნათლად მიანიშნებს ადამიანსა და ცხოველთა სამყაროში მის უახლოეს ნათესავებს შორის არსებულ უზარმაზარ განსხვავებაზე. ეს განსხვავება იმდენად დიდია, რომ მეტყველების უნარი ადამიანის ექსკლუზიურ თვისებად უნდა იქნეს მიჩნეული.

არსებობს სხვა პოზიციაც, რომლის მიხედვით გადაწყვეტი მიიღწევა მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას ვიგულისხმებთ ენის ფლობაში. თუ ეს არის რთული გრამატიკის სიტყვებით ან სხვა ნიშნებით გამოხატვის უნარი, მაშინ, ცხადია, ენას მხოლოდ ადამიანები ფლობენ. თუ კი ვეგულისხმობთ უბრალოდ ნიშნების აზრიანი თანმიმდევრობის საშუალებით ურთიერთობის უნარს, მაშინ ადამიანისმსგავსი მაიმუნები ნამდვილად მეტყველებენ. ამ უნარის უკიდურესი პრიმიტიულობის მიუხედავად, ისინი, როგორც ჩანს, იზიარებენ ჩვენთან იმას, რასაც ადამიანები თავის უნიკალურ თვისებად თვლიდნენ.

როგორც ითქვა, საკითხი ჯერ კიდევ კვლევის პროცესშია. მისი გადაჭრისთვის მნიშვნელობა აქვს ახალ მონაცემებს, რომელთა თანახმად მაიმუნებს შეუძლიათ გადასცენ თავისი ენობრივი გამოცდილება სხვებს, ასწავლონ ქესტების ენა საკუთარ შვილებს ან სხვა პაგარა პრიმატებს. ამ ფაქტების ინტერპრეტაცია იმ მოსაზრებასთან დაპირისპირებაში უნდა მოხდეს, რომლის თანახმად ინდივიდუალური გამოცდილების გადაცემა მომავალი თაობისთვის, ჯგუფის სხვა წევრებისთვის ადამიანურობის ერთ-ერთი კრიტერიუმი.

ფართო გავრცელება პოვა დამორჩილების პოზების აღწერამ, რომელთა მეშვეობითაც უფრო სუსტი ცხოველები აჩერებენ მოწინააღმდეგის აგრესიას; ისინი განსაკუთრებით გავრცელებულია მტაცებელ ცხოველებთან. ორი მგლის ჩხუბისას დამარცხებული მგელი ქვავედება ჩვენთვის წარმოდგენელ პოზაში: იგი გაწეეს თავს მოწინააღმდეგისაგან და მიუშვერს დაუცველ კისერს – იმ ადგილს, სადაც ვენა გადის. მაგრამ სწორედ ეს პოზა აქვავებს ადგილზე გააფთრებულ მოწინააღმდეგეს; უკიდურესად ავზნებული, იგი ჯერ კიდევ კანკალებს და კბილებს აღრჭიალებს, მაგრამ მას უბრალოდ “ძალა არ შესწევს” მიეკაროს მიშვერილ კისერს. მისი დანახვა მოქმედებს როგორც ჩამრთველი

სტიმული, რომელიც ამუხრუჭებს, ბლოკირებას უკეთებს აგრესიულ მოქმედებას. საკმარისია, მსხვერპლმა შეიცვალოს პოზა, რომ შეგვეა უმალ განასლდება.

ურთიერთობის განსაკუთრებით რთულ ფორმებს ეხედებით იმ ცხოველებში, რომლებსაც ჯგუფური ცხოვრების წესი აქვთ. ცხოვრება ჯოგში, გუნდში, ოჯახში ფართოდაა გავრცელებული ცხოველთა სამყაროში. ცხოველთა ბევრი ჯგუფის დამახასიათებელ თვისებას მისი წევრების იერარქია წარმოადგენს. თითოეულმა ინდივიდმა, ჩვეულებრივ, იცის, ვინაა მასზე ძლიერი და ვინ სუსტი. იერარქია მკვიდრდება ურთიერთობის სხვადასხვა აქტების მეშვეობით: წაკინკლაუება, რიგუალები, გურნირები და სხვა. უფრო ძლიერი ინდივიდები უპირატესობით სარგებლობენ საკვების განაწილებისას, სექსუალური პარტნიორის შერჩევისას და ა.შ. მაღალი რანგის ინდივიდებს, განსაკუთრებით წინამძღოლებს, უფრო დიდი “ავტორიტეტი” აქვთ, მათ ემორჩილებიან, ბაძავენ, მიჰყევიან. გუნდის ან ჯოგის წინამძღოლად, ჩვეულებრივ, ხდება ყველაზე ძლიერი და გამოცდილი ინდივიდი. ეს ხელს უწყობს სრულფასოვანი მემკვიდრეობისა და მდიდარი ინდივიდუალური გამოცდილების გადაცემას.

ზოგიერთ ჯგუფში ეაკვირდებით ინდივიდებს შორის ფუნქციების მკაფიო დაყოფას. ამის საფუძველს ქმნის სქესობრივი, ასაკობრივი თუ რანგული ნიშან-თვისებები. ფუნქციების დაყოფა ყველაზე უფრო მკაფიოდ წარმოდგენილია რეპროდუქციულ სფეროში. ბევრი სახეობის მამრი მოიპოვებს და მიაქვს საკვები მდებარეობას, რომელიც მის კვერცხებზე ან უვლის შეილებს მაგრამ ეს ყოველთვის ასე არ არის. არცთუ იშვიათად, დედალი და მამალი ფრინველი რიგ-რიგობით სხედან კვერცხებზე.

განსაკუთრებით შთამბეჭდავია თანაცხოვრების ორგანიზაციის სირთულე ფუნქციების მკაფიო განაწილებით ისეთ საზოგადოებრივ მწერებთან, როგორცაა ფუტკრები, ჭიანჭველები და სხვა. ფუტკრის ოჯახი შედგება ერთი დედა ფუტკრისაგან, ბევრი ასეული და, შესაძლებელია, ათასი მუშა ფუტკრისა და, გარკვეულ პერიოდში, მამრი ფუტკრებისაგან. დედა ფუტკარი დაკავებულია მხოლოდ კვერცხების დებით; მუშა ფუტკრები უვლიან მას და ასრულებენ მრავალრიცხოვან ფუნქციებს: აშენებენ და წმენდენ ფიჭას, უზრუნველყოფენ მაგლების კვებას, ავროვებენ თაფ-

ლის მარაგს, აწესრიგებენ სკას და იცავენ მას მგრის შემოსევისაგან. ამასთან, მუშა ფუტკრებს შორის აღინიშნება ვიწრო სპეციალიზაცია: მათ შორის არიან “აღმშრდელები”, “ამკრეფები”, “მცველები” და სხვა. მამალი ფუტკრები სამუშაოში არ მონაწილეობენ და არსებობენ მხოლოდ იმისთვის, რომ გაანაყოფიერონ მდედრი. შემოდგომაზე მათ კლავენ, ან აგდებენ სკიდან.

მაიმუნების ჯოგში აგრეთვე არსებობს ფუნქციების მკაცრი განაწილება. ახალგაზრდა მამრები, რომლებიც განსაკუთრებით მოძრავნი არიან და ჯოგის ადგილსამყოფელიდან საკმაოდ შორს გადაადგილდებიან, გუშაგების როლს ასრულებენ. ბებერი და გამოცდილი წინამძღოლი თვალს ადევნებს წესრიგს ჯოგში და უზრუნველყოფს გარეგან უსაფრთხოებას. დიდი მგაცებლის მოახლოებისას მას გაჰყავს ჯოგი უსაფრთხო ზონაში. ჯოგის გადაადგილებისას შეილებიან მდედრებს გარს ერტყმიან ღონიერი მამრები: ერთნი წინამძღოლთან ერთად სათავეში უდგანან მსვლელობას, ხოლო მეორენი – ბოლოში.

ამ ფაქტების განზოგადებისას უნდა გამოიყოს მთავარი, რაც განასხვავებს ცხოველების ჯგუფურ ქცევას ადამიანის საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან – ესაა მისი დაქვემდებარებულობა მხოლოდ და მხოლოდ ბიოლოგიური მიზნებისადმი, კანონებისადმი და მექანიზმებისადმი. ცხოველების ჯგუფური ქცევა განმტკიცებულია ბუნებრივი შერჩევის გზით; ფიქსირდება მხოლოდ ქცევის ის ფორმები, რომლებიც უზრუნველყოფენ პირდაპირი ბიოლოგიური ამოცანების – კვების, თვითშენახვისა და გამრავლების უკეთეს გადაწყვეტას. თანამედროვე ევოლუციური ფსიქოლოგია ადამიანთა ინდივიდუალურ თუ კოლექტიურ ქცევებშიც პოულობს ბევრ ისეთ მომენტს, რომელთაც ამჟამად ბიოლოგიური ძირი აქვს. მაგრამ ადამიანთა საზოგადოებას არსებითად სხვა საფუძვლებიც გააჩნია, მათ შორის, ალბათ, ძირეულია ერთობლივი შრომითი ქცევა, რომელიც ცხოველებისთვის უცხოა და მიუწვდომელი. ამის გამო ანტროპოგენების გარკვეულ ეტაპზე ადამიანი გამოვიდა ბიოლოგიური კანონების გყვეობიდან და სულ უფრო მეტად და მეტად დაექვემდებარა სოციალურ კანონებს.

წარმოებითი შრომა შესაძლებელი ხდება იარაღის გამოყენების გამო. შრომა იარაღის მექანიზმით იწყება. ამიგომ იარაღის გამოყენებაზე დაფუძნებული ცხოველების ქცევა განიხილება, რო-

გორც ანთროპოგენების ერთ-ერთი ბიოლოგიური პირობა. ადრე მიიჩნეოდნენ, რომ იარაღის გამოყენება მისაწვდომია მხოლოდ ადამიანის მსგავსი მაიმუნებისთვის. ბოლო დროს დადგინდა იარაღის გამოყენების ფაქტები ბევრი სახეობის ცხოველებში, მათ შორის დაბალ მაიმუნებში, ჩიგებში და მწერებშიც კი. ბუნებრივ პირობებში შიშვანგეს ქცევაზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ ისინი იყენებენ ჯოხებს იმისთვის, რომ გააკეთონ ხერელი გერმიგების საცხოვრებელში და ამოიყვანონ იქიდან მწერი; ლეჰაენ რა ფოთლებს, მაიმუნები ამზადებენ თავისებურ “ღრუბელს”, რისი მეშვეობითაც ამოაქვთ წყალი ხეებში არსებული ღრმულებიდან. ნიშანდობლივია, რომ ორივე შემთხვევაში ცხოველები არა მარტო იყენებენ, არამედ ამზადებენ და სრულყოფენ იარაღებს: გოგების გამოყენებისას აცლიან მათ ფოთლებს და გვერდითა ყლორტებს; ფოთლები “ღრუბლებისთვის” ილეკება. მაგრამ ამისთვის ისინი თითქმის ყოველთვის იყენებენ ბუნებრივ საშუალებებს, თავის ორგანოებს: კბილები, კიდურები და სხვა. პირველყოფილმა ადამიანმა დაიწყო იარაღის დამუშავება სხვა იარაღის საშუალებით. შესაძლოა, აქ გადის ის საზღვარი, რომელიც გამოყოფს ცხოველს ადამიანისაგან. მნიშვნელოვანია აგრეთვე ის, რომ ცხოველი არ ინახავს იარაღს შემდგომი გამოყენებისთვის.

იარაღის დამზადება მეორე საგნის დახმარებით ნიშნავს მოქმედების გამოყოფას ბიოლოგიური მოტივისაგან და ამით ქცევის ახალი სახეობის – შრომის აღმოცენებას. იარაღის დამზადება შესაძლოა გულისხმობს მომავალი მოქმედების წარმოდგენის არსებობას, ე.ი. ცნობიერების წარმოქმნას. იგი გულისხმობს შრომის განაწილებასაც, ანუ სოციალურ ურთიერთობათა დამყარებას თავისი შინაარსით არაბიოლოგიური ქცევის საფუძველზე ეს ნიშნავს შრომითი ოპერაციების მაგერიალიზაციას (იარაღის ფორმაში), ამ გამოცდილების შენახვას და შემდგომი თაობებისთვის გადაცემას.

ცხოველთა საგნობრივ ქცევას ჩამოთვლილი ნიშნები არ ახასიათებს. ცხოველები იარაღს გამოიყენებენ მხოლოდ ბიოლოგიური მოტივების საფუძველზე და მხოლოდ კონკრეტულ სიტუაციაში. ისინი არასოდეს შედიან ერთმანეთთან ურთიერთობაში იარაღის გამოყენებასა და, მით უფრო, მის დამზადებასთან დაკავშირებით. ყოველივე ეს საშუალებას იძლევა, ცხოველის

მიერ იარაღის გამოყენება განისაზღვროს, როგორც ბიოლოგიური ადაპტაციის ერთ-ერთი ფორმა. მას მხოლოდ გარეგანი მსგავსება აქვს ადამიანის შრომით საქმიანობასთან.

ბოლოს, ჩამოეთვალთ მთავარი თავისებურებანი, რომლებიც განასხვავებენ ცხოველთა ფსიქიკურ აქტივობას ადამიანის ფსიქიკისაგან.

1. ცხოველების მთელი აქტივობა განსაზღვრულია ბიოლოგიური მოტივებით. ეს კარგადაა გამოხატული ერთ ცნობილ გამოწინააღმდეგარში: ცხოველს არ შეუძლია უაზრო რაიმეს გაკეთება, ამის უნარი მხოლოდ ადამიანს გააჩნია.

2. ცხოველების მთელი ქცევა შეზღუდულია თვალსაჩინო კონკრეტული სიგუაციების ჩარჩოებით. მათ არა აქვთ უნარი, დაგეგმონ მოქმედება, იხელმძღვანელონ წარმოდგენილი მიზნით. მათთვის არ არსებობს მომავალი. ეს მკლავდება მაგალითად იმაში, რომ ისინი ვერ ამზადებენ იარაღს შესანახად.

3. ცხოველების ქცევის საფუძველი ყველა სფეროში, ენისა და ურთიერთობის ჩათვლით, არის თანდაყოლილი სახეობითი პროგრამები. დასწავლა მათთან შეზღუდულია ინდივიდუალური გამოცდილების შეძენით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელი ხდება სახეობითი პროგრამების შეგუება ინდივიდის არსებობის კონკრეტულ პირობებთან.

4. ცხოველებთან არ არსებობს თაობათა გამოცდილების განმტკიცება, დაგროვება და გადაცემა მატერიალური კულტურის საგნების ფორმაში, მეტადრე ენის საშუალებით.

თავი IV. ფსიქიკის ცვალებადობა მენტოგენეზში

§ 1. ფსიქიკური მენტოგენეზის ზოგადი საკითხები

განვითარება, საზოგადოდ, რაიმეს პროგრესულ ცვალებადობას ნიშნავს. ფსიქოლოგიაში ეს არის შედარებით ნაკლებ სრულყოფილი ფსიქოფიზიოლოგიური და ფსიქიკური მდგომარეობიდან უფრო სრულყოფილში, მარტივიდან რთულში, დაბლიდან მაღალში გადასვლის პროცესი.

ფსიქიკის განვითარება ორ ფორმაში რეალიზდება: ფილოგენეტიკურში და ონტოგენეტიკურში. ფილოგენეზი ქვევისა და ფსიქიკური სტრუქტურების განვითარებაა, რომელიც სახეობათა ბიოლოგიური ევოლუციის პროცესში ხორციელდება (იხ. თავი III). ონტოგენეზი იმ ცვლილებებს მოიცავს, რომელთაც განიცდის ცალკეული ინდივიდი მთელი ცხოვრების განმავლობაში. ეს ცვალებადობა ხორციელდება ინდივიდის სამ უმნიშვნელოვანეს ფუნქციონალურ სფეროში: ფიზიკური სფერო (ანატომიურ-ფიზიოლოგიური სტრუქტურები და მოტორული უნარ-ჩვევები), კოგნიტური სფერო (შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები და გონებრივი უნარ-ჩვევები) და ფსიქოსოციალური სფერო (პიროვნული თვისებები და სოციალური ჩვევები).

ონტოგენეზი არ არის მხოლოდ ფიზიკური, კოგნიტური ან სოციალურ-პიროვნული განვითარება, თუკი განვითარებაში მატება და ზრდა იგულისმება. განვითარება შეიძლება შეწყდეს, გაჩერდეს, ანდა დაიწყოს უკან დახვეის, დეგრადაციის პროცესებიც. აქ ორი გარემოებაა გადამწყვეტი – რა ასაკში და რა სფეროში მიმდინარეობს პროცესი. ჩასახვიდან ბავშვობის დასრულებამდე განვითარება, არსებითად, ზრდა და პროგრესია. ეს ორგანიზმისა და პიროვნების ყველა ფუნქციონალურ სისტემას ეხება. მაგულობს ძალაც, ცოდნაც, ჭკუაც, სოციალური გამოცდილებაც და პიროვნული სიმწიფეც, თუმცა განსხვავებული გემპითა და თანმიმდევრობით.

შემდგომი ცხოვრების გარკვეულ პერიოდში, მოგიერთ სფეროში, ჩვენი შესაძლებლობები ძალზე ნაკლებად ან სულაც აღარ მაგულობს, ვინაიდან ამ ეტაპისთვის ინდივიდის ფიზიკური, სენსორული თუ ინტელექტუალური განვითარება არსებითად

დასრულებულია. ამიგომაც ეწოდება მას ზრდასრულობის ხანა. გარკვეული პერიოდიდან კი ინდივიდის მთელი რიგი ფუქციონალური სისტემები დაქვეითებას იწყებს.

ზრდასთან და ფორმირებასთან არის დაკავშირებული მომწიფების ცნებაც, ოღონდ ამ შემთხვევაში პროგრესული ცვალებადობა თანდაყოლილი პროგრამის შესაბამისად მიმდინარეობს. ასეა, მაგალითად, ემბრიონალური (პრენატალური) განვითარების დროს, როცა ჩანასახი მკაცრად განსაზღვრულ სტადიებს გაივლის. არსებითად იგივე ხდება მოგორული სფეროს განვითარებისას: თავის დაჭერა, ჯდობა, დგომა, ხოხვა, სიარული დახმარებით და დახმარების გარეშე და ა.შ. მოგორული აპარატის მომწიფების ტემპი შეიძლება განსხვავდებოდეს, მაგრამ ეტაპების თანმიმდევრობა გენეტიკურად დაპროგრამებულია და უცვლელი. არცერთი ბავშვი არ იწყებს სიარულს უფრო ადრე, ვიდრე ჯდომას ან დგომას. ნათელია ისიც, რომ სიჭკვის სათქმელად ჯერ ბგერების წარმოთქმა უნდა აითვისო. ქვემოთ დავინახავთ, რომ მეტყველებაც და ამროვნებაც გარკვეული წინასწარმოცემული პროგრამის მიხედვით ვითარდება.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ადამიანის განვითარება მხოლოდ მომწიფების ანუ თანდაყოლილი მექანიზმების მოქმედების შედეგია? რა თქმა უნდა, არა. განვითარებასა და, საზოგადოდ, ონტოგენეზში უდიდეს როლს გარემოსეული ფაქტორები ასრულებს. გარემო დაბადებამდეც კი მოქმედებს ჩვენზე. დედის ცხოვრების წესმა ან ავადმყოფობამ შეიძლება მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანოს ემბრიონალურ განვითარებაში. გარემო აფერხებს ან აჩქარებს გენეტიკურად განსაზღვრულ მომწიფების პროცესებს. მოგორული განვითარების სტიმულირება შეიძლება სპეციალური ფარჯიშებით; მეტყველების განვითარებასაც თავისი გრაფიკი აქვს, მაგრამ „ლინგვისტიკურად მდიდარ“ გარემოში – იქ, სადაც ჩვილს სულ ელაპარაკებინ, წაახალისებენ სამეტყველო ბგერების წარმოთქმისას, ბავშვები უფრო ადრე იდგამენ ენას. ხოლო თუკი ბავშვი არაენობრივ გარემოში აღმოჩნდება, მაშინ ის არც ამეტყველდება და მეტყველების უნარი აგროფიას განიცდის (იხ. თავი I და XIV). ადამიანის ონტოგენეზში სხვა მრავალი ისეთი სფეროცაა, რომლებშიც გადამწყვეტი მნიშვნელობა გარემოს გე-

გაეღწეოს და ამ გარემოში მიღებულ გამოცდილებას, სწავლა-აღზრდას ენიჭება.

წარსულს ჩაბარდა ის დრო, როდესაც გადამწყვეტი უპირობო გესობა თანდაყოლილ ან შეძენილ მხარეს ენიჭებოდა. არადა, ასეთ მოსაზრებებს მეცნიერული აზრის სათავეებთან მიეყავართ. ასალ დროშიც, ბავშვის განვითარების მამოძრავებელ ძალებთან დაკავშირებით, მკაფიოდ გამოიკვეთა ორი თვალსაზრისი. ემპირისტული შეხედულების თანახმად, ის, თუ როგორ განვითარდება ბავშვი და რა პიროვნებად ჩამოყალიბდება, მთლიანადაა განსაზღვრული ემპირიული გამოცდილებით. XVII საუკუნეში ჯონ ლოკი ამბობდა, რომ ადამიანი დაბადებიდან “სუფთა დაფას” ჰგავს, რომელზეც გარემოს ზემოქმედების (პირველ რიგში სწავლა-აღზრდის) მეშვეობით იწერება ყველაფერი – ცოდნაც, ჭკუაც და ხასიათიც. ასევე, XX საუკუნეში ბიპევიორისტი ჯ. უოტსონი ამბობდა, რომ მეცნიერული ფსიქოლოგიის მეთოდებით შესაძლებელია ნებისმიერი ჩვილის აღზრდა ნებისმიერ ადამიანად: ექიმად, მხატვრად, ქურდად, იურისტად ან ინდიელთა ბელადად. საპირისპირო, ნატურისტული შეხედულებით, ბავშვი ვითარდება მხოლოდ ბუნების მიერ ჩანერგილი გეგმის შესაბამისად. მაგალითად, ჟან ჟაკ რუსო ამბობდა, რომ განვითარების პროცესი მხოლოდ შინაგანად არის განსაზღვრული. გარემო, კერძოდ აღზრდა, მხოლოდ პირობებს ქმნის განვითარების თანდაყოლილი გეგმის განსახორციელებლად.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში და, სახელდობრ, ფსიქიკური ონტოგენეზის შემსწავლელ ასაკობრივ ფსიქოლოგიაში, ორივე ეს შეხედულება გაერთიანებულია ინტერაქციული თვალსაზრისის ფარგლებში. დღეს მეცნიერებისთვის ნათელია, რომ თითქმის ყოველგვარი დინამიკური პროცესი ფსიქიკაში, ყოველი ფსიქოფიზიოლოგიური, კოგნიტური, პიროვნული თუ ქცევითი ხასიათის ცვლილება ონტოგენეზში შედეგია ორმხრივი ზემოქმედებისა – გენეტიკური და გარემოსეული, ანუ თანდაყოლილი და შეძენილი ფაქტორების ურთიერთქმედებისა (ინტერაქციისა).

განვითარების ორივე ფაქტორის აუცილებლობის გაცნობიერების მიუხედავად, გამოსაკვლევი რჩება მათი გავლენის თანაფარდობა ფსიქიკური ცხოვრების სხვადასხვა ასპექტში. უკვე არსებული მონაცემები მიუთითებს, რომ, მაგალითად, გემპერამენ-

გის სუერო უურო გენეგიკურად არის განსამღერული; პიროვნულ ნიშან-თვისებათა ჩამოყალბებაზე თითქმის თანაბარ გავლენას ახდენს მემკვიდრული და გარემოსეული დეტერმინანტები, ხოლო „მე-კონსეფუცია“, სოციალური და მნეობრივი განწყობები ან მსოფ-ლმხედველობრივი პოზიცია, უპირატესად სწავლა-აღზრდისა და სოციალური გარემოცვის თავისებურებებითაა გაპირობებული.

ასაკობრივი ფსიქოლოგიის კიდევ ერთი მუდმივი და აქტუა-ლური საკითხი ეხება იმას, თუ რა სტადიებს გაივლის ადამიანი ონტოგენეზის პროცესში, როგორი თანმიმდევრობა და რა ხასი-ათი აქვს მის ფსიქოფიზიოლოგიურ, კოგნიტურ და ფსიქოსოცია-ლურ ცვალებადობას ცხოვრების სხვადასხვა ეტაპზე. სხვაგვარად რომ ვთქვათ, შესწავლის საგანია ასაკობრივ პერიოდობა-ციასთან დაკავშირებული პრობლემატიკა.

არსებობს პერიოდობაციის მრავალი მცდელობა; ავტორები სხვადასხვა კრიტერიუმებისა და პრინციპების მიხედვით გამოკ-ვეთდნენ ფსიქიკური ცხოვრების განსხვავებულ სტადიებს, განსა-კუთრებით ბავშვის ფსიქოლოგიის ფარგლებში. ამჟამად მეგ-ნაკ-ლებად შეთანხმებული პერიოდობაცია მოიცავს შემდეგ საფეხუ-რებსა და ქვესაფეხურებს:

1. მუცლადყოფნა – ჩასახეიდან დაბადებამდე;
2. ბავშვობა – დაბადებიდან 18-19 წლამდე.

ბავშვობა მოიცავს 4 სტადიას:

- 2.1 ჩვილობა – დაბადებიდან 1,5-2 წლამდე;
- 2.2. ადრეული ბავშვობა ანუ ყრმობა – 1,5-2-დან 5-6 წლამდე;
- 2.3. შუა ბავშვობა ანუ ყმაწვილობა – 5-6-დან 11-13 წლამდე
- გოგონასთვის – საშუალოდ 11-12-მდე, ვაჟისთვის – 12-13-მდე.
- 2.4. მოზარდობა – 11-13-დან 18-19 წლამდე;
3. ზრდასრულობა – 18-19-დან 60-65 წლამდე.

ზრდასრულობა მოიცავს 2 სტადიას:

- 3.1. ახალგაზრდობა – 18-19-დან 40 წლამდე;
- 3.2. მოწიფულობა – 40-დან 60-65 წლამდე.
4. ხანდაზმულობა – 60-65-დან გარდაცვალებამდე.

ასაკობრივი პერიოდებისა თუ სტადიების ცნებასთან მჭიდრო-დაა დაკავშირებული ადამიანის განვითარების კრიტიკული პერი-

ოღების არსებობის იდეა. ესაა ერთგვარი გარდატეხის პერიოდები, გარდამავალი ეტაპები, როდესაც უნდა მოხდეს გარკვეული ცვლელელები, რათა განვითარება ნორმალურად გაგრძელდეს.

ადამიანის ცხოვრების ცალკეულ პერიოდებში ინდივიდი განსაკუთრებით მგრძობიარე ხდება გარკვეულ ზემოქმედებათა მიმართ, რის გამოც წარმოიქმნება საუკეთესო (ოპტიმალური) პირობები ამა თუ იმ ფსიქოფიზიკური თუ ფსიქიკური ფუნქციის განვითარებისთვის. თუკი ასეთი „მგრძობიარების“ პერიოდის განმავლობაში ფსიქიკური მოქმედების რომელიმე ასპექტი არასაკმარისად ჩამოყალიბდა, მან შეიძლება შემდგომში ეელარც მიაღწიოს განვითარების პოტენციალში ჩადებულ ღონეს. ამგვარ პერიოდებს ეწოდება სენზიგური პერიოდები. მაგალითად, აღრეული ბავშვობა ენის ათვისების სენზიგური პერიოდია. ბავშვები, რომლებიც 6 წლამდე საკმარისად ვერ ეზიარენ ენას, შემდგომში, შესაძლოა, ნორმალურად ვერც ამეგყველდნენ. ამას მოწმობს, თუნდაც, იმ შემთხვევების ანალიზი, როდესაც ბავშვები იზრდებოდნენ ადამიანებისაგან იზოლირებულ გარემოში.

ასევე, 6-9 წლის ასაკი ხაგობრივი წარმოდგენის სენზიგური პერიოდია, ხოლო 10-15 წლის ასაკი – ლოგიკური აზროვნებისა, 12-18 წლის ასაკი – თანაგოლებთან სოციალურ ურთიერთობათა და სოციალიზაციისა.

ცხადია, რომ სენზიგური პერიოდების არსებობა-არარსებობა, ინგენსივობა და ხანიერება დიდწილად განსაზღვრავს იმას, თუ რა, როდის და როგორ ვასწავლოთ ბავშვს.

სენზიგური პერიოდები შეიძლება გავიაროთ შეუფერხებლად ან სირთულეებით, მაგრამ აქ გაჩენილი პრობლემები უნდა განვასხვავოთ ე.წ. ასაკობრივი კრიზისებისაგან. მათ ხშირად ბიძგს აძლევს ინდივიდის ფიზიკური და ფსიქიკური ძალების ცვალებადობა (მაგება-კლება), რომელსაც პიროვნული სფეროს გრანსფორმაცია, ფსიქოსოციალური სგაგუსის გადასხვაფერება მოჰყვება. ასეთია, მაგალითად, პირველი კრიზისი, 3-5 წლის კრიზისი. საშუალოდ 3 წლიდან ბავშვი აცნობიერებს საკუთარ მეობას, საკუთარ ნებელობას, ჭარბად იწყებს I პირის გმნებისა და ნაცვალსახელების ხმარებას (აღრე კი საკუთარ თავზე ხშირად III პირში საუბრობდა), მრავალ რამეზე ამბობს „ჩემია!“, აღარ ეგუება აღმზრდელთა გადაჭარბებულ მზრუნველობას და ცდილობს

თვითღამკვიდრებას, როგორც დამოუკიდებელი ინდივიდი; ეს ელინდება უაზრო ჭირვეულობასა და სიჯიუტეში, თვითნებობაში და ა.შ. ამიგომ ეწოდება 3-5 წლის ხანას „პირველი ჭირვეულობის (ჯინიანობის) ხანა“.

თუკი ბავშვმა პირველი ან მომდევნო კრიზისის ხანა არა-ჯანსაღად გაიარა (მაგალითად, ზედმეტი შეზღუდვით ან ზედმეტი მიშვებულობით), მაშინ კრიზისისთვის დამახასიათებელი მოვლენები მომდევნო წლებშიც გაგრძელდება, ზოგჯერ სიცოცხლის ბოლომდეც კი (და, შესაძლოა, ნევროზის მიზეზიც გასდეს).

ყველაზე ცნობილი ასაკობრივი კრიზისი მოზარდობაში ხდება, ესაა სქესობრივი მომწიფების ანუ გარდაცხვის ხანა, 11-13-დან 15-16 წლამდე. ამ დროს მართლაც ხდება თვისებრივი ხასიათის ძვრები განვითარების ყველა სფეროში: სერიოზული ორგანიზმული ცვლილებები (ზრდა, გარეგნობის ცვლილება, სქესობრივი მომწიფება და ა.შ.), აქედან გამომდინარე განცდები, ემოციური არასტაბილობა, ახალი ინტერესები, ღირებულებები, პიროვნების, მეკონცეფციის ფორმირება, გაორებული მდგომარეობის (არც ზრდასრულია და აღარც პაგარა ბავშვი) გადალახვისკენ ძლიერი სწრაფვა ანუ დიდობისკენ მისწრაფება და ა.შ. ეს ყველაფერი ქმნის მოზარდობის კრიზისის სიმპტომებს; ესენია: ნევაგვიზმი, არასრულყოფილების განცდა, მძაფრი მგრძნობიარობა კრიტიკისადმი, თანაგოლთა გაერთიანება შეკრულ ჯგუფებად, უფროსებთან უაზრო დაპირისპირება და სხვა. არსებითია ის, რომ მოზარდი შედარებით შორდება ოჯახს და თავს იმკვიდრებს საზოგადოებაში, კერძოდ, თანაგოლთა საზოგადოებაში (ხოლო 3-5 წლის ბავშვი თავს სწორედ ოჯახში იმკვიდრებდა). ამიგომ მოზარდი ძალიან, ზედმეტად სოციალური ხდება.

ორივე ეს კრიზისი ბუნებრივი და აუცილებელია და აღმზრდელებმა უნდა იცოდნენ ეს, რათა გავებით მოეკიდნონ ბავშვის ბუნებრივ ჭირვეულობას. ბავშვის როგორც მკაცრი დასჯა და შეზღუდვა, ისე მეტისმეტი გათამამება გამოუსწორებელ ზიანს აყენებს მის პიროვნულ განვითარებას.

ხშირად ლაპარაკობენ შუახნის კრიზისზე, რომელიც დაახლოებით 40-50 წლის ასაკში იჩენს თავს. იგი დაკავშირებულია მომავლის დასრულებულობისა და საკუთარი განვითარების „ჭერის“ ხილვასთან, განვლილი გზის შეფასებასთან და დარჩენილი

ცხოვრების პერსპექტივების გააზრებასთან. ამ კრიზისის დროს ადამიანები ზედმეტად ემოციური ხდებიან, განიცდიან ახალგაზრდობის დაკარგვასთან, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ ძლიერ შოთხვას, აწუხებით ფიქრები უამროდ განვილი წლებზე არარეალიზებულ შესაძლებლობებზე და ა.შ.

აღინიშნება სხვა ასაკობრივი კრიზისებიც. ერიკ ერიქსონი, მაგალითად, რვა კრიზისს და, შესაბამისად, რვა უსიქოსოციალურ სტადიას გამოყოფს. ყოველ სტადიაზე ჩნდება კონფლიქტი ინდივიდში ამ მომენტისთვის ჩამოყალიბებულ მე-სა და ახალ სოციალურ და პიროვნულ მითხოვნებს შორის. კრიზისი აუცილებლად წარმოიქმნება, რადგან სოციალური და ფიზიკური გარემო ყველა სტადიაზე ახალი ამოცანების წინაშე აყენებს ინდივიდს; ყოველ სტადიაზე ახალი სოციალურ-პიროვნული თვისების ფორმირება ხდება – დადებითის ან უარყოფითის. ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რაძღენად წარმატებით დაძლია ინდივიდმა კრიზისი.

პირველ სტადიაზე (დაბადებიდან 1 წლამდე) კრიზისი დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ უკმაყოფილებს მომეღელი პირი ბავშვს მთავარ სასიცოცხლო მოთხოვნებებს. შესაბამისად, ვითარდება ან ბაზისური ნდობა გარემოსადმი, ან უნდობლობა.

მეორე სტადიაზე (1-3 წ.) კრიზისი უკავშირდება გუალეგთან მიჩვევასა და პიგიენას. იმის მიხედვით, თუ როგორ იქცევიან ამ შემთხვევაში მშობლები (დახმარება ან მკაცრი კონტროლი), ბავშვს ვითარდება ავტონომიურობა (თვითმყოფალობა) ან სირცხვილი და დაურწმუნებლობა.

მესამე სტადიაზე (3-6 წ.) კრიზისი სოციალიზაციის პრობლემასთანაა დაკავშირებული. ბავშმა უნდა გაითავისოს საზოგადოებაში მიღებული ნორმები და შეუფარდოს მათ თავისი აქტივობა. შედეგად ყალიბდება ინიციატივა ან დანაშაულის განცდა.

მეოთხე სტადიაზე (6-12 წ.) ბავშვს უნდა გამოუმუშავდეს სერიოზული საქმის კეთების, სწავლის, დამოუკიდებელი მუშაობის უნარი. აქედან გამომდინარე, შეიძლება მოხდეს შრომისმოყვარეობის ან არასრულყოფილების ფორმირება. 4

მესხუთე სტადიაზე (მოზარდობა) კრიზისის მთავარი თემებია თანაგოლებთან ურთიერთობა, პროფესიისა და ცხოვრების შემდგომი ცმის არჩევა. აქ გადამწყვეტი ხდება საკუთარი მე-ს, უნარების ადეკვატური გაცნობიერება, წარსული გამოცდილებისა

და მომავალი მიზნების ინტეგრაცია პიროვნების სტრუქტურაში. ამ გზაზე წარმატების შემთხვევაში ვითარდება თვითიდენტურობა, წარმატებლობის შემთხვევაში – აღრეული იდენტურობა.

მეექვსე სტადიაზე (ახალგაზრდობა) კრიზისი სხვა ადამიანებთან, უპირატესად საპირისპირო სქესის წარმომადგენლებთან ახალ ურთიერთობათა დამყარებას და ოჯახის შექმნას უკავშირდება. წარმატებული გამოცდილება ამ სარბიელზე ავტონომიურობას აჩენს, წარუმატებელი – იმოლაციას.

მეშვიდე სტადიაზე (სამშუალო ასაკი) ადამიანის სამზუნავი ისაა, რომ შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი აქტიურობა და შემოქმედებითობა მოლეაწეობის ყველა სფეროში (ინტიმური კავშირი, შეილები ალბრდა, პროფესიული საქმიანობა და ა.შ.). თუ ეს მოხერხდა, ვიღებთ პროდუქტიულობას, თუ არა – სტაგნაციას.

მერვე სტადიაზე (ხანდაზმულობა) ადამიანმა უნდა შეაჯამოს თავისი ცხოვრება, როგორც მთლიანობა, რომელშიც მან განახორციელა თავისი თავი ამ შემთხვევაში მას არ აზინებს სიკვდილის გარდაუვალობა, რადგან ხელავეს თავის გავრძელებას შთამომავლობასა და შემოქმედებით წარმატებებში. იგი ხდება ინტეგრირებული. წინააღმდეგ შემთხვევაში მას სასოწარკვეთილება იპყრობს.

ერიქსონი ფსიქონალიზური სკოლის წარმომადგენელია, მაგრამ ფროიდისგან განსხვავებით, ამტკიცებს, რომ პიროვნების ქმნადობის პროცესი არ მთავრდება გარდამავალ ასაკში; იგი გრძელდება მთელი სასიცოცხლო ციკლის განმავლობაში. ის, თუ რამდენად ცვალებადია რეალურად ადამიანის პიროვნულ-სოციალური სფერო, თანამედროვე ფსიქოლოგიის აქტუალური და საკამათო საკითხია. გარკვეული მონაცემები ამასთან დაკავშირებით ქვემოთ იქნება წარმოდგენილი (იხ. თავი VIII და XV). სამოგადოდ კი შეიძლება ითქვას, რომ ონტოგენეზი სტაბილობაცაა და ცვალებადობაც. სტაბილობა გვეხმარება, შევინარჩუნოთ სოციალური ურთიერთობები და დამოუკიდებლობა; ცვალებადობა ქმნის დინამიკურ რეალობასთან შეგუებისა და თვითსრულყოფის შესაძლებლობას.

§ 2. ბავშვობა

სპერმაგოზოიდის კვერცხუჯრედთან შეერთებით წარმოიქმნება უჯრედი – ზიგოტა – რომელიც ატარებს ასალი ორგანიზმის შექმნისათვის საჭირო გენეტიკურ ინფორმაციას. მისი სწრაფი გამრავლების შედეგად უკვე 8 კვირის განმავლობაში ხდება ჩანასახის სტრუქტურული განვითარება. სხეულის მრღა არათანაბრად მიმდინარეობს: ზედა ნაწილი უფრო სწრაფად იზრდება, ვიდრე – ქვედა, ხოლო განი უფრო სწრაფად ვითარდება, ვიდრე კიდურები. ჩასახვიდან 6 თვის ბოლოსთვის შინაგანი ორგანოები უკვე იმდენად არის განვითარებული (ფუნქციონირებს შეგრძნების ორგანოები, ჩნდება წოვის, ძლიერ ბგერებზე რეაგირების და სხვა რეფლექსები), რომ ნაადრევი მშობიარობის შემთხვევაში ნაყოფმა შეიძლება შეინარჩუნოს სიცოცხლე.

მუცლადყოფნის მთელ პერიოდში ნაყოფის განვითარებაზე გავლენას ახდენს გენეტიკური და გარემო ფაქტორები: დედის მიერ მავნე ნივთიერებათა (თამბაქო, ალკოჰოლი, ნარკოტიკი, წამლები) მოხმარებამ შეიძლება გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს ნაყოფს.

უაღრესად მნიშვნელოვანი მოვლენაა ბავშვის დაბადება. დუშნაძის მართებული აზრით, ჯანსაღი ბავშვი თვითონ იბადება, თვითონ იწყებს და ამთავრებს დედის მუცლიდან გამოსვლის პროცესს (ისევე როგორც ჯანსაღი გამოუჩეკელი წიწილა თვითონ იწყებს კვერცხის ნაჭუჭის მგერევას შიგნიდან). ესაა პირველი მძლავრი გამოვლინება ფუნქციონალური გენდენციისა – ანუ შინაგან შესაძლებლობათა ამოქმედებისა და გაშლა-განვითარების თანდაყოლილი მისწრაფებისა. ამავე მისწრაფების გამოვლინებებია ბავშვის მოუსვენრობა, კუნტრუში, ცელქობა, თამაში, ცნობისმოყვარეობა და სხვა შიგნიდან მომდინარე აქტივობა (ყველა ეს აქტივობა მრღასრულსაც ახასიათებს, ოღონდ მისთვის უფრო გიჟურია რაიმეს კეთების მოთხოვნილება და შემოქმედება).

ახალშობილი სიცოცხლისუნარიანი არსებაა. მიუხედავად ძლიერი სტრესისა, როგორცაა მშობიარობა, იგი ახერხებს შეგუებას გარემოსთან თანდაყოლილი მექანიზმების საშუალებით. იგი არსებობას იწყებს არა მხოლოდ ფიზიკურ, არამედ სოციალურ გარემოში, რომელიც, უმეტეს შემთხვევაში, შეესაბამება ცოცხალი ორგანიზმის ძალთა განვითარების დონეს. ბავშვის

ძალთა განვითარება მასზე მოქმედ ასაკობრივ გარემოზეა დამოკიდებული – ამბობდა დ. უმნაძე.

ახალშობილის პერცეპტული და მოგორული ჩვევების განვითარება ხელს უწყობს სხვა სისტემების განვითარებას. უპირველეს ყოვლისა, ვითარდება თავის მოძრაობის უნარი, 5 თვიდან ბავშვს შეუძლია ჯდომა და ცდილობს ხელით საგნების ტაცებას, 9-10 თვის ასაკში იწყებს ხოხეას, 1 წლისა კი ცდილობს დამოუკიდებლად ფეხზე დგომას და სიარულს. ყველაფერი, რასაც ბავშვი აკეთებს თავისი ცხოვრების პირველ წლებში, ხდება ფიზიკური, კოგნიტური, სოციალური და ემოციური განვითარების საფუძველი.

2-3 წლის ასაკში ყველაზე შესამჩნევია ცვლილებები მსხვილი მოგორიკის განვითარებაში – ბავშვს აქვს ისეთ მოძრაობათა შესრულების უნარი, რომლებიც მთელი სხეულის მონაწილეობას ითხოვს (მაგ., სირბილი, ხგომა). უფრო ნელა ხდება წერილი მოგორიკის განვითარება. ეს არის ხელის მგვენითა და თითებით მცირე ამპლიტუდის მოძრაობების (მაგ., ხატვა, კოვზის ხმარება) შესრულების უნარი. 6-7 წლისთვის ვითარდება თვალისა და ხელის კოორდინაცია, რაც უაღრესად მნიშვნელოვანია წერის დაუფლებისთვის.

დაბადებიდან პირველსავე დღეებში ახალშობილებს შეუძლიათ დედის სახის, ხმის, სუნის ცნობა. პირველ თვეებში ვითარდება სამეცხველო და არასამეცხველო ბგერების გარჩევის უნარი, ვიზუალური და მოგორული აქტივობის კოორდინაცია და სიღრმის აღქმა.

პირველი წლის ბოლო თვეებში ბავშვი ახერხებს ბგერათა კომპლექსების წარმოთქმას, მაგრამ მეცხველებას წლინახევრის ასაკიდან იწყებს. მისი ლექსიკური მარაგი ჯერ არსებითი სახელებით მდიდრდება, შემდეგ მზნებითა და სხვა კატეგორიის სიტყვებით. მეორე წლის ბოლოსთვის რამდენიმესიტყვიან წინადადებებს წარმოთქვამს, ორწლინახევრის ბავშვს კი შეუძლია დამოკიდებულ წინადადებათა ჩამოყალიბება – ე.ი. ის არა მარტო აზრების ლოგიკურ დამოკიდებულებას ხედება, არამედ იმასაც, რომელია მთავარი და რომელი – დამოკიდებული. თუმცა თვით ამ ლოგიკურ მიმართებათა წედომა ყველაზე მეტად სწორედ მეცხველებას ემყარება – ბავშვი ჯერ ენით ეუფლება ლოგიკას (როცა ისმენს ზრდასრულთა საუბრებს, ლექსებს და ზღაპ-

რებს, თან ურამებს თვითონაც იმეორებს) და შემდეგ – ამროვნებით. მეტყველების დაუფლების გეში ინდივიდუალურია. ამავე დროს, დედაენის შეთვისების ძირეული კანონზომიერებანი და პერიოდები, როგორც ჩანს, უნივერსალურია ყველა ბავშვისთვის და, ამდენად, აღამისანის განვითარების თანდაყოლილი პროგრამითაა განსაზღვრული (იხ. თავი XIV).

3-4 წლის ასაკში ბავშვები უკვე ეუფლებიან გრამატიკულ წესებს (პრაქტიკულად), სწრაფად იმდიდრებენ ლექსიკას (ხშირად 2-3 სიტყვით დღეში). ბავშვები უბრალოდ კი არ წარმოთქვამენ სიტყვებს და ურამებს. ისინი საუბრობენ უფროსებთან, ერთმანეთთან და საკუთარ თავთანაც კი. ამ უკანასკნელს „ეგოცენტრული მეტყველება“ ეწოდება. მისი სიხშირე 4-5 წლამდე მაგულობს, 8 წლისათვის კი მცირდება. 6-12 წლებში თვალმისაცემია ბეპირი მეტყველების განვითარება, მაგრამ მთავარი მაინც წერაკითხვის დაუფლებაა. კითხვა არაა ასობის ცნობა და გახმონება, წერა კი – წვრილი მოგორიკის ჩვევების განვითარება. კითხვა არის დაწერილი ტექსტის ამრის გავება, ხოლო წერა – ამრის წერილობითი ფორმით გამოსხგვა-გადაცემა. ეს ითხოვს ყურადღების, აღქმის, მეხსიერების, ამროვნების განვითარებას. ამ უნარ-ჩვევათა განვითარება მნიშვნელოვნადაა გაპირობებული სოციალ-კულტურული გარემოთი, ისევე როგორც თანდაყოლილი მონაცემებით.

ამროვნების განვითარება ყველაზე ფუნდამენტურად კან პი აემ შეისწავლა. მისი თეორიის წანამძღვარია ბავშვის დიდი აქტიურობა და შემოქმედებითობა, რომელიც თანმიმდევრულად გაივლის განვითარების 4 საფეხურს. ხოლო ლეე ვიგოტსკიმ მეტყველების გადამწყვეტი მნიშვნელობა წარმოაჩინა.

I. სენსომოტორული ანუ „პრაქტიკული“ ინტელექტის სგადია – დაბადებიდან 1,5-2 წლამდე. ამ ასაკის ბავშვი, ისევე როგორც ცხოველი, მსოლოდ აღქმითა და მოძრაობებით შეიმეცნებს სამყაროს, ანუ „კუნთებით ამროვნებს“. მისთვის არსებობს მსოლოდ ის, რასაც ხედავს და ხელს კეილებს. საკუთარი აქტიუობით ბავშვს სენსომოტორულ დონეზე უმუშავდება ის სქემები, რომლებიც შემდგომში ლოგიკური ამროვნების საფუძველი გახდება (სქემების გაშინაგანებით ანუ ინტერიორიზაციით). ამიგომ ბავშ-

ვის მოუსვენრობას გონებრივი განვითარებისთვისაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

II. ნივთიერ-ხატობრივი აზროვნების სტადია – 1,5-2 წლიდან 5-6 წლამდე. სენსომოტორული აქტივობა კელაუ უმნიშვნელოვანესია, ამასთან, ბაემეი უკვე მეტყველებს. მაგრამ მას ჯერ არ ძალუძს გონებაში მსჯელობა და წარმოდგენილ ხატებზე მოქმედებათა ჩატარება, ის მხოლოდ ხმამაღლა ან ბუტბუტით მეტყველებს (რაც მისი აზროვნებაა), თანაც შესაბამისი საგნები თვალწინ უნდა ჰქონდეს. მისი მეტყველება – და ე.ი. აზროვნებაც – მიჯაჭვულია კონკრეტული საგნების კონკრეტულ ხატებზე. მაგალითად „გრანსპორტი“ ამ სტადიაზე შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი კონკრეტული ავტომანქანის ან ავტობუსის კონკრეტული ხატი (რომელიც ბავშვისთვის ყველაზე ნაცნობია), აგრეთვე მათი მსგავსი საგნები, მაგრამ არა, მაგალითად, ეგლი, მაგარებელი ან ველოსიპედი.

III. წარმოდგენით-ხატობრივი აზროვნების სტადია – 6-7 წლიდან 9-11 წლამდე. ყმაწვილს საუკეთესოდ შეუძლია ხატობრივ-სურათოვანი წარმოდგენა, მისი მხედველობითი მეხსიერება ზრდასრულისასაც კი სჯობნის. აზროვნება უკვე ინტერიორიზებულია – ყმაწვილი გონებაშიც მსჯელობს, წარმოდგენით მოქმედებებსაც აგარებს, ოღონდ მხოლოდ ისეთებს, რომლებსაც თვალსაჩინო საყრდენი მოეპოვება, ხოლო არათვალსაჩინო მიმართებათა და აბსტრაქციების წედომა არ ძალუძს. წარმოდგენილი ხატები განზოგადებადია, მაგალითად გრანსპორტი ამ სტადიაზე – ესაა რაღაც ბორბლებიანის განზოგადებული სქემატური ხატი და ის საგნები, რომელთა ხატები ამ სქემაში ჯდება, მაგალითად: მაგარებელი, ველოსიპედი, ეგლი, ურემი, სათამაშო ავტომანქანა და სხვა; მაგრამ არა ნავი, გივი, თვითმფრინავი ან მარხილი (თუკი ყმაწვილს უფროსებისგან არ დაუმასხოვრებია, რომ ესენიც გრანსპორტია; თუმცა ამ შემთხვევაშიც ბავშვი მათ გაუაზრებლად მიაკუთვნებს გრანსპორტს).

IV. ლოგიკური ანუ ცნებითი აზროვნების სტადია – იწყება 9-11 წლიდან და უმაღლეს განვითარებას 15-17 წლისთვის აღწევს. მოზარდს უკვე შეუძლია არათვალსაჩინო მიმართებათა და აბსტრაქციების წედომა, ფორმალურ ლოგიკურ მოქმედებათა ჩატარება (იხ. თავი XIII). ამ სტადიაზე გრანსპორტი – ესაა აბსტრაქ-

გული ცნება, დამოუკიდებლად სურათებისა და სქემებისგან. ცნება კი მისი სიგყვიერი განმარტებით მოიცემა. მაგალითად: გრანსპორგი – გადაადგილების ან ბარგის გადაგანის საშუალება. ამიგომ სათამამო ავგომანქანა არაა გრანსპორგი, ხოლო გივი გრანსპორგია; ციგაც კი ზოგჯერ შეიძლება იყოს გრანსპორგი – თუკი მას ბარგის გადასაგანად გამოიყენებენ. წინა სგადიებზე ბავშვი სურათების გარეცნული მსგავსების საფუძველზე მსჯელობდა, IV სგადიაზე კი მას ლოგიკური დასკენის გამოგანაც შეუძლია.

ამასთან, სგადიებს შორის არაა მკვეთრი საზღვრები: დიღხანს გრძელდება გარდამაგული, „ნარევი“ პერიოდები; და თანაც მრავალი წლის შემდეგაც კი ჩვეულებრივია „ჩაკურება“ წინა სგადიაზე, განსაკუთრებით – დაღლილობისას, აღეღებისას, გავჭირებისას. მაგალითად, IV საფეხურზე მყარად არათუ 16-წლიანი მოზარდები, არამედ მრდასრულთა 80-90 %-იც კი არაა. ადამიანებს დასკენები უფრო ხშირად არა ცნებების და ლოგიკური აზროვნების, არამედ თვალსაჩინოების, გრძნობებისა და ასოციაციების საფუძველზე გამოაქვთ. და როცა ლოგიკას თვალსაჩინოება ან პირადული გრძნობები უპირისპირდება, უფრო ხშირად ლიგია მრუდება.

ამრიგად, გონებრივი განვითარების ძირითადი კანონზომიერებაა: აღქმიდან – მეგყვეღება-აზროვნებისკენ, ხაგიდან – სიგყვა-ცნებისკენ, წარმოდგენიდან – საზრისისკენ, ასოციაციიდან – ლოგიკისკენ, კონკრეტულიდან – აბსტრაქტულისკენ. ამიგომაა, რომ ტექსტების მოსმენა აზროვნების განვითარებას ძღიერ უწყობს ხელს, ხოლო ეკრანზე (სურათებზე) მიჯაჭვა – ძღიერ აფერხებს. და ამიგომაა, რომ თუმცა თანდაყოლილი სიბრმავე ბიოლოგიური თვალსაზრისით გაცილებით მძიმე ნაკლოვანებაა, ვიდრე სიყრუე, მაგრამ გონებრივ-პიროვნული განვითარებისთვის პირიქითაა: ბრმა უკეთ ვითარდება, ვიდრე ყრუ.

ზოგი ბავშვი, რომელსაც აზროვნება ნორმალური ან ნორმალურზე უკეთ განვითარებული აქვს, ჩამორჩენილია ნებისყოფის განვითარების მხრივ. ასეთ ბავშვს არ ძალუძს ყურადღების კონცენტრაცია ასაკობრივი ნორმის ფარგლებში, ხანგრძლივად არ შეუძლია მშვიდად ჯღომა, ვერ იკავებს იმპულსურ მოძრაობებს. ამას „პიპერაქტიურობას“ უწოდებენ. ეს თავს 6-7 წლის

ასაკიდან იჩენს (რადგან ამ ასაკამდე არც ჩვეულებრივ ბავშვს ძალუძს თავის მოთოკვა). ამასთან, ბავშვი, შესაძლოა, ძალიან მოუსვენარი იყოს, მაგრამ ყოველგვარი „პიიერაქტიურობის“ გარეშე – თუკი მისი მოუსვენრობა გამოწვეულია არა თავშეუკავებლობით, არამედ აქტიუობის ჭარბი მოთხოვნებით, ანუ ძლიერი ფუნქციონალური გენდენციით. ასეთ ბავშვს ნებისყოფა შეიძლება ნორმალური ან ნორმალურზე ძლიერიც კი ჰქონდეს, ხშირ-ხშირად ახერხებლეს ყურადღების ხანგრძლივ კონცენტრაციას. ეს იმაში ვლინდება, რომ წამოწყებული საქმე (მაგ., დაშლილი რთული სათამაშოს აწყობა ან სასკოლო დავალება) ბოლომდე მიჰყავს. ხოლო „პიიერაქტიულ“ ბავშვს სწორედ ამგვარი თანმიმდევრულობა არ ძალუძს.

ჩვილობის ასაკში პირველივე დღეებიდან ხდება „მიჯაჭვეულობის“ ჩამოყალიბება, რაშიც დიდ როლს ასრულებს სხეულებრივი კონტაქტები დედასთან. კვლევებმა აჩვენა, რომ უცხო გარემოში დედის მიმართ ბავშვების დაახლოებით 60% ავლენს მყარ, დანარჩენი კი – არამდგრად მიჯაჭვეულობას დედასთან მყარი მიჯაჭვეულობა ხელს უწყობს სოციალურ ადაპტაციას. ბავშვები იწყებენ დედასთან ურთიერთობისას შეძენილი ჩვევების გამოყენებას სხვა ადამიანებთან ან ბავშვებთან (სათამაშოს ჩვენება, გადაცემა სხვისთვის), თავს გრძნობენ უფრო დაჯერებულად და მეორე წელიწადში უკვე ნაკლებ ეგოცენტრულები არიან.

ბავშვობის ასაკში მნიშვნელოვანია პოზიტიური მე-ს განცდა. 6 წლის ასაკისთვის ბავშვებმა უკვე იციან თავიანთი სქესი, ფიზიოლოგიური თავისებურებები, შეუძლიათ საკუთარი თავის სხვა ბავშვებთან შედარება. 8-10 წლისთვის მათი მე-ს ხატი სტაბილური ხდება და დაახლოებით 12 წლისთვის ბავშვების უმეტესობას უკვე აქვს ფორმირებული მე-კონცეფცია. ბავშვები პოზიტიური მე-კონცეფციით არიან მიმზღობი, დამოუკიდებელი, ოპტიმისტები.

ოჯახში არსებული აღზრდის სტილი გავლენას ახდენს ბავშვის მე-კონცეფციის ფორმირებაზე. შეიძლება განვასხვავოთ აღზრდისა და უმცროსის მართვის ხუთი სტილი, რომლებიც თავს იჩენს როგორც ოჯახში, ისე სკოლაში (და ზრდასრულთა საზოგადოებაშიც უფროს-უმცროსის, გემდგომ-ქვემდგომის ურთიერთობაში):

ავტორიტარული ურთიერთობისას მშობელი ადგენს ქცევის წესებს და ითხოვს მის უპირობო შესრულებას. მაგალითად, შვი-

ლის შეკითხვაზე, „რაგომ?“ პასუხობს: „იმიტომ, რომ მე ასე ვთქვი“. მართვის თითქმის ერთადერთი საშუალებაა ბრძანება-მითითებანი ანუ ღირექტივები. ამიტომ ამგვარ ურთიერთობას ღირექტიული ეწოდება.

ავტორიტეტული ურთიერთობისასაც მშობელი აღგენს წესებს, მაგრამ, აძასთანავე, უხსნის ბავშვს მათ არსს და აუცილებლობას. ის მომთხონია, მაგრამ დათმობებისთვისაც მზადაა, გულისხმიერია და ყურადღებიანი, იშვიათად იყენებს დასჯას.

ლიბერალურ-დემოკრატიული ურთიერთობისას მშობელი თითქმის ყველაფრის უფლებას აძლევს ბავშვს, ყველაფრის გადაწყვეტას დემოკრატიულად ცდილობს, არ არის მოთხოვნი და თითქმის არ იყენებს დასჯას.

ინდიფერენტული ურთიერთობისას მშობელი შეზღუდვებს თითქმის არ აწესებს, გულგრილია ბავშვის მიმართ, რადგან უფრო საკუთარი პრობლემებითაა დაკავებული.

უწესრიგო-ქაოსური ურთიერთობისას მშობელს არა აქვს აღზრდის ჩამოყალიბებული სტილი, მოქმედებს არაკანონზომიერად, შემთხვევით ვითარებათა და, რაც მთავარია, საკუთარი გუნება-განწყობილების მიხედვით (რისთვისაც ერთხელ ბავშვს სჯის, სხვა დროს იმაზე შეიძლება გაიყინოს; დიდხანს ყურადღებას არ აქცევს ბავშვის მეცადინეობას, მერე უეცრად მკაცრად ამოწმებს ბავშვის რევეულებსა და შეფასებებს, ერთბაშად ძალიან ბევრს ითხოვს). ეს ურთიერთობის ყველაზე უარესი ტიპია.

ასაკთან ერთად ფიზიკურ სამყაროზე წარმოდგენების ცვლილების მსგავსად იცვლება წარმოდგენები სოციალური სამყაროს შესახებაც. სოციალური შემეცნება 6-12 წლის ასაკში დაკავშირებულია მეგობრობის გაგებასთან და მორალური მსჯელობის უნარის განვითარებასთან.

ზოგი მკვლევარის აზრით, მეგობრობის განვითარებაში შეიძლება გამოიყოს ოთხი სტადია: 6 წლამდე მეგობრობა ემყარება ფიზიკურ ან გეოგრაფიულ ფაქტორებს. მეგობარი არის პარტნიორი თამაშში, რომელიც ახლოს ცხოვრობს ან კარგი სათამაშოები აქვს. ბავშვები ეგოცენტრულები არიან და არ შეუძლიათ სხვისი პოზიციის გაგება, ამიტომ მეგობრის გრძნობებს დიდ ყურადღებას არ აქცევენ. 7-დან 9 წლამდე მეგობრობაში მთავარი ხდება ქცევა და მისი შეფასება მეგობრის მიერ. ხდება ურთიერ-

თდამოკიდებულებისა და სხვა ადამიანის გრძნობების გაცნობიერება. 9-დან 12 წლამდე მეგობრობა ემყარება ნამდვილად თანასწორ დამოკიდებულებას: მეგობრები არიან ის ადამიანები, რომლებიც ერთმანეთს ეხმარებიან. ხდება ერთმანეთის ქცევების შეფასება. ჩნდება წარმოდგენები მოვალეობებზე. 11-12 წლიდან მეგობრობა უკვე გაგებულია, როგორც მყარი, ხანგრძლივი ურთიერთობა, რომელსაც საფუძვლად უდევს მოვალეობები და ურთიერთნდობა.

აღმოჩნდა, რომ მორალური მსჯელობის განვითარებასაც სტადიური ხასიათი აქვს. პიაჟემ დაიწყო იმის შესწავლა, თუ როგორ უყალიბდებათ ბავშვებს მწიგნობრივი ცნობიერება. ლოურენს კოლბერგმა განაგრძო და გააღრმავა ეს კვლევა. ის აძლევდა ბავშვებსა და მრდასრულებს განსახილველად მოკლე მონათხრობს, რომელიც შეიცავდა რაიმე მორალურ დილემას. ერთ-ერთ მათგანში, მაგალითად, ქმარს მომაკედავი ცოლისთვის ესაპიროება წამალი, რომლის ფული არა აქვს. იგი მიმართავს აფთიაქარს თხოვნით, რომ ფასი დაუკლოს. როცა აფთიაქარისაგან უარს იღებს, ქმარი იპარავს წამალს.

პასუხების ანალიზმა აჩვენა, რომ მორალური ცნობიერების განვითარება გაივლის სამ სტადიას – მარტივი და კონკრეტული შეხედულებებიდან აბსტრაქტულ და პრინციპულ პოზიციებამდე.

უდაბლესია პრეკონვენციური სტადია. ესაა პრიმიტიული, ეგოისტური მწიგნობა, რომელიც გაპირობებულია დასჯის შიშით ან ანგარებით, ჯილდო-გამორჩენის მიღების სურვილით („თუ თქვენი ცოლი მოკვდება, თქვენ ბევრი საზრუნავი გაგიჩნდებათ“ ან „თუკი მეუღლეს გადაარჩენთ, მთელი ცხოვრების განმავლობაში მადლიერ ცოლთან ბედნიერი იქნებით“).

10 წლის შემდგომ, კონვენციურ სტადიაზე ქცევის მართებულობა-მიუღებლობა განისაზღვრება სირცხვილის გრძობით, ადართით (დაუწერელი წესებით) ან კანონმდებლობით (ფორმალისტული წესებით); იმით, თუ რას იგყვიან სხვები ან იმით, რამდენად არღვევს ქცევა სოციალურ წესრიგს და კანონს („თქვენი ოჯახი იფიქრებს, რომ არაადამიანური ხართ, თუ არ გადაარჩენთ მეუღლეს“ ან „ქურდობა აკრძალულია, კანონის დარღვევა არ შეიძლება“).

უმაღლეს, პოსტკონვენციურ სტადიაზე, რომელიც 13 წლიდან იწყება, ქცევაზე მსჯელობა ზნეობის უმაღლესი კრიტერიუმების მიხედვით წარმოებს: საქციელი უსადება საზოგადოებისთვის მოგანილი სიკეთისა და ადამიანთა უფლებების დაცვის მიხედვით, სინდისზე დამყარებული საკუთარი კრიტერიუმებით, მიუხედავად კანონიერებისა და სხვა ადამიანთა აზრისა; უფრო მაღალ დონეზე სინდისი საყოველთაო კუმანისგურ მრწამსს, უნივერსალურ ეთიკურ პრინციპებს ექვემდებარება: სიცოცხლის, თავისუფლების, თანასწორობის, სიყვარულის, პიროვნების თვისიგანსორციელების უზენაეს მცნებებს („საზოგადოების კანონებით ქმარი მართალი არ იყო, მაგრამ ბუნებისა და ღმერთის კანონებით მართებულად ის მოიქცა და არა აუთიქარი. ადამიანის სოცოცლე ფინანსურ მოგებაზე მაღლა დგას. არა აქეს მნიშვნელობა ვინ კვდება, თუნდაც სრულიად უცნობი – ადამიანი ვალდებულია, გადაარჩინოს მისი სიცოცხლე“).

ამ სამი სტადიის თვითეული დონე ორ ქვედონედ იყოფა. შეჯამებულად:

VI – პიროვნული – სინდისი, უნივერსალური ეთიკა.

V – პიროვნული – სინდისი, უფლებები, პრინციპები.

IV – პროსოციალური – მოვალეობა, კანონი.

III – პროსოციალური – მოვალეობა, სირცხვილი.

II – ეგოისტური – ანგარება.

I – ეგოისტური – დასჯის შიში.

კვლევებმა აჩვენა, რომ ბავშვები სხვადასხვა კულტურაში მართლაც აღიან ამ “მორალური კიბით” პრეკონვენციურიდან კონვენციურ სტადიაზე. ამროვნების განვითარების კეალდაკეალ ჩვენი მორალური ცნობიერება ხდება ნაკლებ ეგოისტური და უფრო პროსოციალური და კუმანური. პოსტკონვენციური დონე აღინიშნება ძირითადად ისეთი ქვეყნების საშუალო კლასის განათლებულ წრეებში, რომლებშიც ბაგონობს ინდივიდუალიზმი (და აქაც მრდასრული მოსახლეობის მხოლოდ 5-15 % თუ არის პოსტკონვენციურ დონეზე). ასეთი ქვეყნებია ევროპა და ჩრდილოეთი ამერიკა. აქ უპირატესობა ენიჭება საკუთარ ინგერესებს, განსხვავებით ე.წ. კოლექტივისტური კულტურებისაგან (აღმოსავლეთი აზია, ლათინური ამერიკა და სხვა), სადაც დომინირებს ჯგუფური

ინტერესები და გაცილებით მეტი მნიშვნელობა აქვს ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთდახმარებას, ლოიალობას.

კოლბერგმა გააცნობიერა ამ შენიშვნის სერიოზულობა და საბოლოოდ იმ აზრზე შეჩერდა, რომ თეორიაში დახასიათებული ზნეობის უმაღლესი დონე შეიძლება შესაფერისი არ იყოს განსხვავებული კულტურის ყველა ადამიანისთვის. მორალური განვითარება მხოლოდ ინტელექტუალური განვითარებით არ განისაზღვრება. ზნეობრიობის განვითარების „უმაღლესი“ დონეები არაა უთუოდ „საუკეთესო“ და „ყველაზე დახვეწილი“ მორალური პრინციპები, რომლებითაც ხელმძღვანელობს თითოეული ინდივიდი. ისინი უნდა განვიხილოთ კულტურის კონტექსტში, იმის გათვალისწინებით, თუ ვინ არის კონკრეტული ინდივიდი და სად ცხოვრობს.

გამოითქვა მოსაზრება, რომ არსებობს ორი სხვადასხვა გიპის მორალური შეგნება. ერთი ემყარება აბსტრაქტული სამართლიანობის ცნებას, მეორე – ადამიანურ ურთიერთობებს და მოყვასზე ზრუნვას. პირველი უფრო მამაკაცების აზროვნებისთვისაა დამახასიათებელი, მეორე – ქალებისთვის. თუმცა ეს განსხვავება შეუარღლებითია. იგი არ შეინიშნება 10 წლამდე ასაკის ბავშვებთან. სათანადო კვლევა ადასტურებს, რომ კონვენციურ სგადიაზე გოგონების მორალური შეგნების გიპი მართლაც უფრო მეტადაა გამსჭვალული სხვებზე ზრუნვითა და თანაგრძნობით. თუმცა პოსტკონვენციურ სგადიაზე გენდერული სხვაობები თითქმის აღარ შეიმჩნევა. კოლბერგს მიაჩნდა, რომ ჭეშმარიტი ზნეობა ორივეს მოიცავს – სამართლიანობასაც და თანაგრძნობასაც. ორივე მათგანი მოცემულია ახალი აღთქმის „ოქროს წესში“, რომლის პირველი ნაწილი სამართლიანობას უსვამს ხაზს – „მოუპყარი სხვებს ისე, როგორც ვსურს, რომ სხვები მოგეპყრონ“, ხოლო მეორე – თანაგრძნობას – „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“.

მოზარდობის ასაკი არის ფიზიკური განვითარებისა და სქესობრივი მომწიფების პერიოდი. მოზარდის ორგანიზმში ცვლილებებს ჰიპოთალამუსსა და ენდოკრინული ჯირკვლების გემოქმედება იწვევს. ყველაზე შესამჩნევი სხეულებრივი ცვლილებაა სიმაღლეში ზრდის ტემპის მკვეთრი მაგება, რეპროდუქციული ორგანოების და მეორადი სქესობრივი ნიშნების (თმა სხეულზე, კუნთურღ

მასის შატება და სხვა) სწრაფი განვითარება. მაგულობს წონა და იკვლება სხეულის პროპორციები – ჯერ ვითარდება ხელის მკვენები და გერყები, შემდეგ ფეხები და ხელები. ამას მოსდევს მსრების სრულად განვითარება. მაგულობს კუნთური ძალა და გამძლეობა, რის გამოც მოზარდის მოძრაობები ხშირად არის მოუქნელი, მოუსხემაი. ეს იწვევს უხერხულობის განცდას. მათ უძლიერდებათ ინტერესი სხეულის აღნაგობის, წონის, საკუთარი მიმზიდველობის მიმართ. განსაკუთრებით ისეთი კომპონენტებისადმი, როგორცაა სახე და კანის ფერი, კბილები. გოგონები ღიდ ყურადღებას აქცევენ თვალებს, ფეხების სისქეს, წელს და მკერდს. ბიჭები კი – სიმაღლეს, მხრების სიგანეს და კისერს.

მნიშვნელოვანია მოზარდების ფიზიკური მომწიფების ვადები. აღრე მომწიფების შემთხვევაში ბიჭები გარკვეულ შუოთვის გრძნობენ, ხშირად მათგან ითხოვენ ზრდასრულისთვის ღამახასიათებელ ქცევას და გავრდილი მოლოდინების გამო ზეწოლას განიცდიან. თუმცა მთლიანობაში ეს ვითარება მათთვის მაინც უპირატესობაა, რადგან ხელს უწყობს სოციალურ ურთიერთობებს. გვიან მომწიფებული მოზარდები კი ხშირად იგანჯებიან არასრულფასოვნების გრძნობით, რომელიც ზრდასრულობის ხანაშიც შეიძლება შენარჩუნდეს.

აღრე მომწიფებული გოგონები თავიდან გარკვეულ უხერხულობას გრძნობენ, თუმცა შემდგომ ეს ცელილება ხელს უწყობს მაღალი თვითმეფასების ფორმირებას, ზოგადად კი ოჯახში ადაპტაციას, ჰარმონიული პირადი ურთიერთობების განვითარებას. გვიან მომწიფებული გოგონები აშკარად უარეს სოციალურ მდგომარეობაში არიან. განვითარების პროცესში ეს სირთულეები, როგორც წესი, ქრება.

კოგნიტური განვითარების თვალსაზრისითაც მნიშვნელოვანი ცელილებები ხდება. ამროვნების ღროს მოზარდებს შეუძლიათ ლოგიკური მსჯელობა და აბსტრაქტული ცნებებით ოპერირება კონკრეტული ობიექტებისაგან დამოუკიდებლად. ვითარდება აბსტრაქტული და ლოგიკური ამროვნების უნარი (შეუძლიათ ყველა მნიშვნელოვანი ფაქტისა და ამრის გათვალისწინება და სწორი დასკვნების გაკეთება, ჰიპოთეზების ფორმულირება და ცვლადების გათვალისწინება).

ფორმალურ აზროვნებას დაუფლებული მოზარდები ორიენტირებული არიან მოძაველზე, ხშირად ოცნებობენ. ოცნების შინაარსი არის პოზიტიური და კონსტრუქტიული, მასში ნაკლებადაა დანაშაულის გრძნობა და მარცხის შიში.

მოზარდები უკეთ ასერხებენ ინფორმაციის დამუშავებას და სწორი გადაწყვეტილების მიღებას. კოგნიტურ განვითარებაზე შეიძლება გავლენა მოახდინოს გარემო ფაქტორებმა (ურბანიზაციის, წიგნიერების, განათლების დონე). მოზარდის მიერ გადაწყვეტილების მიღებისას მნიშვნელოვანია, რამდენად დამოუკიდებელია იგი. დაბალი თვითშეფასება, გეწოლა თანაგოლების მხრიდან, მკაცრად განსაზღვრული პირობები ოჯახში შეიძლება ქმნიდეს წინააღმდეგობებს გადაწყვეტილების მიღებისას.

მოზარდის თვითშეფასების დონე გავლენას ახდენს, აგრეთვე, ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე. ინტერპერსონალურ ურთიერთობებზე, სოციალურ ადაპტაციაზე, სასწავლო აქტივობის წარმატებაზე, პროფესიულ მისწრაფებებზე და ხშირად, კანონსაწინააღმდეგო ქცევის სიხშირეზე. კვლევებმა აჩვენა, რომ მოზარდობის ხანის დასაწყისში თვითშეფასება უფრო მაღალია, შემდგომ კი შედარებით დაბლა იწევს. გოგონების თვითშეფასება უფრო მაღალია იმავე ასაკის ბიჭებთან შედარებით. ამასთან, გოგონების თვითშეფასებაზე ყველაზე დიდ გავლენას მეგობრები ახდენენ, ბიჭებისაზე კი – მამები.

პოზიტიური თვითშეფასების ფორმირებისთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, თუ როგორია მოზარდის დამოკიდებულება მშობლებთან – ბედნიერი თუ უბედური, მეგობრული თუ კონფლიქტური. ნაკლებად მნიშვნელოვანია, სრულია ოჯახი, ახლად შექმნილი თუ განქორწინებული. ჩვეულებრივ დაბალი სოციალური კონომიური სტატუსის ოჯახებში მოზარდების თვითშეფასება უფრო დაბალია, თუმცა ბევრი რამ არის დამოკიდებული მშობლების თვითშეფასებაზე. მოზარდის თვითშეფასებაზე გავლენას ახდენს მის წინაშე მდგარი პრობლემების რაოდენობა და ხასიათი. ერთი გამოკვლევის თანახმად, სწავლა პრობლემური სფეროა ყველა მოზარდისთვის, მაგრამ გოგონებს ასევე აწუხებთ ჯანმრთელობისა და მშობლებთან ურთიერთობის პრობლემები, ბიჭებს – სოციალური და ფსიქოლოგიური ურთიერთობები.

ოჯახთან შეჭიდულობა ყველაზე მაღალია, როცა ბავშვები ჯერ კიდევ პატარები არიან. შემდგომ იზრდება დისკანცია მოზარდისა და მშობლების ურთიერთობებში (ვაყებთან უფრო სწრაფად, ვიდრე ვოგონებთან). უფრო ალრე ჩნდება სწრაფვა ქცევითი ავგონომიისკენ, ვიდრე ემოციური ავგონომიისკენ.

დელმამიშვილებსაც მნიშვნელოვანი როლი აქვთ მოზარდის განვითარებაში. უფროსი და-ძმა უმცროსებისთვის შეიძლება გახდეს ქცევის მოდელი, სუროვგაგული მშობელი ან ამხანაგიც კი. მათ შეუძლიათ დააკმაყოფილონ ერთმანეთის მოთხოვნილება თბილი, ნდობით გამსჭვალული და ღრმა ადამიანური ურთიერთობებისა. თუმცა არის კონფლიქტური, ექვიანი და შურიანი ურთიერთობის შემთხვევებიც. მოზარდზე პოზიტიური გავლენის მოხდენა შეუძლიათ ასევე ბებიებსა და ბაბუებს.

მოზარდობის ხანაში მკვეთრად მაგვულობს ახლო მეგობრების ყოლის მოთხოვნილება. ცდილობენ რა მშობლების გადაჭარბებული ზრუნვისაგან განთავისუფლებას, მოზარდები მიისწრაფიან მათკენ, ვისთანაც საერთო ინტერესები აქვთ და ვისაც შეუძლია დაეხმაროს მათ საკუთარი თავის შეცნობასა და მარგობის განცდისაგან განთავისუფლებაში. მარგობის განცდას იწვევს სიძნელები ურთიერთობების დამყარებისას დაბალი თვითშეფასების, შფოთვის ან დათრგუნულობის, ადამიანებისადმი უნდობლობის ან ზოგ შემთხვევაში საკუთარი შესაძლებლობებისადმი სკეპტიკური დამოკიდებულების გამო.

მოზარდობის ხანის დასაწყისში ბავშვს ბევრი ამხანაგი სჭირდება, შემდგომ ერთი-ორი, ოღონდ ნამდვილი მეგობარიც საკმარისია. ამასთან, ვოგონებში უფრო ახლო ემოციური კონგაქტებია, ვიდრე ბიჭებს შორის. საშუალო ასაკის მოზარდებისთვის დამახასიათებელია სწრაფვა თანაგოლთა რომელიმე ჯგუფის წევრად გახდომისკენ. მოზარდთა ერთობა შეიძლება იყოს სასკოლო ან არაფორმალური. ჯგუფის წევრების მხრიდან აღიარებისთვის მოზარდები ცდილობენ, მიაღწიონ წარმატებას სხვადასხვა სასკოლო ან სპორტულ ღონისძიებებში, დაემსგავსონ ჯგუფის წევრებს გარეგნობის, ჩაცმის, ურთიერთობის სტილის მიხედვით. ზოგი აღიარებას აღწევს დევიანტური ქცევის დახმარებით, რომელიც შეიძლება მიღებული იყოს ამა თუ იმ ჯგუფისთვის.

მეგობრულ ურთიერთობათა მოთხოვნისა და შეიძლება გახდეს საფუძველი ახლო ურთიერთობათა განვითარებისა — ჩნდება სიყვარული რეალური ან მოგჯერ წარმოსასული ადამიანის მიმართ. პაემანზე სიარულს სამუალოდ 16 წლის ასაკისათვის იწყებენ გოგონებიც და ბიჭებიც. ასეთი ურთიერთობები ხშირად აღრეული ქორწინებით სრულდება. ამის მიზეზი შეიძლება იყოს: სექსუალური მოთხოვნილება, ორსულობა, სოციალური გარემოს გეწოლა, არარეალისტურად კომბიგიური შეხედულებები ცოლქმრულ ურთიერთობებზე, ამ გზით პირადი ან სოციალური პრობლემების გადაწყვეტის მცდელობა, ანგარება.

ასეთი ქორწინების ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა აღრეულ ასაკში მშობლად ქცევა, რისთვისაც ხშირად ახალგაზრდა წყვილი მომწიფებული არ არის. შეიძლება იყოს ფინანსური სიძნელეები, სექსუალურ ურთიერთობათა სიხშირესა და ხარისხთან დაკავშირებული უთანხმოება, სოციალურ ურთიერთობებში არათანაბარი ჩართულობა, უთანხმოებები მშობლებთან, გაზრდილი ფიზიკური დატვირთვა, პასუხისმგებლობის მაგება და სხვა. აღრე ქორწინება ხშირად ხელს უშლის ახალგაზრდას განათლების მიღებაში და შემდგომ წარმატებულ პროფესიულ საქმიანობაში კვალიფიკაციის არქონის გამო.

პროფესიის არჩევა და შრომითი საქმიანობისთვის მზადება არის მოზარდობის ხანის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა. გააზრებული და რეალისტური არჩევანი შესაძლებლობას მისცემს მოზარდს, გამოავლინოს თავისი შესაძლებლობები. შემთხვევითმა და დაუფიქრებელმა არჩევანმა შეიძლება გააჩინოს იმედგაცრუების, დაუკმაყოფილებლობის განცდა. არჩევანის გაკეთება საკმაოდ რთულია. ეს პროცესი შეიძლება დაიწყოს სამსკოლოდ: ფანტაზიის სკადია (11 წლამდე); ჰიპოთეტური სკადია (11-17 წწ) და რეალისტური სკადია (17 წლიდან). თუმცა კარიერის არჩევანი ყოველთვის არ სრულდება პირველი პროფესიის შერჩევით. მრავალი ფაქტორი მოქმედებს მოზარდის არჩევანზე მშობლების, თანატოლების და მასწავლებლების აზრი, გენდერული და კულტურული ფაქტორები. ასევე მნიშვნელოვანია ინტელექტი, ინდივიდუალური უნარები, ინტერესები, სამუშაო ადგილების არსებობა, მაგერიალური ანაზღაურება, მორალური კმა-

ყოფილება, საზოგადოებრივ-ეკონომიური სტატუსი, პრესტიჟულობა, ეროვნული გრადიციები და სხვა.

§ 3. ზრდასრულობა

ადამიანის ფიზიკური და მთავორული შესაძლებლობები მაქსიმუმს 25-30 წლის ასაკში აღწევს. შემდეგ კი ნელა და თანდათან ქვეითდება, მაგრამ 50 წლის ასაკამდე ეს პროცესი არაა მკვეთრი. 40 წლამდე ფიზიკური შესაძლებლობები ძალიან მაღალ დონეზეა. მართალია, სიმპტომები ჯერ არაა შესამჩნევი, მაგრამ განვითარებას იწყებს შინაგანი ორგანოების, ძვალ-კუნთოვანი სისტემის, სტრესთან დაკავშირებული და გენეტიკური დაავადებები.

ვითარება იცვლება შუახნის პერიოდში 40-დან 60-65 წლამდე. ზოგისთვის 40 წლის შემდეგ ღვება როგორც ბიოლოგიური, ისე ფსიქოლოგიური კრიზისების ხანა. ჭაღარა, წონის მომაგება, მენოპაუზა ან ისეთი მოვლენები, როგორცაა განქორწინება ან სამუშაოს დაკარგვა, შეიძლება ვახდეს პიროვნული კრიზისის მიზეზი.

ადამიანთა უმრავლესობისთვის ზრდასრულობის შუა ხანი (მოწიფულობა) შეიძლება იყოს ცხოვრების, პროფესიული კარიერის ან შემოქმედებითი უნარების აღმავლობის პერიოდი. მაგრამ სულ უფრო ხშირად ჩნდება შეკითხვები, თუ როგორ შეინარჩუნონ ახლო ურთიერთობები ნათესავებთან და მეგობრებთან, მომავალი თაობისთვის გამოცდილებისა და ცოდნის გადაცემის აუცილებლობის შესახებ, ზოგჯერ ჩნდება შიშიც დაკარგულ შესაძლებლობებთან დაკავშირებით. ადამიანები კრიტიკულად აფასებენ თავიანთ ცხოვრებას. ერთნი კმაყოფილი არიან თავისი თავით და მიაჩნიათ, რომ შეძლეს თავის შესაძლებლობათა რეალიზება. სხვებისთვის კი განვლილი წლების ანალიზი შესაძლოა მტკივნეული პროცესი იყოს. კარლ იუნგი, რომელმაც დაიწყო შუახნის კრიზისის შესწავლა, მას ქარიშხლისა და მეგების ხანას უწოდებდა.

შუახნის ასაკში უმნიშვნელოდ ქვეითდება მხედველობა, სმენა, გემოს, სუნისა და გკივილის შეგრძნებები. მაგულობს რეაქციის დრო და დაღლის სისწრაფე. 48-51 წლის ქალებისათვის ყველაზე რთული მორფო-ფიზიოლოგიური ცვლილებაა მენოპაუ-

მა — ანუ მენსტრუაციის შეწყვეტა. ზოგ შემთხვევებში ფიზიოლოგიურ ცვლილებებს (ოფლიანობა, თავის ტკივილი და სხვა) დაერთვის ცვლილებები ემოციურ სფეროშიც. ქალი შეიძლება დათრგუნულად გრძნობდეს თავს რეპროდუქციული ფუნქციის შეწყვეტის გამო. უშვილო ქალს შეიძლება გაუჩნდეს განცდა სინანულისა, დანაკარგისა, ანდა დაეწყოს დეპრესია.

შუახნის მამაკაცებთანაც ხდება ფიზიოლოგიური ცვლილებები, ზოგჯერ საკმაოდ სერიოზულიც, როგორცაა იმპოტენცია, ხშირი შარდვა, კუჭის წყლულოვანი დაავადებები და სხვა. ხშირად ამას თან სდევს ცვლილებები ემოციურ სფეროში. მაგალითად, დაურწმუნებლობისა და დათრგუნულობის განცდა, დაღლა, გაღიზიანებადობა.

გრძელდება თუ არა კოგნიტური განვითარება ზრდასრულობის ხანაში? XX ს-ის 40-იან წლებამდე ჩატარებული კვლევების მიხედვით 15-25 წლის ასალგაზრდები ინტელექტუალურ ტესტებში უკეთეს შედეგებს აჩვენებდნენ, ვიდრე უფრო ღიდი ასაკის ადამიანები. შემდგომში, ერთი და იგივე ადამიანის ხანგრძლივი შესწავლის, ანუ ლონგიტუდური მეთოდოლოგიით შესრულებულმა კვლევებმა აჩვენა, რომ 50 წლის ადამიანები, არც თუ იშვიათად, უფრო მაღალ შედეგებს აღწევენ, ვიდრე 20 წლის ასაკში. მაშ, რა ხდება — ცვლილებები ეხება ინტელექტს თუ ადამიანის კომპეტენციას?

ზოგი მეცნიერის აზრით, საუბარი შეიძლება არა იმდენად ინტელექტის განვითარებაზე, რამდენადაც იმაზე, მოქნილად იყენებს თუ არა ამ ასაკის ადამიანი უკვე განვითარებულ კოგნიტურ უნარებს. ბავშვობის, მოზარდობისა და ჯაბუკობის ხანაში ადამიანი თანდათან იძენს სამყაროს შემეცნების სულ უფრო რთულ სტრუქტურებს, რაც ფორმალური ოპერაციების დაუფლებით სრულდება. ამას შექმნის პერიოდი ეწოდება. მას მოსდევს მიღწევების პერიოდი, როდესაც ხდება აზროვნების, პრობლემების გადაწყვეტისა და გადაწყვეტილების მიღების უნარის ცხოვრებაში გამოყენება პროფესიული კარიერისა და ცხოვრების სტილის არჩევას — ზრდასრული ადამიანი იღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც ეხება მის პირად ცხოვრებას და არა აბსტრაქტულ პრობლემებს. შემდგომი ეტაპია სოციალურ მოვალეობათა პერიოდი. შუახნის ადამიანი კოგნიტურ უნარებს იყენებს

უკვე სხვა ადამიანების პრობლემების გადასაწყვეტად – ოჯახში, სამსახურში, საზოგადოებაში. ბოლოს, ხანდაშპულობაში გადასაწყვეტი პრობლემების ხასიათი იცვლება – სდება მთელი განვლილი ცხოვრების გააზრება და შეფასება. როგორც ჩანს, კოგნიტური განვითარების არსი ზრდასრულობაში არის ინტელექტის მოქნილად გამოყენება ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში, რაც უარესად მნიშვნელოვანია.

მოწიფულობის ასაკში, ახალგაზრდობის ასაკთან შედარებით, ძლიერდება აზროვნების დიალექტიკურობა, რაც გამოცდილების დაგროვებას და ინტუიციის განვითარებას ემყარება. ახალგაზრდის აზროვნება ფორმალური ლოგიკური გამართულობის მსრივ შეიძლება უნაკლო იყოს, მაგრამ მას აკლია მოქნილობა, ახასიათებს მაქსიმალიზმი. ფორმალური ლოგიკური აზროვნება ხშირად უმწეოა რთულ, არასაკმარისად მკაფიო, მრავალგანზომილებიან ვითარებაში. ამიტომ ახალგაზრდა ვერ იქნება კარგი მმართველი ან კარგი აღმზრდელი.

ზრდასრული ადამიანის განვითარება სამი დამოუკიდებელი სისტემის ერთიანობაში ხდება. ესაა პიროვნება, ოჯახი, სამსახური.

ოჯახური ცხოვრება რამდენიმე პერიოდს მოიცავს. პირველია მშობლების სახლის დატოვება ქორწინების შემდეგ (ან მანამდე). მეორე მნიშვნელოვანი მოვლენაა ქორწინება, სხვა პიროვნებასთან და ახალ ნათესაებთან ურთიერთობის ფორმირება. მესამე გიპური მოვლენაა პირველი ბავშვის დაბადება. ოჯახურ ციკლში შეიძლება იყოს სხვა მნიშვნელოვანი მოვლენებიც: პირველი ბავშვის სკოლაში წასვლა, ბოლო ბავშვის დაბადება და მისი წასვლა ოჯახიდან, მეუღლის სიკვდილი. იმ ოჯახებში, სადაც რამდენიმე თაობის წარმომადგენელია, შეიძლება იყოს რამდენიმე ასეთი ციკლის ურთიერთქმედება.

უარესად მნიშვნელოვანია პირველი ბავშვის დაბადება, როდესაც მეუღლეები ხდებიან მშობლები. მშობლად ქცევა სერიოზულ ცვლილებებს იწვევს მათ პირად ცხოვრებაში. კვლევების თანახმად, გარკვეული კორექტივების გაკეთება ორივე მშობელს უკვე ბავშვის მუცლად ყოფნის დროს უწევთ. ბავშვის გაჩენის შემდეგ ორივე განიცდის სიამაყისა და გაზრდილი პასუხისმგებლობის გრძნობას. მათ უწევთ იმ დროის შემციონება, რომელსაც ერთმანეთს ან სხვა პირად ინტერესებს უთმობდნენ. საერთო

საზრუნავის მიუხედავად, დედები და მამები განსხვავებულად რეაგირებენ პირველი ბავშვის გაჩენაზე. ქალები, როგორც წესი, პრიორიტეტს ანიჭებენ ოჯახურ და მშობლის როლს. კაცები კი, ხშირად, უფრო მეტს მუშაობენ, რომ უკეთ ზრუნველყონ ოჯახი. ზოგჯერ წყვილებს უჩნდებათ კომუნიკაციური და სექსუალური ხასიათის პრობლემები, ხშირია კონფლიქტები. მიუხედავად ამისა, პირველი ბავშვის გაჩენა არის არა კრიზისი, არამედ ოჯახის განვითარების ახალ საფეხურზე გადასვლა. მშობლის როლთან შეგუებისას დედისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სოციალურ მხარდაჭერას, განსაკუთრებით ქმრის მხრიდან. ასევე მნიშვნელოვანია ინდივიდის თვითშეფასება, ბავშვის თავისებურებები, მშობელთა ასაკი და სხვა.

ამ სირთულეებთან გამკლავება განსაკუთრებით მარგოსებლა მშობლებისთვის არის რთული. ისინი განიცდიან მარგოობას, ხშირად არიან დათრგუნული, უჭირთ მეგობრების წრის შენარჩუნება და ემოციური მხარდაჭერის მიღება.

შუახნის აღამიანის დამოკიდებულებას შეილებთან ეკარგება იერარქიულობა და იგი თანასწორი ხდება, თუმცა არა უცბად და უმტკივნეულოდ. მშობელსა და შვილს შორის ავტორიტარული ურთიერთობის არსებობისას თანასწორობის ჩამოყალიბებას შესაძლოა, წლები დასჭირდეს.

მნიშვნელოვანია შუახნის აღამიანთა დამოკიდებულება მშობლებისადმი. სანამ მშობლები ჯანმრთელად არიან და შეუძლიათ დამოუკიდებლად ცხოვრება, ურთიერთობა არის თანასწორი. მაგრამ ჯანმრთელობის გაუარესებისას ურთიერთობის ხასიათი, ჩვეულებრივ იცვლება, რაც აისახება ურთიერთობა რეგულარულობაზე, ფინანსურ და სოციალურ დახმარებაზე და ა.შ. მნიშვნელოვანია, რომ ბებიები და ბაბუები, ხშირად, იმ დროს იღებენ ბავშვებზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, როცა მშობლები მუშაობენ.

სამწუხაროდ, იმაგა განქორწინების რაოდენობამ. შუახნის ასაკში ამ მოვლენის გადაგანა განსაკუთრებით ძნელია: ხდება ცხოვრების ჩვეული რიგმის რღვევა, საცხოვრებელი ან სამუშაო ადგილის ცვლა. აღამიანი ხდება დამოუკიდებელი, ზოგჯერ სულ მარგოს რჩება. უმეტესობა განქორწინებას აღიქვამს როგორც მარცხს, ხშირად ჩნდება დამყირებისა და უსუსურობის განცდა. საბოლოო გადაწყვეტილების მიღება მუდამ სგრესია, რომელსაც

შეიძლება მოჰყვეს სეიდისა და დანაშაულის განცდა. ცხოვრების ახალ სტილზე გადასვლას ზოგი ადვილად ახერხებს, ზოგი – ძნელად. უმეტესობა 2-3 წელში თავს ართმევს პრობლემებს. განქორწინებული შეახნის მამაკაცები 3-ჯერ უფრო ხშირად ქორწინდებიან ხელშეორედ, ვიდრე იმავე ასაკის განქორწინებული ქალები. კრიზისული პერიოდის გადაგანას ხელს უწყობს აქტიური ცხოვრება და მაღალი სოციალურ-ეკონომიური სტატუსი.

ადამიანის განვითარებისთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია მისი პროფესიული საქმიანობა, რომელიც იწყება პროფესიის არჩევით ამ სფეროში საქმიანობით და სრულდება პენსიაზე გასვლით. შეიძლება გამოიყოს პროფესიული განვითარების ხუთი ეტაპი: 1. ზრდის ეტაპი (დაბადებიდან 14 წლამდე). ამ პერიოდში ბავშვები მოსინჯავენ თავის შესაძლებლობებს, როლებით თამაშის დროს, სხვადასხვა მეცადინეობებზე თუ კლასგარეშე აქტივობაში ისინი აცნობიერებენ, რა მოსწონთ, რა გამოსდით კარგად; ჩნდება ინტერესები, რომლებმაც შესაძლოა გაეღენა მოახდინონ პროფესიული კარიერის არჩევანზე 2. ძიების ეტაპი (15-24 წწ). ახალგაზრდები ცდილობენ, განსაზღვრონ თავიანთი ინტერესები, უნარები, შესაძლებლობები, შეარჩიონ პროფესია და დაეუფლონ მას. 3. კარიერის განმტკიცების ეტაპი (25-44 წწ), როდესაც ინდივიდები ცდილობენ მყარი მდგომარეობის დაკავებას არჩეულ პროფესიულ სფეროში. 4. მიღწეულის შენარჩუნების ეტაპი (45-64 წწ). 5. დასვენების ეტაპი (65 წლის შემდეგ). ფიზიკური და კოგნიტური უნარები სუსტდება, რაც იწვევს შრომითი საქმიანობის ხასიათის შეცვლას და საბოლოოდ მის შეწყვეტას.

§ 4. ხანდაზმულობა

ვარაუდობენ, რომ 2050 წელს დედამიწის მოსახლეობის ყოველი მეხუთე წარმომადგენელი ამ ასაკობრივი ჯგუფიდან იქნება. ამას განაპირობებს ჯანდაცვის გაუმჯობესება, სიკვდილიანობის შემცირება, სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის ზრდა განსაკუთრებით XX საუკუნეში. ეს მაჩვენებელი ბრინჯაოს ხანაში 18-20 წელი იყო, შუა საუკუნეებში – 35 წ., XIX ს-ში – 44 წ., ხოლო XX საუკუნეში – 68-72 წ.

ასაკოვანი მოსახლეობის საერთო რაოდენობის ზრდა იწვევს მრავალრიცხოვან სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ,

იურიდიულ, სამედიცინო და სხვა პრობლემებს. აქედან გამომდინარეობს დიდი ინტერესი გერონტოლოგიის, კერძოდ გერონტოფსიქოლოგიის მიმართ. ხანდამშულობასთან დაკავშირებული ფსიქოლოგიური პრობლემატიკა ფართოა და მნიშვნელოვანი, რადგანაც ადამიანი ცხოვრების ამ ეტაპზე ღვება თავისთავში და გარშემო მიმდინარე, უმეტესად ნეგატიურ ცვლილებათა გაცნობიერების, მათთან ადაპტაციისა და გარდაუვალ აღსასრულთან შეგუების მწვავე ამოცანების წინაშე.

ამ ასაკობრივი პერიოდის ქრონოლოგიური საზღვრების ზუსტი განსაზღვრა ძნელია, რასაც განაპირობებს დაბერების ნიშანთა გამოვლენის ინდივიდუალურ განსხვავებულობათა სიმრავლე. ხანდამშულობად, ჩვეულებრივ, ითვლება პერიოდი 60-65 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე. ფიზიკურ შესაძლებლობათა კლება ზრდასრულობაში იწყება, მაგრამ აღნიშნულ მიჯნამდე ეს არც თუ ისე გამოკვეთილია. შემდეგ კანს ეკარგება ელასტიურობა, იგი ხდება მშრალი და ნაოჭიანი. მცირდება სხეულის კუნთური მასა, ძალა და გამძლეობა. იცვლება ძვლოვანი სისტემის სტრუქტურა და შემადგენლობა, იგი მყიფე ხდება, რაც ხშირად ტრავმებისა და მოგეხილობის მიზეზია. სუსტდება იმუნური სისტემა და სტრესთან გამკლავების უნარები.

ყოველგვარი სახის, ფსიქოფიზიკური თუ კოგნიტური რეაგირება ნელდება, ადამიანი უფრო სწრაფად იღლებს; უარესდება აღქმა (სმენა, მხედველობა, ყნოსვა); შესამჩნევად ქვეითდება ყურადღების მახასიათებლები (კონცენტრაცია, გადანაცვლება, განაწილება, გადაუხრადობა და სხვა). ქვეითდება მეხსიერებაც, მაგრამ ეს არაა ერთგვაროვანი პროცესი. მეხსიერების ფუნქციონირებაზე მოქმედებს ბევრი არამნიშვნელო ფაქტორი (აღქმისა და ყურადღების დაქვეითება, მოტივაციის კლება, აქტიური ცხოვრების შეწყვეტა, წამლების გვერდითი ეფექტები და ა.შ.). მოხუცებულობაში, როგორც ჩანს, ეცემა დასამახსოვრებელი მასალის ორგანიზაციის, გამეორებისა და კოდირების უნარი, თუმცა გააჩნია დახსოვებისა და გახსენების ვითარებას: როცა საჭიროა მასალის ცნობა, გაუარესება ნაკლებია. ვითარება რთულდება, თუკი გახსენება დახმარების გარეშე ხორციელდება. ხანშიშესულ ადამიანს გამოცდილება ეხმარება აზრიანი მასალის უკეთ დახსოვებაში, განსაკუთრებით იმ სფეროში, რომელშიც ის გაწაფუ-

ლია. მეხსიერების სხვადასხვა სახეები (სენსორული, ხანმოკლე, ხანგრძლივი) სხვადასხვა დონით ქვეითდება. ხანგრძლივი მეხსიერების ძირითადი მოცულობა თითქმის არ იცვლება. 70 წლის მერე უმთავრესად ზიანდება მექანიკური დასწავლის უნარი (დამახსოვრება); ყველაზე კარგად მუშაობს ლოგიკური მეხსიერება.

ხდება თუ არა ინტელექტის თანდათან დაქვეითება ხანდაზმულობაში? ამის შესახებ ერთმნიშვნელოვანი მონაცემები არ არსებობს. ხანდაზმულებთან ინფორმაციის გადამუშავების ნეირონული მექანიზმები შედარებით ნელა ფუნქციონირებს, შესაბამისად, შესამჩნევად კლებულობს ყოველგვარი კოგნიტური აქტივობის ტემპი. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს ინტელექტის დაქვეითებას. ტესტებს, რომლებითაც ფასდება ლექსიკური მარაგი, ცოდნა, ინფორმაციის განზოგადების უნარი, ამ ასაკის ადამიანები საკმაოდ კარგად ართმევენ თავს.

საზოგადოდ, განასხვავებენ კრისტალიზებულ და მოძრავ ინტელექტს. ეს უკანასკნელი გულისხმობს ახალი პრობლემებისა და ამოცანების გადაჭრას, რომელთა გადასაწყვეტად არ არსებობს ჩვეული ხერხები და რომლებიც სრულიად ახალ და არასტანდარტულ მიდგომებს მოითხოვს. მოძრავი ინტელექტის დაქვეითება უფრო მკაფიოდ და უფრო ადრე ელინდება.

კრისტალიზებული ინტელექტი მოიცავს გონებრივი აქტივობის ფართო სპექტრს – მსჯელობის ფორმულირების, პრობლემის ანალიზის, განზოგადების უნარებს. ისინი დამყარებულია დაგროვილ ცოდნაზე და გამოცდილებაზე. კრისტალიზებული ინტელექტი ასაკობრივ ცვლილებათა მიმართ უფრო მდგრადია და შეიძლება მთელი ცხოვრების განმავლობაში ვითარდებოდეს.

საერთო ინტელექტუალური განვითარება ორივე სახის ინტელექტის მონაცემების ერთობლიობაა. ვერბალური უნარების ტესტების მონაცემები (რომლებიც კრისტალიზებულ ინტელექტს შეესაბამება) მიუთითებს, რომ აღნიშნული უნარები ასაკთან ერთად არ ქვეითდება და შესაძლოა იმატოს კიდევ. ხოლო არა-ვერბალური უნარები (ფორმალური ოპერაციები) ერთგვარად სუსტდება.

ეს ფაქტი გვიხსნის, თუ რატომ აღწევენ მუსტ მეცნიერებათა წარმომადგენლები შემოქმედებით მწვერვალებს ადრეულ ასაკში, ხოლო ჰუმანიტარულ დისციპლინებში (გარკვეულწილად

უსიქოლოგიაშიც) მომუშავენი – მოგვიანებით, კომპეგენციისა და გაოცდილების კვალდაკვალ. შეიძლება ითქვას, რომ გონებრივი განვითარების ასაკობრივი ცვალებადობა იმაზეა დამოკიდებული, თუ რას და როგორ ვაფასებთ.

გამოცდილება დიდი სიმდიდრეა, რომელიც აბაიოილებს ხანდაზმულობის მრავალ ნაკლს. თუკი ასაკთან ერთად იზრდება კრისტიანობის ინტელექტი, იგი სიბრძნის სახეს იღებს. სიბრძნე – ესაა ღრმა დიალექტიკური აზროვნების უნარი, ცხოვრების ურთულესი და უმნიშვნელოვანესი საკითხების გადაჭრის უნარი, არაჩვეულებრივად ფართო, ღრმა და დაბალანსებული ცოდნა, გონებისა და ზნეობის შეხამება. მისი გამოყენება შეიძლება როგორც პირადი ინტერესებისთვის, ისე მცირე თუ დიდი სოციალური ჯგუფების სასარგებლოდ. როგორც ზოგიერთი სასმელის ხარისხი მაგულობს წლების განმავლობაში, ასევე ასაკს შეუძლია გაზარდოს გონიერულობა და გამჭრიახობა. ეს ესმოდათ ჩვენს წინაპრებს, როცა ჭკუას მოხუცებს ეკითხებოდნენ. დღესაც, ცივილიზებულ ქვეყნებში, გამორჩეული პასუხისმგებლობის თანამდებობებზე სხარგად მოაზროვნე ახალგაზრდებს კი არა, უფრო გამოცდილ და ჭკუადამჯდარ ასაკოვან ადამიანებს ირჩევენ.

ხანდაზმულთა სოციალურ ცხოვრებაში შესამჩნევი ცვლილებები ხდება, და არა მხოლოდ უარყოფითი თვალსაზრისით. მაგალითად, ხანშიშესული ადამიანებისთვის ახალი და დიდად სასიამოვნო განცდების წყარო ხდება შვილიშვილებთან ურთიერთობა. იგივე შეიძლება ითქვას დიდი ბებიებისა და ბაბუების შესახებაც – შვილთაშვილები მათ ცხოვრებას მრავალფეროვნებას ანიჭებენ, სიამაყისა და განახლების განცდას უჩენენ.

ხანდაზმულ ასაკში იშვიათი არაა ნათესავის, მეგობრის ან მეუღლის სიკვდილი. მწუხარების განცდა განსაკუთრებით მწვავეა მეუღლის დაკარგვის დროს. რეაქცია საყვარელი ადამიანის სიკვდილზე განსხვავდება პიროვნების, ასაკის, სქესის, კულტურული გრადიციებისა და გარდაცვლილისადმი დამოკიდებულების მიხედვით. საჭიროა ადაპტაციის ხანგრძლივი პერიოდი, განსაკუთრებით მეუღლის დაკარგვის შემდეგ. ზოგი მეცნიერის აზრით, ახლობელი ადამიანის სიკვდილზე პირველი რეაქცია არის შოკი, ფაზა, რომელიც ხშირად გრძელდება რამდენიმე დღეს, მოკვარე კი გაცილებით მეტსაც. მოულოდნელი სიკვდილის შემ-

თხვევაში ახლობლები შესაძლოა სრულად ვერ აცნობიერებდნენ დანაკარგს და გაოგნებული იყვნენ. მეორე ფაზაზე შესაძლოა მწუხარება უფრო აქტიურად გამოისაგოს (ტირილი, მოთქმა): ჩნდება განჯვისა და მონატრების განცდა. მოგჯერ შეინიშნება სისუსტე, უძილობა, უმაღობა, ინტერესის დაკარგვა, შეიძლება გამოვლინდეს დეპრესიის ნიშნებიც. დროთა განმავლობაში თანდათან ხდება ახალ გარემოებებთან შეგუება. მარტო მცხოვრებ ქერიებს ხშირად უჩნდებათ პრაგიკული და ფსიქოლოგიური სიძნელეები (ყოფითი პრობლემების მოგვარება, სოციალური კონტაქტების შენარჩუნება და სხვა). მათ მხარდაჭერას ცდილობენ ნაოცსაყვები, მეგობრები, მაგრამ ყველაზე დიდი წილი მაინც შეილებზე მოდის. ყველაზე მარტოსულად თავს უშვილო ქერივი ქალები გრძნობენ.

მოხუცების და უკურნებელი სენით შეპყრობილი ადამიანების დამოკიდებულება მოახლოებული სიკვდილისადმი რამდენიმე სტადიას გაივლის: უარყოფის სტადიაზე ადამიანს არ უნდა აღიაროს, რომ შეიძლება მოკვდეს და ეძებს სხვა, იმედისმომცემ არგუმენტებს და დიაგნოზებს. როცა აცნობიერებს, რომ მართლა კვდება, ეუფლება ბრაზი, წყენა და შური სხვა ადამიანების მიმართ („რაგომ მე?“) – ესაა ბრაზის სტადია. ვაჭრობის სტადიაზე ადამიანი ეძებს საშუალებებს, რომ გაიხანგრძლივოს სიცოცხლე, შეიმსუბუქოს გკივილი, განჯვა. მზადაა დადოს პირობა და შეთანხმება ღმერთთან, ექიმთან, სხვა ადამიანთან. შემდეგ ადამიანს შეიძლება დაეუფლოს უიმედობის განცდა. დგება დეპრესიის სტადია. მომაკედავი იკეცება თავის თავში, დარდობს იმაზე, რომ უხდება განშორება ახლობლებთან. მიღების სტადიაზე ადამიანი ემორჩილება ბედს და მშვიდად ელის აღსასრულს.

ეს სტადიები საკმაოდ ხშირად მოიხსენიება სათანადო ლიტერატურაში, მაგრამ ამას ყველა არ ეთანხმება. ვინც მიიჩნევს, რომ ადამიანის ცხოვრების მუსგ და მკაფიო სტადიებად დაყოფა პირობითია, „სიკვდილის ფორმულის“ სტადიების აუცილებელ თანმიმდევრულობასაც უარყოფს. აქ ბევრი ფაქტორი მონაწილეობს და სიკვდილთან შეგუების პროცესიც ინდივიდუალურად მიმდინარეობს. ჩვეულებრივ, მოხუცები გარდაცვალებას ელოდებიან დიდი შიშისა და ცხოვრებასა თუ ბედზე წყენის გარეშე. მოახლოებულმა სიკვდილმა შეიძლება აიძულოს ადამიანი, გადახე-

დოს თავის ცხოვრებას და შეაფასოს, რა არის მისთვის მნიშვნელოვანი, რას წარმოადგენს სინამდვილეში.

ზოგი ადამიანისთვის ცხოვრებაში არარეალიზებული შესაძლებლობანი და შეცდომები ჭარბობს. ისინი აცნობიერებენ, რომ გვიანია ყველაფრის თავიდან დაწყება. ეს ყოველივე მათ უჩენს სიკვდილის მიმართ ძრწოლას, გამუდმებული სინანულისა და სასოწარკვეთილების განცდებს.

მაგრამ როცა ადამიანს შეუძლია უთხრას თავის თავს: „მე კმაყოფილი ვარ“ – სიკვდილისა მას აღარ ეშინია. ასეთი ადამიანები ცხოვრების გაგრძელებას შთამომავლებში და საკუთარ ნამოღვაწარში ხედავენ. ე. ერიკსონი მათ ეგო-ინტეგრირებულთა კატეგორიას მიაკუთვნებდა. ასეთი ადამიანები “უკეთეს სამყაროში” მიდიან განვლილი ცხოვრების მნიშვნელობის განცდით, კმაყოფილების ვრძნობით, რომ ყველაფერი ასე თუ ისე კარგად განხორციელდა და მათ გყუილად არ უცხოვრიათ. მიუხედავად იმისა, რომ სიკვდილი უთუოდ არასასურველია და საშიში, სიცოცხლეს თვითდამკვიდრება სიკვდილშიც შეუძლია.

თავი V. ცნობიერების ფსიქოლოგია

§ 1. ცნობიერების ზოგადი დახასიათება

ფსიქიკური სამყარო, პირველ ყოვლისა, განცდების სამყაროა¹. განცდა შინაგანი ცხოვრების პირველადი ფაქტია. როდესაც ჩვენ ვხედავთ ან გვესმის, გვცოვია ან გვშია, გვეშინია ან გვიყვარს, რაიმე წარმოდგენა ან აზრი გვაქვს, ეს ყველაფერი განცდებია.

ფსიქიკის აღმოცენება ცოცხალ სამყაროში სხვა არაფერია, თუ არა განცდის, ე.წ. მგრძნობელობის, ანუ პრიმიტიული ღიფუბური შეგრძნების გაჩენა. ცოცხლი ორგანიზმების ფსიქიკის განვითარება განცდებისა და მათთან დაკავშირებული ფსიქიკური პროცესების ღიფერენციაცია და გართულებაა. განცდა ხომ თავისით არ წარმოიქმნება, ის გარკვეული პროცესის შედეგია, რომელთანაც განუყოფელ მთლიანობას ქმნის. ჩამოთვლილ განცდებს ისეთი ფსიქიკური პროცესები შეესაბამება, როგორცაა შეგრძნება-აღქმა, მოთხოვნილება, გრძნობა, მეხსიერება, აზროვნება.

ფსიქიკური პროცესები და განცდები, თავის მხრივ, ცოცხალი არსების ქცევას, მოქმედებას ემსახურება. შეგუება აქტივობის გზით ხორციელდება, ხოლო ფსიქიკა ადაპტაციის ყველაზე მაღალი დონეა. ქცევა და ფსიქიკა ერთმანეთისაგან დაუშორებელია. ქცევის აღმოცენება და რეგულაცია ფსიქიკის მეშვეობით ხდება. ქცევის მიმდინარეობის, მისი დაწყებისა თუ დასრულების აუცილებლობის შესახებ ცოცხალ არსებას შესაბამისი განცდები აცყობინებს. თავის მხრივ ფსიქიკაც ქცევის, ადაპტაციის პროცესში ვითარდება. ჩნდება სულ უფრო რთული შეგუების ფორმები: გაქსივები, რეფლექსები, ინსტინქტები, დასწავილილი და გონიერი ქცევა. აქტივობის აღნიშნული ფორმები ფსიქიკის განვითარების ეტაპების გამოვლინებაა (იხ. თავი III). ადამიანთან ქცევა ნებისმიერ და შეგნებულ ხასიათს იღებს, ხოლო ფსიქიკა, თავისი განვითარებისა და გართულების უმაღლეს საფეხურზე, ცნობიერების დონეზე აღის. თუ აქამდე ფსიქიკური ცხოვრების განცდები თავისთავად,

¹ როგორც არაცნობიერისადმი მიძღვნილ თავში დავინახავო, ფსიქიკური სფერო მხოლოდ განცდადი მოვლენებისაგან არ შედგება.

უნებურად მიმდინარეობდა და ერთმანეთის ცვლიდნენ, ამიერიდან ისინი თვით განმცდელი სუბიექტისთვის ხდებიან მოცემულნი; მან “იცის” მათი არსებობის შესახებ. ცნობიერება ეწოდება განცდების ასეთ უშუალო “ჭვრეტას”, სუბიექტისთვის მათ მოცემულობას. ფსიქიკის უმაღლესი საფეხურის აღსანიშნად ზოგჯერ რეფლექსიის¹ ცნებასაც იყენებენ. რეფლექსია ნიშნავს დაკვირვების მიმართვას საკუთარ შინაგან სამყაროზე. რეფლექსირება – ესაა გარკვეულობის შეგანაა საკუთარ თავში, საკუთარ განცდებსა და მოქმედებებში. ეს უნარი არ გააჩნიათ ცხოველებს, პაგარა ბავშვებს და ზოგიერთი სულიერი აშლილობის მქონე პირებს. რეფლექსიის უნარი მეგია, ვიდრე ცნობიერების ქონა.

ნათელია, რომ ცნობიერების მქონე არსება განუმოძღვალად დიდ შესაძლებლობათა მფლობელი ხდება. მას უჩნდება უნარი, ცნობიერების პლანში დაეუფლოს განცდებს და წარმართოს თავისი ქცევა, განზრახულად გამოიყენოს მის განკარგულებაში მყოფი ფსიქიკური პროცესები. ფსიქიკის განვითარების ცნობიერებამდელ საფეხურზე ფსიქიკური პროცესები, შესაბამისი განცდები და აქტივობაც მხოლოდ გარემოზე ან შინაგან იმპულსზე პასუხის, რეაქციის სახეს ატარებს; მათი “ჩართვა-გამორთვა” და მიმდინარეობა ავტომატურად (რეფლექტორულად) ხორციელდება. ცნობიერებით დაჯილდოებული ადამიანის ქცევა კი უფრო ხშირად მიზანდასახული და დაგეგმილია. მას ესმის, რას და რატომ აკეთებს, იგი შერაცხადია. ადამიანი იყენებს მის ხელთ არსებულ ფსიქიკურ უნარ-შესაძლებლობებს, ასევე სხვადასხვა ფუნქციებს ქცევის დაგეგმვისა და განხორციელებისას, აგრეთვე მაშინ, როცა მოქმედების ამა თუ იმ უბანზე შეფერხებები გაჩნდება.

ჩვენი ფსიქიკური ცხოვრება ორ პლანში მიდინარეობს: ცნობიერებამდელ, ან იმპულსურ და ცნობიერების, ანუ ობიექტივაციის პლანში. ცოცხალი არსებები, რომელთაც ცნობიერება არ გააჩნიათ, ყოველთვის პირველ პლანში მოქმედებენ; ზრდასრული, ნორმალური ადამიანი ორივე პლანში ცხოვრობს. იგი აქტივობათა რიგს არაპნობიერად ახორციელებს, სხვებს – ცნობიერად. მარტივი, ავტომატური მოქმედებები ან ქცევები, რომელთა შესასრულებლად არავითარი გარეგანი იუ შინაგანი სირთულე არ

¹ რეფლექსია არ უნდა აეურიოთ რეფლექსიის ცნებაში. რეფლექსი ეწოდება ორგანიზმის კანონზომიერ და ავტომატურ რეაქციას გამოსწიანებელზე.

არსებობს, იმპულსურად მიმდინარეობს. მაგრამ საკმარისია გაჩნდეს რაიმე დაბრკოლება, რომელიც აეგომაგურად ვერ გვარდება, და მაშინვე ირთება ცნობიერება. ქცევა ობიექტივაციის პლანში გადადის. ეს შეიძლება მოხდეს ქცევის საწყის ეტაპზე – მაგალითად, გაჩნდეს ეჭვი, ღირს თუ არა ამ ქცევის შესრულება (გადაწყვეტილების მიღება) და თუ ღირს – როგორ (დაგეგმვა). შეფერხება შეიძლება გაჩნდეს ქცევის განხორციელების პროცესშიც. ადამიანს შეუძლია, შეწყვიტოს განცდების თავისუფალი დინება, დაუპირისპირდეს რაიმე განცდას, რომელიც გარკვეულ სიგნალს იძლევა გარემოსა თუ მისი შინაგანი სამყაროს შესახებ, გაარკვიოს, თუ რას ნიშნავს მოცემული სიგნალი, რიგორია დაბრკოლების ბუნება და რა მომებია მისაღები მის მოსაგვარებლად. ამის ნათელსაყოფად სულ უბრალო მაგალითიც გამოდგება: ჩაცმის იმპულსური ქცევის მსვლელობაში გაჩნდა განცდა (სიგნალი), რომ ფეხი არ ჩადის ფეხსაცმელში. იმპულსური აქტივობა უმალ ჩერდება და გადადის ობიექტივაციის პლანში. საქმეში ერთება ცნობიერება, კერძოდ უმაღლესი შემეცნებითი პროცესები, რომელთა მეშვეობითაც ირკვევა პრობლემის ბუნება (მაგ., ფეხსაცმელი სხვა ფეხისა იყო) და მისი გადაჭრის გზაც. ამის შემდეგ, თუ სხვა პრობლემა არ დგას, ქცევა უბრუნდება იმპულსურ პლანს. მაშასადამე, ცნობიერების თვისების შექენით ადამიანის ფსიქიკა განუზომლად უფრო მაღალ საფეხურზე ადის, ხოლო მისი ქცევის რეგულაცია გაცილებით რთულ და სრულყოფილ სახეს იღებს.

ცნობიერების პროცესების კლასიფიკაცია

ცნობიერებაში მიმდინარე ფსიქიკურ პროცესთა მრავალფეროვნებაში შესამჩნევია სხვადასხვა ხასიათისა და სხვადასხვა ფსიქოლოგიური ბუნების მოვლენები, რაც მათი კლასიფიკაციის აუცილებლობას წარმოშობს. მრავალი კლასიფიკაციიდან ყველაზე გავრცელებული და მარტივი ის კლასიფიკაციაა, რომლის საფუძველია სუბიექტისა და გარემოს ურთიერთობის პრინციპი. იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ასრულებს ამ ურთიერთობაში ცნობიერების პროცესები, მათი სამი კლასი გამოიყოფა:

1) შემეცნებითი პროცესები. ამ ჯგუფს მიეკუთვნება ის პროცესები, რომლებიც სინამდვილის შემეცნებას ემსახურებიან, ასახვენ მოვლენებს და მათ შორის მიმართებებს. ეს არის აღქმა, რომელიც აქ და ამჟამად მოცემულ საგანთა და მოვლენათა თვალსაჩინო ასახვას იძლევა; მეხსიერება, რომელიც უწინ აღქმულს ინახავს და აღადგენს, ამროვნება, რომლის მეშვეობით სინამდვილის გაცება ხორციელდება; აგრეთვე ყურადღება, რომელსაც საგნები ნათელი ცნობიერების ველში შემოაქვს და რომელზეც ამავე თავში გვექნება საუბარი.

2) ემოციური პროცესები. ემოცია სუბიექტის შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც გამოხატავს მის დამოკიდებულებას სხვადასხვა ვითარების მიმართ; მოსწონს თუ არ მოსწონს, უყვარს თუ სძულს, ასარებს თუ აწუხებს და ა.შ. ამ კლასში ერთიანდება სხვადასხვა ხასიათის გრძნობები და ემოციები.

3) მოტივაციური ან ქცევითი პროცესები. ეს ცნობიერების ის პროცესებია, რომლებიც განაპირობებენ ადამიანის აქტივობას, მის ქცევას. ამ კლასს ეკუთვნის გადაწყვეტილების მიღების, მიზნის დასახვისა და გეგმის შედგენის, ასევე მათი რეალიზაციის პროცესები, მოთხოვნილებები, ლტოლვები, ტენდენციები და ა.შ.

თუმცა სამივე ამ ჯგუფს განცდები ერთმანეთთანაა დაკავშირებული და ხშირად ძნელია მათი გამიჯვნა.

§ 2. ცნობიერების მთავარი თავისებურებანი

1. ცნობიერების პროცესები არის ერთვარი “აქტები”, რომლებშიც გარკვეული შინაარსებია მოცემული. ცნობიერების პროცესი უთუოდ რაღაცაზეა მიმართული, იგი რაიმე საგანს ან ვითარებას გულისხმობს. ცნობიერება აუცილებლად რაღაცის ცნობიერებაა. მაგალითად, აღქმა აუცილებლად რაიმეს აღქმაა, სურვილი – რაიმეს სურვილი, მოგონება – რაიმე საგნის ან მოვლენის მოგონება, ხოლო გრძნობა – რაიმეს ან ვინმეს მიმართ გრძნობა. ცნობიერების პროცესი, არსებითად, მასში მოცემული შინაარსის მიმდინარეობა, მსვლელობაა. მაგალითად, მხედველობით აღქმაში ფერი შინაარსია, ხოლო ხედვა ამ ფერისა (პროცესი, მიმდინარეობა) – აქტი.

2. ფსიქიკურ პროცესში ცნობიერდება არა მხოლოდ მის გარეთ მყოფი რაიმე შინაარსი, არამედ თვით ეს პროცესიც. მასში

საგნისა და თავისთავის ცნობიერება ერთდროულად, მთლიანობაშია მოცემული. ცნობიერების არსებითი ნიშანი, როგორც ითქვა, ხომ სწორედ ისაა, რომ მან “იყის” თავისთავის შესახებ. ადამიანს აქვს იმის შეგყობინება, შინაგანი დადასტურება, რომ მას სცივა, სწყურია, რომ იგი ახლა წარმოიდგენს ან ფიქრობს. ცნობიერების პროცესი საგნის ხედვაცაა და თავისთავისაც. ამ უკანასკნელის გარეშე საკუთარი ფსიქიკური სამყარო ჩვენთვის სრულებით უცნობი, გაუცნობიერებელი იქნებოდა. ხოლო ის, რომ ჩვენ გვაქვს გარკვეული წარმოდგენა საკუთარი თავის, საკუთარი სულიერი სამყაროს შესახებ, უეჭველია. ეს ფაქტი ცნობიერების პროცესის თვითგანცდის თვისებაა და ამყარებული. ამ თვისებას ეწოდება თვითცნობიერება, ხოლო მისი ღრმა სახეს, როგორც გემოთ აღინიშნა, რეფლექსია.

3. თვითცნობიერების თვისების გამო ცნობიერების პროცესებს უშუალო და ნამდვილი მოცემულობა ახასიათებთ. ისინი სწორედ ისეთები არიან, როგორც გვეჩვენება. ეს კი ყოველთვის არ ითქმის იმ შინაარსისა თუ საგნობრივი ვითარების შესახებ, რომელზეც ცნობიერების პროცესია მიმართული. ის შინაარსი, რომელიც გარედან გვეძლევა, მოგჯერ არ შესაგყვისება რეალურ ობიექტს. მაგალითად, ჩოგბურთის ყვითელი ბურთი ხის ძირას შეიძლება ხიდან ჩამოვარდნილ ფორთოხალად აღვიქვათ. ამის შემოწმებას სპეციალური პროცედურა ესაჭიროება, რაც სრულიად არ არის საჭირო ცნობიერი პროცესების შემთხვევაში. სიხარული, სურვილი, მოგონება ჩვენში ჩნდება და ისე გვეძლევა, როგორც სინამდვილეშია. არ შეიძლება ახლა რაიმეს გრძნობდე და აღმოჩნდეს, რომ ამას ამჟამად არ გრძნობ. ჩვენ მხოლოდ ის პროცესები გვაქვს, რომელთა მოცემულობასაც განვიცდით და, პირიქით, რა პროცესებსაც განვიცდით, მხოლოდ ისინი გვაქვს ცნობიერებაში.

4. ცნობიერების დახასიათებისას, ჩვეულებრივ, ლაპარაკობენ ცნობიერების ველზე, რომელზეც ფსიქიკური განცდები, აქტები და პროცესები იშლება. პირველი, რასაც აღმოვაჩინთ ხოლმე ცნობიერების ველის ხილვისას, ეს მისი გასაოცარი სიჭრელე და მრავალფეროვნებაა; იგი სავსეა სხვადასხვაგვარი შინაარსით და მართლაც შეიძლება შედარდეს ნაირფერად აყვავებულ მინდორ-ველს: მხედველობითი ხატები, სმენითი შთაბეჭდილებები,

ემოციური მდგომარეობები, აზრები, მოგონებები, სურვილები – ცნობიერების ველში ეს ყველაფერი შეიძლება ერთდროულად იყოს მოცემული. ადამიანის ცნობიერება დანაწვრებული და დიფერენცირებულია.

5. მიუხედავად ცნობიერების ველის შთამბეჭდავი მრავალფეროვნებისა და შინაარსების ამოუწურავი მრავალგვარობისა, იგი მაინც ერთი მთლიანობაა. განსხვავებული განცდების დადასტურებასთან ერთად, ჩვენ იმასაც უშუალოდ ვგრძნობთ, რომ თითოეული მათგანი საერთო მთლიანის ნაწილია. ეს ასეა, ვინაიდან ყოველი განცდა უთუოდ ვისამე განცდაა აღქმა, მაგალითად, ვინმე კონკრეტული პირის აღქმაა. წარმოდგენაც ასეა – იმის გარეშე, ვინც წარმოიდგენს, იგი არ არსებობს და ა.შ. ეს საერთო “ფოკუსი” ყველა განცდას აქვს. ცნობიერებაში მოცემულ ყოველ განცდას თუ პროცესს ახლავს იმის შეგყობინებაც, რომ ის ჩემია (თვითცნობიერება). განცდათა გაუსხობება “მე”-საგან პათოლოგიის ნიშანია. სწორედ “მე”-სადმი ეს უშუალო მიკუთვნებულობა ამ თლიანებს ცნობიერების მრავალფეროვან შინაარსებს.

ცნობიერების მთლიანობა სხვაგვარადაც მელაენდება, კერძოდ იმაში, რომ ადამიანის მოქმედებათა უმეტესობა სხვადასხვა აქტებისა თუ პროცესების თანამონაწილეობას, მათ ერთიან განხორციელებას გულისხმობს. მაგალითად, ლექციის დაკონსპექტება შესაძლებელია მხოლოდ ფუნქციათა რიგის კომპლექსური ამოქმედების გზით: კონსპექტს ვერ დაწერ ვერც აღქმის, ვერც მეხსიერების, ვერც აზროვნების, ან მოტივაციური პროცესების გარეშე.

6. ცნობიერების მოვლენები მუდმივ მოძრაობასა და ცვალებადობაშია. ცნობიერებაში განცდები და პროცესები განუწყვეტლივ ცვლის ერთმანეთს: წარმოდგენას მოჰყვება სხვა წარმოდგენა, ამ უკანასკნელს – აზრი, აზრს – მეორე აზრი, ის კი გრძნობას აღძრავს, რომელიც, თავის მხრივ, რაღაც მოგონებას, მოგონება – რაიმე სურვილს და ა.შ. ცნობიერების ამ თვისებას, მდინარის ნაკადთან ანალოგიით, ნაკადისებურობას უწოდებენ. ცნობიერების ნაკადი მუდმივად მიედინება; ცნობიერების ერთი და იმავე ნაკადში, მდინარისა არ იყოს, ორჯერ ვერ შეხვალ. ცნობიერების ესა თუ ის მდგომარეობა არასოდეს მეორდება აბსოლუტურად იდენტური სახით. შეიძლება განმეორდეს ობიექტი,

შინაარსი და არა მისი განცდა, თუნდაც იმიტომ, რომ უწინდელმა განცდამ სუბიექტში რაღაც კვალი მაინც დაგოვა.

მართალია, ცნობიერების ნაკადი უწყვეტი ერთიანობაა, მასში მაინც გამოიყოფა შედარებით მყარი მდგომარეობები, როდესაც ნაკადი ძალზე ნელა მიედინება, ან მორევივით არის დაგუბებული; მასში აგრეთვე აღინიშნება შედარებით არამყარი, გარდამავალი მდგომარეობები, როდესაც ნაკადი იმდენად სწრაფია, რომ ნაკლებ ექვემდებარება აღწერას და თვითდაკვირვებას. რაც უფრო მარტივი და პერიფერიულია განცდა, მით უფრო ნაკლებ აგარებს ამ თვისებებს, ხოლო რაც უფრო რთული და ცენტრალურია, მით უფრო სწრაფად მიმდინარეობს და მეტადაც იცულება. შეგრძნებები, მაგალითად, ჩვენი ცნობიერების ყველაზე მყარი მოვლენებია. სამაგიეროდ გრძნობები, სურვილები და აზრები, გაცილებით ნაკლები სიმტკიცით ხასიათდება.

ცნობიერების მდგომარეობებს ან შინაარსებს შორის არ არის წყვილა. ჩვენი თვითდაკვირვება ვერც ასწრებს მათი ურთიერთსეკალებადობის მომენტის დაჭერას. ცნობიერების შინაარსების მიმდინარეობა ნაკადია და არა რიგში ჩამწკრივებული ჯარისკაცების მსვლელობა, რომელთა შორის ყოველთვის არსებობს რაღაც შუალედი. ცნობიერების მდგომარეობებში შუალედი არ არის. ყოველ შემთხვევაში, ღვიძილის ცნობიერება უწყვეტია.

7. ცნობიერებაში მიმდინარე პროცესები მეტ-ნაკლები სუბიექტურობით ხასიათდება. ზოგიერთი ფსიქიკური პროცესი ღრმა პიროვნულ შრეებს ეხება, იგი უფრო სუბიექტის შინაგანი მდგომარეობაა, ვიდრე ობიექტური ვითარების ასახვა-დახასიათება. განსაკუთრებით თვალსაჩინო იქნება ეს განსხვავება, თუ ერთმანეთს შევადარებთ ჩვენი ცნობიერი სამყაროს ისეთ მოვლენებს, როგორც შეგრძნებები და გრძნობებია. შეგრძნება შედარებით პერიფერიული და “ობიექტური” განცდაა, ხოლო გრძნობა უფრო ცენტრალური და სუბიექტური. საზოგადოდ კი შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები, როგორც საგნობრივი ვითარების ამსახველი განცდები, ნაკლებად სუბიექტურებია, ვიდრე მოგივაციური და ემოციური პროცესები. ცნობიერებაში ეს ასეა მოცემული.

8. ცნობიერების ველში გამოიყოფა ცენტრალური არე რომელშიც შინაარსები განსაკუთრებით მკაფიოდ და ცხადადაა მოცემული. ცნობიერების ამ არეს ეწოდება ცნობიერების ფოკუსი ან

ყურადღების არე. ამ უკანასკნელის მიღმა განლაგებულია ცნობიერების ველის ის ნაწილი, რომლის შინაარსიც ბუნდოვანი და დაუნაწევრებელია. ეს ცნობიერების პერიფერია ან ბუნდოვანი ველია. მაგალითად, როცა ყურადღებით ვკითხულობთ წიგნს, ჩვენ მაინც გვესმის ირგვლივ ლაპარაკი, თუმცა რას ლაპარაკობენ, ამას ვერ აღვიქვამთ. როდესაც დაფაზე დასაგულ ფიგურას მივაპყრობთ ყურადღებას, ამ დროს იმასაც ვხედავთ, რომ ნახაზის გარშემო სიგყვები წერია, თუმცა მათ იმ მომენტში ვერ წავიკითხავთ და ა.შ. მაშასადამე, ცნობიერების მოცულობა უფრო ფართოა, ვიდრე ყურადღების მოცულობა, მაგრამ ისიც ცხადია, რომ ცნობიერების მოცულობაც განსაზღვრულია. ადამიანი ბუნდოვნადაც ვერ განიცდის ყველა იმ საგანსა თუ გამლიზიანებელს, რომელიც მასზე მოქმედებს. ყოველ მოცემულ მომენტში მთელ რიგ გამლიზიანებლებს სრულად ვერ ვამჩნევთ; ჩვენს ცნობიერებაში არ შემოდის უამრავი საგანი თუ შინაარსი. ეს, სხვათა შორის, არ ნიშნავს იმას, რომ ისინი საერთოდ არ აისახება ჩვენს ფსიქიკაში, სახელდობრ, არაცნობიერ ფსიქიკაში (იხ. თავი VII).

9. ამგვარად, ცნობიერება და ყურადღება ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ეს კავშირი იმდენად მჭიდროა, რომ როგორც მეცნიერულ, ისე ცხოვრებისეულ ფსიქოლოგიაში ისინი ხშირად სინონიმებად იხმარება (მაგ., ცნობიერების და ყურადღების მიპყრობა, ცნობიერების და ყურადღების გადაგანა და ა.შ.). ცნობიერების ცნების ღრმა ანალიზისთვის სასარგებლო იქნება ამ ცნებების მკაფიო გამოიჯენა. მათი შინაარსი არ ფარავს ერთმანეთს. ყურადღება შედის ცნობიერებაში, როგორც მისი ცენტრალური ნაწილი. ყურადღების ცნებით აღინიშნება აგრეთვე ცნობიერების აქტიური მხარე ადამიანს აქვს უნარი, მიმართოს თავისი ცნობიერება რაიმე ვითარებაზე და მოათესოს იგი ცნობიერების ცენტრში, ანუ ყურადღების არეში, ე.ი. სხვა სიგყვებით, მიაქციოს რაიმეს ყურადღება. ეს აქტივობა ვლინდება ცნობიერების შევიწროებაში, მის კონცენტრაციაში. გავრცელებული შეხედულებით, ყურადღება, როგორც მოქმედება, გულისხმობს ცნობიერების შევიწროებას და ამ სახით წარმართვას ობიექტზე, რის შედეგადაც მიიღწევა ამ ობიექტის ნათლად განცდა, ანუ ობიექტის “სუბიექტური სინათლე”.

10. ცნობიერების თვისების გაჩენა, პირველ ყოვლისა. ფსიქიკური მოქმედების რეგულაციის თავისებურებაში აისახება. ქცევაში ცნობიერების წარმოქმნა, როგორც დაერწმუნდით, ამდღერებს ქცევის შინაარსულ მხარეს, ართულებს მას და გარემოსადმი უფრო მორგებულს ხდის. ამ კუთხით დიდ მნიშვნელობას იძენს ის, არის თუ არა ადამიანის აქტივობა მოქცეული ცნობიერების ფიქსში, ანუ იმყოფება თუ არა ყურადღების არეში. როგორც აღინიშნა, ყურადღება ცნობიერების ის არეა, სადაც ფსიქიკური შინაარსები და პროცესები ყველაზე ნათლად და ცხადადაა მოცემული. შესაბამისად, ყურადღების არეში საუკეთესო პირობები არსებობს ფსიქიკური აქტივობის წარმართვისა და რეგულაციისთვის.

ყურადღება, როგორც ცნობიერების ყველაზე ნათელი და აქტიური ნაწილი და ნებელობითი ქცევის აუცილებელი პირობა, დიდი ხანია მეცნიერული ინტერესის ცენტრში იმყოფება. ფსიქოლოგიაში შესწავლილია მისი ძირითადი თვისებები და მოქმედების კანონზომიერებები.

§ 3 ყურადღების ძირითადი სახეები და თვისებები

ყურადღება ცნობიერების ნათელი ადგილია და “განათების” პროცესიც. ამდენად, ყურადღების ცნებაში ორი ასპექტი გამოიყოფა – იგი ცნობიერების მგომარეობაა და აქტივობაა, ანუ ფსიქიკური პროცესი. აქედან გამომდინარე, ყურადღების მოვლენის რამდენიმე არსებითი ნიშანი ან კრიტერიუმი შეიძლება გამოიყოს: 1) სელექტიურობა ანუ არჩევეთობა იმ შინაარსების (ინფორმაციის) მიმართ, რომლებიც ცნობიერების ცენტრში უნდა განთავსდეს. 2) ყურადღების ველში მოქცეული შინაარსების სიცხადე და მკაფიობა. 3) ცნობიერების შინაარსებზე და, საზოგადოდ, ფსიქიკურ მოქმედებაზე კონცენტრაცია. 4) ყურადღების თანხლებით მიმდინარე თეორიული და პრაქტიკული მოქმედების მეტი პროდუქტიულობა.

ყურადღება, როგორც აქტივობა, ფსიქიკური პროცესი, შეიძლება ორი სახისა იყოს: ნებელობითი და უნებლიე. ნებელობითი ყურადღების ძირითადი დამახასიათებელი ის არის, რომ სუბიექტი ყურადღებას შეგნებულად, გამიზნულად აამოქმედებს და მას მართავს. უნებლიე ყურადღებაში ორი, არსებითად განსხვავებული ბუნების აქტივობა იგულისხმება. ერთი მხრივ, ეს არის

მარგვი ე.წ. საორიენტაციო რეფლექსის ხასიათის მოქმედება, როდესაც გამღიზიანებელი თავისთავად, ავტომატურად მიიზიდავს სუბიექტის ყურადღებას. ასეთი გამღიზიანებელი შეიძლება იყოს მოულოდნელი ძლიერი ბგერა, უეცრად გაელვებული საგანი და ა.შ., რომელიც ჩვეულებრივ, მისკენ მიმართულ საორიენტაციო რეფლექსს იწვევს. მეორე მხრივ, უნებლიე ყურადღება ელინდება სუბიექტის მოთხოვნისგან ან ინტერესით წარმართული აქტივობის სახით: ყურადღება უნებლიედ, მაგრამ სათანადო მოვლენით დაინტერესების გამო წარიმართება. მაგალითად, საინტერესო რომანმა შეიძლება მიიზიდოს ყმაწვილის ყურადღება და იგი დიდხანს ვერ მოსწყდეს მის კითხვას, მიუხედავად იმისა, რომ უკვე ძილის დროა და ა.შ. ყურადღების ეს სახე პიროვნების მეტ აქტივობას გულისხმობს და გენეტიკურად რეფლექსურ ყურადღებაზე უფრო მაღალი ფორმაა.

ყურადღების ძირითადი თვისებებია:

1) ყურადღების ინტენსივობა. ყურადღების ყოველი პროცესი სუბიექტის ნებით თუ უნებლიედ წარმართული მოქმედებაა. ყურადღების ყოველი აქტი მეგ-ნაკლები ინტენსივობისაა. ყურადღების კონცენტრაცია ხან მეტი, ხანაც ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება. რამდენადაც ყურადღება ძირითადად მისი ობიექტის ნათლად განცდის პირობაა, ბუნებრივია, რომ ყურადღების მეგ-ნაკლები ინტენსივობა, პირველ ყოვლისა, ყურადღების საგნის მეგ-ნაკლებ სინათლეში იჩენს თავს.

იმ შემთხვევაში, როდესაც ყურადღების კონცენტრაცია რომელიმე ძნელად შესასრულებელი მოქმედების პირობას წარმოადგენს, ყურადღების ინტენსივობა მისი შესრულების ხარისხს განსაზღვრავს. მაგალითად, წვრილ ჭურჭელში სითხის გადასხმა, ყურადღების კონცენტრაციის ინტენსივობის შესაბამისად, განსხვავებული წარმატებით მოხდება.

2) ყურადღების რხევადობა რაც უნდა ინტენსიურად იყოს მიმართული სუბიექტის ყურადღება რაიმე საგანსა თუ მოვლენაზე, დროის გარკვეულ მონაკვეთში მისი ცნობიერების შინაარსი ხან მეტი სიციხადით განიცდება, ხან ნაკლებით. მაშასადამე, ყურადღების ინტენსივობა პერიოდულად ირხევა — მაგულობს ან სუსტდება. მაგალითად, საათის ობიექტურად თანაბარი წიკ-წიკი გალღისებურად განიცდება — ძლიერდება და სუსტდებ-

ბა. ეს ყურადღების ინგენსიუობის რხევის შედეგია. ამ რხევის გემში სხვადასხვა პირობებში განსხვავებულია და, ჩვეულებრივ, რამდენიმე წამის დიაპაზონში მერყეობს.

ყურადღების რხევა განსაკუთრებით თვალსაჩინოდ ვლინდება სუსტი გამლიზიანების ალქმისას. შინაარსეული მასალის ალქმის შემთხვევაში, როდესაც ეს შინაარსი დინამიკურად იშლება (მაგ, წიგნის კითხვისას ან ფილმის ყურებისას), ყურადღების რხევა ერთი და იგივე პერიოდულობით აღარ მიმდინარეობს და დამოკიდებულია პიროვნების ინტერესის გაძლიერებაზე ან შესუსტებაზე.

3) ყურადღების მოცულობა. ესაა ობიექტების რაოდენობა, რომელიც საკმარისი სიქსალით შეიძლება მოიცვას ყურადღება მყისიერად, შეზღუდულ დროში. მყისიერების მომენტი აქ მნიშვნელოვანია, რადგან ყურადღებას შეუძლია ძალიან სწრაფად გადაინაცვლოს ერთი ობიექტიდან მეორეზე, რაც ქმნის მისი დიდი მოცულობის ილუზიას. სპეციალური მოწყობილობის (გაქისტოსკოპის) გამოყენებით, ცდიპირებს 0,1 წამის განმავლობაში მიეწოდებოდათ აღსაქმელად რამდენიმე ობიექტი (ასოები, ციფრები, გომერგიული ფიგურები). რამდენადაც მთელი მასალა აღიბეჭდება თვალის ბადურაზე, ფიბიკურად შესაძლებელია მისი მთელი მოცულობით ალქმა. თუკი ცდისპირი მაინც ვერ დაინახავს ყველა ასოს ან ფიგურას, ეს უკვე ყურადღების მოცულობის შემზღუდულობის ბრალია. ექსპერიმენტულად გაირკვა, რომ ყურადღების მოცულობა შეზღუდულია 5-6 მარტივი შთაბეჭდილებით. ვინაიდან ცნობიერების მოცულობა არ ემთხვევა ყურადღების მოცულობას, სუბიექტი იმის გარდა, რასაც ნათლად და გარკვევით აღიქვამს, როგორც ყურადღების საგანს, სხვა ობიექტებსაც განიცდის, ოღონდ ბუნდოვნად. მაგალითად, აცნობიერებს, რომ გაქისტოსკოპში მის მიერ ამოკითხული ციფრების გარდა სხვა ციფრებიც ან რაღაც "სხვა" იყო დაწერილი ან დახატული.

4) ყურადღების გადანაცვლება. ეს თვისება ყურადღების ერთი ობიექტიდან ან მოქმედებიდან მეორეზე სწრაფი გადაგანის ან გადანაცვლების უნარში მქლავნდება. ამ უნარის მიხედვით აღამიანები საგრძნობლად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, თუმცა ყურადღების გადანაცვლების ამოყანა მუდამ იჩენს თავს ყოველდღიურ ცხოვრებასა თუ პროფესიულ საქმიანობაში.

ექსპერიმენტული მონაცემებით, ყურადღების ერთი სენსორული (თვალსაჩინო) მასალიდან მეორეზე გადაგანის მაქსიმალური სისწრაფე წამის დაახლოებით მესამედს უდრის. გადანაცვლება მით უფრო ძნელია, რაც უფრო მეტად არის ჩართული ინდივიდი მოცემული მიმართულებით მოქმედებაში. ცხადია, ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს მოქმედების შინაარსს და პიროვნების დამოკიდებულებას ამ შინაარსისადმი.

5) ყურადღების განაწილება მისი ერთდროულად რამდენიმე მიმართულებით წარმართვაში მდგომარეობს. ყურადღების ეს თვისება უკავშირდება რამდენიმე მოქმედების პარალელურად შესრულების პრაქტიკულ პრობლემას. თუმცა ორი და მეტი მოქმედების ერთდროული შესრულება აუცილებლად ყურადღების განაწილებას არ მოითხოვს. ვარჯიშის შედეგად მოქმედებათა რიგი ერთ მოქმედებაში ერთიანდება და ამიგომ მათ შესრულებას ყურადღების განაწილება აღარ სჭირდება, მაგალითად ორი ხელით როიალზე დაკვრა. სანამ ეს მოქმედება ერთ სტრუქტურად ჩამოყალიბდება, მისი ყოველი ელემენტი (თითოეული ხელის მოძრაობა კლავიატურაზე, ფეხების დაჭერა პედალებზე) ცალკე მოქმედებაა და ყურადღების სწრაფი გადაგანის გზით ხორციელდება. დაკვრის მოქმედების განმკიცება-ავტომატიზაციასთან ერთად ისინი ამ მოქმედებაში შემავალ ოპერაციებად იქცევიან და საგანგებო ყურადღების აქვს აღარ საჭიროებენ.

მოცემულ შემთხვევაში, ფაქტობრივად, ერთი რთული მოქმედება სრულდება. მაგრამ, რა ხდება, როცა სუბიექტს ერთდროულად ორი ან მეტი დამოუკიდებელი მოქმედება აქვს შესასრულებელი? აქ ყველაფერი დამოკიდებულია ამ მოქმედებათა ბუნებასა და რეალიზაციის ხასიათზე. ორი დამოუკიდებელი მოქმედების შესრულება და, შესაბამისად, ყურადღების განაწილება რეალურად შესაძლებელია, თუ: ა) ინტენსიურ ყურადღებას არც ერთი მათგანი არ მოითხოვს, ან მოითხოვს მხოლოდ ერთი. ასეთებია, მაგალითად, ანგარიში და სიარული. ბ) მოქმედებები ყურადღების სწრაფი გადანაცვლება-გადმონაცვლების გზით ხორციელდება. ამ შემთხვევაში თითოეულის მთლიანი შესრულება ყურადღების უწყვეტ მუშაობას არ მოითხოვს და ამიგომ ორივე მოქმედება სრულდება ყურადღების სწრაფი გადასვლით ერთიდან მეორეზე. გ) ერთდროულად ხორციელდება

ორი ისეთი მოქმედება, რომლებიც მოითხოვენ ყურადღების გაღივებურ აქცივობას. თუ ერთ-ერთის მიმართ ყურადღების გაღივება აწვევა დროში ემთხვევა მეორის მიმართ გაღივებას, ისინი წარმატებით სრულდება ერთდროულად. მაგალითად, გელეფონით საუბარი და წერა, ან ლექციის მოსმენა და კონსპექტის წერა. არც ლექციის მოსმენა, არც კონსპექტის წერა ცალ-ცალკე არ მოითხოვს ყურადღების მუდმივ და მაქსიმალურ დაძაბვას; ეს დაძაბვა მხოლოდ “კრიტიკულ” მომენტში ხდება.

კვლევა ადასტურებს, რომ ერთდროულად ორი ისეთი დამოუკიდებელი და რთული მოქმედების სრულყოფილი შესრულება, რომელიც ყურადღების სრულ კონცენტრაციას მოითხოვს, შეუძლებელია. შეეცადეთ თქვათ ლექსი და თან რთული მათემატიკური ოპერაცია შეასრულოთ. მაშინვე იგრძნობთ, რომ ერთი მოქმედება მეორეს ამუხრუჭებს. მსგავს სიტუაციებში ან ორივე მოქმედების ნაყოფიერება ქვეითდება, ან სრულდება მხოლოდ ერთი. ამგვარად, ყურადღების განაწილება, მისი სრული გახლეჩის მნიშვნელობით, არ შეიძლება.

6) ყურადღების გამძლეობა ეწოდება ყურადღების ხანგრძლივ წარმართვას ერთი მიმართულებით, ყურადღების შეჩერებას ერთი და იგივე ობიექტზე ან შინაარსზე. ყურადღების ეს მნიშვნელოვანი გამოვლინება საგრძნობლად იცვლება მთელი რიგი ფაქტორების გავლენით, ასეთებია: ინტენსი, ემოციური მდგომარეობა, დაღლილობა და სხვა. ამ მხრივ მნიშვნელოვანი განსხვავება აღინიშნება ადამიანთა შორისაც; ზოგის ყურადღება გამძლეა, ზოგისა გაუანგული. სუსტი გამძლეობის ყურადღებას, რომლისთვისაც აუცილებელია ობიექტების ხშირ-ხშირი შეცვლა, ლაბილურს უწოდებენ, ხოლო დიდი გამძლეობის მქონე ყურადღებას, რომელსაც ერთი მიმართულებით დიდი ხნით უწყვეტი კონცენტრაცია შეუძლია – სტაბილურს.

7) ყურადღების სიმყარე ვლინდება ხელისშემშლელი გამღიზიანებლების მიმართ წინააღმდეგობის გაწევის მეგნაკლებ ხარისხში. ეს თვისება მნიშვნელოვნად ცვალებადობს სხვადასხვა პირობების მიხედვით. კერძოდ, გადახრადობა განსხვავებულია ძირითადი მოქმედების ბუნების მიხედვით; მაგალითად, ამროვნების პროცესში ყურადღების გადახრა უფრო ადვილად ხდება, ვიდრე აღქმის დროს. მნიშვნელობა აქვს ხელისშემშლელი გამ-

ლიბიანების ბუნებასაც: ემოციური გამლიზიანებლები უფრო გადახრის ყურადღებას, ვიდრე ინდიფერენტული. შევრძინებათა შემთხვევაში, ცხადია, უფრო ხელშემშლელია ინტენსიური გამლიზიანებლები.

§ 4. ყურადღების შაქტორები

ყურადღების გამომწვევ ფაქტორთა შორის ასხვავებენ ობიექტურ (გარეგან) და სუბიექტურ (შინაგან) ფაქტორებს. პირველ ჯგუფს გარემოში მოცემული ობიექტების თვისებები ეკუთვნის, ხოლო მეორეს – თვით სუბიექტში, მისი შინაგანი მდგომარეობის სახით მოცემული ფაქტორები. ჩვეულებრივ პირობებში მრავალი ფაქტორი ერთდროულად მოქმედებს. თითოეული მათგანი შეიძლება სხვა ფაქტორით დაიჩრდილოს. ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნება:

ინტენსივობა და სიდიდე. ასეთია ძლიერი გამლიზიანებლები (კამკაშა შუქი, ძლიერი ბგერა, ელვა, ქუხილი, გასროლის ხმა, მძაფრი სუნი და ა.შ.). ამ ფაქტორის მოქმედებაზე აგებული ყურადღების გამომწვევი უამრავი საშუალება – რეკლამა (ძლიერი შუქი), სიგნალები (გრანსპორტზე, წარმოებაში) და სხვა. არსებითად იგივე ითქმის საგნის მომაზეც. პაგარასთან ან საშუალოსთან შედარებით, დიდი საგნები უფრო იზიდავს ყურადღებას. უცნობ ოთახში თვალში გეცემათ დიდი ზომის ნივთები. ქურნალში დიდი ასობით დაბეჭდილი სათაური იზიდავს ყურადღებას. რეკლამაში ეს ფაქტორი ფართოდ გამოიყენება.

სიახლოვე, განცალკევება, კონტრასტი. ახლოს მდებარე საგნები უფრო იქცევა ჩვენს ყურადღებას. ქუჩაში ჩვენ აალოს გაფლილს მეტ ყურადღებას მივაქცევთ, ვიდრე შორს მიმავალს; აუდიტორიაში ახლოს მჯდომს ძალაუნებურად მეტ ყურადღებას ვაქცევთ და ა.შ. სხვა საგნებიდან იზოლირებულად მოცემული საგანი აგრეთვე ადვილად იზიდავს ყურადღებას. ტყის პირას განცალკევებულ ხეს ყველა ამჩნევს, მაგრამ ტყეში ასეთივე ხეები სულაც არ იზიდავს ჩვენს ყურადღებას. ალუმის დროსაც ჩვენს ყურადღებას რიგებიდან გამოსული პირი მიიპყრობს ხოლმე. იგივე ხდება გამლიზიანებელთა შორის არსებული დიდი სხვაობის კონტრასტულად განცდიქ შემთხვევაში, მაგალითად, როცა ერთმანეთის გვერდით სიდიდით ძალიან განსხვავებული

ობიექტებია, ან ფერადი საგანი რუხ საგნებს შორის არის მოთავსებული და ა.შ.

სიახლე, ცვლილება, მოძრაობა. ყურადღებას იზიდავს ყოველივე, რაც სუბიექტისთვის ახალია, უჩვეულოა, მოულოდნელია და, მამასადაძამე, ისიც, რაც შეცვლილია, რაც მოძრაეია. გაშეშებული ცხოველი ხშირად შეუმჩნეველი რჩება მგაცებლისთვის; უცვლელი, ჩვეული. ყოველდღიური ყურადღებას აჩლუნგებს, ხოლო ახალი ამბავი, ფაქტი ან შეცვლილი გარემო პირიქით, ამახვილებს მას. ჩვენს ყურადღებას ხშირად გამლიშოანებლის გაქრობაჲ კი აღძრავს, თუ იგი მანამდე ხანგრძლივად და უცვლელად მოქმედებდა. წისქვილის ხმაურში მძინარე მეწისქვილეს ამ ხმაურის შეწყვეტა, ე.ი. ცვლილება აღვიძებს. ასეთი მაგალითები მრავლადაა.

ყურადღების გამომწვევი სუბიექტური ფაქტორებია:

მოთხოვნილება და ინტერესი. ყურადღება, პირველ რიგში, სუბიექტის მოთხოვნილების საფუძველზე წარმართება. მშვიერი ყურადღებას აქცევს იმას, რაც საკმელთან არის დაკავშირებული — უმაღლე შენიშნავს საკმლის სუნს; ასევე ამჩნევს დაღლილი დასაჯდომ ადგილს და სხვა. ინტერესი ფართო მნიშვნელობით მოთხოვნილების კერძო გამოვლინებაა. ის, რაც გვაინტერესებს, აუცილებლად ყურადღებას იწვევს. ძლიერი ინტერესი ხშირად სძლევს სხვა ფაქტორებს. წერილი შრიფტით დაწერილ წიგნსაჲ დიდი ყურადღებით ეკითხულობთ, თუ ის ინტერესს იწვევს. წვეულებებზე ხმაურის, სიმღერისა და ხმამაღალი ლაპარაკის პირობებში გულისყურით ვისმენთ დიდი საინტერესო მოსაუბრის მონაყოლ ამბავს, თუმცა იგი ჩუმი ხმით გველაპარაკება და ა.შ.

განწყობა ყურადღების წარმართვის ძლიერი ფაქტორია. იმ მიმართულებით ყურადღების წარმართვა, რა მიმართულებითაც განწყობილია სამოქმედოდ ადამიანი, თავისთავად, უნებურად ხდება. ეს ფაქტორი განსაკუთრებით თვალსაჩინოა ისეთ მდგომარეობაში, როდესაც გამორიცხულია ყურადღების ცნობიერი წარმართვა, მაგალითად ძილის დროს. ცნობილია, რომ დაღლილი, ღრმად ჩაძინებული დედისთვის (რომელსაჲ ძლიერი გამლიშოანებლებიც ვერ აღიძებს) საკმარისია, მისმა ბავშვმა ძილში დაიკვნესოს, დაახველოს ან დააცემინოს, რომ დედას უმაღლე გაეღვიძოს. ეს გამლიშოანებელი იმიგომ იპყრობს დედის ყუ

რადლებას, რომ მას სძინაყის ბაუშვის მიმართ სიუხიზლის განწყობით, ხოლო ამ განწყობის შეუსაგყყისი ძლიერი გამლიზიანებელიყ კი (ზარის ღარეყვა, სინათლის ანთება) ვერ აღვიძებს, ვერ იპყრობს მის ყურადლებას.

ნებისყოფა. აქამღე უმთავრესად უნებლიე ყურადლების წარმმართველი ფაქტორები განვიხილეთ. მაგრამ აღამიანისთვის ნიშნული სწორედ ნებელობითი ყურადლებაა. მისი მამოდრავებელი კი ნებისყოფაა. ეს ფაქტორი წამყვანია ყურადლების ყოველი მიზანღასახული მოქმედების შემთხვევაში. ნებისყოფის საფუძველზე აღამიანს შეუძლია ყურადლების წარმართვა იმ მიმართულებით, რომელიყ არ შეადგენს მისი უშუალო ინტერესის საგანს, რომელიყ მას უშუალოდ არ იზიღავს, მაგრამ შეცნებული აქეს ამის საჭიროება.

აქამღე ვსაუბრობდით ისეთ ფაქტორებზე, რომელთა არსებობა ან არარსებობა ღაღებითად ან უარყოფითად აისახებოღა ყურადლების ფუნქციონირებაზე. ასღა მოკლედ შევეხოთ იმ ფაქტორებს, რომლებიყ ერთმნიშვნელოვნად ნეგატიურად მოქმედებენ ყურადლებაზე. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია მობეზრებისა ღა მოყირჭების განცღა. ეს განცღა მკვეთრად ასუსტებს ყურადლებას, უნებლიე ყურადლებას კი სულაც აქრობს. სპეციფიკურად მოქმედებს აფექტი: ერთი მხრივ, იგი იწვევს ყურადლების ინტენსიფიკაციას თაეისი გამომწვევი ობიექტის მიმართულებით, მისი გამომწვევი საგანი ღომინირებს აღამიანის ცნობიერებაში; მაგრამ, მეორე მხრივ, აფექტური მღგომარეობა იწვევს ცნობიერებისა ღა ყურადლების მოყულობის უკიღურეს შევიწროებას, რის გამოც მისი გამომწვევი საგნის ვარღა ვარემოს სხვა ვამლიზიანებები აფექტით შეპყრობილისთვის შეუმჩნეველი რჩება – მას არ ესმის, რას ეღაპარაკებიან ღა ა.შ.

ყურადლებაზე, ისევე, როგორც სხვა ფსიქიკურ აქტივობაზე (მეხსიერებაზე, ამროვნებაზე ღა ა.შ.), შემაფერხებლად მოქმედებს ღაღლილობა, მიუსეღაეად იმისა, ფიზიკური მუშაობის შეღეგია იგი თუ ვონებრივისა. ყურადლებას აქვეითებს ზოგიერთი ნარკოტიკული საშუალება. იგი ასევე ექვემღებარება სეზონურ თუ ღღეღამის რიგმს ღა ა.შ.

თავი VI. ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები

ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობები (ცმმ) ცნობილია ყველა ადამიანისთვის. ზოგი მათგანი საკმაოდ ხანმოკლეა და შეიძლება შეუქმნეველიც აღმოჩნდეს; ასეთია, მაგალითად, ყურადღების გაფანტულობა ან გარემოს აღქმის სიცხადის დაკარგვა; ზოგიერთი მდგომარეობა, ვთქვათ ძილი ან ცნობიერების მოდიფიკაცია ფსიქოაქტიური ნივთიერებებით, უფრო თვალსაჩინოა და შესამჩნევად განსხვავდება ჩვეული მდგომარეობებისაგან. საზოგადოდ, ცმმ უნდა გავიგოთ, როგორც თვისებრივი ძვრა ფსიქიკური ფუნქციონირების ჩვეულებრივ ხასიათში.

გამოიყოფა სპონტანურად წარმოქმნილი და ხელოვნურად გამოწვეული, ან ფსიქოგენიკურად გაპირობებული ცმმ. სპონტანური ცმმ ჩნდება ადამიანისთვის ჩვეულებრივ პირობებში (მაგ, დაძინებისას ან ძლიერი გადაღლისას), ან უჩვეულო, მაგრამ ბუნებრივ ვითარებაში (კერძოდ, ნორმალური მშობიარობისას), აგრეთვე ადამიანის ცხოვრებისა და მუშაობის არაორდინალურ და ექსტრემალურ სიტუაციებში. ფსიქოგენიკურად გაპირობებული ცმმ თანსდევს ფსიქიკური რეგულაციისა და თვითრეგულაციის პროცესებს თანამედროვე ფსიქოთერაპიაში, ასევე რელიგიურ წეს-ჩვეულებებს სხვადასხვა კულტურებში. ცმმ-სთან მიმართებაში შეიძლება გამოიყოს ამავგზნებელი და დამამშვიდებელი ფსიქოგენიკები.

ცმმ ადამიანის ფსიქიკური ცხოვრებისთვის დამახასიათებელ მოვლენებს მიეკუთვნება და მათ კვლევას, თავისთავადი მნიშვნელობა აქვს. გარდა ამისა, ავადმყოფური ფსიქიკის მსგავსად, ცმმ შესწავლა არის ერთ-ერთი გზა ჩვეულებრივი ცნობიერების კანონზომიერებების დასადგენად.

§ 1. ძილი და სიზმარი

ერთი შეხედვით ძილი და სიფხიძლე ან ღვიძილი ურთიერთსაწინააღმდეგო მდგომარეობებია. ძილში ცნობიერება გაჩუმებულია და ისვენებს, ხოლო ღვიძილში აქტიურია. სინამდვილეში ამ მდგომარეობებს ბევრი რამ აქვს საერთო: ძილში ჩვენი გონება მუშაობს, რაც იქიდან ჩანს, რომ ჩვენ ვხედავთ სიზმრებს და მოგჯერ ვიმახსოვრებთ მათ; ძილი არ არის აბსოლუტური

სიმშვიდე ძილში ჩვენ ვმოძრაობთ, ზოგიერთები დადიან კიდეც; ძილში მთლიანად არ ეეთიშებით გარეგან ინფორმაციას და მზად ვართ გარკვეული სიგნალების მისაღებად. მაგალითად, მშობელს ესმის შვილის გირილი, თუმცა სხვა სმაური მას არ აღვიძებს; ძილი არ სპობს ჩვენს განზრახვებს; ბევრი იღვიძებს ზუსტად იმ დროს, რომელმაც წინასწარ დაგეგმა ვალვიძება. ამგვარად, ღვიძილშიც და ძილშიც ადამიანი აქტიურია, ოღონდ ეს აქტივობა სხვადასხვა ხასიათისაა.

ღვიძილისა და ძილის მდგომარეობათა მონაცვლეობა ჩვეულებრივ უკავშირდება ღღე-ღამის რიგმს, რომელიც 24-საათიან ციკლს ქმნის. ზრდასრულ ადამიანს აქედან საშუალოდ 8 საათის ძილი ჰყოფნის (თუმცა ეს ძალიან ინდივიდუალურია). თოთო ბავშვი ღღე-ღამის ძირითად ნაწილს ძილში აგარებს. ერთი წლის ასაკში ძილი და ღვიძილი დაახლოებით ერთნაირ დროს იკავებს. ხანშიშესულ ადამიანებს კი, ჩვეულებრივ, 6 საათზე მეტი ძილი არ სჭირდებათ.

ძილის განმავლობაში გვინის ელექტროფიზიოლოგიური აქტივობის გრაფიკული ასახვა (ელექტროენცეფალოგრამა) გვიჩვენებს, რომ ძილს ხუთი საფეხური აქვს. მათ შორის ოთხი ღრმა, ანუ ნელი ძილის, ხოლო ერთი ე.წ. თვალის სწრაფი მოძრაობის, ანუ უბრალოდ სწრაფი ძილის საფეხურია. ნელი ძილის საფეხურების ხანგრძლიობა დაახლოებით 90 წუთია და სწრაფი ძილის საფეხურთან ერთად ისინი ქმნიან ძილის ერთ ციკლს, რომელიც ღამის განმავლობაში 4-5-ჯერ მეორდება. ძილის I საფეხური გრძელდება 5-10 წუთს. ამ დროს ხდება ადამიანის ღვიძილის მდგომარეობიდან ძილის მდგომარეობაში გადასვლა. II საფეხური გრძელდება 10-20 წუთს და ხასიათდება საკმაოდ ღრმა ძილით. განსაკუთრებით ღრმა არის ძილი III და IV საფეხურებზე, რომელთა ხანგრძლივობა 20-30 წუთს შეადგენს. ამის შემდეგ ნელი ძილის საფეხურები შებრუნებული თანმიმდევრობით I საფეხურს უბრუნდება და, როგორც ითქვა, დაძინებიდან დაახლოებით 90 წუთის შემდეგ გადადის სწრაფი ძილის საფეხურზე. იგი გრძელდება დაახლოებით 10-15 წუთს. შემდეგ კი ახალი ციკლი იწყება.

ძილის ციკლში ნელი და სწრაფი ძილის საფეხურების ხანგრძლიობა განსხვავებულია იმის მიხედვით, ღამის რომელ ნაწილს განეკუთვნება ესა თუ ის ციკლი. ღამის მეორე ნახევრის ციკ-

ლებში სწრაფი ძილის ხანგრძლიობა მაგელობს. სხეადასხვა ასაკის ადამიანებში სწრაფი ძილის საფეხური განსხვავებული ხანგრძლიობით ხასიათდება: თოთო ბავშვის ძილში იგი დაახლოებით 50%-ს იკავებს, 5 წლიდან მოხუცებულობამდე – 20-25%, ხოლო მოხუცებულობაში – 18%-ს.

სწრაფი და ნელი ძილის საფეხურები საგრძნობლად განსხვავდება ერთმანეთისაგან. ნელი ძილის საფეხურზე თვალი თითქმის წყვეტს მოძრაობას. გულისცემა და სუნთქვის სიხშირე მნიშვნელოვნად იკლებს. აღინიშნება კუნთების საგრძნობი მოდუნება და გეინში ნივთიერებათა ცვლის დაცემა 25%-მდე. სწრაფი ძილის საფეხურზე პირიქით, გულისცემა, გეინში ნივთიერებათა ცემა და მისი ელექტროფიზიოლოგიური აქტივობა იმდენად იზრდება, რომ ოდნავ აღემატება კიდევ ღვიძილის მდგომარეობას. ამის პარალელურად სხეული აბსოლუტურად უძრავ მდგომარეობაშია, კუნთური ტონუსი მკვეთრად დაცემულია. ასეთი შეუსაბამობის გამო ძილის ამ საფეხურს პარადოქსულსაც უწოდებენ. დამახასიათებელია, რომ ძილის ამ საფეხურზე ქალიც და მამაკაციც ხშირად სექსუალურად აღგზნებულ მდგომარეობაშია. თუ გავითვალისწინებთ ამ განსხვავებებს ნელ და სწრაფ ძილს შორის, საკმაოდ დამაჯერებელი ვახდება ზოგიერთი მკვლევარის აზრი, რომ პარადოქსული ძილი არც ძილია და არც სიფხიზლე; ის რაღაც მესამე მდგომარეობაა.

რა ფუნქციას ასრულებს მთლიანად ძილი ჩვენს ცხოვრებაში? ამის გარკვევას თუნდაც იმიტომ აქვს მნიშვნელობა, რომ დღე-ღამის მესამედს მაინც ძილში ვაგარებთ. გარდა ამისა, ისიც ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ ადამიანი დიდხანს უძილობას ვერ უძლებს. ძილის ფუნქციის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. ერთი შეხედულების მიხედვით, ძილს ალღენითი ფუნქცია აქვს. ეს თვალსაზრისი უფრო ფართოდ არის გავრცელებული და საკმაოდ მყარი საფუძველიც აქვს. უეჭველია, რომ ღვიძილის დროს დახარჯული ენერჯია ალღენას მოითხოვს. თითქოს ამის დამადასტურებელი საბუთიც არსებობს: თუ უძილობის მდგომარეობა დიდხანს გაგრძელდა, ადამიანი ადვილად იღლებს, უშიშვლად ღვიძიანდება, ზოგჯერ ალქმითი პროცესები ერღვევა, პალუცინაციები აღნიშნება და სხვა. ცნობილია ისიც, რომ ზომამე მეტი დაგვირთვა და დაღლა ახანგრძლივებს და აღრმავეს ძილს. მაგრამ,

ყველაფრის მიუხედავად, არ არსებობს ზუსტი მეცნიერული მონაცემები იმის თაობაზე, თუ კონკრეტულად რისი აღდგენა ხდება ძილში. გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ როდესაც ადამიანს ნორმაზე მეტხანს სძინავს, იგი თავს მოთენთილად და დაღლილად გრძნობს და არა დასვენებულად, როგორც ამ შეხედულების მიხედვით უნდა ყოფილიყო.

რა ფუნქციასაც არ უნდა ასრულებდეს ძილი, ერთი რამ ცხადია: ადამიანი, როგორც თითქმის ყველა ცოცხალი არსება, უძილობას ვერ იტანს. თუმცა იმავე ამბობენ, თითქოს ჭიანჭველებს საერთოდ არ სძინავთ. ზოგადად კი ცხოველების ძილი პრინციპულად არ განსხვავდება ადამიანის ძილისაგან, ოღონდ ცხოველების ნელი ძილი ნაკლებ დიფერენცირებულია და ისინი ყოველი ციკლის მერე იღვიძებენ.

უძილობა საკმაოდ ბევრს აწუხებს და არსებობს მასთან ბრძოლის უამრავი მედიკამენტური და, ასე ვთქვათ, ქცევითი საშუალება. მაგალითად ის, რომ ადამიანმა ძილის წინ არ უნდა ჭამოს, რეგულარულად ივარჯიშოს, მაგრამ არა გვიან საღამოს, დაწვეს დასაძინებლად და ადგეს ერთსა და იმავე დროს ა.შ.

არსებობს ძილის მოშლის სხვა სახეებიც. ერთ-ერთია ძილის დროს სუნთქვის შეჩერება (ე.წ. აპნოე). უფრო ხშირად ეს ემართებათ ზედმეტად მსუქან ადამიანებს. სუნთქვის შეჩერების მომენტში ადამიანი იღვიძებს და მალევე იძინებს. მაგრამ იმის გამო, რომ ღამის განმავლობაში ეს მრავალჯერ მეორდება, იგი გამოუძინებელი რჩება. ძილის მოშლილობის კიდევ ერთი სახე ე.წ. ნარკოლეფსიაა. ადამიანს დღისით უეცრად და მოულოდნელად ერევა ძილი. ეს სწრაფი ძილის საფეხურზე ხდება და, რაკი ამ დროს სხეული თითქმის პარალიზებულია, ადამიანი ვეღარ მართავს მოძრაობებს; ადამიანი შეიძლება პირდაპირ ჩაიკეცოს იქ, სადაც დგას. თავისთავად ცხადია, რომ ძილის ამგვარი დარღვევა ბევრ საფრთხეს შეიცავს. საბედნიეროდ, ის საკმაოდ იშვიათია.

სიმძარი ძილის ყველაზე საინტერესო და საიდუმლოებით მოცული ასპექტია. არსებობს მხოლოდ ვარაუდები იმის თაობაზე, თუ რატომ ვხედავთ სიმზრებს. არანაკლებ ამოუხსნელი და პრობლემატურია სიმზრის შინაარსი. სიმძარში ყოველდღიური მოვლენები და ფაქტები ისეთ არაჩვეულებრივ და ზოგჯერ აბსურდულ შეხამებაში წარმოუდგება მძინარე ადამიანს, რომ მის-

თვის თითქმის შეუძლებელი სდება მათი ახსნა. სიზმარში ადამიანის შესაძლებლობებიც უსაზღვროა. მას, მაგალითად, შეუძლია იფრინოს, გადაახგვს უფსკრულს და სხვა. ამავე დროს, სიზმრის შინაარსი, რაც უნდა ფანტასტიკური და ალოგიკური იყოს, მძინარე ადამიანის მიერ განიცდება როგორც სინამდვილე, ე.ი. ძილში მას საესებით რეალურად ეჩვენება ის, რომ დაფრინავს ან, ვთქვათ, ებრძვის ურჩხულს.

ალსანიშნავია, რომ ადამიანი ამ გიჟის სიზმრებს ნახულობს ძილის მსოლოდ გარკვეულ საფეხურზე, სახელდობრ სწრაფი ძილის დროს. ამასთან, მთაეარია, რომ ყველა, ვინც ამ საფეხურზე იღვიძებს, სიზმრის ნახვის ფაქტს ადასტურებს და ახსოვს კიდევ მისი შინაარსი. მათ შორის კი, ვინც იღვიძებს ნელი ძილის რომელიმე საფეხურზე, მხოლოდ 25%-ს შეუძლია დარწმუნებით თქვას, რომ სიზმარი ნახა. ალსანიშნავია ისიც, რომ ნელი ძილის დროს ნანახი სიზმრების შინაარსი მკვეთრად განსხვავდება სწრაფ ძილში ნანახი სიზმრებისაგან. ეს სიზმრები, როგორც წესი, საკმაოდ ლოგიკურია, ნაკლებ ემოციური და, რაც მთაეარია, ასახავს სიფხიზლეში მომხდარ მოვლენებს.

სიზმრის შინაარსის მასალას წარმოადგენები შეადგენს. მათი უმეტესობა მხედველობითი წარმოდგენებია. ამიგომაც ვამბობთ, რომ სიზმარს ვნახულობთ. მაგრამ სიზმრის შინაარსში შედის სმენითი, შეხებითი, მოძრაობითი, სუნის, გემოს და სხვა წარმოდგენებიც. დაბადებიდან ბრმა ადამიანების სიზმრები მთლიანად მათგან შედგება. მაგრამ, ეს მხოლოდ მასალაა, რომლითაც რეალიზდება სიზმრის სიუჟეტები. მათი მრავალფეროვნება გაცეხას იწვევს. მათი ხასიათი ცვალებადობს უადრესად რეალისტურიდან სრულიად ფანტასტიკურამდე. უკვე ფროიდმა შეამჩნია, რომ სიზმრების ფაბულა ხშირად ჩაირთავს ჩვენს დამოკიდებულებებს დღის განმავლობაში მომხდარი მოვლენების მიმართ. სედარებით იშვიათად, მაგრამ სიზმარზე გემოქმედებს გარეგამლიზიანებლებიც. რაიმე სუნი ან საგელეფონო მარი შეიძლება უმაღ ჩაერთოს სიზმრის ფაბულაში. ერთ-ერთ ექსპერიმენტში მძინარე ადამიანებს წყალს ასხურებდნენ. ექსპერიმენტის მონაწილეებს სხეებზე ხშირად ესიზმრებოდათ წყალთან დაკავშირებული სიზმრები, სადაც იყო ჩანჩქერი, წვიმა და სახურავიდან ჩამოსული წყალიც კი. ასევე მოქმედებს სიზმრის შინაარსზე ში-

დაგამღიზიანებლები. მაგალითად, მშიერ ადაპიანს შეიძლება დაესიზმროს, რომ საჭმელს შეექცევა. მაგრამ ალსანიშნავია, რომ ეს გამღიზიანებლები სიზმრის შინაარსის მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილს განსაზღვრავს და ის, თუ საიდან ჩნდება სიზმრის შინაარსის უსაზღვრო მრავალფეროვნება, მაინც აუხსნელი რჩება.

სიზმრის ბუნების გარკვევის მრავალი მცდელობა არსებობს. ყველა ისინი ორი პრინციპული მიდგომის ფარგლებში თავსდება. პირველი (ფიზიოლოგიური) მიდგომის თანახმად, ძილში გვინი ისვენებს, მისი აქტიუობა შეკავებულია; რჩება მხოლოდ აქტიუობის ცალკეული უბნები, რომლებიც ახდენენ სიზმრების პროდუცირებას. როგორც გვინის შემთხვევითი და არაორგანიზებული აქტიუობის შედეგი, სიზმრები განიხილება წარმოდგენების უსისგემო კომბინაციების სახით (როგორც თავისებური ფსიქიკური "ხმაური"). სიზმრებს არა აქვთ ლოგიკური კავშირი არც ერთმანეთთან და არც სიფხიზლის აქტიუობის შინაარსთან.

ასეთი გაგება სიზმარს სასარგებლო ფუნქციის გარეშე გოვებს, რაც ფაქტებს ეწინააღმდეგება. მაგალითად დადგენილია, რომ პარადოქსული ძილი და მასთან დაკავშირებული სიზმრები აუცილებელია ორგანიზმისთვის. სწრაფი ძილის დათრგუნვა ღამის განმავლობაში იწვევს: ა) გამოუძინებლობის განცდას; ბ) მისი ხანგრძლიობის მნიშვნელოვან ზრდას (კომპენსაციას) შემდგომ ღამეებში; გ) სიზმრების მომრავლებას ნელი ძილის დროს; დ) გარკვეულ ფსიქიკურ ცვლილებებს (ქუეის დეზადაპტაცია, არამოტივირებული შიში, ჰალუცინაცია, აგზნება ან დეპრესია), რომელთა ხასიათი დამოკიდებულია პიროვნების ინდივიდუალურ თავისებურებებზე. ეს ფაქტები მიუთითებს სიზმრის დიდ ფსიქოლოგიურ დატვირთულობაზე. ამიგომ, მეორე (ფსიქოლოგიური) მიდგომის მომხრენი სიზმარს განიხილავენ სერიოზული ფსიქოლოგიური შინაარსის მქონე აქტიუობის სახით, რომელიც დაკავშირებულია როგორც დეიძილის აქტიუობასთან, ისე სხვა სიზმრების შინაარსთან სხვადასხვა, მეგწილად, არაცნობიერი ფსიქიკური პროცესების საშუალებით. ამ შემთხვევაში აქცენტიკეთდება სიზმრის სასარგებლო, ადაპტაციურ ფუნქციაზე.

რაში მდგომარეობს კონკრეტულად ეს ფუნქცია, რას აკეთებს, რას აგვარებს სიზმარი? ამაზე შეთანხმებული ამრი ჯერ არ არსებობს ყველაზე ცნობილია ფროიდის შეხედულება. ფროიდის მი-

ხედვით, ადამიანები არაცნობიერში მალავენ პრიმიტიულ და მნეობრივად მიუღებელ (უპირატესად სექსუალურ) სურვილებს. ძილში ცნობიერების ცენტურა რამდენადმე შტუსტგებულია და ჩახშობილ სურვილებს საშუალება ეძლევა სიმშრისეულ ცნობიერებაში ამოვიდეს. მაგრამ ვინაიდან პიროვნების გარკვეული კონკროლი ძილშიც შენარჩუნებულია, აკრძალული ლგოლვები სახეს იცვლის და სიმშარში შენიღბული, სიმბოლური სახით წარმოგვიდგება. ამიგომაცაა, რომ სიმშრები ხშირად საკვირველი და უაზრო გვეჩვენება. სინამდვილეში ეს უცნაურობა მოჩვენებითია და მის მიღმა რეალური არაცნობიერი ლგოლვებია დაფარული. სიმშრის სიმბოლოების გაშიფერით ფსიქონალიზს სააშქარაოზე გამოაქვს მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობა. სიმშრის ბუნების ასეთი გაგება ეხმარება პლატონის ძველ პოზიციას, რომელიც წერდა, რომ კარგი ადამიანები კმაყოფილდებიან სიმშრებით იმის თაობაზე, რასაც ცუდი ადამიანები ჩაღან სინამდვილეში.

ოპონენტებს მიაჩნიათ, რომ სიმშრების ფროიდისეულ ინტერპრეტაციას ჩიხში შეეყავართ. ზოგი თელის, რომ თუ სიმშრებში სიმბოლიკა არსებობს, იგი ინდივიდისა და ვითარების თავისებურებათა გათვალისწინებით უნდა იქნას გაშიფრული და არა ფროიდის მიერ შექნილი “სიმშრების განმარტებითი ლექსიკონის” მეშვეობით, სადაც გარკვეულ ობიექტებს და ქმედებებს ფიქსირებული სიმბოლური მნიშვნელობა მიეწერება (მაგ., წაწვეტებული და წაგრძელებული საგნები მამაკაცის სასქესო ორგანოს აღნიშნავს და სხვა); მეცნიერთა დიდი ნაწილი მიიჩნევს, რომ სიმშარში, არსებითად, არაფერია სიმბოლური და საიდუმლო. მათი აზრით, ფანქარი ან თოფი სიმშარში ის არის, რაც სინამდვილეშია და სხვა არაფერი. თვით ფროიდიც, რომელსაც ძღლიან უყვარდა სიგარები, აღიარებდა, რომ “მოგჯერ სიგარა სიმშარში – ეს მხოლოდ და მხოლოდ სიგარაა”.

სხვა თვალსაზრისის მიხედვით, სიმშარი ერთგვარი ფსიქოლოგიური თავდაცვის მექანიზმის როლს ასრულებს. იგი ხატოვანი, არაცნობიერი აზროვნების საშუალებით ემსახურება იმ შინაგანი, მოტივაციური კონფლიქტების მოხსნას, რომელთა მოგვარება ღვიძილში, ლოგიკური აზროვნების გზით, ვერ ხერხდება (შფოთვისა და დეპრესიულობის მაჩვენებლის აწვევა სწრაფი ძილის დათრგუნვისას თითქოს ამის სასარგებლოდ მეტყველებს).

კიდევ ერთი შეხედულებით, სიზმრის ფუნქციად მიჩნეულია იმ პრობლემების გადაწყვეტა, რომლებიც ადამიანის წინაშე დეი-ძილში დგას (ამის დასტურად მოაქვთ სიზმარში გაკეთებული აღმოჩენებისა და მიხედვრების მაგალითები).

თანამედროვე კონიგური თეორიების მოხედვით, გვინი ძი-ლის პროცესში ისე მუშაობს, როგორც კომპიუტერი, რომელსაც დიდი მოცულობის მეხსიერება და სხვადასხვა მაკონტროლებე-ლი პროგრამები აქვს. როდესაც ძილში გვინი თავისუფლდება გარეგამდინებლებისაგან, მეხსიერების მთელი მარაგი და მა-კონტროლებელი პროგრამები მისთვის მისაწვდომი ხდება და იწყება მათი მოდფიკაციისა და რეორგანიზაციის პროცესი დღის განმავლობაში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე. აქ მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ფსიქიკურ ფუნქციონირებას, რომელიც სიზმრის სახით მიმდინარეობს. ერთ-ერთი ჰიპოთეზის მიხედვით, ინფორმაციის გადამუშავება ორ ფაზას გაივლის. ჯერ ხდება ინფორმაციის შეფასება და განზოგადება, რაც ნელი ძილის-თვის დამახასიათებელ სიზმრებში აისახება. ეს სიზმრები ლოგი-კური, მწყობრი და რეალისტურია. გადამუშავების მეორე სტადი-აზე ინფორმაცია გადაიგზავნება ხანგრძლივი მეხსიერების სტრუქტურის გარკვეულ უბნებში და უკავშირდება იქ შენახულ მასალას. ამას ახლავს სწრაფი ძილის სიზმრებისთვის დამახასია-თებელი შინაარსული უცნაურობანი, რაც აიხსნება ძველი და ახალი მასალის ურთიერთმორგების პროცესის თავისებურებე-ბით, ხოლო მათი ემოციური დამუხტულობა – გვინის სათანადო მონების აქტივაციით.

§ 2. ოცნება

ოცნება ცნობიერების ისეთი შეცვლილი მდგომარეობაა, რომლისთვისაც, სიზმრის მსგავსად, დამახასიათებელია ფანტა-ზიის თავისუფალი მუშაობა. ამიგომაც ზოგიერთ ენაში (მაგ, ინ-გლისურში) სიზმარი და ოცნება ერთი სიკვებით გამოიხატება. მაგრამ, განსხვავებით სიზმრისაგან, რომელშიც ფანტაზია თითქ-მის შეუფერხებლად მოქმედებს, ადამიანი ოცნებობს ცხადში და მისი ოცნების შინაარსი არასოდეს დებულობს აბსურდულ ფორ-მას, მასში არასდროს გვხვდება გვერდიგვერდ ერთმანეთთან შეუთავსებელი ცნებები და ფაქტები. ოცნებაში ადამიანი არ ებრ-

ძვის ურჩხულებს, არ დაფრინავს და სხვა. ოცნება იმითაც განსხვავდება სიზმრისაგან, რომ ამ უკანასკნელში, რაც უნდა არარეალური იყოს ფანტაზიის ნაყოფი, მძინარე ადამიანი მას როგორც სინამდვილეს განიცდის. მეოცნებესთან პირიქითაა – მართალია, ოცნების პროცესში მისი წარმოლევნები არ სწყდება სინამდვილეს, იგი მაინც ნათლად აცნობიერებს, რომ ისინი მისი ფანტაზიის ნაყოფია.

საკითხავია, რაგომ იწყებს ადამიანი ოცნებას. ირკვევა, რომ ეს უფრო ხშირად მაშინ ხდება, როცა ადამიანს არ აკმაყოფილებს თავისი ცხოვრების კონკრეტული პირობები. მას არც რაიმეს შეცვლის ძალა შესწევს; ამიგომ ფსიქოლოგიურ გამოსავალს და ნუგემს ოცნებაში პოულობს.

ოცნების ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მისი ეგოცენტრულობაა. ადამიანი უფრო ხშირად იმაზე ოცნებობს, რაც უშუალოდ მის “მე”-ს შეეხება. ეს, ცხადია, არ ნიშნავს, თითქოს ოცნების საგანი არ შეიძლება სხვისი ან თუნდაც ქვეყნის კეთილდღეობა იყოს, მაგრამ ის უმეტესად საკუთარ წარმატებასთან არის დაეშინებული. ოცნების კიდევ ერთი მთავარი ნიშანია მისი პროსპექტულობა ანუ მომავალზე მიმართულობა. ოცნება მხოლოდ იმას შეეხება, რაც უნდა მოხდეს, და არა იმას, რაც მოხდა. აქედან გასაგები ხდება, რომ ოცნების ბუნების გავებისთვის ვაღამ-წყვეტი მნიშვნელობა აქვს ადამიანის მისწრაფებებს – ისინი ხომ სწორედ მომავლისკენაა მიმართული.

მისწრაფება, რომელიც ოცნებას აღძრავს, ადამიანის ცხოვრების კონკრეტულ პირობებში განუხორციელებადი უნდა იყოს. ოცნების ფუნქცია სწორედ ისაა, რომ ადამიანმა თავისი ფანტაზიის მეშვეობით წარმოიდგინოს ისეთი პირობები, რომლებშიც მისი დაუკმაყოფილებელი სურვილები დაკმაყოფილდება. რომელიმე კინოვარსკვლაზე შეყვარებულმა ახალგაზრდამ შეიძლება ოცნებაში წარმოიდგინოს, რომ ლაგარიაში დიდი თანხა მოიგო, წავიდა პოლივუდში და გაიცნო თავისი კერპი. ცხადია, რომ განუხორციელებელი მისწრაფება საკმაოდ ძლიერი უნდა იყოს, რათა ოცნება გამოიწვიოს.

ოცნების აღმოცენების თავისებურებათა გასარკვევად აუცილებელია მეოცნებე ადამიანის პიროვნული თვისებების გათვალისწინება. აქ ძირითადად იმ პიროვნულ თვისებებზეა საუბარ-

რი, რომლებმაც დამოკიდებულია ის, თუ რა მოცულობით უნდა ადამიანს განუხორციელებელი სურვილები. თითქმის დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ რაციონალურად მოაზროვნე, პრაქტიკულ პიროვნებას ასეთი სურვილები ნაკლებად უნდა ეძლეოდეს, ვიდრე არაპრაქტიკულ, რომაგიკულად განწყობილ ნაგურას. შესაბამისად, რეალისტი ნაკლებ დროს უთმობს ოცნებას.

დასასრულ, უნდა ითქვას იმაზეც, თუ რა განსაზღვრავს ოცნების კონკრეტულ შინაარსს. ზემოთ უკვე ითქვა, რომ ოცნების შინაარსი წარმოსახვის ნაყოფია, თუმცა ის, როგორც წესი, რეალისტურია, ე.ი. ადამიანს ოცნებაში ისეთი რამ წარმოუდგება, რაც მისთვის მიუღწეველია, მაგრამ ზოგადად განხორციელებადია. ყოველი ადამიანის ოცნების შინაარსი დიდად არის დამოკიდებული მის ცხოვრებისეულ გამოცდილებაზე და ინფორმირებულობაზე. ვერ იოცნებებ იმაზე, რის შესახებაც არაფერი არ გაგია და წამოვდგენა არა გაქვს.

§ 3. ფსიქოპატიური ნივთიერებები

ცნობიერების ჩვეულებრივი, ნორმალური მდგომარეობა შეიძლება შეიცვალოს ე.წ. ფსიქოპატიურ ნივთიერებათა (ნარკოტიკების) ზეგავლენითაც. მათი მიღების შედეგად ადამიანის გრძნობები, წარმოსახვა, აზროვნება, აღქმა და მთელი ქცევა სახეს იცვლის. ადამიანი თავისუფლდება დაძაბულობისაგან, უფრო გაბედულად მოქმედებს და ამავე დროს სიამოვნებას და ზოგჯერ ეიფორიასაც განიცდის.

კაცობრიობა, ყოფით და რიგულურ-რელიგიურ სფეროში, უძველესი დროიდან იყენებდა სხვადასხვა ფსიქოპატიური ნივთიერების შემცველ მცენარეებს. მუმერები ყაყაჩოს სიხარულის მცენარეს უწოდებდნენ; კანაფი ძველ ეგვიპტეში იყო ცნობილი; ჰალუცინოგენური სოკოების მიღებას ეფუძნება მთელი ევროპული და ამერიკული შამანიზმი; კოკა ინკების წმინდა მცენარე იყო; ყურძნის გადაღულებული წვენი – ღვინო – “ქრისტეს სისხლია”, რომლის გარეშე წარმოუდგენელია ზიარების საიდუმლო.

ცნობიერებაზე ამ ნივთიერებათა ზემოქმედების სპეციფიკის გათვალისწინებით მათ სამ ჯგუფად ყოფენ: 1. დეპრესანტები, რომელთაც დამაწყნარებელი, გამაყუჩებელი ზემოქმედება აქვთ; 2. სტიმულატორები, რომლებიც აღაგზნებენ ადამიანს და 3. ჰა-

ლუცინოგენები, რომლებიც ცვლიან ალკმის ნორმალურ მსვლელობას. ამ ნივთიერებათა ცნობიერებაზე ზეგავლენის სხვადასხვაგვარობის მიუსვდავად მათ მნიშვნელოვანი საერთო თვისებებიც აქვთ – ამ ნივთიერებებზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულების განვითარება. ფიზიკური დამოკიდებულებისას ორგანიზმში ხდება ისეთი ბიოქიმიური ძვრები, რის გამო აღამიანს აღარ შეუძლია ნარკოტიკის გარეშე არსებობა. მისი მიღების უეცარი შეწყვეტა იწვევს აბსტინენციის სინდრომს, ე.წ. “ლომკას” (თავის, კუნთების, მუცლის ტკივილი, თავბრუსხვევა, გაქიკარდია, კრუნჩხვა, პირღებინება, თერმორეგულაციის მოშლა და სხვა), ზოგჯერ ლეგალური შედეგით. ფსიქოლოგიური დამოკიდებულება გამოიხატება ნარკოტიკის მიღების სურვილში სიამოვნების ან კმაყოფილების განსაცდელად. ეს განსაკუთრებით სტრესის მომხსნელი ნარკოტიკების შემთხვევაში ხდება. ამასთან, ნარკოტიკული დამოკიდებულება აყალიბებს გოლერანტობას: სასურველი ეფექტის მისაღებად სულ უფრო დიდი დოზის მიღება ხდება საჭირო.

დერეპრესანტები ეწოდება ფსიქოაქტიურ ნივთიერებებს, რომლებიც აწყნარებენ აღამიანს, აცხრობენ აგზნებას, ხსნიან ტკივილს და ზოგ შემთხვევაში ეიფორიასაც განაცდენებენ. მათ მიეკუთვნება გრანკვილიზატორები (დამაწყნარებელი საშუალებები), ბარბიტურატები (ძილის აბები), ალკოჰოლი და ოპიოიდები. ბოლო ორს უფრო გამოკვეთილი ზემოქმედება ახასიათებს, ამიტომ მათზე შევჩერდეთ.

თითქმის ყველა საზოგადოებაში, პრიმიტიულსა თუ განვითარებულში, ალკოჰოლის ხმარება თანსდევს თითქმის ყველა მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო მოვლენას. ალკოჰოლის ზემოქმედება აღამიანზე თავისებურია. დასაწყისში ის უფრო სტიმულანტის სახით მოქმედებს: მორცხვი აღამიანი შეიძლება გაბედული და აგრესიულიც გახდეს. მაგრამ, საბოლოოდ, ალკოჰოლი მაინც დერეპრესანტია, ვინაიდან ნასვამ აღამიანს ძილი ერევა, მოსი რეაქტია შენელებულია. ამიტომაცაა, რომ ნასვამ მძლოლებს გაცილებით ხშირად მოსდით ავარია, ვიდრე ფხიზლებს. ალკოჰოლის სისტემატური ხმარება მასზე დამოკიდებულებას ავითარებს, რასაც ხშირად ალკოჰოლიზმი მოჰყვება.

ოპიატები გაცილებით ძლიერმოქმედი ღებრესანტებია. მათ მიეკუთვნება ოპიუმისაგან (ოპიუმური ყაყაჩოს თავთავის გამხმარი წვენი) მიღებული ნივთიერებები – მორფინი, პეროინი, კოდეინი, პრომედოლი და სხვა. ადრე მათ, როგორც ძლიერ ტკივილგამაყუჩებლებს, საკმაოდ ფართოდ და კონტროლის გარეშე იყენებდნენ. ჩვენს ღროში ოპიატებს შორის ყველაზე გავრცელებულია პეროინი. იგი მორფინზე გაცილებით უფრო კონცენტრირებულია. ვენაში შეყვანილი პეროინი დასაწყისში იწვევს სრული ნეტარების, ყოვლისმომცველი ორგანზმის ხანმოკლე პერიოდს, რომელიც იცვლება კეთილღეობისა და ბედნიერების განცდით. ამავე ღროს, სიმთვრალისაგან განსხვავებით, პეროინის მიღების შემდეგ ადამიანი იშვიათადაა აგრესიული და არ უქვეითდება ინტელექტუალური ან სხვა უნარი. მაგრამ პეროინის მიღება ძალზე სახიფათოა, რადგან სულ რამდენიმე კვირაში ნარკომანთა 90%-ში იწვევს უძლიერეს ფიზიკურ დამოკიდებულებას და ღომის გაზრდის აუცილებლობას. ღომის გადამეტება კი სიკვდილის მიზეზი ხდება, პირველ რიგში გატუღვით, ვინაიდან ითრგუნება გვინის სასუნთქი ცენტრი.

სტიმულანტები ტონუსის ამწევი, ამავზნებელი ნივთიერებებია. მათ მიეკუთვნება კოფეინი, ნიკოტინი, ამფეტამინები და კოკაინი. კოფეინს შეიცავს საყოველთაოდ გავრცელებული სასმელები – ჩაი და ყავა. მათ სუსტი მაგონიზირებელი ეფექტი აქვთ. ნიკოტინი პირველ რიგში ხსნის სტრესს და დამამშვიდებლად მოქმედებს, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ, ნონადრენალინის გამოყოფასთან ერთად, მატულობს გვინის აქტივობა. ეს გრძელდება რამდენიმე ათეულ წუთს, რის მერეც მწვეელს უჩნდება სურვილი კელავ მოწიოს. ამფეტამინები უფრო ფსიქოლოგიურ დამოკიდებულებას იწვევენ, თუმცა მათი ამავზნებელი ზემოქმედება გაცილებით ძლიერი და ხანგრძლივია. ამფეტამინების მიღება თავდაპირველად იწვევს ფიზიკური კეთილღეობის, ფორმაში ყოფნის შეგრძნებას. შემდეგ იქმნება ინტელექტუალური ეგზალტაციის მდგომარეობა, ლაპარაკის, რაიმეს შექმნის დაუოკებელი სურვილი, გარშემომყოფებზე მაღლა დგომის ილუზია. ამფეტამინების ხანგრძლივ მიღებას მივყავართ პარანოიდულ გამოვლინებებამდე გოქსიკომანს უჩნდება ღვენის და სოციალური საფრთხის განცდა, ბოღვითი აზრები, სმენითი ჰალუცინაციები.

კოკაინი კიდევ უფრო ძლიერი საშუალებაა. მის მიერ გამოწვეული ეიფორია უადრესად ინტენსიურია. ადამიანი თავს ღონივრად და ქმედითად გრძნობს; იგი ნათლად ხედავს სასიცოცხლო პერსპექტივას, განიცდის ძალთა მოზღვაებას, თავდაჯერებულობას. კოკაინი ყველაზე გავრცელებული არალეგალური სტიმულანგია. იგი ძალიან სწრაფად იწვევს ფსიქოლოგიურ, ხოლო მოგვიანებით ფიზიკურ დამოკიდებულებას ყველა თანმდევი სიპგომითა და დამანგრეველი შედეგით.

ჰალუცინოგენები (ფსიქოდელიკები), კერძოდ ჰაშიში, უძველესი დროიდან მოიხმარება აღმოსავლეთში. დღეს ჰაშიში და მარიხუანა გასართობად მისაღებ ნარკოტიკებს შორის ყველაზე გავრცელებულია ნიკოტინისა და ალკოჰოლის მერე. ეს ერთგვარად მათი მოქმედების მრავალფეროვნებით აიხსნება, რაც ფსიქოაქტიურ ნივთიერებათა გარკვეული კლასისადმი მათ ცალსახა მიკუთვნებასაც კი ართულებს. მათ ახასიათებთ ჰალუცინაციური, ამავგზნებელი და ეიფორიული მოქმედება. ეს უკანასკნელი ეფექტი მარიხუანას მცირე დოზით მოწვევას მოსდევს: ადამიანი უკეთ უგებს თავისთავს და სხვებს, პარმონიაშია ბუნებასთან და მთელს სამყაროსთან, წარმოსახვა და ასოციაციები თავისუფლდება. დოზის მნიშვნელოვანმა გაზრდამ შეიძლება გამოიწვიოს ილუზიები და ჰალუცინაციები.

ეს ეფექტები გაცილებით უფრო გამოხატულია ისეთი ძლიერი ჰალუცინოგენის მიღებისას, როგორცაა LSD (ლიზერგინის მჟავა). ამ დროს ყველაზე მეტად იცვლება აღქმა: საგნები მკვეთრად იცლიან ფერს, ქლერადობას, ფორმას, ზომას. იცვლება საკუთარი სხეულის შეგრძნება, აგრეთვე დროის განცდა: იგი ჩერდება ან საოცრად გარბის. ეს ილუზიები, ასე თუ ისე, სუბიექტის კონტროლის ქვეშ რჩება. ჰალუცინაციები ჩნდება ძალიან დიდი დოზების მიღებისას; მაშინ ადამიანს შეუძლია, ეთქვათ განიცადოს თავი ჩიგად და სათანადოდ მოიქცეს. ჰალუცინოგენების გამოყენების საფრთხე ესაა – სამყაროსთან რეალური კავშირის გაწყვეტამ შეიძლება ადამიანს მართლა “სახიფათო მოგზაურობა” ჩაადენინოს. დამოკიდებულების გამომუშავების მხრივ ამ ნივთიერებებს სხვა ნარკოტიკებზე ნაკლები ძალა აქვს.

§ 4. პიპროზი

ცმმ-დან არც ერთი არ იწვევს იმდენ კითხვას, რამდენსაც პიპროზი. პიპროზს უძველესი დროიდან იყენებდნენ, ძირითადად სამკურნალო მიზნით. იგი შამანიზმისა და შორეული აღმოსავლეთის ფსიქოგენიკების მნიშვნელოვანი ელემენტია. პიპროზს ძველ ეგვიპტეშიც იყენებდნენ. ძველ საბერძნეთში მკურნალობის ღმერთის ასკლეპიუსის გაძრებში იყო ოთახი “აბაგონი”, სადაც ხელოვნურად გამოწვეული “ძილის”, ე.წ. “ინკუბაციის” ანუ იგივე პიპროზის მეშვეობით მიმდინარეობდა მკურნალობა. მეთვრამეტე საუკუნიდან პიპროზის მეცნიერული შესწავლა იწყება (იხ. თავი XVI). მიუხედავად ამისა, ამ მოვლენის ბეერი ასპექტი დღესაც არ არის გარკვეული.

ყოფით ფსიქოლოგიაში პიპროზს ხშირად ძილთან აიგივებენ (ბერძნულ მითოლოგიაში ძილის ღმერთს პიპროსი ერქვა). ეს არ არის სწორი. პიპროზის გარკვეულ სტადიაზე, ღრმა რელაქსაციისას ადამიანი შეიძლება გარეგნულად ძილისმაგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდეს, მაგრამ მაშინაც იგი “აქტიური”, რამდენადაც პიპროგიზორთან მუდმივ კონტაქტში იმყოფება და მის დავლებებს ასრულებს.

პიპროზი ცმმ-ს სპეციფიკური მდგომარეობაა. იგი ხასიათდება ცნობიერების მოცულობის შევიწროებით და ჩაგონების შინაარსზე ფოკუსირებით, აქედან გამომდინარე, კონგროლისა და თვითცნობიერების ფუნქციების შეცვლით. იგი აღმოცენდება სპონტანურად, მიზანდასახული თვითჩაგონების (აუტოპიპროზი) ან პიპროგიზორის სპეციალური ზემოქმედების (პიპროგიზაციის) შედეგად. ე.წ. ვერბალური პიპროგიზაციის დროს ადამიანს აძლევენ გარკვეულ სიტყვიერ მითითებებს: დახუჭოს თვალები და განიცადოს მათი დამძიმება, მოღუნდეს, მოეშვას და დაიძინოს არავერბალური გენიკა გულისხმობს ძლიერ, ან პირიქით სუსტ, მონოტონურ გამღიზიანებლებზე (მაგ., ბრჭყვიალა საგანზე ან მეტრონომის ხმაზე) ფიქსაციას. ყველა შემთხვევაში ადამიანი ერთგვარი გრანსის მდგომარეობაში გადადის და მეტ-ნაკლებად ემორჩილება პიპროგიზორს.

პიპროზის მდგომარეობაში ინდივიდში ისეთი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური რეაქციები შეიძლება აღმოცენდეს, რომლებიც ნორმალური ცნობიერებისას არა მხოლოდ არ არის მის-

თვის დამახასიათებელი, არამედ შეუძლებელიცაა. თუ თქვენ ჩვეულებრივ პირობებში ხელზე ციე მონეგას დაგადებენ და გეგყვიან, რომ ის დამწვრობას გამოიწვევს, უბრალოდ გაგეციონებათ. ჰიპნოზში ეს რეალობად იქცევა. ცვალებადობას ექვემდებარება ბევრი სხვა, ჩვეულებრივი ცნობიერებისთვის მიუწვდომელი ორგანიზმული პროცესი (წნევა, გემპერაგურა, ჯირკვლების სეკრეცია და ა.შ.). ეს განაპირობებს ჰიპნოზის გამოყენებას სამედიცინო პრაქტიკაში – განსაკუთრებით, როგორც ტკივილგამაყუჩებელი საშუალება ქირურგიაში, მეან-გინეკოლოგიაში, დამწვრობის დროს და სხვა.

ფსიქიკურ თვისებათა მხრივ ჰიპნოზში შეიძლება შეიცვალოს ალქმა (სხვადასხვა სახის ილუზიები, პოზიტიური და ნეგატიური ჰალუსინაციები ე.ი. არარსებულის ალქმა და არსებულის ალუქმელობა), მეხსიერება (გარკვეული ვითარებებისა და ფაქტების დავიწყება ან მოგონება, ახალი მასალის დამახსოვრების აქტიუაცია), ამროვნება (ნორმალური ლოგიკის დარღვევა ან რაციონალური პოტენციალის სტიმულირება), პიროვნება (მოტივების, ემოციების, დამოკიდებულებათა, განწყობილებათა, ჩვეულებათა და სხვათა შეცვლა). სწორედ ამიგომ ჰიპნოთერაპია ფსიქოთერაპიის ერთ-ერთი უძველესი და დამკვიდრებული ფორმაა (იხ. თავი XVI).

ჰიპნოზს ყველა ერთნაირად არ ექვემდებარება. ადამიანების 5-10% არაჰიპნობილურია, ანუ მათი ჰიპნოზში შეყვანა შეუძლებელია. დაახლოებით ამდენივე, პირიქით, ძალიან ადვილად გადადის ჰიპნოზურ მდგომარეობაში, ანუ ჰიპნობილურია. თუ რაზეა ეს დამოკიდებული, ჯერ კიდევ არ არის ნათლად გარკვეული. შეგვეძლო გვევარაუდა, რომ ჰიპნოზზე ძლიერ რეაგირებადი ინდივიდები გამოავლენდნენ ასეთივე ჩავონებალობასა და მიმნდობლობას სხვა ცხოვრებისეულ სიტუაციებშიც, მაგრამ პიროვნული ტესტებით ჩატარებული კვლევები არ ადასტურებს კორელაციას მიმნდობლობისა და ჰიპნობილობის მაჩვენებლებს შორის. არ დასტურდება ჰიპნობილობის კავშირი ისეთ პიროვნულ მახასიათებელთანაც, როგორიც კონფორმულობაა. სამაგიეროდ, ჰიპნოზური ჩავონებალობის კარგი მაჩვენებელია ინდივიდის მდიდარი ფანტაზია, მისი მიდრეკილება ოცნებისადმი და ცოცხალი წარმოდგენების შექმნის უნარი.

ჰიპნოზის კიდევ ერთი დამახასიათებელი თვისება ე.წ. პოსტ-ჰიპნოზური ამნეზიაა. ადამიანს ავიწყდება ის, რაც მოხდა ჰიპნოზში, თუ ჰიპნოტიზირებისას ასეთ ინსტრუქციას მიიღებს. თუმცა ეს ამნეზია არ არის აბსოლუტური და ყოველს მომცემი. მთლიანი დავიწყება არც თუ ისე ხშირია; უმეტესობას რაღაც მაინც ახსოვს; არიან ისეთებიც, ვისაც არაფერი ავიწყდება. აღსანიშნავია, რომ ეს განსხვავებები არ უკავშირდება ინდივიდთა მესხიერების თვისებებს.

ჰიპნოზში მესხიერების გამოცოცხლებაც ხდება, რაც ე.წ. ასაკობრივი რეგრესიის ფენომენში მეტად ხდება. ჰიპნოზური ჩაგონების შედეგად ბოვიერთ ცდისპირს შეუძლია თავიდან განიცადოს ცხოვრების ადრეული, სრულიად მივიწყებული ეპიზოდები. მაგალითად, დაბადების დღის აღნიშვნა 8 წლის ასაკში – გაიხსენოს რა აჩუქეს, რა ეცემა, იცნოს დაწყებითი სკოლის თანაკლასელები. იშვიათად, ასაკობრივი რეგრესიის დროს, ხდება იმ ენის აღდგენა, რომელსაც ადამიანი ფლობდა ადრეულ ბავშვობაში. აღწერილია შემთხვევა, როდესაც აშშ-ში დაბადებული იაპონელი, რომელიც ადრეულ ბავშვობაში იაპონურად ლაპარაკობდა და მთლიანად მივიწყებული ჰქონდა ეს ენა, ჰიპნოზის ქვეშ იაპონურად ამეგყველა.

ჰიპნოზის ყველაზე საინტერესო და დრამატული თავისებურება ე.წ. პოსტ-ჰიპნოზური რეაქციებია. ადამიანი არა მხოლოდ ჰიპნოზში ემორჩილება ჰიპნოტიზირს, არამედ ჰიპნოზიდან გამოსვლის შემდეგაც ასრულებს იმ მოქმედებებს, რომელთა შესრულება ჰიპნოზში ჩააგონეს, თანაც ისე, რომ ამ დავალების შესახებ არაფერი ახსოვს. ამ შემთხვევაში იგი ერთობ უცნაურ და აბსურდულ რამეებსაც აკეთებს ხოლმე. შთაბეჭდილება ისეთია, რომ სუბიექტი თანახმაა, უარი თქვას საკუთარ საღ აზრზე. მაგრამ დადგენილია, რომ შეუძლებელია ჰიპნოზის შედეგად მიაღწიო ადამიანისაგან იმას, რაც კატეგორიულად ეწინააღმდეგება მის პიროვნულ ბუნებას, და რასაც იგი არავითარ შემთხვევაში არ გაამართლებდა ნორმალურ მდგომარეობაში.

§ 5. მედიტაცია

მედიტაცია ცნობიერების შეცვლილი მდგომარეობის მიღწევის კიდევ ერთი გზაა. იგი გულისხმობს გარკვეული რიგუალები-

სა და პროცედურების შესრულებას, რის შედეგადაც ადამიანი ფიზიკურად ღუნდება, სულიერად მშვიდდება, მას მოიყავს სიამოვნებისა და ზოგჯერ ნეგატივის გრძნობა. ხანგრძლივმა მედიტაციამ შეიძლება გამოიწვიოს მისტიკური ვაცდა იმისა, რომ პიროვნება ქრება და რაღაც უფრო ფართო და იღუმალე ცნობიერების ნაწილად იქცევა. მედიტაციის გექნიკა ცნობილია უძველესი დროიდან და წარმოდგენილია თითქმის ყველა ძირითად რელიგიაში: ინდუიზმში, ბუდიზმში, იუდაიზმში, სუფიზმში, ქრისტიანობაში და სხვა.

თანამედროვე სამყაროში მედიტაცია უპირატესად იოგას პრაქტიკას უკავშირდება, რომელიც უძველესი ინდუიზმიდან და ბუდიზმიდან მომდინარეობს. ეს რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება საბოლოო მიზანს ადამიანის მულმივი განჯვისაგან გათავისუფლებაში ხედავს (განჯვა, მლეღვარება მოუცილებელი მომენტიც ცხოვრებისა, რომელიც, თავის მხრივ, სხეულისა და სულის გარდასახვათა უსასრულო პროცესს წარმოადგენს). გათავისუფლება მხოლოდ განსაკუთრებულ მღგომარეობაში – ნირვანაშია შესაძლებელი. მედიტაცია ნირვანას მიღწევის გზაა.

იოგა, არსებითად, ადამიანის სრულყოფისა და ფსიქიკური ტრანსფორმაციის საშუალებაა. იგი ორ ურთიერთდაკავშირებულ ასპექტს შეიცავს: თვითმეზღუდვას (ასკეტიზმი) და გონებრივ ჭერეგა-კონცენგრაციას. მედიტაცია პირდაპირი მნიშვნელობით ამ უკანასკნელს ნიშნავს. ის ბოლო საფეხურია განწმენდისა და სულიერი გასხივოსნების რთულ და ხანგრძლივ გზაზე, რომელიც კლასიკურ სისტემაში რეა სგადიას მოიყავს: მკაცრი მორალური ნორმებისა და საყოფაცხოვრებო წესების შესრულებას, სხეულის ფლობას და სუნთქვის კულგურას, თვითჩალრმავებას და სურვილ-გრძნობებისაგან გათავისუფლებას. მხოლოდ ამის შემდეგ იწყება უშუალოდ ცნობიერების შეცვლაზე მიმართული აქტივობა, ანუ საკუთრივ მედიტაცია. ხდება რაიმე შინაარსზე ყურადღების კონცენგრაცია, რომელიც გადადის ისეთ სგადიაზე, როდესაც თანდათან იმლება ზღვარი შემმეცნებელსა და შესამეცნებელს, სუბიექტსა და სამყაროს შორის და ბოლოს მიიღწევა გასხივოსნება, გათავისუფლება.

ნირვანაში ცნობიერების თვისებრივი შეცვლა ხდება. იგი არ ექვემდებარება რაციონალურ განსაზღვრებას და სიგყვიერ გა-

მოხატვას; მისი მხოლოდ განცდაა შესაძლებელი. ფსიქოლოგიურად ესაა საკუთარ თავში ჩაძირვა და გარესამყაროსაგან გამოჯენა. ნეგატიურად ეს ნიშნავს სურვილების უქონლობას, პოზიტიურად – ფსიქიკური ძალების გარკვეულ გაერთიანებას. გონების კუთხით ნირვანა მოვლენების არსის ნამდვილი წედომა, გაგებაა; მნობრივ-ემოციური თვალსაზრისით – სრულყოფილება, უცოდველობა, სიწყნარე და შინაგანი ჰარმონია; ნებელობის მხრივ – შეუძლავობა, გარემოსაგან სრული გათავისუფლება და მასთან აქტიური ურთიერთობის (ქცევის) აუცილებლობის მოხსნა, მისი მიღება ისეთად, როგორცაა იგი.

მედიტაციის პროცესის პირველ სტადიაზე ისეთი განცდები ჩნდება, რომლებიც ფსიქოლოგიისთვის და ფსიქიატრიისთვის არც უცხოა, არც განსაკუთრებული. ინდივიდი უარს ამბობს ცხოვრებისეულ ინტერესებზე, ის გულგრილი ხდება მიწიერი სიამოვნებებისადმი და პრობლემებისადმი. ეს ერთგვარად წააგავს ექსპერიმენტულად შექმნილ მელანქოლიის მდგომარეობას. მეორე სტადიაზე ხდება მელანქოლიური განცდების ჩანაცვლება თვითსიყვარულის გრძნობით. მედიტაციაში მყოფი სუბიექტი თავის თავში პოულობს სულიერი არსებობის ყველა წყაროს და ამით საზრდოობს. ეს ერთგვარად წააგავს ფსიქოტურ მდგომარეობას, როცა პიროვნების ინტერესები მთლიანად კონცენტრირებულია საკუთარ თავზე, რაც მას განუზომელ სიხარულს ანიჭებს. მესამე სტადიაზე თვითკმარობის სიამოვნება ქრება; მას გულგრილობა და აპათია ცვლის, რომელიც ბოლო სტადიაზე ფსიქიკურ უფორმოებად და სიცარიელედ გრანსფორმირდება.

მედიტაციური განცდები ცვალებადობს მედიტაციური ტექნიკების მიხედვით, რომლებიც ძალზე მრავალფეროვანია. მედიტაციის ზოგიერთი სისტემა იყენებს კონკრეტული ფიგურების (ე.წ. იანტრები), სურათების, საგნების ჭერეგას, ზოგი სპეციალური ბგერების, სიგყვების (ე.წ. მანტრები) ან ლოცვების გაბმულ მრავალჯერად გამეორებას, ზოგი – პარადოქსებში ჩაღრმავებას (მაგ, ძენ-ბუდიზმი), ზოგი იგავეებს და მეტაფორებს მიმართავს (მაგ, სუფიზმი), ზოგი შინაგან შეგრძნებებზე (მაგ., სუნთქვის რიტმი, სხეულის პოზა, სხვადასხვა მოძრაობა) ახდენს კონცენტრაციას და ა.შ. ყველა შემთხვევაში ცნობიერების მდგომარეობა ძალიან ფართო დიაპაზონში იცვლება, დაწყებული უბრალო რე-

ლაქსაციური კმაყოფილებით, დამთავრებული გრანსული განცდებით. მედიგაციაში დახელოვნებული პირები სასიცოცხლო პროცესების ფლობის საოცარ დონეს აღწევენ: შეუძლიათ ნივთიერებათა ცელის, სუნთქვის, გემპერაგურის, გულისცემისა და სხვა პროცესების რეგულირება. ამიგომ მედიგაცია თანამედროვე დასავლეთმაც აითვისა, როგორც ყოფით, ისე ფსიქოთერაპიულ სფეროში.

მედიგაცია საკმაოდ ეფექტურ მეთოდად მიიჩნევა თვითმოდუნებისა და ფიზიოლოგიური აგზნების მოხსნის მხრივ. სპეციალური გამოკვლევები ადასტურებს, რომ მედიგაციის პროცესში სუნთქვა შენელებულია და ქანგბადის მოხმარება შემცირებული. გულისცემის რიგმი, სისხლის ნაკადი სტაბილიზდება, მასში კლებულობს ზოგიერთი მავნე ნივთიერების კონცენტრაცია; დაბლა იწვევს თავის გვინის ქერქის და, ამდენად, გონებრივი აქტივობა. მედიგაცია ესმარება ქრონიკული შფოთვით შეპყრობილ ადამიანებს და თვითშეფასების ამაღლებასაც კი უწყობს ხელს. მისი ეფექტურობა დადასტურდა სპორტის ფსიქოლოგიაში. მედიგაცია ამცირებს სასტარტო მღელვარებას და აადვილებს სხვადასხვა ჯგუფის კუნთების მოდუნებას. საზოგადოდ კი შეიძლება ითქვას, რომ მედიგაცია ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური აგზნებისა და დაძაბულობის შემცირების საკმაოდ კარგი საშუალებაა, განსაკუთრებით იმათთვის, ვისაც შფოთვისა და სტრესის ვითარებაში უწევს ცხოვრება.

თავი VII. არაცნობიერის ფსიქოლოგია

არაცნობიერი პროცესები სულიერი სამყაროს ყველაზე ძნელად შესასწავლ მოვლენებს მიეკუთვნება. ამის მიზეზი ის არის, რომ ისინი არ შედიან ცნობიერების შინაარსში, არ ხდებიან ცნობიერების უშუალო ჭერეგის ობიექტი. არაცნობიერი პროცესები თვითდაკვირვებას არ ექვემდებარება, ამიტომ ღიდი ხნის განმავლობაში ფსიქოლოგიაში მათი არსებობა სადავო იყო. მხოლოდ XX საუკუნეში, ძირითადად ფსიქონალიზმის გაელენით, არაცნობიერის სამკვიდრო ფსიქოლოგიური შემეცნების საგანი გახდა. მაგრამ თავისი სიღრმისეულობისა და ცნობიერებაში მოუცემლობის გამო, სულიერი სამყაროს ეს სფერო დღესაც ყველაზე ნაკლებადაა შესწავლილი.

მიუხედავად გემოთქმულისა, არაცნობიერი პროცესები, ამა თუ იმ სახით, მაინც ვლინდება ცნობიერებასა და ქცევაში. ამის მაჩვენებელია თუნდაც ის, რომ ჩვენი ცნობიერი ცხოვრების მრავალი ფაქტის ახსნა შეუძლებელი ხდება, თუ არ იქნება დაშვებული მათი ქვემდებარე არაცნობიერი პროცესების არსებობა. ფროიდი ასეთ მოვლენებად თვლიდა ჰიპნოზისა და სიზმრის ფაქტებს.

§ 1. არაცნობიერის ბამოვლინება ჰიპნოზსა და სიზმარში

1. ცნობილია, რომ ადამიანი ჰიპნოზში მიღებულ ჩავონებას ჩვეულებრივი ცნობიერების მდგომარეობაში დაბრუნების შემდეგ ასრულებს; ამავე დროს, ჩავონების შინაარსი მისთვის სრულიად არაცნობიერი რჩება. მაგალითად, თუ ადამიანს, რომელიც შინიდან სამსახურში ჩვეულებრივ ავტობუსით დადის, ჩავაგონებთ: “ხვალ ფეხით წადი სამსახურში”, მეორე დღეს იგი ჩავონების შესაგყვისად იმოქმედებს. რომ ეკითხოთ, თუ რატომ არ ჩაჯდა გრანსპორტში, შეიძლება გვითხრას: “კარგი დღეა და სუფთა ჰაერზე გავლა ვარჩიო”. ამ სიტყვებით იგი სუბიექტურად ამართლებს მოქმედებას, რომლის ნამდვილი აზრი მისთვის დაფარულია. მაგრამ თუ ამ ადამიანს ისევ ჰიპნოზურ მდგომარეობაში გადავიყვანთ და შევეკითხებით, რატომ წავიდა ფეხით სამსახურში, გვიპასუხებს: “იმიტომ, რომ გუშინ თქვენ დამავალეთ ასე მოვექეულიყავი”. ნათელია, რომ პირველ შემთხვევაში ადამიანი თითქოს თავს “იგყუებს”, ქცევას მისაღებ გამართლე-

ბას უგონებს; სინამდვილეში მის აქტივობას მართაქს ჩავონების გზით შექმნილი არაცნობიერი დინამიკური მდგომარეობა, რომელიც სიფხიმლის ცნობიერებისთვის მიუწვდომელი რჩება.

პოსტკაპიტალიზმური ჩავონებით შესრულებულ ქმედებას მედიუმმა შეიძლება ასეთი სუბიექტური გამართლება ვერც მოუნახოს. კაპიტალიზმის ერთ-ერთმა გამოჩენილმა მკვლევარმა, ბერნჰეიმმა თავის პაციენტ ქალს კაპიტალიზმში დააეხლა, რომ მისულიყო მასთან ერთი კვირის შემდეგ, გვიან საღამოს. გუსგად ამ დროს, ქალი გოვებს მის სახლში წვეულებაზე შეკრებილ სტუმრებს, გაოცებულ მეუღლეს და მიდის ექიმთან. ამასთან, იგი დიდ უხერხულობას გრძნობს და ექიმს ეუბნება, რომ არ იცის, რაგომ შეაწუხა იგი ასეთ დროს, მაგრამ ამის გაკეთების სურვილი მასზე ძლიერი აღმოჩნდა. ის, რაც მედიუმის ცნობიერებისთვის უაზრო და გაუგებარია, ჩავონებით შექმნილი არაცნობიერი მდგომარეობის მიხედვით წინასწარ დაგეგმილი და აზრიანი მოქმედებაა. ამრიგად, კაპიტალიზმში იქმნება ფსიქიკური მდგომარეობა, რომელიც არსებობს და, ქცევის საფუძვლის სახით, არაცნობიერად ფუნქციონირებს.

2. ფროიდი სიზმარს არაცნობიერისკენ მიმავალ სამეფო გზას უწოდებდა. სიზმრის ცნობიერება უდავოდ არაცნობიერიდან აღმოცენდება. აქ არა აქვს მნიშვნელობა, თუ როგორ გავიგებთ არაცნობიერს — ფსიქოანალიზისა თუ სხვა თეორიის მიხედვით. ფაქტი ის არის, რომ ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, საიდან ჩნდება სიზმარი; მისი შინაარსის შესწავლამ და ინტერპრეტაციამ კი შეიძლება მიგვიყვანოს მის საფუძვლადმდებარე არაცნობიერ ფსიქიკურ მოვლენამდე. სიზმარში ხშირად ვერც ვგრძნობთ, რომ მისი სიუჟეტი ჩვენთვის მნებობრივად მიუღებელი ქმედებისკენ მიემართება, მაგრამ, როცა ეს ქმედება უნდა განხორციელდეს, სიზმრის სიტუაციაში შემოდის პერსონაჟი ან თბიქტური ვითარება, რომელიც უარს გვათქმევინებს მასზე. გამოღვიძებისას კმაყოფილები ვრჩებით, რომ სიზმარი ასე დასრულდა. დაკვირვება მიგვანიშნებს, რომ ამგვარი სიზმრების სცენარში ხელის შემშლელი ვითარება ჩვენს სინდისს შემოაქვს, ანუ ღირებულებათა იმ სისტემას, რომელიც სიზმრის ცნობიერებაში სრულიად არ ჩანს, იგი არაცნობიერად არის მოცემული.

სიზმრების ინტერპრეტაციასთან ერთად, არაცნობიერის სამკვიდროში შესაღწევად ფროიდი ასოციაციის მეთოდსაც მიმართავ

და. ეს მეთოდი გულისხმობს პაციენტის მიერ მის გონებაში უწყვეტი ნაკადის სახით თავისთავად ამოგივეტიებული შინაარსების (სტიკების) თავისუფალ პროდუცირებას. მათ ანალიზს ხშირად მიეყაერთ ცნობიერებისთვის დაფარულ მრახვებამდე, რომლებმაც ნეეროზი გამოწვია. ამრიგად, ასოციაციის მეთოდი გარკვეულ ინფორმაციას გვაწვდის არაცნობიერი გენდენციების შესახებ.

§ 2. არაცნობიერი მოტივაციის ბამოვლინებები

1. არაცნობიერი მისწრაფებათა პრობლემა მჭიდროდ არის დაკავშირებული ზიგმუნდ ფროიდის მიერ შექმნილ ფსიქონალიზთან იგი აერთიანებს როგორც მეურნალობის სისტემას, ისე ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ და მასშტაბურ ფსიქოლოგიურ კონცეფციას. ფროიდის უდიდეს დამსახურებას ცნობიერებისა და ქცევის არაცნობიერ მოგივაციურ-დინამიკურ მიზებებზე მითითება წარმოადგენს. არაცნობიერი პროცესებისადმი ფროიდის ინტერესს ბიპტი მისცა პოსტპიპნომური ჩაგონების მაგალითების იმ დემონსტრაციამ, რომლებიც წარმოადგინა იპოლიტ ბერნჰეიმმა და დიდმა ფრანგმა ნეეროლოგმა, შარკომ. ერთ-ერთი მაგალითია, როცა ქალს ჩააგონეს, რომ პიპნომიდან გამოსვლისას მას უნდა აელო იქ მყოფი სტუმრის ქოლგა, გაეხსნა იგი და ოთახში გაეელო. მან მართლაც ზუსტად შეასრულა დავალება, რომელიც პოსტპიპნომურ მდგომარეობაში სრულებით არ ახსოვდა. შეკითხვაზე, თუ რატომ გააკეთა ეს, ქალმა უპასუხა, რომ სურდა შეემოწმებინა, კარგად იხსნებოდა თუ არა ქოლგა. როდესაც შეახსენეს, რომ ქოლგა მისი არ იყო, დაირცხვინა და თავის ადვილზე დადო.

პოსტპიპნომური ჩაგონების რა თავისებურებებმა მიიპყრო ფროიდის ყურადღება? პირველი – შესრულებულ მოქმედებათა მიზებების გაუცნობიერებლობამ. მეორე – ამ მიზებების ქმედითობამ: ადამიანი ასრულებს დავალებას, თუმცა არ იცის, რატომ აკეთებს ამას. მესამე – მისწრაფებამ, რომ თავის ქმედებას ახსნა ან მოგივი მოუნახოს. მეოთხე – შესაძლებლობამ, რომ ადამიანი თავისი მოქმედების ნამდვილი მიზების ახსნამდე მიიყვანოს მასთან საგანგებო მუშაობის გზით. ფართო კლინიკური გამოცდილების საფუძველზე ფროიდმა ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება არაცნობიერის შესახებ, რომლის თანახმადაც ადამიან-

ნის უსიქიკაში სამი სფერო არსებობს: ცნობიერი, წინაცნობიერი და საკუთრივ არაცნობიერი.

წინაცნობიერი სფეროს გიპური წარმომადგენელი, ფროიდის მიხედვით, არის დაფარული ან ლაგენგური ცოდნა. ეს არის ცოდნა, რომელიც ადამიანს აქვს, მაგრამ მოცემულ მომენტში მის ცნობიერებაში არ არის წარმოდგენილი. მაგალითად, კარგად ვიცით ასლობლების სახელები ან გამრავლების გაბულა, მაგრამ ამ ინფორმაციას აქგუალურად არ ვაცნობიერებთ. ამგვარად, ფროიდის მიხედვით, ფსიქიკა უფრო ფართოა, ვიდრე ცნობიერება. ფარული ცოდნაც ფსიქიკური წარმონაქმნია, მაგრამ არაცნობიერი. მისი გაცნობიერებისთვის საჭიროა მხოლოდ შემონახული შთაბეჭდილების გამოცოცხლება. ფროიდს შესაძლებლად მიაჩნია ამ შინაარსების მოთავსება უშუალოდ ცნობიერების მიჯნაზე მყოფ სფეროში (წინაცნობიერში), რადგან, საჭიროების შემთხვევაში, ადვილია მათი ცნობიერებაში გადმოგანა.

საკუთრივ არაცნობიერის სფეროს სულ სხვა თვისებები აქვს. პირველ ყოვლისა, ამ სფეროს წარმონაქმნების გაუცნობიერებლობის მიზეზი მათი სისუსტე (არამოტივირებულობა) არ არის (როგორც ეს ლაგენგური ცოდნის შემთხვევაშია). პირიქით, მათ უაღრესად დიდი ძალა აქვთ, რაც იმაში მქლავდება, რომ ისინი არსებით ზეგავლენას ახდენენ ჩვენს მოქმედებასა და მდგომარეობაზე. მამასადამე, არაცნობიერი წარმონაქმნების პირველი განმასხვავებელი ნიშანი მათი ქმედითობაა. მეორე ნიშანი ის არის, რომ ისინი, თავისი ბუნებრივი სახით, ძნელად ან სულ ვერ გადადიან ცნობიერებაში. ეს მე-ს თავდაცვის მექანიზმების მოქმედების შედეგია.

ქმედითობის ნიშნიდან გამომდინარე, ნათელია რომ არაცნობიერი სამყარო, არსებითად, დინამიკური მოტივაციური პროცესების სფეროა. ამიტომ ფსიქოანალიზს დინამიკურ ფსიქოლოგიასაც უწოდებენ. ფროიდის მიხედვით, ადამიანის ფსიქიკური ცხოვრება ინსტინქტური ლგოლევით არის გაპირობებული. ფროიდმა პიროვნების სტრუქტურაში მათ სპეციალური ადგილსამყოფელიც მიუჩინა და მას "იდი" უწოდა. "იდი" ორგანიზმის ენერგეტიკის ერთადერთი წყაროა. ესაა პრიმიტიული ინსტინქტებისა და მოტივაციური ძალების თარემის სფერო. "იდი" არის მომთხოვნი, იმპულსური, ბრმა, ირაციონალური, ასოციალური,

ეგონისტური და უკიდურესად ჰედონისტური, ანუ სიამოვნებაზე ორიენტირებული. ამ თვისებების გამო “იღის” არაცნობიერი ლტოლვები ადაპტურ და სოციალურად მისაღებ ქცევას ვერ განაპირობებს. მათ შეკავებასა და რეგულაციას პიროვნების სპეციალური სტრუქტურები ემსახურება. სიცოცხლის მთავარი კანონია: მე-სა და სახეობის შენარჩუნება. მათ შეესაბამება მე-ს ლტოლვები (შიმშილი, წყურვილი და სხვა) და სექსუალური ლტოლვები. მოგვიანებით ფროიდმა შეცვალა კლასიფიკაცია და გამოყო სიცოცხლის (ეროსი) და სიკვდილის (თანაგოსი) ინსტინქტები. ეს უკანასკნელი აგრესიულ, დესტრუქციულ ქმედებათა საფუძველია. თუმცა ეროსს ენიჭება. ესაა არსებითად სექსუალური ლტოლვა, ანუ, ავტორის გერმინოლოგიით, ლიბიდოს ენერჯია. ფროიდმა აღწერა, როგორ ყალიბდება ეს მოგივაციური სისტემა ბავშვობის ასაკში, ე.წ. ფსიქოსექსუალური განვითარების პროცესში. ამ მოგივაციური გენდენციების არაცნობიერში დამკვიდრებისა და იქიდან ცნობიერებასა და ქცევაში გადმოსვლის კოლიზიებზეა დაფუძნებული ჩვენი ფსიქიკური ცხოვრების ყველა გამოვლინება, მათ შორის ავადმყოფური (იხ. თავი VIII).

2. ის, რომ აქტივობის მოგივაციური მექანიზმები ხშირად არაცნობიერად მოქმედებს, ფსიქოლოგიის სხვა მიმდინარეობებსა თუ დარგებშიც დასტურდება. მაგალითად, სოციალურ ფსიქოლოგიაში ალაიანის ქცევის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად ე.წ. სოციალური განწყობები ითვლება. ისინი გამოხატავენ ჩვენს დამოკიდებულებას სხვადასხვა მოვლენების მიმართ და აღძრავენ სათანადო ქცევას. ირკვევა, რომ მათი ფორმირების, ფუნქციონირებისა და შეცვლის პროცესი ძალიან ხშირად ისე მიმდინარეობს, რომ სუბიექტი ამას არ აცნობიერებს. ერთ გამოკვლევაში ცლისპირების ორ ჯგუფს უკითხავდნენ მასალას გარკვეული თემის გარშემო ბიპევიორისტულ და კოგნიტივისტურ შეხედულებათა შესახებ. შემდეგ ცლისპირები ამ მიდგომების გარჩევას იწყებდნენ. როცა ისინი ემხრობოდნენ და იცავდნენ ბიპევიორისტულ თვალსაზრისს, ექსპერიმენტატორი თავის დამოკიდებულებას გამოხატავდა სიგყვებით “კარგია”, “სწორია”; მეორე შემთხვევაში იგივე კეთდებოდა კოგნიტური თეორიის მიმართ. აღმოჩნდა, რომ ცლისპირებს ჩამოუყალიბდათ დადებითი პოზიცია იმ შეხედულების მიმართ, რომელსაც განუმტკიცებდნენ, თუმცა სრულებით არ გაუც-

ნობიერებით, რომ მათზე განმამტკიცებელი სოციალური გემოქმედება ხორციელდებოდა. მაშასადამე, სოციალური განწყობის ფორმირება არაცნობიერად მოხდა.

დამოკიდებულებებისა და ღირებულებების ჩამოყალიბების ერთ-ერთი მექანიზმია მიბაძვა. ეს პროცესი უფრო ხშირად არაცნობიერად მიმდინარეობს. ადამიანი თავისდაუნებურად დგება იმ პოზიციებზე, რომელიც უკავია მისთვის ავტორიტეტულ პიროვნებას. ამ მხრივ განსაკუთრებით მიმდებლური არიან ბავშვები, რომელთაც “გადაედებათ” სხვისი განწყობები. ამიტომ აქვს აღზრდაში ასეთი მნიშვნელობა პირად მაგალითს. ნორმების შეთვისება, უმეტესწილად, გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. აქ მრავალი მექანიზმი მოქმედებს; მაგალითად, თავისთავის გაიგივება ამა თუ იმ პიროვნებასთან (ე.წ. იდენტიფიკაცია), ან თავის თავზე ამა თუ იმ სოციალური როლის აღება. ამ დროს ადამიანს უფიქსირდება როლის შესაბამისი შინაგანი პოზიცია ისე, რომ იგი ამას ვერც აცნობიერებს.

ადამიანებს ცხოვრების პროცესში ჩამოყალიბებულ განწყობათა შეცვლა უხდებათ. ეს პროცესიც ხშირად ჩვენი განზრახვის გარეშე, გაუცნობიერებლად მიმდინარეობს. ფსიქოლოგიაში ეს ვითარება საკმაოდ კარგადაა შესწავლილი, ძირითადად ე.წ. თავსებადობის თეორიების კუთხით. ადამიანს აქვს გენდენცია, რომ მისი შინაგანი სამყაროს მოვლენები (აზრები, ღირებულებები, დამოკიდებულებები და ა.შ.) ერთმანეთთან თავსებადნი იყვნენ. თუ ეს დარღვეულია, წარმოიქმნება მათ შორის შესატყვისობის აღდგენის მისწრაფება. დღეს უკვე აღწერილია არათავსებადობის მდგომარეობათა მაგალითები და სათანადო მოტივაციური გენდენციები. შესწავლილია აგრეთვე ის მექანიზმები და სტრატეგიები, რომლებსაც ადამიანები მიმართავენ არათავსებადობის მდგომარეობის მოსახსნელად.

ერთ-ერთი თვალსაზრისის მიხედვით, თუ ცნობიერების ორი ელემენტი გარკვეულად ეწინააღმდეგება ერთმანეთს, წარმოიქმნება დისონანსის მდგომარეობა, რომელიც აღძრავს მისი მოხსნის, ანუ წონასწორობის აღდგენის გენდენციას. ვთქვათ, ადამიანს უნდა დაიკლოს წონაში და ვერ ამბობს უარს შოკოლადზე. სახეზეა დისონანსი. მისი მოხსნისთვის სუბიექტმა შეიძლება სხვადასხვა გზას მიმართოს: შეცვალოს დისონანსური ურთიერ-

თობის ერთ-ერთი წევრი (შეწყვიტოს ღიეგა ან შოკოლადის ჭამა); შეცვალოს დისონანსურ ურთიერთობაში მყოფი ელემენტების მნიშვნელობა (ჩათვალოს, რომ შოკოლადი არც ისე ასუქებს, ან რომ სიმსუქნე დიდი უბედურება არ არის); ცნობიერებაში შეიყვანოს ახალი ელემენტი (შოკოლადი ასუქებს, მაგრამ სამაგიეროდ კარგად მოქმედებს გონებრივ უნარებზე) და ა.შ. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყოველივე ამას ინდივიდი ცნობიერად და შეგნებულად აკეთებს. პირიქით, უმეტეს შემთხვევაში დისონანსიდან მომდინარე გენდენცია ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ცვლის სუბიექტის განწყობებს და, საბოლოოდ, მათზე დამყარებულ ქცევას. მაგალითად, თუ ადამიანი დათანხმდა განახორციელოს მის მორალურ მრწამსთან შეუსაბამო ქცევა, ეს გამოიწვევს დისონანსს, რომელსაც მომავალში შეიძლება მოჰყვეს შესაბამისი განწყობების თავისთავადი შეცვლა მათი მნიშვნელობის შესუსტების მიმართულებით.

ასევე კარგადაა შესწავლილი ე.წ. გადაწყვეტილების შემდგომი დისონანსის ეფექტები. დაახლოებით ერთნაირი მიმზიდველობის ალგერნატივებიდან არჩევანის გაკეთების შემდეგ ადამიანი დისონანსს განიცდის: არჩეულ ვარიანტს აქვს ნეგატიური ნიშნები, ხოლო უარყოფილს – პოზიტიური. ექსპერიმენტულად ნაჩვენებია, რომ ასეთი რთული გადაწყვეტილების მიღების შემდეგ იზრდება არჩეული და მცირდება უარყოფილი ალგერნატივის სუბიექტური მიმზიდველობა. ამით ინდივიდი ამცირებს ან ხსნის დისონანსს. ადამიანისთვის, რომელმაც დიდი ყოყმანის შემდეგ ორი მარკის მანქანიდან ერთ-ერთის ყიდვა გადაწყვიტა, არა მხოლოდ ეს კონკრეტული მანქანა გახდება უფრო მიმზიდველი, არამედ დადებითის კენ შეეცვლება დამოკიდებულება საერთოდ ამ მოდელის მანქანების მიმართ. დამოკიდებულებების, პოზიციების, სოციალური განწყობების ფუნქციონირებისა და შეცვლის სხვა სიტუაციებიც არის შესწავლილი. მათზე აღარ შევჩერდებით. აქ მთავარი ისაა, რომ თავად ცნობიერების შინაარსების ჰარმონიზაციისა და დაბალანსების დროსაც კი ჩვენი ფსიქიკა ავგომატურ რეჟიმში, უპირატესად არაცნობიერად მუშაობს. მეტწილად არც ამ სამუშაოს აღმძვრელი გენდენცია ცნობიერდება და არც მოტივაციური პრობლემის გადაწყვეტის გექნოლოგია.

3. ის, რომ მოგივაციური წარმონაქმნების ფუნქციონირება ხშირად ცნობიერების ველის მიღმა მიმდინარეობს, კარგად ჩანს იმის მაგალითზე, თუ როგორ მოქმედებს მიზანი. მიზანი მოგივაციური სფეროს მოვლენაა და ფსიქიკაში მეგ-ნაკლებად ხანგრძლივად რჩება. იგი დასახვიდან განხორციელებამდე ყოველთვის არსებობს, მაგრამ ცნობიერების საგანი იშვიათად ხდება. როცა დასახული მიზნის რეალიზაციის გზებზე და საშუალებებზე ვიწყებთ ფიქრს და პრაქტიკულ მოქმედებაზე გადავდივართ, თერთონ მიზნისთვის ცნობიერებაში ადგილი აღარ რჩება, რის გამოც იგი გადის ცნობიერებიდან, მაგრამ ჩვენში მაინც არსებობს რაღაც ფორმით და მონაწილეობას იღებს მისი რეალიზაციისთვის საჭირო ქცევის აქტების რეგულაციაში. როცა განხორციელების გზაზე ზოგჯერ ვაცნობიერებთ მიზანს, ეს ისე განიცდება, რომ იგი ყოველთვის იყო და იგულისხმებოდა, მაგრამ ცნობიერება მხოლოდ ახლა მიბრუნდა მისკენ. აქ დაახლოებით ისეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როგორც ვთქვათ მაშინ, როდესაც სტადიონზე გატაცებით ვუყურებთ ფეხბურთს და ჩვენ გვერდით მჯდომი მეგობარი ჩვენს ცნობიერებაში არაფრით არ არის წარმოდგენილი, მაშინაც კი, როცა მას შთაბეჭდილებებს ვუზიარებთ. მიუხედავად ამისა, მისი ჩვენ გვერდით არსებობა მაინც მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ჩვენს აქტივობას. შემთხვევით თავი იქით რომ მივაბრუნოთ, სადაც მეგობრის არსებობას ვგულისხმობთ და იგი იქ არ დაგვხვდეს, განკვიფრება ან შიში შეგვიპყრობს. ეს შიში არსებული ვითარების ვაცნობიერების შედეგად კი არ აღმოცენდა, არამედ წინ უსწრებს მას, და მაშასადამე, იმ ნაგულისხმევი არაცნობიერი მოცემულობიდან გამომდინარეობს.

საზოგადოდ, ემოციური განცდები, რომელთა გამომწვევი მიზეზები მოცემულ მომენტში ცნობიერებაში არ ჩანს, ვეაფიქრებინებს, რომ მათი შესაგყვისი მოვლენები, ვარკვეული ფორმით, აქმისა და წარმოდგენის აქტებამდეც არსებობდა, რომ ვარესამყარო ჩვენთვის მხოლოდ ცნობიერების ფორმაში არ არის მოცემული.

ჩვენი მოთხოვნილებები აქტივობის პროექსის წარმართვისას ყოველთვის არ ცნობიერდება. მოთხოვნილებები და ინტერესები, სხვადასხვა სახის მისწრაფება და გადაწყვეტილება, სიძულვილი და სიყვარული არსებობას ცნობიერების ველზე არც იწყებენ და არც ამთავრებენ; ისინი ღრმად იდგამენ ფესვებს

ადამიანის სულში და იქიდან წარმართავენ ცნობიერების პროცესებს. ამასთან დაკავშირებით, საინგერესოა ერთ-ერთი დაკვირვება: ზოგჯერ, ვთქვათ წიგნზე მუშაობისას, რომელიმე, განსაკუთრებით გააქტიურებული მოთხოვნილება ისე შეუმჩნეველად გააქტიურდება და გამოგვითიშავს ცნობიერებას კითხვის პროცესიდან, რომ სრულიად გაუგებარი ხდება, როდის შეწყვიტა ცნობიერებამ წაკითხულის გააზრება და შეუდგა წარმოსახვის სურათების შექმნას. ხელი ფურცლავს გვერდებს, თვალი კითხულობს გექსტს, მაგრამ მთელი ეს მოქმედება ისევე გაუცნობიერებელი რჩება, როგორც ის მოთხოვნილება, რომელმაც ცნობიერების შინაარსი “მოიპარა”. შემდეგ უეცრად გამოვარკვევთ, რომ ოცნებას წავუღივართ და უკანასკნელი გვერდები ისე გადაგვიკითხავს, არაფერი გავცივია. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნილება თავის საქმეს ცნობიერების გარეშე აკეთებს; თვალი ნამდვილად კითხულობს სგრიქონებს, რაც იმას ნიშნავს, რომ სიგყვებისა და ასოების ხაგები გვაქვს, მაგრამ ისინი არ არიან წარმოდგენილი ცნობიერებაში, ვინაიდან ცნობიერება მთლიანად მოწყვეტილია რეალობას და ფანტაზიის სამყაროშია გადასული; მისთვის არც წიგნი არსებობს და არც მისი სიგყვები.

§ 3. არაცნობიერი კონსტრუქციული პროცესები

1. შეგრძნებისა და აღქმის სფერო მდიდარ მასალას იძლევა არაცნობიერი ფსიქიკის დახასიათებისთვის. ირკვევა, მაგალითად, რომ ადამიანის ფსიქიკაში აისახება იმდენად მცირე ინტენსიუობის გამლიზიანებლები (ინფორმაცია), რომლებსაც ცნობიერება ვერ აფიქსირებს. მათ ზღურბლქვედა ან სუბსენსორული გამლიზიანებლები ეწოდებათ. მაგალითად, ეკრანზე ვიზუალურად შეიძლება მოცემული იყოს ინფორმაცია, რომელსაც აბსოლუტურად ვერ ვამჩნევთ, მაგრამ იგი მაინც ერთგვარ ზემოქმედებას ახდენს სუბიექტზე, აღძრავს მასში გარკვეულ სურვილებს და მოტივაციურ გენდენციებს. ხშირად ვაიგებთ, რომ ამ მოვლენას იყენებენ სარეკლამო ბიზნესში. ერთ-ერთ გახმაურებულ გამოკვლევაში ფილმის მსვლელობისას წამის 1/24-ის განმავლობაში (ე.ი. ისე, რომ ადამიანი ამას ვერ ამჩნევს) ეკრანზე მრავალჯერ ჩნდება კადრები, რომლებიც ხოგბას ასხამენ კოკა-კოლას ან სიმინდის ბურბუშელას. მიუხედავად იმისა, რომ ეს კადრები არავის ცნობიერად

არ აღუქვამს, მაყურებელში გაიღვიძა აღნიშნული პროდუქტების შეძენისა და მოხმარების გამოკვეთილმა სურვილმა. აკუსტიკური და ვიზუალური სუბსენსორული გამღიზიანებლები გამოყენებულია ენის სწავლებაში (ლექსიკური მარაგის განმტკიცებისთვის), მაენე ჩვევებთან საბრძოლველად (მსმელი, მწვეელი, გაუმაძღარი ადამიანების დასახმარებლად) და ა.შ.

ზოგიერთი სპეციალისტი, საგანგებო ექსპერიმენტებზე დაყრდნობით, სკეპტიკურად აფასებს ამგვარი ზემოქმედების ეფექტურობას სამედიცინო, სასწავლო, სარეკლამო თუ საზოგადოებრივი აზრის მანიპულაციის სფეროში. თუმცა დღეს თითქმის არავინ უარყოფს თვით ზღურბლქვედა ანუ არაცნობიერი გავლენის არსებობას, რაც არაერთი ექსპერიმენტით დადასტურდა. მაგალითად, ცდისპირებს სთხოვენ შეუფასონ სლაიდებზე გამოსახული ადამიანები. მანამდე ექსპერიმენტის მონაწილენი უყურებენ ეკრანს, რომელზეც სურათები იმდენად სწრაფად ცვლიან ერთმანეთს, რომ მათზე რაიმეს ამოცნობა აბსოლუტურად შეუძლებელია. ამდენად, ამ სურათების შინაარსი სუბიექტის ცნობიერებისთვის დაფარულია, უცნობია. ობიექტურად კი სურათების ემოციური შეფერილობა ან დადებითია (კნუტები, ლეკვები ან შეყვარებული წყვილი), ან უარყოფითი (მაქცია, გვამი, გაბრაზებული სახე). ის ცდისპირები, რომლებზეც დადებითი არაცნობიერი ზეგავლენა მოხდა, სლაიდებზე გამოსახულ ადამიანებს უფრო დადებითად ახასიათებენ, ვიდრე უარყოფითი არაცნობიერი ზეგავლენის მქონენი.

სხვა ცდებში ნაჩვენებია, რომ სუბსენსორულად მიწოდებული სიგყვის მნიშვნელობა საგრძნობლად ცვლის მომდევნო სიგყვების ამოცნობადობას. მაგალითად, სიგყვა “პურის” არაცნობიერი ზემოქმედების შემდეგ, გართულებული აღქმის პირობებში, ეკრანზე უფრო ადვილად ამოიცნობა მასთან მნიშვნელობით ახლო მყოფი სიგყვა კარაქი, ვიდრე, ვთქვათ, ექიმი.

ამ ეფექტებთან ახლოსაა ე.წ. პერცეპტული დაცვის ფენომენიც. ესაა პროცესი, რომლის მეშვეობითაც სუბიექტი თავს იცავს სხვადასხვა ხიფათის შემცველი ან სოცილურად თუ პიროვნულად მიუღებელი სტიმულებისაგან. ერთ-ერთ ექსპერიმენტში ცდისპირებს განსხვავებული სისწრაფით აწვდიდნენ ამოსაცნობად ერთნაირი რაოდენობის ასოებისაგან შემდგარ და ერთნაირი სტრუქტურის მქონე ორი გიპის სიგყვებს – ნეიგრალურს და

ტაბუირებულს, სექსთან დაკავშირებულს. ამასთან ერთად ხდებოდა ემოციებთან დაკავშირებული ფიზიოლოგიური რეაქციების რეგისტრაცია. გამოირკვა, რომ ცდისპირები მნიშვნელოვნად მეტ ღროს ხარჯავენ ემოციურად შეუფრილი სიტყვების ამოსაკითხაველ და აელენენ ამ სიტყვებზე გამოხატულ ფიზიოლოგიურ რეაქციებს მანამ, სანამ მათ ამოიცნობენ. მსგავსი გამოკვლევები ადასტურებს, რომ უკვე პერსექტული აქტივობის დონეზე ადამიანები გაუცნობიერებლად არჩევითად რეაგირებენ სპეციფიკურ ემოციონალურ სტიმულებზე.

თავი რომ დაეხებოთ სუბსენსორულ ან გართულებულ პერსექსიას, ჩვეულებრივი აღქმაც, რომელსაც ჩვენი მოქმედება ემყარება, დიდწილად ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ხორციელდება. ვაცნობიერებთ თუ არა ჩვენ ქვაფენილის უსწორმასწორო ზედაპირს, რომელზეც მიედივართ. შემხვედრ ადამიანებს, რომელთაგან ნაცნობებს მოგჯერ გაუცნობიერებლად ვესალმებით კიდევ, მალაზიის ვიგრინების საგნებს, რომელთაც თვალს ვაულებთ და ბევრ სხვა რაიმეს მაშინ, როცა თანამგზავრთან საუბრით ვართ აქტიურად ჩართული? არა! მოცემულ შემთხვევაში ჩვენი ცნობიერების საგანია მხოლოდ თანამგზავრთან საუბრის შინაარსი. მაგრამ განა ეს ნიშნავს, რომ ჩვენ არ აღვიქვამთ იმას, რაც ირგვლივ ხდება? ქუჩაში ჩვენს მიერ განხორციელებული მოძრაობები და მთელი ქცევა ზუსტად შეესატყვისება ყველაფერ იმას, რაც ირგვლივ მიმდინარეობს, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ მას აღვიქვამთ – აღვიქვამთ არაცნობიერად. შემხვედრი ნაცნობი რომ არ აღგვექვა, მას ხომ არ მივესალმებოდით.

ამ ვითარებას ასახავს მოვლენა, რომელსაც “წვეულების ეფექტი” უწოდეს. ხმაურიან წვეულებაზე რაღაცით ხართ დაკავებული და ყურადღებას არ აქცევთ შორიახლოს მიმდინარე საუბარს იქამდე, ვიდრე თქვენი სახელი არ გაიჟღერებს. მხოლოდ მაშინ ხდება ნათელი, რომ თურმე გაუცნობიერებლად უსმენდით საუბარს და რაწამს თქვენთვის მნიშვნელოვანი სიგნალი გაჩნდა, მაშინვე გაარჩიეთ ის, თუმცა საუბრის დანარჩენ შინაარსზე წარმოდგენაც არა გაქვთ.

2. იგივე ითქმის სხვა შემეცნებით პროცესებზეც, მაგალითად მებსიერებაზე. ადამიანის მებსიერებაში ბევრი რამ მისი ცნობიერი განზრახვის გარეშე აღიბეჭდება (დამახსოვრების პროცესი).

ასევეა ვახსენების დროსაც (აღდგენის პროცესი). მეხსიერებაში დაცული მასალა შეიძლება ისე ამოვიღეს ცნობიერებაში, რომ ადამიანმა არც იცოდეს, თუ რაგომ გაახსენდა იგი. ასეთია ე.წ. პერსევერაცია (წარმოდგენის თავისთავადი და აკვიატებული ამოტივტივება ცნობიერებაში), ან ე.წ. ასოციაციური მეხსიერება (მოვლენა, როცა რაიმეს აღქმას ან წარმოდგენას უნებურად მოჰყვება ცნობიერებაში მეორე წარმოდგენა). ყოველივე ეს ცნობიერი კონგროლის გარეშე ხდება. მეხსიერებაში შემონახვის პროცესი ხომ თავისი არსით არაა ცნობიერი. ინფორმაცია მოძრაობს ცნობიერებიდან მეხსიერების არაა ცნობიერი საცავე ბისკენ და პირიქით. აღბეჭდილი ინფორმაცია არაა ცნობიერში უბრალოდ კი არ ინახება, არამედ გარკვეულ ფსიქიკურ გადაშუავებას განიცდის; იგი სათანადოდ სტრუქტურირდება და შემდგომში აქტივირდება სუბიექტის წინაშე მდგარი ამოცანის შესაგყვისად. ამიტომ ყოველ მოცემულ მომენტში მხოლოდ ის შემოდის ცნობიერებაში, რისი გაცნობიერებაც ამ მომენტისთვისაა აუცილებელი. ეს ფაქტი მეხსიერებაში მიმდინარე არაა ცნობიერ ფსიქიკური პროცესებზე მიუთითებს (იხ. თავი XII).

განვიხილოთ უბრალო მაგალითი. მეხსიერებაში საშუალოდ მრავალი ათასი სიტყვაა დაცული. ჩვენ ყოველდღიურად ვიყენებთ ამ სიტყვებს და საოცარია, რომ მეტყველების დროს ყოველი სიტყვა თავის დროზე და თავის ადგილზე ჩნდება ისე, რომ სიტყვათა მთელ მარაგში მისი საგანგებო ძებნა არ გვიხდება. ათეულობით ათასი სიტყვა ცალ-ცალკე ქაღალდის პაგარა ნაჭრებზე რომ დაგვეწერა და ყუთში ჩაგვეყარა, წარმოიდგინეთ, რამდენი ხანი დაგვჭირდებოდა, რომ იქიდან თუნდაც ერთი წინადადების სათქმელად საჭირო სიტყვები ამოგვეჩია. მეტყველების დროსაც ასე რომ ხდებოდა მეხსიერებაში სიტყვების ძებნა, მთელ დღეს ორი წინადადების გამოთქმასაც ვერ მოვახერხებდით. მეტყველების პროცესში ცნობიერება, ჩვეულებრივ, არც ამრის გამოთქმისთვის საჭირო სიტყვების შერჩევას ახდენს და არც სიტყვათა გრამატიკულ შეთანხმებაში მონაწილეობს. ერთიც და მეორეც მას მოცემული ვითარების შესაგყვისად გამზადებულად ეძლევა. დაკვირვება ადასტურებს, რომ წინადადება და მასში მოცემული ამრიცხვითი ცნობიერების გარეთ სტრუქტურირდება იქამდე, ვიდრე მას წარმოვთქვამდეთ. ჩვეულებრივი საუბრის,

მეცნიერული კამათისა თუ მოხსენების დროს, ხშირად საკმაოდ გრძელ წინადადებას ვიწყებთ სიგყვით, რომელსაც ამ წინადადების უკანასკნელი სიგყვა მოითხოვს, ისე, რომ ეს უკანასკნელი სიგყვა წინადადების დასაწყისში გაცნობიერებული არ არის.

როდესაც მოკამათეს სიგყვას ვაწყვეტივით, იმ მომენტში ჩვენი ცნობიერების ველზე არც ერთი აზრი, არც ერთი სიგყვა, რომლის სათქმელადაც იგი შევაჩერეთ, არ ჩანს, მაგრამ, რალაცნაირად, მაინც მაქსიმალური გარკვეულობით გვაქვს მოცემული ის, რისი თქმაც გვინდა და იმის რწმენაც, რომ სწორედ ჩვენს მიერ გამოსათქმელი აზრია ჭეშმარიტი. სათქმელი შეიძლება წინასწარ გაცნობიერებული და გააზრებულიც იყოს, მაგრამ ეს ვითარებას არსებითად არ ცვლის. საქმე ისაა, რომ იმ მომენტში, როცა ლაპარაკს ვიწყებთ, წინასწარ ნაუიქრალი ცნობიერებაში არა გვაქვს მოცემული. ეს ასეა თუნდაც იმიტომ, რომ ცნობიერების მოცულობა მეგად მცირეა; იგი ერთ გრძელ წინადადებასაც ვერ გასწვდება. აქედან გამომდინარე, შეუძლებელია, რომ კათედრასთან მდგარ ლექტორს ლექციის დაწყებისას მთელი სათქმელი ცნობიერებაში ჰქონდეს. მან, ცხადია, იცის მასალა და ისიც იცის, რომ შესაბამისი ცოდნა აქვს, მაგრამ თვით ლექციის შინაარსი არაცნობიერადაა მოცემული; მისი გაშლა-გაცნობიერება მხოლოდ ლექციის მსვლელობაში წარმოებს. ის გარემოება, რომ ფროიდის თეორია ვიცი, არ ნიშნავს, რომ იგი მოცემული მაქვს ცნობიერების რაიმე შინაარსის – წარმოდგენის ან აზრის სახით. ეს კონცეფცია, როგორც ერთი მთლიანობა, ჩემში არაცნობიერადაა შენახული და იგი ცნობიერებას მხოლოდ თანდათანობით, მსჯელობათა გრძელი რიგის სახით შეიძლება მიეწოდოს.

3. თუ მეხსიერების შემთხვევაში მისი ფუნქციონირების არაცნობიერ მექანიზმებზე ლაპარაკი სავსებით გამართლებულია (ვინაიდან მეხსიერება, არსებითად, ფსიქიკური შინაარსების ცნობიერების მიღმა შენახვასთან არის დაკავშირებული), აზროვნებასთან მიმართებაში ეს შეიძლება უცნაურად მოგვეჩვენოს, რადგან აზროვნება, ჩვეულებრივ, ცნობიერი გონებრივი მოქმედების საჩვენებელ ნიმუშად ითვლება. მაგრამ უკვე გასული საუკუნის დასაწყისში წარმოებულმა პირველმა ექსპერიმენტულმა კვლევებმა, რომლებიც ძირითადად ქალაქ ვიურცბურგის ფსიქოლოგიურ ლაბორატორიაში შესრულდა, შემდეგი რამ აჩვენ-

ნა: აზროვნების არსებითი მსარეები, მისი პროცესები და მექანიზმები (ის როგორ გადადის აზრი ერთი მნიშვნელობიდან მეორეზე, როგორ ხდება ამოცანის ამოხსნა, როგორ ჩნდება გაგება, მიხედვით, წვდომა) არ განიცდება და სუბიექტის თვითდაკვირვებაში არ არის მოცემული; მათზე შინაგანი მშერის გადვენება, მათი შემჩნევა და ცნობიერების არეში მოქცევა ფაქტობრივად შეუძლებელია. ცნობიერებაში მოცემულია აზროვნების პროცესის შედეგი – ახალი ცოდნა, აზრი და ამ პროცესის თანმხლები ემოციური ელფერის ინტელექტუალური მდგომარეობები – ეჭვის, ძიების, დარწმუნება-დაურწმუნებლობის და სხვა განცდები. თავად ინტელექტუალური ოპერაციები კი, როგორც წესი, არ ცნობიერდება. თანამედროვე მონაცემები ადასტურებს, რომ სააზროვნო ამოცანების გადაწყვეტისას სათანადო ცოდნისა და გონებრივი წესების გამოყენება ძირითადად არაცნობიერად ხდება.

ამგვარად, შემეცნებითი ფსიქიკური ცხოვრების დიდი ნაწილი “კულისებს მიღმა” მიმდინარეობს და მიუწვდომელია ჩვენი დაკვირვებისთვის. როგორც ჩანს, ცნობიერებას თითქმის არა აქვს წარმოდგენა იმ პროცესებზე, რომლებიც ჩვენს აღქმას, მეხსიერებასა თუ აზროვნებას განსაზღვრავს. ადამიანები აღიქვამენ სტიმულებს, ამოაქვთ მეხსიერებიდან და იყენებენ ინფორმაციას, მსჯელობენ და გამოაქვთ დასკვნები – და ეს ყველაფერი მეტწილად ცნობიერების მონაწილეობის გარეშე ხდება, რასაც ამ პროცესების შემადგენელი მოქმედებებისა და ოპერაციების ავტომატიზებული განაპირობებს.

§ 4. არაცნობიერი ავტომატიზმები

არაცნობიერ ავტომატიზმებში ჩვეულებრივ ის აქტები იგულისხმება, რომლებიც “თავისთავად” მიმდინარეობენ, ცნობიერების მონაწილეობის გარეშე. როგორც ყოველგვარი მოქმედება თუ ოპერაცია, ისინი შეიძლება იყვნენ გონებრივი და პრაქტიკული (იხ. თავი IX). ავტომატურ პროცესთა ანალიზი მათ ორმაგ წარმომავლობას ადასტურებს: ზოგიერთი მათგანი არასდროს ცნობიერდებოდა, ზოგი კი არაცნობიერი გახდა ცნობიერების გავლის შემდეგ. პირველ შემთხვევაში საქმე გვაქვს პირველად ავტომატიზმებთან, რომელთაც ავტომატური მოქმედებები ეწოდება. მეორე შემთხვევაში – მეორად ავტომატიზმებთან, რომ-

ლებიც ავტომატიზებული მოქმედების ანუ ჩვევების სახით ვლინდება.

ავტომატურ მოქმედებათა ჯგუფში ერთიანდება თანდაყოლილი ან ისეთი აქტები, რომელთა ფორმირება ძალიან ადრეულ ასაკში ხდება, პირველი წელის განმავლობაში. ამგვარი ავტომატიზმებია, მაგალითად, თვალის ხამხამი, ასევე წოვის, გაცეცხისა და სხვა მსგავსი რეფლექსები. ეს ისეთი აქტებია, რომელთა ცნობიერი კონტროლი ან შეუძლებელია, ან უაღრესად გაძნელებული.

ავტომატიზებულ მოქმედებათა ანუ ჩვევათა ჯგუფი განსაკუთრებით მრავალფეროვანია. ჩვევის ფორმირების წყალობით ორმაგი ეფექტი მიიღწევა: პირველი – მოქმედების სწრაფად და მუსტად შესრულება; მეორე – ცნობიერების განტვირთვა, რომელიც უფრო რთული მოქმედებისკენ შეიძლება წარიმართოს. ამ პროცესს ყველა ადამიანის ცხოვრებაში ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს; სწორედ ის უღევს საფუძვლად ჩვენს გაწაფულობას, ცოდნასა თუ უნარებს.

განვიხილოთ რომელიმე მაგალითი, ვთქვათ ის, თუ როგორ ვსწავლობთ ფორტეპიანოზე დაკვრას. ყველაფერი იწყება ელემენტარული აქტების შეთვისებით. ჯერ საჭიროა სწორად დაჯდომის, ფეხებისა და ხელების სწორად მოთავსების, კლავიატურაზე თითების განლაგების დასწავლა. შემდეგ ცალკე მუშავდება თითების მოძრაობები, აკორდის აღება, სტოკატოს ან ლეგატოს შესრულება და ა.შ. ყველაფერი ეს მხოლოდ საფუძველია გამომხატველობითი დაკერის სწავლისათვის (იხ. თავი IX).

ამგვარად, ადამიანი ჩვევას იძენს, ოსტატება მარტივი მოძრაობებიდან რთულზე გადასვლის გზით, რასაც განაპირობებს უკვე დაუფლებულ მოქმედებათა გადატანა არაცნობიერ დონეებზე. როცა ცნობიერი კონტროლისაგან მოქმედების გათავისუფლების შესახებ ვლაპარაკობთ, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ეს აბსოლუტური გათავისუფლებაა და ადამიანმა საერთოდ არ იცის, რას აკეთებს. ცნობიერების ველს აქვს ფოკუსი, პერიფერია და საზღვარი, რომლის მიღმა იწყება არაცნობიერის სფერო. ცნობიერების ეს არაერთგვაროვანი სურათი მიესადაგება სწორედ რთული მოქმედების იერარქიულ სისტემას. ცნობიერების, ანუ ყურადღების ფოკუსში, მისი კონტროლის ქვეშ აღმოჩნდება სის-

ტემის ყველაზე მაღალი საფეხურები, ანუ მოქმედების ყველაზე გვიანდელი და რთული კომპონენტები.

უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედების სხვადასხვა კომპონენტების ცნობიერებასთან მიმართება არასტაბილურია. ცნობიერების ველში შინაარსები მუდმივად იცვლება: მასში მოქმედების აქტების იერარქიული სისტემის ხან ერთი, ხან მეორე ფენაა წარმოდგენილი. დასწავლილი კომპონენტების ვადანაცვლება ცნობიერების ფოკუსიდან მის პერიფერიაზე და პერიფერიიდან ცნობიერების სამღვრების მიღმა – არაცნობიერის სფეროში, ერთი მიმართულებით მოძრაობაა. საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრაობა კი ჩვევის ამა თუ იმ კომპონენტის ცნობიერებაში დაბრუნებას გულისხმობს. ჩვეულებრივ, ეს ხდება სირთულეთა წარმოშობისას, შეცდომების, დაღლილობის შემთხვევაში, ან ემოციური დაძაბულობის დროს.

ჩვევის კომპონენტების გაცნობიერების შესაძლებლობა ფრიად მნიშვნელოვანია; იგი უზრუნველყოფს ჩვევის გარკვეულ მოქნილობას, მისი სრულყოფისა და შეცვლის შესაძლებლობას. თუმცა აქ არსებობს შემღვდვებიც. ბევრი ოპერაციის გაცნობიერება უბრალოდ ვერ ხერხდება, როგორც ეს კოგნიტური არაცნობიერის ანალიზისას ენახეთ. ეს ეხება როგორც გონებრივ, ისე სენსომოტორულ მოქმედებებს. ყველას შეუმჩნეია, რომ ზოგიერთ ავტომატიზებულ მოქმედებაში ცნობიერების ჩარევისას მოქმედება უბრალოდ იშლება. და მაინც, სადაც ეს შესაძლებელია, ცნობიერების კონტროლი აუცილებელია. მართალია, ჩვენ უფრო ხშირად “ავტოპილოტით” დაფურინავთ, რაც მოსახერხებელიცა არის და ეფექტურიც. მაგრამ უამრავ შემთხვევაში, მოქმედების გონიერ მართვაზე გვიწევს გადასვლა. ავტომატიზმზე სრულმა მინდობამ ჩვევის ან ჩვეულების მსხვერპლად შეიძლება გვაქციოს.

საბოლოოდ, ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორია ქცევითი ამოცანა. ზოგიერთი ამოცანის ბუნება მოითხოვს ცნობიერი მოქმედებების წყებას. მათი გადაწყვეტისთვის აქტიური ცნობიერების რეჟიმი შეიძლება აუცილებელი იყოს. სხვა ამოცანები საჭიროებს მხოლოდ გარკვეულ რეგულირებას, რათა მოხდეს მოქმედებათა კორექტირება დასახული მიზნის შესაბამისად. მაგალითად, თუ ჩვენ მთლიანად მივენლობით ჩვეულებას, შეიძლება ისე მოხდეს, რომ დავიწყოთ ერთი და იმავე ანეკდო-

გის მოყოლა ყველგან, სადაც ამის შესაძლებლობა მოგვეცემა. ეს, სავარაუდოდ, იმას გამოწვევს, რომ ამ ანექლოგს რამდენჯერმე მოეუყვებით ერთსა და იმავე აუდიტორიას. ასეთი უხერხულობის თავიდან ასაცილებლად ჩვენ უნდა შევზღუდოთ მეხსიერებიდან ანექლოგების ამოგანის ავტომატური რეჟიმი და ყურადღება მივაქციოთ იმას, თუ ბოლოს სად და ვისთან მოვეყვით მოცემული ანექლოგი.

§ 5. არაცნობიერი დისპოზიციები

ყველა ფსიქიკურ პროცესს, ცნობიერი იქნება ის თუ არაცნობიერი, აქვს თავისი საფუძველი ანუ დისპოზიცია. დისპოზიცია არის ინდივიდის მზაობა, უნარო, მიდრეკილება გამოაფლინოს გარკვეული თავისებურების მქონე ფსიქიკური აქტივობა გემპერამენტი განსაზღვრავს ამა თუ იმ ადამიანისთვის დამახასიათებელი ემოციური სფეროს თავისებურებებს, ხასიათი ან პიროვნული თვისებები – ადამიანის ქცევის შინაარსს (იხ. თავი VIII); ინტელექტი – გონებრივ შესაძლებლობებს (იხ. თავი XIII). მთავარი აქ ისაა, რომ თავად დისპოზიცია, რომელიც განსაზღვრავს ცნობიერი ფსიქიკური პროცესის ხასიათს, ყოველთვის არაცნობიერია. ადამიანს შეიძლება რაციონალური წარმოდგენა ჰქონდეს თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობების ან სხვა უნარების შესახებ, გამომოს ისინი გესტებით და სხვა, მაგრამ საკუთრივ ინტელექტის ფსიქიკური ფაქტის სახით განცდა (როგორც ეს ხდება გრძნობების, წარმოდგენების ან მოთხოვნილებების შემთხვევაში), მას არ შეუძლია. ამით განსხვავდება ფსიქიკური პროცესი მის საფუძვლადმდებარე დისპოზიციისაგან. პირველი შეიძლება მიმდინარეობდეს ცნობიერად ან არაცნობიერად (მაგ, მოგივატიური ან კოგნიტური პროცესები), მეორე კი ყოველთვის არაცნობიერია.

ის, რომ აღნიშნული დისპოზიციები ცნობიერების მიღმაა, ეჭვს არ იწვევს. სხვა საკითხია, მიეკუთვნება თუ არა ისინი ფსიქიკის სფეროს. ის, რაც ცნობიერება არ არის, არამედ მისი საფუძველია, შეიძლება ფიზიოლოგიურიც იყოს. მაგრამ ფიზიოლოგიის არსებობის ფაქტი სულაც არ გამორიცხავს ფსიქიკური დისპოზიციების არსებობას. ისეთი დისპოზიციები, როგორცაა ხასიათი, პიროვნული თვისებები და სხვა, არ დაიყვანება მხოლოდ

ფიზიოლოგიაზე. ისინი ფსიქიკური მოვლენებია და ფსიქოლოგის მიერ შეისწავლება. ეჭვი მათი ფსიქიკურობის შესახებ იმათ უჩნდებათ, ვინც ფსიქიკისა და ცნობიერების ცნებებს აიგივებს, ცნობიერების გარეშე ფსიქიკის არსებობას არ სცნობს და არააცნობიერის სამკვიდროს ფიზიოლოგიური პროცესებით შემოფარგლავს. ერთ დროს ასეთ თვალსაზრისს საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავდა, მაგრამ ფსიქოლოგიის განვითარების კვალდაკვალ იგი სულ უფრო არაპოპულარული ხდება, ვინაიდან ამჟამად ეწინააღმდეგება ფაქტებს. გემოთ განსილული მოვლენების გარდა, რომელთა სრულყოფილი დახასიათება და ახსნა არააცნობიერი ფსიქიკური რეალობის დაშვების გარეშე შეუძლებელია, საჭიროა ითქვას ცხოველების ფსიქიკის შესახებაც. იგულისხმება, რომ ცხოველებს არა აქვთ ცოდნა თავიანთი განცდების არსებობის შესახებ, ცნობიერება, როგორც საკუთარი განცდების ხედვის აქტი, ანუ ის, რასაც “რეფლექსია” ეწოდება (იხ. თავი V). მაგრამ ძნელია იმის მტკიცება, რომ მათ თვით განცდებიც არ გააჩნიათ. უკიდურესი მექანიციზმი, რომელიც ამას ამტკიცებდა და ცხოველს მანქანასთან აიგივებდა, წარსულს ჩაბარდა. დღეს ნაკლებად შეხედებით მეცნიერს, ვინც დაეთანხმება მალბრანსს, რომელიც ამბობდა, რომ შეიძლება არსებობდეს ვაწამოთ ძალდი და ყურადღება არ მივაქციოთ მის წკმუტუნს, რადგან ეს მხოლოდ ცუდად დაბეჭდილი მექანიზმის ჭრიალიაო. არ არსებობს სერიოზული საფუძველი იმაში ეჭვის შესაგანადად, რომ ცხოველებს აქვთ აღქმის ხატები, წარმოდგენები, გრძნობები, მოთხოვნები, მოკლედ, საკმაოდ მრავალფეროვანი განცდები.

ამგვარად, უამრავი ცოცხალი არსების ფსიქიკა არააცნობიერი იმ გაგებით, რომ მათ აქვთ განცდა და არა აქვთ ცნობიერება. ეს, ასე ვთქვათ, განცდადი არააცნობიერია. ადამიანების ფსიქიკური ცხოვრების დიდი ნაწილიც ასეთ არააცნობიერ ღონებზე მიმდინარეობს. იმპულსური ქცევა, რომელიც დაუბრკოლებლად ხორციელდება და არ საჭიროებს ცნობიერ მართვას, კონგროლს და კორექციას, სწორედ ამგვარი არააცნობიერი აქტივობაა. ამავე დროს, უნდა ვილაპარაკოთ არააცნობიერის სხვა ფორმებზეც. როგორც გემოთ ვნახეთ, არსებობს ისეთი მოგივაციური, კოგნიტური თუ სხვა სახის მოვლენები და მექანიზმები, რომლებიც სუბიექტის მიერ არ განიცდება, მაგრამ დრო და დრო განცდად სა-

ხეს იღებენ და, საჭიროებისამებრ, შემოდიან ცნობიერების სფეროში. ასეთ არააცნობიერს ქვეცნობიერი ან წინაცნობიერი შეიძლება ეწოდოს. და ბოლოს, დისპოზიციების სახით, საქმე გვაქვს ისეთ არააცნობიერ ფსიქიკასთან, რომლის განცდა შეუძლებელია და, მამასადამე, იგი ვერც ცნობიერდება. მას, პირობითად, შეიძლება სიღრმივი არააცნობიერი დავარქვათ.

თავის ღრობე ფროიდმა ადამიანის ფსიქიკა აისბერგს შეადარა, რომლის ცხრა მეათედი არააცნობიერ ზღვაშია ჩაძირული. არააცნობიერში ფროიდი განდევნილ სურვილებს, ლტოლვებს და გრძნობებს გულისხმობდა. როგორც ვხედავთ, ამ არააცნობიერი სფეროს შემადგენლობა ბევრად უფრო მრავალფეროვანია. და მაინც, არააცნობიერი სინამდვილის შესახებ საყოველთაოდ გაზიარებული აზრი მეცნიერებას ჯერ არ მოეპოვება. ეს, პირველ ყოვლისა, იმით არის გამოწვეული, რომ არააცნობიერზე უშუალო დაკვირვება შეუძლებელია. მის არსებობასა და რაგვარობაზე მხოლოდ ვარაუდების გამოთქმა შეგვიძლია იმ ფაქტობრივ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლებიც, თავისთავად, არააცნობიერს არ წარმოადგენენ. ამ თავში ზოგიერთი ასეთი ფაქტი იქნა აღწერილი.

სწორედ ამ ყოველივეს გამო აქვს უდიდესი მნიშვნელობა დიმიტრი უზნაძისეულ განწყობის თეორიას – იგი გვიჩვენებს არააცნობიერისა და ცნობიერების ურთიერთქმედების კონკრეტულ კანონზომიერებებს. განწყობა არის ინდივიდის ძალების თავისებური განლაგება-მოგებვა-მზადყოფნა, რომელიც მოთხოვნილებისა და სიგუაციის შესაბამისად ყალიბდება. განწყობა წარმართავს ინდივიდის გარე აქტივობას (ქცევას) და შიგა აქტივობასაც (განცდების მდინარებას), თვითონ კი არაგანცდადია, მით უმეტეს არააცნობიერიც. განწყობა ცნობიერების მონაწილეობის გარეშეც უმრუნველყოფს ქცევის მიზანშეწონილ მიმდინარეობას. ყოველგვარი დისპოზიკია, მიღრეკილება, ჩვევა – არსებითად, სხვადასხვა სახის მყარი ფიქსირებული განწყობაა.

თავი VIII. პიროვნების ფსიქოლოგია

§ 1. პიროვნების ბანსაზღვრება

გერმინი პიროვნება (“personality”) ინგლისურ ენაში ლათინური სიტყვიდან (“persona”) შევიდა. ეს გერმინი თავდაპირველად თეატრალურ ნიღაბს აღნიშნავდა, რომელსაც ძველ საბერძნეთში მსახიობები ირგებდნენ და ქმნიდნენ კომიკურ თუ გრაგიკულ სახეებს აქედან გამომდინარე, აღნიშნულ გერმინში იგულისხმებოდა ადამიანის გარეგნული, ზედაპირული სოციალური სახე.

დღესაც ძალიან ხშირად ხდება პიროვნების გაიგივება ადამიანის ისეთ თვისებებთან, როგორცაა მომხიბლველობა, მორიდებულობა, პოპულარობა... ხშირად გაიგივებთ გამოთქმებს ამა თუ იმ ადამიანზე: „სასიამოვნო პიროვნებაა“, „მორიდებული პიროვნებაა“, „არაჩვეულებრივი პიროვნებაა“, ამ დროს იგულისხმება, რომ, მაგალითად, მორიდებულობა კონკრეტული ადამიანის ის ძირითადი დამახასიათებელი თვისებაა, რომელსაც იგი ავლენს სხვა ადამიანებთან ურთიერთობისას, მაგრამ არ არის გათვალისწინებული, რომ ამ კონკრეტულ თვისებას ეს ადამიანი ავლენს მოცემულ სიტუაციაში.

პიროვნების შესწავლისას ფსიქოლოგთა უმეტესობა მიზნად არ ისახავს ადამიანის ხასიათისა ან მისი სოციალური უნარების შეფასებას, ფსიქოლოგები არ ახასიათებენ პიროვნებას მისი შეფასების გზით. არ ყოფნენ ადამიანებს კარგ და ცუდ პიროვნებებად.

პიროვნება, გარკვეულწილად, აბსტრაქტული ცნებაა, რომელიც აერთიანებს ადამიანისთვის დამახასიათებელ ბევრ ასპექტს: ემოციას, მოტივაციას, ამროვნებას, განცდებს, აღქმას, ქცევას; ამასთანავე, პიროვნება არ დაიყვანება ინდივიდის ფუნქციონირების რომელიმე ერთ ასპექტზე. პიროვნების ცნების მნიშვნელობა მრავალმხრივია და მოიცავს შინაგანი ფსიქიკური პროცესების ფართო სპექტრს, რომელიც, თავის მხრივ, განაპირობებს ადამიანის ქცევას კონკრეტულ სიტუაციაში.

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება თანამედროვე ფსიქოლოგიის ერთ-ერთი ძირითადი კატეგორიაა, არ არსებობს მისი საყოველთაოდ მიღებული განსაზღვრება. ცნობილმა ამერიკელმა ფსიქოლოგმა გორდონ ოლპორტმა თავი მოუყარა ორმოცდა-

ათამდე განსაზღვრებას და სცადა დაეჯგუფებინა ისინი მათი დამოკიდებულებების მიხედვით ფილოსოფიურ, იურიდიულ, თეოლოგიურ, სოციოლოგიურ მნიშვნელობებთან. ამრიგად, პიროვნების ცნება მიეკუთვნება არა მხოლოდ ფსიქოლოგიურ მეცნიერებას, არამედ ყველა ჩამოთვლილ მეცნიერებასაც. ოლპორგი მიიჩნევდა, რომ არსებული განსაზღვრებები შეიძლება გამოისატოს შემდეგი ფრაზით: „ადამიანი ობიექტური რეალობაა“. მოცემული განსაზღვრება რამდენადაც ყოვლისმომცველია, იმდენადვე არაზუსტია. აღიარა რა ეს, ოლპორგმა ჩამოაყალიბა პიროვნების შემდეგი განსაზღვრება: პიროვნება არის ინდივიდში იმ ფსიქიკური სისტემების დინამიკური ორგანიზაცია, რომლებიც განსაზღვრავენ მისთვის დამახასიათებელ ქცევასა და ამროვნებას. გამონათქვამში „დინამიკური ორგანიზაცია“ იგულისხმება ის, რომ პიროვნება მუდმივად იცვლება – განიცდის ევოლუციას; „ფსიქოფიზიკურ სისტემაზე“ მითითება გულისხმობს, რომ პიროვნების აღწერისას საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც ფსიქიკის, ისე სხეულებრივი ელემენტები, გერმინით „ორგანიზაცია“ ხაზგასმულია სხეულებრივი და ფსიქიკური საწყისების ერთიანობა და მოწესრიგება, ხოლო “მისთვის დამახასიათებელი ქცევისა და ამროვნების” მითითებით ის, რომ ყველა პიროვნება განუმეორებელია და მისი თავისებურებები ყოველგვარი სახის აქტივობას განსაზღვრავს.

არსებობს სხვა გრადიციაც პიროვნების განსაზღვრებისა – მოსაზღვრე ცნებებთან მისი შეპირისპირების გზით. ასეთებს მიეკუთვნება ცნებები – „ინდივიდი“ და „ინდივიდუალობა“. ინდივიდი ბიოლოგიური ერთეულია, ადამიანის გვარის (*homo sapiens*) წარმომადგენელი ინდივიდად ითვლება ახალშობილი და მოზრდილი, მოაზროვნე და იდიოტი, ველური და ცივილიზებული ადამიანი. ადამიანი იბადება, როგორც ინდივიდი და თანდათანობით იძენს თავისებურ სოციალურ თვისებას, იგი იქცევა პიროვნებად მას შემდეგ, რაც ჩაებმება ურთიერთობათა სისტემაში. ინდივიდუალობა კი ნიშნავს პიროვნების განუმეორებლობას, მის უნიკალურობას. ოლპორგი ყოველ პიროვნებას უნიკალურად თვლის, ამიგომ მისთვის არ დგება ინდივიდუალობის ცნების ცალკე განხილვის აუცილებლობა. პიროვნების ამ ცნებაში იგულისხმება ადამიანის ის ზოგადი ნიშნები, რომლებიც განასხვავებენ მას ცხოველისაგან,

განსაზღვრავენ მის ქცევას. პიროვნება გულისხმობს ადამიანის ადგილს სოციალურ ვარემოში, საზოგადოებაში, მისი სოციალური როლების ერთობლიობას. ადამიანს სხედასხვა სიგუაშია სხვადასხვა როლის შესრულება უსდება: მშობლის, შვილის, მეგობრის, მეუღლის, სტუდენტის, ლექტორის, მემობლის და ა.შ. თითოეული როლი ადამიანისაგან მოითხოვს განსხვავებული მოვალეობის შესრულებას, რომელიც მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამ როლების ვაგებაზე მოცემულ კულტურაში.

პიროვნების ცნების, მისი სტრუქტურისა და განვითარების განმსაზღვრელი ფაქტორების ვაგების მიხედვით ასხვავებენ რამდენიმე მიდგომას:

ფსიქოანალიზური, რომლის ფუძემდებელი ზიგმუნდ ფროიდი. ამ თეორიის მიხედვით, პიროვნება წარმოადგენს ბრძოლის ველს, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება არააქნობიერი ინსტინქტური ლტოლვები და მათი შემაკავებელი სოციალური წარმოშობის შინაგანი ბარიერები. ფროიდის მიხედვით, პიროვნება არის ამ ძირეულ კონფლიქტში მონაწილე სამი ქვესისტემის ერთობლიობა: იდი (“ზიგ”), ეგო (“მე”) და სუპერ-ეგო (“მე-მე”).

“იდი” არის ბიოლოგიური ინსტინქტური ლტოლვებისა და ირაციონალური ძალების ადგილსამყოფელი იდი ყოველთვის არააქნობიერია და ერთადერთი პრინციპით ხელმძღვანელობს – სიამოვნების პრინციპით. იდი არის მომთხოვნი, იმპულსური, ირაციონალური, ასოციალური, ეგოისტური და უადრესად პედონისტური.

იდი ფსიქიკური ენერჯის ერთადერთი წყაროა. პიროვნების ყველა სტრუქტურა, ასე თუ ისე, მისი ენერჯით საზრდობს და მას უკავშირდება. ეს, პირველ რიგში, ეხება ეგოს. ეგოს ფუნქციაა იდის სურვილების დაკმაყოფილება რეალობის ვათვალისწინებით და რეალობასთან მიმართებაში. ეგო რეალობის პრინციპით ხელმძღვანელობს. ამის შესაბამისად, ეგო, საჭიროებისამებრ, აბრკოლებს ან არეგულირებს იდის ენერჯის ვანგვირთვას მიზანშეწონილი ქცევის სახით. ამისთვის იყენებს პიროვნების მოგორულ და პერსექტურ-კოგნიტურ ფუნქციებს. ეგოს ვარემუ, მხოლოდ სიამოვნების მიღებაზე მომართული იდი, რეალობასთან შეჯახებისას აუცილებლად ვანადგურდებოდა. პიროვნების ამ ორი სტრუქტურული ფენის ურთიერთმიმართებას ფროიდი ადარებს მხედრისა და ცხენის ურთიერთობას. მოძრაობის ენერჯია ცხენიდან მომდო-

ნარეობს (ილი), მხედრის ფუნქცია მისი მართვაა (ეგო). მაგრამ ზოგჯერ მათ ურთიერთობაში ნაკლებ პარმონიული სურათი იხატება – როცა მხედარი ცხენს ვერ ალაგმავს და იძულებული ხდება, იქით გააჰყენოს, საითაც ცხენი მიიწევს.

სუპერ-ეგო მორალის პრინციპებით ხელმძღვანელობს. ესაა ნორმების, წესების, აკრძალვების სისტემა, რომელიც გაშინაგებულია პიროვნების მიერ და მოქმედებს როგორც კრიტიკოსი, ცენზორი, მნობრივი მსაჯული. სუპერ-ეგოს ინტერესები ილის ინტერესების საწინააღმდეგოა. ორივე მათგანი ეგოს ურთიერთგამომრიცხავ მოთხოვნებს უყენებს და სჯის მას: ერთი მხრივ, დაუოკებელი სურვილების მძაფრი განცდით (ილი) და, მეორე მხრივ, სინდისის ქეჯნისა და არასრულფასოვნების მგკივნეული გრძნობით (სუპერ-ეგო). შედეგად ეგოში ვითარდება შფოთვის ძლიერ შემაწუხებელი მდგომარება. მის დასაძლევად ეგო მიმართავს ე.წ. დაცვით მექანიზმებს. ისინი არაცნობიერად მოქმედებენ და მიმართული არიან სინამდვილის უარყოფაზე ან დამახინჯებაზე. მთავარი დაცვითი მექანიზმია განდევნა (რეპრესია), რომელიც გულისხმობს მგკივნეული და სახიფათო აზრებისა და იმპულსების ცნობიერების ველიდან გაძევებას არაცნობიერში. არსებობს სხვა დამაგებითი მექანიზმებიც: პროექცია – თავისი არასასურველი აზრებისა და სურვილების სხვისთვის მიწერა, გადაბრალება; ჩანაცვლება – შეკავებული იმპულსების მიმართვა იმაზე უფრო მისაწვდომ ან ნაკლებ სახიფათო ობიექტზე, რომელმაც იგი აღძრა; უარყოფა – სახიფათო ან გრამვეული რეაქციის აღიარებაზე უარის თქმა, უგულებელყოფა; რეგრესია – ცხოვრების უფრო ადრეული, უსაფრთხო და სასიამოვნო ფორმებისკენ მიბრუნება; რაციონალიზაცია – წარუმატებელი ან მიუღებელი ქცევის გამართლება მოგონილი მოსაზრებებით, ანდა მისი სოციალურად მისაღები ინტერპრეტაცია; სუბლიმაცია – სექსუალური და აგრესიული მისწრაფებების “გადადუღება”, მათი გადაყვანა სხვა არხებში – რელიზაცია სოციალურად მისაღებ ან შემოქმედებით ქცევებში.

ფროიდის თანახმად, იღმი განთავსებული მოტივაციური ძალები, არსებითად, სექსუალური და აგრესიული მისწრაფებებისაგან შედგება. უპირატესი მნიშვნელობა მაინც პირველს ენიჭება. მას ლიბიდოს ენერჯია ეწოდება. იგი სხეულის სხვადასხვა, სიამოვნე-

ბებისადმი მგრძობიარე ნაწილებიდან მომდინარე ენერგეტიკული ნაკადულებიდან იღებს სათავეს და მძლავრ, ერთიან ენერგეტიკულ ნაკადად გადაიქცევა. სხეულის ამ ნაწილებს ფროიდი ეროგენულ ზონებს უწოდებს მათთან დაკავშირებული განცდები განსაზღვრავენ, აგრეთვე, პიროვნების ფორმირების დინამიკას და მის ხასიათს. პირველ (ორალურ) სტადიაზე (1,5 წლამდე) წამყვანია პირის ღრუსთან დაკავშირებული გრძობები; მეორე (ანალურ) სტადიაზე (1,5-3 წ.) – გამოყოფასთან, მესამე (ფალოსურ) სტადიაზე (3-6 წ.) – გენიტალიებთან. ამ სტადიის ბოლოს, ე.წ. ოიდიპოსის კომპლექსის დაძლევისა და მშობლების ღირებულებებთან იდენტიფიკაციის შედეგად ყალიბდება სუპერ-ეგო და გენდერული იდენტიფიკაცია, ანუ საკუთარი სქესის მყარი გაცნობიერება.

ფსიქოსექსუალური განვითარების პირველ ხუთ წელიწადს გადაიწყვეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ჩამოყალიბებაში. ხასიათი და ნევროზიც განიხილება, როგორც ამა თუ იმ სტადიისთვის დამახასიათებელი რეაქციების გადმონაშთი. ფროიდის აზრით, განვითარების ყოველი ახალი ეტაპი იწვევს ფრუსტრაციას (წინარე სურვილებისა და მოქმედებების ბლოკირება), რასაც შეიძლება ხანგრძლივი და სერიოზული შედეგები მოჰყვეს. ხდება ფიქსაცია რომელიმე სტადიაზე, რაც მისთვის დამახასიათებელი ქცევებისა და განცდების გაბატონებაში გამოისახება. მაგალითად, ორალურ სტადიაზე ფიქსაცია აჩენს ისეთ ჩვევებს, როგორცაა ფრჩხილების კენება ან მოწვევა, მიღრეკილებას ჭამისკენ, სმისკენ, ლაპარაკისკენ. ორალური ხასიათის ადამიანები სხვაზე დამოკიდებულნი, პასიური და მიმდობნი არიან, რაც იმ ნეგარი მდგომარეობის გამოხატულებაა, როცა ისინი დედის ძუძუს წოვდნენ. ანალური ხასიათის კონფლიქტი და ფიქსაცია დაკავშირებულია გუალეგთან ბავშვის მიჩვევის აუცილებლობასთან. შედეგად ყალიბდება სისუფთავისა და წესრიგის ზედმეტად მოყვარული, პედანტური, ჯიუტი და ძუნწი პიროვნება.

საზოგადოდ, ფსიქოანალიზის მიხედვით, პიროვნების ძირითადი სტრუქტურა აღრეულ ბავშვობაში ყალიბდება და უცვლელი რჩება ცხოვრების განმავლობაში. თვით ადამიანის ბუნება უკიდურესად შავბნელ ფერებშია დახატული – იგი ეგოისტური, უპირატესად სექსუალურ სიამოვნებაზე მიმართული, აგრესიული არსებაა. ამასთან ფსიქოანალიზი პიროვნების ბიოლოგიზაციას

ახდენს, მთავარ მნიშვნელობას ანიჭებს თანდაყოლილ ინსტინქტურ ძალებს და აკნინებს გარემოსა და გამოცდილების როლს.

ორი უკანასკნელი ფაქტორი წამყვანია პიროვნების ბიპვეიორისტული შეხედულებისთვის და მის საფუძველზე წარმოქმნილი თანამედროვე სოციალურ-კოგნიტური მიმართულებისთვის. ფროიდისაგან განსხვავებით, ბიპვეიორისტული მიმდინარეობის წარმომადგენლები საჭიროდ არ მიიჩნევენ ჩაულრმავდნენ ადამიანის ფსიქიკურ სტრუქტურასა თუ პროცესებს, რადგანაც, მათი აზრით, პიროვნება არის გამოცდილება, რომელიც დააგროვა ადამიანმა ცხოვრების განმავლობაში. ადამიანი დაისწავლის გარკვეულ სიტუაციაში გარკვეული რეაქციით (ქცევით) პასუხებს განმტკიცებისა (მოთხოვნილების დაკმაყოფილება) და დასჯის მექანიზმების მეშვეობით. ბიპვეიორისტებისთვის პიროვნებას ქმნის გარემო სიტუაციების შემოქმედება. ჯონ უოტსონი ამტკიცებდა, რომ ვისაც გნებავთ, იმას გამოზრდიდა ჩვილისაგან – ადვოკატს, მხატვარს, ქურდს... – მიუხედავად მისი მიდრეკილებებისა, ნიჭისა, წინაპრების საქმიანობისა თუ რასობრივი მიკუთვნებულობისა. ამ შეხედულებისთვის დამახასიათებელია შინაგანი ფსიქიკური და გენეტიკური ფაქტორების იგნორაცია და გარემოსეული ფაქტორის მნიშვნელობის აბსოლუტიზაცია.

ბიპვეიორიზმის მემკვიდრე, სოციალურ-კოგნიტური შეხედულება ადასტურებს, რომ პიროვნების ქცევაზე დიდად გემოქმედებს სოციალური გარემო, მისგან მიღებული წახალისება და დასჯა. თუმცა გამოცდილების შექმნა, გარკვეულ სოციალურ სიტუაციასთან დაკავშირებული ქცევის ფორმირება აუცილებლობით არ გულისხმობს ინდივიდის მიერ ამ მოქმედების შესრულებას და მის განმტკიცებას ადამიანს შეუძლია ისწავლოს სხვათა მოქმედების დაკვირვებითაც. ცხოვრება გვიჩვენებს, რომ გამოცდილების შექმნის ამ გზას ყოველ ნაბიჯზე მიემართავთ, რაც დახარჯული ძალებისა და დროის დიდ ეკონომიას იძლევა. რიგ შემთხვევაში სხვის შეცდომებზე სწავლა ბევრ სირთულესა და საფრთხეს გვარიდებს თავიდან. სხვა ინდივიდის (მოძელის) მოქმედებაზე დაკვირვებით ამ მოქმედების შეთვისების პროცესს მოძელირება ეწოდება. ეს პროცესი კარგადაა შესწავლილი. მაგალითად, ამ თეორიის ერთ-ერთი ძირითადი ავტორის, ალბერტ ბანდურას

ცნობილი ექსპერიმენტებით დასტურდება, რომ აგრესიული ქიქვის დაკვირება ზრდის დამკვირვებლის აგრესიულობას.

სოციალური ქცევის შეთვისება უპირატესად მოდელირების პროცესის მეშვეობით ხდება. მაგრამ იმისთვის, რომ მოქმედება პრაქტიკაში განხორციელდეს, მარტო მისი დასწავლა საკმარისი არ არის; აუცილებელია იმის რწმენაც, რომ დასწავლილი მოქმედება ეფექტურად იქნება გამოყენებული. ქცევის რეგულაციის ამ მომენტს თვითეფექტურობა ეწოდება. ეს არის ადამიანის ცნობიერი წარმოდგენა იმის შესახებ, რამდენად შეუძლია ეფექტურად იმოქმედოს კონკრეტულ სიტუაციაში. ემპირიულმა კვლევამ აჩვენა, რომ თვითეფექტურობა განსაზღვრავს ქცევის სახეობისა თუ სასიათის არჩევანს, მისი შესრულების წარმატებულობას და თანმდევ ემოციებს – სტრესი, შფოთვა, დარწმუნებულობა, სიამაყე და სხვა. თვითეფექტურობის მაღალი მაჩვენებელი განაპირობებს ადაპტირებულობისა და ცხოველქმედების მაღალ დონეს და, საბოლოოდ, ფსიქიკურ და ფიზიკურ ჯანმრთელობას.

ადამიანს შეიძლება ჰქონდეს მოქმედებისთვის საჭირო ჩვევები და თვითეფექტურობის მაღალი დონე, მაგრამ არ ჰქონდეს მისი შესრულების სურვილი ან აუცილებელი მაგერიალური თუ ფინანსური რესურსები. ერთ შემთხვევაში საქმე ეხება მოტივაციურ ფაქტორს, მეორეში – სიტუაციურს. საზოგადოდ, ა. ბანდურას მიაჩნია, რომ ქცევა, პიროვნება და გარემო ერთმანეთს განსაზღვრავს; ეს არის ე.წ. ურთიერთდეტერმინიზმის პრინციპი. ადამიანი. გარესინამდვილის გავლენას განიცდის, მაგრამ ამასთანავე, თვითონ ირჩევს ქცევის ხერხებს; ადამიანი ერთდროულად რეაგირებს სიტუაციაზე და თვითონვე ქმნის ამ სიტუაციას; ადამიანი ირჩევს სიტუაციებს და ასევე ყალიბდება მათი გავლენით; ადამიანი გავლენას ახდენს სხვა ადამიანების ქცევაზე და, ამასთანავე, სხვა პიროვნებათა გავლენით თავადაც ყალიბდება.

ამრიგად, ქცევა ცვლის გარემოსაც და პიროვნებასაც და, ამავე დროს, მათი მუდმივი გემოქმედებითაა განსაზღვრული. ეს უდავოდ მართებული ინტერაქციული თვალსაზრისია: ქცევა მართლაც გარეგანისა და შინაგანის ურთიერთქმედების შედეგია. მაგრამ პიროვნების ფსიქოლოგიის გადასახედიდან მთავარია, თუ რა შინაარსია ჩადებული გარემოსა და პიროვნების ცნებაში. სოციალური გარემოცვა, არსებითად, წახალისებისა და დასჯის მეშ-

ვეობით მოქმედებს. თუ ადამიანი კარგად იქცევა, ის სოციალურ მხარდაჭერას განიცდის და ქცევაც განმტკიცდება. ამაში ჩანს ამ თეორიის ბიპევიორისტული ძირები. ურთიერთდებურმინიზმი იმასაც ნიშნავს, რომ ქცევას განსაზღვრავენ შინაგანი (პიროვნული) ფაქტორები, რომლებიც ქცევის უკუგავლენას განიცდიან. პიროვნული ამ თეორიაში ნიშნავს კოგნიტურს (ამიგომაც ეწოდება სოციალურ-კოგნიტური). უ. მიშელი, ჯ. როგერი, ა. ბანდურა და სხვები ლაპარაკობენ იმაზე, თუ რა მონაწილეობას იღებს ქცევის რეგულაციაში რწმენა, აზრი, მოლოდინი, სტანდარტი, მიზანი, ღირებულება, გეგმა და ა.შ. ერთი სიგყვით, ინდივიდუალური კოგნიციები, რომლებითაც ადამიანი თვითონ ცნობიერად მართავს ქცევას ანუ ახორციელებს თვითრეგულაციას; ეს კოგნიციები, თავის მხრივ, ქცევაში ფორმირდება დასწავლის გზით. მოკლედ, პიროვნება, ძირითადად, კოგნიტური სტრუქტურებისა და მათ შორის არსებული კავშირების სისტემის სახით აღიწერება.

სოციალურ-კოგნიტური თეორია შეისწავლის ურთიერთმიმართებას გარემოს, ქცევასა და ცნობიერ კოგნიციებს (შემეცნების სფეროს) შორის. მაგრამ შეიძლება კი პიროვნების ცნების მთელი შინაარსის დაყვანა კოგნიტურ და ცნობიერ სტრუქტურებზე? პიროვნება არც მხოლოდ ცნობიერებაა და მით უფრო, არც მხოლოდ კოგნიცია. ბიპევიორიზმი ცნობიერებას და კოგნიციას მთლად უგულვებელყოფდა. ამიგომ მათზე ყურადღების გამახვილება სოციალურ-კოგნიტური თეორიის უთუოდ წინ გადადგმული ნაბიჯია, თუმცა არასაკმარისი. ეს თეორია ფსიქონალიზმსაც აკრიტიკებს იმის გამო, რომ მასში წარმოდგენილი არაცნობიერი პროცესები რეალურად არ არსებობს და ექსპერიმენტული კვლევით არ დასტურდება. მაგრამ განა შეიძლება ამის გამო არაცნობიერი სფეროს უარყოფა, რასაც ფაქტობრივად აკეთებს სოციალურ-კოგნიტურ თეორია? ცნობიერების მნიშვნელობის ხაზგასმა არ უნდა ხდებოდეს არაცნობიერის მნიშვნელობის უარყოფის ან შემცირების ხარჯზე. არაცნობიერი სფეროს გათვალისწინების გარეშე პიროვნების დახასიათება შეუძლებელია. იგივე ითქმის კოგნიციაზეც. შემეცნების გარეშე პიროვნება არ არსებობს, მაგრამ ის წარმოუდგენელია მოგივაციურ-ემოციური ასპექტის გარეშეც, რომელიც არ დაიყვანება კოგნიტურზე.

ეს შეხედულება გამსჭვალულია ძლიერი ოპტიმიზმით იმ მხრივ, რომ ინდივიდის ბუნებისა და ქცევის შეცვლა გარემოს ცვლილების გზითაა შესაძლებელი. გარემოს ფაქტორის მნიშვნელობის უეჭველობის მიუხედავად ხომ ფაქტია, რომ მდულარე წყალი კვერცხს ამაგრებს, ხოლო კარგოფილს არბილებს. ეს გარემოება მათი გენოტიპის განსხვავებულობითაა გაპირობებული. სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში კი გენეტიკური ფაქტორის როლი თუ უარყოფილი არაა, ძლიერ დაკნინებულია.

დიდი საფრთხის შემცველი გარემო ერთს გვირად აქცევს, ხოლო მეორეს – არამზადად. გავლენის ეს სხვადასხვაობა ინდივიდუალურ-პიროვნულ, მდგრად შინაგან თავისებურებებს უნდა მიეწეროს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-კოგნიტური თვალსაზრისი ლაპარაკობს შინაგან ფაქტორებზე (თუმცა მხოლოდ კოგნიტური მნიშვნელობით), იგი მაინც სიგუაციონიზმისკენაა გადახრილი.

თავის კლასიკურ ექსპერიმენტებზე დაყრდნობით ამ მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი უოლტერ მიშელი ამტკიცებდა, რომ ინდივიდები სხვადასხვა სიგუაციებში (სახელოსნო, სასადილო, საკლასო ოთახი, სათამაშო მოედანი და სხვა) მუდმივ ნიშან-თვისებებს (შეგნებულობა, აგრესიულობა, ექსტრავერსია და სხვა) არ ავლენენ, ანუ ერთ ვითარებაში გამოხატავენ აგრესიას ან ექსტრავერტულობას, მეორეში – არა. გამოითქვა მოსაზრება, რომ ქცევა უფრო მეტად განისაზღვრება სიგუაციის მახასიათებლებით, ვიდრე პიროვნული თვისებებით. ამან ბიძგი მისცა სიგუაციონიზმისა და დისპოზიციონიზმის დაპირისპირებას, რომელიც ახლაც არ არის ბოლომდე დაძლეული.

აქ მთავარია უკიდურესობებისაგან თავის დაღწევა. სიგუაცია ყოველთვის ახდენს გავლენას ადამიანის ქცევაზე, ხოლო მისი პრიორიტეტი პიროვნულ ფაქტორზე ზოგჯერ მართლაც თვალსაჩინოა. გარკვეულ სიგუაციაში ყველა ნორმალური ადამიანი ერთნაირად იქცევა. სასამართლოში ინდივიდის ქცევის წინასწარმეტყველებისთვის მის პიროვნულ თვისებებზე უფრო მნიშვნელოვანი ის არის, თუ რა როლს ასრულებს იგი (მოსამართლე, პროკურორი, ადვოკატი თუ ბრალდებული). არაბუნებრივია, რომ ადამიანის აგრესიულობა გამოვლინდეს რელიგიური ცერემონიის დროს, ხოლო კეთილმოსურნეობა – რაგბის თა-

მაშისას. სხვათა შორის, ყოველდღიური ცნობიერებისთვის სწორედ ესაა დამახასიათებელი – გადაჭარბებული დისპოზიციონიზმი და არასაკმარისად განვითარებული სიგუაციონიზმი. ამ მოვლენას ატრიბუციის ფუნდამენტური შეცდომა ეწოდება. ადამიანებისთვის საზოგადოდ დამახასიათებელია ქცევის მიზნების ახსნისას უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭონ შინაგან პიროვნულ თვისებებს, ვიდრე გარეგან სიგუაციურ ფაქტორებს.

მაგრამ, მეორე მხრივ, არც ის იქნება მართებული, სიგუაცია რომ ქცევის უმთავრეს განმსაზღვრელად ვაღიაროთ. ასეთ პოზიციას, არსებითად, პიროვნების ცნების უარყოფამდე მიყვავართ, რამდენადაც პიროვნება, თუ ის რეალობაა, მუდმივ მახასიათებლებს გულისხმობს, რომლებიც არ შეიძლება ქცევაში არ აისახებოდნენ. სიგუაციონისკების შეგვეის საპასუხოდ ჩაგარებულია კვლევებმა აჩვენეს, რომ პიროვნული ნიშან-თვისებები (მაგ., ემოციური სტაბილობა, დომინირებულობა, კომუნიკაბელობა და სხვა) ადამიანის ცხოვრების მანძილზე თითქმის არ იცვლებიან, ანუ დროში მდგრადობა ახასიათებთ.

მეგნაკლებად გაირკვა პიროვნების ნიშან-თვისებების სიგუაციური მდგრადობის საკითხიც. ცხადი გახდა, რომ იმაზე მსჯელობა, არის თუ არა ადამიანი პატიოსანი ან კეთილი, არ შეიძლება ერთჯერად სიგუაციაში გამოვლენილი ქცევის მიხედვით. ეს სიგუაცია შეიძლება არ აღმოჩნდეს რელევანტური მოცემული თვისების გამოსავლენად. საჭიროა ადამიანის მოქმედება მრავალფეროვან და მრავალრიცხოვან სიგუაციებში შემოწმდეს. თუ ეს გაკეთდება, აღმოჩნდება, რომ პიროვნული თვისებების და სათანადო ქცევების ცვალებადობა სიგუაციიდან სიგუაციაზე სულაც არ არის დიდი. მრავალი ექსპერიმენტის შედეგს თუ განვაზოგადებთ, შეიძლება ვთქვათ, რომ ადამიანის ქცევაზე ერთსაათიანი დაკვირვება საკმარისი არ არის იმის განსაზღვრისათვის, თუ როგორ იმოქმედებს იგი შემდგომი მეორე საათის განმავლობაში. მაგრამ, თუ დაკვირვება, ვთქვათ, ერთ კვირას გრძელდება, მაშინ საკმაოდ ზუსტად შეიძლება იმის განსაზღვრა, როგორ მოიქცევა იგი ნებისმიერი სხვა კვირის განმავლობაში. საბოლოოდ ირკვევა, რომ გესტებით გამოვლენილი პიროვნული ნიშან-თვისებების მიხედვით ქცევა პროგნოზირებადია, ოღონდ ამისთვის სიგუაციები ექვივალენტური, თანაფარდი უნდა იყოს.

მართლაც, სომ არ შეიძლება მოელოდე, რომ ადამიანი აბსოლუტურად განსხვავებულ სიგუაეობებში აბსოლუტურად ერთნაირად მოიქცევა. პიროვნების თვისებების შეთანხმებულობა, პრინციპში, დასტურდება, მაგრამ მეტი შეთანხმება აღინიშნება გარკვეული სიგუაეობის კატეგორიის შიგნით (მაგ., სახლი, სკოლა, სამუშაო, გართობა, დასვენება), ვიდრე მათ შორის.

სამოგადოდ, პიროვნების ნიშან-თვისებების ანუ დისპოზიციის თეორია პიროვნების შესწავლისას ეყრდნობა ორ ძირითად წანამძღვარს. პირველი ისაა, რომ ადამიანებს ახასიათებთ სხვადასხვა სიგუაეობაში გიპური ქცევა, რომელსაც განსაზღვრავს მათი ცენტრალური მიდრეკილებები – დისპოზიციები. მეორე – პიროვნების უნიკალურობაა. პანს აიზენკმა გამოყო 3 ძირითადი პიროვნული ფაქტორი: ინტროვერსია-ექსტრავერსია, ემოციური სტაბილუობა-ნევროტიზმი, ფსიქოტიზმი-ძლიერი სუპერ-ეგო. რაიმონდ კეტელი, მისგან განსხვავებით, ამტკიცებდა, რომ პიროვნების სტრუქტურას განსაზღვრავს სულ მცირე 16 ნიშანთვისება. ბოლო დროს დიდი პოპულარობა მოიპოვა ხუთფაქტორიანმა მოდელმა. გორდონ ოლპორტი, ფაქტობრივად, ნიშანთვისებათა განუსაზღვრელ რაოდენობაზე საუბრობდა.

თანამედროვე ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი მიმდინარეობა ჰუმანისტური ფსიქოლოგიაა. მისი შესასწავლი ძირითადი ობიექტი ადამიანია, როგორც უნიკალური ერთიანი სისტემა. ეს უკანასკნელი კი მოცემულია არა წინასწარ, მზა ფორმით, არამედ წარმოადგენს მხოლოდ ადამიანისთვის დამახასიათებელ თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. ჰუმანისტური მიდგომით, ადამიანს აქვს უწყვეტი განვითარებისა და თვითაქტუალიზაციის პოტენციალი, იგი თავისუფალია გარეგანი ლეგერმინანტებისაგან იმ ღირებულებების წყალობით, რომლითაც ხელმძღვანელობს ცხოვრებაში არჩევანის გაკეთების დროს. ჰუმანისტური მიდგომა ახლოს დგას ეგზისტენციალურ ფილოსოფიასთან, რომლის მთავარი პრინციპია ადამიანის მისწრაფება, იპოვოს თავისი არსებობის ჭეშმარიტი საზრისი. ჰუმანისტური ფსიქოლოგიის მიხედვით, პიროვნება მიმართულია მომავლისკენ, საკუთარი შესაძლებლობების რეალიზაციისკენ (ა. მასლოუ). ადამიანი მიისწრაფვის საკუთარი შესაძლებლობების შესახებ რწმენის ამალლებისკენ და “მე“-კონცეფციის ჰარმონიულობისკენ.

კარლ როჯერისის თანახმად “მე“-კონცეფცია არის თვითრეალიზაციის ძირეული მექანიზმი. ადამიანის მიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად გაწეული ძალისხმევის ფორმა თავსებადი უნდა იყოს “მე“-კონცეფციასთან. ეს უკანასკნელი შედგება “მე“-ს შეხედულებებისაგან თავისთავებზე (თვითშეფასება) და იმისაგან, თუ როგორი სურს მას რომ იყოს (იდეალური “მე“). ჯანმრთელი, მოწიფული და პარმონიული პიროვნების “მე“-კონცეფციაში ეს ელემენტები ურთიერთთავსებადაა გაერთიანებული. “მე“-კონცეფციის დამლის, დემინგეგრაციის საშიშროება მაშინ იქმნება, როდესაც ძალიან დიდია განსვლა თვითშეფასებასა და იდეალურ მე-ს შორის, თვითშეფასებასა და ადამიანის რეალურ ქცევით გამოცდილებას შორის. დემინგეგრაცია ვლინდება დაურწმუნებლობის, შიშის, შფოთვის და სხვა განცდებში. ეს განცდები თანდათან ძლიერდება და შემაწუხებელი ხდება. გამოსავალი “მე“-კონცეფციის გადახალისებაშია, მაგრამ პიროვნება, როგორ წესი, ცდილობს შეინარჩუნოს არსებული “მე“-კონცეფცია, რისთვისაც გარკვეულ დაკვირვებით მექანიზმებს მიმართავს. მათ შორის ყველაზე გავრცელებულია რეალობის აღქმის დამახინჯება და “მე“-კონცეფციისთვის საფრთხის შემცველი გამოცდილების უგულვებელყოფა.

§ 2. თანდაყოლილი და შექმნილი პიროვნებაში

ყოველი პიროვნება უნიკალურია. რა განაპირობებს მის თავისებურებებს, გენეტიკური თუ გარემოს ფაქტორები, ბუნება თუ აღზრდა? პიროვნების სხვადასხვა თეორიაში ერთ-ერთი მათგანია წინ წამოწეული. მაგალითად, ფსიქონალიზმი ქცევისა და პიროვნების დეტერმინაციაში გადამწყვეტ როლს ბიოლოგიურ-ინსტინქტურ საწყისს ანიჭებს, ბიპევირიზმი – გარემოსეულს. ამჟამად სულ უფრო იკრებს ძალას ე.წ. ორმხრივი, ინტერაქციული თეალსამრისი, რომლის მიხედვით ის, თუ როგორ იმოქმედებს ინდივიდი, განსაზღვრულია მისი პიროვნული მახასიათებლებისა და გარემოს ურთიერთქმედებით. თავის მხრივ, პიროვნების წყობა, მისი ინდივიდუალური თავისებურებები ყალიბდება მემკვიდრეობისა და გარეგანი გემოქმედებით შექმნილი მონაცემების საფუძველზე საბოლოოდ, პიროვნების ფორმირებისთვის აუცილებელია ორივე ფაქტორი, თუმცა პიროვნების სხვადასხვა

მახასიათებლების ჩამოყალიბებაში ამ ფაქტორების მონაწილეობის ხარისხი და ხასიათი სხვადასხვაა. გენეტიკურ ფაქტორებს, როგორც წესი, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს პიროვნების ისეთი მახასიათებლებისთვის, როგორცაა ინტელექტი და ტემპერამენტი, ხოლო გარემოცვას – ღირებულებების, იდეალებისა თუ მრწამსის ფორმირებისთვის.

გარემოცვა მიცავს როგორც ადამიანის უშუალო საკონტაქტო წრეს (ოჯახი, მეგობრები, კოლეგები და ა.შ.), ისე სოციალურ კლასს, რომელსაც მიეკუთვნება ინდივიდი თავისი როლებითა და სტატუსით, აგრეთვე კულტურა, ეთნოსი, რომელსაც მიეკუთვნება ადამიანი თავისი რიგუალებით, რწმენებით, ნორმებით ა.შ. სოციალური გარემოს ყველა ეს ფაქტორი პიროვნებაზე თავისებურად გემოქმედებს ასაკის, სქესის და სხვა პარამეტრის შესაბამისად. საერთოდ, პიროვნების ფსიქოლოგიის მთავარი პრობლემა იმის გარკვევაა, რა და როგორ მოქმედებს ამა თუ იმ პიროვნული თვისებისა და პიროვნების მთელი სტრუქტურის ჩამოყალიბებაზე. ეს ეხება როგორც შექმნილსა და გარემოსეულს, ისე თანდაყოლილსა და შინაგანს.

დიდი ხნის განმავლობაში ბევრი ფსიქოლოგი არ აღიარებდა, რომ პიროვნებას გენეტიკური საფუძველი აქვს. მაგრამ, თანდათან დაგროვდა დაკვირვების მასალა, რომელიც მიუთითებდა გენეტიკური ფაქტორის მნიშვნელობაზე, განსაკუთრებით პიროვნების ტემპერამენტის გამოვლინებებთან დაკავშირებით. მართლაც, ზოგიერთი ბავშვი უფრო აქტიურია და უშიშარი, ვიდრე სხვა. ამ თავისებურებას ინდივიდი მთელი სიცოცხლის განმავლობაში ინარჩუნებს: ადამიანების ერთი ნაწილი მუდამ მომართულია სამოძრაოდ და სამოქმედოდ, მეორე ნაწილს ურჩევნია წყნარად იკითხოს, ან სულაც ჩათვლიდეს; ერთნი გაბედულები და უშიშარნი არიან, სხვები – მორიდებულები და ფრთხილები. ის გარემოება, რომ აღნიშნული ინდივიდუალური თავისებურებები თავს იჩენს ადრეულ ასაკში, დიდი ხნის განმავლობაში ინახება და ნაკლებადაა დამოკიდებული დასწავლაზე, უფლებას გვაძლევს ვიფარაუდოთ, რომ ისინი მიეკუთვნება პიროვნების გენეტიკურად განსაზღვრულ, თანდაყოლილ მახასიათებლებს.

ასეთ ვარაუდს ადასტურებს ბუსტი გამოკვლევები, რომლებშიც იზომება ერთნაირ და განსხვავებულ გარემოში გაზრდილი

იღენტური (ერთკვერცხუჯრედიანი) გყუპების პიროვნული ნიშან-თვისებები. თუკი გენეტიკური ფაქტორი უპირატესს როლს ასრულებს, მაშინ სხვადასხვა გარემოში გაზრდილი იღენტური გყუპები ისევე უნდა ჰგავდნენ ერთმანეთს, როგორც ერთად გაზრდილები; და პირიქით, თუკი აღზრდას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მაშინ სხვადასხვა გარემოში გაზრდილი გყუპების პიროვნული თვისებები მნიშვნელოვნად უნდა განსხვავდებოდეს იმათგან, ვინც ერთ გარემოში გაიზარდა. მრავალრიცხოვანი კვლევები ცალსახად ადასტურებს ძალიან დიდ მსგავსებას იღენტურ გყუპებს შორის, მიუხედავად იმისა, სად აღიზარდნენ ისინი. ამასთან, ეს მსგავსება ეხება პიროვნული მახასიათებლების უაღრესად ფართო დიაპაზონს – დაწყებული რეაქციის დროიდან, დამთავრებული ადამიანის რელიგიურობით.

საღლეისოდ ეს ფაქტები ეჭვს აღარ იწვევს. მათზე დაყრდნობით პიროვნების ფსიქოლოგიის სპეციალისტებმა გამოთვალეს, რომ გენეტიკური ფაქტორის საერთო წელილი პიროვნულ ნიშან-თვისებებში სულ ცოცა 40%-ის გოლია. დაახლოებით ამდენივე მოდის გარემოს ზეგავლენაზე, დანარჩენი გამოშვის შეცდომებს მიეწერება. როგორც ვხედავთ, ორივე ფაქტორი მნიშვნელოვან როლს ასრულებს. თანამედროვე ფსიქოლოგია უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ საერთოდ არ შეიძლება ლაპარაკი გარემოს ფაქტორზე მემკვიდრეობის გარეშე და მემკვიდრეობაზე – გარემოს გარეშე. ეს ფაქტორები უბრალოდ კი არ ურთიერთშემოქმედებენ, არამედ თავიდანვე ერთმანეთს გულისხმობენ და განაპირობებენ. მაგალითად, მემკვიდრეობა არა მხოლოდ პირდაპირ განსაზღვრავს ზოგიერთ პიროვნულ თვისებას, იგი გარკვეულ გავლენას ახდენს იმაზეც, თუ რა გარემოში წარიმართება პიროვნების ფორმირების პროცესი. წყნარი, მოსიყვარულე ჩვილი მშობლებში საგრძნობლად განსხვავებულ რეაქციას იწვევს, ვიდრე ფიცხი ან გულჩათხრობილი. ასევე, ჩუმ და პასიურ ბავშვზე ოჯახი და სკოლა სრულიად განსხვავებულად რეაგირებს და, მამასადაბე, სხვადასხვაგვარ გარემოს უქმნის. უფრო მეტიც, აგრესიული ბავშვი თავიდანვე მიილტვის ამავგზნებელი გარემოსკენ. ამ აზრით, მართებულია გამონათქვამი, რომ ადამიანები თავად ქმნიან თავიანთ გარემოს.

ფსიქოლოგია არა მხოლოდ იმას შეისწავლის, თუ რა წვლილი შეაქვს გენეტიკურ და გარემოსეულ ფაქტორს ამა თუ იმ თვისების ჩამოყალიბებაში, არამედ ამუშავებს ამ ფაქტორების ურთიერთზემოქმედების მექანიზმის გააზრების თეორიულ მოდელებს; მაგალითად, შემოგანილია რეაქციის დიაპაზონის ცნება. მისი არსი ისაა, რომ მემკვიდრეობა ადგენს პიროვნული თვისების განვითარების დიაპაზონს, რომლის ფარგლებშიც თვისების ფორმირების კონკრეტულ თავისებურებას გარემო განსაზღვრავს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მემკვიდრეობა გვაჯილდოვებს უნარებით, რომელთაც სოციალური გარემოცვა და მთლიანად კულტურა ან ჩამოაყალიბებს და განამკვიცებს, ან დათრგუნავს და სულაც მოსპობს. მაგალითად, მემკვიდრეობა შემოსაზღვრავს ინდივიდის მუსიკალური ან მათემატიკური უნარების ფარგლებს, ხოლო გარემო, ამ ფარგლებში განაპირობებს ამ უნართა განვითარების კონკრეტულ დონესა და ფორმას. ზოგადი კანონზომიერება ასეთია: რაც უფრო ძლიერი და გამოკვეთილია თანდაყოლილი მიდრეკილება, მით უფრო ნაკლებმნიშვნელოვანია გარემოს ზეგავლენა მისი განვითარებისთვის. და პირიქითაც: თუკი ბავშვს არა აქვს არცერთი თანდაყოლილი ძლიერ გამოკვეთილი მიდრეკილება, მაშინ მის განვითარებაში გარემოს ზეგავლენა იქნება გადამწყვეტი და ის გარემოს შესაბამის ადამიანად ჩამოყალიბდება.

§ 3. პიროვნების სტრუქტურა

პიროვნების თეორიების უმრავლესობა გვთავაზობს სტრუქტურის თავისებურ კონსეფციას. ზოგი თეორიების მიხედვით პიროვნებას რთული იერარქიული სტრუქტურა აქვს. ამის მაგალითია ფროიდის მიერ შემოთავაზებული პიროვნების დაყოფა სამ დონედ: „იდი“, „ეგო“ და „სუპერ-ეგო“, რაც ზემოთ განვიხილეთ. ფსიქონალიზმის განვითარების მომდევნო ეტაპზე, ე.წ. ეგო-ფსიქოლოგიის ფარგლებში, განსაკუთრებით გამოიკვეთა “მე”-ს როლი. გარკვეული ამრით სწორედ ეგო (მე) იქნა გაიგივებული პიროვნებასთან; როგორც ვნახეთ, აქეთკენ არის მიმართული როჯერსის თეალსაზრისიც. მაგრამ თანამედროვე ფსიქოლოგთა დიდი ნაწილი პიროვნებას და “მე”-ს დიფერენცირებულად განიხილავს.

ასეთ დიფერენციაციას ვხვდებით უკვე ამერიკული ფსიქოლოგიის კლასიკოსის, უილიამ ჯეიმსის თეორიაში. ჯეიმსი ხაზს

უსვამდა თვითცნობიერების ორმხრივობას: ერთი მხრივ შემეცნებით სუბიექტს (მე) და მეორე მხრივ შესამეცნებელ ობიექტს. პირველს ის უწოდებდა „მე“-ს, მეორეს – „პიროვნებას“ ანუ ემპირიულ „მე“-ს.

პიროვნება – (ემპირიული „მე“) ფართო გაგებით შედგება ყველაფრისაგან, რასაც ადამიანი თავისად მიიჩნევს – ეს არის არა მხოლოდ ფიზიკური და სულიერი თვისებები, არამედ მისი ქონება, სახელი, ოჯახი, წინაპრები, მეგობრები, ავტორიტეტი და ა.შ. ეს ყველაფერი გარკვეულ გრძნობებს და ემოციებს აღძრავს. თუ ქცევა წარმატებით მიმდინარეობს, ადამიანს უჩნდება დადებითი გრძნობები. თუ ის მარცხდება – შეწუხებულია. ემპირიული „მე“ შეიძლება დაიყოს სამი ნიშნის მიხედვით, ესენია: შემადგენელი ნაწილები, ემოციები და მათ მიერ გამოწვეული ქცევები.

პიროვნების შემადგენელი ნაწილები, თავის მხრივ, შეიძლება დაიყოს სამ კლასად: ფიზიკური პიროვნება, სოციალური პიროვნება და სულიერი (გონითი) პიროვნება.

ფიზიკური პიროვნება. „ფიზიკური“ პიროვნების არსებითი ნაწილია; ასეთივე ნაწილია მისი სხეული, მისი განსაცმელი. ჩვენ იმდენად ვაიგივებთ ჩვენს „მე“-ს ჩვენს განსაცმელთან, რომ მოგჯერ კითხვაზე: „რა გირჩევნიათ, გქონდეთ: ლამაზი სხეული და ძონძები გეყვან, თუ უმნო იყოთ, მაგრამ ბრწყინვალე განსაცმელში გამოწყობილი“ – ვირჩევთ მეორეს. ფიზიკური პიროვნების ნაწილია მისი ოჯახი, მშობლები, ცოლშვილი, „კერა“, ქონება.

სოციალური პიროვნება. სხვა ადამიანთა მიერ ჩვენი, როგორც პიროვნების აღიარება, საზოგადოებრივ პიროვნებად გვაქცევს. ჩვენ არა მხოლოდ გვიყვარს საზოგადოებაში ყოფნა, არამედ გვაქვს თანდაყოლილი მიდრეკილება მივიპყროთ სხვების ყურადღება. ძნელია წარმოვიდგინოთ – წერს ჯემსი – უარესი დასჯა, ვიდრე იყო ისეთ საზოგადოებაში, სადაც არ გაქცევენ ყურადღებას, არ გაასუბობენ კითხვებზე, არ ინგერესდებიან შენი მოქმედებით, ისე გექცევიან, როგორც უსულო საგანს. ასეთ შემთხვევაში ან სასოწარკვეთილება გვეუფლება, ან ვცოფდებით. ფაქტობრივად ადამიანი იმდენი სოციალური პიროვნებისგან შედგება, რამდენი ადამიანიც აღიარებს მას პიროვნებად.

სულიერი პიროვნების ცნებაში ჯეიმსი გულისხმობდა ცნობიერების მდგომარეობების, ფსიქიკური უნარებისა და თავისებუ-

რებების ერთობლიობას, რომლის ბირთვსაც აქტივობის განცდა წარმოადგენს.

ემოციები, რომლებიც გამოწვეულია პიროვნების აღწერილი შემადგენელი ნაწილების განცლით, აღინიშნება „თვითშეფასების“ გერმინით. თვითშეფასება უშუალოდ დაკავშირებულია ადამიანის მიერ საკუთარი პიროვნული თვისებების შეფასებასთან და ასევე მათ შედარებასთან სხვა ადამიანების თვისებებთან. თვითშეფასება მიეკუთვნება პიროვნების სოციალურ ასპექტს და განსაზღვრავს პიროვნების სოციალურ ადაპტაციას, მის ქცევას. თვითშეფასება ყალიბდება სოციალიზაციის პროცესში; იგი დამოკიდებულია სხვათა შეფასებაზე. გედმეგად დაბალმა თვითშეფასებამ შეიძლება გამოიწვიოს არასრულფასოვნების კომპლექსი, ხოლო გედმეგად მაღალი თვითშეფასება იწვევს თვითკმაყოფილებას, ამბიციურობას. პიროვნების პოზიციის დასახასიათებლად საჭიროა ეიცოდეთ როგორც მისი თვითშეფასება, ისე მოსალოდნელი შეფასება (რას ფიქრობენ ჩვენზე სხვები). მოსალოდნელი შეფასება მეგ-ნაკლებად ახლოსაა ან შორს თვითშეფასებისაგან. ამაზე დიდადაა დამოკიდებული პიროვნების სოციალური ურთიერთობები და მისი თვითგრძნობა: როდესაც თვითშეფასება და მოსალოდნელი შეფასება ახლოსაა ერთმანეთთან, ადამიანი უფრო კომფორტულად გრძნობს თავს მოცემულ სოციალურ წრეში.

თვითშეფასება მჭიდროდაა დაკავშირებული პრეტენზიის დონესთან. პრეტენზიის დონე – პიროვნების თვითშეფასების სასურველი დონეა, რომელიც ვლინდება პიროვნების მიერ დასახული მიზნების სირთულეში. ჩვენი კმაყოფილება საკუთარი თავით და ცხოვრებით მთლიანად დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ ვაფასებთ ჩვენ შესაძლებლობებს და ჩვენს დანიშნულებას. იგი განისაზღვრება ჩვენი რეალური უნარის დამოკიდებულებით პოტენციურ უნართან. ჯეიმსი ამას მარტივი წილადით გამოხატავს:

წარმატება

თვითპატივისცემა = $\frac{\text{წარმატება}}{\text{პრეტენზიები}}$

პრეტენზიები

მრიცხველი, როგორც უხედავთ, გამოხატავს რეალურ წარმატებას, ხოლო მნიშვნელი – პრეტენზიას. მრიცხველის გადიდებით ან მნიშვნელის შემცირებით წილადი იზრდება. ეს კი ნიშნავს,

რომ პრეგენზიებზე უარის თქმა გვაძლევს ისეთივე სასურველ შემსუბუქებას, როგორც მათი განხორციელება რეალობაში. მაგალითად, აღწერილია შემთხვევა, როდესაც ადამიანს ომის დროს დაეკარგა მთელი ქონება და, შესაბამისად, გაუქრა პრეგენზიები მილიონერობაზე, ბედნიერად და თავისუფლად იგრძნო თავი.

პრეგენზიის ღონის ექსპერიმენტული მეთოდიკა ითვალისწინებს ადამიანის რეაგირებას წარმატება-წარუმატებლობაზე. როცა ადამიანს წარმატების შემთხვევაში აუმაღლდება პრეგენზიები, ხოლო მარცხის შემთხვევაში – დაუქვეითდება, მაშინ პრეგენზიის ღონე მეგ-ნაკლებად აღეკვატურია. მაგრამ ექსპერიმენტები ხშირად საპირისპიროს გვიჩვენებს: დამარცხებული ადამიანი ისახავს კიდევ უფრო რთულ მიზნებს, ხოლო წარმატებული, პირიქით, იქვეითებს თავის პრეგენზიებს, ცდილობს შეინარჩუნოს მოპოვებული წარმატება. აქედან გამომდინარე პიროვნების ორი გიპი გაირჩევა: წარმატებაზე ორიენტირებული და წარუმატებლობის არიდებაზე მიმართული.

თვითშეფასებისა და წარმატება-წარუმატებლობის ცნებებს უკავშირდება აგრეთვე ჯულიან როგერის მიერ მოლოდინების ორი ჯგუფის გამოყოფა – სპეციალური მოლოდინები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული და ე.წ. გენერალიზებული მოლოდინები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია პიროვნებათშორის განსხვავებებზე მსჯელობა. ამ უკანსკნელთ მიეკუთვნება როგერის მიერ აღმოჩენილი ე.წ. კონტროლის ლოკუსი, რომელიც გამოხატავს იმას, თუ სად ათავსებს პიროვნება თავისი წარმატება-წარუმატებლობის მიზეზს – გარეთ თუ შიგნით. ადამიანები ექსტერნალური ანუ გარე ლოკუსით ქცევის შედეგებს მათგან დამოუკიდებელ ძალებსა თუ ვითარებას მიაწერენ, ინტერნალური ანუ შიგა ლოკუსის მქონენი კი მოქმედების განმსაზღვრელად საკუთარ თავს მიიჩნევენ და მის შედეგებზე პასუხისმგებლობას თვითონ იღებენ. გამოკვლევებით აღმოჩნდა, რომ საკუთარ თავში დარწმუნებული ინტერნალები უფრო ადაპტირებული, აქტიური და ჯანმრთელები არიან, ვიდრე გარეშე ძალებსა თუ ბედს მინდობილი ექსტერნალები. კონტროლის ლოკუსი, ისევე როგორც ყოველგვარი მოლოდინი, ცხოვრებისეული გამოცდილების პროცესში ყალიბდება, ე.ი. სოციალური დასწავლის შედეგია.

მიუხედავად იმისა, რომ პიროვნება შეიცავს მრავალ ას-
პექტს, მრავალ მახასიათებელს, იგი მაინც მთლიანობაა. სუბიექ-
ტურად ამ მთლიანობას უზრუნველყოფს თავისებური განცდა,
რომელსაც „მე“-ს ცნობებებს ანუ თვითცნობიერებას უწოდებ-
ენ. იგი, უპირველეს ყოვლისა, ვლინდება საკუთარი თავის იგი-
ვეობის ანუ იდენტობის განცდაში წარსულში, აწმყოში, მომავ-
ალში. ნებისმიერ სიტუაციაში, შეცვლილ მდგომარეობაში „მე“
იმავე ადამიანის „მე“-დ რჩება. „მე“-ს განცდა პიროვნების ფორ-
მირების ხანგრძლივი პროცესის შედეგია, რომელიც იწყება ჯერ
საკუთარი სხეულის, საკუთარი სახელის გაცნობიერებით, პირვე-
ლი „მე თვითონ“-ით, „მე მინდა“ და „ჩემიათი“. მოზარდობის
ასაკში ყალიბდება ე.წ. „მე“-ს კონცეფცია, ანუ „მე“-ს ხაგი – შე-
დარებით მყარი, მეგ-ნაკლებად გაცნობიერებული წარმოდგენა
საკუთარ თავზე, რომლის საფუძველზეც იცემა ადამიანის ურთი-
ერთობა სხვა ადამიანებთან. „მე“-ს ხაგი არის განწყობა საკუ-
თარი თავის მიმართ და, როგორც ასეთს, ახასიათებს სამი კომ-
პონენტი: კოგნიტური – წარმოდგენა საკუთარ თავზე, გარეგნო-
ბაზე, მნიშვნელობაზე; ემოციური – თვითკრიტიკულობა ან
თვითკმაყოფილება; ქცევითი, რომელიც ვლინდება გარკვეულ
მისწრაფებებში (მაგ, დაიმსახუროს პატივისცემა ან, პირიქით,
დარჩეს შეუმჩნეველი).

პიროვნების ნიშან-თვისებები

თანამედროვე ფსიქოლოგიაში პიროვნების შესწავლისადმი
ყველაზე პოპულარული და პროდუქტიული მიდგომა პიროვნების
ინდივიდუალურ ნიშანთვისებათა გამოვლენაში მდგომარეობს.
ნიშანთვისებათა თეორია აღწერილი მიდგომაა, რომელიც ახა-
სიათებს ადამიანს გარკვეული რაოდენობის საბაზისო ნიშნების
საშუალებით. ერთ-ერთი ასეთი მცდელობაა პიროვნების კლასი-
ფიკაცია ენაში არსებული ეპითეტების ანალიზის საშუალებით
(ოლპორტი, კეტელი). ფაქტორული ანალიზის გზით კეტელმა მიი-
ღო 16 ფაქტორი, რომლებიც მან მიიჩნია პიროვნების პირველად
განზომილებებად. სხვა მკვლევარებმა პირველადი ფაქტორების
რაოდენობის შემცირება სცადეს. უორენ ნორმანის პოპულარულ
კვლევაში 5 საბაზისო ფაქტორი გამოიყო, რომლებსაც ხშირად

უწოდებენ დიდ ხუთეულს. ესენია: ნევროტიზმი, ექსტრავერსია, მეგნებულობა, თანხმობისადმი მზაობა და გამოცდილებისადმი ღიაობა. ეს, ცხადია, სუპერფაქტორებია, რომლებიც უფრო წერილ, კონკრეტულ ფაქტორებს აერთიანებენ. მაგალითად, გამოცდილებისადმი ღიაობაში შედის ისეთი ფაქტორები, როგორიცაა ცნობისმოყვარეობა, დაინტერესებულობა, შემოქმედებითობა, რეფლექსიურობა და სხვა. მეგნებულობაში — ორგანიზებულობა, პასუხისმგებლობა, დისციპლინირებულობა, სანდლობა, გულმოდგინება, პატივმოყვარეობა და სხვა. თანხმობისადმი მზაობაში — სიკეთე, სირბილე, თანამშრომლობა, თავმდაბლობა, მიმდობლობა, დიდსულოვნება, პირდაპირობა და სხვა. ნორმანის აზრით, პიროვნება შეიძლება დახასიათდეს ამ ხუთი ფაქტორის საშუალებით (ობიექტის ფიზიკური აღწერის ანალოგიურად, რაც სამ განზომილებაში ხდება). თუმცა ასეთი აღწერა არ გამოირიცხავს ადამიანთა უსასრულო მრავალფეროვნებას.

ხუთფაქტორიანი მოდელის ფარგლებში რამდენიმე ფსიქო-დიაგნოსტიკური ტესტია შექმნილი, რომლებიც ფართოდ გამოიყენება პრაქტიკაში, სახელდობრ, პროფესიის შერჩევისას, ფსიქოკონსულტაციაში.

ხუთფაქტორიანი მოდელის პარალელურად არსებობს პიროვნების აიზენკისეული სამგანზომილებიანი მოდელი: ექსტრავერსია-ინტროვერსია, ნევროტიზმი-ემოციური სტაბილურობა და ფსიქოტიზმი-ძლიერი სუპერ-ეგო. აიზენკი ამოდის მოსაზრებიდან პიროვნების ელემენტების იერარქიული წყობის შესახებ. მან გამოყო ქცევის ორგანიზაციის 4 დონე. პირველი დონეს წარმოადგენენ სპეციფიკური მოქმედებები, რომლებსაც შემთხვევითი ხასიათი აქვთ და არც გამოხატავენ პიროვნების თავისებურებებს. მეორე დონეზე საქმე გვაქვს ჩვევით მოქმედებებთან, რომლებიც რეგულარულად მეორდებიან. მესამე დონეს შეადგენენ პიროვნული თვისებები, ხოლო უმაღლესი, მეოთხე დონე მოიცავს გიპებს, ანუ სუპერფაქტორებს. ყოველი სუპერფაქტორი ბიპოლარულია:

ექსტრავერსია-ინტროვერსია. ექსტრავერსია ხასიათდება ისეთი პიროვნული თვისებებით, როგორიცაა აქტიურობა, კომუნიკაბელურობა, ექსპრესიულობა, თავდაჯერებულობა, უდარდელობა, ოპტიმიზმი და სხვა. მისი საპირისპირო გიპი კი ხასიათდება ისეთი თვისებებით, როგორიცაა პასიურობა, არაკომუნიკა-

ბელურობა, სიფრთხილე. მშვიდობისმოყვარეობა, მიდრეკილება თვითდაკვირვებისადმი და სხვა. ექსტრავერტები უფრო მეტად მონაწილეობენ სოციალურ მოვლენებში, მეტ მიდრეკილებას იჩენენ სარისკო სიტუაციებისადმი, ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი, სკოლაში და კოლეჯში მათი მოსწრება ჩამორჩება ინტროვერტებისას.

ნევროტიზმი-სტაბილობა. ადამიანები ნევროტიზმის მაღალი მაჩვენებლით ძალზე ძლიერად რეაგირებენ აგზნებაზე და ძნელად უბრუნდებიან ნორმალურ მდგომარეობას. მათ ახასიათებთ შფოთვის მაღალი დონე, დაძაბულობა, დაბალი თვითშეფასება და მიდრეკილება გარკვეული ორგანული და ფსიქოლოგიური პრობლემებისადმი.

ფსიქოტიზმი-ძლიერი სუპერ-ეგო. ადამიანი ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლით არის ეგოცენტრული, ცივი, აგრესიული, იმპულსური, ანგისოციალური და ეჭვიანი. ის, ვისაც ძლიერი სუპერ-ეგო ახასიათებს, ემპათიური ადამიანია, თანამშრომლობს სხვებთან, მზრუნველია და სოციალურად კარგად არის ადაპტირებული.

სხვადასხვა ფაქტორების გარკვეული კომბინაცია კორელაცი-აშია ისეთ მაჩვენებლებთან, როგორცაა მიდრეკილება სხვადასხვა ორგანული დაავადებისადმი, შემოქმედებითი უნარი, შთაგონებადობა და სხვა. გამოვლენილია, რომ კრიმინალურ და ანგისოციალურ ინდივიდებს, როგორც წესი, აღენიშნებათ ნევროტიზმის, ექსტრავერსიისა და ფსიქოტიზმის მაღალი მაჩვენებლები.

სპეციალური ტესტებით ირკვევა, რომ ხუთფაქტორიან და სამფაქტორიან მოდელში გამოყოფილი თვისებები კარგად კორელირებს ერთმანეთთან. დადასტურებულია აგრეთვე ამ თვისებების ძლიერი გენეტიკური განპირობებულობა.

ნიშან-თვისებების თეორიის მომხრეები კამათობენ საბაზისო ნიშნების რაოდენობაზე, მაგრამ თანხმდებიან ერთში: არსებობს ნიშნები (დისპოზიციები), რომლებიც სტაბილურია მოცემული ინდივიდისთვის და მის უნიკალურობას განაპირობებს. აქ შეიძლება გავიხსენოთ გ. ოლპორტის ზემოთ მოყვანილი განსაზღვრება, სადაც ყურადღება გამახვილებულია პიროვნებისთვის დამახასიათებელ ქცევაზე. ოლპორტის დისპოზიციური მიდგომის თანახმად, ორი სავსებით ერთნაირი პიროვნება არ არსებობს. თითოეული ადამიანი იქცევა საკუთარი, მტკიცედ განსაზღ-

ვრული მოდელების შესაბამისად და არა ისე, როგორც სხვები. ყოველივე ამის ახსნას ოლპორგი გეთავაზობს პიროვნული თვისებების განხილვის საფუძველზე. იგი პიროვნულ თვისებებს განსაზღვრავს, როგორც „ნეიროფსიქიკურ სტრუქტურას, რომელსაც შეუძლია მრავალი სტიმული ექვივალენტურად აქციოს; აგრეთვე აღძრას და წარმართოს ადაპტაციური და ექსპრესიული ქცევის საკმარისად მდგრადი ფორმები“. პიროვნული ნიშან-თვისება არის მიდრეკილება, მოიქცე ერთნაირად სიტუაციების ფართო დიაპაზონში. მაგალითად, თუ ვინმე თავისი არსით მხდალია, ის მუდმივად მიდრეკილი იქნება სიმყუდროვისკენ და თავშეკავებულობისკენ განსეულებულ სიტუაციებში – მეგობრებთან ურთიერთობისას, აუდიტორიაში ყოფნისას, სადილობის დროს, ნივთების ყიდვისას და ა.შ. ოლპორგის მიხედვით, პიროვნული ნიშან-თვისებები ადამიანის ქცევის სტაბილობას განაპირობებს. ოლპორგი პიროვნულ ნიშანთვისებათა სამ სახეს განასხვავებს: კარდინალურს, ცენტრალურს და მეორადს.

კარდინალური ნიშან-თვისება იმდენად განზოგადებულია, რომ თუ ის ადამიანში არსებობს, მის ყოველ ქცევას ასვამს დაღს. ესაა პიროვნების მთელი ცხოვრების ენება, რომელიც, ოლპორგის აზრით, ცოტას თუ გააჩნია. საილუსტრაციოდ ოლპორგი მიმართავს ისტორიული პირებისა და ლიტერატურული პერსონაჟების მაგალითებს, რომელთა სახელებიც საზოგადო სახელებად გადაიქცა: შოენინგში, ღონკიხოგობა, ღონეუანობა, სადიზმი, მამოხიზმი გარკვეული პიროვნებებისთვის დამახასიათებელი კარდინალური დისპოზიციების მაგალითებია.

მათგან განსხვავებით, ცენტრალური (პირადი) ნიშან-თვისებები ყველა პიროვნებას აქვს და ისინია ინდივიდუალურობის ძირითადი ღერძი. ოლპორგი აღნიშნავს, რომ იმ ცენტრალურ თვისებათა რაოდენობა, რომლითაც შეიძლება კონკრეტული პიროვნების დახასიათება, მცირეა და დაახლოებით 5-დან 10-მდე მერყეობს. მაგალითად: პუნქტუალურობა, ყურადღებიანობა, პასუხისმგებლობა და ა.შ.

მეორადი ნიშან-თვისებები – ეს თვისებები ნაკლებად შესამჩნევი, უფრო წერილმანი და, აქედან გამომდინარე, პიროვნების დასახასიათებლად ნაკლებად ინფორმატიულია. აქ ძირითადად იგულისხმება სიტუაციით გაპირობებული პიროვნული თვისებე-

ბი. მაგალითისათვის გამოდგება პიროვნება, რომელიც არასდროს გამოირჩევა მორჩილებით იმ სიგუატიის გარდა, როდესაც ვთქვათ, პოლიციელი აჩერებს სიჩქარის გადაჭარბების გამო. ოლპორტი აღნიშნავს, რომ ადამიანს ძალიან კარგად უნდა იცნობდეს იმისთვის, რომ შენიშნო მისი მეორადი თვისებები.

მეორე ავტორიტიტული პერსონოლოგის, კეტელის კონცეფციის ძირითადი არსიც, ოლპორტის მსგავსად, არის პიროვნებაში გამოვლენილი ნიშან-თვისებების ნაირსახეობის აღწერა და მათი კლასიფიკაცია. კეტელი, ისევე როგორც ოლპორტი, თვლის, რომ პიროვნული ნიშან-თვისებები იყოფა ზოგად და ინდივიდუალურ (უნიკალურ) თვისებებად. ზოგადი თვისებები ისეთი თვისებებია, რომლებიც, მეტ-ნაკლებად, ერთი კულტურის თითქმის ყველა ადამიანს ახასიათებს, მაგალითად თვითშეფასება, ინგელექტი, ინგრავერსია და ა.შ. ინდივიდუალური თვისებები კი მხოლოდ რამდენიმე ადამიანს ან ერთ კონკრეტულ პიროვნებას შეიძლება ჰქონდეს. ასეთი უნიკალური თვისებები უმეტესად ინტერესებში ვლინდება.

ხასიათი, გემპერამენტი

პიროვნების ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიურ თავისებურებათა შორის, პირველ რიგში, ხასიათი და გემპერამენტი განიხილება. თუ კლასიკურ ფსიქოლოგიაში გერმინი „ხასიათი“ და „გემპერამენტი“ უკავშირდება მიდრეკილების, დისპოზიციის ცნებას (ხშირად გამოიყენება როგორც პიროვნების სინონიმი), ოლპორტი გამიჯნავს მათ პიროვნების ცნებისაგან. ცნება ხასიათი გრადიციულად იწვევს ასოციაციას გარკვეულ მორალურ სტანდარტებთან, რომელთა შესაგყვისადაც ხდება პიროვნების ქცევის შეფასება. როდესაც ვინმეზე ამბობენ, რომ მას კარგი ხასიათი აქვს, ეს ნიშნავს, რომ მისი პიროვნული თვისებები სოციალურად და ეთიკურად სასურველია. ამ მსჯელობიდან გამომდინარეობს ცნობილი ფორმულა: „ხასიათი – შეფასებული პიროვნებაა, ხოლო პიროვნება – შეუფასებელი ხასიათია“.

გემპერამენტი განიხილება; როგორც პიროვნების პირველადი „საშენი“ მასალა, რომელიც განსაკუთრებით ვლინდება პიროვნების ემოციურ თავისებურებებში. გემპერამენტი აღწერს ფსი-

ქიკური პროცესების თანდაყოლილ დინამიკურ მხარეს. გრადიციულად, უკვე ჰიპოკრატეს დროიდან არჩევენ გემპერამენგის ოთხ ძირითად ტიპს: სანგვინიკურს, ქოლერიკულს, ფლეგმატიკურს და მელანქოლიკურს. ამ გეპოლოგიაში ნაგულისხმევი კონკრეტული ნიშნები ბოლო წლებში გამდიდრდა, მაგრამ ძირითადი შინაარსი უცვლელი დარჩა. სანგვინიკი – მოძრავი ადამიანია, დადებითი, მაგრამ მერელე ემოციების მქონე, ადვილად შეგუებადი და ავზნებადი; ქოლერიკი – ძლიერი ემოციების მქონე, აფექტური და სწრაფად გადასაცვლებადი, უფრო უარყოფითი ემოციებისკენ მიდრეკილი; ფლეგმატიკი – ნელი, ინერტული, ღრმა და სერიოზული, უფრო დადებითი ემოციების მქონე; მელანქოლიკი – სუსტი ნერვიული სისტემის მქონეა, მეგად მგრძნობიარე, უარყოფითი ემოციებისკენ მიდრეკილი (შფოთვა, წუხილი, უკმაყოფილება). ცხოვრებაში იშვიათად გვხვდება გემპერამენგის ასეთი წმინდა ტიპები, თუმცა ყოველთვის შეიძლება გაირჩეს წამყვანი მახასიათებლები. გემპერამენგი – ადამიანის თანდაყოლილი ინდივიდუალური თავისებურებაა. იგი ხშირად განსამღვრავს ადამიანის საქმიანობის ინდივიდუალურ სტილს და პროფესიულ შესაგყვისობას (მაგ, სპორტსმენის, მფრინავის, ოპერატორის საქმიანობას უფრო შესაგყვისება სანგვინიკისა და ქოლერიკის ტიპები, ვიდრე ფლეგმატიკის და ა.შ.).

ინტერესი, ღირებულება, ნიჭი

ინტერესი წარმოადგენს პიროვნების ცნობიერების მიმართულებას, რომელიც შეფერილია დადებითი ემოციით. სწორედ ამ გარემოების გამო ხშირად ინტერესს ემოციის სახედაც მიიჩნევენ და ხაზს უსვამენ ინტერესის შერჩევით, სელექციურ ფუნქციას – ადამიანს რადაც ერთი სფერო აინტერესებს, სხვა კი ნაკლებად. ინტერესების, ღირებულებების, განწყობების მიმართულება პიროვნების მნიშვნელოვანი ასპექტია და გავლენას ახდენს ადამიანის პროფესიაზე, მის დამოკიდებულებაზე სხვა ადამიანებთან, იმ სიამოვნებაზე, რომელსაც ის განიცდის სხვადასხვა საქმიანობიდან, თავისუფალ დროს და ა.შ.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში ხაზს უსვამენ ინტერესის კავშირს შემეცნებით სფეროსთან: ინტერესის ობიექტის გაცნობის,

დაკვირვების, მისი გაგების სურვილს, სწრაფვას მასზე ფიქრისაღმი, მასზე ყურადღების შენერებისაღმი; ინგერესი განიცდება ინგელექტუალური გრძნობის სახით. იგი ყურადღებისა და ყველა ინგელექტუალური ძალის თავისი ობიექტისკენ მიმართვის ძლიერი ფაქტორია. ინგერესი აამოქმედებს სათანადო მიმართულებით სუბიექტის ყურადღებას, აღქმას, შესხიერებას, აზროვნებას და ხშირად მთელი პიროვნების ძალების კონცენტრაციასაც იწვევს.

ინგერესი შეიძლება სხვადასხვა ღირებულებაზე იყოს მიმართული. ღირებულებათა თეორია, როგორც მოძღვრება პიროვნების ცხოვრების საზრისის შესახებ, XX საუკუნის პირველ მეოთხედში შეიქმნა ელუარდ შპრანგერის მიერ. მან გამოყო ღირებულებათა ექვსი ძირითადი ტიპი და ამის მიხედვით აავტო ადამიანთა ტიპოლოგია:

1) თეორიული ადამიანი ყველაზე მეტად დაინგერესებულია ჭეშმარიტების ვარკვევით. ასეთი ადამიანი ინგელექტუალურია; 2) ესთეტიკური ადამიანისთვის უმაღლესი და აქტუალური ღირებულება მშეენიერება, ხელოვნებაა; 3) ეკონომიკური ადამიანისთვის მთავარია ეკონომიკური ღირებულება, ნივთიერი კეთილდღეობაა; მისი მოქმედების მოტივები უმთავრესად ამ სფეროში პოულობს ძალას; 4) პოლიტიკური ადამიანისთვის ძალა უფლებაა უმაღლესი ღირებულება; იგი თავისი მოქმედებითა და მისწრაფებებით ბატონობაზეა ორიენტირებული; 5) სოციალური ადამიანისთვის ბატონობა კი არა, სხეების სამსახურია ის სფერო, რომელშიც იგი განსაკუთრებული ხალისით მოქმედებს; მას იმდენად მბრძანებლობა არ აინგერესებს, რამდენადაც სოლიდარობა და თანამშრომლობა; 6) რელიგიური ადამიანისთვის უმაღლესი ღირებულება, რომელიც აზრს და მიმართულებას აძლევს მთელ მის ქცევას, არის მთლიანობა, სამყარო, ღმერთი.

ოლპორტი თვლიდა, რომ ცხოვრების წესრიგი და საზრისი განისაზღვრება სწორედ ღირებულებებით და მიზნად დაისახა მათი გამოვლენა და გაბომვა. შედეგად შექმნილია „ღირებულებათა შესწავლის“ ოლპორტ-ვერნონის ტესტი. სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებზე ამ ტესტის ჩაგარებამ აჩვენა მნიშვნელოვანი განსხვავებები. მაგალითად, ბიზნესის შემსწავლელმა სტუდენტებმა დიდი ქულები ეკონომიკური ღირებულების მაჩვენებლებში მიიღეს;

მომავალმა დიზაინერებმა – ესთეტიკურ ღირებულებებში, თეოლოგიის შემსწავლელებმა – რელიგიურ ღირებულებებში.

პროფესიის არჩევა და შემდგომი პროფესიული წარმატება დამოკიდებულია ადამიანის ღირებულებებსა და ინტერესთა სიმტკიცეზე – მოტივირებაზე. მაგრამ მხოლოდ ინტერესი ვერ განსაზღვრავს პროფესიულ მიღწევას. ამის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ადამიანის უნარი, ნიჭი.

თუ ადამიანს სპეციფიკური მოქმედების ადვილი დაუფლებია და წარმატებით განხორციელების უნარი აქვს, ეს იმას ნიშნავს, რომ მას სათანადო ნიჭი ჰქონია. მათემატიკური ოპერაციები, მუსიკა, ხატვა, ფილოსოფიური აზროვნება თუ წარმოების მართვა ადამიანისაგან მოითხოვს სპეციფიკურ თვისებას – ნიჭს. ნიჭი არის რაიმე განსაკუთრებული მოქმედების განსაკუთრებით კარგად შესრულების ან სწავლის უნარი.

თვისებრივ განსხვავებათა გარდა, ნიჭს ხარისხობრივი განსხვავებაც ახასიათებს. ხარისხობრივი განსხვავება მრავალ საფეხურს გულისხმობს – ზოგი მცირე ნიჭის პაგრონია, ზოგი გალანგია, ე.ი. მაღალგანვითარებული ნიჭის პაგრონია. ეს დიდი ინტერინდივიდუალური სხვაობები არ ნიშნავს, რომ ნიჭი მხოლოდ თანდაყოლილი თვისებაა, მაგრამ არც ისაა სწორი, თითქოს ნიჭს იძენენ. ნიჭის შექმნა, თუ ადამიანს არ გააჩნია სათანადო ნასახი, შეუძლებელია. იმისთვის კი, რომ ნასახიდან განვითარდეს ნიჭი, აუცილებელია მისი გაეარჯიშება, სათანადო მიმართულებით მოქმედება, წინააღმდეგ შემთხვევაში თვითონ სუბიექტიც კი ვერ გაიგებს, რომ მას რაღაც ნიჭის ნასახი ჰქონდა (იხ. თავი XIII).

§ 4. პიროვნება და ჯანმრთელობა

გავრცელებული შეხედულებით, პიროვნული დისპოზიციები დაკავშირებულია ჯანმრთელობის მდგომარეობასთან. მართლაც, ჯანმრთელობა განიხილება არა მარტო როგორც ავადმყოფობის არარსებობა, არამედ როგორც ფიზიოლოგიური, ფსიქიკური, პიროვნული და სოციალური ფაქტორების გარკვეული კავშირი. ბიოფსიქოსოციალური მოდელი შედარებით ახალი მიდგომაა ფსიქოლოგიასა და მედიცინაში, თუმცა მისი საფუძვლები აღმოსავლურ კულტურაში უძველესი დროიდან არსებობს. მაგალითად, ძველი ჩინური მედიცინა აღიარებდა ემოციური

ჯანმრთელობის უმნიშვნელოვანეს როლს ავადმყოფობის ეტიოლოგიაში. დღეს უკვე აღარ დაეობენ იმაზე, რომ ფსიქოლოგიური ფაქტორები ხშირად ზრდის დაავადების აღმოცენების რისკს, ამწვაებებს უკვე არსებულ დაავადებებს და აძნელებს მათ მკურნალობას. პიროვნებასა და ავადმყოფობას შორის კავშირის შესახებ ძირითადად ორი მიდგომა არსებობს.

პირველი მიდგომის თანახმად, გარკვეული პიროვნული მახასიათებლების მქონე ადამიანები უფრო მიდრეკილნი არიან სპეციფიკური, ე.წ. ფსიქოსომატური დაავადებებისადმი, როგორცაა მაგალითად კუჭის და თორმეტიგოჯა ნაწლავის წყლულოვანი დაავადებები, ჰიპერტონია, ბრონქული ასთმა, თირეოტიკოზი, რევმატოიდული ართრიტი, წყლულოვანი კოლიტი და ნეიროდერმატიტი. დაავადების გამომწვევ ფსიქოლოგიურ ფაქტორად ამ შემთხვევებში უმთავრესად გვევლინება სტრესები, მათთან გამკლავების უუნარობა და შინაგანი კონფლიქტები სხვადასხვა მოტივაციურ გენდენციებს შორის (იხ. თავი X). აგრეთვე სინდისის ქეჯნა (ხშირად არაა ცნობიერი).

მეორე მიდგომის თანახმად, პიროვნული ფაქტორები მხოლოდ „აძლიერებს“ ან „ასუსტებს“ იმ ბიოლოგიურ ფაქტორებს, რომელიც უშუალოდ იწვევენ ავადმყოფობას. ასეთ პიროვნული ფაქტორებს შეიძლება მივაკუთვნოთ: თვითშეფასება, ნევროტიზმი, კონგროლის ლოკუსი და ა.შ. ზოგიერთი ავტორი მიიჩნევს, რომ შიგნით მიმართული კონგროლის ლოკუსი, როგორც წესი, ხელს უწყობს ადამიანის ჯანმრთელობის შენარჩუნებას. ასეთი პიროვნებები მეტ ინტერესს იჩენენ საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ და უკეთ აკონტროლებენ მას. კარგ ჯანმრთელობას უკავშირდება აგრეთვე ისეთი პიროვნული თვისება, როგორცაა კეთილსინდისიერება, რადგან ასეთი ადამიანები მუსტად იცავენ სპეციალისტების რჩევებსა და რეკომენდაციებს.

მკვლევართა ჯგუფი აიზენკის ხელმძღვანელობით ამტკიცებს, რომ არსებობენ ისეთი პიროვნული ტიპები, რომლებიც განწყობილნი არიან კიბოსა და გულის დაავადებებისადმი. მათ გამოყვეს ასეთი ადამიანების შესაბამისი პიროვნული მახასიათებლები:

1. პიროვნული ტიპი, რომელიც მიდრეკილია კიბოსადმი. ამ ტიპის ადამიანები განიცდიან სტიმულაციის ნაკლებობას და უმწურობას. ისწრაფვიან მათთვის ღირებული ადამიანის ან ობიექტი-

სადმი ემოციური სიახლოვისკენ. ასეთი სიახლოვის არარსებობის შემთხვევაში ისინი განიცდიან სასოწარკვეთილებას და ძლიერი სტრესის ქვეშ იმყოფებიან. ვარდა ამისა, ამ გიპის ადამიანებისთვის დამახასიათებელია ემოციების დათრგუნვა და ემოციური ექსპრესიულობის დაბალი დონე, ემოციების სუსტი გამოხატვა.

2. პიროვნული გიპი, რომელიც მიდრეკილია გულის დაავადებებისადმი. ასეთი ადამიანები გამოირჩევიან მაღალი ავზნებადობით. მათთვის ღირებული ემოციური ობიექტი განიხილება როგორც სტრესისა და უარყოფითი ემოციების წყარო. ამავე დროს, ისინი დამოკიდებულნი არიან ამ ობიექტზე და არ შეუძლიათ მისგან გათავისუფლება.

ჯანმრთელობაზე პიროვნული ფაქტორის გავლენის კლასიკური მაგალითია გულის იშემიურ დაავადებასა და ე.წ. პიროვნების A და B ტიპს შორის არსებული მიმართება. A ტიპს ახასიათებს აწეული აგრესიულობა, მეუპოვრობა, კონკურენტულობა, ბრამიანობა და მოუთმენლობა. B ტიპი არის წყნარი, ღინჯი, გულთბილი და მეგობრული. ზუსტად არის დადგენილი, რომ A ტიპის ადამიანებს აქვთ აშკარად გამოსატყული მიდრეკილება იშემიური დაავადებისადმი, მაშინ როდესაც B ტიპის პიროვნებები დაბალი რისკის ჯგუფს განეკუთვნებიან.

ადამიანი, რომელიც იყენებს ატრიბუციის (ანუ მიზეზის მიწერის) ნეგატიურ სტილს, წარუმატებლობის მიზეზად, როგორც წესი, მიიჩნევს რომელიმე საკუთარ პიროვნულ თვისებას, ხოლო ის, ვინც ატრიბუციის პოზიტიურ სტილს იყენებს, საკუთარ წარუმატებლობას განიხილავს, როგორც დროებით უკანდახევას, დათმობას იმის მიმართ, რისი კონკრეტული მას არ შეუძლია. ადამიანის რეაქციის სტილი მოვლენების ასხნის დროს განსაზღვრავს მის მოლოდინებს. ამიგომაც ატრიბუციის ნეგატიური სტილი დაკავშირებულია მარტოსულობის განცდასთან, დეპრესიასთან, დაბალ თვითშეფასებასთან და საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ პესიმისტურ დამოკიდებულებასთან.

რატომ არიან ოპტიმისტები უფრო ჯანმრთელები, ვიდრე პესიმისტები? მიზეზი შეიძლება ის იყოს, რომ ოპტიმისტები მიდრეკილნი არიან ისეთი ქცევისკენ, რომელიც ხელს უწყობს ჯანმრთელობის შენარჩუნებას. პესიმისტები და ოპტიმისტები სტრესულ სიტუაციასთან შეჯახებისას განსხვავებულ სტრატეგიებს

ირსყეყს. ოპტიმისტები ორიენტირებულები არიან პრობლემაზე და არა საკუთარ ემოციებზე, ე.ი. ოპტიმისტები, პესიმისტებისაგან განსხვავებით, სტრესული სიტუაციებიდან გამოსასვლელად აქტიურ მეთოდებს მიმართავენ. ვარდა ამისა, ოპტიმისტებს პესიმისტებისაგან განსხვავებული ჩვევები აქვთ. მაგალითად, ისინი უფრო მეტს ვარჯიშობენ ფიზიკურად და მკაცრად იცავენ ექიმის მიერ შეთავაზებულ რეჟიმს.

ჯანმრთელობაზე პოზიტიურად მოქმედებს ე.წ. კეთილდღეობის განცდა, რომლის კომპონენტებია: დამოუკიდებლობა, გარემოსთან ადეკვატური ურთიერთობა, პიროვნული ზრდა, პოზიტიური ურთიერთობები გარშემომყოფებთან, ცხოვრებისეული მიზნების არსებობა. კეთილდღეობის სუბიექტურ განცდასთან დაკავშირებული აღმოჩნდა აგრეთვე რამდენიმე პიროვნული ფაქტორი: დადებითი თვითშეფასება, შივნით მიმართული კონტროლის ლოკუსი და ექსტრავერსია. ამის საპირისპიროდ, კაპიგულანტური განწყობა და სასოწარკვეთილება ზრდის დაავადების აღმოცენების საშიშროებას. ეს ესება არა მხოლოდ ქრონიკულ, არამედ ვირუსულ დაავადებებსაც კი. ამაზე მეტყველებს საყოველთაოდ ცნობილი ფაქტები: მაგალითად, დამარცხებულ არმიებში ბევრად მეტია ღიზნტერიის შემთხვევები; საყოველთაო ეპიდემიების დროს ლაჩრები და უიმედოები უფრო სშირად ავადდებიან.

თანამედროვე კვლევები ადასტურებს ხუთფაქტორიან მოდელში წარმოდგენილი პიროვნული მახასიათებლების, განსაკუთრებით ექსტრავერსიისა და ნევროტიზმის მკაფიო კავშირს ჯანმრთელობასთან. ეს გამოკვლევები აქარწყლებს შეხედულებას ორგანულ დაავადებებში ბიოლოგიური ფაქტორის ერთადერთობის შესახებ, აგრეთვე, საინტერესო პერსპექტივებს სახავს დაავადებათა პროგნოზირებისა და პროფილაქტიკის კუთხით.

§ 5. პიროვნების შესწავლის მეთოდები

პიროვნების შესწავლა დიდ მეთოდოლოგიურ სიძნელებებთან არის დაკავშირებული, უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ პიროვნება მთლიანობაა, რომელიც არ დაიყვანება კომპონენტების, თვისებების ჯამზე. მაგრამ პრაქტიკული საჭიროების გამო მივმართავთ როგორც პიროვნების მთლიან შეფასებას, ისე პიროვნების ცალკეული თვისებების გამომეცხადებას. ამისთვის გამოიყენ-

ნება პიროვნების ტესტები. პიროვნების ტესტები იყოფიან თვითანგარიშისა და პროექციულ ტესტებად.

თვითანგარიშის ტესტებს მიეკუთვნება სხვადასხვა სახის კითხვარები. ცდისპირებს სთავაზობენ წერილობით უპასუხონ შეკითხვებს, რომლებიც ეხება მათი ხასიათის, ღირებულებების, განწყობების, გრძნობების, ინტერესებისა და უნარების თავისებურებებს. გერმინი „თვითანგარიში“ იმ მნიშვნელობით გამოიყენება, რომ თვითონ სუბიექტი, სხვადასხვა პასუხის გაცემის ან განსხვავებული მსჯელობებიდან ერთ-ერთის ამორჩევის გზით, პირადად გვაწვდის ინფორმაციას საკუთარ თავზე. ცდისპირებს ზოგჯერ სთხოვენ, გადმოსცენ ინფორმაცია იმაზე, თუ როგორ არიან ამჟამად ან როგორ იყვნენ წარსულში, ზოგიერთ მეთოდიკაში სთავაზობენ შეაფასონ საკუთარი ქცევა და ცხოვრების წესი ან თავიანთი ნიშანთვისებები. ყველა შემთხვევაში იგულისხმება, რომ ისინი შეეცდებიან, იყვნენ გულწრფელნი და ობიექტურნი. ამის შესამოწმებლად ბევრ ტესტს ახლავს სიცრუის სკალა. იგი მოიცავს გარკვეულ კითხვებს, რომლებზეც ცდისპირის გულწრფელობის შემთხვევაში ერთმნიშვნელოვანი პასუხები უნდა მივიღოთ. ამ ტიპის ტესტებში პასუხები სამოგადოდ განსაზღვრულია (მაგ., „კი“, „არა“, „ყოველთვის“, „სწორია“, „არასწორია“...).

თვითანგარიშის ტესტები განსხვავდებიან მათ მიერ გამოძიებული პიროვნული მახასიათებლების რაოდენობით. ერთი პიროვნული თვისების შეფასებისთვის გამოიყენებული ტესტები ერთგანზომილებიანად ითვლება. ისინი აფიქსირებენ სტაბილურ ინდივიდუალურ განსხვავებებს, რომლებიც პიროვნების ცალკეული თვისებების გამოსახულების ხარისხში აღინიშნება. არსებობს თვითანგარიშის ისეთი ტესტებიც, რომლებიც ზომავენ პიროვნების რამდენიმე მახასიათებელს. მრავალგანზომილებიანი ტესტების უპირატესობა ისაა, რომ ისინი პიროვნების შესახებ უფრო სრულ წარმოდგენას გვიქმნიან. ამჯერად პიროვნული ტესტის ყველაზე გავრცელებული ნიმუშია 567-კითხვიანი მინესოტას მრავალფაქტორიანი პიროვნული ტესტი (MMPI).

პროექციულ ტესტებში ცდისპირებს სთავაზობენ სურათებს, ამოცანებს ან სიგუაყიებს, რომლებიც თავისთავში მოიცავენ განუსაზღვრელობას ან ორაზროვნებას და სთხოვენ რაიმე ისტორიის მოყოლას, იმის ახსნას, თუ რა არის იქ გამოსახული, ან სიგუა-

ციიდან გამოსავლის პოვნას. იგულისხმება, რომ ამ შემთხვევაში ცლისპირი ავლენს საკუთარ სიღრმისეულ მახასიათებლებს: მოგივებს, მისწრაფებებს, განწყობებს, მოლოდინებს, ემოციებს და ა.შ. პროექციული მეთოდების თავისებურება მდგომარეობს მრავალფეროვან, თითქმის შეუზღუდავ პასუხთა შესაძლებლობაში. ივარაუდება, რომ სატესტო მასალა ასრულებს ეკრანის როლს, რომელზეც ხდება სუბიექტის პიროვნული მახასიათებლების პროექცირება, ასახვა. ცლისპირმა არაფერი იცის ამის შესახებ. მან მხოლოდ ის იცის, რომ არ არსებობს სწორი და არასწორი პასუხები და შეუძლია უპასუხოს ისე, როგორც მოესურვება. უნდა აღინიშნოს, რომ პასუხების ინტერპრეტაცია სპეციალისტისაგან მაღალ თეორიულ და პრაქტიკულ მომზადებას მოითხოვს.

ამ სახის ტესტებიდან ყველაზე პოპულარულია რორშარხის მელნის ლაქების მეთოდი და თემატური აპერცეფციის ტესტი (TAT). ეს უკანასკნელი შედგება 30 სურათისაგან, რომლებზეც გამოსახულია სოციალური ცხოვრების სხვადასხვა სცენები. ცლისპირს ევალება, თითოეულის საფუძველზე შექმნას მოთხრობა, რომელშიც ასსნილი იქნება, თუ რამ გამოიწვია მოცემული შემთხვევა, რა ხდება ამჟამად, რას გრძნობენ პერსონაჟები და რით დამთავრდება ყოველივე. იგულისხმება, რომ სოციალური სიტუაციების ინტერპრეტაციისას ადამიანი ამქლავნებს საკუთარ პიროვნებას. ცლისპირის მიერ შექმნილი ყოველი ისტორია ბადებს გარკვეულ ვარაუდს, რომელიც მოწმდება და ბუსგდება შემდგომი ისტორიების ანალიზის პროცესში. საბოლოო მიზანია მივიღოთ პიროვნების ძირითადი არაყნობიერი მისწრაფებებისა და კონფლიქტების სურათი. ამ ტესტის ავტორია გამოჩენილი ამერიკელი პიროვნების ფსიქოლოგი ჰენრი მიურეი.

რაც შეეხება რორშარხის ტესტს, იგი შედგება 10 ბარათისაგან. თითოეულ ბარათზე მოცემულია ერთი სიმეგრული ლაქის გამოსახულება. ეს ლაქები შვეიცარიელმა ფსიქიატრმა ჰერმან რორშარხმა მიიღო ფურცელზე მელნის დაწვეთებით და მისი შუამზე გადაკეცვის გზით. ხუთ ბარათზე შავ-თეთრი ლაქაა, ხუთზე – ფერადი. ცლისპირი ათვალისწინებს ბარათს და აღწერს, თუ რას ხედავს მასზე, რას ავლენს ლაქა ან რას წააგავს იგი. შემდეგ ხდება პასუხების ჩანაწერების ანალიზი. ამავე დროს ექსპერიმენტატორი აკვირდება ცლისპირის ქცევის ნიუანსებს; განსაკუთ-

რებული ყურადღება ექცევა იმას, თუ რა ღრო ესაჭიროება მას თითოეულ ბარათზე პასუხის გაცემად.

რორშარხის ტესტის ინტერპრეტაციისას მსხველდობაში მიიღება რამდენიმე ფაქტორი: 1) ლოკალიზაცია, რომელიც გამოხატავს იმას, თუ ლაქის რა ნაწილია გამოყენებული პასუხში (მაგ., მთელი ლაქა, დიდი თუ პატარა დეგალები); 2) პასუხის განმსაზღვრელი პარამეტრები (ფორმა, ფერები, ჩრდილები); 3) შინაარსი (აღამიანის ფიგურები, აღამიანის ფიგურის ნაწილები, ცხოველები, მცენარეები, სხვადასხვა ობიექტები, სისხლი და ა.შ.). ყურადღება ექცევა, აგრეთვე, თუ რამდენად ორიგინალურია პასუხები.

ინტერპრეტაციისას მონაცემთა მთელი ერთობლიობა გამოიყენება, რაც იმდენად დიდ გამოცდილებას შოითხოვს, რომ მის დაუფლებას წლები ესაჭიროება. ამასთან, არსებობს გარკვეული ტიპური მახასიათებლები, რომელთა ინტერპრეტაცია შეგნაკლებად სტანდარტიზებულია. მაგალითად, მთელი ლაქის გამოყენება ინტეგრალურ, კონცეპტუალურ ამროვნებაზე მიუთითებს, ხოლო დეგალებისადმი უპირატესობის მინიჭება – რიგიდობაზე; ფერებით მიღებულ შთაბეჭდილებებზე დამყარებული პასუხები ემოციონალობისა და იმპულსურობის მანიშნებელია და ა.შ. რორშარხის ტესტი, ისევე როგორც პროექციული ტესტების დიდი ნაწილი, შედარებით ცუდად არის სტანდარტიზებული, ხოლო მისი ინტერპრეტაცია საკმაოდ სუბიექტურია.

თავი IX. ქვევის ფსიქოლოგია

§ 1. ქვევის ბანსაზღვრება

სოცხალი არსების ყოველგვარი აქტივობა, რომელიც განსაზღვრული მოთხოვნილების დაკმაყოფილებისკენ არის მიმართული, ქვევის სახელწოდებით აღინიშნება. ქვევის სათავე მისი აღმკვერელ-მამოძრავებელი მოთხოვნილებაა, ხოლო მისი ბუნებრივი დასასრული — ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება. ადამიანის ქვევა მრავალმხრივი მოელენაა. ამიგომ იგი რამდენიმე მეცნიერების კვლევის საგანს შეადგენს. ქვევის ფიზიკურ მხარეს ბუნებისმეტყველება (ფიზიოლოგია) სწავლობს. იგი ქვევაში ჩართული ორგანიზმისა და მისი ცალკეული ორგანოების ფუნქციონირების ფიზიკო-ქიმიურ და ბიოლოგიურ კანონზომიერებათა დადგენით ემყოფილდება. ქვევის სულიერი და საზოგადოებრივი კანონზომიერებანი შეიძლება ეკონომიკური, ეთიკური, იურიდიული და კიდევ სხვა მეცნიერებათა კვლევის საგნად იქცეს. ეკონომიკა ქვევას უპირატესად მაგერიალურ ფასეულობთა შექმნის კუთხით შეისწავლის. ეთიკა ქვევის მნებორივ მხარეს აფასებს, ხოლო იურისპრუდენცია მას სამართლის კანონებთან მიმართებაში განიხილავს.

ფსიქოლოგიას ქვევის მხოლოდ ფსიქოლოგიური მხარე აინტერესებს. იგი ქვევის სხვა მომენტებზე იმდენად ჩერდება, რამდენადაც ეს ქვევის ფსიქოლოგიური ბუნების გათვალისწინებისთვისაა აუცილებელი. ამ მხრივ ყველაზე მეტად ქვევის ფიზიოლოგიური მხარე გამოირჩევა, ვინაიდან ქვევა, უპირველესად, ფსიქოფიზიოლოგიური ფაქტია და, ძირითადად, სხეულისა და მისი ორგანოების მოძრაობის გზით ხორციელდება. მაგრამ მოძრაობა ქვევის გეჟნიკური მხარეა. ამიგომ იგი ბევრს არაფერს გვეუბნება ქვევის ბუნების, მისი შინაგანი კანონზომიერების შესახებ. ეს იქიდანაც ჩანს, რომ შესაძლებელია მოძრაობათა ერთი და იგივე რიგით ორი, ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავებული ქვევის აქტი განხორციელდეს. ზოგჯერ, მაგალითად, გარეგან მოძრაობაზე უშუალო დამკვირვებლისთვისაც გაურკვეველი რჩება, დანაშაულებრივი ქმედება განზრახ იქნა ჩადენილი, თუ გაუფრთხილებლობის შედეგად.

ფსიქიკური შინაარსის გამორიცხვის შემთხვევაში ქცევა გაუგებარ, შეუკავშირებელ, ცალკეულ ფიზიკურ მოძრაობებად იშლება. ქცევის მსოლოდ ფსიქიკური შინაარსის გათვალისწინება კი სრულიად საკმარისია იმისთვის, რომ ამ ქცევის ძირითად თავისებურებებს ეწვედეთ. ფიზიკურ მოძრაობებს ქცევის ფაქტად ფსიქიკური შინაარსი აქცევს. ამიგომ შეიძლება დაბეჯითებით ითქვას: მიუხედავად იმისა, რომ ქცევა ყოველთვის შეიცავს მრავალ განსხვავებულ, არაფსიქიკურ კომპონენტს, იგი, არსებითად, ფსიქოლოგიური მოვლენაა და, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური კვლევის სფეროს მიეკუთვნება.

ქცევის მოგადი დახასიათება

ქცევა, როგორც ფსიქოლოგიური მოვლენა, აღმოცენდება ცოცხალი არსებისა და გარე სამყაროს ურთირთქმელების პროცესში. ქცევა ყოველთვის განსაზღვრულია ორი რივის ფაქტორებით. ერთნი ინდივიდს ახასიათებენ (მის მისწრაფებებს თუ შესაძლებლობებს), მეორენი – სიგუაციას. ქცევას ყოველთვის ჰყავს ავგორი, ანუ მოქმედი სუბიექტი. ეს შეიძლება იყოს ყოველგვარი ცოცხალი არსება, უმარტივესით დაწყებული და ადამიანით დამთავრებული. ქცევა ცხოველისა და ადამიანის არსებობის ფორმაა. მასში, სულ ცოგა, სამი მხარე გამოიყოფა: 1. დინამიკა. ქცევა, როგორც აქტივობა, გულისხმობს ძალას, რომელიც მას აღძრავს და წარმართავს. 2. მიმართულება. ქცევა მიმართული აქტივობაა. მის საერთო მიმართულებას განაპირობებს ის სასურველი ვითარება, რომელიც ამ ქცევის განხორციელების შედეგად უნდა იქნეს მიღწეული. ამასთან ქცევას აქვს კონკრეტული მიმართულებაც; ესაა მოძრაობის გრაექტორია, რომელიც ინდივიდის შესაძლებლობებზე და სიგუაციაზეა დამოკიდებული. 3. საზრისი ან ღირებულება. ქცევა, როგორც ფსიქოლოგიური ფაქტი, არის სინამღვილისადმი სუბიექტის დაინტერესებული და აქტიური დამოკიდებულების ამსახველი მოვლენა. ქცევა ყოველთვის რალაცისთვის სრულდება. მას აქვს გარკვეული საზრისი, მნიშვნელობა, ღირებულება.

ქცევის ამ მხარეებს კონკრეტული ფსიქოლოგიური ფენომენები განსაზღვრავს, ისეთები, როგორიცაა მოთხოვნილება, მიზან-

ნი, გეგმა და მოტივი. ყოველი მათგანი შეიძლება შედიოდეს ქცევის შემადგენლობაში, როგორც მისი ორგანიზაციისა და რეგულაციის საყრდენი. აღნიშნული ფსიქიკური მოვლენები შეადგენს ქცევის შინაგან სტრუქტურას ან, სხვაგვარად, ქცევის შინაარსს. ქცევის საერთო სტრუქტურაში გამოიყოფა მეორე ბლოკიც, რომელსაც შეიძლება ქცევის გარეგანი სტრუქტურა, ან ქცევის ფორმა ეწოდოს. მისი ერთეულებია მოქმედება და ოპერაცია. რეალურ ქცევაში ყველა ელემენტი და ერთეული ურთიერთდაკავშირებულ ერთიანობას ქმნის.

§ 2. ძველის ბარბანდი სტრუქტურა ანუ ფორმა

ქცევის გარეგან სტრუქტურას ქმნის პროცესები, რომლებიც მისი განხორციელების, შესრულების ფორმას განსაზღვრავს. ქცევის ამ სტრუქტურული ბლოკის მთავარ ერთეულს მოქმედება შეადგენს. ქცევა მოქმედებებისაგან აიგება. მოქმედებები მრავალგვარია: დაკვირვება, მოგონება, გაცემა, წერა, კითხვა, ლაპარაკი, სიარული, კერვა, მანქანის გარება, ჩაცმა და სხვა. როგორც ამ ჩამონათვალთან ჩანს, მოქმედება შეიძლება იყოს თეორიულიც (გონებრივი) და პრაქტიკულიც (მოგორული). ეს არ არის ფიზიოლოგიური ან ფსიქოლოგიური პროცესების უბრალო ერთობლიობა. მოქმედება სრულიად გარკვეული აზრისა და მნიშვნელობის მქონე აქტია. ასეთად მას ქცევის მოტივი და მიზანი აქცევს; მოქმედება ქცევის საბოლოო მიზნის მიღწევის საშუალებაა. ამასთან, რაც უფრო ძლიერია მოტივი, რაც უფრო დიდი ღირებულება აქვს ქცევას სუბიექტისთვის, მით უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს მასში შემავალი ესა თუ ის მოქმედებაც. ამდენად, მოქმედება ყოველთვის ქცევაში და ქცევისთვის არსებობს; იგი მხოლოდ ქცევის საშემსრულებლო მხარის ელემენტი: ერთი და იგივე ქცევა შეიძლება განსხვავებული მოქმედებებით შესრულდეს. მდინარის მეორე ნაპირზე გადასვლა შესაძლებელია ნავით, ცურვით და ფონით. პირიქითაც სდება, როცა ერთი და იგივე მოქმედებით სხვადასხვა ქცევები ხორციელდება. ადამიანი, რომელიც წერს, შეიძლება თვითონ სწავლობდეს, სხვას ასწავლიდეს, ან მხატვრულ შემოქმედებას ეწეოდეს.

ქცევა ზოგჯერ მხოლოდ ერთი მოქმედებით სრულდება. მაგრამ შედარებით რთული ადამიანური ქცევები უმეტესად საკმა-

ოდ მრავალრიცხოვან მოქმედებათა წყებისაგან შედგება. ამასთან, თითოეული მათგანი, ქცევის გვერდის შესაბამისად, საბოლოო მიზნისკენ მიმავალ გზაზე გარკვეული შუალედური მიზნების განხორციელებას ემსახურება. მაგალითად, მზარეულის საქმიანობა გულისხმობს მოქმედებათა მთელი რიგის შესრულებას: ესაა შეკვეთის გაცნობა, საჭიროების შემთხვევაში კერძის დამზადების ტექნოლოგიის დადგენა-დაზუსტება, კერძისთვის საჭირო მასალის დახარისხება, პროდუქტების დამუშავება, სანელებლების დომირება, კერძის კონდიციამდე მიყვანა, ლეგუსტირება და თეფშზე განლაგება.

მოქმედება ოპერაციებად იშლება. ოპერაციები ქცევის ფორმის უმცირესი ნაწილები, ელემენტებია. ეს ის საშენი მასალაა, რომელსაც სუბიექტი, აქტივობის გარე თუ შიდა პირობების გათვალისწინებით, მოქმედების აგებისას გამოიყენებს. მაგალითად, ჩაყვანის მოქმედება გულისხმობს გარკვეულ ოპერაციებს: სახელოში ხელის გაყოფა, ღილების შეკვრა და სხვა. მაგრამ, იმის მიხედვით, თუ რას ჰკარნახობს სიტუაცია, რა განსაცმელს იცვამს ადამიანი, ევროპულს თუ იაპონურ კიმონოს, მოქმედება განსხვავებული ოპერაციებით დაკომპლექტდება. მოქმედების ოპერაციულ შემადგენლობას ინდივიდის ფსიქოფიზიკური შესაძლებლობებიც განსაზღვრავს. ვთქვათ, თქვენ გსურთ მონახოთ გარკვეული ადგილი წიგნში და აღმოაჩინეთ, რომ ადრე ჩაღებულ სანიშნი ამოვარდნილია. თქვენ იძულებული ხდებით, მიმართოთ საჭირო აბზაცის მონახვის სხვა გზას და შეეცდებით, მოიგონოთ გვერდის ნომერი, ხოლო თუ მეხსიერებამ გიმგყუნათ, იწყებთ წიგნის გადაფურცლვას.

ოპერაციები, ისევე როგორც მოქმედებები, ქცევის შესრულების ტექნიკური მხარის მახასიათებლებია. ამიგომ ბუნებრივია, რომ მოქმედება შეიძლება გადავიდეს ოპერაციაში და პირიქით. მაგალითად, დისკუსიის პროცესში თქვენ გაგიჩნდათ აზრი და გამოთქვით ისე, რომ არ გიმზუნიათ მის ფორმაზე. ესაა მოქმედება, რომელიც სხადასხვა ოპერაციებსაგან შედგება: გონებრივი, სამეცყველო, არტიკულაციური და ა.შ. მათი ერთობლიობა გარკვეული მოქმედების რეალიზაციას – აზრის გამოთქმას უზრუნველყოფს. მაგრამ, დაეუშვათ რომ თქვენ ვერ მოახერხეთ უცებ მოგენახათ საჭირო სიტყვა. იწყება მისი ძიების პროცესი.

ის, რაც მანამდე ოპერაციულ ღონებზე ხდებოდა (სიგყვის მონახვა), იქცა მოქმედებად. უცხო ენის შესწავლისას ყველას ჰქონია საქმე საწინააღმდეგო ვითარებასთანაც: სწავლის დასაწყისში თითოეულ სიგყვისა თუ ბგერის წარმოთქმა მცირე, მაგრამ მაინც დამოუკიდებელი მოქმედებაა. ენის თავისუფალი ფლობის სგადიაზე კი პრაქტიკულად ყველა ფონეტიკური, ლექსიკური თუ გრამატიკული პრობლემა ოპერაციულ ღონებზე წყდება.

ჩვევის ფსიქოლოგია

ის, რასაც ჩვეულებრივ ეწოდებენ სიმარჯვეს, მოხერხებულობას, გაწაფულობას – მოქმედება-ოპერაციების მახასიათებლებია. მოქმედებები და მით უფრო ოპერაციები ან ცუდად, ან სულაც არ ცნობიერდება. ისინი, არსებითად, ავტომატურ რეაქციებს ან, უფრო ზუსტად, ჩვევებს ემყარება.

ჩვევა ეწოდება ვარჯიშის შედეგად შეძენილ მეტად თუ ნაკლებად ავტომატიზებულ აქტივობას ან პროცესს. მოცემულ განსაზღვრებაში სიგყვა ვარჯიში უპირველესად იმაზე მიანიშნებს, რომ ჩვევა აქტივობის შეძენილი ფორმაა და არა თანდაყოლილი. ავტომატიზებულიობა იმას ნიშნავს, რომ ჩვევა სწრაფად, ზუსტად და ადვილად სრულდება და, აგრეთვე იმას, რომ მისი შესრულება ცნობიერ კონტროლს არ მოითხოვს. აქტივობა ან პროცესი არის როგორც სხეულებრივი, ისე ფსიქიკური, ამიტომ ჩვევის ამ სიგყვებით დახასიათება იმაზე მიუთითებს, რომ ჩვევა შეიძლება იყოს მოგორულიც და გონებრივიც. იგივე ითქმის მოქმედებებსა და ოპერაციებზე, ხოლო ჩვევა სხვა არაფერია, თუ არა მათი არსებობის ფორმა. ადამიანის თითქმის ყველა მოქმედება და ოპერაცია შეძენილია და, როგორც წესი, ავტომატიზებული, რაც მათი ჩვევის ფორმაში მოცემულობის მაჩვენებელია.

ჩვენ შეიძლება ცალკეული, მარტივი მოძრაობის ჩვევაც გვქონდეს და ისეთი რთული მოქმედებისაც, როგორცაა თვითმფრინავის მართვა ან კომპიუტერის გამოყენება. ჩვევადქცეული მოქმედება ან ოპერაცია ყოველგვარ ქცევას შეიძლება მოემსახუროს – კითხვის ჩვევა ყველგან ერთნაირად ფუნქციონირებს: მაშინაც, როცა ადამიანი კითხულობს სასამართლო განაჩენს,

სასიყვარულო ბარათს, რომანს, სწავლობს თუ მეცნიერულ საქმიანობას ეწევა.

ჩვევად ქცეული მოქმედებისთვის თუ ოპერაციისთვის რამდენიმე მომენტიან განსაკუთრებით დამახასიათებელია 1. იგი ავტომატურად მიმდინარეობს; 2. საჭიროებისამებრ დროულად აღმოცენდება და სწრაფად მოქმედებს; 3. მინიმალურ შინაგან დაძაბულობასთან არის დაკავშირებული; 4. თავისუფალია ზედმეტი მოძრაობებისაგან ან გონებრივი აქტივობისაგან; 5. მუსტია და სტანდარტულ პირობებში უშეცდომო; 6. ქცევაში და ქცევისთვის ფუნქციონირებს; 7. სხვა ჩვევებისაგან დამოუკიდებლად შეუძლია მოქმედება.

იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციონალურ სფეროში გამოიყენება ჩვევა, ადამიანის რომელ ფსიქოფიზიკურ ძალებს უკავშირდება იგი, განასხვავებენ მოგორულ (სამოძრაო), სენსომოგორულ და გონებრივ (მნემურ, ინტელექტუალურ) ჩვევებს. სიარული, მაგალითად, მოგორული ჩვევაა; გექსტის აკრეფა – სენსომოგორული, რადგანაც სენსორული და მოგორული სისტემების მჭიდრო კოორდინაციას გულისმობს; ანგარიში – გონებრივი ჩვევა. ჩვევები შეიძლება განვასხვავოთ იმის მიხედვითაც, თუ რა სახის აქტივობაში (ქცევაში) შემუშავდა და ფუნქციონირებს. გამოიყოფა საყოფაცხოვრებო-პიგიურული (ჩაცმა), კულტურულ-მნეობრივი (სალმის მიცემა) და პროფესიულ-შრომითი (ჩაქუჩის ან კომპიუტერის ხმარება) ჩვევები. საგულისმოა, რომ მოგორული, სენსომოგორული და გონებრივი ჩვევები შეიძლება კულტურულ-საყოფაცხოვრებო ან პროფესიულ-შრომითი ჩვევების კომპონენტები იყოს. მაგალითად, გექსტის აკრეფის სენსომოგორული ჩვევა შეიძლება კომპიუტერთან მუშაობის ნაწილად განიხილებოდეს.

ჩვევად გადაქცეული, ანუ ავტომატიზებული მოქმედება და ოპერაცია ცნობიერების მონაწილეობის გარეშე სრულდება. ცნობიერების ეს განკვირთვა პიროვნებას ფართოდ გაშლილი აქტივობის შესაძლებლობას აძლევს. ჩვენ რომ ჩვევები არ გვექნოდა და ყველა მოქმედებას ცნობიერად ვასრულებდეთ, ყოველი მოგორული ან გონებრივი აქტი რომ ცნობიერების კონტროლით მიმდინარეობდეს, ადამიანი სხვა მიზნებისთვის ვერ მოიცილიდა. ამრიგად, ჩვევების შემუშავება დროისა და ენერჯის უდიდეს ეკონომიას იძლევა. ხოლო, რამდენადაც ჩვევები ადამი-

ანის ყოველდღიური საქმიანობის თითქმის ყველა სახეშია, ამ ეკონომიის მნიშვნელობა განუზომელია.

ამავე დროს, ჩვევების უდიდესი მნიშვნელობა ცოცხალი არსების ცხოვრებაში ისაა, რომ მათი შექმნა ახალ მოქმედება-ოპერაციების ათვისებას, ანუ გამოცდილების გაფართოება-გამდიდრებას ნიშნავს. გარდა ამისა, ჩვევის განმტკიცების კვალობაზე, ახალშექმნილი მოქმედებები და ოპერაციები სულ უფრო მუსტი, სწრაფი, ადვილად შესასრულებელი და, მამასადამე, სრულყოფილი ხდება. თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვევათა დაუფლების გარეშე წარმოუდგენელია რამდენადმე სერიოზული მიღწევები შრომაში, ხელოვნებაში, სპორტში და ა.შ. ისინი ადამიანის ცხოვრებისეული წარმატებების ერთ-ერთი საწინდარია. ხოლო იმ ცხოველებისთვის, რომელთა ქცევითი რეპერტუარი არ შემოიფარგლება თანდაყოლილი აქტივობის ფორმებით, ჩვევები, ანუ დასწავლილი მოქმედებები, საზოგადოდ, გარემოსთან შეგუებისა და, საბოლოოდ, გადარჩენის პირობაა (იხ. თავი III).

ახლა ვნახოთ, როგორ ხორციელდება ჩვევის შექმნა. უმთავრესი, უთუოდ, გამეორებაა. ჩვევის შეთვისების პროცესი მოქმედება-ოპერაციის ზოგჯერ საკმაოდ მრავალჯერადი გამეორების პროცესია. იგი, როგორც წესი, ორ პერიოდს გაივლის. პირველ პერიოდში ინდივიდი ეუფლება ახალ მოქმედებას ან ოპერაციას. მეორეში ამ მოქმედებისა თუ ოპერაციის გაუმჯობესებას, დახვეწასა და განმტკიცებას ახდენს. შესაბამისად, გამეორებები ორ სხვადასხვა რამეს ემსახურება. პირველ ეტაპზე გარკვეული ალგორითმის (პროგრამის, ინსტრუქციის) საფუძველზე საჭირო ქმედებათა მონახვას, მათ კოორდინირებას და გამთლიანებას ერთიან მოქმედებად (ოპერაციად) და ამით მოქმედების შინაგანი მოდელის გამომუშავებას. მეორე ეტაპზე – მონახული მოქმედების (ოპერაციის) დახვეწას და ავტომატიზმამდე მიყვანას. მაგალითად, როცა ინდივიდი ველოსიპედის გარების ჩვევას ითვისებს, იგი თავდაპირველად გარკვეულ წესებს ეცნობა. შემდეგ ინსტრუქციის შესაბამის მოძრაობათა შესრულებას ცდილობს. პირველ ხანებში ეს სრულებით არ გამოხდის, მაგრამ თანდათან, განმეორებით მცდელობათა შედეგად, იგი ნახულობს საჭირო მოქმედებას, მას უჩნდება შესაბამის მოძრაობათა კოორდინაციის შინაგანი გრძნობა, რის საფუძველზეც ხერხდება ველო-

სიპედის გარება. აქედან მოყოლებული იწყება მეორე პერიოდი. პირველი სწორი მოქმედება ესკიზური ხასიათისაა. ის მოკლებულია სიმყარეს, სიზუსტესა და გამძლეობას, მოითხოვს დაძაბულობას, განუწყვეტლივ ყურადღებას, დამძიმებულია ზედმეტი მოძრაობებით, ადვილად ირღევს. მეორე პერიოდის განმეორებათა შედეგად მოქმედებას ჩამოშორდება ზედმეტი ელემენტები, იგი დაზუსტდება, დაიხვეწება და განმტკიცდება.

ხშირად ამბობენ: ჩვევა ვარჯიშის შედეგად შეიძინებაო. ეს დებულება არსებითად სწორია, მაგრამ მოითხოვს დაზუსტებას და გამეორების ცნებასთან დაკავშირებას. ვარჯიში მიზანდასახული გამეორებაა ჩვევის შეთვისების მიზნით. ეს, თავის მხრივ ნიშნავს, რომ უნდა არსებობდეს რაღაც, რისი გამეორება შეიძლება. თუ ამოვდივართ იქიდან, რომ ჩვევის შეთვისების პროცესი ორ პერიოდს შეიცავს, უნდა ვაღიაროთ, რომ ვარჯიში მხოლოდ მეორე ფაზას შეიძლება უკავშირდებოდეს. პირველ ფაზაში მოქმედება ჯერ არაა მონახული და, შესაბამისად, არც არაფერია გასავარჯიშებელი.

მეორე პერიოდში უკვე მონახულია ჩვევის პირველი მონახვა, რომელიც უნდა დაიხვეწოს და განმტკიცდეს. ვარჯიში ჩვევის საჭირო კონდიციამდე მიყვანას ემსახურება. ასეთი ვარჯიში, რომელსაც სასწავლო ვარჯიშს უწოდებენ, ჩვევის შეთვისებაზეა მიმართული. არსებობს სხვა სახის ვარჯიშიც, რომლის დანიშნულება ახალი ჩვევის გაფიქსირება კი არა, არამედ უკვე არსებული ჩვევის შენარჩუნებაა. მას მზაობაში ყოფნის ან “ფორმაში ყოფნის” ვარჯიშს უწოდებენ. მაგალითად, ვირტუოზი პიანისტიც კი მუდმივად უკრავს გამებს, ვარჯიშობს. ცხადია, ამ შემთხვევაში ის არ სწავლობს, არამედ ცდილობს, იყოს სრულ მზადყოფნაში, კარგ ფორმაში. იგივე ითქმის სხვა საშემსრულებლო, სპორტულ თუ პროფესიულ ჩვევებზე.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მოქმედება ოპერაციებისაგან შედგება. ჩვევადქცეული მოქმედება ავტომატიზებული ოპერაციების ჯაჭვი ან ერთობლიობაა. ამასთან, ჩვევა არაა ოპერაციების უბრალო მექანიკური კრებადობა. ჩვევა, როგორც მოქმედების არსებობის ფორმა, მთლიანობითი ბუნებისაა. სიგუაცის შეცვლისას ინდივიდი იყენებს ჩვევას როგორც მთელს, ცალკეული ოპერაციების გამოგოვებით, ან სხვა ოპერაციათა გამოყენებით.

ცხოველიც კი ახერხებს ერთი და იმავე ჩვევის (მოქმედების) სხვადასხვა ოპერაციებით განხორციელებას. დასწავლის ბიპვეი-ორისგულ ფსიქოლოგიაში ცნობილია შემდეგი ცდები: ვირთაგვას ლაბირინთში სწორი გზით სიარულის მტკიცე ჩვევა ჰქონდა გამომუშავებული, მერე ლაბირინთში წყალი შეუშვეს. ცხოველმა გზა, რომელსაც იგი ჩვეულებრივ ფეხებით გაირბენდა, ახლა ცურვით გაივრო შეუცდომლად. ადამიანთან მსგავს მოვლენებს ხშირად ვხვდებით. მაგალითად, ცალ ხელში გამომუშავებული ჩვევა მეორეთი სრულდება და სხვა.

რომელიმე ჩვევის შემუშავება იმაზეც არის დამოკიდებული, თუ რა ჩვევები აქვს უკვე განმტკიცებული ამ ინდივიდს. ისინი ხელს უწყობენ, ან უშლიან ახალი ჩვევების ფორმირებას ან შესრულებას. პირველ შემთხვევაში ლაპარაკობენ ჩვევის გადაგანა-ზე, მეორეში – ინტერფერენციაზე.

გადაგანის (გრანსპოზიციის, გრანსფერის) დროს ერთი ჩვევა მეორის ათვისებაზე დადებით გავლენას ახდენს, რამდენადაც მზამზარეული სახით შეიცავს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც გამოსამუშავებელ ჩვევაშიცაა. ამიგომ ჩვევის ფორმირების პროცესში ამ კომპონენტებზე საგანგებო მუშაობა აღარ ხდება საჭირო, ისინი თითქმის პირდაპირ გადმოდიან ახალ ჩვევაში. მაგალითად, გენისის თამაშის ჩვევა აადვილებს ბადმინტონის დაუფლებას; ერთი ევროპული ენის შესწავლა, ჩვეულებრივ, ხელს უწყობს სხვა ევროპული ენების ათვისებას და ა.შ.

ინტერფერენციისას ერთი ჩვევა უნებლიეთ ერევა მეორე ჩვევის განხორციელებაში და ხელს უშლის მას. მაგალითად, თავისუფალი სტილით მოჭიდავე სპოტსმენი, კლასიკურ ჭიდაობაზე გადასვლის მერე, შერკინების კრიტიკულ მომენტში უნებურად ფეხს გაჰკრავს მოწინააღმდეგეს, ე.ი. აკეთებს ამ ჩვევითი სისტემისთვის დაუშვებელ მოძრაობას. მეორე უცხო ენის სწავლის პროცესში ჩვენდაუნებურად წარმოვთქვამთ პირველი უცხო ენის სიტყვას ან გრამატიკულ ფორმას და ა.შ.

მოქმედების მრავალგზისი გამეორების შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს ამ მოქმედების შესრულების მოთხოვნილება. ეს ნიშნავს, რომ ჩვევა ჩვეულებად გადაიქცა. ამის შემდეგ იგი აღარ განიცდება ქცევის უბრალო გეჟნიკურ საშუალებად, არამედ დამოუკიდებელ მოტივაციურ ღირებულებას იძენს; მას უჩნ-

დება ავგონომიურად ამოქმედების უნარი სიტუაციურად, სუბიექტის სანქციისა და ნებისყოფის გარეშე. ჩვეულების შეზღუდვა სუბიექტის მიერ ყოველთვის უსიამოვნებად განიცდება. ამრიგად, ჩვეულება იგივე ჩვევაა, იმ განსხვავებით, რომ თვითონ შეიცავს დროდადრო აქტუალიზაციისა და გამეორების ტენდენციას, რომლის შეფერხება ერთგვარი მოთხოვნის სახით განიცდება.

განასხვავებენ დადებით (სასარგებლო), ნეიტრალურ და უარყოფით (მაგნებელ ან უხერხულ) ჩვეულებებს იმისდა მიხედვით, თუ რამდენად მისაღებია ესა თუ ის მოქმედება მოცემული საზოგადოებისთვის ან თვით სუბიექტისთვის. მაგალითად, პიგიენური ან საყოფაცხოვრებო-კულტურული ჩვეულებები (კბილების ხეხვა) დადებითად მიიჩნევა, ხოლო სივარჯის მოწევა – უარყოფითად. ჩვეულებათა მაგალითებია ყოველგვარი “ჰობი” (მუსიკა, ცეკვა, მხატვრული ლიტერატურა, კინო, ბალში მუშაობა, სპორტი თუ თამაში, კროსვორდების ამოხსნა და სხვა).

ჩვეულებათა აღმოფხვრა ძალზე ძნელია, ვინაიდან ისინი მტკიცედ არიან ფიქსირებული. “ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო”, ამბობენ. რამდენადაც ჩვეულება, არსებითად, მოთხოვნისადაც ქცეული ჩვევაა, მისი ფსიქოლოგიური ბუნება ქცევის საშემსრულებლო ასპექტსაც მოიცავს და მოტივაციურსაც. პირველი ასპექტი ქცევის გარეგან სტრუქტურას ეხება, მეორე – შინაგანს. დისპოზიციათა მსგავსად, თავისებური ჩვეულებები მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ადამიანის ინდივიდუალობას, მის ზნე-ხასიათს.

§ 3. ქცევის შინაგანი სტრუქტურა ანუ შინაარსი

ქცევის შინაგან სტრუქტურას, მის შინაარსს აყალიბებს მოთხოვნისა, მოტივი, მიზანი და გეგმა. ყოველი მათგანი ფსიქიკის თავისებური წარმონაქმნია და განსაკუთრებულ ფუნქციას ასრულებს ქცევის ორგანიზაციისა და რეგულაციის საქმეში. მოთხოვნის მთავარი ფუნქცია ქცევის სტიმულირებაში, აღძვრაში, ენერგიზაციაში მდგომარეობს: მოთხოვნისადაც აქტივობის ენერჯის წყაროა. ქცევა ვერ დაიწყება მოთხოვნისადაც აქტუალიზაციის გარეშე. ამასთან მოთხოვნისადაც მიმართავს ქცევას თავის დამაკმაყოფილებელ საგანსა თუ მოვლენაზე. მასში მოცემულია გარკვეული ორიენტირებულობა, “ცოდნა” იმის შესახებ, თუ რამ უნდა დააკმაყოფილოს იგი.

ამგვარი, შეიძლება ითქვას, ზოგადი მიმართულობა საჭირო საგანზე, რასაც მოთხოვნილება იძლევა, აუცილებელია, მაგრამ არ არის საკმარისი ქცევის გასაშლელად გარემოში. ამის გარდა საჭიროა ინფორმაცია სიგუაციის კონკრეტული მონაცემების შესახებ. ცხოველის ქცევა აღიძვრება შიმშილით, მაგრამ, თუ როგორ უნდა წარიმართოს ქცევა მოცემულ სიგუაციაში, როგორი იქნება მისი კონკრეტული მიმართულება, ეს სიგუაციის მნიშვნელოვანი პარამეტრების აღქმამ უნდა გაარკვიოს. ხოლო ადამიანის სპეციფიკური ქცევის ორგანიზაციის საკითხები, მათ შორის მისი მიმართულების საკითხიც, უფრო ხშირად ცნობიერების დონეზე წყდება. დასაწყისში ადამიანი წარმოიდგენს იმას, თუ რისი მიღწევა სურს მას ამ აქტივობით, ანუ დაისახავს მიზანს, რომელიც მისი ქცევის საერთო მიმართულების მაჩვენებელია. ხშირად საჭირო ხდება, აგრეთვე, მიზნის მისაღებება გარემოს რეალურ მონაცემებთან, ქცევის შედეგების შესახებ წარმოდგენის დაკონკრეტება სიგუაციის შესაბამისად. ეს კი უკვე ქცევის მიმართულების გეგმის სახით ჩამოყალიბებას ნიშნავს. გეგმაში მოცემულია სად, როდის, რა და როგორ უნდა გაკეთდეს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად.

რაც შეეხება მოგივს, მიუხედავად იმისა, რომ იგი უდავოდ წარმოადგენს ქცევის სტრუქტურის მნიშვნელოვან ელემენტს, მისი რაობისა და ფუნქციის შესახებ შეთანხმებული აზრის შემუშავება ფსიქოლოგიაში საკმაოდ გაჭირდა. ხშირად მოგივს ქცევის აღძვრის ფუნქციას ანიჭებენ და, არსებითად, მოთხოვნილებასთან აიგივებენ. საფიქრებელია, რომ მოგივი და მოთხოვნილება, მათ შორის მჭიდრო კავშირის მიუხედავად, უნდა განეასხვავოთ ერთმანეთისაგან. მოგივი მართლაც მოთხოვნილების საფუძველზე აიგება, მაგრამ მის ჩამოყალიბებას სხვა ფაქტორებიც განსაზღვრავს. მოგივი არ არის ერთეული მოთხოვნილების განცდა; მოგივი სუბიექტის მიერ იმის შეფასების შედეგია, თუ რა მოთხოვნილებებს და რამდენად აკმაყოფილებს მოცემული ქცევა; რა დანახარჯებს, ძალისხმევას მოითხოვს იგი სუბიექტისაგან მოცემულ ვითარებაში. შეიძლება ძლიერი მოთხოვნილება გვექონდეს, მაგრამ მისი დაკმაყოფილება ისეთ სირთულეებთან იყოს დაკავშირებული, რომ შესაბამისი ქცევის სუბიექტური ღირებულება ერთობ დაბალი აღმოჩნდეს და მისი შესრულება მიზანშეუწონლად

მივიჩნით. ასეთ დროს ვიგყვით, რომ ქცევას არ აღმოაჩნდა ჩვენთვის სათანადო ღირებულება, მას სუსტი მოტივი ჰქონდა. ამგვარად, მოტივი არის ქცევის სუბიექტური ღირებულება, რომელიც მის გამართლებას ემსახურება. მოტივი, როგორც ქცევის საერთო სუბიექტური ღირებულების განცდა, თავის თავში აერთიანებს ინდივიდის მიერ ყველა იმ გარემოების შეფასებას, რაც ქცევის წამოწყებასთან, განხორციელებასთან და დაგვირგვინებასთან არის დაკავშირებული. ქცევის სუბიექტურ ღირებულებაში ანუ მოტივში აისახება ის, თუ რა შინაარსის მოთხოვნილებები უკავშირდება ქცევას და როგორია მათი დაკმაყოფილებლობის დონე, რა საშუალებებს ფლობს ინდივიდი მათ დასაკმაყოფილებლად და რამდენად ხელშემწყობია ამ მხრივ სიგუაცია.

მაგალითად, ადამიანმა უცბად გადაწყვიტა, მიეღო სადილად მიპატიება, თუმცა მანამდე ამის გასაკეთებლად ნაკლებად იყო განწყობილი. ამჟამად, რომ ამ ქცევამ ახლა უფრო მაღალი სუბიექტური ღირებულება შეიძინა, მისი მოტივი გაძლიერდა. ეს შეიძლება მომხდარიყო ან იმის გამო, რომ აღნიშნულ ქცევასთან დაკავშირებული მოთხოვნილება ძლიერ აქტუალური გახდა (სუბიექტს მოშივდა) ან იმიტომ, რომ ამ ქცევის საშუალებით კიდევ სხვა მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც აღმოჩნდა შესაძლებელი (გამოირკვა, რომ წვეულებაზე იქნებოდა ის, ვისთან შეხვედრაც სუბიექტისთვის მნიშვნელოვანი იყო); იგივე ქცევა უფრო მიმზიდველი შეიძლება გამხდარიყო იმიტომაც, რომ შეიცვალა სიგუაცია (ვთქვათ, გამოკეთდა ამინდი, ან გაჩნდა კარგი საჩუქრის გაკეთების შესაძლებლობა); ანდა, მოცემული ქცევის სუბიექტური ღირებულება იმასაც შეიძლებოდა გაეზარდა, რომ შეიცვალა ინდივიდის ფსიქოფიზიკური მდგომარეობა (მან თავი უკეთ იგრძნო).

როგორც ითქვა, მოტივი ამართლებს ქცევას. იგი თავიდან ბოლომდე მიჰყვება ქცევას და იმის სიგნალს იძლევა, თუ რამდენადაა შინაგნად მისაღები მისი ხასიათი და მიმართულება. ქცევის პროცესში მომხდარი ცვლილებები ან აძლიერებს, ან ასუსტებს მოტივს. პირველ შემთხვევაში ქცევა უფრო ენერგიულად მიმდინარეობს, მეორე შემთხვევაში კი ის შეიძლება შეწყდეს კიდევ და მეტი სუბიექტური ღირებულების მქონე ქცევას დაუთმოს ადგილი.

მოგივი საზრისსა და მნიშვნელობას აძლევს ქცევას. იგი ფიზიკურ ქცევას, ანუ ობიექტურად მიმდინარე მოქმედებებსა და ოპერაციებს, ფსიქოლოგიურ ქცევად გარდაქმნის. როგორცაა მოგივი, ისეთივეა ქცევა ფსიქოლოგიურად. ფიცრის რანდვის ფიზიკურმა აქტივობამ, იმის მიხედვით, თუ როგორია მისი მოგივი, სხვადასხვა ქცევის (შრომის, სწავლის თუ თამაშის) მნიშვნელობა შეიძლება შეიძინოს.

მოთხოვნილების ფსიქოლოგიური დახასიათება

მოთხოვნილება ქცევის შინაგანი სტრუქტურის ცენტრალური მომენტია. იგი აღძრავს ქცევას, განსაზღვრავს მის ბოვად მიმართულობას თავის დამაკმაყოფილებელ საგანზე და მნიშვნელოვნად განაპირობებს მოგივის რავეარობას. ამიგომ მიზანშეწონილია, უფრო დაწვრილებით განვიხილოთ მისი ძირითადი თავისებურებანი.

1. მოთხოვნილება თავის თავში შეიცავს გარკვეული აქტივობის გენდენციას ამ უკანასკნელის ხანგრძლივი შეკაეება უსიამოვნო დაძაბულობის სახით განიცდება. იქ, სადაც მოთხოვნილება ყოველგვარი შეფერხების გარეშე აღწევს თავის საგანს, იგი ფსიქოლოგიურად შეუმჩნეველი რჩება და როგორც ნდომა, სურვილი, მისწრაფება არ განიცდება. მავალითად, ჩვენ არ ვგრძნობთ მოთხოვნილებას ჰაერზე, როცა იგი საკმაოდ გვაქვს და სუნთქვა არ გვიჭირს.

2. მოთხოვნილება აქტივობის გენდენციას შეიცავს არა საერთოდ, არამედ გარკვეული მისამართით. იგი ინდივიდს სწორედ იმ საგნებისა და მოვლენებისკენ მიმართავს, რომელთა დანაკლისიც მასში იგრძნობა და რომელთა მოხმარებაც მას აკმაყოფილებს. ყოველი მოთხოვნილება თავის თავში შეიცავს სინამდვილის იმ მოვლენათა ერთგვარ გრძნობისმიერ, ემოციურ ასახვას, რომლებშიც მან დაკმაყოფილება უნდა ჰპოვოს. ფსიქოლოგიურად მოთხოვნილებები ერთმანეთისაგან ყველაზე მეტად სწორედ ამ დანაკლისი საგნისა თუ მოვლენის სპეციფიკური განცდით განსხვავდება. შიმშილში საკვების არქონა იგრძნობა, ხოლო წყურვილში – სითხის დანაკლისი. ამიგომ მშიერი საკვებს მიმართავს, მწყურვალი კი – სითხეს.

3. პირველადი სასიცოცხლო მოთხოვნილებები, რითაც ორგანიზმი იბადება, თავიდანვე მიმართავს ცოცხალ არსებას თავისი დამაკმაყოფილებელი საგნისკენ. სასიცოცხლო მოთხოვნილებათა საფუძველზე ცხოველი ძირითადად იმ საგნებს აგნებს გარემოში, რომლებიც მას ესაჭიროება, თუმცა გარკვეული გამოცდილება, დასწავლა აქაც საჭიროა. ახალი მოთხოვნილებები პირველად მოხმარებაში აღმოცენდება, იმ სახის აქტივობაში და იმ საგნებთან თუ მოვლენებთან ურთიერთობაში, რომლებიც შემდეგ მათი დაკმაყოფილებისათვის ხდება საჭირო. აღამიანს, რომელსაც ჯერ გიგარაზე არ დაუკრავს, შეიძლება ამ მოქმედების დაუფლების დიდი სურვილი ჰქონდეს, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ მას გიგარაზე დაკვრის მოთხოვნილებაც აქვს, დაკვრა ენატრება. დაკვრის მოთხოვნილება და დაკვრის ცოდნა-ჩვევა ერთად ვითარდება თვითონ ამ მოქმედების პროცესში.

აღამიანი თავდაპირველად საგანს უთუოდ იმ მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად როდი მოიხმარს, რომელიც მას შემდეგ უჩნდება, ამ საგნის მოხმარების პროცესში. მაგალითად, მოწვევას თამბაქოს მოთხოვნილების გამო არავინ იწყებს. ასეთი მოთხოვნილება ჯერ არც არსებობს. სამაგიეროდ, მოზარდში არსებობს, მაგალითად დიდობისკენ სწრაფვა, რომელიც წარმართავს მას მოზრდილისთვის დამახასიათებელი მოქმედებისკენ – მოწვევისკენ თუმცა, პირველ ხანებში, სივარეტი კმაყოფილების ნაცვლად საკმაოდ დიდ უსიამოვნებას ჰგვრის. დროთა განმავლობაში, მოხმარების პროცესში, აღმოცენდება საკუთრივ თამბაქოს მოთხოვნილება, რომელზეც უარის თქმა ძალიან ჭირს.

4. რეალური აქტივობის პროცესში მოთხოვნილებები თანაარსებობენ და გარკვეულად ურთიერთქმედებენ. აქ გამოიყოფა ოთხი შემთხვევა: გაბატონება, კონფლიქტი, დაქვემდებარება და შერწყმა. გაბატონების შემთხვევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როცა ერთ-ერთი მოთხოვნილება ინტენსიობის ისეთ დონეს მიაღწევს, რომ მისი დაკმაყოფილების გადადება შეუძლებელი ხდება (მაგ, შიმშილი, წყურვილი, გამოყოფა და სხვა). იგი გაბატონებულ ადგილს იკავებს უსიქიკაში. ამიგომ მისი დაკმაყოფილება აუცილებელია სხვა, იმავდროულად აღმოცენებულ მოთხოვნილებათა აქტივობაში გამოსაველენად.

კონფლიქტის მდგომარეობა მაშინ იქმნება, როდესაც დაახლოებით თანაბარი ინტენსიობის ორი ან მეტი მოთხოვნილება ერთდროულად ისწრაფვის აქტივობის სხვადასხვა მიმართულებით წარმართვისკენ. იმის მიხედვით, თუ რა სახის გენდენციას (მიახლოების ან განრიდების) იწვევს კონფლიქტში ჩართული მოთხოვნილებები, გამოიყოფა მოტივაციური კონფლიქტის სამი ფორმა. ა) **მიახლოება-მიახლოების** ტიპის კონფლიქტი – როცა ინდივიდმა უნდა აირჩიოს ორი, თანაბრად სასურველი მოქმედებიდან ერთ-ერთი. ესაა ე.წ. “ბურიდანის ვირის” ცნობილი სიტუაცია, რომელიც უპირატესობას ვერ ანიჭებს ვერც ერთ საკვებს და შიმშილით კედება ორ, თანაბრად მიმზიდველ თივის ზეინს შორის. ბ) **განრიდება-განრიდების** კონფლიქტი – როცა ინდივიდს ერთნაირად სურს განერიდოს ორ რამეს, ვთქვათ სცილას და ქარიბდას. გ) **განრიდება-მიახლოების** კონფლიქტი მაშინაა, როცა ინდივიდს რაიმე ობიექტი ან მოქმედება ერთდროულად კიდევ იზიდავს და კიდევ განიზიდავს. შეიძლება გსურდეს, იქორწინო და, ამასთან, გუშინოდეს თავისუფლების დაკარგვისა.

როდესაც ერთი მოთხოვნილება ემსახურება მეორის დაკმაყოფილებას, უნდა ვილაპარაკოთ მათ შორის დაქვემდებარებულობის კავშირის შესახებ. და ბოლოს, იმ შემთხვევაში, როცა ერთი აქტივობის ფარგლებში კმაყოფილდება რამდენიმე მისწრაფება, ლაპარაკია მოთხოვნილებათა შერწყმაზე.

5. შერწყმა არ ნიშნავს იმას, რომ მოთხოვნილებები ერთმანეთში ირევა; ყოველი მოთხოვნილება ცალკე ავტონომიაა. იგი რომელიმე თანადროულ მოთხოვნილებას არ ერთვის და ახალ, საერთო მისწრაფებას არ ქმნის. ერთდროული აღმოცენების შემთხვევაშიც შიმშილი შიმშილად რჩება, წყურვილი – წყურვილად. ისინი აქტივობის იმპულსსაც ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად, მათთვის საჭირო აქტივობის მიმართულებით ქმნიან, თუმცა, ჩვეულებრივ, ერთდროულად კმაყოფილდებიან (მაგ, სადილობისას). საზოგადოდ, ძალების ეკონომიის მიზნით, ინდივიდი ყოველთვის ცდილობს, ერთი ქცევით რაც შეიძლება მეტი მოთხოვნილება დაიკმაყოფილოს. მაგალითად, ხშირია შემთხვევები, როდესაც რაიმე საგნის საჭიროებით აღძრული აქტივობა ინდივიდს პროექსუალურ სიამოვნებასაც ანიჭებს. არსებობს ქცევები, რომლებიც გულისხმობენ მათ მოტივირებაში რამდენი-

მე მოთხოვნილების თანამონაწილეობას. სპორტული ნადირობა, როგორც თავისებური ქცევა, თავის თავში აერთიანებს ფუნქციონალურ (ანუ სამოძრაო), ბუნებასთან ურთიერთობისა და თვითონ პროდუქტის მოპოვებასთან დაკავშირებულ მისწრაფებებს.

6. მოთხოვნილება მით უფრო ძლიერდება და ძნელი შესაკავებელი ხდება, რაც უფრო ასლოა მისი დამაკმაყოფილებელი საგანი. ამას მიახლოების გრადიენტი ეწოდება. ამით იხსნება ისეთი, ერთი შეხედვით გასაკვირი შემთხვევები, როდესაც პატიმრები ცისიდან ვარზიან განთავისუფლებამდე რამდენიმე დღით ადრე. გამაძლიერებელი ეფექტი აქვს მოთხოვნილების საგნის სრულყოფილებასაც. ასეთ საგანს შეუძლია უკვე ჩამქრალი მოთხოვნილებაც გააღვიძოს და მოქმედ ძალად აქციოს.

7. პირველად სასიცოცხლო მოთხოვნილებათა უმეტესობა ძლიერდება დაუკმაყოფილებლობის პერიოდის შესაბამისად. თუმცა აქაც არის გამონაკლისები. მაგალითად, დადგენილია, რომ ხანგრძლივი შიმშილობის მერე საკვებზე მოთხოვნილება აღარ განიცდება ისე მძაფრად, როგორც პირველ დღეებში. მეორად ორგანიზმულ თუ სოციალურ მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილებლობის დინამიკა ძირითადად ასეთია: მათი ინტენსივობა თანდათანობით მაგულობს, აღწევს პიკს, ხოლო შემდეგ ნელ-ნელა კლებულობს და, შესაძლოა, სულ ჩაქრეს. აქედან გამომდინარე, მისწრაფებათა მნიშვნელოვანი ნაწილი შეიძლება სრულად აღმოუფხვრათ ინდივიდის ბუნებიდან, თუ მათი დაკმაყოფილების საშუალებას ხანგრძლივი დროის განმავლობაში მოეუსაძაობთ. ეს გარემოება შესაძლებლობას გვაძლევს, დაკმაყოფილების პროცესის მოწესრიგების გზით ვმართოთ მოგივაციური გენდენციები: გვაძლიეროთ, დროში ადგილი მივუჭინოთ, შევასუსტოთ, ან მთლიანად აღუკვეთოთ.

8. მოთხოვნილების ინტენსიობა ანუ ინდივიდის მოგივირებულობა შესამჩნევ გავლენას ახდენს ქცევის წარმატებულობაზე. ექსპერიმენტულად დამკვიცებულია, რომ არსებობს მოგივაციური აქტივაციის ოპტიმალური დონე, რომლის ქვევით ქცევა არასაკმარისად არის მოგივირებული და ამიგომ ნაკლებ ენერგიული და ნაყოფიერია, ხოლო გვეით – საკმარისზე მეტად, რაც ქცევის დემინტეგრაციას იწვევს. აქ მნიშვნელოვანია ქცევითი ამოცანის სირთულე. რაც უფრო რთულია ამოცანა, მოგივირებუ-

ლობის მით უფრო ნაკლები მაჩვენებელია საჭირო მოქმედების მაქსიმალური ეფექტურობის მისაღწევად, ანუ მოთხოვნების ინტენსივობის გარკვეული ღონე ხელს უწყობს მარტივი ამოცანების გადაწყვეტას და ხელს უშლის რთულისას. ეს კანონზომიერება ვრცელდება დასწავლილი და ახალი მოქმედებების შესრულებაზეც (იხ. თავი X).

მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია

მოთხოვნილების სფერო დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა. ამიგომ მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია ქცევის ფსიქოლოგიის სერიოზული ამოცანაა. არსებობს შეხედულებები, რომლებშიც ფაქტობრივად ყველა ქცევა ერთი ან ორი ძირეული მოთხოვნილებიდან გამოიყვანება. ასეა, მაგალითად, ფსიქონალიზმი. მეორე უკიდურესობაა მოდელები, სადაც ყოველგვარ ქცევას თავისი მოთხოვნილება მიეწერება და მათი ჩამონათვალი ათეულ, ზოგჯერ კი ასეულ დასახელებას ითვლის.

ადამიანის მოთხოვნილებებს უფრო ხშირად ორ ჯგუფად ყოფენ. ერთში აერთიანებენ ყველა თანშობილ მოთხოვნილებას. ეს ჯგუფი თვითშენახვისა და გვარის გაგრძელების მოტივაციურ ტენდენციებს აერთიანებს. მეორეში შედის ყველა მისწრაფება, რომელიც სოციალური ცხოვრების პროცესში აღმოცენდება. გავრცელებული დაყოფით, მოთხოვნილებათა ეს ჯგუფი მოიცავს პიროვნულ, სოციალურ, გონებრივ, მორალურ და ესთეტიკურ მისწრაფებებს. პირველი ჯგუფის მოთხოვნილებებს უწოდებენ პირველადს, ბიოლოგიურს, დაბალს, ხოლო მეორეს – მეორადს, კულტურულს, მაღალს.

ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარულია ამერიკელი მეცნიერის აბრაჰამ მასლოუს კლასიფიკაცია. მასში მოცემულია მოთხოვნილებათა 5 კლასი, რომლებიც ღონეების მიხედვითაა განლაგებული. პირველ ღონეს ქმნის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები (შიმშილი, წყურვილი სექსი, ძილი და ა.შ.); მეორეს – უსაფრთხოების (ტკივილისაგან, დისკომფორტისაგან, შიშისაგან დაცვის მოთხოვნილებები); მესამეს – სოციალური კავშირების (სიყვარულის, სითბოს, ურთიერთობის მოთხოვნილებები); მეოთხეს – თვითშაბატისცემის (მიღწევის, ყურადღების, დაფასების

მოთხოვნილებები); მეხუთეს – თვითაქტუალიზაციის მოტივაცია. რას წარმოადგენს იგი? ადამიანს აქვს მისწრაფება აკეთოს ის, რისთვისაც არის მოწოდებული. თუ ადამიანში ჩანერგილია მეცნიერის თვისებები, მან უნდა მოასდინოს ამ თვისებების რეალიზაცია, მხატვრული ნიჭით დაჯილდოებულმა პირმა უნდა ხატოს, პოეტური ნიჭის მქონემ – წეროს ლექსები და ა.შ. ამას თვითაქტუალიზაცია ეწოდება და იგი მიუთითებს ადამიანის სურვილზე, მოახდინოს თავისი პოტენციალის განხორციელება, მიაღწიოს იმას, რისი მიღწევაც მას ბუნებით შეუძლია.

ეს მოთხოვნილებები იერარქიულ რიგს ქმნის. იერარქიის უმაღლეს დონეს ფიზიოლოგიური მოთხოვნილებები შეესაბამება, ხოლო უმაღლესს – თვითაქტუალიზაციის მოტივაცია. რაც უფრო მაღალი დონისაა მოთხოვნილება, მით უფრო გვიან წარმოიქმნება იგი განვითარების პროცესში, მით უფრო ხანგრძლივად შეიძლება მისი დაუკმაყოფილებლობის ატანა. რაც უფრო მაღალი მოტივაციის დონეზე ვცხოვრობთ, მით მეტია ცხოვრებით კმაყოფილება, მეტია ცხოვრების ხანგრძლიობა, უკეთესია ძილი, მადა, ნაკლებია ავადმყოფობა და ა.შ.

ამ შეხედულებაში მთავარი მაინც ისაა, რომ მაღალ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება იწყება იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებულია უფრო დაბლა მდგომი მოთხოვნილებები. ამის გარეშე შემდგომი დონის მოტივაცია არც გაჩნდება. ამიტომ თვითაქტუალიზაცია ადამიანების უმეტესობისთვის მიუღწეველია, ვინაიდან მათი ქცევა მთელი ცხოვრების განმავლობაში წარმართულია იერარქიულ რიგში თვითაქტუალიზაციაზე დაბლა მდგომი მოტივაციით. მასლოუმ იყარაუდა, რომ საშუალო ადამიანი შემდეგი ხარისხით იკმაყოფილებას თავის მოთხოვნილებებს: 85% – ფიზიოლოგიურს, 70% – უსაფრთხოების, 50% – სიყვარულის, 40% – პატივისცემის და 10% – თვითაქტუალიზაციისა.

მოთხოვნილებათა თანმიმდევრული აქტუალიზაციის პრინციპი, გარკვეულ ფარგლებში სწორად გამოხატავს საქმის ვითარებას. იგი ეთანხმება ონტოგენეტიკური განვითარების მონაცემებს, რომლებიც არსებითად ადასტურებენ მასლოუს მიერ დადგენილ თანმიმდევრობას. არსებობს იმის ემპირიული საბუთებიც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, ძირითად ფიზიოლოგიურ ან, ვთქვათ, უსაფრთხოების მოთხოვნილებათა დაუკმაყოფილების

დროს, ისინი აბსოლუტურად გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ ცნობიერებასა და ქცევაში. მიუხედავად ამისა, ეს მოდელი უნივერსალურად ვერ ჩაითვლება; მასში არ თავსდება ბევრი ფაქტი, თუნდაც თვითაქტუალიზაციასთან დაკავშირებით. მართლაც, შეიძლება უამრავი მაგალითის მოყვანა ხელოვნების, მეცნიერების, პოლიტიკისა თუ სხვა სფეროებიდან, როცა აქ მოღვაწე პიროვნებები მთავრებით ასრულებენ თავიანთ მოწოდებას და, მამასადამე, ახორციელებენ სრულ თვითაქტუალიზაციას მიუხედავად საოცარი გაჭირვებისა, მორალური და ფიზიკური განჯევისა, ანუ ისეთ პირობებში, როცა დაუკმაყოფილებელია სხვა, უფრო დაბალი მოთხოვნილებები.

უკვე ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა, ეპიკურემ ადამიანის სამი სახის სურვილი გამოყო: ა) ბუნებრივი და აუცილებელი, ბ) ბუნებრივი, მაგრამ არააუცილებელი და გ) არც ბუნებრივი და არც აუცილებელი. ეს უკანასკნელი სოციალურ მოტივაციას მიუკუთვნება, ხოლო პირველი ორი – ბიოლოგიურს. პირველის თვალსაჩინო მაგალითია შიმშილი, მეორისა – სექსუალური ლტოლვა. განვიხილოთ ისინი.

კვებითი მოტივაცია და ქცევა

შიმშილი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბიოლოგიური მოთხოვნილებაა. შიმშილით აღძრული კვებითი ქცევა უზრუნველყოფს ორგანიზმს სასიცოცხლოდ აუცილებელი ნივთიერებებით. მათ შორის მთავარია ცილები, ცხიმები, ნახშირწყლები. როგორც ყოველგვარ ორგანიზმულ მოტივაციას, შიმშილსაც აქვს თავისი ფიზიოლოგიური მექანიზმი, რომელიც შედგება პერიფერიული და ცენტრალური რგოლებისაგან. შიმშილი ყველაზე მეტად გაპირობებულია სისხლში საკვები ნივთიერებების, პირველ რიგში გლუკოზის ნაკლებობით. ეს ინფორმაცია გადაეცემა ნეირონებს, რომლებიც იმყოფებიან ღვიძლში, კუჭში და ძირითადად თავის გეინის ერთ-ერთ სტრუქტურაში – ჰიპოთალამუსში. მოქმედებს რა შიმშილის ან სიმბძლის განცდამე, იგი არეგულირებს სხეულის წონას. ამ მექანიზმის დაზიანება იწვევს კვებითი ქცევის დარღვევას – მის გადაჭარბებულ აქტივაციას (ბულიმია) ან შეკავებას (ანორექსია). თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ

მოსახლეობის საკმაო ნაწილს აწუხებს ზედმეტ ან არასაკმარის წონასთან დაკავშირებული პრობლემები, აუცილებელია გავითვალისწინოთ შიმშილისა და კვებითი ქცევის აღმძვრელი არა მხოლოდ შინაგანი, ორგანიზმული, არამედ გარეგანი ფაქტორებიც. მათ შორის ძალიან მნიშვნელოვანია საჭმლის სენსორული თვისებები – გემო, სუნის და ა.შ. გემოსადმი უპირატესობებს ნაწილობრივ გენეტიკური და ევოლუციური წარმომავლობა აქვთ (მაგ, ტკბილი, მარილიანი, ქონიანი), ნაწილობრივ კი კულტურული და სოციალური. ამ უკანასკნელი ფაქტორის გავლენა საერთოდ ძალიან დიდია კვებით ქცევასა და მოტივაციაზე. ჩვენ, როგორც სოციალურ არსებებს, სიამოვნებას გვანიჭებს სხვებთან ურთიერთობა. სოციალური კავშირების დამყარებისა და განმტკიცების ერთ-ერთი საშუალება ოდითგანვე ერთობლივი ჭამის პროცესია. ამასთან დაკავშირებული რიგეულები პრაქტიკულად ყველგან გვხვდება, ზოგიერთ კულტურაში კი მათ განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

კულტურული ნორმები გადამწყვეტ გავლენას ახდენს ადამიანის მიერ საკუთარი სხეულისა და წონის შეფასებაზე და სათანადო ქცევაზე. წარსულში მიაჩნდათ, რომ რაც უფრო მსხვილგანაა ქალი, მით უკეთ შეასრულებს ოჯახთან დაკავშირებულ ფუნქციებს. საწარმოო რევოლუციის ხანაში მწყობრი აღნაგობა სოციალური გამორჩეულობის ნიშნად ითვლებოდა. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ საზოგადოებაში მოდის მოდელეები ისეთ იდეალს ამკვიდრებს, რომელიც ნორმაზე გაცილებით ნაკლებს იწონის. ამიგომ გასაკვირი არ არის, რომ ამერიკელი ქალების 70% თავს მსუქნად მიიჩნევს, თუმცა, რეალურად, მხოლოდ 23%-ს აქვს ზედმეტ წონასთან დაკავშირებული პრობლემები. ამიგომაც მუდმივად მიმართავენ დიეტებს, რომლებიც უმეტესად არც ეფექტურია და არც ჯანმრთელობისთვის სასარგებლო. საბოლოოდ, ზედმეტ წონასთან ბრძოლის ყველაზე ეფექტური საშუალება კვებითი ქცევის ახალი და ოპტიმალური მოდელეების შეთვისებაა – ნაკლებკალორიული პროდუქტების მიღება, კვების რეჟიმის რეგულირება და ა.შ. მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ სათქმელად არის აღვილი. გაცილებით ძნელია მისი განხორციელება, ვინაიდან ჩვენ გვაქვს ბუნებრივი, ალბათ გენეტიკურად გაპირობებული მიდრეკილება შიმშილის გამომწვევი ამა თუ იმ ფაქტორის

მიმართ. გავრცელებული შეხედულებით, არსებობს ინდივიდების ორი ტიპი. ერთნი ჭამას იწყებენ უპირატესად გარეგანი (ექსტერნალური) ფაქტორების გავლენით, მეორენი – უფრო შინაგანი (ინტერნალური). დადგენილია, რომ მსუქან ადამიანებს, ჩვეულებრივ, ჭამის სურვილი დღე-ღამის დროის მიხედვით აღძვრებათ, ისინი მძაფრად რეაგირებენ მადის აღძვრულ არომაგებზე, ხმებზე, იმაზე, თუ როგორ გამოიყურება საჭმელი და ა.შ. გამხდარი ადამიანები უფრო შინაგან, ორგანიზმიდან მომდინარე სტიმულებზე რეაგირებენ, მაგალითად კუჭის სპაზმებზე ან შიმშილის გამომწვევი ინსულინის მაგებაზე სისხლში.

ხანგრძლივი შიმშილი სპეციფიკურ ფსიქოპათოლოგიურ ცვლილებებს იწვევს. აქ სამი პერიოდი გამოიყოფა. პირველია ცნობიერებაში შიმშილის კომპლექსის დომინირება. შემდეგ ჩნდება ბავშვობაში დაბრუნების განცდა და საჭმელთან დაკავშირებული ილუზიები და ქალუსინაციები. ბოლოს, ადამიანები ხდებიან ყველაფრისადმი უგრძობნი, აპათიურები და უმოძრაოები. დაკვირვებები მოწმობს, რომ ხანგრძლივი შიმშილი იწვევს მდგრად ხასიათობრივ ცვლილებებს. ჭამის თემა და შიმშილის შიში პიროვნების გამოკვეთილ ნიშნად იქცევა. არსებობს ექსპერიმენტული მონაცემებიც. ერთ-ერთ გამოკვლევაში 32 მოხალისეს ექვსი თვის განმავლობაში მკაცრად შეზღუდული რაოდენობით ეძლეოდათ საკვები. დიდი ინდივიდუალური განსხვავებების მიუხედავად, ყველას აღენიშნებოდა თავის ტკივილი, გაღიზიანებადობა, სექსუალური გულგრილობა, გამძაფრებული ინტერესი კულინარული ელემენტის შემცველი ლიგერატურისადმი, ეთიკური კონტროლის დაქვეითება (თავი იჩინა ცულმა მანერებმა ჭამისას პირის წკლპუნი, თეფშის ალოკვა და სხვა). საინტერესოა, რომ გესგირებამ არ გამოაფლინა ინტელექტის დაწევა, თუმცა გაუარესდა დამახსოვრებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარი.

თავის მხრივ, ფსიქიკური ფაქტორები, სახელდობრ, პიროვნების წყობა (საკუთარი თავის ფლობის უნარი, საქმიანი თვისებები, რწმენისა და იდეურობის დონე), საგრძნობ გავლენას ახდენს მშვიდი ადამიანის ქცევის თავისებურებებზე. იმათგან, ვინც საშიშროლოდ არის განწირული, ის ვადარჩება, ვინც არ ვარდება პანიკაში, ინარჩუნებს სიმტკიცეს და სულიერი ფასეულობებისადმი პატივისცემას. ეს გასაგებს ხდის გასაოცარ სტაგისტიკას, რომლის მიხედ-

ვით კატასტროფის შემდეგ წყლისა და საკვების გარეშე დარჩენილ ადამიანთა 90% პირველ სამ დღეში იღუპება, ანუ უფრო ადრე, ვიდრე მათ უწყლობა და, მით უფრო, უკმელობა მოკლავდა.

სექსუალური მოტივაცია და ქცევა

როგორც აღინიშნა, სექსუალური ლგოვა ბუნებრივია, მაგრამ არა აუცილებელი იმ მხრივ, რომ მისი დაუკმაყოფილება ორგანიზმის დაღუპვას არ იწვევს. თუმცა, ეს მოტივაცია აუცილებელია გამრავლებისთვის, ე.ი. სახეობის არსებობისთვის, საბოლოო ჯამში კი მისი ცალკეული წარმომადგენლებისთვისაც. ინდივიდი ვერ იარსებებდა, თუ მისი მშობლები არ განახორციელებდნენ სქესობრივ ქცევას. სექსუალური მოტივაცია კი ამ ქვევის აღმძვრელია. მისი რთული ფიზიოლოგიური მექანიზმი მოიცავს ჰიპოთალამუსს, რომელიც აკონტროლებს ჰიპოფიზს და ჯირკვლების სისტემას. სექსუალური მოტივაციისა და ქცევის რეგულაციაში უდიდეს როლს თამაშობს ჰორმონები. მათ შორის ძირითადია გესტოსტერონი (მამაკაცის ჰორმონი) და ესტროგენი (ქალის ჰორმონი). მამაკაცისა და ქალის სისხლში ორივე მათგანი არსებობს, მაგრამ სხვადასხვა კონცენტრაციით, რაც განაპირობებს მათ ფიზიოლოგიურ და ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. გესტოსტერონი მასკულიზურ ფეექტს იძლევა, ესტროგენი – ფემინურს. მათი გავლენა შესამჩნევია ხანმოკლე მოტივაციურ პროცესზე (აღზნება), მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია სქესობრივი ცხოვრების გრძელვადიანი პერპეტუაციების კუთხით (მაგ, სექსუალური ინტერესის გაცხოველება გარდამავალ ასაკში ან მისი დაბრუნება სიბერეში). საინტერესოა, რომ ჰორმონებსა და სექსუალურ აგზნებას შორის ორმხრივი კავშირია. მაგალითად, გესტოსტერონი ზრდის აგზნების დონეს. თავის მხრივ, ამ ჰორმონის ოდენობა მკვეთრად მაგულობს სექსუალური სტიმულაციის დროს – ეროტიკული სცენების აღქმისას ან წარმოსახვისას.

სექსუალურ სტიმულებზე რეაქცია ოთხ სტადიას გაივლის: აგზნება, აგზნების გაზრდა, ორგაზმი და მოდუნება. ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური განსხვავებების მიუხედავად, რეაქციის საერთო სურათი და სათანადო განცდებიც ქალებსა და მამაკაცებში არსებითად მსგავსია. თუმცა გავრცელებულია რწმენა,

რომ მამაკაცებში სექსუალური ლტოლვა უფრო ძლიერ არის გამოხატული. კაცები და ქალები სხვადასხვა მნიშვნელობას ანიჭებენ ინტიმურ კავშირს – კაცებისთვის უფრო გრძნობად-სხეულებრივი ასპექტებია წამყვანი, ქალებისთვის – ემოციური სიტბო; თუმცა ეს მხოლოდ სტატისტიკური განსხვავებებია, კონკრეტულ ინდივიდებში შესაძლოა ყველაფერი სხვაგვარად იყოს. გენდერული განსხვავებები არსებობს ქცევით პლანშიც, თუმცა არც ისეთი დიდი, როგორც აქამდე ეგონათ. ანონიმური გამოკითხვებით გამოირკვა, რომ ბევრი ქცევითი მოდელი, რომელიც ძირითადად მამაკაცებს მიეწერებოდა, არანაკლებ დამახასიათებელია ქალებისთვისაც. სექსუალური მორალის ლიბერალიზაციასთან ერთად ეს განსხვავებები სულ უფრო მცირდება, მაგრამ გარკვეული ხარისხით მაინც არსებობს. ერთ-ერთ გამოკვლევაში ექსპერიმენტატორის სამუშაო გარეგნობის ასისგნებები ფლორიდის უნივერსიტეტის გერიგორიაზე მიდიოდნენ საწინააღმდეგო სქესის სიმპატიურ ინდივიდებთან და პირდაპირ სთავაზობდნენ მათთან ღამის გატარებას. ყველა ქალმა უარყო შეთავაზება; უმეტესობა შეურაცხყოფილიც დარჩა. ხოლო მამაკაცების 75%-მა კმაყოფილებით მიიღო შეთავაზება. გადასამოწმებლად ექსპერიმენტი მოგვიანებით რამდენჯერმე გაიმეორეს არსებითად იმავე შედეგებით.

სექსუალური ქცევის ბიოლოგიური ფუნქცია გამრავლებაა. სქესობრივი სიამოვნება ამ ქცევის ერთ-ერთი მოტივაციური მექანიზმია. ამასთან აღსანიშნავია, რომ სიამოვნების ელემენტი ადამიანთან გამოეყო ბიოლოგიურ ფუნქციას და დამოუკიდებელი მნიშვნელობა შეიძინა. ეს ძლიერ განსაზღვრავს ადამიანის სექსუალური მოტივაციისა და ქცევის სპეციფიკას. კიდევ ერთი მოტივაციურ-ემოციური მექანიზმია სიყვარული. იგი ფოკუსირებას ახდენს ერთ პარტნიორზე და მასთან ხანგრძლივი ინტიმური ურთიერთობის პირობას ქმნის.

სიყვარულის გამოვლინებათა არაერთი კლასიფიკაცია არსებობს. საყოველთაოდ მიღებული არც ერთი არაა. მაგალითად, ერთ-ერთი სისგემის თანახმად, სასიყვარულო ურთიერთობა სამ ძირითად კომპონენტს შეიცავს, ესენია სიახლოვე, ვნება და ვალდებულება პარტნიორის მიმართ. ამასთან ფსიქოლოგთა დიდ ნაწილს მიაჩნია, რომ არსებობს სიყვარულის ემოციურ-მო-

გეოციური მდგომარეობის სულ ცოცხა ორი, ძალზე ზოგადად განსაზღვრული კატეგორია: 1. ვნებით აღძრული რომანტიკული სიყვარული და 2. ამხანაგობაზე, ურთიერთნდობასა და ზრუნვაზე დამყარებული მეგობრული სიყვარული.

რომანტიკული სიყვარული რთული ფსიქიკური მდგომარეობაა. მისთვის დამახასიათებელია: 1) გრძნობების, აზრებისა და მოქმედებების აკვიატებული კონცენტრირება სიყვარულის ობიექტზე იმ ზომით, რომ ეს ხშირად სხვა საზრუნავის უგულვებლყოფას იწვევს. 2) უკიდურესი სუბიექტურობა, რის გამოც აღიქმება უპირატესად სიყვარულის ობიექტის დადებითი თვისებები, უარყოფითი კი იჩქმალება, ნეიგრალიზდება და პოზიტიურადაც კი ფასდება. 3) ეიფორიული ან ამალღებული გუნება-განწყობილება. 4) სექსუალური ლტოლვა სიყვარულის ობიექტის მიმართ. ბოლო ორი მომენტი და ის, რომ სიყვარულის აცილება და კონკროლი შეუძლებელია, მიანიშნებს ამ მდგომარეობის ორგანიზმულ ძირებზე. მართლაც, გარკვეულია რომ ამ დროს გამოიყოფა ისეთი ჰორმონები, რომელთა ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური ეფექტი ნარკოტიკული ზემოქმედების ადეკვატურია. მაგრამ ამ ნივთიერებათა გამომუშავება მუდმივად არ ხდება. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში, სიყვარულის გრძნობის სიმძაფრე 2-3 წლის გასვლისას კლებულობს. ეს ეთანხმება 62 სხვადასხვა კულტურის მონაცემებს, სადაც განქორწინებათა პიკი მეოთხე წელზე მოდის.

ამავე დროს, ქორწინებათა უმეტესობა ამ კრიტიკულ ზღვარზე ხანგრძლივია. ეს იმიტომ, რომ მეუღლეებს შორის მყარდება უფრო ღრმა, მჭიდრო და სტაბილური კავშირი. ფიზიკურ ლტოლვასთან ერთად იგი დაფუძნებულია თანაცხოვრების პროცესში გამომუშავებულ სიახლოვესა და ერთგულებაზე. “ვნებათა ქარიშხლის” გასვლის მერე, როცა აღარ არის არც სიახლე და სიურპრიზები, არც თავგადასავალი და წინააღმდეგობები იმათ გარდა, რომლებიც ყოველდღიური ცხოვრების ყოფით პრობლემებს უკავშირდება – რომანტიკული სიყვარული თანდათან ქრება. მას შეიძლება მოჰყვეს გულგრილობა ან გამოკვეთილი მგრობა (რაც ხდება კიდევ გაყრის საფუძველი). მაგრამ საკმაოდ ხშირად, რომანტიკული სიყვარული ვარდაიქმნება მეგობრულ სიყვარულში. ეს უფრო წყნარი და მყარი ემოციურ-მოტივაციური მდგომარეობაა, რომელშიც რომანტიკული სიყვარულისთვის დამახასიათებელი იდეალური წარ-

მოდგენები და უანგაზები კი არ თამაშობს მთავარ როლს, არამედ შეხედულებებისა და ინტერესების საერთოობა, ურთიერთდამინტერესებულობა და პატივისცემა, ერთად ცხოვრებით გამოწვეული ნდობა. მოსიყვარულე წყვილი ცდილობს იცხოვროს კიდევ უფრო ბელნიერად ვიდრე მანამდე, რამდენადაც ეს შესაძლებელია რეალურ და არა გამოგონილ სამყაროში.

ჩვენ ყველა არ გვიყვარდება. რაზეა ამ შემთხვევაში ჩვენი გემოვნება დაფუძნებული? ამას ნაწილობრივ ნათელყოფს ევოლუციური ფსიქოლოგია, რომლის თანახმად ადამიანების სექსუალური მოტივაციისა და ქცევის თავისებურებები ჩამოყალიბდა ევოლუციის პროცესში შთამომავლობის გაჩენის, შენარჩუნებისა და შემდგომ თაობაში მშობლების გენების გადაცემის ამოცანებთან დაკავშირებით. ეს გასაგებს ხდის განსხვავებებს იმ მოთხოვნებში, რომლებსაც ქალები და კაცები უყენებენ მათ პარტნიორებს ფიზიკური, ფსიქიკური და სოციალურ თვალსაზრისით. სექსუალური მიმზიდველობის კრიტერიუმები მართლაც საგრძნობლად განსხვავებულია. მრავალ კულტურაში ჩატარებული გამოკვლევა ცხადყოფს, რომ საზოგადოდ მამაკაცები ქალებზე მეტ ყურადღებას აქცევენ პარტნიორის გარეგნულ მხარეს. ისინი ამ საკითხშიც სხვადასხვა კრიტერიუმებით ხელმძღვანელობენ. მამაკაცები უპირატესობას ანიჭებენ ქალების ისეთ პროპორციებს, რომლებიც ოპტიმალურია შეილის ყოლის და მოვლის თვალსაზრისით (წელისა და თეძოების ინდექსი – 0,7; მრგვალი მკერდი და სხვა); ქალები მეტ ყურადღებას აქცევენ პარტნიორის იმ თვისებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მის დაცვას (ძალა, ათლეტური აგებულება, სიმაღლე, ჯანმრთელობა). მამაკაცები ძირითადად თავისზე ახალგაზრდა თანამგზავრს ირჩევენ; ქალებს ურჩევნიათ, რომ მამაკაცი მათზე უფროსი იყოს. ქალები გაცილებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტნიორის სოციალურ სტატუსს, მის ფინანსურ მდგომარეობას და, შესაბამისად, ისეთ პიროვნულ თვისებებს, როგორცაა ამბიციურობა, შრომისმოყვარეობა და ინტელექტი; აგრეთვე სტაბილობა და ერთგულება, რაც იმის ერთგვარი გარანტიაა, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში იგი შეეცდება უზრუნველყოს ოჯახი მატერიალური რესურსებით.

§ 4. ქვევის სახეები და ფორმები

ქვევის მრავალი სახე და ფორმა არსებობს. მათი ურთიერთ-გამიჯვნა ორი მთავარი პრინციპის საფუძველზეა შესაძლებელი. ერთ შემთხვევაში საქმე ეხება აქტივობის ორგანიზაციისა და რეგულაციის ხასიათსა და ღონეს, მეორე შემთხვევაში – ქვევის შინაარსობრივ მხარეს, ანუ იმას, თუ რაზეა იგი მიმართული, რას ემსახურება. აქ გამოიყოფა ქვევის ისეთი ფორმები, როგორცაა თამაში, შემოქმედება, სწავლა, შრომა და ბევრი სხვა. მათ დახასიათებაზე აქ არ შეეჩერდებით. რაც შეეხება ქვევის ორგანიზაციისა და რეგულაციას, აქ ჩვეულებრივ, გამოიყოფა ორი ღონე შესაბამისად იმპულსური და ნებელობითი ქცევა. იმპულსური ქვევის ძირითადი ნიშანია მისი უშუალო და უნებლიე ხასიათი. ჩნდება თუ არა მოთხოვნილების იმპულსი, იგი უშუალოდ, სუბიექტის მიერ მისი შეფასებისა და კონტროლის გარეშე გადადის მოქმედებაში. ნებელობითი ქცევა, პირიქით, სუბიექტის მიერ განზრახული, მიზანდასახული, გაცნობიერებული აქტივობაა. სუბიექტი ჯერ შეაფასებს სიგუაციას, აწონ-დაწონის შესაძლო ქცევას, რის შედეგად გამოიგანს გადაწყვეტილებას, განიზრახავს ქცევას და ამის თანახმად იმოქმედებს. მოთხოვნილების იმპულსი ამ შემთხვევაში უშუალოდ არ გადადის ქცევაში, მას სუბიექტი უწევს კონტროლს; იგი ან თავს შეიკავებს იმპულსის შესაგყვისი ქცევისაგან, ან, თუ მიზანშეწონილად მიიჩნევს, შეასრულებს სათანადო ქცევას, მაგრამ ამას, გააზრებულად, საკუთარი გადაწყვეტილების საფუძველზე გააკეთებს.

როდესაც მოწყურებული ადამიანი დაინახავს ჭიქას წყლით და მაშინვე, მოუფიქრებლად იღებს და სვამს, ეს იმპულსური ქცევაა; მაგრამ, როცა იმავე მდგომარეობაში მყოფი ადამიანი ჯერ გამოარკვევს, რა წყალია ეს, სუფთაა თუ არა ჭიქა და ა.შ. და, ჩათელის რა მიზანშეწონილად, დალევს წყალს – ეს უკვე ნებელობითი ქცევაა. პირველ შემთხვევაში ქცევა თავის გამართლებას უშუალოდ, თავისთავად, მე-ს აქტიური მონაწილეობის გარეშე იძენს; მეორე შემთხვევაში ნებელობითი ქვევის მოტივის, ანუ მისი სუბიექტური ღირებულების ჩამოყალიბება პიროვნების აქტიურ მონაწილეობას მოითხოვს. სუბიექტი აცნობიერებს და აფასებს ქვევის ხელშემწყობ თუ შემაფერხებელ გარემოებას, რომე-

ლიც ეხება აქტივობასთან დაკავშირებულ მოთხოვნილებებს, სიგუაციას და ფსიქოფიზიკურ შესაძლებლობებს.

ნებელობითი ქცევის მოტივის შემუშავება უფრო ადვილად მიმდინარეობს, როცა შესაფასებელი მარტო ერთი ქცევაა და საკითხი მსოლოდ მისი შესრულების გეჭნიკურ მხარეს ეხება. ასეთ დროს ადამიანს ეჭვი არ ეპარება ქცევის საჭიროებაში და მსოლოდ ქცევის განხორციელების პირობებს აფასებს. გაცილებით რთულია ნებელობითი ქცევის ის შემთხვევა, როცა პრობლემა ე.წ. მოტივაციური კონფლიქტის მოგვარებას ეხება, ანუ როდესაც ერთმანეთს უპირისპირდება ორი ან მეტი მოთხოვნილება და მათი შესაბამისი ქცევა. არჩევანი ამ შემთხვევაში იმის საფუძველზე კეთდება, თუ რომელ მათგანს აღმოაჩნდება სუბიექტისთვის მეტი მნიშვნელობა. ამის გამოვლენა ხშირად მეგად რთულია, ვინაიდან ამ ვითარებაში გადაწყვეტილების მიღება სხვა სურვილებზე უარის თქმას ნიშნავს. ეს საკმაოდ ძნელია, მით უფრო მაშინ, თუ ალტერნატიული მოთხოვნილებები ძლიერია.

მოტივაციური კონფლიქტის დაძლევის შედეგად აღმოცენებული ქცევის დახასიათება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის მოთხოვნილებებს მიანიჭა სუბიექტმა უპირატესობა. არა უბრალოდ განზრახულ, არამედ ჭეშმარიტად ნებელობით ქცევასთან მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც პიროვნება მაღალ, პიროვნულ მრწამსზე დაფუძნებულ მისწრაფებათა სასარგებლოდ იღებს გადაწყვეტილებას; ეს მისწრაფებები ხშირად ნაკლებად მძაფრად განიცდება, ვიდრე ბიოლოგიური მოთხოვნილებები. სწორედ ამ შეთხვევაში ვლინდება ნათლად თვითრეგულაციის, თვითშეკაფების უნარი, ანუ უნარი აკეთო ის, რაც, შესაძლოა, ამჟამად ნაკლებად გსურს, მაგრამ რასაც მეტი პიროვნული მნიშვნელობა და ღირებულება აქვს. ნებისყოფის პრობლემა ისაა, თუ როგორ ახერხებს ამას ადამიანი.

ამ უნარის რეალური ფსიქოლოგიური ბუნების გახსნა მეცნიერებამ ჯერ-ჯერობით ვერ მოახერხა. მუსგად არ არის ცნობილი, თუ რა მექანიზმებს ეყრდნობა ნებელობა. ამიგომ თანამედროვე ფსიქოლოგიაში გაურბიან ნებისყოფის “მისტიკურ” და “ამოუცნობ” უნარზე ლაპარაკს და გულისყურს ემპირიულად მოცემული, გამოშვადი მოტივაციური გენდენციების გამოვლენასა და შესწავლაზე მიმართავენ. ამავე დროს, ზოგიერთი თანამედ-

როვე მიმდინარეობის ფარგლებში (მაგ., ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში), კელაეაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნებისყოფისა და, განსაკუთრებით, ნების თავისუფლებაზე მსჯელობას. ასეა თუ ისე, მიუხედავად იმისა, თუ რა სირთულეებს წარმოშობს მეცნიერული კელევისას ნებისყოფის პრობლემა, მისი უგულებელყოფა არ უნდა იყოს მართებული თუნდაც იმიტომ, რომ ყოველდღიური ცხოვრება საეცება თვითრეგულაციისა და თვითშეკავების თვალსაზირო მაგალითებით. ვთქვათ, ახლა, ამ სახელმძღვანელოს კითხვისას, სხვა მოთხოვნების დაკმაყოფილება და სხვა უფრო საინტერესო ქცევის განხორციელება გსურთ, მაგრამ მაინც კითხულობთ მას, რადგან გამოცდა გაქვთ ჩასაბარებელი. ამას კი თქვენი პიროვნების მომავალი პერსპექტივებისათვის მეტი სუბიექტური ღირებულება აქვს, ვიდრე აწმყო სიამოვნებას.

ნებელობის არსებობაზე დამარწმუნელად მიანიშნებს ფსიქოპათოლოგიური მასალაც. არსებობს დაავადება – აპრაქსია, რომელიც არსებითად ნებელობითი მოქმედების უნარის შესუსტებას ან სრულ დაკარგვაში მდგომარეობს. აპრაქსიის გამოვლინებაა, როცა ადამიანი იმპულსურად, სათანადო მოთხოვნელებითა და სიგუაციით ნაკარნახევ ყოველ მოქმედებას ნორმალურად ასრულებს, მაგრამ, როცა შესაბამისი იმპულსი არ არსებობს, და იგი იძულებულია იგივე მოქმედება ნებელობით განხორციელოს, უკვე გადაულახავ წინააღმდეგობას აწყდება. მაგალითად, როდესაც ყინვაში გასულ ავადმყოფს შესცივდება, იგი იმპულსურად თავისთავად შეიკრავს ქურთუკზე ღილებს, მაგრამ თბილ ოთახში ამას ვერ გააკეთებს, მიუხედავად ექიმის დაჟინებული მოთხოვნისა. ასევე, ნებისმიერად ვერ დახუჭავს თვალებს, თუ ეს ექიმს მისი გასინჯვისას სჭირდება, ხოლო როცა ძილი მოერევა, თვალებს იმპულსურად ხუჭავს. ერთი სიგყვით, ნებისყოფის უნარის დარღვევის გამო ავადმყოფი თავისი იმპულსების მონა ხდება, იგი ვერ ეუფლება საკუთარ ქცევას.

დასრულებული ნებელობითი ქცევა სამ პერიოდს შეიცავს. პირველ პერიოდს შესაძლებელ ქცევათა გაცნობიერება და მათი შეფასება შეადგენს. რა უპირატესობა ან ნაკლი აქვს ამა თუ იმ ქცევას? როგორ მოვიქცე? მაგალითად, წვეულებაზე წავიდე თუ სახლში დაერჩე და ვიმეცადინო. შესაძლო ქცევები ამ პერიოდში ამროვნების საგანს წარმოადგენენ; სუბიექტი მსჯელობს სხვა-

დასსვა შესაძლებელი ქცევის ღირებულებაზე. ეს ძირითადად გონებრივი პროცესია, რაც არ კმარა იმისთვის, რომ ადამიანმა იმოქმედოს; საჭიროა გადაწყვეტილების გამოგანა.

მეორე პერიოდს გადაწყვეტილების გამოგანა შეადგენს. შეფასება, რომელიც პირველ პერიოდში განხორციელდა, მხოლოდ მოსამზადებელი ფაზაა მეორე პერიოდისთვის – გადაწყვეტილების გამოგანისთვის. გადაწყვეტილება მიიღება პირველ პერიოდში შესრულებული შეფასების საფუძველზე. მაგრამ გადაწყვეტილების აქტი სპეციფიკური ფსიქოლოგიური პროცესია. იგი სხვა ფსიქიკურ მოვლენებზე ვერ დაიყვანება. არსებობენ სუსტი ნებისყოფის, გაუბედავი ადამიანები, რომლებსაც საზოგადოდ უჭირთ გადაწყვეტილების გამოგანა, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება პირველ პერიოდში ძალიან გონივრულად იმსჯელონ და სწორად შეაფასონ შესაძლო მოქმედებები. ასეთი ადამიანები მერყეობენ ხოლმე გადაწყვეტილების გამოგანის დროს, აწუსებით გადაწყვეტილების გამოგანის საჭიროება, გაურბიან პასუხისმგებლობას და ა.შ.

გადაწყვეტილების აქტის სპეციფიკურობა განსაკუთრებით ნათლად ჩანს ამ უნარის პათოლოგიური დარღვევის შემთხვევაში, რასაც აბულია ეწოდება. აბულით შეპყრობილ პირს არ შეუძლია გადაწყვეტილების გამოგანა სულ უბრალო შემთხვევაშიც კი. მაგალითად, იგი ვერ გადაწყვეტს, ამ საღამოს გააკეთოს საქმე, რომელიც ხეალ დილით შეიძლება გაკეთდეს, თუ დროზე დაიძინოს და ხეალ აღრეულად შეუდგეს მის კეთებას. იგი გონივრულად მსჯელობს ამ საკითხზე, მაგრამ არჩევანს ვერ აკეთებს და მანამ ყოყმანებს, სანამ გადასაწყვეტიც არაფერი ექნება.

გადაწყვეტილების გამოგანა საკმარისი არ არის მისი შესრულებისათვის. ნებისმიერი ქცევის მესამე პერიოდს გადაწყვეტილების შესრულება შეადგენს. ამ პროცესში უნდა წარმოებდეს მუდმივი კონტროლი იმაზე, თუ რამდენად მიზანშეწონილად ხორციელდება ქცევა. ამისთვის მხედველობაშია მისაღები ის, თუ როგორ ცვალებადობს სიგუაცია, რა ემართება მოტივაციას და სუბიექტის შესაძლებლობებს. ამის მიხედვით ხშირად საჭირო ხდება ქცევის სხვადასხვა უბნებში ჩარევა და მათი კორექტირება. გადაწყვეტილების შესრულებას ბევრი სირთულე ახლავს. ნებისყოფა მნიშვნელოვანწილად მათ გადალახვაში ვლინდება. ამ მხრივ გადამწყვეტ როლს ქცევის თვითრეგულაციის მექანიზმები თამაშობს.

თავი X. ემოციები

§ 1. ემოციური პროცესების ზოგადი დახასიათება

სიხარული, შიში, სიყვარული, გაკვირვება, სირცხვილი, დარდი, თანაგრძნობა, ძრწოლა, იმედი, სინანული, სიამაყე, ეჭვიანობა, აღშოთება – ეს ყველაფერი გრძნობები ანუ ემოციებია და მათ გარეშე არ არსებობს ცხოვრება. მაშ, რა ადგილი უკავია ემოციებს, რა დანიშნულებას ასრულებენ ისინი, რით განსხვავდებიან სხვა ფსიქიკური ფუნქციებისაგან, ისეთებისაგან, როგორც აღქმა, მეხსიერება, აზროვნება?

ეს უკანასკნელი ფუნქციები შემეცნებითი, ანუ კოგნიტური ფუნქციებია. ისინი სუბიექტისაგან დამოუკიდებელი ობიექტის ასახვას, შემეცნებას ემსახურებიან. მაგალითად, ადვიქვამთ ოთახს და ნივთებს მასში, ვიმახსოვრებთ გელეფონის ნომერს ან ადამიანის გარეგნობას, ვმსჯელობთ და გამოგვყავს მათემატიკური ამოცანა. ყველა ამ შემთხვევაში რაც უფრო მუსტად იქნება ასახული ობიექტი (ოთახი, ნომერი, სახე, ამოცანის პირობები) მით უფრო ეფექტური, წარმატებული იქნება შესაბამისი ფუნქციის მოქმედება. შემეცნებითი ფსიქიკური პროცესები სარკესავითაა, რომელშიც სინამდვილე აირეკლება დაახლოებით ისე, როგორც ის არის. განა შეიძლება იგივე ითქვას ჩვენს გრძნობებზე, მაგალითად სევდაზე ან სიხარულზე? მართალია, ემოციებსაც ობიექტი იწვევს, მაგრამ ისინი უფრო ამ ობიექტისადმი ჩვენს დამოკიდებულებას ასახავენ, ვიდრე თვით ობიექტს. მოსწონს თუ არა ადამიანს ის, რასაც სარკეში ხედავს, არაა დამოკიდებული სარკეზე, იგი არ აძლევს შეფასებას მასში ასახულს. ემოცია კი სწორედ ამას აკეთებს. ემოცია შინაგანი მდგომარეობაა, რომელიც გარე და შიდა მოვლენებისადმი ჩვენს დამოკიდებულებას ასახავს. იგი ინდივიდის მდგომარეობაა და უფრო სუბიექტურია, ვიდრე სხვა ფსიქიკური პროცესები.

ემოციის ამ თვისების გამო მისი შესწავლა ერთობ გაძნელებულია. სირთულეები უკვე იმ საკითხის გარკვევისას იწყება, თუ რა მივაკუთვნოთ ემოციებს. არა მხოლოდ ყოფითი ფსიქოლოგია, არამედ მეცნიერულ აზრიც ხშირად უკავშირებს გრძნობებს ისეთ ძლიერ განსხვავებულ ფენომენებს, როგორცაა ტკივილი და ირონია,

სილამაზე და დარწმუნებულობა, შეხება და სამართლიანობა. “შეგრძნების ორგანოს” “გრძნობის ორგანო”, ე.ი. გერმინების ღონეზე მაინც, ეს პროცესები თითქოს გაიგივებული იყო. ეს ფრიად ნიშანდობლივია და არაშემთხვევითი. შეგრძნება მართლაც მჭიდრო კავშირშია გრძნობასთან, იმდენად, რომ ზოგჯერ მათი განცალკევება უკიდურესად ძნელი ხდება. მაგალითად, ფერით ან ბგერით გამოწვეულ სიამოვნებისა თუ უსიამოვნების გრძნობას შედარებით ადვილად გაეარჩევთ თვით ფერისა ან ბგერისაგან, მაგრამ კანის ჩხვლეტის, მოფერების, ღიგინის, განსაკუთრებით კი საჭმლის მომწველელი თუ სქესობრივი სისტემების ორგანულ შეგრძნებათა ან, საზოგადოდ, ფიზიკური თვითგრძნობის შემთხვევაში, შეგრძნებები და შესაბამისი გრძნობები უბრალოდ ერწყმიან ერთმანეთს. საუბარია გრძნობათა ყველაზე პრიმიტიულ და ფილოგენეტიკურად უძველეს სახეობაზე – ე.წ. “შეგრძნებათა ემოციურ ტონზე”. ემოციური ტონი ასლავს შეგრძნებებს, როგორც სიამოვნების ან უსიამოვნების განცდა და იმის მაჩვენებელია, სასარგებლოა თუ მავნებელი ორგანიზმზე განხორციელებული ზემოქმედება. ამდაგვარი სიგნალიზაციის ბიოლოგიური, შეგუებითი მნიშვნელობა ნათელია; მისი მეშვეობით ცოცხალი არსება შერჩევითად მოქმედებს სხვადასხვა გამღიზიანებლებისა და ობიექტების მიმართ. მართალია, საგნის სარგებლიანობასა და გრძნობის ნიშანს შორის არსებული შესაგყვისობა არაა მთლად ზუსტი: ზოგიერთი მავნე ნივთიერების გემო შეიძლება სიამოვნების გრძნობას იწვევდეს, ხოლო სასარგებლო პროდუქტის გემო და სუნი – უსიამოვნებისა. თუმცა ეს მაინც გამოწვევად არაა მთლად ზუსტი: ზოგიერთი მავნე ნივთიერების გემო შეიძლება სიამოვნების გრძნობას იწვევდეს, ხოლო სასარგებლო პროდუქტის გემო და სუნი – უსიამოვნებისა. თუმცა ეს მაინც გამოწვევად არაა მთლად ზუსტი: ზოგიერთი მავნე ნივთიერების გემო შეიძლება სიამოვნების გრძნობას იწვევდეს, ხოლო სასარგებლო პროდუქტის გემო და სუნი – უსიამოვნებისა.

ემოციურად შეფერილია არა მხოლოდ შეგრძნება, არამედ ყველა სხვა, უფრო მაღალი რანგის ფსიქიკური პროცესი თუ მოვლენა – აღქმის ხაგები, მეხსიერებისა თუ ფანტაზიის წარმოდგენები, სურვილ-მისწრაფებები, აზრები... საზოგადოდ მთელი ფსიქიკური ცხოვრება გამსჭვალულია ემოციებით, ეინაიდან სულიერი ინდივიდი ვერ იქნება გულგრილი და მიუკერძოებელი იმის მიმართ, რაც ხდება მის გარეთ და მის შიგნით. ემოცია ინდივიდის დამოკიდებულებას და, მამასადამე, მიკერძოებას, დაინტერესებას გამოხატავს. სულიერს ესაჭიროება განცდისეული

შეგყობინება იმის შესახებ, როგორ უნდა წარიმართოს და როგორ მიმდინარეობს მისი შეგუება გარემოსთან, როგორ ხორციელდება ქცევა. ემოცია ამის სიგნალიზაციაა. ემოცია უშუალოდ არის ჩართული ქცევის რეგულაციის პროცესში მთელს მის გაყოლებამდე. იგი თავს იჩენს ქცევის საწყის ეტაპზე იმით, რომ მონაწილეობს ქცევის მოგივირებაში, აღძვრაში. ემოცია ქცევას იმპულსს აძლევს – ამბობდა დიდი ქართველი ფსიქოლოგი, დიმიტრი უზნაძე უდიდესია ემოციების როლი ქცევის მიმდინარეობის პროცესშიც – ისინი გვაგყობინებენ მოქმედების წარმატება-წარუმატებლობის შესახებ სპეციფიკური, დიფერენცირებული განცდების საშუალებით (კმაყოფილება, სიხარული, ტკობა, ნეტარება, სიყვარული – უკმაყოფილება, მიზღი, ტანჯვა, ბრაზი, რისხვა, შიში, თავმარი და სხვა). ამრიგად, ისევ უზნაძე რომ დავიმოწმთ, გრძნობა ორ პლანში გვევლინება: “პირველად ის თავს იჩენს, როგორც სტიმული, რომელიც ფსიქიკურად გვეძლევა, როგორც სტიმული განწყობის შესაგყვისი ქცევის გაშლისა. იგი წინ უსწრებს ქცევას. მეორეჯერ ის თან ახლავს ქცევას იმის საჩვენებლად, როგორ მიმდინარეობს ეს ქცევა, რას გვაძლევს – ხელსაყრელია თუ არა იგი ინდივიდისთვის”.

რამდენადაც ქცევის შეფერხებებსა და წარუმატებლობაზე სიგნალიზაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ინდივიდისთვის, უარყოფითი ემოციები ბევრად მეტია დადებითებზე, რაც აგრეთვე ემოციების შეგუებით ბუნებაზე მიუთითებს. ვარდა ამისა, ჯანმრთელობა ერთია, ხოლო სნეულება – ათასობით. ამიგომაცაა, რომ ყველა ენაში უარყოფითი გრძნობების ლექსიკა გაცილებით მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანია, ვიდრე დადებითისა.

როგორ ახერხებს ემოცია თავისი ფუნქციების შესრულებას? პირველ რიგში იმის წყალობით, რომ უშუალოდ არის დაკავშირებული სხეულებრივ პროცესებთან. არც ერთი ფსიქიკური მოვლენა არ არის ესოდენ მჭიდრო კავშირში ორგანიზმთან. სხეულებრივი ასპექტის გათვალისწინების გარეშე ემოციის დახასიათება შეუძლებელია. თანამედროვე შეხედულებებით ემოციის ფსიქიკური განცდა და სხეულებრივი პროცესები ერთიანობას ქმნიას. თუმცა მეცნიერული ანალიზი მაინც სვამს საკითხების რიგს მათი ურთიერთმიმართების ბუნების შესახებ: რომელი რომელს მოჰყვება: ემოციურ-განცდითი თუ სხეულებრივი რეაქ-

ცია, ან იქნებ ისინი ერთდროულად აღმოცენდებიან? როგორია სხეულის სხვადასხვა სისტემების როლი (კუნთური, ორგანული, ნერვული...) ემოციურ რეაგირებაში? ახასიათებს თუ არა სხვადასხვა ემოციას სპეციფიკური სხეულებრივი გამოვლინების პატერნი (ნიმუში, მოდელი)? როგორ ხორციელდება ურთიერთზემოქმედება და რა შედეგები მოაქვს?

ამ და სხვა საკითხებზე მეცნიერებაში ამრთა სხვადასხვაობაა, თუმცა უკვე არსებობს მნიშვნელოვანი მეცნიერული მონაცემები. მაგალითად, 1950-იან წლებში ესპანელმა ნეიროფსიქოლოგმა ხოესე დელგადომ მიაგნო თავის გვინში “დამშვიდების ცენტრს”. მათში ელექტროდების ჩანერგვით იგი არეგულირებდა ცხოველების აგრესიულობას. ცნობილია, რომ მეცნიერი გამოდოდა კორიდის არენაზე და აჩერებდა გამოქანებულ განრისხებულ ხარს თავის სიახლოვეს, ღილაკზე თითის დაჭერით, რითიც რადიოსიგნალი აღიზიანებდა დამშვიდების ცენტრს. ცოტა მოგვიანებით, კანადელმა მეცნიერმა ჯორჯ ოლდსმა ვირთაგვას გვინში მიაგნო “სიამოვნების ზონას”. ცხოველებს შეეძლოთ მისი გაღიზიანება ბერკეტზე თათის დაჭერით. ამის შედეგად, ისინი იეიწყებდნენ ყველაფერს – ჭამას, წყლის მიღებას, ძილს..., განუწყვეტლივ აღიზიანებდნენ “სიამოვნების ზონას”, სანამ გამოფიგვისაგან არ იხოცებოდნენ. მოგვიანებით ეს ცენტრები სხვა ძუძუმწოვრებშიც აღმოაჩინეს და ადამიანთანაც. გაირკვა აგრეთვე, რომ გვინის ამ ზონაში განლაგებულია ორგანულ მოთხოვნილებათა ცენტრებიც, კერძოდ შიმშილისა და წყურვილის დაკმაყოფილებასთან თუ სექსუალური სიამოვნების მიღებასთან დაკავშირებული სტრუქტურები. ეს ფაქტები ადასტურებს, რომ გრძნობები უშუალოდ მონაწილეობს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე მიმართული აქტივობის მართვასა და ორგანიზებაში.

მაგრამ რა უნდა ვთქვათ იმ შემთხვევაში, როდესაც ემოცია აქტივობის ორგანიზაციის ნაცვლად მის დემორგანიზაციას იწვევს. ძლიერი ემოციების შემთხვევაში, მაგალითად შიშის ან რისხვის აფექტის დროს, ეს საკმაოდ ხშირი მოვლენაა. ემოციური რეაგირება სიგუაციის არაადეკვატური ხდება, ხშირად კი მიზანშეწონილი ქცევა ირღვევა და არაორგანიზებული ან პრიმიტიული ფსიქოფიზიოლოგიური რეაქციების სახეს იღებს. იმის ნაცვლად, რომ გავექცეთ საშიშ ობიექტს – ვშემდებით, ნაცვლად კონფლიქტის გა-

დაწყევებისა – მოგორულ ან ეერბალურ ავრესიას ვავლენტ, ავარიულ სიგუაციაში ეიბნეეით, ვაუმართლებელი და არაადეკვატური რეაქციებით ვპასუხოთ. XX საუკუნის პირველ ნახევარში ბევრი მკვლევარი ამ უარყოფით მხარეს მიიჩნევა წამყვანად ემოციებში და მეტიც, ემოციები მადემორგანიზებულ ფუნქციად მიანდა. მაგრამ ემოციისთვის მადემორგანიზებელი დანიშნულების მიწერა არალოგიკურია. ცოცხალი ორგანიზმების ფილოგენეტიკური განვითარების პროცესში რაგომ უნდა წარმოშობილიყო ფსიქიკური ფუნომენი, რომლის დანიშნულება ქცევის მიზანშეწონილების დარღვევაა? დღეს მეცნიერება ემოციის მიზანშეწონილების თვალსაზრისზე დგას და ცდილობს, ამ პოზიციიდან ახსნას ემოციით გამოწვეული მოქმედების დარღვევები.

აქ რამდენიმე ფაქტორია გასათვალისწინებელი. ჯერ ერთი, ქცევის რეალურ დემორგანიზაციაზე ლაპარაკი მხოლოდ ზოგიერთი, უკიდურესად ძლიერი უარყოფითი ემოციური რეაქციებისას შეიძლება. მაგალითად სტუდენტი, რომელიც დელაგს გამოცდის სიგუაციაში. მას შეიძლება შეენიშნებოდეს ზოგადი დაძაბულობა, აგზნებულობა, ოფლიანობა, კუჭ-ნაწლავის მოქმედების პრობლემები... ეს დარღვევები თუ ძალიან ძლიერი დონისა არაა, არ გამოიწვევენ წარუმატებულობას გამოცდაზე. მაგრამ უფრო ინტენსიური ემოციისას დარღვევები მოიცავენ სტუდენტის ვონებას, იგი იბნევა, ავიწყდება მასალა, უჭირს ამრის მოკრება და გამოთქმა; ძლიერდება ორგანიზმული რეაგირება: გაწითლება-გაფითრება, ცრემლები, შესაძლოა გულის წასვლაც. ამასთან, ეს რეაქციებიც კი არ შეიძლება ერთმნიშვნელოვნად უსარგებლოდ ან მავნედ ჩაითვალოს.

ცხოველებთან ემოციური რეაქციები სპეციფიკურია ყველა სახეობისთვის და ბევრად უფრო სტერეოტიპული, ვიდრე ადამიანთან. ძაღლის რისხვა, კაგის მიერ ძაღლის შიში უეჭველად სასარგებლოა ამ სახეობებისთვის. ესაა გართულებული სიგუაციის “ავარიული” დაძლევის ევოლუციურად განმკვიცებულ ხერხები. მაგრამ ერთი და იგივე სტერეოტიპული მოქმედება ეერ იქნება ერთნაირად გამოსადევი ყველა სიგუაციაში; ამიგომ აფექტური რეაქციები, რომლებიც ყველაზე ხშირი გართულებების დასაძლევად ჩამოყალიბდნენ ევოლუციის პროცესში, მხოლოდ გიპურ ბიოლოგიურ პირობებშია ეფექტური. ამით აიხსნება ძლიერი

ემოციური რეაქციების არამიზანშეწონილება თუ მავნებლობა. მაგალითად, მწერი ან ჩიგი “უაზროდ” ეხეთქება ოთახში ფანჯარას, თუმცა ბუნებრივ პირობებში სწორედ სინათლე იქნებოდა მისთვის შველა.

აღამიანთან უფრო რთულადაა საქმე. სოციალურ სიგუაციებში ბიოლოგიურად განსაზღვრული აფექტური ემოციური რეაქციები ბოგჯერ არ გამოიყურება მიზანშეწონილად კულტურულ ნორმებთან მიმართებაში, რაც მათი ევოლუციური წარმომავლობის გათვალისწინებით ბუნებრივიცაა. თუმცა სშირად ისინი ძალიანაც სასარგებლონი აღმოჩნდებიან, მაგალითად, თუ სერიოზული საფრთხისაგან გადარჩენა მსოლოდ ფიზიკურ ძალასა და გამძლეობაზეა დამოკიდებული. სოციალურ სიგუაციებშიც ბევრია დამოკიდებული ვითარების ინტერპრეტაციაზე. ეს უკანასკნელი კი დაკავშირებულია სიგუაციაში ჩართული მოგვივაციური გენდენციების ურთიერთმიმართებაზე. თუ, ვთქვათ, გამოცდის სიგუაციაში პიროვნების თავდაცვის მოგვივაციაა დომინანტური, მაშინ საგამოცლო ქცევის დამრღვევი და მაგრამვირებული ვითარებიდან თავის დაღწევაზე მიმართული ემოციური რეაქციები საესეებით ადაპტურ მნიშენელობას შეიძენენ.

სოციალური კონგექსტი მადემორგანიზებელ ემოციურ რეაქციებს სხვა მნიშენელობასაც ანიჭებს. აღამიანს შეუძლია გამოიყენოს “მადემორგანიზებელი” ემოციური რეაქციები სოციალური გეგავლენის მოსახდენად და, საბოლოო ჯამში, ადაპტურად. იმავე სგუდენგის ისგერიკამ შეიძლება “გული გაულღოს” გამომცდელს. პიერ ეანემ, ვის სახელთანაც ყველაზე მეგადაა დაკავშირებული დემორგანიზაციული თვალსაზრისი, აღწერა ავადმყოფი ქალის ისგორია, რომელიც თავის დაავადებაზე მოყოლისას მოთქმით აგირდა და ბოლოს გული წაუვიდა. ეანეს სიგყვებით, პაციენგისთვის გარკვეული ამრით უფრო აღვილი იყო გემოქმედება მოეხდინა ექიმზე ისგერიკით, ვიდრე ახსნა-განმარგებით, რომლებიც მის ინგიმურ ცხოვრებას ესებოდა. ბავშვების კაპრიზებსაც, საბოლოოდ, იგივე მიზანი აქეს: ცრემლები, კანკალი, ფეხების ბაკუნი და სხვა ის შეგყობინებებია, რომლებზეც უფროსები ხშირად შეცოდებით, დახმარებით, დაჯილღოებით და ა.შ. რეაგირებენ. ამით პრიმიტიული ემოციური გამოვლინებები სოციალიზებული და გარკვეულად ადაპტური ხდება. აქ უკვე ემოციუ-

ბის სოციალურ ფუნქციას და გრძნობების გამოხატულების საკითხს მივაღებთ, რაზეც ქვემოთ საგანგებოდ ვისაუბრებთ.

ის, თუ რა გავლენას ახდენს ქცევის შესრულებაზე ემოცია, უშუალოდაა დაკავშირებული გრძნობის ინტენსიუობასთან. დიდი ხანია შემჩნეულია, რომ გარკვეულ მღერამდე ემოციის ბრდა ხელს უწყობს ამოცანის წარმატებით გადაჭრას, ქცევის ეფექტურობას. მაგრამ თუ ემოცია ძალიან ძლიერდება, ხდება ქცევის ეფექტურობის დაქვეითება. მარტივად რომ ვთქვათ, თუ რაიმე სულ არ გვაინტერესებს (ემოცია არა გვაქვს), ქცევას ნაკლებად წარმატებულად ვახორციელებთ (მაგ, ვერ ვსწავლობთ); დაინტერესების ბრდასთან ერთად წარმატებაც იზრდება (თუ გვაინტერესებს, კარგად ვსწავლობთ), მაგრამ თუ ემოცია ძალიან ძლიერია, მაშინ უკვე ხელს გვიშლის (თუ ძალიან მნიშვნელოვანია ამ საგნის სწავლა ნიშნის ან სხვა გარემოების გამო, დაძაბულობა და ლეღვა სწავლაში გვიშლის). კვლევით გაირკვა, რომ ყველა მოქმედების საუკეთესო განხორციელება მოტივაციის ან სხვაგვარად, ემოციური აგზნების ზომიერ, ოპტიმალურ დონეს უკაფშირდება. იერქსმა და ლოდსონმა ცხოველებსა და ადამიანებზე ჩატარებული ცდებით აღმოაჩინეს, რომ აგზნების ეს ოპტიმუმი დამოკიდებულია შესასრულებელი ამოცანის სირთულეზე აგზნების მაგებასთან ერთად რთული ამოცანების შესრულების ეფექტურობა მცირდება, ხოლო მარტივი ამოცანებისა – იზრდება. მაშასადამე, იერქს-ლოდსონის კანონი ნიშნავს, რომ რთული ამოცანის შემთხვევაში აგზნების ოპტიმუმი შედარებით დაბალ ნიშნულზეა, ხოლო მარტივისას – მაღალზე. როგორც ჩანს, ადვილი ამოცანის შესრულებისას გადაჭარბებული ემოციურ-მოტივაციური აგზნება ქცევის დარღვევას არ იწვევს, რთული ამოცანისას კი ასეთი ეფექტის ალბათობა იმაგებს.

ემოცია და სხეული

თანამედროვე გამოკვლევებით ცნობილია, თუ რა ხდება ორგანიზმში, როცა ჩვენ რაიმე ემოციას განვიცდით. ადრენალური გლანდის შიდა ნაწილი, მედულა, აგზავნის ორ ჰორმონს, ეპინეფრინს და ნორეპინეფრინს (ადრენალინი და ნორადრენალინი), რომლებიც ახდენენ პერიფერიული ავგონომიური ნერვუ-

ლი სისტემის აქტივაციას. რაც ქმნის აგზნების მდგომარეობას, აძლიერების სიფხიზლის ღონეს და ამზადებს ორგანიზმს სწრაფი ქმედებისთვის. ამ ღროს ფარსოვდება თვალის გუგები, რათა რაც შეიძლება მეტი სინათლე შევრძნოს; გული ძვერს სწრაფად; სუნთქვა ხშირდება; სისხლში იმაგებს შაქრის შემცველობა, რაც სხეულს მოქმედებისთვის საჭირო ენერჯით ამარაგებს; სისხლი მუცლის არიდან მიეწოდება კუნთებსა და კანის ზედაპირს. ამიგომაა, რომ როცა აღელვებულები, გაბრაზებულები ან ძლიერ შეეყვარებულები ვართ, მადა გვეკარგება – ჭამა არ გვინდა. ყველაფერთან ერთად, მეხსიერება, კონცენტრაციისა და შესრულების უნარი მაქსიმალურად უმჯობესდება. მაგრამ თუ პორმონების ღონე ძალიან მაღალია, თუ ზედმეტად აგზნებულები ვართ, მაშინ ყურადრების კონცენტრაციისა და მოქმედების შესრულების ღონე უარესდება (აქედან ვასაგები ხდება, თუ მოგჯერ რაგომ არის ემოცია ქვევის მადემორგანიზებული).

თავის გეინში პროცესების შესახებ გრადიციულად მიაჩნდათ, რომ სენსორული სიგნალები თალამუსის გავლით დიდი ჰემისფეროების ქერქში მიემართება და იქიდან გაიყვამა “ბრძანება” ამა თუ იმ რეაქციაზე. დღეს მეცნიერებმა იციან, რომ არსებობს უფრო მოკლე გზაც, იგი უშუალოდ აკაემირებს თალამუსს ნუშისებრ ბირთვთან, რაც იძლევა საშუალებას, შევრძნებათა ორგანოებიდან მიღებული სიგნალების ნაწილი ბირთვმა პირდაპირ მიიღოს. მაშასადამე, ემოციური რეაქციები შეიძლება იყოს უფრო სწრაფი, ნუშისებრ ბირთვს შეუძლია გვაიძულოს ვიმოქმედოთ მანამ, სანამ უფრო ნელი – მაგრამ უფრო სრულად ინფორმირებული ნეოკორტექსი (დიდი ჰემისფეროების ქერქი) – გამოიმუშავებს რეაგირების დეტალურ გეგმას. ამიგომაც ემოციური რეაქცია წინ უსწრებს კოგნიტურს. ამიგომაა, რომ როდესაც, მაგალითად, გზის გადასვლისას ვხედავთ ჩვენკენ მოახლოებულ საბარგო მანქანას, ჩვენ კი არ ვიწყებთ მსჯელობას: “რამდენად ჭკვიანურია, რომ ახლა, როცა ეს მანქანა მიახლოვდება, გადავკვეთო გზა?”, არამედ მაშინვე ვრეაგირებთ (როგორც წესი, მიზანშეწონილად).

უკვე XIX საუკუნეში ფსიქოლოგიის კლასიკოსი უილიამ ჯეიმსი მიუთითებდა, რომ შეუძლებელია აღწერო ემოცია სხეულებრივ გამოვლინებათა აღწერის გარეშე. მართლაც, თუ აღ-

წერ შიშს, არ შეიძლება არ ასხენო კანკალი, ცივი ოფლი, აჩქარებული გულისცემა – წინააღმდეგ შემთხვევაში ეს არ იქნება შიშის აღწერა. თუ ჩამოვაშორებთ კანკალს, აჩქარებულ გულისცემას, გაფითრებას, თმის ყალყზე დადგომას და ა.შ. შიშისაგან არაფერი დარჩება, დარჩება მხოლოდ ცნობიერი შეფასება, რომ მაგალითად, შენკენ მორბენალი ვეფხვი საშიშია. რეალური ემოცია განუყოფელია სხეულებრივი ცვლილებებისგან (ამერიკელი ჯეიმსის იდეები დაემოხვა დანიელი ფიზიოლოგის, კარლ ლანგეს მოსაზრებებს. ფსიქოლოგიის ისტორიაში მოცემული თვალსაზრისი შევიდა ჯემს-ლანგეს თეორიის სახით). ჯეიმსი იმასაც კი ამბობდა, რომ ემოციები, არსებითად, არის ჩვენ სხეულებრივ ცვლილებათა გაცნობიერება და მეტი არაფერი. ცნობილია მისი პარადოქსული გამოთქმა: “მოწყენილები ვართ. რადგან ვგიორით; ვბრაზობთ, რადგან თავს ვესხმით; შეშინებულნი ვართ, რადგან ვკანკალებთ”.

ჯეიმს-ლანგეს თეორია პოლემიკის საგანი გახდა. ყველაზე მკვეთრად მას ცნობილი ფიზიოლოგი უოლტერ კენონი დაუპირისპირდა. იგი ამტკიცებდა, რომ ნერვულ-ჯირკვლოვანი რეაგირება საკმაოდ ნელია და ვერ იქნება უმალ აღმოცენებული ემოციების წყარო. ვარდა ამისა, სხეულებრივი რეაქციები ძალზე დიფუზურია, რათა აგვისსნას ემოციათა გასაოცარი მრავალფეროვნება. შიში და ბრაზი, მაგალითად, დაახლოებით ერთნაირ ორგანიზმულ ცვლილებებს იწვევს, თუმცა ჩვენ ადვილად ვარჩევთ მათ ერთმანეთისაგან. კენონის მოსაზრებებს ამტკიცებს ექსპერიმენტების შედეგები. ცდისპირებს უკეთებდნენ ადრენალინის ინექციებს და იწვევდნენ შიშისთვის დამახასიათებელ ორგანულ პროცესებს: გაფითრება, გულისცემა, კანკალი, სიმშრალე პირში და ა.შ. ჯეიმს-ლანგეს თეორიის თანახმად ამას უნდა გამოეწვია შიშის ემოცია, მაგრამ ასე არ ხდებოდა. ცდისპირები ამბობდნენ, რომ ისეთი შეგრძნებები აქვთ “თითქოს შეშინებულები ყოფილიყვნენ”, თუმცა თვით შიშს არ განიცდიან. მაშასადამე, თავისთავად ადრენალინით გამოწვეული ვისცერალური რეაქციები არაა საკმარისი ემოციური განცდის გამოსაწვევად.

მომდევნო გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ავგონომიური ნერვული სისტემის რეაქციები არც ისეთი ფართო და დიფუზური ხასიათისაა, როგორც კენონს მიაჩნდა. გაირკვა, მაგალითად, რომ

შიშისა და ბრაზის თანმდევი ვეგეტატიური რეაქციის პატერნები მკაფიოდ განსხვავდება ერთმანეთისაგან (შიშის დროს კანის ტემპერატურა იწვევს, ბრაზის დროს – ეცემა). და მაინც, ბევრი ემოციის ერთმანეთისაგან გამიჯვნა ფიზიოლოგიური მაჩვენებლების მიხედვით ვერ ხერხდება. ამდენად, ჯეიმს-ლანგეს თეორიის ალტერნატიულ კენონ-ბარდის თეორიასაც აქვს საკმარისი არგუმენტები. ამ თეორიის მიხედვით სხეულებრივი რეაქციები არ უსწრებენ წინ ემოციას. სტიმული იწვევს ორ ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ რეაქციას: ავტონომიური ნერვული სისტემის საშუალებით – სხეულებრივ აგზნებას და თავის გვინის ქერქის საშუალებით – ემოციურ განცდას შიშის განცდასა გულის ძვრა მაგულობს, მაგრამ პირველი მეორიდან არ გამომდინარეობს.

აქ ყურადღება გამახვილებულია ფიზიოლოგიური აგზნებისა და ემოციური განცდის ურთიერთმიმართებაზე. თანამედროვე გამოკვლევებში აქცენტი გაკეთდა კოგნიტურ და ემოციურ სფეროებს შორის მიმართებაზე: მოქმედებენ თუ არა ჩვენი აზრები, წარმოდგენები, შეფასებები იმაზე, თუ რა სახის ემოციები გავვიჩნდება კონკრეტულ სიტუაციაში. შემუშავდა ე.წ. “ემოციის კოგნიტური შეფასების თეორია”, რომელსაც ორფაქტორიანსაც უწოდებენ, ვინაიდან მის მიხედვით ემოციის რაობას განსაზღვრავს ფიზიოლოგიური აგზნება პლუს სიტუაციის ცნობიერი ინტერპრეტაცია. სტიმული ზემოქმედებს ორგანიზმზე და იწვევს ავტონომიური ნერვული სისტემის არადიფერენცირებულ აქტივაციას (გულისცემა, კანკალი და ა.შ.), მაგრამ ეს მხოლოდ პირველი ნაბიჯია ემოციური განცდის მისაღებად. იმისთვის, რომ ზოგადმა აგზნებამ კონკრეტული ემოციის ფორმა მიიღოს, აუცილებელია სიტუაციის კოგნიტური შეფასება-გააზრება. თუ მანამდე ვინმემ გვაწყენინა, მაშინ ბრაზის განცდას მივიღებთ, თუ ვითარება საფრთხედ შევაფასეთ – შიშის ემოციას და ა.შ.

ეს თეორია მრავალი ექსპერიმენტით იქნა შემოწმებული. კლასიკურად ითვლება სტენლი შეხტერისა და ჯერომ სინგერის გამოკვლევა. ექსპერიმენტში ცდისპირთა ორ ჯგუფს აძლევდნენ ამაგზნებელ ნივთიერებას. ერთმა ჯგუფმა იცოდა ეს, მეორეს კი ეგონა უბრალო ვიგამინი. ამის შემდეგ ორივე ჯგუფი მაპროვოცირებელ სიტუაციაში მოათავსეს: მათ უწევდათ ყოფნა უცნობ პირთან (სინამდვილეში ექსპერიმენტის მონაწილე), რომელიც

ცდის სხვადასხვა სერიაში, ხან უცებ იწყებდა თამაშს, მაიმუნობას, ხანაც გამომწვევად და სკანდალურად იქცეოდა. აღმოჩნდა, რომ იმ ჯგუფში, სადაც არ იცოდნენ, რომ აპაგმნებული ნივთიერება პქონდათ მიღებული, ამ ქმედებებს აპყენენ, და შესაბამისად, სასიამოვნო ეიფორიას ან ბრაზს გრძნობდნენ; ხოლო მეორე ჯგუფში, რომელშიც იცოდნენ, რაიმე გამოკვეთილ ემოციას არ განიცდიდნენ, ვინაიდან თავის აგზნებას პრეპარატის მოქმედებას მიაწერდნენ. ამრიგად, დასტურდება, რომ ერთი და იგივე აგზნების მდგომარეობა განიცდება სულ სხვადასხვა ემოციად სიგუაყიის ინტერპრეტაციის შესაბამისად.

კრიტიკული შეფასება არც ამ თეორიას დაჰკლებია. დავის საგნად გადაიქცა, კერძოდ საკითხი გულისხმობს თუ არა კოგნიტური ინტერპრეტაცია ქერქულ სტრუქტურებსა და მექანიზმებზე დაფუძნებულ ცნობიერ სააზროვნო პროცესებს. რობერტ ბეიონცისა და სხვათა კვლევამ აჩვენა, რომ ზოგიერთი ემოციის წარმოქმნა არ საჭიროებს მოუქრებას და ცნობიერ გონებრივ მოქმედებას. ბნელ გყეში გოგის გატკაცუნებაზე რომ შეეკრთეთ, ნეოკორტექსი მხოლოდ შემდეგ შეაფასებს, ეს ხმა ცხოველმა გამოიწვია თუ ქარმა. ნეიროფიზიოლოგია და ნეიროუსიქოლოგია გვეუბნება, რომ არსებობს გამლიზიანებლებზე ემოციური რეაგირების უფრო მოკლე ნეირონული გზები ცენტრალურ ნერვულ სისტემაში, რომლებიც გვერდს უვლიან ქერქს და პირდაპირ ემოციებთან უშუალოდ დაკავშირებულ გვინის ღეროს სტრუქტურებში, კერძოდ ჰიპოთალამუსში და ლიმბურ სისტემაში ხვდებიან. ბოლო კვლევებით განსაკუთრებულ როლს სტიმულებზე ემოციურ რეაგირებაში თამაშობს ამიგდალა, რომელსაც ემოციების მართვის ცენტრადაც კი მიიჩნევენ.

ამრიგად, ზოგიერთი ემოციური რეაქცია, განსაკუთრებით მარტივი სიმპატიკო-ანტიპატიკები, შიშები არ შეიცავენ ცნობიერ გააზრებას. ჩვენ შეიძლება გვემინოდეს ქვეწარმავლის ისე, რომ არც კი ვიცოდეთ მისი უზნებლობის შესახებ. ეს ის შემთხვევაა, როცა „გული არ ემორჩილება გონებას“. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ რიგ შემთხვევაში გრძნობა გონებითაა ნაკარნახევი. ასეთებია უპირატესად რთული, კომპლექსური ემოციები: ბრალის და ბედნიერების განცდები, სიყვარული და ეჭვიანობა, ღებრესია და სხვა. ის, თუ რას გამოიწვევს დაბალი ნიშანი – გალიზიანებას

თუ ღატრგუნულობას, ღამოკიდებულია იმაზე, რის შედეგად მოვიჩნეთ მას – უსამართლობის ან წარუმატებლობისა, თუ ჩვენი უნიჭობის ან სიზარმაცისა.

გამომხატველობა (ექსპრესია)

ჩვენ ვიღიმებით, როცა გვიხარია; როცა ეღარღობთ – ვიღუშებით ან, სულაც, ეგირით; როცა გვეშინია – ვფითრღებით ღა ვცახცახებთ; როცა გვიკვირს – წარბებს მალღა ეწეეთ, თეაღებს ჟართოღ ვაღებთ (თუ ძალიან გვიკვირს, შეიძღება პირიც გავეღლოთ) ღა ასე შემღევ. ანუ, გარეგნულად გამოვსატავთ ჩვენს ემოციებს. სხეა აღამიანებისთვის ეს გამოხატუღება ყოვეღგვარი სიგყვიერი ახსნა-განმარტების გარეშეც გასატებს ხღის ჩვენს შინატან მღგომარეობას, ანუ ურთიერთობას ემოციური გამომხატველობის მეშუეობით ვამყარებთ. რასაკვირვეღია, აღამიანები ვურთიერთობთ ვერბალურად, მატრამ გამომხატველობას ღა არავერბალურ ურთიერთობასაც ღღი აღვიღი უჭირავს ჩვენს ცხოვრებაში (იხ. თავი XIV).

ისმის კითხვა, რა არის გამომხატველობა, საიღან წარმოიშვა იგი, რა ჟუნქციას ასრუღებს ჩვენს ცხოვრებაში? რატომ ახღავს ამა თუ იმ ემოციას სწორედ ასეთი ღა არა სხეანაირი გამომხატვეღი მოძრაობები? რატომ ღა რამღენად არის ჩვენი გამომხატვეღობა გასატები სხეებისთვის? როგორც ვხეღავთ, კითხვები ბეერია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ემოციებს (შიშს, სიხარულს, რისხვას ღა ა.შ.) აუციღებღად ახღავს სხეულებრივი ცვლიღებები. ეს ცვლიღებები, ნაწიღობრივ, ღამკვირეებღისთვისაც თეაღსაჩინოა. ექსპრესია არის ემოციის სხეულებრივი ცვლიღების აშკარა ნაწიღი – მატალითად, შიშის ღროს გაფითრება, კანკაღი, თეაღების გაფართოება (ხოლო აჩქარებული გულისცემა ღა, მითუმეტეს, სისხღის ქიმიური ჟორმუღის შეცღღა, რომელიც, აგრეთვე, თან ახღავს შიშს, არ არის თეაღსაჩინო, ჟარული ნაწიღია).

ჩარღმ ღარვინის მიხეღვით, გამომხატვეღი მოძრაობები არის ოღესღაც სასარტებღო ინსტინქტურ მოძრაობათა რუღღიმენტები, ნაშთები. მატალითად, გაბრამებული აღამიანის მიერ მუშტების შეკვრა ღა განრისხებული გამომეტყვეღება, რაც გა-

მოისაგება კბილების გამოჩენაში, წარმოადგენს ბრძოლის, ღრენისა და კბენის რუდიმენტებს.

მაგრამ, თუკი ადამიანის გამომსაგველი მოძრაობები სასარგებლო ინსტინქტურ ქმედებათა მხოლოდ ნაშთები, რუდიმენტებია, გამოდის, რომ ისინი უსარგებლოა? საქმე ისაა, რომ ეს რუდიმენტები სხვა მხრივ ვახდა სასარგებლო. მათ ასალი მნიშვნელობა, ასალი ფუნქცია შეიძინეს. ეს ფუნქცია სასიგნალო, სოციალურია. გამოჩაგველობა, ანუ ემოციის უშუალო, სპონგანური გამოვლენა, ამავე დროს სხვებისთვის გასაგებს ხდის ემოციის გამომსაგველის მდგომარეობას, რაც ამ მეორისთვის შეიძლება ძალიან მნიშვნელოვანი იყოს.

თუმცა თავიდან იმით დავიწყეთ, რომ ემოციური გამომსაგველობა ადამიანურ თვისებად განვიხილეთ, ეს არ არის მთლად მუსტი. მართალია, ადამიანი გამომსაგველობის გარეშე არ არსებობს, მაგრამ გამომსაგველობა ცხოველებსაც ახასიათებთ, ეს არ არის საკუთრივ ადამიანური თვისება (როცა, მაგალითად, ძაღლი კუდს აქიციანებს, ჩვენ ვიცით, რომ იგი ჩვენდამი დადებითადაა განწყობილი, ხოლო თუ გვიღრენს, სულ პირიქით). უფრო მეტიც – გამომსაგველობა ძალიან ფართოდ არის გავრცელებული ცხოველთა სამყაროში და ცხოველთა მრავალ სახეობასთან მისი ძალიან დახვეწილი ფორმები არსებობს.

როგორც ვნახეთ, გამომსაგველობის წარმოშობა ინსტინქტურია. მაშინ ნებისმიერი ადამიანის გამომსაგველობა გასაგები უნდა იყოს ნებისმიერი სხვა ადამიანისთვის განურჩევლად ეროვნებისა, კულტურული განსხვავებისა და ა.შ. როგორც, მაგალითად, ერთი ძაღლის ღრენა გასაგებია ყველა სხვა ძაღლისთვის. მაგრამ ცნობილია, რომ ადამიანებთან ასე მარტივად არ არის საქმე. განსხვავებული კულტურების წარმომადგენლებს ზოგჯერ უჭირთ ერთმანეთის გამომსაგველ მოძრაობათა, მიმიკისა და ექსტის სწორი ამოცნობა. მაგალითად, ჩინურ ლიგერაგურაში ადამიანები შეწუხების ნიშნად გაშს უკრავენ, გაბრაზებისას იცინიან და ხმამაღალ “ჰო-ჰო”-ს წამოიძახებენ, ხოლო გაკვირვების გამოსახატავად ენის წვერს გამოყოფენ. ევროპელისთვის ეს უცნაური და საკმაოდ პირობითია, ანუ ექსტები კულტურების მიხედვით ცვალებადობს. მაგალითად, შეკრული მუშგის მალა აწეული ცერა თითი მოწონების ნიშანია ევროპე-


ლისთვის და ჩრდილო ამერიკელისთვის, მაგრამ ბრაზილიაში შეურაცხყოფელი ექსგია.

ადამიანები ინდივიდუალურადაც გამოირჩევიან ემოციის ამოცნობის მეტ-ნაკლები უნარით. ექსპერიმენტულად გაირკვა, რომ ზოგი ადამიანი ბევრად უკეთ ამოიცნობს გამომხატველობას, ვიდრე სხვები. ინტრავერტები ამას უკეთ ართმევენ თავს, ვიდრე ექსტრავერტები, ქალები უკეთ, ვიდრე მამაკაცები.

იმ საკითხის გასარკვევად, თუ რამდენად უნივერსალურია ამა თუ იმ ემოციის დროს სახის გამომეკყეულება და რამდენად ზუსტად ამოიცნობენ მათ მსოფლიოს განსხვავებული ქვეყნის ადამიანები, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში ადამიანებს აჩვენებდნენ ფოტოსურათებს და სთხოვდნენ, ამოეცნოთ ემოცია. აღმოჩნდა, რომ სახეზე ასახულ ძირითად ემოციებს ადამიანები ყველგან ერთნაირად ცნობენ. სხვა ექსპერიმენტში გადაიღეს ახალი გვინეის (ახალი გვინეა მოწყვეტილია სამყაროს) მცხოვრებთა ემოციური გამომხატველობა, რაც შემდეგ ჩრდილო ამერიკელებს აჩვენეს. აღმოჩნდა, რომ ამ უკანასკნელებმა ადვილად ამოიცნეს, თუ რა ემოციას გამოხატავდა ვიდეოფირზე აღბეჭდილი ახალი გვინეის მკვიდრი. ისეთი ძირითადი ემოციები, როგორებიცაა სიხარული, ღარღი, შიში, შიშლი, ბრაზი, გაკვირვება ზოგადად ადამიანურია და მსგავსად გამოიხატება მთელს მსოფლიოში. მართალია, ეს არ ნიშნავს, რომ ყველა და ყოველთვის ზუსტად ამოიცნობს მათ. ლაპარაკია იმაზე, რომ უძრავლესობა სწორად ამოიცნობს. ამ ემოციებს გიჟური სახის გამომეკყეულება ახასიათებთ. ეს ექსპრესია უნივერსალურია ადამიანის სახეობისთვის და მისი ევოლუციური მემკვიდრეობის ნაწილია. ეს იმასაც ნიშნავს, რომ შესაბამისი ემოციები საბაზისოა (თუმცა საბაზისო ემოციების რაოდენობისა და შემადგენლობის საკითხი მეცნიერებაში ბოლომდე შეთანხმებული არ არის; ზოგი ავტორი ამ სიას სხვა ემოციებსაც უმატებს).

თანამედროვე გექნოლოგიებით შეიარაღებულმა მეცნიერებმა მოახერხეს 80-მდე სახის კუნთის გამოყოფა, რომლებიც დაკავშირებულია ამა თუ იმ ემოციასთან. ზოგი ემოციისთვის მეცნიერებმა შეძლეს გარკვევა, თუ როდის გამოხატავს ადამიანი რეალურ ემოციას, როდის – ხელოვნურს. მაგალითად, ნამღვი-

ლი ღიმილი მხოლოდ 2 წამს გრძელდება, ყალბი კი შეიძლება 10 წამსაც გრძელდებოდეს.



ბევრ ემოციას ასეთი გიჟური გამომეგყველება არ ახასიათებს, მაგალითად, იმედს, სინანულს, სირცხვილს, მოწონებას. ამოცნობის სიმუსგე ბევრ სხვა რამეზეცაა დამოკიდებული, მაგალითად, კონტექსტზე და კულტურულ თავისებურებებზე. სხვადასხვა კულტურები განსხვავდებიან ემოციების გამოხატვის ინტენსივობით (მაგ., იგალიელები უფრო ინტენსიურად გამოხატავენ ემოციებს, ვიდრე ინგლისელები) და იმით, თუ რა გიჟის ემოციების გამოხატვაა უფრო მისაღები (მაგ., აზიურში, ლათინოამერიკულში და სხვა ისეთ კულტურებში, სადაც სოციალური კაეშირები და ერთობა გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორია, უარყოფითი და თავისთავის წარმომჩენი ემოციების გამოხატვა ნაკლებ მიღებულია, ვიდრე დასაელებში; ხოლო სირცხვილის, სიმპაგის, პაგოვისეებისა – უფრო მეტად). ამრიგად, გამომხატველობას სამი ფუნა აქვს: ინსტინქტური (ყველაზე ღრმა და მყარი), კულტურული და ინდივიდუალური (ყველაზე ცვალებადი).

გამომხატველობის ამოცნობისას დიდი მნიშვნელობა აქვს გარემოცვას. მაგალითად, საშიშ სიგუეციაში გაბრაზებულ სახეს ადამიანები აღიქვამენ, როგორც შეშინებულს. ნეიტრალური სახის გამომეტყველება, თუკი იგი გარშემორტყმულია ბელნიერი სახეებით, აღიქმება, როგორც “ბელნიერი”, ხოლო იგივე სახე მოწყენილ სახეებს შორის აღიქმება, როგორც “მოწყენილი”.

ემოციებს ადამიანთა პოზიციც ასახავს, მაგრამ აგრეთვე არაერთმნიშვნელოვნად. მაგალითად, წრიალი შეიძლება ნიშნავდეს შფოთვის ან მოწყენას, მტრული დამოკიდებულება შეიძლება გამოვლინდეს როგორც დაყინებულ მხერაში, ისე თვალის არიდებაში.

§ 2. ემოციის თვისებები

ემოციის სუბიექტურობა

1. ემოციების ერთ-ერთ ძირითად, განსაკუთრებით შემეცნებითი პროცესებისაგან განმასხვავებელ თვისებას მათი სუბიექტურობა შეადგენს. ემოცია ყველა სხვა ფსიქიკურ პროცესთან შედარებით უფრო სუბიექტურად, პიროვნებაში ჩანერგილად განიცდება, როგორც სუბიექტში, “მე”- ში მიმდინარე პროცესი. ამ მხრივ იგი აღქმის ანგიპოლია: აღქმა ხომ პიროვნებისაგან გამოყოფილად განიცდება – როგორც ჩვენ გარეთ არსებული, ჩვენგან დამოუკიდებელი, ობიექტური საგანი. ჩვენ საგანს განვიცდით და არა მის აღქმას. თვით აღქმა არ განიცდება, ისევე როგორც სათვალის გამჭირვალე შუმა, როდესაც საგანს სათვალეში ვუყურებთ. ემოცია სუბიექტურია არა მხოლოდ განცდის, არამედ ფუნქციის მხრივაც – იგი თვით სუბიექტის შინაგან მდგომარეობას გამოხატავს. სხვადასხვა სახის ემოციებს მეგ-ნაკლები სუბიექტურობა ახასიათებს.

2. ემოცია სუბიექტურია სხვა მნიშვნელობითაც, კერძოდ მისი შინაარსი დამოკიდებულია სუბიექტის, პიროვნების მდგომარეობაზე; ემოცია სუბიექტურად ცვალებადობს ერთი და იმავე ობიექტურ პირობებში. ამ მხრივ აღსანიშნავია ემოციის როგორც დიდი ინტერინდივიდუალური განსხვავებულობა (ეს გარემოება ასახულია ძველი რომაელების ანდაზაში – “გემოვნებაზე

არ დავობენ”), ისე ინტრანდივიდუალური ცვალებადობა: ერთი და იგივე საგანი ან ობიექტური ვითარება ხშირად იწვევს არსებითად განსხვავებულ გრძნობებს არა მხოლოდ სხვადასხვა ადამიანში, არამედ ერთი და იმავე ინდივიდშიც კი, მისი შინაგანი მდგომარეობის გამო (ის, რაჲც ერთ წუთს მოსწონს, სხვა დროს არ მოსწონს და ა.შ.).

ემოციის პოლარობა და ამბივალენტობა

ემოციების სპეციფიკურ თვისებას მათი პოლარული ხასიათი შეადგენს. ემოციებს ერთიმეორის საწინააღმდეგო, პოლარული მიმართულება ახასიათებს. ყოველი გრძნობა ან დადებითი ან უარყოფითია – ან სიამოვნების ან უსიამოვნების ელფერს ატარებს: სიხარული-მწუხარება; სიყვარული-სიძულვილი; მხიარულება-მოწყენილობა და ა.შ.

ზოგჯერ პოლარული, სიამოვნება-უსიამოვნების პოლუსებზე განლაგებული ემოციების შერწყმა ხდება ერთიანი, თვისებრივად ახალი და სპეციფიკური გრძნობის სახით. ემოციების ამ თვისებას ამბივალენტობა (“ორპოლუსიანობა”) ეწოდება. ამბივალენტური ბუნებისაა, მაგალითად, ე.წ. “მძაფრი განცდები”, სიამოვნების სპეციფიკური გრძნობები, რომელთა აღმოცენებაში მნიშვნელოვანია საშიშროება. ეს ის ემოციებია, რომელთაც ადამიანი განიცდის ძალიან სწრაფი ქროლის, დიდი სიმაღლიდან დაშვების ან ჩამოხტომის დროს და ა.შ. მსგავსი ხასიათისაა სიღიადის გრძნობა, რომელიც გვეუფლება ბუნების გრანდიოზულ მოვლენებთან შეხვედრისას. ამბივალენტური ბუნებისაა ეჭვიანობის, სასიამოვნოს მოლოდინის და მრავალი სხვა ემოციური განცდა.

ემოციის ინტენსივობა და ხანიერება

ყველა ემოცია სხვადასხვა შემთხვევაში მეტ-ნაკლებად ინტენსიურია. ერთ შემთხვევაში ძლიერ სიხარულს განიცდით, მეორე შემთხვევაშიც გვიხარია, მაგრამ ნაკლებად და ა.შ. ამასთან, ინტენსივობით დიდად განსხვავებული ერთი და იმავე სახის გრძნობები, გარკვეულ ფარგლებში, თვისებრივადაც იცვლება. მაგალითად, სუსტი და ძლიერი სიხარული თვისებრივადაც განსხვავდებიან.

ემოციები დიდად განსხვავდებიან ხანიერებით, ანუ ღრომი განუზიარებლობითაც. ზოგი ემოცია ძალიან სწრაფწარმოქმნილია (მაგ., აფექტი), ხოლო ზოგი წლების განმავლობაში და ზოგჯერ მთელი შეგნებული ცხოვრების განმავლობაში გრძელდება (მაგ., ენება). ხაზგასასმელია, რომ ხანიერება არა მხოლოდ გრძნობის სახეზეა დამოკიდებული, არამედ პიროვნების თავისებურებებზეც, განსაკუთრებით მის ტემპერამენტზე (იხ. თავი VIII).

ემოციის ექსტენსივობა და სიღრმე

ემოციის ექსტენსივობა ეწოდება მის გავრცელებულობას ინდივიდში. ემოცია საზოგადოდ მთლიანი ინდივიდის მდგომარეობაა, მაგრამ სხვადასხვა ემოცია ამ მხრივ მაინც განსხვავებულია: ზოგი ემოცია (მაგ., გუნება) განსაკუთრებით დიდი ექსტენსივობით ხასიათდება – იგი მოიცავს მთელ პიროვნებას და მეგ-ნაკლებ გავლენას ახდენს მის ყველა განცდაზე. იმის მიხედვით, რა გუნებაზეა აღამიანი, ობიექტურად ერთი და იგივე მოვლენა განსხვავებული ემოციური ტონით განიცდება. პირიქით, სუსტი ექსტენსივობის ემოცია სხვა განცდებზე გავლენას არ ახდენს. წამლის უსიამოვნო გემოთი გამოწვეული გრძნობა არ ცვლის სიამოვნების განცდას, რომელსაც ლამაზი ლექსი ან პეიზაჟი აღძრავს

საზოგადოდ, შემეცნებით პროცესებთან შედარებით, ემოციებს პიროვნებაში მეტი “ჩანერგილობა” და, ამ აზრით, მეტი სიღრმე ახასიათებს, მაგრამ ამ კუთხით ემოციები ერთმანეთისაგანაც დიდად განსხვავდებიან. ზოგი ემოცია უფრო ღრმად სწვდება პიროვნებას, ცვლის კიდევ მას, ზოგი იმდენად “ზედაპირულია”, პერიფერიულია, რომ სულ უკვალოდ გაქრება ხოლმე.

ემოციის ექსტენსივობა და სიღრმე არ არის პირდაპირ კავშირში მის ინტენსივობასთან. ექსტენსიური შეიძლება იყოს სუსტი ემოციაც (მაგ., გუნება) და ძლიერიც (მაგ., აფექტი). იგივე ითქმის სიღრმეზეც. კბილის ძლიერი ტკივილით გამოწვეული წუბილის გრძნობა შეიძლება უაღრესად ძლიერი იყოს, მაგრამ იგი არ არის ღრმა – ტკივილთან ერთად ისიც ქრება, ისე რომ პიროვნებაში კვალს არ ტოვებს. პირიქით, ახლოობისგან მცირე წყენაც კი ღრმა პირადული გრძნობაა.

ემოცია და გრძნობა

კლასიკურ ფსიქოლოგიაში ასხვავებდნენ ამ ორ ცნებას. ემოციაში იგულისხმებოდა სუბიექტის მთლიანობითი განცდა, მისი შინაგანი მდგომარეობა: შიში, მწუხარება, სიხარული, ბრაზი და ა.შ. გრძნობაში კი – ობიექტზე გადატანილი განცდა. გრძნობებს ისე განვიცდით თითქოს ის თვით საგნის თვისება ყოფილიყოს და არა ჩვენი განცდა. საინტერესოა ეს რომანი, მშენებელია ეს პეიზაჟი, საზიზღარია ეს ქვეწარმავალი ან ადამიანის რომელიმე საქციელი. გრძნობები ემოციებთან შედარებით უფრო ობიექტურია მაგრამ გრძნობები უფრო სუბიექტურია აღქმებთან შედარებით: ერთი და იგივე ფერი ან საქციელი ერთ ადამიანს დადებითად, ლამაზად ან საინტერესოდ ეჩვენება, მეორეს კი – საზიზღრად. ამ ამრით გრძნობა სუბიექტის შთაბეჭდილებაა და არა საგნის ობიექტური თვისება.

ანსხვავებენ მარტივ და რთულ გრძნობებს. მარტივს უწოდებენ გრძნობებს, რომლებსაც იწვევს საგნის სენსორული თვისება: ლამაზი ფერი, საზიზღარი გემო, უსიამოვნო ხმა და ა.შ. რთულს კი იმათ, რომლებიც უფრო შინაარსეული მოვლენითაა გამოწვეული: სურათის აღქმით, საინტერესო ინფორმაციით, კეთილშობილი საქციელით და სხვ.

ანსხვავებენ ოთხი სახის გრძნობას: ესთეტიკურს, ინტელექტუალურს, მორალურს და პრაქსილურს.

ესთეტიკური გრძნობები სილამაზის განცდას გულისხმობს ხელოვნებაში, ბუნებაში, ადამიანებში.

ინტელექტუალური ის გრძნობებია, რომლებიც შემეცნებით პროცესთანაა დაკავშირებული, როგორცაა, მაგალითად, გაკვირვება, ცნობისმოყვარეობა, ეჭვი და ის უნიკალური განცდა, რომელიც ეუფლება მეცნიერს, გამომგონებელს ძნელი პრობლემის გადაჭრისას.

მორალური გრძნობები აღმოცენდება სამოვადოებრივი ურთიერთობის პროცესში, ადამიანის ქცევის მორალურ (ზნეობრივ) ღირებულებებთან შედარების საფუძველზე. ქცევა შეიძლება შე-

უასდეს როგორც ამორალური ან პირიქით, მნებობრივი და განიცდება როგორც სირცხვილის ან სიამაყის გრძნობა.

პრაქსილური გრძნობები (სიკყვიდან პრაქტიკა) – ესაა მოქმედებაში მიღწეული წარმატების ან წარუმატებლობის უშუალო განცდა. ამ გრძნობებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ადამიანის ქცევის მოგვიანებით.

გრძნობებისაგან განსხვავებით, ემოციები მთლიანპიროვნული ხასიათისაა, უფრო მეტად არიან დაკავშირებული ქცევის რეგულაციასთან.

ემოციათა სახეები

ემოციათა სახეებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი ძირითადი ჯგუფები:

1. აფექტი – ესაა ერთბაშად წამოჭრილი, სწრაფად წარმატებული, მწვავე და უკიდურესად ინტენსიური ემოცია, რომელიც მისი განცდის მომენტში ეუფლება პიროვნებას, წარმართავს მის ქცევას და ძლიერი სხეულებრივი გამოვლინებებით ხასიათდება. აფექტის დროს უაღრესად ირღვევა წონასწორობა სუბიექტსა და გარემოს შორის, ისე რომ ადამიანი ობიექტურად ვერ აფასებს შექმნილ მდგომარეობას და რეაგირებს მიზანშეუწონლად, ხშირად ქაოსურად.

აფექტის დროს ადამიანის ცნობიერება ვიწროვდება; აფექტი აღარ უტოვებს ადგილს სხვა განცდებს – ცნობიერების შევიწროებულ ველში აღარ შემოდის სხვა შინაარსები. ამიგომაა, რომ აფექტით შეპყრობილ ადამიანს არ ესმის ხოლმე მისკენ მიმართული რჩევისა და დამშვიდების სიკყევები. აფექტის დროს ადამიანს არ შეუძლია ნორმალურად მსჯელობა, მოცემული პირობების ან თავისი ქცევის საღი შეფასება. ძლიერი აფექტი ადამიანის ქცევის დემორგანიზაციას იწვევს; ადამიანი კარგავს თავისი ქცევის შეგნებული რეგულაციის უნარს.

ეს მდგომარეობა არ გრძელდება დიდხანს: აფექტი მცირე ხანიერებით ხასიათდება, მას “ფეთქებად” ემოციას უწოდებენ – იგი უცბად იფეთქებს და უცბად გაივლის. ამასთან, აფექტს ახლავს ძლიერი სხეულებრივი გამოვლინებანი: გულისცემის, სუნ-

თქვის, სისხლის მიმოქცევისა და სხვა სხეულებრივი პროცესების მკვეთრი ცვლილებები.

აფექტია, მაგალითად, ძლიერი რისხვა, რომელიც იპყრობს ადამიანს და შეიძლება ისეთი რამ ჩაადენინოს, რასაც იგი განზრახ არასოდეს მოიმოქმედებდა; ან, მაგალითად, ძლიერი შიში, რომელიც იპყრობს ადამიანს და წარმართავს მის ქცევას ზოგჯერ თვით სუბიექტისთვის მოულოდნელი მიმართულებით (პანიკური შიში). აფექტის სახით შეიძლება იყოს განცდილი ძლიერი სიხარული (სიხარულის აფექტი) ან მწუხარება და სხვა.

აფექტებს ყოფენ ორ დიდ ჯგუფად: სთენიკურ (სიძლიერის) და ასთენიკურ (სისუსტის) აფექტებად.

სთენიკური აფექტებისთვის დამახასიათებელია თანხმლები სხეულებრივი პროცესების გაძლიერება და, საზოგადოდ, ინდივიდის მოძრაობათა და ფსიქიკური პროცესების გაცხოველება; გულისცემა და სუნთქვა ძლიერდება, სისხლძარღვები ფართოვდება, კუნთების ძალა მაგულობს, აზრები და წარმოდგენები სწრაფად მიმდინარეობს აფექტით ნაკარნახევი მიმართულებით. გიპური სთენიკური აფექტია რისხვის, სიხარულის, აღგაცების და სხვა აფექტები.

ასთენიკური აფექტებისთვის, პირიქით, დამახასიათებელია ყველა ზემოაღნიშნული პროცესის მოღუნება, შესუსტება და შენელება: სისხლძარღვები ვიწროვდება, სუნთქვა ჩერდება, ადამიანი გაშეშდება, წარმოდგენებისა და აზრების მიმდინარეობა ფერხდება და ა.შ. გიპურ ასთენიკურ აფექტად თვლიან შიშს, განცვიფრებას, დარდის აფექტს.

საზოგადოდ, აფექტის აღმოცენება დამოკიდებულია ადამიანის თავისებურებაზე – მის გემპერამენტზე და ა.შ. (ზოგი ადამიანისთვის აფექტი უცხოა), ასევე აფექტის შემასუსტებელი და გამაძლიერებელი გამოვლინებაც სასიცოცხლო პროცესების მიმართ დამოკიდებულია არა მხოლოდ თვით აფექტის სახეზე (მაგ, რისხვის აფექტია ეს თუ შიშისა), არამედ პიროვნების გიპზეც. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი დარდის აფექტსაც ძლიერი სთენიკური გამოვლინებებით განიცდის. აფექტის განცდის გამოვლინება დამოკიდებულია აგრეთვე მოცემული აფექტის ინტენსივობაზეც და მთელ იმ სიტუაციაზე, რომელშიც ის აღმო-

ცენდება – რა განცდები უსწრებდა მას წინ, რამდენად ხანგრძლივი იყო ეს ემოცია, რომელიც აფექტში გადაიზარდა.

2. ვნება – ეს არის ინტენსიური და მეგად ხანიერი (მტკიცე) ემოცია, რომელსაც ახასიათებს სუბიექტის ინტენსიური სწრაფვა გრძნობის საგნის მიმართ.

ვნება ინტენსიულობის მხრივ აფექტს უახლოვდება. აღმოცენების შემდეგ ის იპყრობს ადამიანს და ყველა მის ძალასა და სწრაფვას თავისი შესაბამისი მიმართულებით წარმართავს. დინამიკურობა ვნების განსაკუთრებულად გამოხატული თვისებაა. ვნება არა მხოლოდ ემოციური მდგომარეობაა, არამედ ავრთვით ინტენსიური სწრაფვაც – იგი ადამიანს გარკვეული მიმართულებით სამოქმედოდ წარმართავს. თუ ვნებით “ანთებული” ადამიანის მისწრაფება ნებისყოფის მიზნებს ემთხვევა, ეს ადამიანი იშვიათი შეუპოვრობით ახორციელებს მათ. მაგრამ ვნებით შეპყრობილ, ვნებისადმი დამორჩილებულ პირს ძალა არ შესწევს შეგნებულად დასახული მიზნების მიმართულებით იმოქმედოს, თუ ეს მიზნები ეწინააღმდეგება ვნების მიმართულებას. მაშასადამე, ვნება ადამიანის ქცევისა და მისი მოქმედების მნიშვნელოვანი, პიროვნებისეული საფუძველია.

ადამიანის ქცევაზე გავლენით ვნება უახლოვდება აფექტს, სამაგიეროდ თავისი ხანიერებით იგი აფექტის საწინააღმდეგოა. აფექტი ყველა სახის ემოციას შორის ყველაზე ხანმოკლე, სწრაფწარმავალი განცდაა. ვნება, პირიქით, ყველაზე უფრო ხანიერი და მტკიცე ემოციური მდგომარეობაა. იგი გრძელდება წლებისა და ზოგჯერ ადამიანის მთელი შეგნებული ცხოვრების მანძილზე. ვნება ქრონიკული ემოციური მდგომარეობაა, აფექტი კი მომენტალური, თუმცა ცხადია, ვნების მეგ-ნაკლები სიმტკიცე ადამიანის ინდივიდუალობაზეც არის დამოკიდებული. ზოგ ადამიანს ცხოვრების განმავლობაში ვნებათა შეცვლა ახასიათებს, ზოგის ცხოვრების შეგნებულ პერიოდს კი ერთი ვნება მართავს. ვნების შინაარსიც ადამიანის თავისებურებებზეა დამოკიდებული. გარიელი შეპყრობილი იყო სიყვარულის ვნებით; მოლიერის ძუნწი – გამდიდრების ვნებით; ზოგიერთ მთამსვლელს ალპინიზმით გაგაცება ვნებად აქვს გადაქცეული; ზოგიერთ მონადირეს ნადირობის ვნება უჩნდება; კოლექციონერს (მაგ. ფილაგელისგს) – კოლექციონირებისა და ა.შ.

3. გუნება – იგი როგორც ემოციათა თავისებური სახე ერთგვარად აფექტის საწინააღმდეგო განცდაა. იგი არაა გამოკვეთილი, რაიმე გარკვეულ ობიექტზე მიმართული გრძნობა. გუნება მთელი სუბიექტის ზოგადი, გაუნაწევრებული ემოციური მდგომარეობაა, გრძნობის ტონია, რომელიც ყველა მის განცდას თავისებურ ელფერს აძლევს ამ აზრით გუნებას განსაკუთრებით დიდი ექსტენსივობა ახასიათებს – ის მთელ პიროვნებაზე, ყველა მის განცდაზე ვრცელდება. როდესაც ადამიანი მხიარულ გუნებაზეა, მას ისეთი მოვლენაც ეჩვენება სასიხარულოდ, სასიამოვნოდ თუ მშვენიერად, რომელიც სხვა დროს სრულიად არ ეჩვენებოდა ასეთად. კარგ გუნებაზე მყოფი პირი სინამდვილეს მართლაც ვარდისფერი სათვალთ უყურებს. პირიქით, ცუდ გუნებაზე მყოფ ადამიანს ბევრი რამ ისეთიც ეჩვენება არასასიამოვნოდ, რაც სხვა დროს სიამოვნებას გვრიდა.

გუნების კიდევ ერთ დამახასიათებელი თვისებაა სუსტი ინტენსივობა – გუნება არ არის ძლიერი, მწვავე განცდა; ამ მხრივაც იგი აფექტის საწინააღმდეგოა. გარდა ამისა, გუნებას ახასიათებს დიდი ხანგრძობა – იგი არ არის სწრაფმავალი გრძნობა. ამ კუთხითაც გუნება აფექტის საწინააღმდეგოა; ერთი და იგივე გუნება შეიძლება ვრძელდებოდეს დღეები, კვირები და თვეებიც კი.

შფოთვა

თავისებური, მეგალ გავრცელებული ემოციური მდგომარეობაა ე.წ. შფოთვა (anxiety). შფოთვა ძირითადად ჩნდება მაშინ, როდესაც პიროვნება მოცემულ სიტუაციას განიხილავს, როგორც სახიფათოს, ხელისშემშლელს მისი მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისთვის. ხშირად საქმე ეხება ძირითადი სოციალური მოთხოვნილებების წარმოსახული მარცხის მოლოდინს. პიროვნებას ეჭვი ეპარება, რომ შეძლებს პროფესიული, ინტელექტუალური ან მნივნილი პრობლემის გადაჭრას. შფოთვის მდგომარეობას იწვევს აგრეთვე მოულოდნელი არსებითი ცვლილებები კარგად შეგუებულ სიტუაციაში, მაგალითად, სამუშაოს პროფილის შეცვლა, ახალ კოლექტივთან შეგუება და ა.შ. შფოთვის მდგომარეობა ჩნდება პოსტტრაუმატულ ვითარებაში: ომის, ძალადობის გადაგანის, მიწისძვრის შემდეგ და ა.შ.

შფოთვის მკვლევარები არჩევენ შფოთვის სამ ძირითად ასპექტს: შფოთვას როგორც აქტუალურ ემოციურ მდგომარეობას, შფოთვას როგორც პიროვნების მახასიათებელს და შფოთვას როგორც მოტივაციის ფაქტორს თითოეულის გასაზომად შემუშავებულია სპეციალური ტესტები და ხერხები. პირველი ასპექტი გულისხმობს თავისებურ განცდას, რომელიც ჩნდება მომავალი მარცხის, ურუსტრაციის წარმოსახულ სიტუაციაში, აგრეთვე ამ განცდის ინტენსივობას, მის ფიზიოლოგიურ და გარე გამოხატულებას (გაფითრებას, კანკალს, ოფლიანობას, ძილის დარღვევას და სხვა). ეს ასპექტი იზომება ე.წ. სიტუაციური შფოთვის ტესტებით.

შფოთვა, როგორც პიროვნული მახასიათებელი, მიანიშნებს, რომ ადამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავიანთი მიდრეკილებით, აღიქვან სიტუაცია, როგორც საშიში. ზოგისთვის, მაგალითად, ყოველგვარი შემოწმება, გამოცდა, საკონტროლო გამოცდა, შეჯიბრი ძლიერ შფოთვას იწვევს, ზოგიერთი, ემოციურად მდგრადი ადამიანი, ნაკლებად მწვავედ განიცდის ამ სიტუაციებს. ეს თავისებური რეაქციები პიროვნების მულტიმე მახასიათებლად იქცევა. ამ ასპექტებს არკვევენ ე.წ. პიროვნული შფოთვის ტესტებით, რომლებიც ზომავენ ინდივიდის შფოთიანობის საერთო დონეს.

შფოთვის მესამე ასპექტი გულისხმობს მის გავლენას რაიმე მოქმედების შესრულების ეფექტურობაზე. არსებობს მრავალი გამოკვლევა, რომელიც ადგენს შფოთვის დონის კავშირს სასწავლო, შრომითი, სპორტული ქცევის წარმატებასთან. უმრავლეს შემთხვევაში ნაჩვენებია, რომ მეგისმეტად მაღალი შფოთვა არღვევს მოქმედებას (თუ ის საკმაოდ რთულია), ზრდის შეცდომების რაოდენობას. მეგისმეტად დაბალი შფოთვის დონე ინდიფერენტულს ხდის ადამიანს ქცევის მიმართ. შფოთვის საშუალო დონე ქმნის ქცევის ოპტიმალური მოტივაციის პირობას, ხელს უწყობს პიროვნების მაქსიმალურ შესაძლებლობათა გამოვლენას.

ფსიქოლოგები, ფსიქოთერაპევტები ახდენენ შფოთვის ინტენსივობის დიაგნოსტიკას და ამის საფუძველზე იძლევიან გარკვეულ რეკომენდაციებს ჭარბი შფოთვისაგან განსაკვირთად, თვითრეგულაციის უნარის შესამუშავებლად, განსაკუთრებულ შემთხვევაში მიმართავენ სპეციალურ ხერხებს პიროვნების ამ მხარის მოსაწესრიგებლად.

ემოციური სტრესი

სტრესი, მრავალი ავგორის აზრით, არის მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ყველაზე გავრცელებული ფსიქოლოგიური ფენომენი. ინგლისური სიტყვა სტრესს ბეწოლას, დაძაბვას ნიშნავს, მაგრამ დღეს ეს სიტყვა ყველა ენაში იხმარება როგორც მეცნიერული ცნება, რომელიც აღნიშნავს ადამიანის მთლიანობით ფსიქოლოგიურ და ფიზიოლოგიურ პასუხს მისთვის ექსტრემულ ვითარებაზე. პირველად, გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში, ეს ცნება ჩამოაყალიბა კანადელმა მეცნიერმა ჰანს სელიემ, რომელიც მას განიხილავდა როგორც ორგანიზმის მთლიანობით საადაპტაციო რეაქციას ძლიერ და ხანგრძლივ გამღიზიანებელზე. სელიე არჩევდა სტრესის სამ სტადიას. პირველი, განგაშის სტადია – ხდება ორგანიზმის ფსიქოფიზიკური ძალების მობილიზაცია საფრთხესთან საბრძოლველად. თუ სტრესული სიტუაცია ჭიანურდება, დგება მეორე, წინააღმდეგობის სტადია – გრძელდება ორგანიზმის სისტემების გაძლიერებული მოქმედება; იგი ცდილობს დაძლიოს საფრთხე “ბრძოლის და გაქცევის” გზით. მესამე, გამოფიგვის სტადია დგება მაშინ, თუ ვერ მოხერხდა საფრთხის თავიდან აცილება ან განეგრძობა. ფიზიოლოგიური რესურსების შემდუღულობის გამო მიმდინარეობს ძალების თანდათანობითი დაქვეითება, ორგანიზმი ვეღარ იცავს თავს სტრესოგენული ფაქტორებისაგან, მისი ფუნქციობა ირღვევა. გამოფიგვის მდგომარეობაში იზრდება მიღრეკილება დაავადებებისადმი, ხოლო უკიდურეს შემთხვევებში მას მოჰყვება კოლაფსი და სიკვდილი.

სტრესს მრავალი ფაქტორი იწვევს. იგი ჩვენი ცხოვრების თანმხლებია. სტრესის გამომწვევ ფაქტორს სტრესორი ეწოდება. სტრესორი შეიძლება იყოს ფიზიკური გემოქმედება: მაღალი ან დაბალი ტემპერატურა, ხმაური, ტკივილი, ფიზიკური დატვირთვა; შეიძლება იყოს საოჯახო ვითარებები: ახლობლების ავადმყოფობა და სიკვდილი, გაყრა, საოჯახო ძალადობა და სხვა. თანამედროვე ეპოქაში სტრესორებად გვევლინება ცხოვრების მაღალი ტემპი, ინფორმაციული გადატვირთვა, კონკურენცია, უმუშევრობა ან სამსახურეობრივი პრობლემები, სავამოცდო სიტუაციები; ბუნებრივი სტიქიური მოვლენები და საზოგადოებრივი კატასტროფები: მიწისძვრა, წყალდიდობა, ომი, გერორიზმი და სხვა. სტრესორების სუბიექტური სიძლიერე მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კულტურის

თავისებურებაზე. ის, რაც ერთ კულტურაში ძლიერ სგრესს იწვევს, მეორე კულტურაში ჩვეულებრივ მოვლენად განიხილება. მასშტაბურ კულტურათაშორის გამოკვლევაში, რომელიც მოზარდებზე ჩატარდა, ნაჩვენებია იქნა, რომ ქართული მოზარდებისათვის ყველაზე ძლიერ სგრესორად დასახელდა ახლობლის მძიმე ავადმყოფობა, ხოლო შვეიცარიელი მოზარდებისთვის პირველ ნომრად დასახელდა საყვარელი ცხოველის დაღუპვა.

სგრესორის სიძლიერე დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე. მაგალითად, მოულოდნელად წარმოქმნილი უარყოფითი სიტუაცია გაცილებით უფრო ძლიერი სგრესორია, ვიდრე იგივე უსიამოვნება, რომელისთვისაც შინაგანად მზად ვიყავით. კიდევ ერთი მხარეა სიტუაციის კონტროლის შესაძლებლობა. მაგალითად, სამუშაოს დაკარგვის ან ურთიერთობის გაწყვეტის სგრესოგენული ძალა გაცილებით მეტია, თუ ამის ინიციატორი ჩვენ კი არა, მეორე მხარეა.

განარჩევნ მწვავე სგრესს და ქრონიკულს. მწვავე სგრესს აქვს მკაფიოდ გამოხატული დასაწყისი და დასასრული. ხოლო ქრონიკული სგრესი დროში უსაზღვროდ განფენილი აგზნების მდგომარეობაა, რომელსაც მუდმივმოქმედი სგრესორი იწვევს, მაგალითად, წარუმატებელი ქორწინება, შეცდომით არჩეული პროფესია და სხვა.

სგრესის შესწავლას ათასობით გამოკვლევა ეძღვნება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სგრესის შესწავლა გამოყენებითი ფსიქოლოგიის თვალსაზრისით: სპორტის ფსიქოლოგიაში, სამედიცინო, პედაგოგიურ ფსიქოლოგიაში. ზოგ პროფესიაში განსაკუთრებით მაღალია სგრესის აღმოცენების ალბათობა, მაგალითად, ენერგოსისგემების ოპერატორებისთვის, ავიადისპეტერებისთვის და სხვა. დასაყვეთ ევროპის ქვეყნებში ჩატარებული კვლევის თანახმად, ამ ქვეყნებში ჯამურად ყველაზე სგრესოგენული პროფესიაა სკოლის მასწავლებლობა, შემდეგ – ექიმობა და შემდეგ – პოლიციელობა.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ჯანმრთელობაზე სგრესის გავლენის საკითხს. დღევანდელი ფსიქოსომატური მედიცინა ამ გავლენას უდავოდ მიიჩნევს. დიდია სგრესის როლი ისეთი დაავადებების აღმოცენებაში, როგორცაა კუჭის წყლული, ჰიპერტონია, ბრონქიალური ასტმა, დიაბეტი, სექსუალური

დარღვევები და სხვა. უკვე მეტ-ნაკლებად ცნობილია ორგანიზმზე სტრესის უარყოფითი გავლენის მთავარი მექანიზმები. როგორც ითქვა, სტრესორისადმი წინააღმდეგობის გაწევა გამოიწვევს იწვევს, რის გამოც ორგანიზმში თავს ვეღარ იცავს არა მხოლოდ სტრესოგენური ფაქტორისაგან, არამედ სხვა მავნე გემოქმედებებისაგანაც; მისი ფუნქციონირება ირღვევა და გზა ესხნება სნეულებებს. ერთ შემთხვევაში ორგანიზმის რეაგირება სტრესზე ხელს უწყობს ზედმეტი მჟავის გამომუშავებას საჭმლის მოსაწვლელად, რაც აზიანებს კუჭისა და წვრილი ნაწლავის დამცველ ქსოვილს და იწვევს წყლულებს; მეორეში სტრესორების გემოქმედება იწვევს არტერიების კედლების შემავიწროვებელი ნაგრიუმისა და სითხის დაგროვებას და, შედეგად – ჰიპერტონიას და იშემიას. განსაკუთრებით დამანგრეველად მოქმედებს ქრონიკული სტრესი იმუნურ სისტემაზე, რაც ძირითადად ე.წ. “სტრესის ჰორმონის”, კორტიზოლის სეკრეციის შედეგია. სტრესში მყოფთ უფრო ადვილად ეყრებათ სხვადასხვა ინფექციები, ბაქტერიები, ვირუსები და ა.შ. შესაბამისი დაავადებებიც უფრო რთულად მიმდინარეობს. იმუნიტეტის დაქვეითების გამო სტრესი მალეა წევს კიბოთი დაავადების ალბათობასაც. მუღმივი ელექტრომოკით გამოწვეული სტრესის პირობებში მყოფი ცხოველები უფრო ხშირად ავადდებიან კიბოთი, როცა მათ ექსპერიმენტულად უნერგავენ ავთვისებიან უჯრედებს. აშშ-ს მონაცემებით, ერთი წლის განმავლობაში დეპრესიის ან მძიმე დანაკარგის შემდეგ იზრდება ონკოლოგიური პათოლოგიის საშიშროება. შედეგში ჩატარებული ფართომასშტაბიანი გამოკვლევის თანახმად, კიბოთი დაავადების რისკი 5,5-ჯერ მეტი აქვთ იმათ, ვინც სამსახურში მუღმივი სტრესის ქვეშაა.

შემუშავებულია სკალა, რომელიც საშუალებას იძლევა, ობიექტურად შეფასდეს ცხოველებისეული მოვლენების სტრესოგენული გავლენა ჯანმრთელობაზე. იგი შეიცავს სტრესის გამომწვევი ფაქტორების ვრცელ ჩამონათვალს. თითოეულს მინიჭებული აქვს გარკვეული ქულა, რომელიც სტრესოგენულობის ხარისხს აჩვენებს. ყველაზე მეტი ქულა მიეწერა მეუღლის სიკვდილს – 100. შემდეგ მოდის ოჯახის დანგრევა, ციხეში ჩაჯდომა... ყველაზე დაბალი ქულა მიეწერა კანონის უმნიშვნელო დარღვევას, მაგალითად, უადგილო ადგილას ქუჩის გადაკვეთას და ა.შ. ადამიანი აღ-

ნიშნავს, რომელი მოვლენა შეეხო პირადად მას ღროის გარკვეულ პერიოდში. ქულების ჯამი გამოხატავს სგრესის საერთო მაჩვენებელს. ამ სკალით უამრავი გამოკვლევაა შესრულებული. მათი საერთო შედეგი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს სგრესისა და დასნეულების მაღალ კორელაციას. კერძოდ, 300-ზე მეტი ქულა დასნეულების მაღალ რისკზე მიუთითებს; 150-300 ქულა – შემდგომი ორი წლის განმავლობაში ჯანმრთელობის სერიოზული გაუარესების რისკი დაახლოებით 50%-ის გოლია.

ცხადია, ყველა ერთნაირად არ რეაგირებს სგრესორებზე. შესაბამისად, სგრესის საზიანო მოქმედებაც განსხვავებულია. ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, ადამიანი ოპტიმისტია თუ პესიმისტი. კაპიტულანტური დამოკიდებულების უარყოფითი შედეგები არაერთი გამოკვლევით არის დადასტურებული.

სტიქიური მოვლენები, გექნოლოგიური კატასტროფები, ძალადობა, ომები და ა. შ. უძლიერესი სგრესორებია და იწვევენ ე.წ. პოსტრავმატული სგრესის სინდრომს. მისი სიმპტომებია: მაგრავმირებელი მოვლენის აკვიატებული მოგონებები, მძიმე განცდები ცხადში თუ სიმზარში, გადარჩენის გამო დანაშაულის განცდა, ემოციური “გაცივება”, ინტერესის დაკარგვა სხვა მოვლენებისა თუ ადამიანების მიმართ, უძილობა, ყურადღების გაფანტულობა და ა.შ. ეს რეაქცია შეიძლება იყოს შედარებით ხანმოკლე, მაგრამ შეიძლება წლებიც გრძელდებოდეს. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სოციალურ თანადგომას; რიგ შემთხვევაში კი საჭიროა ზოგადგამაჯანსაღებელი პროცედურების, ფარმაკოლოგიურ საშუალებათა და ფსიქოლოგიური დახმარების სპეციალური ფორმების გამოყენება (იხ. თავი XVI).

ადამიანის ფსიქიკა სგრესს, ასე ვთქვათ, საკუთარი ძალებითაც ებრძვის. ფსიქოლოგია შეისწავლის არა მხოლოდ სგრესის აღმოცენების პირობებს, მის ბუნებას და მიმდინარეობას, არამედ მისი დაძლევის ხერხებსაც. ბოლოხანს ფართოდ გავრცელდა ახალი ცნება “სგრესის დაძლევა” (coping). დამუშავდა მრავალი სკალა იმის დასადგენად თუ რა გზებს მიმართავს ადამიანი სგრესის დასაძლევეად. ამ კვლევების პიონერებად ითვლებიან ლაზარუსი და ფოლკმანი. მათი თეორიის მიხედვით ადამიანი სგრესის ღროს მიმართავს ორ ძირითად გზას: 1. პრობლემის გადაჭრაზე ორიენტირებულს ან 2. ე.წ. ემოციურ ქოპინგს, როცა

ადამიანი გამოხატავს, უმიარებს სხვას თავის გრძნობებს, გადაერთება სხვა საქმიანობაზე, გადააფასებს სტრესის მნიშვნელობას დაღებიითი გამოცდილების მიღების თვალსაზრისით და სხვა. ძირითადი სტრატეგიების გარდა გამოყოფენ აგრეთვე სტრესისაგან გაქცევით რეაქციას, მიმართვას ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი, სოციალური მხარდაჭერის ძიებას და რელიგიას. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ სტუდენტი, რომელიც ჩაიჭრა გამოცდაზე. ეს. ცხადია, სტრესული სიტუაციაა. სტუდენტს შეუძლია კარგად ისწავლოს საგანი და გადააბაროს (პრობლემაზე ორიენტირებულ სტრატეგია); ან დაიწყოს ჩივილი, ან ჩხუბი (ემოციაზე ორიენტირებული) ან დათერეს, ან ყველაფერი გამოცდელს გადააბრალოს, ან ჩათვალოს, რომ უნიჭოა და სწავლის გაგრძელებას აზრი არა აქვს (გაქცევა) და ა.შ. ცხადია, ადამიანი ხშირად ორი-სამი საშუალების ნაზავს ირჩევს.

ამრიგად, სტრესის დაძლევის სტრატეგიები მოიცავს ადამიანის რეაქციათა საკმაოდ მდიდარ სპექტრს: დაწყებული არაცნობიერი დაცვითი რეაქციებით, დამთავრებული კრიზისული სიტუაციების მიზანდასახული დაძლევით. სტრესის დაძლევის სტრატეგიების სისშირე დამოკიდებულია ინდივიდუალურ თავისებურებებზე და ასაკობრივ და გენდერულ ფაქტორებზე. სწორედ ამიტომ ძნელია შევაფასოთ ერთმნიშვნელოვნად ამ სტრატეგიების ეფექტურობა.

მაგრამ აქაც ჩაერთვის მრავალი ფაქტორი. ცხოველებზე ჩატარებულ გამოკვლევებში ნათლად ჩანს, რომ დენის დარტყმა, რომელიც პერიოდულად მოქმედებს ცხოველზე და შესაგყვისად დაკავშირებულია ტკივილის მოლოდინთან, ბევრად ადრე იწვევს წყლულს, ვიდრე მაშინ, როდესაც დარტყმის მოლოდინი არ არსებობს. ადამიანმა უნდა ისწავლოს სტრესის დაძლევის მისთვის ყველაზე ეფექტური სტრატეგია. ამასია ადამიანის ემოციური სიმწიფის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმი.

თავი XI. შეზღუდვა და აღქმა

§ 1. შეზღუდვა

შეგრძნებათა ზოგადი დახასიათება

სინამდვილის ასახვა ფსიქიკაში, პირველ რიგში, აღქმის მშვეობით ხდება. ჩვენ აღვიქვამთ საგნებს, მათ მოძრაობას, მათ ხმაურს, ფერს, სუნს და ა.შ. საგნის ან მისი ცალკე თვისების უშუალო განცდას აღქმა ეწოდება. მაგრამ იმისთვის, რომ აღქმა განხორციელდეს, ამ საგანმა სათანადო ნერვების დაბოლოებათა (რეცეპტორების) გალიზიანების მეშვეობით უნდა წარმოშვას ჩვენში სათანადო შეგრძნებები.

შეგრძნების აღმოცენების გარეშე, გარემომცველი სინამდვილის საგანთა¹ აღქმა შეუძლებელია. შეგრძნებებია ის მასალა, რომელიც აღქმის შინაარსს შეადგენს; ეს მასალა, ნორმალურ პირობებში, საგნების ან მათი თვისებების სახით ორგანიზდება. ჩვეულებრივ, შეგრძნებები განიცდებიან არა აღქმისაგან დამოუკიდებლად, არამედ აღქმის შინაარსის სახით, ე.ი. როგორც საგნის ფერი, გემო, მისი სიგლუვე და ა.შ. და არა საგნობრიობას მოკლებული „სიმწვანე“, „სიმლამე“ და ა.შ. მხოლოდ იშვიათ, არაჩვეულებრივ პირობებში თავს იჩენს შემთხვევები, როცა შეგრძნება განიცდება როგორც ასეთი, ანუ აღქმის გარეშე (იხ. § 3). მაგრამ, რადგანაც აღქმა შეგრძნების მასალაზე აიგება, ამიგომ აღქმის პროცესის მეცნიერული შესწავლა გულისხმობს შეგრძნების შეღარებით მარტივი პროცესის გათვალისწინებას. თუმცა, სინამდვილის თვალსაჩინო ასახვა აღქმის ერთიანი, მთლიანი პროცესია, რომელშიც შეგრძნება არ არის გამოყოფილი. მაგრამ თანამედროვე ფსიქოლოგიაში ამ ერთიანი პროცესის შედეგად ორი ცნება ჩამოყალიბდა – აღქმისა და შეგრძნების ცნება.

¹ ცნებას „საგანი“ იხმარება ფართო მნიშვნელობით, მასში იგულისხმება როგორც საკუთრივ საგანი ან ნივთი, ისე მოვლენა, პროცესი, რომელიც ობიექტურ სინამდვილეში არსებობს და რომლისიკენაცაა მიმართული აღქმა

შეგრძნების აღმოცენება

იმისთვის, რომ აღმოცენდეს სენსორული პროცესი ანუ შეგრძნება, აუცილებელია რამდენიმე წინაპირობა; ჯერ ერთი, რაიმე ფიზიკურმა მოვლენამ უნდა იმოქმედოს სპეციფიკურად აგებულ ნერვულ სტრუქტურაზე – რეცეპტორზე. რეცეპტორი („მიმღები“) ეწოდება მგრძნობიარე ნერვების სპეციფიკური აგებულების დაბოლოებებს, რომლებიც გარკვეულ ფიზიკურ გამღიზიანებლებს ნერვულ აგზნებად გარდაქმნიან. ფიზიკური მოვლენის ასეთ ზემოქმედებას გაღიზიანებას უწოდებენ, ხოლო თვით მოვლენას – გამღიზიანებელს. ამის შემდეგ გაღიზიანებით გამოწვეული აგზნების ფიზიოლოგიური პროცესი უნდა გავრცელდეს მგრძნობიარე, ანუ აფერენტული ნერვით თავის გვინის სათანადო უბნის ნერვულ უჯრედებზე. შეგრძნება აღმოცენდება ამ ნეირონების აგზნების შედეგად. მათი აგზნება უკვე განიცდება შეგრძნების სახით.

ყველა რეცეპტორი სხვადასხვა აგებულებისაა იმის მიხედვით, თუ რომელი სახის გამღიზიანებელზე რეაგირებს. სხვადასხვა სახის შეგრძნებებს – მხედველობის, სმენის, შეხების და ა.შ. – განსხვავებული აგებულების რეცეპტორები ემსახურება. ასევე განსხვავდება ერთმანეთისაგან სტრუქტურით და ლოკალიზაციით თითოეული შეგრძნების გვინის ნერვული ცენტრები.

ამრიგად, ფიზიკური მოვლენა (გამღიზიანებელი) რეცეპტორის გაღიზიანების შედეგად იწვევს აგზნების ფიზიოლოგიურ პროცესს, რომელიც თავის გვინის სათანადო უჯრედებში გადასვლისას იწვევს შეგრძნებას – ფსიქიკურ პროცესს.

შეგრძნების ორგანოთა მგრძნობიარება (შეგრძნების ზღურბლები)

1. ქვედა ზღურბლი. ყოველი ინტენსივობის გამღიზიანებელს როდი შეუძლია შეგრძნების გამოწვევა. იმისთვის, რომ აღმოცენდეს უსუსტესი შეგრძნება, გამღიზიანებელმა უნდა მიაღწიოს ინტენსივობის გარკვეულ დონეს. გამღიზიანებლის იმ ინტენსივობას, რომელიც იწვევს უსუსტეს შეგრძნებას, შეგრძნების ქვედა, ანუ მინიმალური ზღურბლი ეწოდება. მაგალითად, ჩვენ ვერ შევიგრძნობთ მგერის ნაწილაკების შეხებას კანზე, ვინაიდან ამ

გამლიზიანებლის ინტენსიობა ვერ აღწევს შეხების შეგრძნების ქვედა ზღურბლს, იგი ზღურბლქვედაა.

ყოველი სახის შეგრძნებას თავისი მინიმალური ზღურბლი აქვს. შეგრძნების ქვედა ზღურბლი მოცემული სახის შეგრძნების ორგანოს მგრძნობელობის მაჩვენებელია. რაც უფრო დაბალია ზღურბლი, მით უფრო მგრძნობიარეა შეგრძნების ორგანო და, მაშასადამე, მით უფრო სუსტი გამლიზიანებელი შეიძლება გახდეს აღქმადი და ქცევაში გათვალისწინებული.

2. ზედა ზღურბლი. ქვედა ზღურბლზე მეტი ინტენსიობის გამლიზიანებელს, ე.ი. ზღურბლზედა გამლიზიანებელს ჩვენ მით უფრო ძლიერად შევიგრძნობთ, რაც უფრო ინტენსიურია იგი, მაგრამ ამ მიმართულებითაც არსებობს საზღვარი. ეს არის შეგრძნების ზედა ანუ მაქსიმალური ზღურბლი. ასე ეწოდება გამლიზიანებლის იმ ინტენსიობას, რომლის მომატება შეგრძნების ინტენსიობას აღარ ზრდის. ზედა ზღურბლს შეგრძნების მაქსიმალური ინტენსიობა შეესაბამება. ამაზე მეტი ინტენსიობის შეგრძნების გამოწვევა შეუძლებელია. გამლიზიანებლის ინტენსიობის შემდგომი ზრდა გამოიწვევს ტკივილს.

ამრიგად, შეგრძნების ქვედა და ზედა ზღურბლი საზღვრავს გამლიზიანებელთა იმ დიაპაზონს, რომელთა შორის თავსდება შეგრძნებათა სიძლიერის ყველა გრადუსი. ამიგომ ამ ორ ზღურბლს გარეგან ზღურბლებსაც უწოდებენ.

3. სხვაობის ზღურბლი. გამლიზიანებლის ინტენსიობის ცვლილებათა მიმართ შეგრძნების მგრძნობიარების მაჩვენებელია ე.წ. სხვაობის ზღურბლი. ეს არის გამლიზიანებლის ორ ინტენსიობას შორის ის მინიმალური სხვაობა, რომელსაც ჩვენ შევიგრძნობთ.

აღამიანი როლი შეიგრძნობს გამლიზიანებლის ინტენსიობის ყოველ ცვლილებას (მომატებას ან დაკლებას). იმისთვის, რომ შევიგრძნოთ ასეთი ცვლილება, ინტენსიობათა შორის სხვაობამ გარკვეულ ოდენობას უნდა მიაღწიოს – ეს არის საზღურბლე სხვაობა, რომელიც არის მოცემული სახის შეგრძნებისთვის სხვაობის ზღურბლი. მას, გემოთ აღწერილ გარეგან ზღურბლთან დაპირისპირებით, შინაგან ზღურბლს უწოდებენ. სხვადასხვა სახის შეგრძნებას სხვადასხვა სხვაობის ზღურბლი ახასიათებს. მაგალითად, საშუალო ინტენსიობის სინათლისთვის იგი დაახლო-

ებით 1/100-ს უდრის, ე.ი. იმისთვის, რომ შევამჩნიოთ რომელიმე ინგენსივობის სინათლის დაკლება ან მომაგება, არსებულ ინგენსივობას უნდა მოემაგოს ან დააკლდეს 1/100 ანუ 1%. ვთქვათ, ვუყურებთ 100 ვაგიან ნათურას. რამდენით უნდა გაიზარდოს მისი სიკაშკაშე, რათა ეს ვიგრძნოთ. ირკვევა, რომ ამისთვის 1 ვაგის შესაბამისი სიკაშკაშის მომაგება ესაჭიროება. 200 - ვაგიანი ნათურის შემთხვევაში ეს უკვე აღარ იქნება საკმარისი, საჭირო გახდება 2 ვაგის მომაგება და ა.შ. მთავარია, რომ ყველა შემთხვევაში სხვაობა ორ სტიმულს შორის 1% გოლი იყოს.

საშუალო ინგენსივობის ბგერებისთვის სხვაობის მღურბლი დაახლოებით 1/10 ანუ 10% უდრის. მაშასადამე 10 კაციან მომღერალთა გუნდს 1 მომღერალი უნდა დაემაგოს, რათა ცვლილება ვიგრძნოთ, 20 – კაციანს – 2 და ა.შ. სიმძიმისთვის სხვაობის მღურბლი – 1/30-ის ანუ 30% გოლია. ეს ნიშნავს, რომ 100 გრამ წონას 33 გრამი უნდა დაემაგოს ან დააკლდეს, რათა მათ შორის სხვაობა საგრძნობი გახდეს; 200 გრამს – 66 გ. და ა.შ.

ცხადია, რომ სხვაობის მღურბლის ეს მნიშვნელობანი მიახლოებითია, ვინაიდან სხვაობის მღურბლი საგრძნობლად იცვლება რიგ პირობათა გამო, განსაკუთრებით კი გამღიზიანებლის აბსოლუტურ ინგენსივობათა ცვლილებასთან დაკავშირებით: უკიდურესად სუსტი და უკიდურესად ძლიერი გამღიზიანებლების მიმართ სხვაობის მღურბლი დიდად განსხვავდება გამღიზიანებელთა საშუალო ინგენსივობათა მიმართ სხვაობის მღურბლისაგან.

შეგრძნების ორგანოს მგრძნობიარება და, მაშასადამე, მღურბლებიც მნიშვნელოვნად იცვლება როგორც თვით რეცეპტორის ფუნქციონალური მდგომარეობის, ისე გაღიზიანების პირობებისა და თვით აღაზიანის შინაგანი მდგომარეობის მიხედვით. მაგალითად, გაღიზიანების ფართობის მომაგება (შეხების, მხედველობისა და სხვა შეგრძნებებში) მღურბლის დაწევას, ე.ი. მგრძნობიერების მომაგებას იწვევს. მნიშვნელობა აქვს გაღიზიანების ხანგრძლივობასაც. მღურბლზე დიდ გავლენას ახდენს რეცეპტორის წინარე გაღიზიანება; მღურბლი მით უფრო მაღალია, რაც უფრო ინგენსიურად ღიზიანდებოდა რეცეპტორი იმავე მიმართულებით მანამდე, სანამ შეამოწმებდით მის მგრძნობიარებას: დღის სინათლეზე ყოფნისას სინათლის შეგრძნების მღურბლი ბევრად უფრო მაღა-

ლია, ე.ი. სინათლისადმი მგრძობიარება ბევრად უფრო დაბალია, ვიდრე სიბნელეში ყოფნისას და ა.შ.

სხვაობის ზღურბლი კლებულობს სათანადო მიმართულებით სისტემატური ვარჯიშის შედეგად (მაგ., მუსიკალური გონების სიმალლის მიმართ, გემოს გარჩევის მიმართ და ა.შ.). გარდა ამისა, შეგრძნების მგრძობიარებაზე გავლენას ახდენს ადამიანის დამოკიდებულება გამლიზიანებლისადმი, ის სიტუაცია, რომელშიც ხდება გამლიზიანებლის აღქმა. რაც უფრო დაძაბულად ესწრაფვის ადამიანი მოცემული გამლიზიანებლის შემჩნევას, რაც უფრო მნიშვნელოვნად განიცდება მოცემულ პირობებში გამლიზიანებლის შემჩნევა, მით უფრო დაბლდება ზღურბლი და ა.შ.

შეგრძნებათა მოგადი თვისებები ანუ მხარეები

ყველა შეგრძნებას აქვს შემდეგი მხარეები, ანუ მოგადი თვისებები, რომელთა ნაირობის მიხედვით შეგრძნებები ერთმანეთისაგან განსხვავდება. ესენია:

შეგრძნების მოდალობა. ძირითადი განსხვავება შეგრძნებათა შორის შეგრძნების არის მოდალობები. მოდალობას უწოდებენ შეგრძნებათა იმ სახეობებს, რომლებიც დაკავშირებულია შეგრძნების ორგანოების (რეცეპტორების) სახეობებთან. მხედველობის შეგრძნებები ერთ მოდალობას წარმოადგენს, სმენისა – მეორეს, ყნოსვისა – კიდევ სხვას და ა.შ. თითოეული მოდალობის შეგრძნებას იწვევს სპეციფიკური აგებულების რეცეპტორთა გალიზიანება სპეციფიკური ფიზიკური გამლიზიანებლით.

ინგრამოდალური თვისებრიობა ანუ რომელობა. ასე ეწოდება ერთი მოდალობის ფარგლებში მოცემულ სხვაობებს მაგალითად, მხედველობითი მოდალობის შეგრძნებები განსხვავდება ერთმანეთისაგან იმის მიხედვით, თუ რა ფერს შევიგრძნობთ (წითელი, ყვითელი, მწვანე, ლურჯი და ა.შ.). ეს სხვაობა ინგრამოდალურ (რომელობით) სხვაობას წარმოადგენს. გემოს მოდალობის შეგრძნებები განსხვავდება სხვადასხვა გემოს ნაირობით – მწარე, ტკბილი, მლაშე, მკავე. ესეც სხვადასხვა რომელობებია და ა.შ.

ინგენსიფობა. ერთი და იმავე მოდალობისა და ინგრამოდალური თვისების შეგრძნებები (მაგ., ორი წითელი ფერი ან მკავე გემო, ან ერთი სიმალლის ორი გონი) შეიძლება აშკარად განსხ-

ვავლებოდნენ თავისი ინგენსივობის (სიძლიერის) ხარისხის მიხედვით (მაგ, მკავე გემოს მეგ-ნაკლები სიმკავე, ერთი სიმაღლის გონის მეგ-ნაკლები სიძლიერე და ა.შ.). ყოველ შეგვრძნებას გარკვეული მოდალობის და ინგრამოდალური თვისების გარდა ახასიათებს ინგენსივობის გარკვეული ხარისხი.

ამგვარად, ყველა შეგვრძნებას საზოგადოდ სამი მხარე, ანუ სამი ზოგადი თვისება აქვს: მოდალობა, ინგრამოდალური თვისებრიობა (რომელობა) და ინგენსივობა.

შეგვრძნებათა მოდალობების კლასიფიკაცია

ყოველდღიურ ცხოვრებაში ითვლება, რომ ადამიანს ხუთი მოდალობა, “ხუთი გრძნობა” გააჩნია. ეს ძველი ფსიქოლოგიის გადმონაშთია. სინამდვილეში მოდალობათა რაოდენობა ბევრად მეტია. თანამედროვე მეცნიერების მონაცემთა მიხედვით, ადამიანს შეგვრძნებათა შემდეგი მოდალობები აქვს: მხედველობითი, ანუ ოპტიკური ან ვიზუალური შეგვრძნებები; სმენის, ანუ აკუსტიკური შეგვრძნებები; ყნოსვის და გემოს შეგვრძნებები; შეხების, ტემპერატურის და ტკივილის შეგვრძნებები. მათ ჩვეულებრივ ერთი ზოგადი მოდალობის, სახელდობრ კანის ანუ ტაქტილური შეგვრძნებების ქვესახეებად მიიჩნევენ. კინესთეტიკური შეგვრძნებები – განიროჩევა: სხეულის ნაწილების მოძრაობისა, მდგომარეობისა და კუნთური დაძაბულობის შეგვრძნებები. აქვე შეჰყავთ წონასწორობის შეგვრძნებები. ეს არის სივრცეში ჩვენი სხეულის წონასწორულ ან არაწონასწორულ მდგომარეობათა შეგვრძნება. კიდევაა ორგანულ შეგვრძნებათა მოდალობა, რომელიც შეიცავს საკუთრივ ჩვენი ორგანიზმისა და მის ცალკე ორგანოთა მდგომარეობის მრავალნაირ შეგვრძნებებს (წვა, გულისრევა, ერუანგელი და სხვა).

ცნობილია შეგვრძნებათა სხვადასხვა კლასიფიკაცია. აქ განვიხილავთ ყველაზე გავრცელებულ კლასიფიკაციას, რომელიც ფიზიოლოგ შერინგტონის მიერ შემოღებულ რეცეპტორთა კლასიფიკაციას ეყრდნობა. იმის მიხედვით, თუ რის შეგვრძნებას წარმოადგენენ ისინი, ყველა მოდალობა ჯგუფდება სამად: ექსტროცეპტულ შეგვრძნებებს იწვევს რეცეპტორთა გაღიზიანება გარემოდან მომდინარე გამღიზიანებლებით – ელექტრომაგნიტური ტალღით, ჰაერის ტალღით, ქიმიური ნივთიერებით, საგნის შეხე-

ბით და ა.შ. ამ ჯგუფს ეკუთვნის მხედველობის, სმენის, ყნოსვის, გემოს, შეხების, ტემპერატურის, ვიბრაციის შეგრძნებები. ინტროცეპტულ შეგრძნებებს იწვევს მათი რეცეპტორების გაღიზიანება შინაგან ორგანოებში მიმდინარე პროცესებით. ამ ჯგუფს ყველა ორგანული შეგრძნება ეკუთვნის. პროპრიოცეპტულ შეგრძნებებს იწვევს მათი რეცეპტორების გაღიზიანება იმ პროცესებით, რომლებიც კუნთებში, მყესებში და სახსრებში აღმოცენდება სუბიექტის მოძრაობის დროს (სახსრების ხახუნი, კუნთისა და მყესების ბოჭკოების დაჭიმვა და ა.შ.). ამ ჯგუფში კინესთეტიკური შეგრძნებები შედის.

ექსტროცეპტული ჯგუფის მოდალობები, თავის მხრივ, იყოფა ორად იმის მიხედვით, თუ როგორ ხდება რეცეპტორის გაღიზიანება – საგნის უშუალო შეხებით, რეცეპტორთან კონტაქტით, თუ მანძილიდან, „დისტანციიდან“, საგანთან უშუალო კონტაქტის გარეშე, რაიმე შუამავლის მეოხებით. პირველს უწოდებენ კონტაქტურ შეგრძნებებს, მეორეს – დისტანციურს. უკანასკნელისთვის ტიპურია მხედველობა და სმენა, პირველისთვის – შეხებისა და გემოს შეგრძნებები. ვიბრაციის შეგრძნების რეცეპტორები ორივე სახით ღიზიანდება – კონტაქტითაც და მანძილდანაც ჰაერის მეშვეობით, ამიგომ მას გარდამავალი ადგილი უჭირავს მოდალობათა ამ ორ ჯგუფს შორის. ყნოსვა, თუმცა არსებითად კონტაქტურია, ვინაიდან რეცეპტორების გაღიზიანება ნივთიერების მფრინავი ნაწილაკების რეცეპტორთან კონტაქტით ხდება, მაგრამ პრაქტიკულად დისტანტურია, რადგანაც საგნის სუნს მასთან უშუალო კონტაქტის გარეშე განვიცდით.

აღსანიშნავია, რომ ყველა ცოცხალ არსებას თავისი სენსორული სამყარო აქვს. ცხოველებში ისეთ სენსორულ ორგანოებს ვხვდებით, რომლებიც ადამიანს არ გააჩნია. მაგალითად, გველების რეცეპტორები ინფრაწითელ გამოსხივებას იჭერენ, ფუტკრებისა – ულტრაიისფერს, ღამურებისა – ულტრაბგერებს, ხოლო ზოგიერთ თევზს ელექტრული ველებისადმი მგრძნობიარე რეცეპტორები აქვს.

სენსორული პროცესები

1. შეგრძნებათა ურთიერთკავშირი. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოღალლობის შეგრძნებები არსებითად განსხვავდება ერთმანეთისაგან, მათ შორის მაინც არსებობს საერთო რამ, რაც ულინდება მათ განცდაშიც და ცალკე მოღალობათა რეალურ ურთიერთშემოქმედებაშიც. ეს ბუნებრივიცაა, ვინაიდან, ერთი მხრივ, ცალკე მოღალობები ფილოგენეტიკური განვითარების პროცესში ჩამოყალიბდა ერთი საერთო მგრძნობელობის დიფერენციაციის გზით; მეორე მხრივ, შეგრძნების ორგანოს ერთი მთლიანი ინდივიდი იყენებს გარემოს საგნების და მათი თვისებების აღსაქმელად. მოღალობათა მონაცემების გაერთიანება ხდება ერთ მთლიან განცდაში – საგნის ერთიან აღქმაში. მეტიც, საგნის ზოგიერთი თვისება მხოლოდ ერთი მოღალობისთვის მიუწევდომელი რჩება. მისი აღქმა რამდენიმე მოღალობის თანამონაწილეობას, მათ ერთ განცდაში გაერთიანებას გულისხმობს. ასეთებია სიმაგრე, სირობლე, სისველე, წებოვანება, ფხვიერება და ა.შ. რომლებიც მხოლოდ ინტერმოდალურად შეიგრძნობა. ინტერმოდალური ერთიანობის რამდენიმე გამოვლინება არსებობს:

ა) განსხვავებული მოღალობის შეგრძნების განცდის საერთოობა. ამას საუკეთესოდ ადასტურებს ყველა ენაში მოცემული გამოთქვამები: გკბილი ხმა, რბილი ხმა, თბილი ფერი, მყვირალა ფერი, მკავე სუნი და ა.შ. ამ ყველასთვის გასაგებ გამონათქვამებში ერთი მოღალობის შეგრძნების დახასიათება მეორე მოღალობის შეგრძნებით ხდება, რაც შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა მათი განცდის ნათესაურობა.

ბ) სინესთეზია ნიშნავს ერთი მოღალობის შეგრძნების აღმოცენებას სხვა მოღალობის გაღიზიანებით. ბევრით გამოწვეულ ფერის შეგრძნებისეულ განცდას „ფერად სმენას“ ანუ ფონიზმს უწოდებენ, ფერით გამოწვეულ ბგერის შეგრძნებას – ფოგიზმს. ეს შედარებით იშვიათი მოვლენა ინტერმოდალური ერთიანობის გამოვლინებად ითვლება.

გ) მოღალობათა ფუნქციური ურთიერთშემოქმედება. ექსპერიმენტულად დადგენილია, რომ ერთი მოღალობის გამღიზიანებელი გავლენას ახდენს მეორე მოღალობის შეგრძნების ორგანოს ფუნქციონირებაზე, სახელდობრ, ცვლის მის მგრძნობიარობას. მაგალითად, თვალზე ფერადი სინათლის შემოქმედება იწ-

ვევს სმენის ზღურბლის დაწევას. ასევე დადასტურებულია ბგერისა და სუნის გაელენა მხედველობის მგრძნობიარებაზე და ა.შ. საზოგადოდ, სუსტი გამლიზიანებლები ზრდიან სხვა მოღალლობათა მგრძნობიარებას, ძლიერები კი აქვეითებენ.

დ) რაიმე მოღალობის დეფექტის ნაწილობრივ კომპენსაციას სხვა მოღალობათა ჩანაცვლება ახდენს. მაგალითად, დაბადებიდან უსინათლო აღიქვამს მანძილს, ფორმას, სიდიდეს, პროპორციას, მიმართულებას და სხვა სიერციტ მიმართებებს, ოღონდ არა ოპტიკური მოღალობის, არამედ სხვა მოღალობათა საშუალებით – შეხების, კინესთეგიკის, ვიბრაციის, სმენის მეშვეობით; ყრუ-მუნჯებს მეტყველების გაგებას ასწავლიან მოლაპარაკე ადამიანის გუჩების მოძრაობის მხედველობითი აღქმით და ა.შ.

2. სენსორული ადაპტაცია არის სენსორული აპარატის მგრძნობიარობის ცვალებადობა (მაგება ან კლება) გამლიზიანებლის ხანგრძლივი ზემოქმედების შედეგად. მაგალითად, სინათლიდან სიბნელეში მოხვედრილი ადამიანი დასაწყისში ვერაფერს ხედავს, მაგრამ თანდათან იწყებს საგნების გარჩევას. ეს ნიშნავს, რომ თვალის მგრძნობიარობა გაიზარდა, მან შეიძლება ძალიან დიდი ხარისხით მოიმაგოს. როდესაც სათანადო გამლიზიანებლის ზემოქმედების დაწყებიდან გარკვეული ხნის შემდეგ ნაკლებად ან სულ ვეღარ ვგრძნობთ სუნს, გემოს ან შეხებას, ესეც ადაპტაციაა, რომელიც შეგრძნების ორგანოს მგრძნობიარების დაკლებაში გამოიხატა.

3. კონგრასტის მოვლენა ერთი გამლიზიანებლის ზემოქმედების შედეგად მეორე გამლიზიანებლის შეგრძნების საწინააღმდეგო (კონგრასტული) მიმართულებით შეცვლაში მდგომარეობს. მაგალითად, შავ ფონზე რუხი ფერი მოთეთროდ აღიქმება, თეთრზე კი იგივე რუხი – მოშავოდ; გაყინული წყლის მერე ოთახში ნადგომი წყალი თბილად გვეჩვენება, ცხელი წყლის მერე – გრილად და ა.შ.

§ 2. უმბრძნობათა ცალკეული მოღალობები

მხედველობა. ინფორმაციის უდიდეს ნაწილს ადამიანი, ჩვეულებრივ, მხედველობის საშუალებით იღებს. მხედველობის შეგრძნების გამლიზიანებული ანუ ფიზიკური გამომწვევი არის სინათლის სხივი – ელექტრომაგნიტური ტალღა. ადამიანის მხედვე-

ლობის შეგრძნებებს იწვევს გალლის რხევის დიაპაზონი 380-დან 780 მილიმიკრონამდე. სპექტრის შეიდივე ფერს სხვადასხვა სიგრძის გალლა შეესაბამება: სასელღობრ, უმოკლესს – იისფერი, უგრძესს – წითელი.

მხედველობის რეცეპტორები განლაგებულია თვალის ბადურაზე. ისინი ორგვარია – ჩხირები და კოლბები ანუ კულები. ჩხირები მხოლოდ სინათლის შეგრძნებებს გვაძლევენ, კულები კი სინათლესთან ერთად ფერების შეგრძნებასაც. ჩხირები დაახლოებით 120 მილიონია და განუწილია მთელ ბადურაზე, კოლბები 6 მილიონამდეა და მხოლოდ ბადურის ცენტრალურ არეზეა განთავსებული.

მხედველობის შეგრძნებებს ორ ჯგუფად ყოფენ – სინათლის და ფერების შეგრძნებებად. პირველს ნეიგრალურს (აქრომატულს) უწოდებენ, მეორეს – სპექტრალურს (ქრომატულს). ნეიგრალური ფერები წარმოადგენენ სინათლის ხარისხების შეგრძნებათა რიგს ყველაზე ნათელიდან (თეთრიდან), ყველაზე ბნელამდე (შავამდე).

სპექტრალური ანუ ქრომატული ფერები ისინია, რომლებიც წმინდა სახით სპექტრში გვეძლევა. ეს არის წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი და იისფერი. თითოეულ მათგანს მრავალი ელფერი აქვს. ადამიანი 200-მდე ელფერს არჩევს. ქრომატული ფერები ძირითადად ორი ნიშნით განსხვავდება ერთმანეთისაგან: სინათლის ხარისხით ანუ სიკაშკაშით (მაგ, მეგ-ნაკლებად მუქი წითელი) და ტონით ანუ თვისებრიობით. ფერის სახელწოდება სწორედ მის ტონს აღნიშნავს. ნეიგრალურ ფერებს მხოლოდ სინათლის ხარისხი განასხვავებს.

ჩვენზე, როგორც წესი, ერთდროულად სხვადასხვა სიგრძისა და, შესაბამისად, განსხვავებული ფერების შესაგყვისი გალლები გემოქმედებს. ამ შემთხვევაში ძალაში შედის ფერთა შერევის კანონები. ასეთი სამია. 1. ყოველი სპექტრალური ფერისთვის არსებობს „შემავსებელი ფერი“, რომელთან შერევით ნეიგრალური ფერი მიიღება. მაგალითად, გარკვეული ელფერის წითლისა და მწვანის შერევა გვაძლევს რუხი ფერის შეგრძნებას. შემავსებლებია ყვითელი და ლურჯი და სხვა. 2. სპექტრში შემავსებელ ფერებთან ახლომდებარე ფერების შერევა გვაძლევს მათ შუამდებარე ფერს. მაგალითად, წითლისა და ყვითლის შერევით ვიღებთ ნარინჯისფერის შეგრძნებას. 3. ფერთა შერევით

მიღებული ფერის შეგრძნება არ განსხვავდება ცალკე აღებული იმავე ფერის შეგრძნებისაგან. მაგალითად, ლურჯისა და ყვითლის შერევით მიღებული რუხი ფერი ისევე განიცდება, როგორც ცალკე აღებული რუხი ფერი.

მხედველობის სფეროში თავს იჩენს ადაპტაციის მოვლენა. კერძოდ, თვალი თანდათან ეგუება სინათლის გარკვეულ ხარისხს. მისმა უეცარმა შეცვლამ თავდაპირველად შეიძლება ხედვის უნარი დაგეაკარგვინოს (თუ უცებ მოეხედით ძალიან განათებულიდან ბნელში ან პირიქით). მაგრამ მხედველობითი აპარატის მგრძობელობა თანდათანობით შეიცვლება. სიბნელის მიმართ სრულ ადაპტაციას 45 წუთი ესაჭიროება და მგრძობელობა შეიძლება 200000-ჯერ გაიზარდოს. ადამიანის თვალის სინათლისადმი მგრძობელობა, საზოგადოდ, საკმაოდ დიდია; სრულ სიბნელეში მას შეუძლია შეამჩნიოს სანთლის ალი 48 კილომეტრის მანძილზე.

სახეზეა კონტრასტის მოვლენაც. კერძოდ, ფონის ფერი ცვლის მასზე მოცემულ ფერს თავის საწინააღმდეგო მიმართულებით. წითელ ფონზე ყველა ფერი მიიღებს მომწვანო იერს, შავ ფონზე ფერები მოთეთროდ გამოჩნდება.

სუსტი განათების პირობებში ადამიანი ვეღარ შეიგრძნობს სპექტრალურ ფერებს. ფერების რეცეპტორების, კოლების გასალიზიანებლად ბინდის სუსტი სინათლე არ კმარა; ღიზიანდება მხოლოდ ჩხირები, რომლებიც სინათლის (ნეიგრალური ფერების) შეგრძნებას გვაძლევენ. ე.წ. ბინდის მხედველობა იმით ხასიათდება, რომ ყველაზე დიდხანს თავის ფერით გონს ინარჩუნებს არანათელი ფერები (მწვანე-ლურჯი ზონა), ხოლო ნათელი ფერები (წითელ-ნარინჯის ზონა) კარგავენ ფერით გონს და რუხდებიან ან შავდებიან. წითელი ვარდი, მაგალითად, ბინდისას უფრო ადრე „გამავდება“, ვიდრე მწვანე ფოთლები. ამ მოვლენას პურკინიუს ფენომენი ეწოდება.

მხედველობის შეგრძნებათა დარღვევებს მიეკუთვნება ფერთა შეგრძნების შესუსტება, და ფერთა ნაწილობრივი, ან სრული სიბრმავე. უკანასკნელ შემთხვევაში ადამიანი მთლიანად მოკლებულია ფერების შეგრძნების უნარს. ფერთა ნაწილობრივი სიბრმავე მხოლოდ ზოგიერთ ფერზე ვრცელდება. ყველაზე ხში-

რია ღალტონიზმი, როდესაც ადამიანი ერთმანეთისაგან ვერ არჩევს წითელ და მწვანე ფერებს და მათ რუხ ფერად განიცდის.

სმენის შეგრძნება აღმოცენდება მეღერი საგნით გამოწვეული ჰაერის ტალღის ზემოქმედებით შინაგან ყურში (ლოკოკინაში) მღებარე რეცეპტორზე, რომელსაც კორგის ორგანო ეწოდება. მასში თანმიმდევრულად არის განლაგებული სხვადასხვა სიგრძის დაახლოებით 2500 ნერვეული ბოჭკო. თითოეულ ბოჭკოს, რემონანსის პრინციპით, აღიზიანებს გარკვეული სიხშირის რხევა და წარმოქმნის გარკვეული ბგერის შეგრძნებას.

ბგერები ორი სახისაა – გონი (მუსიკალური) და ხმაური (არამუსიკალური). გონებს იწვევს ტალღების პერიოდული რხევა, ხმაურებს – აპერიოდული. გონის სიმაღლეს განსაზღვრავს ჰაერის ტალღის სიხშირე. რაც მეტია სიხშირე, მით უფრო მაღალია გონი. ადამიანს შეუძლია შეიგრძნოს ბგერა 10-დან 20000-მდე ჰერცის სიხშირის დიაპაზონში. თვალსაჩინოებისთვის ეს შემდეგს ნიშნავს: როიალის ყველაზე მაღალი სიხშირე უდრის 42000, უმაღლესი სოპრანოსი – 1150, უდაბლესი ბანისა – 80. გონის სიძლიერე, რომელიც ტალღის ამპლიტუდას (სიმაღლეს) შეესაბამება, დეციბელებით იზომება. მისი უდიდესი გარჩევადი ზღვარია დაახლოებით 180 დეციბელი, რაც კოსმოსური ხომალდიდან 50 მეტრზე ყოფნას შეესაბამება. თვალსაჩინოებისთვის: ყვირილს შეესაბამება 100 დეციბელი, ნორმალურ საუბარს – 60, ჩურჩულსა და ფოთლების შრიალს – 10-20. ადამიანის აკუსტიკური (სმენითი) სენსორული არხის მგრძობიანობის საჩვენებლად საკმარისია ითქვას, რომ მას შეუძლია შეიგრძნოს საათის წიკ-წიკი სრულ სიჩუმეში ექვსი მეტრის დაშორებით.

გონები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან აგრეთვე ტემპრით. ეს გონის ის სპეციფიკური თვისებაა, რომლითაც ვცნობთ ეღერად აპარატს, ინსტრუმენტს ან ადამიანის ინდივიდუალურ ხმას. მაგალითად, ერთი და იმავე სიმაღლისა და სიძლიერის ორი გონი აშკარად განსხვავდება ტემპრით, თუ ამ გონებს სხვადასხვა საკრავი გამოსცემს (მაგ, როიალი და გიტარა).

ხმაური ეწოდება ისეთ ბგერებს, რომელთაც არა აქვთ გარკვეული სიმაღლე და რომელნიც იმდენად მრავალფეროვანია, რომ მათი დალაგება ერთი სისტემის სახით ვერ ხერხდება: რახუნი, ტკაცუნი, ჩხარუნი, ჭრიალი, გრუხუნი და ა.შ.

ყნოსვა. სუნის შეგრძნებას იწვევს საჭის (ნივთიერების) აქროლადი ნაწილაკების ქიმიური შემოქმედება ყნოსვის რეცეპტორებზე. ისინი განლაგებულია ცხვირის ღრუს მედა ნაწილში, ლორწოვან გარსში. აღამიანთან მათი რაოდენობა 5 მილიონია. მხედველობისა და სმენის მსგავსად ყნოსვის შეგრძნება დისგანგურია, ანუ ეს სენსორული სისტემა რეაგირებს დამორებულ სტიმულებზე. მისი მგრძნობელობა დიდია – აღამიანი გრძნობს ექვსოთახიანი ბინის მთელს სივრცეში გაფანგული სუნამოს ერთ წვეთს; ჯამში კი 10000-მდე სუნს განარჩევს. არსებობს ცხოველები შეუდარებლად უფრო მგრძნობიარე ყნოსვით. ძალი ამ მხრივ ათასჯერ აღემატება აღამიანს. რაც მთავარია, ცხოველებში ყნოსვა მრავალ ფუნქციას ასრულებს; ის მონაწილეობს ძირითად მოთხოვნილებათა უზრუნველყოფაში: საკვებისა თუ სექსუალური პარტნიორის მონახვა, საფრთხის სიგნალიზაცია, კომუნიკაცია. აღამიანთან ყნოსვის ფუნქცია უპირატესად კვების პროცესს უკავშირდება.

სუნი უკიდურესად სუბიექტურია და მჭიდროდ უკავშირდება ემოციებს. არსებობს აუტანელი, გულისამრევი და მიწბიდევი, უადრესად სასიამოვნო სუნები. სუნის ამ სუბიექტურ ელფერთანაა დაკავშირებული ის გარემოება, რომ არც ერთ ენაში არ არის სუნის სახეთა აღსანიშნავი სახელები, როგორც ეს ხდება ფერებისა და გემოს შემთხვევაში (ლურჯი, ყვითელი, გჰილი და ა.შ.). სუნს მისი მაგარებელი საგნის მიხედვით აღნიშნავენ (ვარდის სუნი, ნაეთის სუნი და ა.შ.). ყნოსვას ძლიერი აღაპკაცია ახასიათებს. როდესაც ოთახში რაიმე სუნია, ჩვენ საკმაოდ მაღე ისე ვეგუებით მას, რომ საერთოდ ვეღარ ვგრძნობთ.

გემო. გემოს რეცეპტორები, ე.წ. გემოს ბოლქვები, განლაგებულია ძირითადად ენის მედაპირზე და, ნაწილობრივ, რბილ სასაზე. ისინი 10000-მდეა და გემოს ოთხ რომელობას გეაძლევენ: გჰილი, მლაშე, მკავე, მწარე. თითოეული რეცეპტორი კარგად რეაგირებს ერთ-ერთ მათგანზე და, საკმაოდ სუსტად, ყველა დანარჩენზე. რეცეპტორების მგრძნობელობა საკმაოდ მაღალია. მაგალითად, აღამიანი ამჩნევს სიგტოს, თუ ერთი ჩაის კოვზი შექარი 9 ლიგრ წყალშია გახსნილი. ყველა დანარჩენი გემო ამ ოთხი ძირითადი გემოს კომბინაციას წარმოადგენს. საცივში, მაგალითად, ოთხივე გემოა მოცემული, მაგრამ არა ცალ-ცალკე, არამედ განუმეორებელი ახალი მთლიანობის სახით.

გემოს შეგრძნება ყოველთვის „რთულია“, ჯერ ერთი იმ მხრივ, რომ იგი გემოს მარტივ გამღიზიანებელთა (საჭმლის კომპონენტების) გემოქმედების შერევის შედეგია და, რაც მთავარია იმიტომ, რომ გემო გამოკვეთილად ინტერმოდალური ხასიათისაა. რეალურად გემოს შეგრძნება სხვადასხვა სენსორული სისტემების ურთიერთქმედებით წარმოიქმნება. გემო კონტაქტური შეგრძნებაა, გამღიზიანებელი უშუალოდ უნდა შეეხოს მის ორგანოს. ცხადია, ამ შემთხვევაში წარმოიქმნება შეხებისა და გემპერაგურის შეგრძნებებიც. ამას ყოველთვის ერთვის სუნის შეგრძნება, და ამდენად, ის, რასაც ჩვეულებრივ გემოს ეუწოდებთ, მარტო გემო კი არ არის, არამედ რამდენიმე მოდალობის შეგრძნების თავისებური სინთეზი. ყველამ იცის, რომ ერთი და იგივე საჭმელს განსხვავებულ გემო აქვს იმის მიხედვით, ცხელია ის თუ ცივი, მაგარია თუ რბილი, ნელლია თუ ხმელი და ა.შ. ამ მხრივ განსაკუთრებულ როლს სუნი თამაშობს. სურდოს დროს ყნოსვის დაკარგვის შედეგად გემოსაც სუსტად ვგრძნობთ. გემოს შეგრძნებას ახასიათებს ძლიერი კონგრასტის მოვლენები. მაგალითად, ოდნავ მომეაგო საჭმელი გვეჩვენება ძალიან მკავედ თუ მას ტკბილის შემდეგ გავსინჯავთ და პირიქით.

შეხება, არსებითად, კანის შეგრძნებაა. მაგრამ კანი არ არის ერთი მარტივი რეცეპტორი. კანში რამდენიმე სახის რეცეპტორი მდებარეობს და განსხვავებულ შეგრძნებებს გვაძლევს. ესენია: შეხების ანუ ტაქტილური, სითბო-სიცივის ანუ ტემპერატურის, და ტკივილის.

საკუთრივ შეხების შეგრძნება მხოლოდ დაწოლვის სხვადასხვა ინტენსიუობის განცდას გვაძლევს. ზოგი ავტორი ამასთან ერთად ვიბრაციის, ლიტინის და ქავილის რომელობებსაც ასახელებს. სამაგიეროდ, სხვა მოდალობათა რეცეპტორების გაღიზიანებასთან ერთად აღმოცენდება შეხების (ტაქტილური) მრავალსახოვანი შეგრძნებები, როგორცაა: სიმაგრე, სირბილე, სიმახვილე, ხორკლიანობა, სინოგივე, სიმშრალე, ფხვიერება და ა.შ. ეს შეგრძნებები ინტერმოდალური ხასიათისაა, ე.ი. რამდენიმე სახის რეცეპტორის ერთდროული გაღიზიანებით გამოიწვევა. საკუთრივ შეხების გარდა აქ განსაკუთრებულ როლს თამაშობს ჩვენი ორგანოების მოძრაობის კინესთეტიკური და ტემპერატურის შეგრძნებები. მაგალითად, ხორკლიანობა-სივლუვის განცდა

მელაპირზე თითის მოძრაობას საჭიროებს, სისეელისა – გემპერაგურის და ა.შ.

შეხებისადმი მგრძნობიარობა განსხვავებულია სხეულის სხვადასხვა ნაწილში და გაპირობებულია რეცეპტორების სიმჭიდროვით გარკვეულ უბნებში. ყველაზე მგრძნობიარე ადგილებია ხელისგულები, თითები, გუბები და ენა. ზუსტი სენსორული ინფორმაცია ამ ნაწილებიდან აუცილებელია ჭამის, მეტყველებისა და აღქმის პროცესების ეფექტური მიმდინარეობისთვის. შეხების შეგრძნებას ძლიერი ადაპტაცია ახასიათებს. ჩვენ ვერ ვგრძნობთ საათს ხელზე ან ბუკვლს თითზე და ა.შ.

გემპერაგურის შეგრძნებას იწვევს თერმული გაცვლა ჩვენი სხეულის მელაპირსა და საგანს შორის. რაც უფრო სწრაფად გადადის სითბო კანიდან საგანში მით უფრო ცივად გვეჩვენება ის, და პირიქით. აქედან გამომდინარე, სითბოსა და სიცივის შეგრძნებას ორი ფაქტორი განსაზღვრავს: ჩვენი სხეულის მელაპირისა და საგნის გემპერაგურათა სხვაობის ხარისხი და საგნის თბოგამტარობა. სითბო-სიცივე არ შეიგრძნობა იმ ადგილას, სადაც კანისა და საგნის გემპერაგურა ერთნაირია. მას ნეიგრალური გემპერაგურის ზონა ეწოდება და კანის საშუალო გემპერაგურას – 32-33 გრადუსს შეესაბამება.

გემპერაგურის შეგრძნებას არა აქვს ერთი სახის რეცეპტორი, რომელიც თერმომეტრივით ფუნქციონირებს. კანში გალაგებულია სითბოსა და სიცივის რეცეპტორები. შეგრძნების ამ მოდალობას მკაფიოდ გამოხატული ადაპტაცია და კონგრასტი ახასიათებს. ძალიან ცხელი წყალი მალე ნელთბილად გვეჩვენება, ცხელის შემდეგ ნელთბილი – ცივად და პირიქით.

ტკივილის შეგრძნება საკმაოდ არაგვიპურია. თავისი გამოკვეთილი სუბიექტურობის გამო კლასიკურ ფსიქოლოგიაში მისი კვალიფიკაცია სერიოზულ პრობლემას წარმოადგენდა. განცდისეულად იგი მართლაც უახლოვდება გრძნობას. ამიგომ ზოგი მას ემოციური განცდის ნაირსახეობად მიიჩნევდა, ზოგი ტკივილს განცდათა ახალ კლასს უფარდებდა – გრძნობასა და შეგრძნებას შორის (ე.წ. გრძნობითი შეგრძნება). სადღესოდ ტკივილი შეგრძნებად მიიჩნევა, რომელსაც ჭარბად აქვს სუბიექტურობის ნიშნები; ამასთან, მას თითქმის ყოველთვის უარყოფითი გრძნობები ახლავს – ამით მისი სუბიექტურობა განსხვავდება

ემოციის სუბიექტურობისაგან. უკანასკნელი ჩვენი სულიერი „მე“-სადმი კუთვნილებაში მდგომარეობს, ხოლო ტკივილი მხოლოდ იმდენად არის სუბიექტური, რამდენადაც ჩვენი სხეულის, ე.ი. რაღაც ობიექტურის მდგომარეობას წარმოადგენს.

გარდა ამისა, აღმოჩენილია ტკივილის რეცეპტორები (ე.წ. ნოციუპტორები), რომელთა პირდაპირი გაღიზიანება ტკივილს იწვევს. ემოციას რეცეპტორი არა აქვს, ამდენად ტკივილის სენსორული ბუნება ეჭვს არ იწვევს. დავის საგანი უფრო ის არის, თუ შეგრძნებათა რომელ ჯგუფს მიეკუთვნება ტკივილი. რამდენადაც ტკივილის რეცეპტორთა დიდი ნაწილი ორგანიზმის ზედაპირზე, კანშია განთავსებული, ტკივილის შეგრძნებას უფრო ხშირად იხილავენ შესებასა და გემპერაგურასთან ერთად, როგორც კანის შეგრძნებების მოდალობას. მაგრამ ტკივილის რეცეპტორები ძელებში, სახსრებში, შინაგან ორგანოებშიცაა განლაგებული. ამასთან, როგორც ითქვა, ფსიქოლოგიურად ტკივილი განიცდება ჩვენი ორგანიზმის მდგომარეობად და არა საგნის თვისებად – სხეულის გარკვეული ადგილი მტკიეა და არა ნემსის წვეურია მტკივნეული. მეტიც, ტკივილი ხშირად განიცდება გარეგამღიზიანებლის გარეშეც (სახსრის, კუჭის, გულის და ა.შ. ტკივილი). აქედან გამომდინარე, ტკივილს ორგანული შეგრძნებების გვერდითაც განიხილავენ.

ტკივილის შეგრძნებას უდიდესი ბიოლოგიური მნიშვნელობა აქვს. იგი თავდაცვის რეაქციის გამომწვევია. ტკივილი უბიძგებს ცოცხალ არსებას მოიშოროს სათანადო გამღიზიანებელი, ან თვითონ განერიდოს მას. ტკივილი ორგანიზმის განგაშივითაა აქედან, გასაგებია ამ შეგრძნების შემდეგი თავისებურებაც – სხვა მოდალობებისაგან განსხვავებით, მას არ გააჩნია სპეციფიკური გამღიზიანებელი; ტკივილს იწვევს ყოველგვარი ფაქტორი (მექანიკური, თერმული, ქიმიური, ელექტრული, იმემიური) თუკი ის დიდ, ორგანიზმისთვის დამაზიანებელ ინტენსივობას აღწევს.

კინესთეტიკური და წონასწორობის შეგრძნებათა გარეშე ცოცხალი არსება ვერ შეასრულებს ვერც ერთ კოორდინირებულ მოძრაობას. იმისთვის, რომ გაიწოდო ხელი, უნდა იცოდეს სადაა შენი ხელი და ხელისგული, შემდეგ კი აკონტროლო, როგორ იცვლება მათი პოზიცია მოძრაობისას. მხოლოდ ერთი ნაბიჯის გადასადგმელად ნერვულმა სისტემამ ინსტრუქცია უნდა მისცეს და-

ახლოებით 200-მდე კუნთს და მიიღოს მათგან პასუხი. კინესთეტიკური და წონასწორობის შეგრძნებათა ერთიანობით ყალიბდება ე.წ. სხეულის სქემა, რომელიც წარმოადგენს მთელი სხეულისა და მისი ნაწილების (ხელი, ფეხი, თავი და სხვა) სივრცეში ადგილმდებარეობის (პოზის), მოძრაობის მიმართულებისა თუ სისწრაფის შესახებ სუბიექტური ხატს. სხეულის სქემაში მოცემულია ინფორმაცია იმის შესახებაც, თუ რა წინააღმდეგობა ხდება მოძრაობის შესრულებას, ე.ი. რა დაძაბულობით ვასრულებთ მას (მაგ, რა სიმძიმეს ვწევთ).

კინესთეტიკური ანუ მოძრაობის, მდგომარეობისა და დაძაბულობის რეცეპტორები განლაგებულია შესაბამისად სახსრებში, მყესებსა და კუნთებში. მათი საერთო სახელია – პროპრიოცეპტორები.

ცოცხალი არსება შეიგრძნობს თავისი სხეულის, როგორც მთელის მდგომარეობას სივრცეში, მეტადრე ვერტიკალური ან სხვა ბუნებრივი მდგომარეობის დაკარგვის შემთხვევაში. ამ შეგრძნებებს წონასწორობის შეგრძნებებს უწოდებენ. წონასწორობის რეცეპტორი მდებარეობს შინაგან ყურში – ლაბირინთში. ეს არის ვესტიბულარული ორგანო სამი ნახევარკალოვანი არხით. არხებში სითხეა – ენდოლიმფა. ის მოძრაობს ჩვენი მოტორილების ან დახრის შესაბამისად და აღიზიანებს არხის კედლებზე განლაგებულ ბუსუსებს (რეცეპტორებს). ამ რეცეპტორების გაღიზიანება ხდება მხოლოდ თავის მოძრაობითაც. მთელი სხეულია გადახრილი თუ თავი, ირკვევა ვესტიბულარული და კინესთეტიკური ინფორმაციის ურთიერთშეთანხმების გზით.

ორგანული შეგრძნებები მთელი ორგანიზმისა და მისი ცალკეული შინაგანი ორგანოების მდგომარეობას გვამცნობენ, ამიგომ ისინი ინტროცეპტორული შეგრძნებების ჯგუფს მიეკუთვნებიან. ეს შეგრძნებები ფიზიოლოგიური პროცესების შედეგს წარმოადგენენ და ხშირად საერთო თვითგრძნობის სახით გვეძლევა (მხნედ ყოფნა, სისუტე, დაღლილობა და ა.შ.). ამავე დროს, ორგანიზმის ცალკეულ სისტემაში (საჭმლის მონელება, სუნთქვა, სისხლის მიმოქცევა, სქესობრივი სისტემა და ა.შ.) მიმდინარე პროცესებიც საჭიროებს ინდიკაციას და კონტროლს. წონასწორობის (ე.წ. ბომეოსტაზის) დარღვევა ამ სისტემებში იწვევს მისი აღდგენის ბუნებრივ მოთხოვნილებას და სათანადო ორგანულ შეგრძნებას (შიმშილი,

წყურვილი, სულის ხუთეა). სუნთქეასთან დაკავშირებული შეგრძნებები ჩვეულებრივ პირობებში არც განიცდება და მხოლოდ მისი გართულების შემთხვევაში გვახსენებენ თავს. სისტემის ნორმალურ მდგომარეობაში დაბრუნებაც იწვევს სათანადო შეგრძნებას (დანაყრება, წყურვილის მოკვლა და ა.შ.). ეს ბუნებრივია, ვინაიდან ორგანული შეგრძნებები უმჭიდროეს კავშირში იმყოფებიან ბიოლოგიურ მოთხოვნილებებთან, რომლებშიც მოცემულია შესაბამისი აქტივობის ჩართვისა და გამორთვის მექანიზმები.

ყველა ორგანულ შეგრძნებას საკუთარი ფსიქოფიზიოლოგიური სისტემა მართავს, შესაბამისი ცენტრალური და პერიფერიული ნაწილებითა და სათანადო გამღიზიანებლებით (იხ. თავი IX). შიმშილის შეგრძნებას იწვევს როგორც კუჭის სიციარიელთ გამოწვეული კუჭის კედლების რეფლექტორული მოძრაობები, ისე სისხლის შემადგენლობის შეცვლა (გლუკოზანაკლული ანუ „შმიერი სისხლი“), რასაც დიდი ხნის უკმელობა იწვევს.

წყურვილის პერიფერიული ფაქტორია პირის ღრუს, ყელისა და საყლაპავი მილის ზედა ნაწილის ლორწოვანი გარსების სიმშრალე, ხოლო ცენტრალური ფაქტორი – სითხის ნაკლებობა საერთოდ ორგანიზმში (ე.წ. სისხლის ოსმოსური წნევა).

§ 3. ალქმა

ალქმა და შეგრძნება

ალქმა რეცეპტორზე მოქმედ კონკრეტულ საგანთა ან მათ თვისებათა თვალსაჩინო, ხატოვანი ასახვაა¹. ადამიანი გარემოს ცალკე გამღიზიანებლების და მათი კომპლექსების სახით კი არ განიცდის, ე.ი. გამღიზიანებლებს კი არ შეიფრძნობს, არამედ მისგან დამოუკიდებელ საგანთა სახით აღიქვამს. სინამდვილე ადამიანის ცნობიერებაში საგანთა და მოვლენათა სახით აისახება და არა საგნობრიობას მოკლებულ, საგნის გარეშე მოცემულ დაქაჩესულ სენსორულ (შეგრძნებით) თვისებათა (ფერი, გემო და ა.შ.) სახით. გარემოს კი არ შევიგრძნობთ, არამედ აღვიქვამთ.

¹ „ხატოვანი“ აქ და ქვემოთ იხმარება საგნის თვალსაჩინო წარმოდგენის – ხატის (სურათის) მნიშვნელობით.

მასალას გარემოს აღსაქმელად მხოლოდ შეგრძნებები იძლევა (იხ. § 1, § 2) – სხვა გზა საგნებისა და მათი თვისებების აღსაქმელად არ არსებობს. მაგრამ ჩვეულებრივ პირობებში შეგრძნებას აღამიანი აღქმის გარეშე არც განიცდის. რეალურად ისინი ერთმანეთისაგან მოუწყვეტლად, აღქმის ერთიანი პროცესის სახით არსებობენ. შეგრძნებების მასალიდან იმთავითვე იქმნება, ორგანიზლება საგნის ან მისი თვისების აღქმა. ცოცხალი არსება ურთიერთობას ამყარებს გარემოში მოცემულ კონკრეტულ საგნებთან და მათ თვისებებთან და არა უსაგნო სენსორულ თვისებებთან. ამიგომ გასაგებია, რომ გარემოსთან შეგუების პროცესში მას სწორედ აღქმის ფუნქცია განუვითარდა.

მაგრამ რას ნიშნავს საგნის აღქმა, თუ არა მის თვისებათა შეგრძნებას? რა არის აღქმა, თუ არა შეგრძნებათა კრებადობა? ყოველდღიურ მეცყველებამი და არაფსიქოლოგიურ ლიგერატურში სიგყვებს – შეგრძნება და აღქმა ჩვეულებრივ ერთი მნიშვნელობით ხმარობენ. “მე შევიგრძნობ” ფერს თუ ბგერას, ამბობენ იმავე მნიშვნელობით, როგორც “მე აღვიქვამ” ფერს ან ბგერას. მაგრამ, როგორც მეცნიერული ფსიქოლოგიის ცნებები, ისინი არსებითად განსხვავდებიან. ქვემოთ ჩვენ შევჩერდებით აღქმის იმ მთავარ თვისებებზე, რომელნიც მას ძირითადად განასხვავებენ შეგრძნებისაგან.

აღქმის საგნობრიობა

აღქმის შეგრძნებისაგან მთავარი განმასხვავებელი ნიშანი მისი საგნობრიობაა. აღქმა განიცდება არა როგორც სუბიექტში მიმდინარე პროცესი, არამედ როგორც სუბიექტის გარეთ, მისგან დამოუკიდებლად არსებული ობიექტი, მიუხედავად იმისა, იქნება ეს მთელი საგნის აღქმა, თუ მისი რომელიმე თვისებისა (ფერის, მისგან მომდინარე ბგერის და ა.შ.). მაგალითად, ამ საზამთროს რომ ეუყურებ, მე ჩემს გარეთ არსებულ საგანს – საზამთროს ვხედავ და არა ამ საზამთროს გემოქმედებით ჩემში აღძრულ პროცესს განვიცდი. ან მის მწვანე ფერს რომ განვიცდი – ჩემში აღმოცენებული სიმწვანის შეგრძნებას კი არ განვიცდი, არამედ ჩემს გარეშე, გარკვეულ მანძილზე არსებული საგნის ფერს ვხედავ. ამ და სხვა შემთხვევაში საქმე გვაქვს აღქმასთან,

რომლის შინაარსს სათანადო შეგრძნებები ქმნიან, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს შეგრძნებები ალქმის გარეშე არ განიცდება.

ამ ძირითად განსხვავებას შეგრძნებასა და ალქმას შორის ნათელს ხდის ის იშვიათი შემთხვევები, როდესაც გარკვეული პირობების გამო, სუბიექტი ერთ მომენტში გამლიზიანებლით გამოწვეულ შეგრძნებას განიცდის, რომელიც მალევე საგნის სათანადო თვისებათა ალქმად გადაიქცევა.

ერთი ასეთი შემთხვევა ალწერა უსიქოლოგმა რ.ნათაძემ. გაღვიძების მომენტში “სიმწვანის” უცნაური განცდა აღმოცენდა. ეს მწვანე ფერი არ იყო ლოკალიზებული, თითქოს თვალები აივსო “სიმწვანით”. მაგრამ მის მიმართ ყურადღების გამახვილებისას ეს სიმწვანე უმალ დაიძრა და გადაინაცვლა ხის მიმართულებით, რომელიც ეზოში იდგა და ამ ხის მწვანე ფერად გადაიქცა. უდავოა, რომ პირველ მომენტში თვალის გახელისას ხის მწვანე ფერით მხედველობის რეცეპტორთა გაღვიძების შედეგად ჯერ პასიურ მდგომარეობაში მყოფ ცნობიერებაში აღმოცენდა მწვანე ფერის შეგრძნება, ანუ საგნობრიობას მოკლებული “სიმწვანის” განცდა, რომელიც უმალ მწვანე ფერის ალქმად (ხის მწვანე ფერად) გადაიქცა.

ალქმის კატეგორიალობა ანუ აზრიანობა

საგნის თვალსაჩინო ხატთან ერთად ალქმაში მოცემულია მისი საგნობრივი მნიშვნელობაც, ანუ იმის ცოდნა, თუ რა არის ეს, რა საგანს აღვიქვამთ ჩვენ. ეს საგანი განიცდება, როგორც საგანთა გარკვეული კატეგორიის წარმომადგენელი. ალქმის ამ თვისებას კატეგორიალობას უწოდებენ, ხოლო, რადგანაც ალქმული საგნის გარკვეული კატეგორიის საგნად გულისხმობა მის ერთგვარი გააზრებაცაა, ამდენად ამ თვისებას ალქმის აზრიანობაცაა უწოდებენ.

ის გარემოება, რომ ალქმა კონკრეტული საგნის ასახვას იძლევა, არ ეწინააღმდეგება მის კატეგორიალობას. კონკრეტული საგანი განიცდება საგანთა ჯგუფის, კატეგორიის წარმომადგენლად, და ეს დასკვნის ან მსჯელობის სახით კი არ ხდება, არამედ იმთავითვე ამ საგნის ალქმის პროცესში ხორციელდება. როდესაც ჩვენ შევხედავთ სკამს – ის ჩვენთვის იმთავითვე “საზოგადოდ სკამია”, ე.ი. “სკამების” კატეგორიის წარმომადგენელი და არა მხოლოდ ესა და ეს ინდივიდუალური საგანი. ცხადია,

აღქმის ეს თვისება, ანუ კერძოში ზოგადის გულისხმობა, აღქმაში ამროვნების მონაწილეობის შედეგია. მაგრამ ამროვნების ასეთი მონაწილეობა აღქმის, როგორც რეალური პროცესის, აუცილებელი თვისებაა. საქმე ისაა, რომ ფსიქიკურ ფუნქციათა სრული დაშორება ერთმანეთისაგან საერთოდ შეუძლებელია. კერძოდ, აღქმის პროცესის ერთიანობიდან ვერ ამოირიცხება ვერც ამროვნებისა და ვერც მეხსიერების გარკვეული მონაწილეობა: აღქმაში ასახულს ჩვენ ვცნობთ, როგორც საგანთა გარკვეული კატეგორიის წარმომადგენელს; ცნობა კი მეხსიერების გამოვლინებაა (იხ. თავი XII).

აღქმის კატეგორიალობის ჩამოყალიბებაში გადამწყვეტ როლს ასრულებს ადამიანის გამოცდილება – მისი პრაქტიკული დამოკიდებულება საგნებთან და სათანადო სიგყვის (საგნის სახელის) ხმარება. ჩვეულებრივ, ერთ კატეგორიად ჩამოყალიბდება ის საგნები, რომელთაც ერთი საერთო სახელი ეწოდება. ამ მხრივ საინტერესო დაკვირვება არსებობს ბავშვის მიერ ფერების აღქმის დაუფლებაზე. ერთი ფერის (მაგ, წითლის) ელფერებს ბავშვი სხვადასხვა ფერებად განიცდის, არ აერთიანებს ერთ ჯგუფში, სანამ არ ისწავლის იმ ფერის სახელს, რომელიც აერთიანებს ამ ელფერებს ერთ კატეგორიად (მაგ, წითელ ფერად). მხოლოდ ამის მერე ამ ფერის ყველა ელფერი (მუქი, ბაცი, მეგნაკლებად მაძლარი და ა.შ.) ფერთა სათანადო კატეგორიის (წითლის) წარმომადგენლებად განიცდება. ასევეა მრდასრულთა შემთხვევაშიც. ადამიანი იმდენ ელფერს განარჩევს, რამდენის შესაგყვისი სიგყვაც იცის (მაგ, აგურისფერი, ალისფერი, შინდისფერი, ქვალის, წითელ-ყვითელი, ნარინჯისფერი და სხვა). თუკი ადამიანი მხოლოდ ერთ ენას ფლობს, რომელშიც ფერთა სახელწოდებანი მწირადაა, მას ფერთა გარჩევაც უჭირს.


ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ აღქმა მხოლოდ სენსორული ბუნების პროცესი როდია, იგი შემეცნებითი ბუნების პროცესია – საგნის შემეცნების თვალსაჩინო ფორმაა და არა გამლიზიანებლის შეგრძნება.

აღქმის სტრუქტურული მთლიანობა


მთლიანობის ცნება ძველ ფსიქოლოგიაში იგულისხმებოდა, რომ აღქმა არის შეგრძნებათა უბრალო კრებალობა – მათი ჯამი ანუ მათი “კონა”. მაგალითად, ვაშლის აღქმა მისი ცალკეული თვისების (ფორმის, ფერის, გემოს და ა.შ.) შეგრძნებათა მექანიკუ

რი ჯამი ეგონათ. თანამედროვე ფსიქოლოგიაში დამტკიცებულია, რომ ალქმა ცალკე შეგრძნებათა ჯამი კი არ არის, არამედ გარკვეული სტრუქტურის მქონე მთლიანობაა და ეს მისი თვისება – სტრუქტურული მთლიანობა ალქმის ერთ-ერთი არსებით ნიშანია.

მაგრამ რით განსხვავდება მთლიანობა ჯამისაგან, რა ნიშნებით ხასიათდება მთლიანობა? მთლიანის მთავარი თვისებურებაა სპეციფიკური დამოკიდებულება მთელსა და ნაწილს შორის: მთლიანი, მის ნაწილებთან შედარებით, ახალ თვისებებს ფლობს, თვისებებს, რომლებიც არც ნაწილებს გააჩნია და არც მათ ჯამს. არა მხოლოდ მთელია დამოკიდებული მის ნაწილებზე, არამედ პირიქითაც, გარკვეულ ფარგლებში, მთელი განსაზღვრავს მისი ნაწილების თვისებურებებს: ერთი და იგივე ელემენტი, სხვადასხვა მთლიანობაში შესული, განსხვავებულია ამ მთელის თვისებურების მიხედვით. მაგალითად, წყალი (H_2O) მის ელემენტებთან შედარებით ახალი თვისებების მქონეა – იგი სითხეა და არა აირი და არც წყას უწყობს ხელს, როგორც ქანგბადი, და არც იწვის, როგორც წყალბადი. წყალბადიც და ქანგბადიც ამ მთლიანობაში, ე.ი. როგორც წყლის ელემენტები, ამ დამოკიდებულ თვისებებს კარგავენ. სულ სხვა კანონზომიერება ახასიათებს ჯამს: ჯამის “ელემენტები”, ანუ ერთეულები არ იცვლება იმის მიხედვით, რომელ მთელში შედიან ისინი.




ნახ. 1



ნახ. 2

ალქმას მთლიანობის ყველა ნიშანი ახასიათებს. ალქმა, როგორც მთელი, მის ნაწილებთან შედარებით, ახალ თვისებას იძენს. მაგალითად, როცა ვუყურებთ სამი სწორი ხაზისაგან შედგენილ ფიგურას, ჩვენ აღვიქვამთ არა სამ ხაზს, არამედ მთლიან ფიგურას, რომელსაც გარკვეული ფორმა აქვს: ერთ შემთხვევაში (ნახ. 1) სამკუთხედს, მეორე შემთხვევაში (ნახ. 2) ვარსკვლავისებურ ფიგურას და ა.შ. ელემენტებს (ხაზებს) არაფერი გააჩნიათ სამკუთხედობისა. ფიგურის თვისება მთლიანის თვისებაა, რომელიც ელემენტებს არა აქვთ.

აღქმის მთელი გავლენას ახდენს თავის ნაწილებზე. ერთი და იგივე ელემენტი, სხვადასხვა მთელში შესული, განსხვავებულად აღიქმება. მაგალითად, რომ ავიღოთ ორი გოლი ხაზი და თითოეულს სხვადასხვა მიმართულებით მიეუსაზოთ ისრები (ნახ. 3). ეს ხაზები აღარ აღიქმება გოლად: თითოეული ხაზი აღიქმება როგორც განსხვავებული მთლიანის წევრი – პირველი პატარა, “შეკუმშული” მთელის ნაწილია და ამის შესაბამისად პატარად მოჩანს, მეორე კი დიდი – “გაწეული” მთელის ნაწილია და ამიტომ დიდად გამოიყურება.




ნახ. 3



ნახ. 4


ეს ილუზია კიდევ უფრო ძლიერია, როცა ეს გოლი ხაზები მკვეთრად განსხვავებული სიდიდის სურათის ელემენტებია (ნახ. 4). ამავე კანონზომიერების კიდევ უფრო თვალსაჩინო მაგალითს იძლევა ნახ. 5. აქ სწორი ხაზი AB ობიექტურად BC-ს გოლია, მაგრამ პირველი აღიქმება ბევრად უფრო გრძლად, ვინაიდან უფრო დიდი მთელის (მარცხენა ფიგურის) ნაწილია (დიაგონალი), მეორე კი უფრო პატარა მთელის ნაწილი.



ნახ. 5



ნახ. 6



ნახ. 7


ნახ. 6-მეც ისეთივე ვითარებაა. მარჯვენა რიგში განლაგებული ტეხილი ხაზების შუა მონაკვეთები ობიექტურად მუსგად ემთხვევა პარალელურ ხაზებს მარცხენა რიგში, მაგრამ ისინი არ

გვჩვენება პარალელურად. ეს იმიტომ, რომ მას შემდეგ, რაც პარალელურ ხაზებს მიეხაზა სხვადასხვა მიმართულებით წარმართული ბოლოები, თითოეული ხაზი ალქმის მთლიანობის გამო მთლიან გეხილ ხაზად გადაიქცა, ხოლო რადგანაც მთლიანი (გეხილი) ხაზები სხვადასხვა მიმართულებითაა განლაგებული, მათი შუა მონაკვეთებიც სხვადასხვა მიმართულებით განლაგებულად აღიქმება (სანამ არ დაუარავთ მათ ბოლოებს).

დაუმთავრებლობის განცდა. ალქმის მთლიანობის მნიშვნელოვანი არგუმენტია დაუმთავრებლობის სპეციფიკური განცდა, რომელიც გვიჩნდება, როდესაც აღვიქვამთ დაუმთავრებელ ფიგურას, როგორც ეს მე-7 ნახაზზე გამოსახული, წვეროს არმქონე სამკუთხედის შემთხვევაშია. ძალიან გამოკვეთილია ეს განცდა მელოდიის შეწყვეტის შემთხვევებში. მაგრამ დაუმთავრებელი ხომ მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რაც მთლიანია, რასაც სგრუქტურა აქვს.


ალქმის სგრუქტურის ტრანსპოზიცია. ალქმის მთლიანობითი, სგრუქტურული ბუნების თვალსაჩინო გამოვლინებაა ალქმის ერთი და იმავე სგრუქტურის უცვლელად გადატანის შესაძლებლობა სხვადასხვა სენსორულ მასალაზე. ამ მოვლენას ალქმის ტრანსპოზიციას უწოდებენ. მაგალითად, ჩვენ უცვლელად აღვიქვამთ ერთსა და იმავე ფორმას, მიუხედავად იმისა, თუ რა ფერით არის ეს ფორმა გამოსახული. ასევე უცვლელად აღიქმება ერთი და იგივე მელოდია, მიუხედავად იმისა, მაღალი ტონებით სრულდება იგი თუ დაბალით.

ალქმა განაწევრებული მთლიანობაა. ეს ნიშნავს, რომ ალქმის მთლიანობას თავისი სგრუქტურა, თავისი აღნაგობა გააჩნია, რომ მთელთან ერთად ჩვენ მთელის ნაწილებსაც ვარჩევთ (მაგ, სამკუთხედის ფორმის აღნაგობაში კუთხეებსაც და გვერდებსაც ვხედავთ). ალქმისთვის დამახასიათებელია, რომ მისი საგანი გარემოდანაც გამოყოფილად განიცდება, ე.ი. რომ ალქმაში ყოველთვის არის მოცემული ფიგურაც და ფონიც, რომელზეც გვეძლევა ეს ფიგურა. ფიგურა განიცდება, როგორც საგნობრივი, წინ წამოწეული და ახლომდებარე; ფონი კი უსაგნოა და შედარებით დაშორებული. ფიგურის და ფონის გარჩევის ტენდენცია იმდენად ძლიერია, რომ იგი თავს იჩენს მაშინაც კი, როცა ფიგურა რეალურად არ არსებობს.




ნახ. 8

მე-8 ნახაზზე მოცემული გამოსახულება ამის თვალსაჩინო ილუსტრაციაა. აქ ვხედავთ თეთრ სამკუთხედს, რომელიც უფრო ნათელია, ვიდრე ფონი. სინამდვილეში რეალურად სამკუთხედი, როგორც ასეთი, არ არსებობს; გარდა ამისა, ეს ილუმინირული სამკუთხედი ფონზე უფრო თეთრი არ არის.




ნახ. 9



ნახ. 10

მიუხედავად იმისა, რომ ფიგურა ფონზე უფრო სგრუქტური-რებულია, ამ უკანასკნელის კონფიგურაცია დიდ გავლენას ახდენს ფიგურის აღქმაზე. ნახ. 9 და 10 ამის მაგალითებია. ერთ შემთხვევაში განივად განლაგებულ სხივებზე განთავსებული კვადრატი გრაპეტიად გამოიყურება, ხოლო მეორეში კვადრატის რეალურად სწორი გვერდები იმნიჭება ფონური ხაზების წრიულობის გამო.



ნახ. 11

მე-11 ნახაზში, ისევე როგორც ამ წიგნის ყდაზე, ჩვენ ვხედავთ ადამიანის სახის პროფილებს, თეთრი სიერცე მათ შორის ფონად აღიქმება. მაგრამ საკმარისია დავინახოთ შუაში თეთრი ლარნაკი, რომ ორივე პროფილი “ჩაეარდეს” – უკანა პლანზე გადაიწიოს, ფონად გადაიქცეს. რამდენიც უნდა ვეცადოთ ერთდროულად ორივე დავინახოთ ფიგურად – ლარნაკიც და პროფილებიც, ეს არ გამოვა – დაიწყება ფარული: ხან ლარნაკი “ჩაეარდება” – ფონად გადაიქცევა, ხან პროფილები. ეს იმიტომ ხდება, რომ ალქმა აუცილებლად შეიცავს ფიგურასა და ფონს. ფიგურის მოცემულობა ფონსაც გულისხმობს. ამრიგად, ალქმა შიგნით განაწევრებული და გარედან გამოყოფილი მთლიანობაა. ასეთ მთლიანობას ფსიქოლოგიაში “გემგალტს”¹ უწოდებენ (იხ. თავი 1).

ალქმის კონსტანტობა

საგანთა ალქმის ობიექტური პირობები მუდამ იცვლება: განათების ხარისხი, ფერი, მანძილი, რომლიდანაც აღვიქვამთ საგანს, მხედველობის კუთხე და ა.შ. ამ ფიზიკური ცვლილებების მიხედვით მნიშვნელოვნად იცვლება შეგრძნების უშუალო ფიზიოლოგიური საფუძველი და ამიტომ შეგრძნებაც უნდა იცვლებოდეს. მაგალითად, სუსტი განათების პირობებში თეთრი საგანი ნაკლებ სინათლეს აირეკლავს, ვიდრე მშით განათებული შავი საგანი, ამიტომ ამ შემთხვევაში პირველი საგანი უფრო მუქი რუხი ფერის შეგრძნებას უნდა იწვევდეს, ვიდრე მეორე.

¹ გერმანული სიტყვიდან Gestalt, რაც ფორმას ნიშნავს.

საგნის გამოსახულების სიდიდე თვალის ბადურაზე, ოპტიკის კანონის მიხედვით, თვალიდან საგნის დაშორების უკუპროპორციულია. მაშასადამე, საგანი მით უფრო პატარა უნდა გამოიყურებოდეს, რაც უფრო შორს არის ის ჩვენგან. საგნის გამოხატულების სურათი თვალის ბადურაზე არსებითად იცვლება იმის მიხედვითაც, თუ რომელი მხრიდან, რა კუთხით ვუყურებთ მას და ა. შ. მაგალითად, მრგვალი ფანქარი ხან ვიწრო მოლს ჰგავს, ხან კი პატარა წრეს (როცა ზუსტად უკნიდან ვხედავთ).

მიუხედავად ყველა ამ არსებითი ცვლილებისა, საგნის აღქმა, გარკვეულ ფარგლებში კონსტანტური, ე.ი. უცვლელი რჩება. ცარცი განათებისას, ან ჩრდილში თეთრად ჩანს სინათლის არეკლის ცვალებადობის მიუხედავად; ნახშირი მზის შუქზე შავად აღიქმება, მიუხედავად იმისა, რომ გაცილებით ნაკლებ სინათლეს აირეკლავს, ვიდრე ცარცი ბინდისას. უკანასკნელი მერხი აუდიტორიაში იმავე სიდიდისა აღიქმება, როგორც პირველი, თუმცა რამდენჯერმე უფრო პატარა იხატება თვალის ბადურაზე. სკამი მაინც სკამად, ე.ი. უცვლელი ფორმისად აღიქმება, თუმცა ჩვენ მას სხვადასხვა მხრიდან ვუყურებთ და, ამდენად, ბადურაზე მისი არსებითად ცვალებადი სურათი იხატება და ა.შ.

აღქმის ამ მნიშვნელოვან თვისებას აღქმის კონსტანტობა ეწოდება. განსაკუთრებით კარგადაა შესწავლილი ფერის, სიდიდის და ფორმის აღქმის კონსტანტობა, რისი მაგალითებიც გემოთ იქნა მოყვანილი. ოლონდ, აღქმის კონსტანტობა არ არის აბსოლუტური: დიდ მანძილზე საგნის სიდიდე მაინც შეცვლილად აღიქმება (თუმცა ნაკლებ შეცვლილად, ვიდრე იცვლება მისი გამოსახულება ბადურაზე), დაჩრდილული საგანი (მაგ, თეთრი ჭერის ნაწილი) ნაკლებ თეთრად გამოიყურება, ვიდრე განათებული, თუმცა ჩვენ ვიცი, რომ ფერი ერთია და ა.შ. მაგრამ მიუხედავად ამისა, აღქმის კონსტანტობას დიდი მნიშვნელობა აქვს საგანთა სწორი აღქმისთვის, მათი ცნობისთვის მუდამ ცვალებად პირობებში. სიდიდის, ფერის და ფორმის აღქმა რომ არ ყოფილიყო კონსტანტური, ადამიანი და ცხოველი ხშირად ვერ დაამყარებდა საგნებთან პრაქტიკულ ურთიერთობას, ვერ იცნობდა საგნებს, ვინაიდან საგნების ჩვენგან დაშორების მანძილი, მათი განათების ხარისხი და რაკურსი ყოველდღიურ ცხოვრებაში მუდამ იცვლება.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ აღქმის კონსტანტობა დიდად არის დამოკიდებული სუბიექტის გამოცდილებაზე (ბავშვს 6

თვის ასაკიდან თანდათან უვითარდება ალქმის კონსტანტობა), მაგრამ იგი არ არის საგანთა ინტელექტუალური შეფასების შედეგი. კონსტანტობა უშუალო ხასიათს აგარებს, რაც, თუნდაც, იქიდან ჩანს, რომ იგი დასტურდება ცხოველებთან, მათ შორის დაბალ საფეხზე მდგომ ცხოველებთანაც.

ალქმის პიროვნებისეული ხასიათი

ალქმა არა მხოლოდ საგნის ასხვავა, არამედ კონკრეტული ადამიანის მოქმედებაცაა. ადამიანი მოიმართება, მობილიმდება, როგორც ამბობენ, განეწყობა სათანადო საგნის აღსაქმელად და ეს მისი განწყობა გარკვეულ გავლენას ახდენს ალქმის პროცესზე და შედეგზე. ჩვენ არა მხოლოდ ვხედავთ, არამედ ვუყურებთ, არა მხოლოდ გვესმის, არამედ ვისმენთ. ალქმა ადამიანის შემეცნებითი აქტივობის გამოვლინებაა. ამიტომ, როგორც ყველა სხვა მოქმედებაში, ალქმაშიც გამოცდილება, მისი მისწრაფებები და ინტერესები ვლინდება და გარკვეულ დაღს ასვამს ალქმას. ალქმა არ არის საგნის ფოტოგრაფიული, უცვლელი ასახვა. გარკვეულ ფარგლებში იგი პიროვნებისეულ ხასიათს აგარებს.

ერთსა და იმავე მოვლენას ადამიანი, გარკვეულ ფარგლებში, განსხვავებულად აღიქვამს იმის მიხედვით, თუ როგორია მისი გამოცდილება ამ მოვლენის მიმართ, რა იცის მის შესახებ, რა აინტერესებს მასში, როგორ არის ამ მომენტში გაწყობილი და სხვა. ამის მიხედვით იცვლება ხედვის კუთხე, რომლითაც აღიქმება მოვლენა, იცვლება პიროვნების პოზიცია მის მიმართ. ამის გამო მოვლენის სხვადასხვა მხარეები წამოიწვეს წინ, დარჩენილები პირიქით, იჩრდილება, ზოგიც სხვაგვარად გამოიყურება და ა.შ. მაგალითად, არქეოლოგი, ოქრომჭედელი და ქურდი განსხვავებულად აღიქვამს გათხრებში აღმოჩენილ ოქროს ნივთს. პირველს ამ საგნის სხვა ნიშნები ეცემა თვალში, მეორეს – სხვა, მესამესაც – სხვა. ან მოაგარაკე გარკვეულ ფარგლებში სხვანაირად აღიქვამს “მშვენიერ” და “ღიად” ავდარს, ვიდრე ადგილობრივი მეურნე, რომლის ცნობიერებაში ეს ავდარი, პირველ რიგში, ჭირნახულისთვის მისი მნიშვნელობის კუთხით აღიბეჭდება და არა ესთეტიკური თვალსაზრისით. სულ სხვაგვარად აღიქვამს ამ მოვლენას (ავდარს) კულტურის დაბალ

დონებზე მდგომი ადამიანი, რომელიც ჭექა-ქუხილში, ელვასა და სეგყვაში ზებუნებრივი ძალების გამოვლინებას ხედავს და ა.შ.

როდესაც ადამიანი წინასწარ მტკიცედ არის განწყობილი გარკვეული მოვლენის ან საგნის მიმართ, მაგალითად, მტკიცედ მოელის რაიმეს, ასეთი განწყობის ზეგავლენით მან შეიძლება დამახინჯებულად, არასწორად, “ილუზიურად” აღიქვას მოცემული მოვლენა, თუკი ის არ დაემთხვა მოსალოდნელს. შემდგომი აღქმების ანუ აღქმის ილუზიების (იხ. ქვემოთ) დიდი ნაწილი ასეთი წინასწარ შემუშავებული განწყობის შედეგია. თუ შემინებულ ინდივიდს ბინდისას იმ გყეში მოუხდა გავლა, სადაც მგელი ბინადრობს, მან შეიძლება რაიმე ჯირკი ან ბუჩქი, პირველ მომენტში მაინც, მგელად აღიქვას. ლიგერატურაში აღწერილია შემთხვევა, როცა გარეულ ღორზე ჩასაფრებულმა მონადირემ გყიდან გამოსული ბაეში გახად აღიქვა და ესროლა მას.

ნახ. 12



საგულისხმოა, რომ ხშირად ერთი და იგივე ადამიანი ერთსა და იმავე საგანს განსხვავებულად აღიქვამს იმის მიხედვით, თუ როგორ არის იგი განწყობილი. ამ კანონზომიერების საინტერესო ილუსტრაციას წარმოადგენს ე.წ. ორამროვანი (რევერსიული) სურათები – ნახატები, რომლებიც სხედასხვავებარად შეიძლება იყოს აღქმული. მათ ერთი და იგივე ადამიანი სხედასხევა რამის გამოსახულებად დაინახავს იმის მიხედვით, თუ რა განწყობით აღიქვამს ამ სურათს. აქვე მოცემულ სურათზე (ნახ. 12), ჩვეულებრივ, ხედავენ ახალგაზრდა ქალს, რომელსაც მარჯვნივ აქვს მიბრუნებული სახე ისე, რომ ძლივს მოჩანს ცხვირის ბოლო და მარცხენა წამწამი. მაგრამ საკბარისია იმავე სურათს შევხედოთ სხვა განწყობით (სათანადო ინსტრუქციის მიცემის შემდეგ), რომ დავინახოთ ღრმად მოხუცი ქალის პროფილი, რომლის გუჩებად გადაიქცევა პირველად დანახული ქალის სამკაული, ნიკაპად – მისი დეკოლტე, თვალად – მისი ყური და უშველებელ მოკაკულ ცხვირად – ახალგაზრდა ქალის ლოყისა და ნიკაპის კონტური.

აღქმის ილუზიები

როგორც ზემოთ დაერწმუნდით, აღქმა ყოველთვის როდი იძლევა საგნის ობიექტურად სწორ, უტყუარ ასახვას. გარკვეულ პირობებში ხდება საგნის არასწორი, დამახინჯებული აღქმა ანუ ილუზია. ილუზია ეწოდება მცდარ აღქმას, რომელიც არ შეე-საბყვისება ინტელექტუალურ კრიტერიუმზე დაფუძნებულ ცოდ-ნას აღქმული მოვლენის შესახებ. მაგალითად, თეთრი ფერის სა-განი, ჩვეულებრივ, უფრო ღილად გვეჩვენება, ვიდრე ამავე სიდი-დის მუქი საგანი. საგნის სიდიდის გაზომვით, ანუ ინტელექტუ-ალური კრიტერიუმის გამოყენებით, ჩვენ შეგვიძლია ამ აღქმის მცდარობა გამოვაფიქროთ. ასევე მზე ზღვაში ჩასულად გვეჩვენ-ება; ამ აღქმის მცდარობას ადვილად ვაფლენთ კაცობრიობის მიერ მოპოვებული ცოდნის საფუძველზე. ეს არის აღქმის ილუზი-ები: საგანი უშუალოდ აღიქმება არასწორად – არასწორია საგ-ნის სურათი და არა ცოდნა, არა აზრი საგნის შესახებ. გამომწ-ვევი მიზეზის მიხედვით ანსხვავებენ ილუზიების სამ სახეს.

პირველ ყოვლისა, აღსანიშნავია ე.წ. ფიზიკური ილუზიები. ამ ილუზიებს იწვევს საგნის მოცემულობის ფიზიკური პირობები. წყალში ჩაშვებული ჯოხი ან ჩაის ჭიქაში ჩაშვებული კოვზი გა-დაგეხილად აღიქმება. ამის მიზეზი ფიზიკური მოვლენაა – სი-ნათლის სხივების განსხვავებული გარდატეხა გამჭვირვალე სითხეში და მის გარეთ.

ილუზიათა მეორე სახეს ფიზიოლოგიური ილუზიები წარმო-ადგენს. ისინი გამოწვეულია წმინდა ფიზიოლოგიური მოვლენე-ბით. ასეთია, მაგალითად, ოპტიკური კვალის მოვლენა და სხვა.

ილუზიათა მესამე სახეა ფსიქოლოგიური ილუზიები, რომლე-ბიც ფსიქიკური ფაქტორებითაა გაპირობებული. აქ შედის ძლიე-რი აუქტის (მაგ., შიშის), ძლიერი სურვილის, მტკიცე რწმენის, დაძაბული მოლოდინის, აქტუალური განწყობის, შთამაგონებე-ლი ზემოქმედების, არასწორი მსჯელობის თუ მცდარი ცოდნის საფუძველზე წარმოქმნილი ილუზიები.

აღამიანმა ბინდისას გყეში ჯირკი ან ბუჩქი იმიტომ აღიქვა ცხოველად, რომ შიშის გამო – მხეცი არ შემხვდესო – საშიში ცხოველის დანახვისკენ იყო განწყობილი (სწორად ამბობენ – “შიშს დიდი თვალები აქვსო”). ორი არატოლი ბურთის რამდენ-ჯერმე შედარების მერე, გოლი ბურთები არატოლად გვეჩვენე-

ბა: ჩვეულებრივ უფრო პაგარად იქ, სადაც მანამდე დიდი ბურთი იყო და დიდად იქ, სადაც პაგარა იყო (ე.წ. კონგრასტული ილუმინა), თუმცა, უფრო იშვიათად, ალქმის შეცდომას საპირისპირო ხასიათი აქვს (ე.წ. ასიმინალური ილუმინა). მსგავსი ილუმინები საგანგებოდ შეისწავლა გამოჩენილმა ქართველმა ფსიქოლოგმა დიმიტრი უზნაძემ და ისინი თავისი გახმაურებული განწყობის თეორიით ახსნა.

ეს დაყოფა პირობითია, რადგანაც ილუმინის მიზეზთა ასეთი გამიჯვნა ყოველთვის ვერ ხერხდება. ასეა იმ მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ე.წ. ოპტიკო-გეომეტრიული ილუმინების შემთხვევაში, რომელთა რამდენიმე მაგალითი ზემოთ მოცემულ ნახატებშია წარმოდგენილი. თუნდაც მიულერ-ლაიერის ილუმინის (ნახ. 3) ფსიქოლოგიურად მიჩნევა, გეშტალტფსიქოლოგიის კანონებით ახსნა და მხოლოდ იმის თქმა, რომ დიდი და მცირე გეშტალტის ნაწილიც სათანადოდ განიყვება, არ არის საკმარისი. საჭიროა უფრო კონკრეტული მექანიზმების მოძიება, რომლებიც ანალიზატორის (ამ შემთხვევაში მხედველობითი სისტემის) პერიფერიულ და ცენტრალურ რგოლებში მოქმედებს. ამ ილუმინის ამხსნელი თანამედროვე თეორიებიდან ზოგიერთი თვალის მოძრაობის ეფექტებზე ამახვილებს ყურადღებას, ზოგიც ნერვულ სისტემაში აგზნება-შეკავების პროცესების ურთიერთგადაანაცვლებაზე, ანუ ფაქტობრივად, ფიზიოლოგიურ მოვლენებზე. და ბოლოს, ილუმინები უნდა განეასხვავოთ პალუცინაციებისაგან. ილუმინა რეალურად არსებული საგნის დამახინჯებული (შემცდარი) ალქმია; პალუცინაცია რეალურად არარსებულის ალქმულად (ანუ არსებულად) განცდაა, მოჩვენებაა.

სივრცისა და დროის ალქმა

ყოველივე, რაც ალიქმება – სივრცეში ალიქმება. ალქმა საგნის თვალსაჩინო განცდაა. საგანი კი ყოველთვის განუწილია, ვრცეულია. მას სივრცეში ადგილი უჭირავს, აქვს სიდიდე, ფორმა, მისგან გვაშორებს გარკვეული მანძილი, მარჯვნივაა ან მარცხნივ, წინ, ზევით და ა.შ. ეს ყოველივე სივრცის ალქმის მომენტებია.

სივრცის ალქმის საკითხი საუკუნეთა განმავლობაში განიხილებოდა. აქ ორი ძირითადი პრობლემა გამოიკვეთა. 1. შეგრძნე-

ბის რომელი ორგანოებით ხდება სივრცის აღქმა და 2. თანდაყოლილია სივრცის აღქმა თუ შეძენილი. თანამედროვე მეცნიერებამ მეგ-ნაკლებად ორივეზე გასცა პასუხი. გაირკვა, რომ სპეციფიკური რეცეპტორები სივრცის აღსაქმელად არ არსებობს. იგი რამდენიმე მოდალობის შეთანხმებული მოქმედების შედეგია. განსაკუთრებული როლი აქვს მხედველობისა და შეხების შეგრძნებებს. სივრცის ორი განზომილების, ე.ი. განფენილობის (სიბრტყის) აღქმა იმთავითვე, დაბადებიდან ახლავს ყოველ ოპტიკურ თუ შეხებით შთაბეჭდილებას. ფერს ან სინათლეს აუცილებლად რაღაც ფართობი უჭირავს; შეხებაც სივრცით ლოკალიზაციას გულისხმობს.

ხოლო მესამე განზომილების, ე.ი. “სიღრმის”, ანუ სუბიექტიდან დაშორებულობის, მიმართულების, საგნის რელიეფის, აღქმა თანდათანობით ყალიბდება ძირითადად სამი – მხედველობის, შეხების და კინესთეტიკური მოდალობების შეთანხმებულ მონაცემთა საფუძველზე. საგნებთან პრაქტიკული ურთიერთობისას მათთან მისვლა, დახრა, შეხება, აღება, გადაადგილება სათანადო ოპტიკურ შთაბეჭდილებებთან ერთიანობაში ხდება. მეტიც, თვით ოპტიკურ აღქმაშიც მონაწილეობს თვალების კოორდინირებულ მოძრაობასთან (კონვერგენციასთან) და თვალის ლინზის ამოზნექა-ჩაზნექასთან (აკომოდაციასთან) დაკავშირებული კუნთურ-კინესთეტიკური შეგრძნებები. ამდენად, სივრცის მხედველობითი აღქმაც არაა წმინდად ოპტიკური – ისიც ინტერმოდალურია.

ყოველივე ეს გაირკვა ბავშვის აღქმის განვითარებისა და დაბადებიდან უსინათლოებისთვის ოპერაციის შედეგად თვალის ახელის კლინიკური გამოცდილების შესწავლის გზით. ასეთი პაციენტები პირველ ხანებში ყველა საგანს განიცდიან ბრტყლად ანუ არასამგანზომილებიანად. ისინი ვერ ხედავენ საგნების დაშორების მანძილს, ყველა საგანი უშუალოდ თვალებთან მიბჯენილი ეჩვენებათ. მათთვის ბურთი და წრე ერთნაირად განიცდება, კუბი კვადრატია, მთვარე კი ხელშესახები მანძილით დაშორებული და ა.შ. სხვათა შორის, ძუძუს ასაკის ბავშვებიც მთვარის დანახვამე ეგანებიან მას ხელის მოსაკიდებლად. ძალიან მალე, თვალხილულად მოძრაობისა და საგნებისთვის ხელის მოკიდების პრაქტიკის შედეგად, პაციენტს უვითარდება მესამე გან-

ზომილების აღქმაც, ანუ საგანთა სხეულებრივი ფორმისა და დაშორების მანძილის აღქმის უნარი.

დრო კიდევ უფრო მოუცილებელი მომენგია ჩვენი ფსიქიკური ცხოვრებისა, ვიდრე სიეროცე. ყოველი ფსიქიკური ფაქტი, განცდა აღბეჭდილია ე.წ. დროის პერსპექტივით იგი ან აწმყოს ეკუთვნის, ან წარსულს ან მომავალს. ადამიანის ცხოვრება მკაფიოდ არის ორიენტირებული დროში; ჩვენ კარგად ვუწყით მოვლენა ახლა ხდება, უკვე მოხდა თუ მოსახლენია. ამასთანავე, დრო განიცდება როგორც მოვლენების უწყვეტი თანმიმდევრობა, პროცესი, რომელშიც მომავალი უწყვეტად გადადის აწმყოში და აწმყო წარსულში. ამასთანავე, ჩვენ შეგვიძლია შევაფასოთ დროის ინტერვალის ხანგრძობა.

დროის აღქმა პირველ რიგში ამეამად ჩვენზე მემოქმედ აწმყოს ეხება. ადამიანს აქვს აწმყოს განცდა, ფსიქიკური აწმყო, რომელიც, ცხადია, არ ემთხვევა აწმყოს ფიზიკურ ცნებას – დრო ხომ რეალურად მუდმივი და შეუჩრებელი მიმდინარეობაა. ფსიქიკური აწმყო კი გარკვეული ხანგრძობაა, დროის ინტერვალაა. მისი ხანგრძლივობა მერყეობს წამებში იმის მიხედვით, თუ როგორია მოცემულ მომენტში ადამიანის ცნობიერების შინაარსი. თუ ეს შინაარსი ერთი მთლიანი სტრუქტურის სახითაა განფენილი დროში, აწმყოს განცდაც უფრო ხანგრძობი გვეჩვენება. მაგალითად, ერთი მოკლე ფრაზის მოსმენა აწმყო მომენტში მოცემულად განიცდება.

მაინც, როგორ დავახასიათოთ დრო აღქმის ფსიქოლოგიის თვალსაზრისით? საქმე ისაა, რომ არ არსებობს არც დრო, როგორც ფიზიკური გამომიხიანებელი და, ამდენად, არც დროის რეცეპტორი. დროის განცდა არა მხოლოდ ყოველი მოდალობის შინაარსის აღქმას ახლავს, არამედ საზოგადოდ ყოველ განცდას. მუსიკას უსმენთ, დრუბლებს უცქერთ, წყურვილი ან გვივილი გაწუხებთ, სიხარულს გრძნობთ თუ შიშს, შრომობთ, იგონებთ რასმე ან რაიმეზე ფიქრობთ – ყველა ამ პროცესთა განცდაში დროის მიმდინარეობაც განიცდება.

დროის შეფასება დამოკიდებულია როგორც ჩვენს გარეთ, ობიექტურად მიმდინარე მოვლენების ხანგრძლივობასა და პერიოდულობაზე (მაგ, წლის დროების ან დღე-ღამის მონაცვლეობა, სამუშაო რეჟიმი და სხვა), ასევე ჩვენს შიგნით მიმდინარე პროცე-

სებზე ამ მხრივ განსაკუთრებით ინფორმაგულია სასიცოცხლო ვისცერალური პროცესების ორგანული და კინესთეგიკური შეფერძნებები. ვინაიდან ღროის შეფასება ყოველგვარ განცდას უკაეშირდება, ამიგომ იგი მეგად სუბიექტურია. ობიექტურად ერთი და იგივე ღროის მონაკვეთი მეგ-ნაკლები ხანიერებით განიცდება სუბიექტის ცნობიერების შინაარსისა და განცდის ხასიათის მიხედვით. კერძოდ, დადასტურებულია საფსე ღროის კანონის სახელით ცნობილი კანონზომიერება: ღროის შეფასება იცელება იმის მიხედვით, რამდენად “დაგვირთულია” იგი განცდებით. ღრო მით უფრო სწრაფად მიედინება აქტუალურ განცდაში, რაც უფრო შეესებული იყო სხვადასხვა შინაარსით, და პირიქით, მით უფრო მოკლედ განიცდება მოგონებაში ღროის მონაკვეთი, რაც უფრო “დაცარიელებული” იყო იგი შთაბეჭდილებებისაგან.

მნიშვნელობა აქეს განცდების ხასიათსაც. სახელდობრ, სასიამოვნო ემოციური ელფერის განცდებისას, ღრო უფრო “ჩქარა გარბის”, ხოლო უსიამოვნო განცდებისას – ნელა. ეს მოვლენა ღროის ემოციური დეგერმინაციის კანონის გამოვლინებაა.

თავი XII. მესხიერება

§ 1. მესხიერების ზოგადი დახასიათება

მესხიერების მოვლენა დიდი ხანია აინტერესებს კაცობრიობას. ანტიკური ხანის ავტორების გადმოცემით, პირველი უსიქოლოგიური ცდები სწორედ ამ სფეროში ჩატარდა. პლატონის ერთ-ერთ დიალოგში ვინმე სოფისტ გიპიუსს თავი მოჰქონდა იმით, რომ შეეძლო 50 სახელის დამახსოვრება ერთჯერადი წაკითხვით. უფრო საოცარია რომელი ფილოსოფოსის სენეკას მამის მიღწევები. მას შეეძლო 2000 სიტყვისა და 200 ლექსის ზუსტი აღდგენა მოსმენისთანავე. ჩვეულებრივი ადამიანის შესაძლებლობები ამ მხრივ ბევრად მცირეა. დამახსოვრება-გახსენების უნარის განვითარების შესწავლა შუა საუკუნეებშიც მიმდინარეობდა. “მესხიერების ხელოვნებისადმი”, ანუ ე.წ. მნემონიკისადმი (მნემე ბერძნულად მესხიერებას ნიშნავს) ასეთი ინტერესი პრაქტიკული საჭიროებით აიხსნება: წარსულში, ინფორმაციის შენახვისა და გადაცემის საშუალებათა შემლუღულობის პირობებში, მესხიერების ძალას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა.

მესხიერების სისტემატური ექსპერიმენტული შესწავლა XIX საუკუნის ბოლო მეოთხედში დაიწყო გამოჩენილმა უსიქოლოგმა ჰერმან ებინჰაუსმა. მან მიაგნო მესხიერების კვლევის მარტივ და ძალზე ეფექტურ მეთოდს. დასამახსოვრებელ მასალად იგი იყენებდა უაზრო მარცვლებს (ჩამ, პეც, ვილ ...), რომლებიც, სიტყვებისა და წინადადებებისაგან განსხვავებით, არ იყვნენ დატვირთული შინაარსით და ასოციაციებით. აქედან გამომდინარე, ისინი ყველასთვის ინდიფერენტული, ანუ ერთნაირად დამახსოვრებადი იყვნენ და მესხიერების გასაზომი ერთგვარი ერთეულის ფუნქციას ასრულებდნენ. ცდებში იზომებოდა, თუ რამდენ ერთეულს იმახსოვრებდა და შემდეგ ივიწყებდა სუბიექტი სხვადასხვა პირობებში – ცვალებადობდა მასალის ოდენობა, გამეორებათა რიცხვი, დამახსოვრების დრო და სხვა. ებინჰაუსმა აღმოაჩინა მნიშვნელოვანი კანონზომიერებანი, რომლებიც დღესაც შეადგენენ ექსპერიმენტული უსიქოლოგიის ოქროს ფონდს.

აღსანიშნავია, რომ ებინჰაუსი იკვლევდა მხოლოდ მეხსიერების ერთ-ერთ ფორმას, ე.წ. ნებელობით (აქტიურ) მეხსიერებას. მისი არსებითი ნიშანი ის არის, რომ დამახსოვრებისა და გახსენების პროცესები სუბიექტის მიერ შეცნებულად და მიზანდასახულად წარიმართება. გრადიციული ფსიქოლოგია მას განასხვავებდა მეხსიერების იმ სახეობისაგან, რომელშიც რაიმე შინაარსის შემონახვა და ცნობიერებაში აღდგენა სუბიექტის განზრახვის გარეშე, უნებლიედ ხდება. უნებლიე (პასიური) მეხსიერების კლასიკური ფორმაა ე.წ. ასოციაციური მეხსიერება. ასოციაცია წარმოადგენს შორის ისეთ კავშირს ნიშნავს, როცა ერთის აღმოცენება ცნობიერებაში მეორის აღმოცენებას იწვევს. ამ დროს სუბიექტისთვის მიუწვდომელი რჩება როგორც ის, თუ რაგომ გაახსენა ერთმა წარმოდგენამ მეორე, ასევე ისიც, თუ თავიდან როგორ დაუკავშირდნენ ეს წარმოდგენები ერთმანეთს.

მეხსიერების კვლევას თანამედროვე კოგნიტურ ფსიქოლოგიაში დიდი შესაძლებლობები მიეცა. ახალმა გექნოლოგიებმა ურთულესი და უზუსტესი ექსპერიმენტული ბაზა შექმნა მნემური პროცესების კვლევისთვის, როგორც ფსიქოლოგიურ, ისე ნეირონულ დონეზე. გარდა ამისა, რადიკალურად შეიცვალა მეხსიერების ფუნქციის გააზრების იდეოლოგიაც. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში დამკვიდრებული გრადიციის თანახმად, იგი გაგებულია კომპიუტერთან ანალოგიის საფუძველზე მეხსიერება არის ინფორმაციის თანმიმდევრული გადამუშავების პროცესის გარკვეულ ეტაპი ან ფუნქციონალურ რგოლი შესასვლელი და გამოსასვლელი ბლოკების მქონე სისტემაში.

თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებითად ძალაში დარჩა მეხსიერების სხვადასხვა ფორმების განმასხვავებელი ნიშნები და კრიტერიუმები, თუმცა ისინი მნიშვნელოვნად დამუსგდა და უფრო მრავალფეროვანი გახდა, ზოგჯერ კი, უბრალოდ ტერმინები შეიცვალა. მაგალითად, ძველი ფსიქოლოგიის დაყოფას ნებელობით და უნებლიე მეხსიერებად დღეს ექსპლიციტურს და იმპლიციტურს უწოდებენ. ერთ შემთხვევაში დამახსოვრებისა და აღდგენის პროცესი ცნობიერად მიმდინარეობს, მეორეში – ცნობიერების გარეშე. უცვლელი დარჩა ის ფუნდამენტური შეხედულება, რომ სწორედ დამახსოვრების, შენახვისა და აღდგენის პროცესები არის მეხსიერების, როგორც ფსიქიკური ფუნქციის

(მოვლენის) უმთავრესი მახასიათებლები მეხსიერება შეიძლება მოკლედ განემარგოთ, როგორც ამ პროცესების ერთობლიობა. შეიძლება ასეც გვეთქვა: მეხსიერება, როგორც დამოუკიდებელი შემეცნებითი ფსიქიკური პროცესი, სამ ფაზას მოიცავს: დამახსოვრებას, შემონახვას და აღდგენას.

იმისთვის, რომ რაიმე გავისხენოთ, ეს რაღაც ჩვენში უნდა არსებობდეს ან ჩვენთვის ცნობილი იყოს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეხსიერება იწყება შთაბეჭდილების მიღებით, ანუ ფსიქიკურ სისტემაში ინფორმაციის შესვლით. ამ თითქოს ცხად ვითარებას აღნიშვნა ესაჭიროება, ვინაიდან ჩვენი მეხსიერების პრობლემები ხშირად ინფორმაციის შემოსვლასთან დაკავშირებული სირთულეებითაა გამოწვეული. ეს ბუნებრივია, რადგან თვით დამახსოვრების პროცესია რთული და მრავალი ასპექტის შემცველი. გყუილად არ ხმარობენ დამახსოვრებასთან ერთად გერმინს “კოდირება”. დამახსოვრება არსებითად კოდირებაა, ანუ მიღებული შთაბეჭდილების (ინფორმაციის) გარკვეულ ფსიქიკურ ფორმაში მოქცევა და მნემურ სისტემაში შეტანა. როცა კომპიუტერის პროცესორში ინფორმაცია შეგვყავს, მის კოდირებას ვახდენთ. დამახსოვრება ხშირად საკმაოდ რთული მნემური მოქმედების სახეს იღებს. მისი ხასიათი და ეფექტურობა ბევრ ფაქტორზეა დამოკიდებული: მაგალითად იმაზე, თუ რა ხერხებს და სტრატეგიებს ვიყენებთ დამახსოვრებისას, როგორია მასალის მოცულობა, შინაარსი, მის რა ასპექტებს ვაქცევთ ყურადღებას, რა დამოკიდებულება გვაქვს მის მიმართ და ბევრი სხვა, რაზეც უფრო დაწერილებით ქვევით შევჩერდებით.

მეხსიერების პროცესის შემდეგი ფაზა შენახვაა. კომპიუტერში შეყვანილი ინფორმაცია პროცესორის მეხსიერების ბლოკში ინახება. ადამიანის მეხსიერების სისტემაში შესულ ინფორმაციასაც შენახვა ესაჭიროება. იმისთვის, რომ შესაძლებელი იყოს მისი აღდგენა მაშინ, როცა ეს საჭირო იქნება, კოდირებული ინფორმაცია უნდა დაუიქსირდეს გაკვეთულ ფსიქიკურ და ნეირონულ სრუქტურებში. მაგრამ შემონახვა არ არის უბრალოდ “მეხსიერების საცავეებში” ინფორმაციის არქივაცია ან დაკონსერვება. შემონახვა აღბეჭდილი ფსიქიკური მასალის აქტიური გადამუშავების პროცესია. იგი მოიცავს ხაგების, სიგნალებისა და შინაარსების გაშიფრას, დახარისხებას, სხვა მასალასთან მიმარ-

თებათა დამყარებას, ორგანიზაციას, აქცენტების განაწილებას, გამეორებას და ა.შ.

მესსიერების პროცესის დამასრულებელი ეტაპი აღდგენაა. სამეცყველო ენაში გერმინი მეხსიერება ინფორმაციის მისაწვდომობასთან არის ასოცირებული, ე.ი. აღრე შეძენილი ცოდნა-ჩვევების აღდგენის უნარს ნიშნავს. მაგრამ მეხსიერების დაყვანა აღდგენაზე მართებული არ არის. ფროიდმა ნათლად აჩვენა, რომ ფსიქიკაში ბევრი რამ ინახება ისეთი, რისი აღდგენაც ვერ ხერხდება, მაგრამ ის მაინც მოქმედებს ქცევაზე. ისიც შესაძლებელია, რომ ამნეზიით დაავადებულმა ბევრი რამ იცოდეს, მაგრამ ვერ გაიხსენოს, სად და როგორ გაიგო ეს. ერთი სიგყვით, არც აღდგენა და არც დამასსოვრება იგივე არ არის, რაც ცოდნა (ინფორმირებულობა). მეხსიერების დახასიათებისას ხშირად მიმართავენ სხვადასხვაგვარ შედარებას და მეგაფორას. ერთ-ერთი მათგანია ანალოგია ხის წლიურ რგოლებთან, მუსიკალურ პარტიტურასთან ან კატალოგთან, რომლებსაც თავისი მეხსიერება აქვთ იმ აზრით, რომ “რალაც იციაან”. მაგრამ მათ არაფერი ახსოვთ. ამიგომ მკაფიოდ უნდა გავარჩიოთ შენახვა და აღდგენა. ხეები და კატალოგები ინახავენ გარკვეულ შთაბეჭდილებებს. ადამიანები არა მხოლოდ ინახავენ შთაბეჭდილებებს, არამედ აღადგენენ მათ. აღდგენის უნარი გარკვეული საცაუვის არსებობას გულისხმობს: რაც არ გისწავლია, ვერ გაიხსენებ, მაგრამ ყველაფერს, რაც შენახულია, ვერ აღადგენ.

აღდგენის წარმატებულობა, პრინციპში, ორ მთავარ გარემოებაზეა დამოკიდებული: იმაზე, თუ რამდენად ღრმა და ხარისხიანია შენახული ინფორმაციის გადამუშავება და იმაზე, თუ რამდენად ეფექტურად მიმდინარეობს თვით აღდგენა, ანუ საჭირო ინფორმაციის მოძიებისა და მეხსიერებიდან მისი ამოგანის პროცესი. სუბიექტი შეიძლება სპეციალურად, მიზანდასახულად იხსენებდეს რაიმეს. ასეთ დროს საქმე გვაქვს მოგონებასთან, როგორც აღდგენის ერთ-ერთ სახეობასთან. თუ თქვენ შეეცდებით გაარკვიოთ, თუ როგორ დაიმახსოვრეთ აქამდე წაკითხული მასალა და დაიწყებთ მის აქტიურ გახსენებას, ეს მოგონება იქნება. მაგრამ აღდგენა შეიძლება სუბიექტის სპეციალური განზრახვის გარეშეც მოხდეს. ყველას განუცდია, როცა ცნობიერებაში თავისთავად ამოტივტივდება რაიმე სიგყვა, ფრაზა, მელოდია

თუ სსეა. წარმოდგენის ან აზრის სპონტანურსა და აკვირებულ ამოსვლას ცნობიერებაში პერსვეერაცია ეწოდება.

აუცილებელი არ არის, რომ შენახულის აღდგენა საკუთრივ წარმოდგენის ან აზრის ფორმაში ხდებოდეს. ჩვენ შეგვიძლია აღვადგინოთ მოგორული მოქმედებები (ჩვევები) და გარკვეული ემოციურ-მოტივაციური შინაარსები. გარდა ამისა, აღდგენა ცნობის სახითაც ხორციელდება. ამ დროს სუბიექტი არ ან ვერ აღადგენს ცნობიერებაში წარსულში განცდილს, მაგრამ მას შეუძლია გააიგიოს ამჟამად აღქმული საგანი წარსულში აღქმულთან, ე.ი. იცნოს იგი. აღსანიშნავია, რომ ცნობას რამდენიმე საფეხური აქვს, დაწყებული აწმყო მოცემულობის წარსულთან სრული იდენტიფიკაციით (შე ვიცანი და ვიცი, ვინ არის ეს პიროვნება), და დამთავრებული ბუნდოვანი ნაცნობობის გრძნობით (დარწმუნებული არა ვარ, მაგრამ ეს კაცი ნაცნობად მეჩვენება).

ძნელი დასანახი არ არის, რომ ამ პროცესებს შორის მჭიდრო და საკმაოდ რთული კავშირი არსებობს ისევე, როგორც მათსა და დავიწყებას შორის. დავიწყება მეხსიერების შებრუნებული მხარეა. დავიწყების ხასიათსა და სიღრმეზე გადამწყვეტ გავლენას ახდენს დამახსოვრების, შენახვისა და გახსენების თავისებურებანი.

§ 2. მეხსიერების ფორმები

კლასიკური ფსიქოლოგიიდან დღემდე მეხსიერების სახეებისა თუ ფორმების კლასიფიკაციის არა ერთი პრინციპი იყო შემოთავაზებული. ეს გასაკვირი არც უნდა იყოს, თუ გავითვალისწინებთ, რა სიმრაველსა და სირთულის პროცესები და ფაქტორებია ჩართული მეხსიერების ფუნქციაში. თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგია ცდილობს, მხედველობაში მიიღოს ძირითადი პროცესების – დამახსოვრების, შენახვისა და აღდგენა-დავიწყების თავისებურებები. მათი გათვალისწინების საფუძველზე გამოიყოფა მეხსიერების სამი ძირითადი ფორმა. ისინი განიხილება მნემურ სისტემაში ინფორმაციის თანმიმდევრული გადამუშავების ეტაპებად (ბლოკებად). განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმას, თუ რა დროით, რა მოცულობით, რა ფორმაშია მოცემული ინფორმაცია, რას ეხება იგი და რა როლს ასრულებს მეხსიერების ყოველი ბლოკი მთელი სისტემის ფუნქციონირებაში.

სენსორული მეხსიერება

ფსიქიკაში ინფორმაციის შესვლა შევრძნების ორგანოებით, ანუ სენსორული გზით ხდება. უკვე აქ, ანუ სენსორული რეგისტრის ღონებზე, ადგილი აქვს მის აღბეჭდვას და შექონასხვას, ოღონდ ძალზე მცირე დროით. ეს დრო კონკრეტული შევრძნების ორგანოს მისედვით (ე.ი. სხვადასხვა მოდალობაში) იცვლება, და წამის მეათედებში იზომება. სენსორულ მეხსიერებაში სტიმული უშუალოდ აღიბეჭდება იმ ფორმაში, რომელშიც შემოვიდა სენსორულ რეგისტრში; მაგალითად, მხედველობით მოდალობაში იგი მხედველობითი ხაგის ფორმაში წარმოგვიდგება (ამიგომ სენსორული მეხსიერების ამ სახეს იკონიკურს, ანუ ხაგისებრს უწოდებენ), სმენით მოდალობაში – ბგერების ფორმაში (შესაბამისად, მას ექოიგურს, ანუ ბგერითს უწოდებენ) და ა.შ. სენსორულ მეხსიერებაში უმცირესი დროით აღიბეჭდება მოქმედი სიგნალის სრული სურათი, მისი ფსიქიკური ასლი. სამყაროს შესახებ ინფორმაციის ამგვარი შემონახვის დანიშნულება ისაა, რომ შექმნას მისი შემდგომი გადამუშავების შესაძლებლობა. თვით სენსორული მეხსიერება არ ახდენს მასში მოცემული შინაარსის გადამუშავებას, იმის გარჩევას, რა არის საჭირო და რა არა. თუ სენსორულ მეხსიერებაში აღბეჭდილი ინფორმაციის რაღაც ნაწილი მთელი კოგნიტური სისტემის ყურადღების ობიექტი გახდება, ის შედარებით ხანგრძლივი დროით იქნება შენარჩუნებული. ინფორმაციის ეს ნაწილი გადაინაცვლებს ხანმოკლე მეხსიერების ბლოკში, ხოლო რაც საჭირო არ არის, არ შეინახება და ამიგომ გარედან მოსული ახალი სიგნალებით წაიშლება. ჩვენზე ხომ განუწყვეტლივ მოქმედებს ახალი გამღიზიანებლები, რომლებიც ასევე ცოგა ხნით უნდა დარჩნენ სენსორულ რეგისტრში, რომ საჭიროების შემთხვევაში მათი შემდგომი გადამუშავებაც მოხდეს. ამიგომ არის სენსორული მეხსიერება ასე ხანმოკლე; ახალი სენსორული შთაბეჭდილების ძველზე დადება ინფორმაციის მომღვაეებას და აღრევას გამოიწვევდა. ამრიგად, მეხსიერების ამ ფორმის ნიშნებია: უკიდურესი ხანმოკლეობა, სტიმულისა და მისი შთაბეჭდილების სრული შესატყვისობა, ჭარბი ინფორმაციის არსებობა და არასელექციურობა.

ხანმოკლე მეხსიერება

ინფორმაციის მნიშვნელოვანი გადამუშავების შემდგომი ეტაპია ხანმოკლე მეხსიერება. მასში სენსორული მეხსიერებიდან ის შინაარსი გადადის, რომელზეც ყურადღების კონცენტრაცია მოხდა. ხანმოკლე და ხანგრძლივ მეხსიერებას კლასიკური ფსიქოლოგია აც განსხვავებდა, მაგრამ დღეს მოხდა ხანმოკლე მეხსიერების მახასიათებლების მნიშვნელოვანი დამუშავება მოცულობის, შენახვის დროისა და ფორმის თვალსაზრისით.

ხანმოკლე მეხსიერებაში შთაბეჭდილების შემონახვის დრო 20-30 წამია, თუ არ ხდება მისი გამეორება. შეზღუდულია მისი მოცულობაც. ჩვეულებრივ, ის განისაზღვრება ექსპერიმენტულად იმ ელემენტების რაოდენობით, რომელთა აღდგენა უშეცდომოთ შეუძლია ცდისპირს ერთჯერადი მიწოდებისას. აღმოჩნდა, რომ ზრდასრულ ადამიანს შეუძლია აღადგინოს 5-დან 9 ერთეულამდე, ანუ ხანმოკლე მეხსიერების მოცულობა $7+2$ გოლია (ამ მონაცემს უწოდეს მაგიური ციფრი – შეილი). ერთეულები შეიძლება იყოს ციფრები და სიმბოლოები, ასოები და სიგეყვები. ამ სიგეყვებში, ცხადია, უფრო მეტი ასო აღმოჩნდება, ვიდრე უბრალოდ ასოების მიწოდებისას, მაგრამ დამახსოვრებული სიგეყვების, ანუ ცალკეული ერთეულების საერთო რაოდენობა მაინც 7 იქნება. იგივე ითქმის ციფრებზე. თუ ჩვენ მოვახერხებთ მათ აზრიან დაჯგუფებას უფრო დიდ ერთეულებში, მეხსიერების მოცულობა “გაფართოვდება” ე.ი. იგივე რაოდენობის ერთეულებში მეტი მასალა მოთავსდება. მაგალითად, თერთმეტი ერთეულის შემცველი ციფრების რიგი 2 0 0 7 4 6 5 1 9 3 9, რომელიც ხანმოკლე მეხსიერების მოცულობაში ვერ თავსდება, ჩვენ შეგვიძლია დაეყოს სამ რიცხვად, რომელთაგან ერთი თქვენი შეილიშეილის დაბადების წელია – 2007, მეორე – თქვენი მანქანის ნომერი – 465, მესამე კი მეორე მსოფლიო ომის დაწყების თარიღი – 1939. ამგვარად, მასალა სამ ერთეულად სტრუქტურირდება და სულ ადვილად დამახსოვრდება.

ხანმოკლე მეხსიერებაში მოცემული მასალის შენახვის (კოდირების) ფორმამე კოგნიტურ ფსიქოლოგიაში არსებობს მონაცემები, რომელთა თანახმად აქ არსებული ინფორმაცია, უპირატესად, სმენითი მოდალობის ანუ აკუსტიკურ ფორმამე ასახული.

რა ფუნქციას ასრულებს ხანმოკლე მეხსიერება? პირველ რიგში, ის ქმნის მიმდინარე მოქმედების განხორციელების საშუალებას. ამიგომ მას სხვაგვარად ოპერაციული მეხსიერებაც ეწოდება. ასეთი მეხსიერება აუცილებელია, რომ თქვენ გაიგოთ, მაგალითად იმ წინადადების შინაარსი, რომელსაც ახლა კითხულობთ, რადგან ეს შეუძლებელი აღმოჩნდება, თუ მეხსიერება არ შეინარჩუნებს წინარე სიგყვების ამრს. ხანმოკლე მეხსიერება საშუალებას გვაძლევს, მოვნახოთ ნომერი სატელეფონო ცნობარში და ავკრიფოთ იგი ნაბეჭდში მუდმივი ცქერის გარეშე. ჩვენ შეიძლება აკრეფისთანავე დაგვაფიწყდეს ნომერი და საჭიროების შემთხვევაში კვლავ მოგვიწიოს მისი მოძებნა. ესეც ხანმოკლე მეხსიერების მახასიათებელია, კერძოდ მისი მოკლეადიანობის მაჩვენებელი. ხანგრძლივი მეხსიერება იმ შემთხვევაში ჩაერთვება, თუ ჩვენ გადაწყვეტთ, რომ ეს ნომერი მომავალშიც აუცილებლად დაგვჭირდება და შევეცდებით მის დამახსოვრებას. ხანგრძლივი მეხსიერება მაშინაც ჩაირთვება, თუ ნომერს განსაკუთრებული სიმეგრია აღმოაჩნდება ან როგორღაც დაუკავშირდება ჩვენთვის ნაცნობ ან მნიშვნელოვან რიცხვს.

ხანმოკლე მეხსიერების კიდევ ერთი ფუნქცია ისაა, რომ იგი აფიქსირებს ხანგრძლივ მეხსიერებაში შესაგან მასალებს. შინაარსის ხანგრძლივ მეხსიერებაში გადასვლას ბევრი რამ განაპირობებს. ერთ-ერთი პირობა იმისა, რომ ეს მოხდეს, გამეორებაა. ამასთან, ექსპერიმენტული მონაცემების თანახმად, თავისთავად განმეორება არ არის ინფორმაციის ხანგრძლივ მეხსიერებაში დამკვიდრების გარანტია. თქვენ შეიძლება ბევრჯერ იმეოროთ ტელეფონის ნომერი, სანამ ეს სიგუაციურად იქნება საჭირო, მაგრამ მეორე დღეს აღმოაჩინოთ, რომ ის აღარ გახსოვთ. მექანიკური გამეორება სასარგებლოა ხანმოკლე მეხსიერების შემთხვევაში. ხოლო ხანგრძლივი მეხსიერებისთვის მეტი მნიშვნელობა ენიჭება დამახსოვრების სტრატეგიებს, მიზნებს, გამოცდილებას და, რასაც საგანგებოდ ესმება ხაზი კოგნიტურ ფსიქოლოგიაში, ინფორმაციის გადამუშავების დონეს.

მეხსიერებაში შემონახული ინფორმაციის, ვთქვათ სიგყვის, გადამუშავება შეიძლება მოხდეს იმის მიხედვით, თუ როგორ გამოიყურება იგი (ორთოგრაფიული დონე), როგორი ქლერადობა აქვს (ფონოლოგიური დონე) და რა მნიშვნელობაა მასში ჩადე-

ბული (სემანტიკური ღონე). ერთ-ერთ გამოკვლევაში ცდისპირებს მოეთხოვებოდათ სიგყეების ისეთი ანალიზი, რომელიც მისი გაღამუშაების სხვადასხვა ღონეს გულისხმობდა. ამასთან, მათ არ იცოდნენ, რომ შემდგომში მოუხდებოდათ ამ სიგყეების აღღგენა. მაგალითად, ზოგ შემთხვევაში მათ ეკითხებოდნენ, როგორაა დაწერილი სიგყვა: დიდი თუ მცირე ასოებით (ეს ამოცანა გაღამუშაების ყველაზე ზერელე, ორთოგრაფიულ ღონეს შეესაგყევისება). მეორე შემთხვევაში შეკითხვა ეხებოდა იმას, შეიძლებოდა თუ არა ამ სიგყვის სხვა სიგყვასთან გართმევა (გაღამუშაების საშუალო, ფონოლოგიური ღონე), და ბოლოს – იმას, შეიძლებოდა თუ არა ამ სიგყვის ჩასმა რაიმე წინადადების შინაარსის კონტექსტში (ყველაზე ღრმა, სემანტიკური გაღამუშაების ღონე). ექსპერიმენტის შედეგებმა უჩვენა, რომ დამახსოვრებული სიგყების რაოდენობა იზრდება გაღამუშაების ღონის შესაბამისად. კოგნიტური ფსიქოლოგიაში არსებობს მოსაზრება, რომ მეხსიერების ფორმებს შორის არსებული განსხვავებები უპირატესად იმით არის გაპირობებული, რომ ხანმოკლე მეხსიერება ინფორმაციის ზერელე გაღამუშაებას გულისხმობს, ხოლო ხანგრძლივი – შეღარებით ღრმას.

იმის შესახებ, თუ რაგომ და როგორ ხდება ხანმოკლე მეხსიერების შინაარსების დაკარგვა (დავიწყება), ორი ძირითადი შეხედულება არსებობს. ერთის მიხედვით, დავიწყება ინფორმაციის წაშლის შედეგია. მეორის მიხედვით, აქ მთავარ როლს თამაშობს ხანმოკლე მეხსიერებაში ასალი ინფორმაციის შემოსეღა და მის მიერ ძველის გასდენა (ე.წ. ინტერფერენცია). ზოგი მონაცემით, ორივე მექანიზმი თანაარსებობს: ინფორმაციის ნაწილი უბრალოდ იშლება, ხოლო ნაწილი ახლის მიერ განიდენება. როგორც უნდა იყოს, ფაქტია, რომ ხანმოკლე მეხსიერების შთაბეჭდილებები დიდხანს არ რჩება, რაც უთუოდ სასარგებლოა. ოპერაციული მეხსიერების ფუნქცია, საბოლოოდ, ხომ ისაა, რომ შეინარჩუნოს ცნობები იქამდე, სანამ ამის საჭიროება არსებობს. თუ გავითვალისწინებთ ხანმოკლე მეხსიერების მოცულობის შეზღუდულობას, უბრალოდ აუცილებელია მისი მუღმივი გაწმენდა ძველი შინაარსებისაგან, რათა ადგილი დაეთმოს ახალ, აქტუალურ ინფორმაციას. ხანმოკლე მეხსიერებაში არსებული ინფორმაციის შემონახვის ვადის გავრძელება უაღრესად გაღაგ-

ვირთავდა ხანგრძლივ მეხსიერებას არასაკმარის ცნობებით. ხანმოკლე მეხსიერების საცავეებიდან მასალის დაკარგვა მაშინ იქცევა სერიოზულ პრობლემად, თუ ავადმყოფობის შედეგად ოპერაციული მეხსიერების მოცულობის შემცირება პრობლემებს უქმნის ორგანიზმის უშუალო ფუნქციონირებას. ასე ხდება, როცა ადამიანი იწყებს რაიმეს კეთებას ან ლაპარაკს და ავიწყდება რა უნდა გაეკეთებინა ან ეთქვა.

ხანგრძლივი მეხსიერება

ხანგრძლივი მეხსიერება ინფორმაციის გადამუშავების ბოლო ეტაპია. ხანმოკლე მეხსიერებისაგან განსხვავებით, მისი მოცულობა და შენახვის დრო უზარმაზარია; აქ დაცული ბევრი შთაბეჭდილება მთელი ცხოვრების განმავლობაში ინახება. რაც მთავარია, იგი მოიცავს ყოველგვარი სახის გამოცდილებას, სუბიექტის მთელ ცოდნას სამყაროსა და საკუთარი თავის შესახებ.

ფსიქოლოგები ეძებენ პასუხებს საკვანძო კითხვებზე: რა ფორმაშია შენახული ინფორმაცია ხანგრძლივ მეხსიერებაში, როგორ ხდება ინფორმაციის ორგანიზება და იმ საჭირო შინაარსის მყისიერი მონახვა, რომელიც მის გრანდიოზულ საცავეებში არსებობს. ჯერჯერობით ვერც ერთი თეორიული მოდელი ვერ პასუხობს ყველა ამ კითხვას. მაგრამ უკვე შეიძლება ხანგრძლივი მეხსიერების ძირეული მახასიათებლების საკმაოდ მკაფიო ფორმულირება. მათგან მთავარია შემდეგი:

1) ხანგრძლივი მეხსიერება გამოირჩევა მაღალი სტაბილურობით. იმის დიდი ნაწილი, რაც დღეს გვახსოვს, გვემასსოვრება ხვალ, ერთი კვირის მერე და უფრო გვიანაც.

2) იგი არა მხოლოდ რეპროდუქციული, არამედ გენერაციულიც არის. შინაარსის აღდგენისას მხოლოდ წარსული ფიქსირებული კვალის უცვლელი სახით განახლება კი არ ხდება, არამედ გასახსენებელის შექმნაც, კონსტრუირებაც. გახსენებისას გათვალისწინებულია როგორც აწმყოს აქტუალური მოთხოვნები და სიგუაციური თავისებურებები, ისე უკვე არსებული ინფორმაციის კონტექსტი. ამიტომ შეიძლებოდა ასეც გვეთქვა – ხანგრძლივი მეხსიერება ამოცანის გადაწყვეტის აქტიური პროცესია და არა

მსოლოდ ინფორმაციის პასიური აღღვენა. მოგონებებზე ღიდ გავლენას ახღვენს აღრე ჩამოყალიბებული განწყობები, რწმენები, მოლოღინები იმის შესახებ, რასაც ის ესება. თავღაპირველი შთაბეჭდილება განსხვავებულ სახეს იღებს – აღამიანი მომხღარის ასლს არ ან ეერ იხსენებს, არამედ, არსებთაღ, ახალ შთაბეჭდილებას ქმნის. ეს მოგჯერ შეიძლება ღამახინჯების, შეეღომის ან იღუბიის წყარო გახღეს.

3) ხანგრძლივ მეხსიერებაზე სერიოზულ გავლენას ახღვენს გაგება. ჯერ ერთი, აღამიანები უფრო კარგად იმახსოვრებენ მნიშვნელობებს – ძირითაღ ამრს (ეს ესება როგორც ყოფით სიგუაციებს, ისე კონკრეტულ გექსგს); მეორე – გააზრებული მასაღა ბევრად უკეთ გვამახსოვრღება ღა მესამე – შემოსული ინფორმაციის გაგება მეხსიერებაზე ღაუუძნებული ქსევის აუციღებელი პირობაა. მეხსიერება აეგომაგურად აკავშირებს ინფორმაციას წინა გამოციღებასთან, რაც უზრუნველყოფს სემანტიკური ერთეუღების (მაგ., ცნებების) სწრაფ შეღარებას ღა მათ შორის მიმართებათა ღამყარებას.

სემანტიკური ღა ეპიზოღური მეხსიერება

არსებობს სულ ცოგა ორი გიპის ხანგრძლივი მეხსიერება. ერთი მხრივ, ჩვენ ეფლობთ მყარ ცოღნას სამყაროს შესახებ, ესაა ცოღნა საგნებისა ღა მოვლენების შესახებ, ენის ცოღნა, ასევე წესების, კანონების, ფაქტების, სგრაგევიების ცოღნა ღა ა.მ. ასეთ მეხსიერებას სემანტიკური ეწოღება. მეორე მხრივ, ხანგრძლივ მეხსიერებაში შენახულია ჩვენი პირაღი მოგონებები, ცნობები, რომლებიც აღამიანის ცხოვრების სხვადასხვა ეპიზოღებს ეხება. ამიგომაც ასეთ მეხსიერებას ეპიზოღური ეწოღება. პასუხს კითხვაზე – რა ეჭამეთ საღიღად სამი ღღის წინ, ჩვენ ეპიზოღურ მეხსიერებაში ვეძებთ. მაგრამ, რომ შეეძლოთ ამ კითხვაზე ეუპასუხოთ, აუციღებელია ენის ცოღნა, რაც სემანტიკურ მეხსიერებაშია მოციემული. აქეღან ნათელია, რომ ეპიზოღური მეხსიერება ღამოკიღებულია სემანტიკურ მეხსიერებაზე, ამ უკანასკნელს კი საესებით შეუძლია იმოქმეღოს ეპიზოღურისაგან ღამოუკიღებღად. შესაძლებელია, ეინმემ იყოღეს ჭაღრაკის

თამაში და ისიც იცოდეს, რომ მან თამაში იცის, მაგრამ არ ახსოვდეს, უთამაშია თუ არა თავის ცხოვრებაში ჭადრაკის თუნდაც ერთი პარტია. ასე ხდება ხოლმე მეხსიერების, ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი ეპიზოდური მეხსიერების მოშლისას (მეხსიერების ამა თუ იმ სახის დარღვევას ამწეზია ეწოდება). ერთ-ერთი მკვლევარის თქმით: “აღამიანმა შეიძლება იცოდეს ფაქტები ისე, რომ არ ახსოვდეს როდის ან როგორ მოიპოვა ისინი; მაგრამ, შეუძლებელია რაიმე გახსოვდეს იმის ცოდნის გარეშე, თუ რა არის ის, რაც გვახსოვს”.

მეხსიერების ამ სახეების შესახებ კლასიკურ ფსიქოლოგიაშიც იყო ცნობილი, ოღონდ სხვა სახელწოდებით: ცოდნის (დასწავლის) და მოგონების მეხსიერება. მათ შორის ძირითად განსხვავებას იმაში ხედავდნენ, რომ ცოდნის მეხსიერება მხოლოდ წარსულის აღდგენა-რეპროდუქციას გულისხმობს, მისთვის არა აქვს მნიშვნელობა, სად და როდის იქნა ის მოპოვებული, ანუ მას არ აინტერესებს თვით წარსულის ისტორია. მოგონებისთვის კი (ეპიზოდური მეხსიერებისთვის) ძირითადად დამახასიათებელია რეპროდუცირებული შინაარსის წარსულის კუთვნილად განცდა, მისი “მოთავსება” გარკვეულ წარსულში, რასაც ტემპორალიზაციას უწოდებენ (“ტემპუს” ლათინურად დროს ნიშნავს, “ტემპორალის” – დროითს). წარმოდგენის მიკუთვნებას გარკვეული დროისთვის დროის ინდექსსაც უწოდებენ; ამბობენ, რომ მოგონების წარმოდგენას დროის, ანუ წარსულის ინდექსი აქვს. მოგონებისთვის დამახასიათებელია აგრეთვე მისი შინაარსის დაკავშირება სუბიექტთან, მისი ცხოვრების ეპიზოდად განცდა. ამ ნიშანს მე-ს ინდექსის ტერმინითაც აღნიშნავენ. მოგონების, ანუ ეპიზოდური მეხსიერება პიროვნების ისტორიული მეხსიერებაა; სხვაგვარად ამბობენ, რომ ის ავტობიოგრაფიულია.

ბუნებრივია დგება საკითხი, რამდენად სწორად აღადგენს წარსულს ეპიზოდური მეხსიერება და რამდენად შეიძლება ვენდოთ მას. მოგჯერ ამას სერიოზული მნიშვნელობა ენიჭება, სახელდობრ იურიდიულ პრაქტიკაში, როცა მოწმის ან თვითმხილველის ჩვენებებს განიხილავენ. საკითხის პრაქტიკული მნიშვნელობის გამო, მისი შესწავლა ე.წ. “ჩვენების ფსიქოლოგიის” ფარგლებში უკვე გასული საუკუნის დასაწყისში დაიწყო და დღესაც ვრძელდება. აღმოჩნდა, რომ თვითმხილველების მიერ ამა თუ

იმ შემთხვევათა აღწერების უმრავლესობა არამუსტია და ზოგჯერ აბსოლუტურად არაადეკვატური. ასეთ აღწერებს არარსებულ რამ ემატება, ზოგი ფაქტი გაზვიადებულად წარმოჩინდება, ზოგი დეტალი კი უყურადღებოდ რჩება. საყურადღებოა, რომ ყოველივე ეს არაეცნობიერად ხდება, ადამიანი კი არ გყუის, არამედ მას ეშლება. ამ დროს იგი შეიძლება სრულიად დარწმუნებული იყოს თავისი ჩვენების სისწორეში და მისი მონათხრობიც ისეთივე დაწვრილებითი და ემოციური იყოს, როგორც ადეკვატური აღწერისას იქნებოდა. მაგალითად, აღმოჩნდა, რომ ცლისპირების მხოლოდ მესამედი ამოიცნობს ადამიანს სწორად მისი ფოტოსურათის მიხედვით, მესამედი სულ ვერ აკეთებს ამას, ხოლო დანარჩენები დარწმუნებით იძლევა მცდარ პასუხს. ამ შეცდომებს მრავალი ფაქტორი განაპირობებს: მომხდარიდან გასული დრო, მომხდარის სირთულე და ბუნდოვანება, მომხდარის ემოციურობა ან პირადული სიმძაფრე, მოწმის ასაკი, მოწმის მეხსიერების თვისებები (სიზუსტე, სიძლიერე), მოწმის პიროვნული თვისებები, მაგალითად, მისწრაფება შელამაზებისკენ ანდა ლოგიკური გამართულობისკენ და ა.შ.

ფაქტების დამახინჯებაში ყოველთვის მოწმე, უფრო სწორად, მისი მეხსიერება არ არის დამნაშავე. მოგონებაზე შეიძლება იმოქმედოს იმან, თუ როგორ უსვამენ მოწმეს შეკითხვას. დადასტურებულია, რომ ე.წ. ჩამაგონებელი შეკითხვები ცელის უწინ აღქმულის სურათს; შემთხვევით თუ განზრახ გაკეთებული მინიშნებები მეხსიერების შინაარსზე მოქმედებს. ერთ-ერთ გამოკვლევაში ცლისპირებს, უჩვენებდნენ ფილმს, სადაც ნაჩვენები იყო, თუ როგორ მოხდა ავარია. ამის შემდეგ მათ უსვამდნენ ისეთი კითხვებს, როგორსაც ავარიის უშუალო მოწმეს დაუსვამდნენ. ცლისპირების ერთ ჯგუფს ეკითხებოდნენ: “რა სიჩქარით მიდიოდა სოფლის გზაზე მანქანა, როდესაც ფარდულს ჩაუარა?”; მეორე ჯგუფს იმავე შეკითხვას უსვამდნენ ფარდულის ხსენების გარეშე, რომელიც სინამდვილეში იქ არც იყო. ერთი კვირის შემდეგ შეკითხვაზე, ნახეს თუ არა ფილმში ფარდული, დადებითად უპასუხა პირველი ჯგუფის 20%-მა, ხოლო მეორე ჯგუფიდან მხოლოდ 3%-მა.

პროცედურული და დეკლარაციული მეხსიერება

სემანტიკურ მეხსიერებაში განსხვავებული სახის ცოდნა ინახება. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში მიღებულია პროცედურული და დეკლარაციული ცოდნისა და მეხსიერების გამოიჯენა. პროცედურულ მეხსიერებაში მოცემულია ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეასრულო რაიმე მოქმედება: მართო მანქანა, დაწერო და ა.შ. იმას რასაც ჩვევას ვუწოდებთ (იხ. თავი IX) მთლიანად პროცედურულ მეხსიერებაში ინახება. დეკლარაციულ მეხსიერებაში შენახულია ცოდნა იმის თაობაზე თუ რა არის, როგორია ესა თუ ის ობიექტი ან მოვლენა: მანქანას შიდაწვის ძრავა უდგას, ქართულ ანბანში 33 ასოა, მწიფე მაცყალი შავია და ა.შ. ცოდნის ეს ორი სახე ერთმანეთისაგან განსხვავდება. შეიძლება ერკვეოდე ერთში და ვერ ფლობდე მეორეს. მოკრივეებმა იციან, როგორ შეასრულონ ესა თუ ის ილეთი, მაგრამ ცოცხა მათგანი გეტყვით, რას აკეთებს ორგანიზმი ამ დროს. ექიმების უმეტესობამ, პირიქით, იცის, თუ რომელი კუნთები როგორ მოქმედებს გარკვეული ილეთის შესრულებისას, მაგრამ საეჭვოა, რომ თვითონ შეძლოს მისი შესრულება. მამასადამე, ექიმებს აქვთ დეკლარაციული და არა პროცედურული ცოდნა ამ ვითარების შესახებ. ნეიროფსიქოლოგიური მონაცემების თანახმად, მეხსიერების ამ სისტემებზე გვინის სხვადასხვა სტრუქტურა ატებს პასუხს. ერთი მათგანის დაზიანება მხოლოდ მასთან დაკავშირებული (დეკლარაციული ან პროცედურული) ცოდნის დაკარგვას ან მისი შეთვისების გართულებას იწვევს.

დასწავლა და მისი ფაქტორები

ცოდნის შეძენის პროცესს, ფართო მნიშვნელობით, დასწავლა ეწოდება. ეს პროცესი შეიძლება განხორციელდეს უნებლიედ, დასწავლის მიზნის არქონის პირობებში. ჩვენი ცოდნის საკმაო ნაწილი ასეა შეძენილი: ბავშვს თამაშის პროცესში ბევრი რამ “შემოესწავლება” ისე, რომ ფიქრადაც არ მოსდის მისი დამახსოვრება. სხვა თუ არაფერი, დედაენა ყველამ ასე ვისწავლეთ. ესაა არაპირდაპირი დასწავლა.

პირდაპირ დასწავლას სულ სხვა სახე აქვს. იგი გააზრებულად, მიზანდასახულად მიმდინარეობს, ადამიანი მოქმედებს გან-

მრასხვით, რაიმე ცოდნა მიიღოს და მეხსიერებაში შეინახოს. ამგვარი, ნებელობითი დასწავლის ფორმებიც განსხვავებულია. ყველაფერი დამოკიდებულია ინდივიდის მიზნებზე, სიტუაციაზე და მასალის ხასიათზე. და მაინც, სემანტიკური მეხსიერების სისტემაში ახალი ცოდნის შეგანის ყველაზე გაერყელებული და ეფექტური საშუალებაა დასწავლა ვიწრო მნიშვნელობით, ანუ აღქმულის მიზანდასახული გამოვლენა დამახსოვრების მიზნით. რათქმა უნდა, ცოდნის შექმნა ხანგრძლივი დროით ერთხელობრივი აღქმითაც შეიძლება, მაგრამ ეს გამონაკლისია. მტკიცე დამახსოვრებისთვის, მით უფრო, თუ მასალა დიდია, გამოვლენა აუცილებელია. მაგრამ გამოვლენაც არის და გამოვლენაც. მექანიკური (აგლომატური) გამოვლენა გაცილებით ნაკლებ ეფექტურია, ვიდრე გააზრებული გამოვლენა, რომლის დროსაც ადამიანი მიმართულია იმაზე, რომ გონებრივად გადაამუშაოს მასალა, მოაწესრიგოს იგი, გამოყოს საკვანძო მომენტები, თავისი სიტყვებით გაიმეოროს და ა.შ.

დასწავლის პროცესი საკმაოდ კარგად არის შესწავლილი, დადგენილია ვარკვეული კანონზომიერებანი და გამოვლენილია მასზე მოქმედი ფაქტორები. ამ ფაქტორების ოპტიმიზაცია, საბოლოოდ, ხელს უწყობს იმას, რომ სუბიექტი დასწავლის პროცესში აქტიური იყოს და მოხდეს ინფორმაციის რაც შეიძლება საფუძელიანი გადამუშავება-ორგანიზაცია; ეს კი, პირველ რიგში, მეხსიერებაში შენახულ სხვა ცოდნასთან ახლის დაკავშირებას, მასთან ასოციაციური კავშირების დამყარებას და სისტემატიზაციას გულისხმობს.

1. მოტივაციის ფაქტორი. მოტივაციის გავლენა რამდენიმე ასპექტით ხასიათდება. უპირველეს ყოვლისა, დასწავლა, და საზოგადოდ, ნებისმიერი მიზანდასახული დახსომება აქტიური პროცესია, რომელიც გულისხმობს ნებისყოფის წარმართვას დახსომების მიმართულებით. გამოვლენა თავისთავად არ არის საკმარისი პირობა დახსომებისთვის. ეფექტის მისაღებად გამოვლენა უნდა ხდებოდეს მასალის დახსომების განზრახვით (მოტივით). ვიმახსოვრებ “მე”, აქტიური პიროვნება, სათანადოდ წარმართული ძალისხმევის შედეგად. ფორმალური გამოვლენა დახსომების განზრახვის გარეშე ფუჭია, იგი ეფექტს ვერ იძლევა.

ამ კანონბომიერების ნათელი დემონსტრაციაა შემდეგი ცდა: ექსპერიმენტატორი ცდისპირებს წასაკითხად და დასამახსოვრებლად აძლევდა უაზრო მარცვალთა რიგს, რომელსაც ადამიანი ჩვეულებრივ, 5-6 გამეორებით იხსომებს. ერთ-ერთმა ცდისპირმა ეს მასალა 46 წაკითხვის შემდეგაც ვერ დაიხსომა. როგორც შემდეგ გამოირკვა, მან ვერ გაიგო, რომ მარცვალთა დახსოვება ევალეობდა, ვინაიდან ცუდად ესმოდა გერმანული, რომელზეც მიეცა ინსტრუქცია. მას შემდეგ, რაც მან გაიგო ამოცანა, მარცვალთა ანალოგიური რიგი 5 წაკითხვით დაიხსომა.

მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ დასწავლის განზრახვის (განწყობის) არსებობას, არამედ მის ხასიათსაც. მტკიცე და ხანგრძლივ დახსოვებას სათანადო განწყობა ესაჭიროება. ერთ-ერთ გამოკვლევაში მოსწავლეთა ორ ჯგუფს შესთავაზეს დაესწავლათ ერთი და იგივე მასალა. ერთი ჯგუფი გააფრთხილეს, რომ მას შემდეგ დღეს გამოკითხავენ, მეორე – რომ ერთი კვირის მერე. ამგვარად, ცდისპირებს სხვადასხვა განწყობა შეექმნათ: ხანმოკლე და ხანგრძლივი დამახსოვრებისა. სინამდვილეში ორივე ჯგუფი ორი კვირის შემდეგ შეამოწმეს. როგორც მოსალოდნელი იყო, მეორე ჯგუფის ცდისპირებს გაცილებით უკეთ ახსოვდათ ის გექსტი, რამდენადაც მათ ხანგრძლივი დროით დახსოვების განზრახვით დაისწავლეს.

მნიშვნელოვანია ისიც, სრულდება თუ არა ბოლომდე ესა თუ ის განზრახვა. კარგადაა ცნობილი ე.წ. “შეწყვეტილი მოქმედების” ეფექტები. ერთ-ერთი მათგანი იმაში ვლინდება, რომ ცდისპირები ორჯერ უკეთ იმახსოვრებენ დაუმთავრებელ მოქმედებებს, ვიდრე დასრულებულს. უზნაძის თეორიის თანახმად, ყოველი მოქმედების წინ იქმნება მისი შესრულების განწყობა. თუ არ მოხდა განწყობის სრული რეალიზაცია, ადამიანი განწყობილი რჩება ამ მოქმედებისადმი, რაც კარგ დამახსოვრებას განაპირობებს.

მოტივაციის გავლენა მესხიერებაზე და, კერძოდ, დასწავლაზე სხვა მხრივაც იქნა შესწავლილი. მაგალითად, ცალსახად არის დადასტურებული, რომ ადამიანი ადვილად იმახსოვრებს იმას, რაც მისთვის საინტერესოა, რაც მის ცნობისმოყვარეობას აღძრავს. დღეს მიღებული გერმინოლოგიით, ამ დროს ადამიანი შინაგანად არის მოტივირებული. თვითონ დასამახსოვრებელი მასალა შეიძლება სულ არ გვაინტერესებდეს, მაგრამ მისი დასწავ-

ლა სსვა ინტერესთან, რაიმე გარეგან მოტივთან (მაგ. შეჯიბრო-
იან. ჯილდოსთან ან სასჯელთან) იყოს დაკავშირებული.

დამახსოვრებაზე გაელენას ასდენს ის, თუ რა მიმართებაშია
მასალის შინაარსი პიროვნების ღრუბულებებთან. ერთ-ერთი
გამოკვლევის მიხედვით, ანგიკომუნისტურად განწყობილი ცდის-
პირები უფრო სწრაფად და მყარად სწავლობდნენ ანგიკომუნის-
ტური შინაარსის გეჟსტს, ვიდრე პროკომუნისტური შინაარსისას;
პროკომუნისტურად განწყობილ ცდისპირებში კი პირიქით იყო.
მსგავსი გამოკვლევებიდან ირკვევა, რომ ის, რაც ჩვენთვის მო-
საღებია, რაც ეთანხმება ჩვენს პოზიციას, უკეთ გვამახსოვრდე-
ბა, ხოლო მიუღებელი ნაკლებად აღიბეჭდება მეხსიერებაში და
ადვილად წაიშლება.

ასეთ განზოგადებას მიეყაერთ ერთ საკამათო საკითხამდე,
რომელიც ფროიდის თეორიის გაელენით დაისვა. ფროიდი ფიქ-
რობდა, რომ ადამიანში მოქმედებს გარკვეული ფსიქოლოგიური
დაცვითი მექანიზმი, ე.წ. განდევნის ან მოტივირებული დავიწყე-
ბის სახით. მტკიენული, შფოთვის გამომწვევი, უსიამოვნო შინა-
არსები “მე”-ს მიერ ცნობიერებიდან განიღვენება არაცნობიერ-
ში, ანუ ადამიანი მათ აქტიურად ივიწყებს. თუ ეს მართალია, მა-
შინ ლოგიკურია დაეუშვათ, რომ შფოთვის აღმბერელი, მძიმე
ფაქტების მოგონება ბევრად უფრო გაძნელებული უნდა იყოს,
ვიდრე ნეიტრალური, ან სასიამოვნო ინფორმაციისა. საკითხის
ექსპერიმენტულმა შესწავლამ აჩვენა, რომ ეს ასე არ არის. უსი-
ამოვნო და სასიამოვნო ამბების დამახსოვრების მაჩვენებლები
თითქმის თანაბარია. გარდევნის მოელენა კი უფრო გამონაკლი-
სია, ვიდრე წესი. ბევრად უფრო ხშირია საპირისპირო ეფექტები,
როცა ადამიანებს არა თუ ავიწყდებათ მძიმე ემოციური შინაარ-
სები (მშობლების მკვლელობა, გაუპატიურება, ტერორისტული
აქტი, საკონცენტრაციო ბანაკის საშინელებანი და სხვა), არამედ
გამუდმებით ახსენდებათ ისინი. ყოველ შემთხვევაში, არ უნდა
იყოს მართებული იმის მტკიცება, რომ ადამიანი სპეციალურად
არის მოტივირებული, რათა არ დაიმახსოვროს ან დავიწყოს
უსიამოვნო ინფორმაცია.

2. ინტელექტუალური აქტივობის ფაქტორი. გონებრივი ძა-
ლისხმევა დადებითად მოქმედებს დამახსოვრებაზე. სუბიექტის
ინტელექტუალური აქტივობა საზოგადოდ დამახსოვრების ფაქ-

ტორია და არა მხოლოდ ნებულობითი მეხსიერების ან, კერძოდ, დასწავლისა. ექსპერიმენტული მონაცემებით ცდისპირები უნებლიედ უკეთ იმახსოვრებენ მასალას, რომლის მიმართაც რთული ინტელექტუალური ოპერაციების განხორციელება მოუხდათ. ის ცდისპირები კი, რომლებიც მხოლოდ მიზანდასახულად იმახსოვრებდნენ იმავე მასალას, ნაკლებ წარმატებულნი იყვნენ. ასევე, საკუთრივ ნებულობითი, განზრახული დასწავლის შემთხვევაშიც დამახსოვრების ეფექტურობა ყველა პარამეტრით (დამახსოვრების სისწრაფე, სიმტკიცე, სიზუსტე და ა.შ.) მეტი იქნება იქ, სადაც უფრო მაღალია ინტელექტუალური აქტივობა და, შესაბამისად, მასალის გააზრების დონე. მეხსიერების ექსპერიმენტული კვლევის დასაბამიდანვე გაირკვა, რომ ადამიანი შეუდარებლად უკეთ და ადვილად სწავლობს აზრიან მასალას, მაგალითად სიტყვებს ან შინაარსიან ტექსტს, ვიდრე უაზროს – უაზრო მარცვლებს ან სიტყვების მექანიკურ რიგს. თავის მხრივ, რაც უფრო ღრმად არის მასალა გააზრებული და გონებრივად გადამუშავებული, მით უკეთესი იქნება დასწავლის მაჩვენებელი.

3. სტრუქტურშიცის ფაქტორი. მასალის დასწავლა უფრო ღრმა და მტკიცეა მაშინაც, როცა ის სტრუქტურირებულია. ხანმოკლე მეხსიერების დახასიათებისას აღინიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს ინფორმაციის ცალკეული ერთეულების გაერთიანებას უფრო დიდ მთლიანობაში: ასოებისა – სიტყვებში, სიტყვებისა – წინადადებებში, ციფრებისა – რიცხვებში და ა.შ. ერთ-ერთ ცდაში ცდისპირებს ევალებოდათ, დაეხარისხებინათ სიტყვების რიგი სხვადასხვა კატეგორიებად, რომელთა რაოდენობა ორიდან შეიღამდე მერყეობდა. შემდეგ მათ სთხოვდნენ, გაეხსენებინათ სიტყვები. ვინც მეტი კატეგორია გამოიყენა, მეტი სიტყვა გაიხსენა. მაშასადამე, ინფორმაციის სტრუქტურირება ხელს უწყობს დამახსოვრებას. იგივე ხდება განზრახული დამახსოვრებისას. კარგად სტრუქტურირებული მასალის, ე.ი. ერთიანი და თან განაწევრებული მასალის დასწავლა გაცილებით ადვილია, ვიდრე იმისა, რომელსაც არა აქვს მკაფიო სტრუქტურა. ამიტომ არის ლექსის დაბეპირება უფრო ადვილი, ვიდრე პროზაული ტექსტისა.

4. ფუნქციონალური ფაქტორები. დახსოვების ეფექტურობა დამოკიდებულია ორგანიზმის ფიზიოლოგიურ და ზოგადად ფუნქციონალურ მდგომარეობაზე. სახელდობრ, დამახსოვრების

უნარს მნიშვნელოვნად აქვეითებს დაღლილობა, სერიოზულად აზიანებს ფსიქოაქტიური ნივთიერებების სისტემატური მიღება.

მეხსიერების ეფექტურობა იცვლება დღის დროის მიხედვითაც. ამ მხრივ არსებობს ინტერინდივიდუალური სხვაობები – ზოგის მეხსიერება უკეთ მუშაობს საღამოს, ზოგისა – დილას, მაგრამ, როგორც წესი, თანაბარ პირობებში დასწავლის სისწრაფე ოპტიმალურია დილის საათებში, ხოლო დასწავლის სიმტკიცე – საღამოს საათებში.

5. გამოცდილების ფაქტორი. რაც უფრო მეტი გამოცდილება და ცოდნა გვაქვს იმ სფეროდან, რომელსაც ეკუთვნის დასამახსოვრებელი მასალა, მით უკეთ ვიმახსოვრებთ მას; რაც უფრო მეტ შინაარსს დაუკავშირდება ახალი მასალა, მით უფრო მტკიცედ და ადვილად ხდება მისი დახსოვება.

გამოცდილება მხოლოდ ცოდნის მარაგის დადებით მნიშვნელობას არ გულისხმობს. მასალის დასწავლა თვით დასწავლის, როგორც სპეციალური მოქმედების გამოცდილებას აძლევს ადამიანს. როგორც ამბობენ – “სწავლით სწავლას ესწავლობთ”. საქმე მხოლოდ ის კი არ არის, რომ მეხსიერება მისი მოქმედების გამო ძლიერდება, ვარჯიშდება როგორც “ძალა”, როგორც ფუნქცია, არამედ ისიც, რომ დასწავლის პროცესში ადამიანი იმუშავებს დასწავლის “ტექნიკას”, რომელიც ხშირად გაცნობიერებულად არ არის. მაგრამ ზოგჯერ კი საჭირო ხდება დამახსოვრების სპეციალური ხერხების მოფიქრება და შეთვისება, რასაც ე.წ. “მნემონიკა” ემსახურება.

მნემონიკა

მნემონიკური ხერხები, ინფორმაციის ორგანიზაციის სხვადასხვა პრინციპებზე დაყრდნობით, აუმჯობესებს მეხსიერებას. ვერბალური ინფორმაციის ორგანიზაციის ერთ-ერთ ხერხია რითმები და ზოგადად რიტმი. ლექსების წყალობით ბევრმა ეთნოსმა შემოინახა თავისი კულტურული საგანძური. ასე გადარჩა, მაგალითად, “ვეფხისტყაოსანი”. იყვნენ და არიან პირები, ვისაც ამ პოემის მთელი ტექსტი ახსოვთ ზეპირად. მაგრამ საკითხავია, რამდენად შეძლებდნენ ამას, “ვეფხისტყაოსანი” რომ ბელეგრისგული ნაწარმოები ყოფილიყო.

კარგად არის ცნობილი ისეთი მწემონიკური ხერხი, როგორცაა აკრონიმი. მისი არსი ისაა, რომ შეიქმნას შემოკლებული დასახელება რაიმე მოვლენის აღმნიშვნელი პირველი ასოებიდან (მაგ., გაერო, სუკი, NATO). ასევე არსებობს ფრაზები, რომლებიც გვეხმარება გარკვეული მასალის დამახსოვრებაში. მაგალითად, სპექტრის ფერების თანმიმდევრობის დასამახსოვრებლად ეფექტურია ასეთი გამონათქვამი: “წაღი, ნახე ყარამანი, მინდვრად ცოცხალ ლომებს იჭერს”. ამ სიტყვების პირველი ასოებით იწყება ფერების დასახელებაც: წითელი, ნარინჯისფერი, ყვითელი, მწვანე, ცისფერი, ლურჯი, იისფერი.

დახსომებისთვის სასარგებლოა წარმოდგენაში მასალის დაჯგუფება მაგალითად, თუ მივდივართ სასურსათო მაღაზიაში, აჯობებს, დავხარისხოთ საყიდელი ბოსტნეულად, ხილად, ხორცის პროდუქტებად; ან პროდუქტებად საუშმისთვის, სადილისთვის და ვახშმისთვის.

ყველაზე ეფექტური საშუალება მაინც ისეთი მხედველობითი წარმოდგენების შექმნაა, რომლებშიც დასამახსოვრებელი შინაარსი სივრცეში კარგად ლოკალიზებულ ობიექტებს უკავშირდება. ყველაზე გავრცელებულია ე.წ. ადგილის მეთოდი, რომელსაც უკვე ძველი ბერძენი და რომაელი ორაგორები მიმართავდნენ საჯარო თავიანთი გამოსვლების მომზადებისას. ისინი იხსენებდნენ ქალაქის მთავარ ქუჩაზე განლაგებულ ობიექტებს (ადგილებს) და თითოეულ მათგანს “აბამდნენ” გამოსვლის გეგმის კონკრეტულ თემის ან არგუმენტს. ვთქვათ, პირველი თემისი შეესაბამება რაიმე ფარულს, მეორე – ქანდაკებას ქუჩის კუთხეში, მესამე – შადრევანს მოედანზე და ა.შ. სიტყვით გამოსვლისას ისინი გონებაში გაივლიდნენ ამ გზას და ყველა მონიშნული ადგილიდან “იღებდნენ” შესაბამის ელემენტს. შეიძლება ამ ხერხის გამოყენება უფრო ყოფითი ამოცანებისთვის, მაგალითად, იმავე პროდუქტების სიის დასამახსოვრებლად. ამისთვის საჭიროა თქვენი ბინის სხვადასხვა ნაწილში მოათავსოთ რაიმე პროდუქტი: პური სამზარეულოში, ყველი მისაღებში, კვერცი საძინებელში, კარგოფილი აბაზანაში და ა.შ. გასახსენებლად საკმარისია, გონებაში “გაისეირნოთ” ბინაში და შეეცადოთ “დაინახოთ” ის, რაც იქ მოათავსეთ.

დასწავლის კანონზომიერებანი

ექსპერიმენტული კვლევის შედეგად გამოვლინდა დასწავლის პროცესის შემდეგი კანონზომიერებანი:

1. მასალის მოცულობის კანონი. მასალის მოცულობის მაგება იწვევს დასასწავლად საჭირო დროის გახანგრძლივებას და დასასწავლად საჭირო გამეორებათა რაოდენობის მაგებას. მაგრამ ეს მიმართება პირდაპირპროპორციული არ არის: უაზრო მარცვლების 6-წევრიანი რიგი ერთი წაკითხვითაც ამახსოვრდება ადამინს, ხოლო 12-წევრიანი რივისთვის 10-12 გამეორებაა საჭირო და არა მხოლოდ ორი, 24-წევრიანისთვის – 44 და ა.შ. ეს კანონზომიერება დასწავლის დროსთან მიმართებაში ასეა ფორმულირებული: დასასწავლად საჭირო დრო მასალის რაოდენობის (მაგ., სიტყვების) კვადრატის პროპორციულად იმაგებს.

2. გამეორების რიგითი ადგილის კანონი. თითოეული ცალკე გამეორების მნემური ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ადგილი უკავია მას გამეორებათა რიგში. გამეორების მნემური ეფექტი მით უფრო მცირეა, რაც უფრო დაშორებულია იგი თავიდან. ამდენად, ყველაზე მეტი მნემური ღირებულება პირველ წაკითხვას აქვს და ყველაზე ნაკლები – უკანასკნელს.


3. გამეორებათა შორის ინტერვალის კანონი. დაბეპირების პროცესში გამეორებათა შორის ინტერვალის ხანგრძლივობა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს დასამახსოვრებლად საჭირო გამეორებათა რაოდენობას. აქ ასეთი კანონზომიერება მოქმედებს: რაც უფრო ხანგრძლივია გამეორებათა შორის ინტერვალი, მით უფრო ნაკლები გამეორებაა საჭირო მასალის ზეპირად დამახსოვრებისთვის. თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ გამეორებათა შორის ინტერვალის მეტისმეტად გაზრდა დამახსოვრებას კი არა, დავიწყებას გამოიწვევს. მასალის თავისებურებებიდან გამომდინარე, შესაძლებელია ოპტიმალური ინტერვალის შერჩევა.

4. მასალის ადგილმდებარეობის კანონი. თანაბარი პირობების შემთხვევაში დასახსომებული რიგიდან უკეთესად გვამახსოვრდება მასალის პირველი და უკანასკნელი ელემენტი. უაზრო მასალაზე (უაზრო მარცვლებზე, რიცხვებზე) ეს კანონზომიერება, ასე ვთქვათ, წმინდა სახით დასტურდება. მაგრამ აზრიანი მასალის შემთხვევაში იგი ხშირად იწინააღმდეგება სხვა ფაქტორულ

ბით, განსაკუთრებით ინგერესის ფაქტორით: ის სიგყვა თუ სურათი, რომელიც რაიმე გარემოების გამო უფრო ემოციურია, სუბიექტს უკეთ ამახსოვრდება, მიუხედავად იმისა, რა რიგითი ადგილი ჰქონდა მას მასალაში.

საზოგადო, მასალის შინაარსი და მასთან დაკავშირებული სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორები ხშირად საკმაოდ ცელის წარმოდგენილი კანონების მოქმედებას. არსებობს სხვა კანონზომიერებანიც, მაგრამ აქ ამით შემოვიფარგლებით.

მეხსიერების განხილული ფორმების საერთო სქემა ასეთია:



§ 3. დავიწყება

დავიწყების მიმდინარეობა

ამბობენ: “როგორც არ არსებობს ადამიანი, რომელიც არაფერს იმახსოვრებს, ისე არ არსებობს ადამიანი, რომელსაც არაფერი ავიწყდება”. დავიწყება მეხსიერების აუცილებელი მეორე მხარეა.

დავიწყების უარყოფითი ასპექტი ნათელია: ადამიანი ეკარგება გარკვეული ინფორმაცია. მაგრამ დავიწყებას დადებითი მნიშვნელობაც აქვს: მეხსიერების მოცულობა არ არის უსაზღვრო, ყველაფრის დახსომება შეუძლებელია. აქედან გასაგებია, რომ მეხსიერება შერჩევითია. დავიწყება, თუ იგი სათანადო შინაარსებს ესება, ხელს უწყობს იმის შენარჩუნებას, რაც პიროვნულად უფრო მნიშვნელოვანია. გარკვეული ხასიათის შინაარსების დავიწყების წყალობით ადამიანი იმორებს ზედმეტ ინფორმაციას და ათავისუფლებს მნემურ რესურსებს უფრო მნიშვნელოვანისთვის. მაგალითად, რა საჭიროა, გვახსოვდეს იმ სასტუმროს ტელეფონის ნომერი, რომელშიც ხუთი წლის წინ ეცხოვრობდით სხვა ქალაქში ყოფნისას?

ექსპერიმენტული კვლევით გაირკვა, რომ საზოგადოდ, რაც უფრო მეტი დროა გასული ინფორმაციის მიღებიდან მის აღდგენამდე, მით მეტია დავიწყების ალბათობა; ამასთან, დავიწყების მიმდინარეობას გარკვეული, მისთვის გიპური ფორმა აქვს. სახელდობრ, დასწავლის შემდეგ პირველ საათებში დავიწყების ტემპი უსწრაფესია; დროს მიმდინარეობასთან ერთად დავიწყების ტემპი იკლებს და ბოლოს დახსომებულის კვალი დიდხანს ან მუდამ რჩება.

ამასთან, დადასტურებულია შემთხვევები, როდესაც დავიწყების ამგვარი მიმდინარეობა ირღვევა და მოგონება უმჯობესდება დროის გასვლის შემდეგ კერძოდ, მასალის აღქმიდან პირველ ხანებში (2-3 დღის განმავლობაში) პროგრესული დავიწყების ნაცვლად, ადგილი აქვს უკეთეს დახსომებას და მხოლოდ შემდგომ იწყება დავიწყების ჩვეულებრივი პროცესი. ამ მოვლენას რემინისცენცია ეწოდება. იგი უმთავრესად თავს იჩენს აზრიანი და ძნელადგასაგები მასალის მიმართ. სავარაუდოდ, რემინისცენციის მოვლენა აიხსნება იმით, რომ გარკვეული ხნის განმავლობაში

ხდება რთული მასალის “მონელება” – აზრობრივად უკეთესი და უფლება, უკეთ გაგება; ამიგომ პირველ დღეებში მისი აღდგენის სისრულე და სიზუსტე მაგულობს, ხოლო შემდეგ ღავეიწყება ჩვეულებრივი მიმღვერობით წარიმართება.

ღავეიწყების მიმღინარეობაზე სხეაღასხვა ფაქტორი მოქმედებს: დასწავლის სისწრაფე – სწრაფად დასწავლილი სწრაფად გვავეიწყდება; პიროვნების განზრახვა – მოკლე ღროისთვის დასწავლილი მალევე გვავეიწყდება და პირიქით; მასალის შინაარსი – აზრიანი მასალა შეუღარებლად უფრო გვიან გვავეიწყდება, ვიღრე უაზრო; მოტორულ ჩვევებს განსაკუთრებული სიმტკიცე ახასიათებს და ა.შ.

ღავეიწყების თეორიები

საკითხიღან, თუ როგორ მიმღინარეობს ღავეიწყების პროცესი, გაღავეიღეთ საკითხზე, თუ საზოგადოდ რა მიზეზები იწვევს ღავეიწყებას. ღავეიწყების სხეაღასხვა თეორია ამაზე განსხვავებულ მოსაზრებას გვთავაზობს, რომელთაგან ყველაზე გაერცელებულია ჩაქრობისა და ინტერფერენციის თეორიები. ჩაქრობის თეორიის თანახმად, მეხსიერებაში აღბეჭდილი შინაარსი, თუ მისი გამოყენება არ ხდება, ღროის განმაელობაში თანღათან იშლება; მისი კვალი ისე ქრება, როგორც ბილიკი, რომელზეც აღარ ღადიან, ან როგორც იშლება მიწის ქანები ქარისა და წყლის ზემოქმედებით. მოგონებათა “ეროზიას”, როგორც ჩანს, ნერეულ ქსოვილში მიმღინარე ცვლილებები იწვევს, კვალი ფერმკრთალდება, სუსტდება და ბოლოს ისობა. ეს თვაღსაზრისი ეყრღნობა უმთავრესად ღაკვირვებებს, რომელთა მიხედვით აღამიანებს ახალმომხღარი მოვლენები უფრო უკეთ ახსოვთ, ვიღრე ძველი.

ჩაქრობის თეორია ერთი შეხედვით სარწმუნოდ გამოიყურება, მაგრამ გარკვეულ სირთულეებს აწყდება, როცა საჭირო ხდება იმის ახსნა, თუ რაგომ და როგორ ზემოქმედებს მეხსიერებაში შენახულ ინფორმაყიაზე ძველი ან ახალი შთაბეჭდილებები. მაგალითად, ერთ-ერთ ცნობილ ექსპერიმენტში ცღისპირების ერთ ჯგუფს დასწავლიღან მოგონებამღე ეძინა, მეორე კი ფხიზლად იყო. თუ ღავეიწყება მსოლოდ გარკვეული ღროის გასუ

ლის შედეგია, მაშინ ვახსენების მაჩვენებელი ორივე შემთხვევაში ერთნაირი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე არ მოხდა: იმათ, ვისაც დაშასხოვრება-აღდგენის ინტერვალში ეძინათ, უკეთ ახსოვდათ მასალა. როგორც ჩანს, ფსიზღვალ მყოფი ცდისპირები სხვადასხვა შთაბეჭდილებათა გემოქმედებას (ინტერფერენციას) განიცდიდნენ. ე.წ. ინტერფერენციის თეორიის თანახმად, ახალი შემოსული ინფორმაცია ასუსტებს არსებულს, და პირიქითაც. შესაბამისად, ძველი ინფორმაცია აბრკოლებს ახლის დამახსოვრებას და ახალი ინფორმაცია ხელს უშლის ძველის გახსენებას. რასდება სინამდვილეში ინტერფერენციის დროს? შესაძლებელია, ერთი შინაარსი მეორეს შლის, თრგუნავს, განდევნის და მის ადგილს იკავებს; ან, უბრალოდ, იგი ართულებს არსებული ინფორმაციის მონახვას და ცნობიერებაში ამოგანას – ამის თაობაზე განსხვავებული მოსაზრებები არსებობს.

დავიწყების ამ მოდელებში გათვალისწინებულია ის, თუ რაგომ და როგორ ქრება ინფორმაცია მეხსიერებიდან. მაგრამ დავიწყება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ შთაბეჭდილების კვალი დაიკარგა, არამედ იმასაც, რომ გაძნელდა მისი გახსენება, ანუ გართულდა ან დაიკარგა საჭირო ინფორმაციასთან მისასვლელი გზა; ამ შემთხვევაში პრობლემა ინფორმაციის შენახვაში კი არა, მის აღდგენაშია. კოგნიტურ ფსიქოლოგიაში დახასიათებულია დავიწყების ისეთი სახე, რომელიც დაკავშირებულია რაიმეს გახსენების უნარობასთან – იმასთან, რომ მეხსიერებაში შენახული მასალა მიუწვდომელია, ვინაიდან მასთან მისასვლელი “კარის” შესაღებად საჭიროა შესაბამისი “გასაღები”, ე.ი. სტიმული, რომელიც გახსნის გზას მეხსიერების შინაარსებისკენ. ჩვენ უმეტესად ეს გასაღები თან გვაქვს და გახსენებაც არ გვიჭირს. ამასთან, მოგჯერ „გასაღები იკარგება“ და შესაბამისი მასალის გახსენება ძნელდება. ამ დროს გახსენება შეიძლება სრულიად შეუძლებელიც მოგვეჩვენოს, მაგრამ თუ გასაღები მოინახა, მოგონება ხელად დაბრუნდება: თუ დიდი ხნის მერე დაბრუნდებით მშობლიურ ქალაქში, თქვენ მაშინვე მოგეძალებათ მოგონებები სხვადასხვა, თითქოს საბოლოოდ დავიწყებული ადამიანებისა და მოვლენების შესახებ იმიტომ, რომ გარკვეული ადგილების მსუდველობითმა და სმენითმა ხატებმა ბიძგის (გასაღების) როლი შეასრულა შესაბამისი მოგონებების აქტუალიზაციისთვის.

აქ მნიშვნელოვანია, რამდენად შეესაბამება გასაღები იმ კონტექსტს, რომელშიც დამახსოვრება მოხდა. კონტექსტი მართლაც განსაზღვრავს იმას, თუ როგორ არის დამახსოვრებული ანუ კოდირებული ინფორმაცია. თუ ჩვენ ამ ინფორმაციის აღდგენას სხვა კონტექსტში დავიწყებთ, ეს მცდელობა შეიძლება წარუმატებლად დამთავრდეს. ამიგომ თუ თქვენმა ლექტორმა ვერ გიცნოთ მაღაზიაში, ეს მის უზრეველობაზე კი არ მეტყველებს, არამედ იმაზე, რომ იგი შეეჩვია თქვენს ხილვას მხოლოდ სალექციო აუდიტორიის ფარგლებში. კონტექსტის ეფექტი ძალზე თვალსაჩინოდ გამოვლინდა ექსპერიმენტში, რომელშიც დასწავლა წყლის ქვეშ მიმდინარეობდა. აღმოჩნდა, რომ აღდგენის ეფექტურობა უარესდება, თუ ის წყლის ზედაპირზე ე.ი. სხვა გარემოში ხდება. დავიწყების თავიდან ასაცილებლად სასურველია დამახსოვრება (დასწავლა) და აღდგენა (მოგონება) ერთ გარემოში მიმდინარეობდეს. ამ დებულების პრაქტიკული გამოყენება სავსებით შესაძლებელია რეალურ ცხოვრებისეულ სიტუაციებში.

თავი XIII. აზროვნება, ინტელექტი, კრეატიულობა და ინტუიცია

§ 1. აზროვნების ფსიქოლოგია

მიმართება ძირითად შემეცნებით ფუნქციათა შორის

აზროვნება ადამიანის მთავარი შემეცნებითი ფუნქციაა. მისი არსებითი ნიშანთვისებაა ინდივიდის წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრა, თანაც არა სენსომოგორული „კდისა და შეცდომის გზით“ ანუ შემთხვევითი მოძრაობებით, არამედ პირიქით: გარეგანი სენსომოგორული აქტივობის შეზერებითა და შინაგანი ქმედებებით.

აზროვნებას ოთხი ძირითადი სახეობა აქვს:

- უდაბლესი – სენსომოგორული, „პრაქტიკული ინტელექტი“ (იხ. თავი IV) და მისი მწვერვალი – ინსაიგი, რომელიც, გამოწვევის სახით, მაიმუნებთანაც გვხვდება (იხ. თავი 3); ინსაიგი ინტუიციური მიხედვის უდაბლესი სახეობაა; მისი პროცესი სრულიად გაუცნობიერებელ-გაუცნობიერებადია.
- საგობრივ-ასოციაციური (იხ. თავი IV); ემყარება წარმოდგენილ საგებათა ასოციაციებს; შეიძლება იყოს მეგ-ნაკლებად შეკუმშული, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მისი პროცესი უპირატესად გაცნობიერებადია;
- ლოგიკური = ცნებითი = ანალიზური = დისკურსიული = განსჯითი = რაციონალური (იხ. ამავე თავში); ემყარება ლოგიკურ მოქმედებებს, რომლებიც გაშლილი ან მეგ-ნაკლებად ავტომატიზებულ-შეკუმშულია, მაგრამ ამ შემთხვევაშიც მისი პროცესი ძირითადად გაცნობიერებელი ან გაცნობიერებადია;
- დიალექტიკური (იხ. თავი IV), ანუ, არსებითად, ინტუიციური (იხ. ამავე თავის ბოლოს); მისი პროცესი ძირითადად გაუცნობიერებელ-გაუცნობიერებადია.

აზროვნება, აღქმასა და მეხსიერებასთან ერთად, შემეცნებით პროცესებს მიეკუთვნება. მაგრამ ამ ფუნქციათა როლი შემეცნების პროცესში არსებითად განსხვავებულია. აზროვნების პროცესი ფსიქოლოგიურადაც განსხვავდება აღქმისა და მეხსიერებისაგან.

მეხსიერება უკვე ასახულის შენახვასა და აღდგენას ემსახურება. ალქმა და ამროვნება, პირიქით, სინამდვილის აქტიურ ასახვას იძლევა და არა უკვე ასახულის გამეორებით, რეპროდუქციულ ასახვას, როგორც მეხსიერება. გამეორებითი ალქმის შემთხვევაშიც საგნის ისევ აქტუალური ასახვა ხდება და არა რეპროდუქცია. ხოლო ამროვნებისთვის დამატებით დამძახასიათებელია ახალი ამოცანის გადაწყვეტა, ახალი საკითხის გადაჭრა, ახალი, უჩვეულო სიგუაციის შესატყვისი მოქმედება, რომლის გამოცდილება სუბიექტს არა აქვს. ამ მხრივ ამროვნების ფუნქცია მეხსიერების საპირისპიროა. ამროვნების პროცესის სტიმული სუბიექტის წინაშე წამოჭრილი დაბრკოლება, შეკითხვა, ან გაკვირება მაინცაა: რა არის ეს? როგორ მოვიქცე? და ა.შ. ამროვნების ეს ფუნქცია – ახლის გაგება, უდიდესი მნიშვნელობისაა სუბიექტსა და გარემოს შორის ურთიერთობის აგების თვალსაზრისით.

არანაკლებია ამროვნების განსხვავება ალქმისაგან. ალქმა სინამდვილის შემეცნების პირველი საუბურია, მის უშუალო, თვალსაჩინო ასახვაა. შემეცნება შეგრძნებითა და ალქმით იწყება. ალქმაში მხოლოდ ისაა მოცემული, რაც აქ და ამჟამად არსებობს. ამროვნება, ალქმის და მეხსიერების მონაცემებზე დაყრდნობით, არღვევს „აქ და ამჟამად“ მოცემულობის ფარგლებს, გამოდის მხოლოდ თვალსაჩინო ასახვის ფარგლებიდან და არსებითის წვდომისკენ, საგანთა შორის არათვალსაჩინო კავშირების დანახვისკენაა მიმართული. ამროვნების პროცესში ალქმის მონაცემების გონებრივი გადამუშავება ხდება – არსებითის გამოყოფა არაარსებითისაგან, მნიშვნელობის გააზრება, დამოკიდებულებათა და მიმართებათა წვდომა და ა.შ. ამროვნება სინამდვილის მეორადი, ალქმის მონაცემებზე დამყარებული ასახვაა. შემეცნების პროცესი ალქმიდან ამროვნებისკენ მიემართება.

ამროვნების მთავარი თვისებაა ალქმისა და მეხსიერების შემზღველობის გადალახვა. ექსპერიმენტულადაა დამტკიცებული, რომ ცხოველისთვის, მაიმუნისთვისაც კი, საგანი არსებობას წყვეტს, როგორც კი იგი გადის აქტუალური ალქმისა და მოქმედების ველიდან. თანაც ყუთი, რომელზეც მაიმუნი წევს ხოლმე და იგივე ყუთი, როცა მას ცხოველი გარეთ ბანანის ჩამოსაგდებად იყენებს, მაიმუნისთვის სხვადასხვაა. იგივეობის კანონი კი ამროვნების პირველი საფუძველია – იმისათვის, რათა გაიზაროს

რაიმე, ეს რაიმე თავისთავის იგივეური უნდა რჩებოდეს.

აქმა მთლიანად მიჯაჭვულია „აქ და ახლა“, უშუალოდ მოცემულზე, აქტუალურზე; მესხიერება – გამოცდილებით მიღებულ წარსულზე და მის მეტ-ნაკლებად სრულად აღდგენაზე, პოტენციურზე. ამროვნება არღვევს ამას და ხელეწიფება შეჭრა უშორეს სივრცეებშიც (წარმოსახვით), შორეულ მოძაველშიც თუ შორეულ წარსულშიც.

ამრიგად, აქმა, მესხიერება და ამროვნება საეციფიკური ნიშნებისა და ფუნქციების მქონე შემეცნებითი პროცესებია. მაგრამ მათ შორის განსხვავებებზე მითითებამ არ უნდა დაჩრდილოს მათი არსებითი და ურღვევი კავშირი. თანამედროვე კოგნიტური ფსიქოლოგია ამას განსაკუთრებით უსვამს ხაზს, ვინაიდან ადამიანის მთელი შემეცნებითი ფუნქციონირება წარმოდგენილია ინფორმაციის გადამუშავების ერთიანი პროცესის სახით, რომელშიც ფსიქიკური ფუნქციები იმდენად ურთიერთგადაჯაჭვულია, რომ ზოგჯერ ძნელი ხდება მათ შორის მკაფიო საზღვრის გავლება. მაგალითად, როცა აქმას განვიხილავთ, ხშირად ვესებით მესხიერების სფეროს, რადგან ნაცნობი საგნების აქმა მათ წარსულ აქქებებზეც არის დამოკიდებული. უეჭველია აქმის კავშირი ამროვნებასთანაც. აღქმელი სუბიექტი მოაზროვნე სუბიექტის არის. ამის ყველაზე თვალსაჩინო გამოვლინება აქმის კატეგორიალობაა (იხ. თავი XI).

მოგონების პროცესის ღიღი ნაწილი ისე გამოიყურება, როგორც შეკითხვაზე პასუხის მონახვა. მე ვცდილობ, გავისხენო, ვის ვათხოვე წიგნი ხელკონების ფსიქოლოგიაზე და მივდივარ დასკვნამდე, რომ ეს უნდა იყოს X, ვინაიდან ჩემი ნაცნობებიდან მას იგი ყველაზე მეტად უნდა დასჭირვებოდა. უცებ ჩემს მესხიერებაში ამოტივტივდება ის მომენტი, როცა X მთხოვდა ამ წიგნს და იფიცებოდა, რომ უმალ დამიბრუნებდა. მესხიერება ზოგჯერ ძალიან წააგავს ამროვნებას. ამ უკანასკნელის ფუნქციონირება კი წარმოდგენილია მესხიერების საცავეებზე დაყრდნობის გარეშე. რაზეც უნდა ვფიქრობდეთ სად დავისვენო ამ მაფხულს, თუ როგორ დავწერო ამ სახელმძღვანელოს მესხიერების თავი, რაგომ ხდება ომები – მე მჭირდება ინფორმაცია მესხიერების განსხვავებული სისტემებიდან. ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ აქმას, მესხიერებასა და ამროვნებას შორის მკაფიო

საზღვრები არ არსებობს, ვინაიდან ისინი, საბოლოოდ, ერთი საერთო პროცესის – შემეცნების სხვადასხვა ასპექტებია.

აზროვნების ზოგადი დახასიათება

დათბა, ღნება თოვლი. ადამიანი აღიქვამს თოვლის ღნობასაც და სითბოსაც, მაგრამ ამ ორ თვალსაჩინო მოვლენას შორის არსებული მიზეზშედეგობრივი დამოკიდებულება, ანუ ის გარემოება, რომ თოვლი სითბოსაგან ღნება, ვერ აღიქმება. ეს მიმართება თვალსაჩინოდ აღქმადი მოვლენა არ არის. მისი მხოლოდ გააზრება შეიძლება, ე.ი. ეს მიმართება მხოლოდ აზროვნებისთვის არის მისაწვდომი. აღქმაში აისახება მხოლოდ გარეგანი მიმართებები თვალსაჩინო თვისებებს შორის, მაგალითად, ორი საგნიდან ერთის მეტი სიდიდე, ან მეტი დამორება, ან ერთის მეორეზე მაღლა მოთავსება, ან უფრო მუქი ფერი და ა.შ. ასეთი თვალსაჩინო მიმართების აღქმის შესაგყვისად ადამიანმა შეიძლება მიმართების გააზრების გარეშე მიზანშეწონილად იმოქმედოს კიდევ. მაგალითად, საწერ მაგიდასთან წერის პროცესით გართული ადამიანი თავისი მოქმედებით სწორად მოერგება მაგიდაზე დაწყობილ საგნებს შორის სივრცით მიმართებებს (მანძილს, მარჯვნივ მარცნივ განლაგებას და ა.შ.) ამ მიმართებათა გაცნობიერებისა და გააზრების გარეშე. ასევე ცხოველის ქცევაც სწორად შეესაბამება გარემოში არსებულ სივრცით მიმართებებს. ეს კი შეუძლებელია ამ მიმართებათა აღქმის გარეშე.

მაგრამ მოვლენებს შორის შინაგანი, არათვალსაჩინო მიმართებაცაა. ისინი კი ვერ აღიქმება, მათი წვდომა მხოლოდ აზროვნებით შეიძლება. მიზეზობრიობა, აუცილებლობა თუ შემთხვევითობა, მიმართება კერძოსა და ზოგადს, აღმნიშვნელსა და აღნიშნულს, მიზანსა და საშუალებას შორის და სხვა ასეთი არსებითი არათვალსაჩინო მიმართებები მხოლოდ აზროვნებისთვისაა მისაწვდომი.

აზროვნების პროცესი პიროვნების აქტური, ნებელობითი, მიზანდასახული მოქმედებაა. იგი გარკვეული, სახელდობრ, წამოჭრილი ამოცანით (შეკითხვით, პრობლემით) განსაზღვრული მიმართულებით წარიმართება და ამოცანის გადაწყვეტით სრულდება. აზროვნების პროცესის ამ თავისებურებას „დახმუ-

ლობას” ან მთლიანობას უწოდებენ. აზროვნების პროცესი თავი-სი ბუნებით აქტიურია: პიროვნება ნებისყოფით წარიმართება მოცემული ამოცანის გადასაწყვეტად. ხოლო როდესაც ჩვენ რაიმე საკითხზე კი არ ვაზროვნებთ, არამედ უნებურად, უმიზნოდ ვექლევით წარმოდგენათა და ფიქრთა ასოციაციურ ნაკადს, მაშინ ჩვენ ვოცნებობთ. წარმოდგენებისა და ფიქრების ასეთი უნებლიე მიმდინარეობა აზროვნება კი არა, ოცნებაა.

ნათქვამი არ ნიშნავს იმას, რომ ამოცანის გადაწყვეტის მთელი პროცესი აუცილებლად ცნობიერია. მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ ამოცანის გადაწყვეტის პროცესში ვონებრივი მოქმედებები და ოპერაციები ხშირად გაუცნობიერებელია. ადამიანის აქტიუობაში (ქცევაში) ჩართული ოპერაციები, მოგორული თუ მენგალური, როგორც წესი, იმდენადაა ავტომატიზებული, რომ ცნობიერ რეგულაციას არ საჭიროებს (იხ. თავი VII და IX). ეს ზოგადი კანონზომიერება მთლიანად ვრცელდება აზროვნებაზეც.

ლოგიკური აზროვნება და მისი ფორმები

ზრდასრული, კულტურული ადამიანის აზროვნება ლოგიკურ-ვერბალური ანუ ცნებითია. ლოგიკური – იმიგომ, რომ აზროვნების ეს სახე ლოგიკურ მოქმედებებს ემყარება და, ამდენად, ლოგიკის საგანს შეადგენს. შინაარსობრივი თვალსაზრისით, ე.ი. გააზრებული შინაარსის მართებულობის კუთხით, აზროვნებას ლოგიკა შეისწავლის. ვერბალურს („სიგყვიერს“) მას იმიგომ უწოდებენ, რომ იგი არსებითად დაკავშირებულია მეტყველებასთან; ლოგიკური აზროვნების ძირითადი ფორმები – ცნება, მსჯელობა და დასკვნა – სიგყვიერად, ვერბალურადაა მოცემული. ცნებით აზროვნებას მას იმიგომ უწოდებენ, რომ იგი ძირითადად ცნებებით მოქმედებს (და არა ხატებით – იხ. თავი IV).

აზროვნების ფსიქოლოგიის მნიშვნელოვანი ამოცანა ლოგიკის მიერ დადგენილი აზროვნების სამი ძირითადი ფორმის – ცნების, მსჯელობის, დასკვნის – ფსიქოლოგიური ბუნების გაშუქებაა. ფსიქოლოგია, ლოგიკისაგან განსხვავებით, შეისწავლის არა გააზრებულ შინაარსს მისი მართებულობის თვალსაზრისით, არამედ აზროვნების რეალურ პროცესს.

ფსიქოლოგიურად ცნება განიცდება როგორც ზოგიერთი სიგყვის ან სიგყვათა ჯგუფის მნიშვნელობა. მაგალითად: გრანსპორტი; სასმელეთო გრანსპორტი; ხილი; მსხალი; ქართული მსხალი; ხუთიული; სიშავე; ჭრა; სიმალღებე სგომა; ასაკობრივი და პედაგოგიკური ფსიქოლოგია; ქალაქი, რომელიც მღვის დონიდან არანაკლებ 1000 მეტრზეა (ხოლო არაა ცნებები შემდეგი სიგყვების მნიშვნელობა: ეჭრი, ჩემი, ის, ხუთი, შავი, სადღაც, ახლა, რომ...). ხოლო მეცნიერული ცნება სიგყვის მნიშვნელობა მაშინაა, როდესაც ადამიანი მასში საგნის ან მოვლენის არსებით ნიშანთვისებებს მოიაზრებს და შეუძლია მისი განსაზღვრა. ჩვეულებრივად, მეგყველების პროცესში სიგყვა ისე იხმარება, რომ ადამიანს არ ძალუძს მისი მნიშვნელობის ზუსტი განსაზღვრა; მაგალითად, სიგყვას „ბალახი“ ჩვენ თითქმის ყოველთვის ადეკვატურად ეხმარობთ, მაგრამ, როგორც ექსპერიმენტულად გამოვლინდა, სპეციალისტების გარდა, ადამიანები ვერ იძლევიან მის ზუსტ განსაზღვრებას (დეფინიციას), ანუ ვერ აყალიბებენ ცნების არსებით ნიშანთვისებებს. სწორედ ამიტომ ფსიქოლოგიაში განასხვავებენ ყოველდღიურ და მეცნიერულ ცნებებს.

მეცნიერული ცნების შინაარსი მეცნიერების განვითარებასთან ერთად იცვლება. მაგალითად, აგომის ცნება ძველი საბერძნეთის ფილოსოფოსებს გაგებული ჰქონდათ განუყოფელი ნაწილაკის სახით. ამჟამინდელი მონაცემებით აგომს ურთულესი სტრუქტურა აღმოაჩნდა და მისი ცნების შინაარსი არსებითად შეიცვალა. ამრიგად, ცნება სინამდვილის ასახვის უმაღლესი ფორმაა. აღქმა გვაწვდის საგნის სურათს იმ სახით, როგორც იგი ამ მომენტში, მოცემულ პირობებში გვეძლევა, ცნება კი ასახავს საგნის ან მოვლენის არსს, რომელსაც ჩვენ მეცნიერებით ვწვდებით.

ამროვნების პროცესში ცნება, ჩვეულებრივ, განცალკევებულად კი არ მოიაზრება, არამედ როგორც მსჯელობაში შემავალი. მაგალითად, ჩვენ გავიაზრეთ: „მძლავრმა მიწისძვრამ იაპონია დაანგრია“, და არა სამი ცნება ცალ-ცალკე: “მძლავრი მიწისძვრა”, “იაპონია”, “დანგრევა”. სრული ფორმით მსჯელობა წინადადებაში გამოიხატება, ისევე, როგორც ცნება – სიგყვაში ან სიგყვების ჯგუფში. წინადადებაში გამოხატული მსჯელობა მიმართებას ამყარებს სუბიექტსა (ქვემდებარესს) და პრედიკატს (შემასმენელს) შორის. ყოველდღიურ ცხოვრებაში მსჯელობა

ხშირად არ გამოიხატება სრული წინადადების სახით, თავისი სუბიექტითა და პრედიკატით. შემოკლებული მსჯელობა შეიძლება ერთი სიტყვითაც გამოიხატებოდეს: მომიგანა, თოვს, წვიმს, ღიას, არა და სხვა. თუმცა ამ შემთხვევაშიც მსჯელობაში მაინც იგულისხმება მიმართება სუბიექტსა და პრედიკატს შორის. მაგალითად, “თოვს” ნიშნავს, რომ “ასლა მოდის თოვლი” ან “აქ მოდის თოვლი”, ანუ მოცემული მსჯელობა შეიცავს მიმართებას მოვლენასა და მის დროსა თუ ადგილთან. საზოგადოდ მსჯელობა ცხადს ხდის სხვადასხვა მიმართებას: მთელსა და ნაწილს, მიზეზსა და შედეგს, მიზანსა და საშუალებას შორის, გოლობა-უგოლობის, დროით, სივრცით მიმართებებს და სხვა, მაგ.: “ელვა წინ უსწრებს ქუხილს”, “გერმანია ევროპის ნაწილია”. ამ უკანასკნელი მსჯელობის სისწორეში არც ერთ მეგ-ნაკლებად განათლებულ ადამიანს ეჭვი არ შეეპარება. მაგრამ თუ გერმანიას საქართველოთი შეეცვლით, ზოგიერთმა შეიძლება იგი საექვოლ მიიჩნიოს გეოგრაფიული, ისტორიული, პოლიტიკური, კულტურულ-ეთნიკური თუ სხვა თვალსაზრისით. მსჯელობა “საქართველო, შესაძლოა, ევროპის ნაწილად განიხილებოდეს” დარწმუნებულობის სულ სხვა ხარისხს გამოხატავს, ვიდრე გერმანიასთან დაკავშირებული მსჯელობა.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისით მსჯელობისთვის სწორედ გამოთქმულში დარწმუნებულობის თვისებაა დამახასიათებელი. მსჯელობა აუცილებლად გულისხმობს მიმართების მეგ-ნაკლებად დამარწმუნებელ დადასტურებას, მის შეწყნარებას ან უარყოფას, რასაც დარწმუნებულობის გარკვეული ხარისხი ახლავს.

ლოგიკური აზროვნების მესამე ფორმაა დასკვნა. დასკვნის შედეგად ვიღებთ ახალ მსჯელობას (ე.წ. დახასკევი), რომელიც გამომდინარეობს რამდენიმე მსჯელობიდან (ე.წ. წინამძღვრები). მაგალითად, მოცემულია მსჯელობები: “ყველა ლითონი ელექტრობას აგარებს” და “რკინა ლითონია”. აქედან გამომდინარეობს დანასკვი: “რკინა ელექტრობას აგარებს”.

ლოგიკის გავლენით ფსიქოლოგიაშიც არჩევენ დასკვნის სამ ძირითად სახეს. ესენია: 1. ინდუქცია – კერძო მსჯელობებიდან ზოგადის გამოყვანა (მაგ.: ვათბობისაგან ფართოვდება ალუმინი, ვერცხლი, რკინა, სპილენძი და ა.შ; მაშასადამე, ყველა ლითონი ვათბობისაგან ფართოვდება); 2. დედუქცია – ზოგადი მსჯელობებიდან

კერძოს გამოყენება (მაგ.: ყველა ადამიანი მოკვდავია; სოკრატე ადამიანია; მამასადამე, სოკრატე მოკვდავია); 3. ანალოგია – ერთი კერძო მოვლენიდან მსგავსი კერძო მოვლენის შესახებ დასკვნა (მაგ.: დედამიწაზე წყალია და სიცოცხლე არსებობს; მარსზეც არის წყალი; მამასადამე, იქაც უნდა არსებობდეს სიცოცხლე).

ანალოგიით დასკვნა ყველაზე ნაკლებ სანდოა (ახლა მართლაც მიმდინარეობს მარსზე წყლის ძიება, თუმცა წყლის არსებობის დადასტურების შემთხვევაშიც მარსზე სიცოცხლის დადასტურებას ვერ შევძლებთ). საზოგადოდ კი დასკვნის შემეცნებითი ღირებულება მეტად დაბალია. იგი აფართოებს ჩვენს ცოდნას, გვაგებინებს ისეთ რამეს, რაც გამოცდილებაში არ გექონია. მაგალითად, ჩვენ ვიცით, რომ: ა) ყოველი ცხოველი, რომელიც ნაშიერებს ძუძუთი კვებას, თბილსისხლიანი, ძუძუმწოვარა ცხოველია; ბ) ვეშაპი ნაშიერებს ძუძუთი კვებას. ამ ორ მსჯელობას შორის მიმართების დამყარების საფუძველზე გამოგვაქვს დასკვნა, რომელიც ჩვენთვის შეიძლება სრულიად ახალი აღმოჩნდეს; სახელდობრ, დაეასკვნით, რომ ვეშაპი თბილსისხლიანი ძუძუმწოვარა ცხოველია და არა თევზი, და ამგვარად ვაფართოებთ ჩვენს ცოდნას.

ლოგიკური აზროვნების ძირითადი ოპერაციები

აზროვნების სახით მოცემული შემეცნება, როგორც ზემოთ დავინახეთ, აღქმადი მასალის გონებრივი გადამუშავების გზით ხორციელდება (ამის საბოლოო საყენი კი თანდაყოლილი ზოგადი გონებრივი უნარები და სქემებია). თვით უზოგადეს აბსტრაქტულ ცნებათა შემუშავებას ადამიანი, საბოლოოდ, აღქმადი, თვალსაჩინო მასალის (აღქმულის და წარმოდგენილის) აზროვნებაში გადამუშავებით აღწევს. ცნება რთული ფსიქიკური წარმონაქმნია და მისი შემუშავება გარკვეული სააზროვნო ოპერაციების შესრულებას საჭიროებს. შევჩერდეთ აზროვნების ძირითად ოპერაციებზე.

1. **შედარება** აზროვნების უმარტივესი და პირველადი ოპერაციაა. ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ საგნებსა და მოვლენებს, რათა გავარკვიოთ მათ შორის მსგავსებაცა და განსხვავებაც. ეს აუცილებელია, რათა ჩვენს ცნობიერებაში ასახული მოვლენები

მოწესრიგდეს. მოვლენათა კლასიფიკაციის საფუძველიც მათი მსგავსება-განსხვავების ცოდნაა.

2. კლასიფიკაცია ანუ სისტემატიზაცია მიზნად ისახავს საგანთა ან მოვლენათა დაყოფას რამდენიმე ჯგუფად რაიმე ნიშნის მიხედვით, რომელიც თვითნებულ ჯგუფში შემავალი ყველა წევრისთვის არის დამახასიათებელი და არაა დამახასიათებელი სხვა კლასებისთვის. მაგალითად სახლის მემობლების კლასიფიკაცია შეიძლება მრავალი ნიშნის მიხედვით: სქესის მიხედვით, ეროვნების მიხედვით, ასაკის მიხედვით, იმის მიხედვით, თუ რომელ სართულზე ცხოვრობენ და ა.შ. კლასიფიკაციის ძირითადი მოთხოვნა ისაა, რომ ერთი კლასიფიკაციის ფარგლებში საკლასიფიკაციო ნიშანი არ უნდა შეიცვალოს, წინააღმდეგ შემთხვევაში კლასიფიკაცია მცდარი იქნება. მაგალითად, თუკი მემობელთა კლასიფიკაცია დაიწყო სქესის ნიშნის მიხედვით, შემდეგ შეიცვალა ეროვნებისა და ასაკის ნიშნებით, მაშინ კლასიფიკაცია დაირღვევა.

3. დიფერენციაცია – განაწევრება, ერთმანეთის მსგავს რამდენიმე საგანსა ან მოვლენას შორის განსხვავებათა დანახვა და მათი ურთიერთგამიჯვნა. მაგალითად, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებისთვის გამიზნული რაიმე ზოგადი სოციალურ-პოლიტიკური რჩევის განაწევრება და გადაკეთება ცალ-ცალკე საქართველოსთვის, სომხეთისთვის, აზერბაიჯანისთვის, შუა აზიისა თუ ბალკისპირეთისთვის. შესაძლოა შემდგომი დიფერენციაციაც – ცალ-ცალკე ბალკისპირეთის სამი რესპუბლიკისთვის ან, უფრო წერილად, მათი ცალკეული ოლქების მიხედვითაც.

დიფერენციაცია ჰგავს დაჯგუფებას, მაგრამ არსებითად სხვა ქმედებაა: დაჯგუფება იწყება დაქსაქსულ ერთეულთა სიმრავლიდან და მასში ჯგუფებს გამოყოფს; ხოლო დიფერენციაცია იწყება გაუნაწევრებელი მთლიანობიდან და მას ანაწევრებს. დიფერენციაციის საპირისპირო ქმედებაა უნიფიკაცია ანუ გაერთიანება.

4. განყენება ანუ აბსტრაქცია ეწოდება საგნისთვის ან მოვლენისთვის რამდენიმე ნიშანთვისების გარდა ყველა სხვა კონკრეტული ნიშანთვისების ჩამოცილებას, მთლიანი შინაარსიდან მხოლოდ რამდენიმე არადაძმოუკიდებელი ნიშანთვისების გამოყოფას და მათ გააზრებას მთელის გარეშე. ეს, მთელიდან გამოყოფილი, მის გარეშე გააზრებული თვისება ან მხარე თვითონ გადაიქცევა ჩვენი ანალიზის საგნად. თუკი მოცემული საგნის, მა-

გალითად, ფანქრის მხოლოდ ფერის შესახებ ვმსჯელებთ, ისე რომ თვით ფანქარი აღარ გვაქვს მხედველობაში, ჩვენ მოვახდინებთ ფერის აბსტრაქციას; ან თუკი ამ ოთახის სიდიდებზე ვფიქრობთ ისე, რომ ოთახის ყველა სხვა თვისებას ყურადღების გარეშე ვგოვებთ, მაშინ ჩვენ მოვახდინებთ სიდიდის აბსტრაქციას. ასევე, თუკი ზოგადი ფიჭვის ნაცვლად წარმოვიდგინებთ მის მხოლოდ სქემატურ მოხაზულობას ანუ ხის შიშველ სქემას, ჩვენ მოვახდინებთ ფორმა-აგებულების აბსტრაქციას.

არჩევენ აბსტრაქციის ორ საგანს: პოზიტიურს (დადებითს) და ნეგატიურს (უარყოფითს). პოზიტიური აბსტრაქციის საგანი არის ის, რისი გამოყოფაც მოვახდინებთ, რაც ამროვნების საგანს შეადგენს (გემო მაგალითებში ფერი, სიდიდე, აგებულება). ხოლო ნეგატიური აბსტრაქციის საგანი არის ის, რისგანაც მოხდა აბსტრაქცია, ე.ი. რაც მთლიან საგანში უგულებელყოფილი დარჩა, რაც ყურადღების გარეშე დაეგოვებოდა.

აბსტრაქციის შედარებით რთული ფორმა გულისხმობს ისეთი მიმართებითი არათვალსაჩინო ნიშნის გამოყოფას, რომელიც თითოეულ საგანში, ცალკე ადებულში, არც არსებობს, რომელიც მხოლოდ საგანთა შორის მიმართებაა. მაგალითად, რიცხვი თვით საგანში არ არსებობს, იგი საგნის აღქმის შინაარსში არ შედის: ხუთი გემიც – ხუთია, ხუთი კაკალიც – ხუთია. რიცხვის ცნების დაუფლება აბსტრაქციის შედეგია, კერძოდ, სხვადასხვა საგნის გროვებიდან რაოდენობრივი მიმართების აბსტრაქციის შედეგი, რასაც ჩვენ ბავშვობიდან ვეუფლებით.

საგანთა შორის მიმართებათა აბსტრაქციის გზით ადამიანი იმუშავებს ზოგად, განყენებულ ცნებებს (კატეგორიებს), ხოლო განყენებულ ცნებათა საშუალებით უფრო ღრმად შეიმეცნებს მოვლენებს, უფრო ღრმად იგებს იმ კანონზომიერებებს, რომლებსაც ცალკეული მოვლენები ემორჩილება. მაგალითად, მიზეზობრიობის, იგივეობის, გოლობის, პროპორციულობის და სხვა მიმართებით ცნებათა შემუშავება ხდება ჯერ კონკრეტულ შემთხვევებში კონკრეტულ მოვლენებს შორის სათანადო მიმართებათა წედომისა და შემდეგ ამ მიმართებათა აბსტრაქციის გზით. ამის შედეგად შემუშავებული ცნებები (მიზეზობრიობა და ა.შ.) ამ კონკრეტული მოვლენების გარეშეც მოიაზრება: მიზეზობრიობა

საზოგადოდ და არა კონკრეტულ მოვლენათა შორის მიზეზშედეგობრივი და მოკიდებულება და ა.შ.

5. განზოგადება – ცნების შეცვლა მასზე უფრო ზოგადით. მაგალითად: ყეშაპი → ძუძუმწოვარი; სმენა → შეგრძნება; წლევანდელი წვიმა, თოვლი, ცეარი, სეგყეა თბილისში → ღელამიწაზე აგმოსფერული ნალექების მოვლენა; (ან, კიდევ უფრო ზოგადად) → წყლის წრებრუნვა ღელამიწაზე;

განზოგადება განყენებას ჰგავს, მაგრამ მისგან არსებითად განსხვავდება: განყენება ზედმეტ ნიშანთვისებათა ჩამოცილებაა და, ამდენად, ერთგვარად აღარიბებს საგანსა თუ მოვლენას. ხოლო განზოგადების შედეგად მიღებული ზოგადი ცნება თავის თავში კონკრეტულებსაც მოიცავს და, ამდენად, თავდაპირველზე უფრო მდიდარია (ცხადია, თუკი ადამიანმა ღრმად იცის ეს ზოგადი ცნება).

განზოგადების საპირისპირო ქმედებაა დაკონკრეტება.

როცა განზოგადება ხდება არა ცნებისა, არამედ მსჯელობისა, მაშინ მიიღება ინდუქციური დასკვნა; ასევე მსჯელობის დაკონკრეტებით მიიღება დედუქციური დასკვნა (იხ. ქვემოთ).

6. ანალიზი – მთლიანი შინაარსის, აღქმულის ან წარმოდგენილის, დაშლა შემადგენელ ნაწილებად, გამოკვლევის მიზნით.

მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ მოცემული ფერადი მუყაოდან ამოპირილი სამკუთხედის აღქმა ან წარმოდგენა მთლიანია, ჩვენ შეგვიძლია აზროვნების პროცესში გამოვყოთ ამ მთლიანში სამკუთხედის გვერდები, კუთხეები ან მისი ფერი, სიდიდე და ა.შ., ან ბგერის მთლიან აღქმაში გამოვყოთ მისი სიმალლე, ინტენსიობა და ტემბრი, ან კიდევ, სიგყვის გაგების მთლიან განცდაში გამოვყოთ ცალ-ცალკე სიგყვის ბგერითი მხარე (ბგერათა კომპლექსი) და სემანტიკური მხარე (მნიშვნელობა – სიგყვის შინაარსი) და ა.შ. ყველა ამ შემთხვევაში ჩვენ აზროვნებით ანალიზს ვაწარმოებთ.

7. სინთეზი – ანალიზის საწინააღმდეგო ქმედება. აზროვნებითი სინთეზი არის ცალკე აღებული მოვლენის ელემენტების, ნაწილების ან თვისებების და ა.შ. გაერთიანება ერთი მთლიანის სახით. მაგალითად. როდესაც მოსწავლე რთულ მოვლენას გაიგებს მისი ცალკე მხარეების აღწერისა და ახსნის საფუძველზე, ან მეცნიერი ცალკე მოსაზრებათა საფუძველზე მთლიან თეორი-

ას ააგებს, ეს ამროვნების სინთეზური მუშაობით არის გაპირობებული. ხშირად ანალიზს სინთეზი მოჰყვება ხოლმე.

მარტივ ფორმებში სინთეზური მოქმედება ყოველდღიურად ვლინდება. მაგალითად, მეტყველებაში ფრაზების შედგენა სიტყვებისაგან, გაბმული ბეპირი თუ წერითი მეტყველების პროცესში ცალკე წინადადებებისაგან უფრო დიდი შინაარსის დალაგება მწყობრი ლოგიკური ამრობრივი მთლიანობის სახით და სხვა. სინთეზის ოპერაცია მნიშვნელოვანია ცნების დაუფლების პროცესშიც. ლოგიკური ცნება სხვადასხვა არსებითი ნიშნებით აიგება, მაგრამ ისინი ცნებაში მოიაზრება არა ცალ-ცალკე, ან ჯამის სახით, არამედ გამთლიანებული შინაარსის სახით სინთეზირებული.

პრობლემის გადაჭრა

ზემოთ განხილული გონებრივი ოპერაციები არა მხოლოდ ცნების ჩამოყალიბების საშუალებებია, არამედ აგრეთვე პრობლემის გადაჭრის სააზროვნო პროცესშიც მონაწილეობს. პრობლემის გადაჭრა, როგორც ამროვნების ძირითადი პროცესი, მიმდინარეობს ამროვნების ყველა დონეზე: პრაქტიკული ინტელექტით დაწყებული, თეორიული ამროვნებით დამთავრებული.

პრობლემის გადაჭრას განსაზღვრავენ როგორც მიზანმიმართულ აქტივობას, რომლის სუბიექტს არ გააჩნია მზა საშუალებები მიზნის მისაღწევად. პირველ აუცილებელ პირობად იგულისხმება პრობლემის დასმა. პრობლემა ჩნდება მაშინ, როდესაც შემოსული ინფორმაცია არ შეესაბამება არსებულს ან იგი არასრულია სასურველი მიზნის მისაღწევად. ადამიანი სვამს საკითხს: რა მოხდა? რაში მდგომარეობს შემჩნეული შეუსაბამების მიზეზი?

განვისილთ მაგალითი. ადამიანი ბრუნდება სახლში, ამოიღებს ჯიბიდან გასაღებს და ვერ აღებს კარის საკეგს. ადამიანი ჩერდება, გააცნობიერებს ამჟამად მიმდინარე და წარსულ მოქმედებებს. შეიძლება, თვალსაჩინოდ წარმოიდგინოს წარსული ვითარება (მაგალითად, სამსახურში ყოფნისას ხელში აგრილებდა გასაღებს, ხომ არ შეეცვალა შემთხვევით სხვა გასაღებში ან იქნებ სხვამ განზრახ შეუცვალა იგი). ამრიგად, პრობლემის და კონკრეტული ამოცანის გადასაწყვეტად ორი ძირითადი

უაქტორია აუცილებელი: აქტუალური სიტუაცია (ამ შემთხვევაში კარის გაღების შეფერხება) და არსებული მიზანი (კარის გაღება). პრობლემის გადასაწყვეტად აუცილებელია რამდენიმე საფეხური: პრობლემური სიტუაციის ნაწილებს შორის მიმართების დადგენა, პრობლემის გადაწყვეტის ვარიანტების შედარება საბოლოო მიზანთან, რომელიც პრობლემის გადაჭრის ცენტრალური მომენტია.

თავად პრობლემები შეიძლება დაეაჯგუფოთ სამ კატეგორიად: 1. პრობლემის გადასაჭრელად აუცილებელია გარკვეული სტრუქტურის შექმნა – ნაწილებს შორის მიმართების გარკვევა; 2. ელემენტები უნდა განლაგდეს, განაწილდეს ისე, რომ ეს პასუხობდეს გარკვეულ კრიტერიუმებს; 3. მიზნის მისაღწევად საჭიროა ჩაგარდეს გარკვეული გარდაქმნები – გრანსფორმაციები.

პირველი გიპის პრობლემებს მიეკუთვნება ამოცანები, რომლებშიც ადამიანმა უნდა გაარკვიოს სხვადასხვა ლოგიკური მიმართება, ზოგჯერ მოცემული ნიმუშის ანალოგიით: “გამყიდველი – მყიდველი, აღდოკატი – კლიენტი, ექიმი – ?..”. მეორე გიპის პრობლემის კარგი მაგალითია ე.წ. ანაგრამების ამოცანები, რომლებშიც აზრიანი სიტყვის მიღება შესაძლებელია ასოთა დარღვეული თანმიმდევრობის აღდგენით (მაგ, ილაღ ან ალიქაქ). მესამე გიპის ანუ გრანსფორმაციის პრობლემა წყდება ნაბიჯების დაგეგმილი თანმიმდევრობის მიხედვით. ადამიანმა იცის, რა უნდა მიიღოს საბოლოოდ. ასეთია, მაგალითად, წყალჭურჭლის ამოცანები, რომლებშიც წყლის გარკვეული რაოდენობა უნდა მიიღო რამდენიმე ჭურჭლის საშუალებით (მაგ., 100 ლიტრის მიღება 21-იანი, 127-იანი და 3-ლიტრიანი ჭურჭლების საშუალებით). ამავე კატეგორიას მიეკუთვნება “ცხვრის, თივის და მგლის” ცნობილი ამოცანა: როგორ შეიძლება გადაიყვანო მდინარის მეორე ნაპირზე ცხვარი, თივა და მგელი ისე, რომ მათ ერთმანეთი არ შეჭამონ და ნაეშიც მხოლოდ ორი ობიექტი იყოს განთავსებული.

არჩევენ რამდენიმე გზას პრობლემის გადასაჭრელად:

- ალგორითმი ანუ მუსტი ლოგიკური პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს კონკრეტული პრობლემის გადაჭრას ალგორითმი ხორციელდება ნაბიჯ-ნაბიჯ და ხშირად საკმაოდ შრომატევადია. მაგალითად, სიტყვის შედგენა ასოების ერ-

თობლიობიდან მრავალი ვარიანტის გადათელას მოითხოვს. ასეთ შემთხვევაში უფრო ხშირად ევრისტიკას მიმართავენ.

- **ევრისტიკა** – ემპირიული ძიებითი სტრატეგია, რომელიც გვაძლევს საშუალებას, ზედმეტ შესაძლებლობათა გაცხრილვით უფრო ეფექტურად ვიძახელოთ და მივილოთ გადაწყვეტილება. იგი ჩვეულებრივად უფრო სწრაფი მეთოდია, თუმცა ნაკლებად ზუსტი, ვიდრე ალგორითმი.
- **ინსაიტი** – უცაბედი, ხშირად ნოვატორული გადაწყვეტა. ზოგჯერ ჩვენ ვერ ვაცნობიერებთ, თუ როგორ ვპოულობთ პასუხს. პასუხი თითქოს თავისით მოდის. ცნობილი ფაქტია: მათემატიკოსი უაილზი წლების განმავლობაში წვალობდა ფერმას თეორემის გადაწყვეტაზე. 7 წლის შემდეგ მას უცაბად გონება გაუნათდა – თავში მოუვიდა “მარტივი და ელეგანტური გადაწყვეტა”. ამ მომენტს უაილზი იხსენებს, როგორც ჯაღოსნურ გასხივოსნებას, რომელმაც გადააწყვეტინა პრობლემა, რაზეც თავს იტყავდნენ მეცნიერები 350 წლის განმავლობაში. ინსაიტის მსგავს მოვლენასთან გვაქვს საქმე კელერის მიერ აღწერილ შემთხვევაშიც, როდესაც შიმპანზემ უცაბად გააერთიანა ბამბუკის ორი ჯოხი მიმზიდველი ხილის მოსაპოვებლად (იხ. თავი III).

აღამიანებს აქვთ მისწრაფება, დაასაბუთონ წინასწარ შექმნილი წარმოდგენა. ექსპერიმენტულად ნაჩვენებია, რომ აღამიანებს არ სურთ მოიპოვონ ინფორმაცია, რომელიც არ შეესაბამება მათ წინასწარ მიღებულ შეხედულებებს. აღამიანს აგრეთვე უჭირს შეცვალოს ადრე გამოყენებული სტრატეგია. ჩვეულებრივად ამას ამროვნების შაბლონურობას უწოდებენ, რომელიც ზღუდავს პროდუქტულ ამროვნებას. აღამიანებს უჭირთ, მაგალითად 6 ასანთის ღეროსგან 4 გოლგვერდა სამკუთხედის შედგენა მხოლოდ იმის გამო, რომ ყველა ვარიანტს ერთ სიბრტყეში აგებენ. ამროვნების შაბლონურობის მეორე პოპულარული მაგალითია ე.წ. 9 წერტილის ამოცანა (იხ. ნახაზი), რომელშიც ცდისპირებს ევალებათ 9 წერტილის გაერთიანება 4 სწორი ხაზით ხელაულებლად. ცდისპირები, როგორც წესი, ვერ ახერხებენ ამ ამოცანის შესრულებას, რადგანაც ცდილობენ, ყველა ხაზი მოათავსონ მოცემული ოთხკუთხედის შიგნით, თუმცა ეს მოთხოვნა არ არის მოცემული ინსტრუქციაში. ამ შაბლონის დარღვევის

შემდეგ ამოცანა აღვიღალ გადაიჭრება. ამრიგად, პრობლემის გადაჭრის შემაფერხებელი ფაქტორია რიგიდულობა ანუ უუნარობა, დაინახო პრობლემა ასალი კუთხით.

§ 2. ინტელექტი

ინტელექტი არის ადამიანის უნარი მსჯელობისა, გაგებისა, მიმართებათა წედომისა; უნარი გადაწყვიტოს ცხოვრებისეული და ლოგიკური ამოცანები, შეიძინოს ცოდნა და უნარ-ჩვევები. განსხვავებით აზროვნების ცნებისგან, ინტელექტის ცნებაში მთავარია გონების სიძლიერე – იგულისხმება არა საზოგადოდ უნარი, არამედ, უპირატესად, საკმაოდ ძლიერი უნარი.

ინტელექტის ცნების განხილვისას ისმის რამდენიმე საკამათო საკითხი: არის თუ არა ინტელექტის სიძლიერე მემკვიდრეობით განსაზღვრული? არის თუ არა იგი კულტურით განპირობებული? ინტელექტი – ერთი უნარია თუ რამდენიმე? შეიძლება თუ არა ინტელექტის სიძლიერის რაოდენობრივად შეფასება?

არსებობს ინტელექტის მრავალი განსაზღვრება. ცნობილი ფსიქოლოგი ედვინ ბორინგი ინტელექტს განსაზღვრავს, როგორც ისეთ უნარს, რომელიც იზომება ინტელექტის ტესტებით. ასეთი განსაზღვრება არ არის დამაკმაყოფილებელი. ეს ხომ იგივეა, რომ ვთქვათ, რომ ადამიანის სიცხე არის ის, რაც იზომება თერმომეტრით. სიცხე ისევე, როგორც ინტელექტი, ვარკვეულ პროცესებს ასახავს ადამიანის ორგანიზმსა თუ ფსიქიკაში. მუსგმა მეცნიერულმა განსაზღვრებამ მათი არსებითი ნიშნები უნდა წარმოაჩინოს. გამოჩენილი შვეიცარელი ფსიქოლოგი ჟან პიაჟე ინტელექტს განსაზღვრავს, როგორც გარემოსთან შეგუების, მასთან წონასწორობის დამყარების აქტიურ უნარს.

დაასლოებით იმავეს აღნიშნავს თანამედროვე მეკლევარი რობერტ სტერნბერგი. სტერნბერგის თანახმად, ინტელექტუალური ადამიანები ახერხებენ კონკროლს გარემოზე, ცელიან გარემოს და ირჩევენ თავიანთათვის შესაგყვისს. მაგალითად, ადამიანი, რომელსაც არ აქვს მუსიკალური სმენა, არ უნდა ირჩევდეს პროფესიას, რომელიც მოითხოვს მუსიკალურ სმენას. ინტელექტუალურად წარმატებული ადამიანები იყენებენ თავიანთ ძლიერ მხარეებს და ავითარებენ სუსტს. სტერნბერგი არჩევს ინტელექტის ან, სხვაგვარად, გონებრივ უნართა 3 მხარეს: ანალიზურ, შემოქმედებით და

პრაქტიკულ უნარებს. მთავარია, შემეცნების პროცესში ადამიანმა ისწავლოს. გადაარჩიოს შესაბამისი, არსებითი, რელევანტური ინფორმაცია არაარსებითისაგან. ანალზური გონებრივი უნარი მოიცავს ამროვნების შემთხვევით განხილულ მოქმედებათა წარმატებით შესრულების შესაძლებლობებს, ინფორმაციის გადამუშავების ყველა აუცილებელ და ურთიერთდაკავშირებულ პროცედურას: ინფორმაციის კოდირება, კომბინირება, ურთიერთშედარება, საკითხის გადაჭრის სტრატეგიის გამომუშავება, საკითხის გადაჭრის პროცესის კონტროლი და შეფასება. შემოქმედებითი ინტელექტი გამოცდილების მიღმა არსებულ, ახალ, არასტანდარტულ პრობლემებთან გამკლავების უნარია; პრაქტიკული გონებრივი უნარი ყოველგვარი სახის საქმის პრაქტიკულ მოგვარებაში ელინდება. იგი მოიცავს კოგნიტურ აქტივობას, რომელიც აუცილებელია ინდივიდის შეგუებისთვის გარემოს კონკრეტულ პირობებთან. ხოლო თუკი ადაპტაცია შეუძლებელია, ინდივიდი ცდილობს, მოძებნოს სხვა გარემო ან კიდევ საჭიროებისამებრ შეცვალოს არსებული გარემოს პირობები. მაგალითად, თუ ადამიანი უბედურია ქორწინებაში, მას შეუძლია აირჩიოს სხვა გარემო (გაეყაროს მეუღლეს), ანდა არსებული პირობები უფრო მისაღები გახადოს (მიმართოს საოჯახო კონსულტაციას). პრაქტიკული ინტელექტი ისაა, რასაც ყოფითი ფსიქოლოგია “პრაქტიკულობას”, “გაქექილობას” ან “საქმის გუმანს” უწოდებს. ადამიანს ეს უნარი შეიძლება ჭარბად ჰქონდეს მაღალი IQ-ს გარეშეც.

ინტელექტის გამოშვება

ინტელექტის სიძლიერე (დონე) განსხვავებულია. ადამიანები მეტ-ნაკლები სიადვილით წყვეტენ ამოცანებს. ინტელექტის გამოშვების პირველი მცდელობები დაკავშირებულია XX საუკუნის დასაწყისში მოღვაწე ფრანგი ფსიქოლოგების, ალფრედ ბინეს და თეოდორ სიმონის სახელებთან. მათ პირველად შექმნეს ამოცანათა კომპლექსები თითოეული ასაკისთვის, რომლებითაც იზომებოდა ბავშვის ე.წ. გონებრივი ასაკი. მაგალითად, რვაწლიანი ბავშვებისათვის შეტანილი იყო შემდეგი ტიპის ამოცანები: 1. შეადარე ორი ობიექტი გონებაში. აღნიშნე მათი მსგავსება; 2. დათვალე 20-დან 1 მდე; 3. აღნიშნე გამოგონებული ღებლები


აღამიანის გამოსახულებაში; 4. დაასახელე ღღევანდელი ღღე, რიცხვი, თვე, წელი; 5. გაიმეორე ხუთი ერთნიშნა რიცხვი და სსეა. შესაბამისად, სხვა ასაკებისთვის შერჩეული იყო უფრო რთული ან უფრო ადვილი ამოცანები.

ამეამად არსებობს ინტელექტის გაზომვის მრავალი ტესტი: კეტელის, პიბოდის, ვექსლერის, რავენის, აიზენკის და სხვა. ამ ტესტების საშუალებით დადგენილია თითოეული ასაკისთვის დამახასიათებელი ნორმა, რითიც ირკვევა ბავშვის გონებრივი ასაკი. კონკრეტული ბავშვის ინტელექტის კოეფიციენტი უდრის გონებრივი ასაკის შეფარდებას ბავშვის ქრონოლოგიურ ასაკთან და გამრავლებულს 100-ზე:

$$IQ = \frac{\text{გონებრივი ასაკი} \times 100}{\text{ქრონოლოგიური ასაკი}}$$

მაგალითად, 10 წლის დათოს გონებრივი ასაკი არის 8. ვამრავლებთ 100-ზე და ვყოფთ 10-ზე. ვიღებთ 80, რაც დაბალი მაჩვენებელია. საზოგადოდ, საშუალო ნორმა უდრის 100-ს, 80-დან 120-მდე ინტელექტის ნორმალურ განვითარებას შეესაბამება, 80-ზე ქვევით – ნორმაზე უფრო დაბალს, ხოლო 120-ზე ზემოთ – მაღალს.

ბინეს ტესტი პირველად დამუშავდა ბავშვების ინტელექტის გასაზომად, მაგრამ მალე გახდა საჭირო ზრდასრულთა ინტელექტის გაზომვაც. ამან განაპირობა ზრდასრულთათვის ვექსლერის სკალის დამუშავება. ეს ტესტები, როგორც წესი, ნაწილებისაგან შედგება, ანუ, სხვა სიტყვებით, სუბტესტებისაგან. ზოგი ვერბალური ანუ სიტყვიერია, აფასებს ზოგად კომპენენციას, ვაგების უნარს და სხვა, ზოგი კი არავერბალურია – ნახაზებისაგან შედგება. მაგალითად, აღამიანმა უნდა შეადგინოს სურათი დაჭრილი ნაწილებისაგან, შეაფსოს დაუსრულებელი ნახაგი, შეაფსოს კანონზომიერად და სხვა. აი ერთი ამოცანა რავენის ტესტიდან:



გესტები შეიძლება დაეყოს 2 ჯგუფად: სისწრაფის გესტებად და ღონის გესტებად. პირველ გიპში მთავარი სიძნელე ღროის შემზღუდეაა, რომელიც მკაცრადაა ლიმიტირებული. მეორე გიპის გესტებში მთავარია დაეალების სიძნელე. პირველ შემთხვევაში მთავარ მაჩვენებლად შესრულებული დაეალებების რაოდენობა ითვლება, მეორეში კი – შესრულებული დაეალებების სირთულე.

მაინც რას ზომავს ინტელექტის გესტები? ერთი მიდგომის მიხედვით, ინტელექტი არის უნარი, რომელიც ანიჭებს ადამიანს უპირატესობას ყოველგვარ გონებრივ საქმიანობაში. მეორე მიდგომის მიხედვით, არსებობს განსხვავებული პირველადი უნარები, და ლაპარაკი ერთიან ინტელექტზე უსაფუძვლოა. ორივე მიდგომას აქვს თავისი დამამტკიცებელი საბუთები. მაგრამ მაშინაც, როდესაც ვაღიარებთ განსხვავებულ უნართა არსებობას, ვერ უარეყოფთ მათ შორის საკმაოდ მნიშვნელოვან კორელაციას, კავშირს. მრავლობით უნართა ყველაზე ცნობილი თეორია პოვარდ გარდნერს ეკუთვნის.

გარდნერს მიაჩნია, რომ არსებობს გონებრივ უნართა შეიდიდან ათამდე დამოუკიდებელი გიპი: ლოგიკურ-მათემატიკური, ენობრივ-ვერბალური, სივრცობრივ-ხაგობრივი, მუსიკალური, სხეულებრივ-კინესთეტიკური, პიროვნებათაშორისი და შიდაპიროვნული. პირველი სამი გიპი ისაა, რომლებიც ინტელექტის სტანდარტული გესტებით იზომება. დასავლური ცივილიზაციისთვის სწორედ ისინია წამყვანი. თითოეულ გიპს შეესაბამება საქ-

მიანობის უპირატესი სფერო: ლოგიკურ-მათემატიკურს – მეცნიერი; ვერბალურს – მწერალი. ეურნალისტი, ფილოლოგი; სიერცობრივს – არქიტექტორი, ნაჟიგატორი, მოქანდაკე, მხატვარი; მუსიკალურს – კომპოზიტორი, შემსრულებელი; სხეულებრივს – მოცეკვავე, ათლეტი; პიროვნებათმორისს – ფსიქოთერაპევტი, საქონლის გასაღების მუშაკი; შიდაპიროვნულს – თვითჩადრმავებისკენ მიდრეკილი, საკუთარი თავის მცოდნე პიროვნება. გარდნერი უშეებს, რომ შესაძლებელია სხვა გიპების გამოყოფაც, მაგალითად, სულიერი (რელიგიური), გექნიკური, საბუნებისმეცყველო გიპებისა.

ზოგიერთი ადამიანი ძლიერია მათემატიკურ აზროვნებაში და სუსტია პიროვნებათმორისის უნარის მიხედვით და პირიქით. საზოგადოდ, ადამიანის უნარ-ნიჭიერება არის ამა თუ იმ უნართა განსხევაებული კომბინაცია. ამ ინდივიდუალურ განსხევაებათა გარდა არსებობს, აგრეთვე, კულტურულ-ეთნიკური განსხევაებები. მაგალითად, დასავლურ ცივილიზაციაში ლოგიკურ-ენობრივ-სიერცობრივ-გექნიკური ინტელექტი ფასობს, მაგრამ სხვა კულტურებში განსხევაებული უპირატესობებია. მაგალითად, პოლინეზიაში, სადაც არგისტული წარმოდგენა ყოველდღიური ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, განსაკუთრებით დაფასებულია მუსიკალურ-სხეულებრივი უნარები, ხოლო იაპონიასა და ლათინოამერიკულ კოლექტივისტურ საზოგადოებებში უპირატესობა პიროვნებათმორისის უნარს ენიჭებოდა, ვინაიდან ესაა სხვა ადამიანების საჭიროებათა და განზრახებათა გაგებისა და მათზე სათანადოდ რეაგირების უნარი.

სადისკუსიო საკითხია აგრეთვე ინტელექტის მემკვიდრეობითობის პრობლემა. რა თქმა უნდა, ადამიანები განსხევალებიან ერთმანეთისაგან ინტელექტის დონით, მაგრამ როგორ გამოყოფთ გენეტიკური ფაქტორი გარემოს ფაქტორისაგან? იდენტურ (ერთკვერცხუჯრედოვან) გყუპებზე ჩატარებული მრავალი გამოკვლევა ნათლად აჩვენებს მაღალ კორელაციას მათი ინტელექტის დონეებს შორის მაშინაც, როდესაც ეს გყუპები განსხევაებულ პირობებში იზრდებოდნენ. ეს ნიშნავს, რომ ინტელექტი ძლიერაა განსაზღვრული გენეტიკური ფაქტორით. სხვადასხვა გამოკვლევის მიხედვით, ამ ფაქტორის წილი 50-80 %-ის ფარგლებში მერყეობს. მაგრამ გარემოს მრავალფეროვნებაც ახდენს

მნიშვნელოვან გაელენას ინტელექტის გამზომი ტესტების შედეგებზე. საზოგადოდ, გენები და გარემო ურთიერთკავშირშია. დიდი ალბათობაა იმისა, რომ მათემატიკური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეები სწავლას მათემატიკური პროფილის სასწავლებელში განაგრძობენ. შემდგომში, მათემატიკური უნარების განმსაზღვრელ ტესტებში ისინი უფრო მაღალ შედეგებს აჩვენებენ, რაც გენეტიკური ფაქტორითაც იქნება გაპირობებული და გარემოს ფაქტორითაც (უნარებოქსწავლება). ამგვარად, ჩვენი გენები ჩვენივე გარემოს ფორმირებას ასდენს, რომელიც, თავის მხრივ, ჩვენ გვაყალიბებს.

პირველად ინტელექტის გაზომვის ტესტურ პროცედურას დიდი ენთუზიაზმით ეკიდებოდნენ. მიაჩნდათ, რომ ეს პროცედურა გომავს ბავშვის თანდაყოლილ უნარს ან ცოდნის შეძენის, სწავლის პოტენციალს. შემდგომში აღმოჩნდა, რომ ინტელექტის გამოვლენაზე მრავალი სოციალური ფაქტორი მოქმედებს. ამიგიომ, ბოლო დროს, აღწერილ მიდგომაში საკმაო ეჭვია შეგანილი. აღნიშნავენ, რომ გულუბრყვილოა იმის რწმენა, რომ ინტელექტის კოეფიციენტი არის საბუდისწერო თვისება, რომელიც ახასიათებს ყველა ადამიანს გარკვეული რაოდენობით და ის ადამიანი, რომელსაც აქვს იგი დიდი რაოდენობით, იღბლიანი ადამიანია და ყველაფერს მიაღწევს. ეს უბრალოდ მითია.

მეორე მითი დაკავშირებულია იმ რწმენასთან, რომ ინტელექტი არის უცვლელი სიდიდე ყველა თაობაში. წლების განმავლობაში ჩაგარებული გამოკვლევებით ნათლად დადასტურდა, რომ ყოველი ახალი თაობა ამკარად უფრო მაღალ საშუალო მაჩვენებლებს იძლევა. უფრო ზუსტად და კონკრეტულად, მოსახლეობის ინტელექტის კოეფიციენტის საშუალო მაჩვენებლები მაგულობს ყოველ ათწლეულში სამი ერთეულით. ამ ფენომენს, მისი მკვლევარის საპატივსაცემოდ, ფლინის ეფექტი ეწოდა. ის გამოვლინდა ამერიკაში, საფრანგეთში, პოლანიაში, ნორვეგიაში, სხვაგანაც და, ეგუობა, საყოველთაო ხასიათისაა. ამ ეფექტის ახსნა გენეტიკით შეუძლებელია, ვინაიდან ადამიანის გენომი ასე სწრაფად ვერ შეიცვლება. ახსნა ალბათ გარემოსეულ ფაქტორებში უნდა ვეძებოთ: ბავშვის მიერ მიღებული ინფორმაციის ლოგიკური სტრუქტურირებულობის მაგება, კვებისა და სწავლების უკეთესი პირობები და სხვა. როგორიც უნდა იყოს ახსნა, ეს ფენომე-

ნი მიუყიითებს იმაზე, რომ ინტელექტი შეიძლება განვითარდეს გარემო პირობების სასიკეო ცვლილებათა მეშვეობით.

და ბოლოს, გესტები შედგენილ იქნა გარკვეული წრის ბავშვების მონაცემებიდან გამომდინარე, არ იყო გათვალისწინებული კულტურის თავისებურებები. შესაძლოა, ამიგომ წლების განმავლობაში ჩრდილოეთ ამერიკაში მცხოვრები ეროვნულ უმცირესობათა ბავშვების მაჩვენებლები უფრო დაბალი იყო, ვიდრე საშუალო კლასის თეთრკანიანი ოჯახების ბავშვების მაჩვენებლები. საზოგადოდ, აფროამერიკელებს ევროპული წარმოშობის ამერიკელებზე დაახლოებით 15 ერთეულით ნაკლები IQ კოეფიციენტი აღენიშნებათ. ბოლო მონაცემებით ბავშვებში ეს განსახვავება 10 ერთეულამდე დაეცა. განსხვავებები ინტელექტის მაჩვენებლებში სხვა რასობრივ-ეთნიკურ ჯგუფებს შორისაც არის გამოვლენილი. გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში აშშ-ში ჩატარებული მრავალრიცხოვანი გამოკვლევების შედეგები ასე იქნა შეჯამებული: ნორმალური ინტელექტის კოეფიციენტი თეთრკანიან მოსახლეობაში დაახლოებით 100-ის გოლია, შავკანიანებში – 85, ლათინოამერიკელების IQ მათ შორისაა მოთავსებული. მსგავსი განსხვავებები სხვაგანაც იქნა მიღებული. ევროპული წარმოშობის ახალშელანდიელები აღემატებიან ქულებით ადგილობრივ მაორის მოსახლეობას; ისრაელის ებრაელები – ისრაელელ არაბებს; აღმოსავლეთ აზიური წარმომავლობის სტუდენტები – ჩრდილოამერიკელ სტუდენტებს მათემატიკასა და ზოგად უნართა გესტებში.

საკითხი იმის შესახებ, რამდენადაა ეს განსაზღვრული გენეტიკურად და რამდენად – გარემოსეულად, მწვავე დებატების საგანია. აზიელი სტუდენტების მონაცემები შედარებით ახალი ფენომენია და შესაძლებელია, უფრო მათ სიბეჯითეს ემყარებოდეს, ვიდრე ნიჭიერებას. ისინი 30 %-ით უფრო ხშირად ესწრებიან მეცადინეობებს და გაცილებით მეტ დროს ანდომებენ მათემატიკის შესწავლას კოლეჯის კედლებს მიღმა. არსებობს მოსაზრება, რომ აფროამერიკელების ჩამორჩენა სოციალურ-ეკონომიკური უთანასწორობის ბრალია. თუმცა სპეციალური გამოკვლევები ადასტურებს, რომ ამ პირობების გათანაბრების შემთხვევაშიც გარკვეული სხვაობა ინტელექტის მაჩვენებელში მაინც რჩება, რაც მის გენეტიკურ განსაზღვრულობაზე მეტყველებს, ნა-

წილობრივ მაინც ამასთან, უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ჯგუფური განსხვავებები ინდივიდებზე მსჯელობის საფუძველს არ იძლევა. ქალები 7-10 წლით მეტს ცოცხლობენ, ვიდრე მამაკაცები, მაგრამ თავისთავად სქესი ვერ გვეტყვის, რამდენს იცოცხლებს ადამიანი. ასევე უაქტია, რომ მილიონობით აფროამერიკელის საშუალო IQ თეთრკანიანზე მეტია.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, მაინც უნდა ვაღიაროთ, რომ ინტელექტი პირდაპირ კავშირშია (კორელაციაშია) მომავალ მიღწევებთან. მაგალითისთვის მხოლოდ ერთ გამოკვლევას აღეწერთ. მასში მონაწილეობდა დაწყებითი სკოლის 1500-ზე მეტი ამერიკელი მოსწავლე, რომელთაც არანაკლებ 135 ერთეულის IQ ჰქონდათ. სტენფორდის უნივერსიტეტის მკვლევართა ჯგუფი 50 წელზე მეტ ხანს აკვირდებოდნენ მათ ცხოვრებისეულ წინსვლას. გაირკვა, რომ მათმა ორმა მესამედმა მიიღო უნივერსიტეტის დიპლომი, ხოლო 200-მა – სამეცნიერო ხარისხი. ბევრმა მიაღწია მაღალ სოციალურ სტატუსს და ფინანსურ წარმატებას. შესასწავლი ჯგუფის საშუალო შემოსავალი ოთხჯერ აღემატებოდა ამჟამინდელი ერთი სული მოსახლის საშუალო შემოსავალს.

მიუხედავად ამისა, ინტელექტის კოეფიციენტის ცოდნა არ იძლევა მომავალი წარმატების ზუსტი პროგნოზის საშუალებას, რადგან ინტელექტის განვითარება შესაძლებელია. გარემოს გავლენა ძალიან მნიშვნელოვანია ამ პროცესში. ასეთია ოჯახში არსებული ინტელექტუალური ატმოსფერო, მშობლების ბავშვებთან ურთიერთობის ხანგრძლივობა, ბავშვების რაოდენობა ოჯახში და სხვა. ამ კონტექსტში არჩევენ გადარჩებულს და გამდიდრებულს გარემოს ცნებებს. პირველი აქეფითებს ინტელექტს, მეორე – პირიქით, აძლიერებს. მაშინაც, თუკი დაბადებიდან ინდივიდის ინტელექტუალური პოტენციალი მაღალია და მის პატრონს წარმატების საუკეთესო შანსებს ჰპირდება, გარემოს ცუდმა პირობებმა შეიძლება გადამწყვეტი გავლენა იქონიოს განვითარებაზე. და პირიქით, დაბადებიდან შეზღუდულ გენეტიკურ პოტენციალს, ფსიქიკური სტიმულაციის საუკეთესო გარემო-პირობებში შეუძლია განვითარების მაქსიმუმს მიაღწიოს, ხოლო მისი მტარებელი ადამიანი ცხოვრებისეული მიღწევების ბევრად მაღალ დონეზე ავიდეს, ვიდრე დაბადებიდან უფრო ნიჭიერი.

გარემოს გავლენის თვალსაჩინოდ წარმოსადგენად გამოიყენოთ რეზინის ზონარის მოღველი – მისი სიგრძე ხომ იმაჯეა დამოკიდებული, რამდენად ძლიერად დაეჭიმათ მას. სწორედ გარემო შეესაბამება ასეთი გაჭიმვის შესაძლებლობას. თანამედროვე ბავშვი იღებს ღიდ და ლოგიკურად სგრუქტურირებულ ინფორმაციას გარემოდან, ოჯახში. ინტელექტის ღონეს განსაზღვრავს არა მხოლოდ თანდაყოლილი ფაქტორები, არამედ მათი ურთიერთქმედება გარემოსთან. თანდაყოლილი მონაცემების არსებობის შემთხვევაში ზონარი ადვილად იჭიმება, ნაკლები უნარის შემთხვევაში მეტი ძალისხმევაა საჭირო მასწავლებლისაგან. ზონარის სიგრძე იკუმშება არახელსაყრელ პირობებში, ხელსაყრელ პირობებში ინტელექტის ღონე მნიშვნელოვნად იზრდება. ერთ-ერთი მკვლევარის თქმით, ინტელექტუალურ განვითარებაში გენეტიკური და გარემოსეული ფაქტორების კუთრი წონის გამოვლენის მცდელობა იმის გარკვევას წააგავს, თუ რამეა უფრო დამოკიდებული მართკუთხა მოედნის ფართობი – მის სიგრძეზე თუ სიგანეზე.

ინტელექტის ფსიქოლოგიის სფეროში ინგერესს იწვევს საკითხი გენდერული განსხვავებულობის შესახებ. მკვლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ ინტელექტის საშუალო განვითარება ქალებსა და მამაკაცებში დაახლოებით ერთნაირია. ამავე დროს, მამაკაცებში მეტია მონაცემების გაფანტულობა ანუ დიპაზონი: მამაკაცებს შორის მეტია როგორც ძალიან ჭკვიანი, ისე ძალიან სულელი. არსებობს გარკვეული განსხვავება ინტელექტის ამა თუ იმ მხარის გამოვლინებაშიც. ხუთ წლამდე ეს განსხვავებები თვალში საცემი არ არის. ამ ასაკის შემოთ ბიჭებს ერთგვარი უპირატესობა უჩნდებათ სიერციით და გექნიკურ უნარებში, ხოლო გოგონებს – ვერბალურ უნარებში; მამაკაცები მნიშვნელოვნად აღემაგებიან ქალებს მათემატიკურ და შიდაპიროვნულ უნარებში; ხოლო ქალები მამაკაცებს – პიროვნებათაშორის უნარებში. არსებული მონაცემებით, მათემატიკაში განსაკუთრებულად ნიჭიერ აღამიანებს შორის 13 მამაკაცზე მხოლოდ ერთი ქალი მოდის. დავას იწვევს აღნიშნულ განსხვავებათა ბუნება. ერთნი მიიჩნევენ, რომ მათი მიზეზი გენეტიკურია. მეორენი, ფემინისგურად ორიენტირებულნი, რომლებიც ვერ ურიგდებიან იმას, რომ ნობელის პრემიები უმეტესად მამაკაცებს ხვდებ

ბათ, ამტკიცებენ, რომ გენდერულ-ინტელექტუალურ განსხვავება-თა საფუძველს ჩვენი საზოგადოება ქმნის, რომელი ქალებსა და მამაკაცებს არათანაბარ პირობებში აყენებს.

აქ უნდა ითქვას, რომ ქალებსა და მამაკაცებს ისტორიულად სხვადასხვა როლები ჰქონდათ მიკუთვნებული, რაც ბუნებრივად გამომდინარეობდა მათი ბიოლოგიური თავისებურებებიდან. ეს, საბოლოოდ, აისახებოდა ფსიქო-გენეტიკურ კონსტიტუციაზე, მათ შორის იმაზე, თუ რა გიჟის უნარებია უპირატესად გავრცელებული ქალებსა და მამაკაცებში. ეს საკითხი ამჟამად ნაყოფიერად შეისწავლება ევოლუციური ფსიქოლოგიის ფარგლებში. მაგალითად, ცნობილია, რომ პრიმატების პოპულაციათა უმეტესობაში ჯგუფის ბირთვს შეადგენენ მდედრები, რომლებსაც უფრო ესაჭიროებათ ურთიერთობის სისტემა ურთიერთკავშირების გასამყარებლად და შეილების გასაზრდელად. მეცნიერები ფიქრობენ, რომ ადამიანთა პირველ გაერთიანებებშიც მსგავსი ვითარება უნდა ყოფილიყო. ენის წარმოშობა საზოგადოებრივი ურთიერთობების დამყარებისა და გაძლიერების ამოცანას უკავშირდება. შობადობის ზრდასთან ერთად, ბავშვების აღზრდის უმნიშვნელოვანესი საერთო ამოცანიდან გამომდინარე, ქალებს სულ უფრო მეტად ესაჭიროებოდათ კომუნიკაცია და მისი ყველაზე სრულფასოვანი ფორმა – მეტყველება. თაობათა განმავლობაში ეს ყოველივე ასახვას პოულობდა გენოტიპში. შედეგად, ადამიანთა საზოგადოებაში ქალები უკეთ ეუფლებიან სამეცხველო ჩვევებს, უფრო ადრე სწავლობენ და „ვრძნობენ“ ენას. მოკლედ, ქალებს უფრო მაღალი სამეცხველო ინტელექტი აქვთ. იგივე ითქმის, ალბათ, ე.წ. „ემოციურ უნართა“ შესახებაც, რომელიც ქალებს უკეთ აქვთ განვითარებული. ესაა უნარი ამოიცნო, გამოხატო, გაიგო და მართო ემოციები. ემოციურად გონიერ ადამიანებს აქვთ კარგად განვითარებული თვითცნობიერება. მათ თანავრძნობა ეხმარებათ, გაიგონ სხვათა ემოციები, წარმატებულად მართონ ისინი და, ამდენად, მოაგვარონ კონფლიქტები. ემოციურად საზრიანი ადამიანები წარმატებული არიან კარიერაში, ურთიერთობებში, ბავშვების აღზრდაში. ზოგიერთი ევოლუციური ფსიქოლოგი მიიჩნევს, რომ ეს უნარი ეხმარებოდა ჩვენს წინაპარ-დედებს ამოეცნოთ შეილეებისა და შესაძლო რჩეულთა ემოციები.

თანამედროვე მკვლევართა ზოგადი დასკვნით, განსხვავება სქესთა შორის ინტელექტის ტესტების შესრულებაში უმნიშვნელო სდება, როდესაც სწავლების სისტემა ერთნაირ შანსს აძლევს ორივე სქესს. თუმცა ძალაში რჩება ქალების უპირატესობა ენობრივ და პიროვნებათაშორის უნარებში, ხოლო მამაკაცებისა – სივრცით, ტექნიკურ და აბსტრაქტულ მიმართებათა წევლობის უნარებში.

§ 3. კრეატიულობა და ინტუიცი

აღამიანები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მონაცემით – კრეატიულობით ანუ შემოქმედებითობით. ზოგადი გაგებით ეს არის უნარი დაინახო საგანი, მოუღენა ახალი კუთხით, მოძებნო პრობლემის თავისებური გადაწყვეტა. კრეატიულობას განსხვავებულად განსაზღვრავენ სხვადასხვა ავტორები. პოლ გილფორდს მიაჩნია, რომ კრეატიულობა ნიშნავს ამროვნების სისხარტეს, მოქნილობას და ორიგინალობას. გილფორდი უკავშირებს ამ უნარს ე.წ. დივერგენტულ ამროვნებას ანუ ამროვნებას, რომელიც არ ეძებს ერთადერთ სწორ პასუხს, არამედ მიმართულია განსხვავებულ შესაძლებლობათა ძიებაზე, პრობლემის უჩვეულო გადაწყვეტაზე. სხვები კი აღნიშნავენ, რომ კრეატიული პიროვნება ქმნის ახალ, მრავალ კომბინაციას ჩვეულებრივი ელემენტებისაგან. გორენსი აღწერს კრეატიულობას როგორც პროცესს, როდესაც აღამიანი ხდება მგრძობიარე პრობლემებისადმი, სიძნელეებისადმი, ცოდნის ხარვეზებისადმი, დისპარმონიისადმი. როდესაც ჩვენ ვხვდებით, რომ რაღაც მოვლენა არ არის სრული, მას აკლია პარმონიულობა, მაშინ იზრდება ჩვენი დაძაბულობა, ჩვენ ვეძებთ გამოსავალს, ვაყალიბებთ ჰიპოთეზებს, ვამოწმებთ მათ, ვუმარებთ მათ სხვებს. დაძაბულობა ჩვენ მაშინ გვეხსნება, თუ მივალთ გარკვეულ აღმოჩენამდე.

არსებობს მოსაზრება, რომ შემოქმედებითი აღამიანები ერთგვარად არასრულფასოვნები არიან, რადგანაც განსხვავდებიან სამოგადოების წევრთა უმრავლესობისაგან. რა თქმა უნდა, ეს ასე არ არის. მაგრამ ასეთი ბავშვების ქცევა შეიძლება ზოგჯერ უცნაურად მოგვიჩვენოს. მეორე მხრივ, უკვე პლატონიდან მომდინარეობს შეხედულება, რომ უდიდესი, გენიალობის დონის შე-

მოქმედებითობა მჭიდროდ უკავშირდება შეშლილობას. თანამედროვე ფსიქიატრიის ერთ-ერთი ფუძემდებელი ემილ კრეპელინი აღნიშნავდა, რომ მანიაკალურ-დეპრესიული ფსიქიომის (ბიპოლარული აშლილობის) მანიაკალური ფაზა, რომელიც ავზნებულობითა და ეიფორიულობით ხასიათდება (იხ. თავი XVI), ხელს უწყობს შემოქმედებითობის უნარის გამოვლენას. ისტორიული მონაცემები მართლაც მუთითებს იმაზე, რომ ზოგიერთი დიდი ხელოვანი შეპყრობილი იყო ბიპოლარული აშლილობით და მის მანიაკალურ ფაზაში გაცილებით მეტ ნაწარმოებს ქმნიდა, ვიდრე დეპრესიულში, თუმცა ეს არ აისახებოდა ნაწარმოების ხარისხზე. ეს ერთეული შემთხვევები სრულებით არ ქმნის საფუძველს იმ მოსაზრებისთვის, რომელიც შემოქმედებითობას ფსიქიკურ აშლილობასთან აკავშირებს.

კრეატულობის ერთ-ერთი ძირითადი ნიშანი მოვლენების არასტანდარტული, ორიგინალური კუთხით წარმოდგენაა. ამის საინტერესო მაგალითია შვეიცარელი გამომგონებლის მესტრალის მიერ ყველასთვის ცნობილი ე.წ. “ფხრიწის” გამოგონების ფაქტი. ეს მან მოახერხა იმის შემდეგ, რაც მიკროსკოპის ქვეშ შეისწავლა, თუ რაგომ ეწებებოდა მისი ძაღლის ბეწვს მცენარე ბირკაეას მარცვლები და შემდეგ ამ ნიმუშით შექმნა წებოვანი სარკველები ფესსაცმლებისთვის და შარვლებისთვის.

ნათლად რომ გავიგოთ კრეატული ადამიანის თავისებურება, შეიძლება ის შევადაროთ საპირისპირო თავისებურებასთან, რომელსაც რიგიდობას უწოდებენ. რიგიდობა არის საგნის ხედვის შეცვლის უუნარობა ან დიდი სიძნელე. ცნობილ ექსპერიმენტებში რიგიდულობაზე ცდისპირს უფიქსირებენ გარკვეული მოქმედების საკმაოდ რთული წესით შესრულებას. საკონგროლო ცდაში იმავე გიპის მოქმედება შეიძლება შესრულდეს სრულიად მარტივად, მაგრამ ზოგიერთი – რიგიდული – ცდისპირი ისევ აგრძელებს რთული ხერხით მუშაობას.

ზოგ მკვლევარს მიაჩნია, რომ განსაზღვრება “კრეატული, შემოქმედებითი უნარის მქონე” შეიძლება იხმარო მხოლოდ ხელოვნებაში მოღვაწე ადამიანების მიმართ. მაგრამ ბოლო დროს ამ მახასიათებელს ხმარობენ სხვა სფეროების მიმართაც. ზოგიერთი მკვლევარის აზრით, კრეატულობა არის ადამიანის საკმაოდ იშვიათი და განსაკუთრებული უნარი, სხვებს კი მიაჩნიათ,

რომ ზოგადი კრეატული უნარი ამა თუ იმ ხარისხით ასასიათებს ყველა ფსიქიკურად ჯანმრთელ ადამიანს. სწორედ ამ პრინციპის აღიარებაზეა აგებული კრეატულობის გამზომი სპეციალური ტესტები. ერთ-ერთ ასეთ ტესტში ცდისპირს სთხოვენ, მოიფიქროს რაც შეიძლება ბევრი გამოყენება ჩვეულებრივი ნივთისთვის, მაგალითად აგურისთვის ან ნილონის წელწინდისთვის. თითოეული პასუხი უსდება სამი მაჩვენებლის მიხედვით: I. სისხარგე ანუ განსხვავებული პასუხების სიმრავლე; II. მოქნილობა ანუ უნარი გადაინაცვლო ერთი სფეროდან მეორეზე; III. ორიგინალობა ანუ იშვიათი პასუხების რაოდენობა (რომლებიც ვცხდება 5 %-ზე ნაკლები სიხშირით). განვიხილოთ ერთ-ერთი ცდისპირის პასუხები:

აგური შეიძლება გამოვიყენოთ შემდეგნაირად:

ა) სახლის მშენებლობისას

ბ) პარკში ბილიკებზე დასაყრელად

გ) თავში ჩასარგმელად

დ) ბინის გასათბობად ნავთქურაზე დადების საშუალებით

ე) კედელზე დასასაგად

ამ ცდისპირის პასუხები სხვადასხვა სფეროს შეეხება (მშენებლობა, იარაღად გამოყენება და ა.შ.) და შეიცავს ორიგინალურ პასუხებსაც, რომლებიც ამ ჯგუფის ცდისპირებისთვის არაა დამახასიათებელი.

არსებობს კრეატულობის გაზომვის სხვა ტესტებიც, მაგალითად კრეატულობას სახვით სფეროში გორენსი ზომავს მოცემული ნახაზის ამრიანი სურათის სახით დასრულების საშუალებით. გორენსის ერთ-ერთ ტესტში ცდისპირს ეძლევა 30 წრე და სთავაზობენ 30 განსხვავებული ნახაგის შექმნას. მაგალითად, წრე შეიძლება წარმოიდგინო საზამთროს სახით, გლობუსის სახით, ადამიანის თავის სახით, ორი წრე – ველოსიპედის სახით და სხვა.

რთული საკითხია ინტელექტისა და კრეატულობის ურთიერთმიმართება. მართალია, დაბალი ინტელექტის მქონე ადამიანი არასოდეს არაა კრეატული, მაგრამ მაღალი ინტელექტი არ ნიშნავს აუცილებლად მაღალ კრეატულობას და დივერგენტული აზროვნების უნარს. ზოგადად, ინტელექტი განსაზღვრავს ახალი მასალის გაგებას და ათვისებას, კრეატულობა კი – შემოქმედებით მიღწევებს.

შემოქმედებითობის საფუძველი – ძლიერად განვითარებული ინტუიციაა, სათანადო მიმართულებით. ინტუიციის უდიდეს მნიშვნელობაზე ფილოსოფოსები უკვე ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული მსჯელობდნენ, მაგრამ მის შესახებ მეცნიერებამ ჯერ ძალზე ცოცხა იცის.

ინტუიცია (ლათ. დაქინებით შივ ცქერა) ანუ გუმანი შემეცნების სახეობაა, რომელსაც ახასიათებს მთლიანობით-ხაგობრივობა და უშუალობა, აგრეთვე სრული გაუსწობიერებლობა თვით წედომის პროცესისა, მაგრამ, ამის მიუხედავად, ძლიერი დარწმუნებულობა. მთლიანობითობა ნიშნავს: არ ხდება ანალიზი, ნაწილების განხილვა, მთავარია მთლიან ხაგებზე მოქმედებები; უშუალობა ნიშნავს: მიხვედრა ხდება პირდაპირ ანუ ერთბაშად, ანუ ცნობიერ შუალედურ გონებრივ მოქმედებათა გარეშე; გაუსწობიერებლობა ნიშნავს, რომ ადამიანი ვერაფრით ვერ გაიაზრებს იმას, თუ მაინც როგორ და რის საფუძველზე მიხვდა (სშორად სულ სხვა საფუძველს ასახელებენ ხოლმე, რომელიც ლოგიკურად უაზროა). ამასთან, ინტუიციურ წედომას ხშირად უფრო ძლიერი დარწმუნებულობა ახლავს, ვიდრე ლოგიკური აზროვნების გზით მიღებულ დასკვნას. ამის მიზეზია ინტუიციური მიხვედრის უშუალობა – ადამიანი თითქოს „პირდაპირ ხედავს“, „უშუალოდ გრძნობს“. ხოლო აღქმული და ნაგრძნობი, უშუალობის გამო, ხომ უფრო დამაჯერებელია, ვიდრე ნააზრევი.

ინტუიცია განსხვავდება როგორც ლოგიკური აზროვნებისაგან, ისე აღქმა-ცნობისგან. პირველისგან განსხვავდება იმით, რითაც ჰგავს აღქმას – უშუალობითა და მთლიანობითობით; მაგალითად, აღქმით ჩვენ ას კაცშიც კი ვცნობთ შორეულ ნაცნობს, თუმცა მანამდე არ გვახსოვდა, ამ ნაცნობს რა ფერის თვალები აქვს, როგორი ცხვირი აქვს, აქვს თუ არა უღვაშები და სხვა (ცნობა უშუალო საერთო შთაბეჭდილებით, მთლიანი ხაგით ხდება). ხოლო ლოგიკური აზროვნება დისკურსიულია, ანუ ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს. ინტუიცია აღქმისგან განსხვავდება იმით, რითაც აზროვნებას მიეკუთვნება – რომ აღქმა-მეხსიერებისთვის მისაწვდომია გარემოების მხოლოდ ასახვა და აღქმულის ცნობა, ხოლო ინტუიცია, როგორც აზროვნება, რაღაც ახალს სწვდება. ინტუიცია საკმაოდ ჰგავს ხაგობრივ აზროვნებას, რადგან ორივე მთლიანობითი ხაგებით მოქმედებს. მაგრამ

ხატობრივი აზროვნება მხოლოდ წარმოდგენილი ხატების გარეკნულ თვისებებზეა დაძვარებული და მათ გაცნობიერებულ ასოციაციებს იყენებს, ამიგომ ზერელეა, სიღრმეებს ვერ სწვდება. ხოლო ინტუიციური წვდომა გაცნობიერებელია და მისი მთავარი თვისება სწორედ სიღრმისეულობაა, „შიგ წვდომაა“, ანუ ცნობიერებისთვის დაფარულის წარმოჩენაა.

ძლიერი დარწმუნებულობითა და უშუალოდ ინტუიცია ინსტინქტს, ინსტინქტურ ცნობას ჰგავს; მაგალითად, როცა უდებოდ წამოზრდილი ციკანიც კი ცნობს საკვებ ბალახს და არ ეკარება სხვას. მაგრამ ინსტინქტი „ბრმაა“ და ბოლომდე აეგომატიზებული, ხოლო ინტუიცია გამჭვირავი, მოქნილი და ზოგჯერ შემოქმედებითიც კია. ა. ბერგსონისეული სხარტი განმარტებით, ინტუიცია არის „ინსტინქტური ინტელექტი“ ანუ „ინტელექტური ინსტინქტი“, ანუ მას აქვს როგორც ინსტინქტის, ისე ინტელექტის ძლიერი მხარეები. ამით ინტუიცია ორივეზე მაღლაა.

ინტუიციას, როგორც აზროვნების ერთ-ერთ სახეობას, აქვს დონეები. ინტუიციური წვდომის უდაბლესი სახეობაა ინსაიგი (იხ. თავი III). ინსაიგი არის, კერძოდ, სენსომოგორული დონის ინტუიციური მიხედვრა. ინსაიგი მხოლოდ სენსომოგორულ დონეზე მოქმედებს და სენსომოგორულ ჩვევათა კომბინაციებს ვერ სცდება, მხოლოდ აღქმის თვალსაჩინო ველითაა შემოზღუდული. თუკი ამოცანა არაა მოცემული უშუალო აღქმის ველში, მაშინ ცხოველი და მცირეწლოვანი ბავშვი სრულიად უძლურნი არიან. ინტუიციას კი მაღალი და უმაღლესი დონის სახეობებიც აქვს.

ინტუიციის უფრო მაღალი დონის გამოვლინებებია ჩვეულებრივი ყოფითი უნარები. მაგალითად, ენობრივი გუმანი. პაგარა ბავშვი თავისდაუნებურად ეუფლება მშობლიური ენის მორფოლოგიის, სინტაქსის, ლექსიკოლოგიისა და სტილისტიკის ათასეულობით ურთულეს წესს, და ეს ხდება თავისთავად, ცნობიერი აზროვნებისა და ნებელობის ჩაურევლად. ბავშვი მხოლოდ პრაქტიკულ დონეზე ეუფლება გრამატიკულ წესებს. ხოლო მათი გაცნობიერება მრდასრულებსაც არ ძალუძთ, ენათმეცნიერთა გარდა. ასევეა სიგყვების ფლობაც: არათუ ბავშვი, არამედ მრდასრულსაც კი უჭირს იმ უბრალო სიგყვების გააზრებული ლოგიკური განმარტება, რომლებსაც ყოველდღიურად ხმარობს. ჩვენ პირდაპირ, ყოველგვარი ცნობიერი აზროვნების გარეშე

ვხედებით, თუ როგორი ფორმით უნდა ჩავსვათ საჭირო სიტყვა. პირდაპირ და გაუცნობიერებლად ვხედებით იმასაც, თუ რომელი სიტყვაა უფრო შესატყვისი ჩვენი სათქმელისთვის. მეტყველები-სას, როგორც წესი, ამაზე სრულებით არ ვფიქრობთ. მაშასადამე, როგორც ბაემის, ისე მრდასრულის მეტყველების ენობრივი ფორმების აბსოლუტური უმრავლესობა ემყარება არც ლოგიკურ ამროვნებას, არც აღქმას, არც წარმოდგენას, არც მეხსიერებასა და არც გრძნობებს, არამედ ინტუიციას, კერძოდ, ენობრივ გუმანს. ჩვენი ცნობიერება (და ზოგჯერ, კერძოდ, ამროვნებაც) სათქმელის შინაარსითაა დაკავებული, ხოლო ენობრივი ფორმების შერჩევა და სათქმელის ფორმობრივი ჩამოყალიბება თითქმის მხოლოდ გუმანით ხდება.

ინტუიციის ყოფით ღონეს განეკუთვნება მოსაუბრის ფარული გუნება-განწყობილების, დამოკიდებულებისა თუ განზრახვის მიხედვრა; ადამიანურ ურთიერთობათა ელფერების მისევედრა; შეკრებილი ადამიანების საერთო განწყობის ცვალებადობათა მიხედვრა; სიდიდეთა მიახლოებითი შეფასება (მაგ, მაღალი ხის სიმაღლე 70 მეტრზე მეტია თუ ნაკლები; ესა თუ ის წონა 1 კილოგრამთანაა უფრო ახლოს თუ 3-თან); გექნიკური გუმანი (მაგ, კონსტრუქციის არსის წედომა ან ახალი საჭირო კონსტრუქციის მოგონება); მიზეზშედევობრივი გუმანი (მიზეზშედევობრივ კავშირთა მიხედვრა); ადამიანის ორიენტაცია სივრცეში, სადაც არაა კონკრეტული მიმანიშნებლები.

ინტუიციის მთავარი საფუძველი შესაბამისი გამოცდილებაა. ეს ეხება აგრეთვე ყოველდღიურ მაგალითებს პროფესიონალიზმისა: ექიმის, მასწავლებლის, მეცნიერის, მწერლის, მოჭადრაკის, ხელოსნისა... (ესაა ინტუიციის უკვე მესამე ღონის მაგალითები). ოსტატობა ისაა, რომ ლოგიკური ამროვნება დამხმარეს ადგილს იკავებს, ხოლო მთავარი ხდება ინტუიცია. შევადაროთ ერთმანეთს გამოცდილი ხანშიშესული სპეციალისტი და თუნდაც ბრწყინვალე ახალგაზრდა სპეციალისტი, რომელსაც გაცილებით უკეთ ახსოვს თეორიაცა და ფაქტებიც. გამოცდილი „პირდაპირ ხედავს“, „გრძნობს“, მეცნიერულად ზუსტი გერმინით კი – ინტუიციურად სწედება იმას, რისთვისაც ახალგაზრდას ხანგრძლივი ლოგიკურ-ანალიზური მუშაობა დასჭირდებოდა და ხშირად კი მაინც ვერც ჩასწედებოდა. სწორედ მდიდარი გამოცდილების

ფაქტორი გვიჩვენებს სიბრძნის ანუ დიალექტიკური აზროვნების არსს (იხ. თავი IV).

საზოგადოდ, მისველრა უფრო სშირად ინგუიციას ემყარება – როცა ჩვენ თვითონ ვერ ვაცნობიერებთ, თუ როგორ მიეხედით. ნამდვილი აღმოჩენა და შემოქმედება როგორც მეცნიერებაში, ისე ხელოვნებაში აუცილებლად ინგუიციას ემყარება. აქ ინგუიცია თავის უმაღლეს დონეზე ადის. განვიხილოთ მაგალითები. პოეტი გუმანით ზუსტად მიაგნებს იმ სიტყვას, რომელიც ლექსის სათანადო ადგილისთვის შეუცვლელია (ფსიქოლოგი ჯ. ბრუნერი წერდა: განვიხილათ პოეტების შავ ხელნაწერებს, რომლებშიც ჩანს მათ მიერ თანდათან შეგანილი ჩასწორებანი. განვაცვიფრებს ამ ჩასწორებათა მართებულობის უშუალო განცდა, მაგრამ ვერ ვამბობთ, თუ რაგომაა უკეთესი შეცვლილი ვარიანტი წინანდელზე. ეს სიძნელეა როგორც მკითხველისთვის, ისე თავად პოეტისთვისაც); მრავალი პოეტი ადასტურებს, რომ ლექსის ნამდვილი შექმნა სიტყვებით არ იწყება. ლექსი ჩნდება ქვეცნობიერიდან, ინგუიციურად, ფარული რიგმის, მუსიკის, თავისებური მთლიანი ბუნდოვანი გრძნობის სახით. რ. ფროსტი და ჰ. ჰაინე ამას აღარებენ „ყელში მომდგარ ცრემლის გორგალს“, რომელიც შემდეგ ლექსად გადმოსკდება, ხოლო გ. ტაბიძე – „უეტრად მოვარდნილ მეწყერს, რომელიც გავიგანს, თან წავიღებს“. პოეტს „თავისთავად“ – ანუ ინგუიციურად – მოსდის ის სიტყვები, რომლებიც ზედმიწევნით ესადაგება მის შინაგან ჯერ კიდევ განუსიტყვებელ გრძნობებს.

გამოჩენილი მათემატიკოსები ე. ადამარი და ა. პუანკარე აღწერდნენ, რომ მათი ყოველი აღმოჩენა ხდებოდა არა ლოგიკური გზით, არამედ შთაგონებით, გონების გაცისკროვნებით, უეტრად, ძირითადად არაცნობიერად; ცნობიერებაში წამოტივტივდება შემოქმედებითი მიგნება, რომელსაც ახლავს შეება, შემოქმედებითი სიხარული, თავისებური „აჰა-განცდა“ – იმაზე ბევრად ძლიერი, რომელიც ახლავს ცნობიერ სააზროვნო ქმედებებს. ამის ძალიან მკაფიო მაგალითია ბენზოლის ქიმიური ფორმულის აღმოჩენა ა. კეკულეს მიერ. მეცნიერმა ხანგრძლივი ამარწვალების შემდეგ სიზმარში იხილა მეცნიერებისათვის მანამდე უცნობი აგებულების მქონე ქიმიური ფორმულა – წრიული ფორმულა. იგი მეცნიერს თავისი კულის მკბენი გველის სახით ეჩვენა.

კ. გაუსი ამ წამს აღარებს „ელვის გაკაშკაშებას, გაელვებას, რომელიც ღმერთის წყალობით ხდება“. გამოჩენილ შემოქმედთა უდიდესი უმრავლესობა მსგავსად აღწერს შემოქმედების პროცესს. ლოგიკურ-განსჯითი ამროვნებით გაკეთებული ლექსი თუ ნახაგი არაა ნამდვილი ხელოვნების ნაწარმოები. ხელოვნების ნაწარმოები შეიძლება მხოლოდ იშვეს, დაიბადოს არაცნობიერის უხილავი წიაღიდან.

თავი XIV. კომუნიკაცია და მეტყველება

§ 1. კომუნიკაციის ზოგადი დახასიათება

აღამიანთა ერთობლივი ცხოვრების და აქტივობის (საქმიანობის) აუცილებელი პირობაა კომუნიკაცია. მაგალითად, დილით ვესალმებით ოჯახის წევრებს, ეუკოვებთ ინფორმაციას დაგეგმილი დღის შესახებ, ბოდიშს ვიხდით ან ვსაყვედურობთ თანამგზავრებს ან მძღოლს გზაში შექმნილ დაბრკოლებებთან დაკავშირებით, დღისით ვისმენთ ლექციებს ან თვითონ ვაგარებთ მათ, ვეთათბირებით თანამშრომლებს, საღამოს ვიღებთ ინფორმაციას გელევიზორიდან, ვუყვებით ოჯახის წევრებს დღის შთაბეჭდილებების შესახებ. ყველაფერ ამას ვაკეთებთ ორი ძირითადი გზით: ენობრივი ანუ ვერბალური და არავერბალური საშუალებებით.

კომუნიკაცია ხორციელდება არა მხოლოდ ვერბალურად. მნიშვნელოვანია არავერბალური საშუალებებიც: მიმიკა, ექსტიკულაცია, პოზა, მსედველობითი კონტაქტი (თვალეში ცქერა ან, პირიქით, თვალის არიდება) ექსტრალინგვისტური საშუალებები (ინგონაცია, პაუზა, გემპის ცელა, ხმის გემბრისა და სიმაღლის ცელა), პროქსემიკა ანუ კომუნიკაციის ორგანიზაცია სივრცეში (მაგ, მოსაუბრესთან მიახლოება ან მისგან დაშორება, გვერდულად დგომა და ა.შ.). არავერბალური საშუალებები სამეცყველო აქტის რეალობაა. უფრო მეტიც, ერთ-ერთი გამოთვლის მიხედვით, ინფორმაციის 65%-მდე ურთიერთობის არავერბალურ საშუალებებზე მოდის. თავიდანვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს პროცენტი მეტად პირობითია, რადგანაც არავერბალური საშუალებების მრავალფეროვნება და თავისებურება ცვალებადობს კულტურათა შორის.

ურთიერთობის არავერბალური კომპონენტების ადეკვატური ანალიზი გვაძლევს შესაძლებლობას, დავსახოთ საკომუნიკაციო უნარის ფორმირების გზები, გამოვაელინოთ სამეცყველო და არასამეცყველო ქცევის ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა, რაც აუცილებელია, კერძოდ, კულტურათაშორისი კომუნიკაციის სრულყოფისთვის. ხშირად იხმარება ტერმინი “სხეულის ენა”, რომელიც უფრო ვიწროა, რადგანაც მხოლოდ ექსტებს, მიმიკასა და პოზას მოიცავს და არ შეიცავს ე.წ. ექსტრალინგვისტურ საშუ-

ალებებს (ინგონაციას, პაუზას და სხვა), რაც აუცილებლად თან ახლავს მეტყველებას, მაგრამ არ მიეკუთვნება მეტყველების მახასიათებლებს.

არსებული შეხედულების მიხედვით, ეესტები ხუთ ფუნქციას ასრულებენ: სიმბოლოს, ილუსტრაციის, ადაპტაციის, რეგულატორის და ემოციის ინდიკაციის. საფიქრებელია, რომ ამ ფუნქციებს ასასიათებთ მეგ-ნაკლები ეროვნულ-კულტურული სპეციფიკა და მათი განხილვა, პირველ რიგში, ურთიერთობის არავერბალურ საშუალებათა დიფერენციაციას გულისხმობს.

კომუნიკაციის არავერბალური საშუალებები მნიშვნელოვნად არის გაპირობებული თანდაყოლილი უნივერსალური სიგნალებით – ძირითადი ემოციების გამოხატვა უნივერსალურია კაცობრიობისთვის. მაგრამ სხვა ასპექტები სპეციფიკურია კულტურისთვის და კულტურათაშორისი კომუნიკაციის პროცესში ხშირად ხდება გაუგებრობის მიზეზი. ასე, მაგალითად, კროსკულტურულ ურთიერთობათა ერთი სპეციალისტი აღწერს ფაქტს, სადაც ამერიკაში ახლად ჩასულ აზიელ ინჟინერს მისმა მდივანმა ქალმა უსურვა წარმატება სპეციფიკური ამერიკული ეესტით – გადაჯვარედინებული თითებით, რამაც იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგანაც ინჟინრის სამშობლოში ეს ეესტი სექსუალურ გამოწვევას ნიშნავს.

გრამატიკული წესების გაუცნობიერებელი გამოყენების ანალოგიურად, ადამიანი მისდევს არავერბალური ქცევის დაუწერელ წესებს მათ გაუცნობიერებლად და გაუცნობიერებლადვე ეუფლება მათ მშობლიური ენის დაუფლებასთან ერთად. იდენტიფიკაცია საკუთარი სოციუმის წარმომადგენლებთან ამის ერთ-ერთ მექანიზმს წარმოადგენს. უცხოური ენის დაუფლება თავისი სრულყოფილი ფორმით გულისხმობს ამ კულტურისთვის დამახასიათებელი არავერბალური საშუალებების სისტემის დაუფლებას. ამას კი საკმაოდ იშვიათად აღწევენ. მაგრამ არსებობს საპირისპირო ფაქტები, მაგალითად ნიუ-იუორკის მერი 1933-45 წლებში, ლაგუარდია სრულყოფილად ფლობდა ინგლისურს, იტალიურს და იდიშს. მკლევარები, რომლებიც შეისწავლიდნენ მისი გამოსვლების ჩანაწერებს, გამორთული ხმის პირობებშიც თავისუფლად საზღვრაედნენ, თუ რა ენაზე მეტყველებდა ლაგუარდია, მხოლოდ არავერბალურ სიგნალებზე დაყრდნობით. კერძოდ,

იგალიური და ებრაული კულტურისთვის სპეციფიკურია მეტყველებების თანმხლებად ხელების წრიული მოძრაობა. ამ მოძრაობების რადიუსის გამოშვით შეგვიძლია, მუსტად გავარკვიოთ თურა ენაზე მეტყველებს ადამიანი: რაც უფრო მეტია რადიუსი, მით უფრო მეტია ალბათობა, რომ ეს იქნება იგალიური ენა.

საყურადღებოა არავერბალური რეგულაციის გენდერული ასპექტიც. მაგალითად, ერთ-ერთ ექსპერიმენტში ქალ-ვაჟთა ურთიერთობის ვიდეოჩანაწერების საშუალებით ნაჩვენებია, რომ ქალები უფრო მეტად იყენებენ ურთიერთობის ვიზუალურ საშუალებებს, ვაჟები კი – კინესთეტიკურს (ქესტებს). ნაცალია ქესტების სპეციალური ანბანის შექმნა. შექმნილია ე.წ. “შუა ევროპული ქესტების რუკა”, რომელიც ქესტების 20 ფოტოსურათისაგან შედგება.

პროქსემიკური ანუ კომუნიკაციის წვერების სივრცეში განლაგების განსხვავების სადემონსტრაციოდ ჩვეულებრივად იყენებენ ე.წ. დისტანტური და კონტაქტური ერების არსებობის ფაქტს. პირველ ჯგუფს მიეკუთვნება ჩრდილოეთი ევროპა, ა.შ.შ., კონტაქტურს – სამხრეთი ევროპა, მცირე აზია, ლათინური ამერიკა. ჩრდილო-ამერიკელების და ლათინო-ამერიკელების ურთიერთობაში პირველები ცდილობენ დაიცვან თავისი პირადი სივრცე (70 სმ-მდე), ხოლო მეორენი ცდილობენ, უფრო მცირე დისტანციაზე დაამყარონ ურთიერთობა. პირველები სულ უკან უკან იხევენ, მეორენი კი – უახლოვდებიან. ამ ვითარებას ხშირად “ლათინო-ამერიკულ ვალსს” უწოდებენ. როდესაც არავერბალური წესი ირღვევა, ადამიანი დისკომფორტს განიცდის, მაგრამ არ იცის, რატომ. მაგალითად, არაბებს უყვართ ახლოს დგომა, ხელის მოკიდება მოსაუბრისთვის, რაც ჩრდილო-ევროპელს უხერხულ მდგომარეობაში აგდებს.

კონტაქტურ და დისტანტურ ერებად დაყოფის გარდა, არავერბალურ საშუალებათა მთელი სისტემა შეიძლება ორ სახედ იყოს კატეგორიზებული: კულტურები, სადაც კონტექსტი მეტ-ნაკლებ როლს ასრულებს. მეტად კონტაქტურ კულტურას ახასიათებს არავერბალური სიგნალებისთვის დიდი მნიშვნელობის მინიჭება. ასეთებია იაპონური და არაბული კულტურები, რომლებშიც დიდი მნიშვნელობა ენიჭება გრადიციულ ქესტს და პოზას. ნაკლებად კონტაქტური კულტურა (გერმანული, ჩრდილო-ამერიკული) მეტ

მნიშვნელობას ანიჭებს სიგყვებს, ნაკლებად არის გამოყენებული ურთიერთობის გრადიული ფორმები. ამ ორი განსხვავებული კულტურის წარმომადგენელთა კონტაქტი ხშირად ორმხრივ უკმაყოფილებას იწვევს. ამერიკელს უძნელდება იაპონელთან ურთიერთობაში იმით, რომ არ ესმის იაპონელის გამოუთქმელი განზრახვა; ხოლო იაპონელს, პირიქით, მიაჩნია, რომ გონიერმა ადამიანმა უნდა გაიგოს საუბრის აზრი კონტექსტიდან.

ამ უმნიშვნელოვანეს განსხვავებაზე აგებულ გაუგებრობას შეუძლია ომამდეც კი მიიყვანოს მხარეები. მაგალითად, ერაყის ჯარების მიერ ქუვეიგის ოკუპაციის შემდეგ აშშ-ს სახელმწიფო მდივანი ჯეიმს ბეიკერი და ერაყის საგარეო საქმეთა მინისტრი გარიკ აზიზი ერთმანეთს შეხვდნენ. ბეიკერმა ერთმნიშვნელოვნად წაუყენა ულტიმატუმი: "თუ არ გახვალთ ქუვეიტიდან, ვიწყებთ შეტევას"-ო, მაგრამ ეს ითქვა დიპლომატიური ტონით, თანხლები არავერბალური საშუალებების – მუქარის პოზისა და ეესტების გარეშე. იმავე დღეს გარიკ აზიზმა შეატყობინა სადამ ჰუსეინს, რომ ამერიკელები მხოლოდ სიგყვიერად იმუქრებიან ომის დაწყებას, ხოლო მოქმედებას არ დაიწყებენ. ამერიკელებმა კი პირობის შესრულების შესატყვისად მეორე დღესვე დაიწყეს საომარი მოქმედება. ამგვარად, კონტექსტზე დამოკიდებული კულტურის წარმომადგენელმა ვერ გაიგო მხოლოდ ვერბალურ კონტაქტზე ორიენტირებული კულტურის წარმომადგენლის ინფორმაცია, რის შედეგადაც მრავალი ადამიანი დაიღუპა. მკითხველის წინაშე ბუნებრივად დგება საკითხი, რომელ კულტურას მიეკუთვნება თანამედროვე ქართველი, რა არის წამყვანი მის ურთიერთობაში – ვერბალურად თუ არავერბალურად გადაცემული ინფორმაცია? რამდენად განსხვავდება ქართველის მიერ გამოყენებული ეესტიკულაცია, პოზა, პროქსემიკა სხვა ხალხის ანალოგიური მონაცემებისაგან?

გამოკვლეულია პროქსემიკური – სივრცეში განლაგების – ზონების ქართული აღნიშვნები. მაგალითად, ინტიმური ზონისთვის ქართულში არსებობს გამოთქმები: "გულში უზის", "სულში იძვრენენ", "ზედ წამწამზე უზის". ლისტანციური ზონისადმი დამოკიდებულება (ოფიციალური ზონა) ხშირად უარყოფით იერს ატარებს: "სათოფებზე არ იკარებს", "თვალის დასანახად არ უნდა" და სხვა. კინესთეტიკური კომპონენტები (კოცნა, გადახვევა)

ხშირად რიგულურ ხასიათს აგარებს, ახლავს მისალმება-დამშვიდობებას, საყვარულსა და პატივისცემას გამოხატავს. ეს უძველესი გრადიციული ქესგებია, თუმცა ამჟამად მეგისმეტად ჭარბად გამოიყენება ჩვენში.

§ 2. ენა და მიტყველება

არავერბალური ურთიერთობის ჩამოთვლილ საშუალებათა მრავალფეროვნების მიუხედავად, ადამიანებისთვის ძირითად და ცხოველებისაგან განმასხვავებელ საშუალებად რჩება კომუნიკაციის ვერბალური გზა ანუ მეტყველება. თავიდან უნდა აღვნიშნოთ, რომ თანამედროვე სპეციალურ ლიგერაგურაში, რომელიც ამერიკული მოდელითაა აგებული ან ამერიკული წიგნების თარგმანია, უფრო ხშირად ისმარება გერმინი "ენა". ქართული ფსიქოლოგიის გრადიციით ჩვენ ვასხვავებთ ორ გერმინს: ენას, რომელიც წარმოადგენს ობიექტურად არსებული ნიშანთა სისტემას და მეტყველებას, როგორც კონკრეტული ადამიანის ფსიქიკური აქტივობას, რომელიც ხორციელდება ენის საშუალებით. ენა როგორც სამოგადოებრივი გამოცდილების დაგროვებისა და გადაცემის საშუალება, კაცობრიობის განვითარების განთიადზე გაჩნდა. ერთმანეთისთვის ღირებული ინფორმაციის გადასაცემად ადამიანებმა დაიწყეს დანაწევრებული ბგერების გამოყენება, რომლებსაც გარკვეული ღირებულება ენიჭებოდა. დანაწევრებული ბგერების გამოყენება ურთიერთობისთვის მოსახერხებელი იყო განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა ხელი შრომის იარაღით ან საგნებით იყო დაკავებული. ენას ცალკე ინდივიდის მეტყველებისაგან დამოუკიდებელი სტრუქტურა და წესები აქვს. ეს სტრუქტურა არ იცვლება იმის გამო, რომ ვინმე ამ ენაზე არასწორად მეტყველებს. არსებობენ ე.წ. მკვდარი ენები, რომლებზეც არავინ მეტყველებს, მაგრამ ამ ენებსაც აქვთ თავისი სტრუქტურა და კანონები, რომელსაც ჩვენ ვსწავლობთ. გამოყოფენ ენის რამდენიმე თვისებას: შემოქმედითობას – ადამიანები ქმნიან და ესმით წინადადებები, რომლებიც მათ არასოდეს არ მოუსმენიათ, სტრუქტურულობას – ენა ექვემდებარება ლინგვისტურ ელემენტთა მკაცრ წესებს, ენა შინაარსის მქონეა და შეეფარდება ობიექტურ სინამდვილეში არსებულ მოვლენებს და ბოლოს, ენა კომუნიკაციურია – ემსახურება ადამიანთა შორის ურთიერთობას.

მეტყველება – ინდივიდის მოქმედებაა ენის საშუალებით, იგი იცვლება ადამიანის ინდივიდუალური თავისებურებების შესაბამისად (შინაგანი მდგომარეობისა და სიტუაციის მიხედვით, მაგალითად, ხდება მეგ-ნაკლებად ემოციური). მეტყველების საშუალებით ადამიანი ადრეული ასაკიდანვე ენის დაუფლების პროცესში იძენს თავისი სოციალური წრის გამოცდილებას. ენის მეშვეობით კაცობრიობის მიერ შემუშავებული ცნებები ადამიანის საკუთრებად იქცევა.

იმისათვის, რომ შესაძლებელი გახდეს კომუნიკაცია მეტყველების საშუალებით, მას ექსპრესიის ანუ განცდათა გამოხატვის ფუნქცია უნდა ჰქონდეს. მაგრამ ექსპრესია არ არის საკმარისი ადამიანთა შორის ცნობიერი კომუნიკაციის დასამყარებლად. გამოხატვის ფუნქციას ცხოველთა ბგერები და გამომხატველობითი მოძრაობებიც ასრულებენ, და ეს მოძრაობები (აბურძგნა, დამორჩილების პოზა და სხვა) სხვა ცხოველების ქცევაზე ასდენს გავლენას. მაგრამ ცხოველებს მეტყველება არა აქვთ. მათი ბგერები და გამომხატველობითი მოძრაობები მხოლოდ მათ შინაგან მდგომარეობას გამოხატავენ (შიშს, სიხარულს, გაბრაზებას და სხვა). ეს მოძრაობები ინსტინქტური ხასიათისაა. ხოლო სიტყვა ობიექტური, გარეთ არსებული მოვლენის აღმნიშვნელია. ამ აზრით სიტყვას ობიექტური მნიშვნელობა აქვს. ადამიანი პურს ეძახის პურს, წყალს – წყალს, მიუხედავად იმისა, თვით მას შია, სწყურია, თუ არა.

ცხოველის ინსტინქტური წამოძახილები სასიგნალო როლს ასრულებენ – შეშინებული გარეული ბაგის სისინი ინსტინქტურად იწვევს ბაგების მთელი გუნდის ტბიდან მოწყვეტასა და გაფრენას. სულ სხვა არის ადამიანის სიტყვა. მას იმიტომ შეუძლია გაცნობიერებული კომუნიკაციის როლის შესრულება, რომ მას აღმნიშვნელობითი ფუნქცია აქვს. იგი აღნიშნავს შინაარსს (საგანს, მოქმედებას, თვისებას). სიტყვა, როგორც აღქმადი ბგერითი კომპლექსი, გარკვეულ მნიშვნელობას გულისხმობს, რომელსაც არაფერი აქვს საერთო ამ ბგერით კომპლექსთან, ის პირობითია (ამიტომ, მაგალითად, პური სხვა ენებში სულ სხვა ბგერათა კომპლექსით აღნიშნება “ზლებ”, “ბრედ” და ა.შ., მაგრამ შინაარსი ერთი აქვს). გარკვეული ბგერითი კომპლექსისთვის მნიშვნელობის მინიჭება აზროვნების სპეციფიკური აქტის, აზრ-

დების აქტის შედეგია. ამ აქტის შედეგად, მაგალითად, უცხოური ენის სიგყვა, რომელიც მანამდე უაზრო ბგერათა კომპლექსად გვესმოდა, აზრიან სიგყვად გადაიქცევა. ბავშვი მეორე წლის ბოლოს “აღმოაჩენს”, რომ მის გარშემო არსებულ საგნებს, მათ თვისებებს, მოქმედებებს სახელები აქვს. ბგერათა კომპლექსები, რომლებიც მას ესმის გარემოში, მნიშვნელობის მაგარებელი ხდება. ვილიამ შტერნი აზრდების ამ აქტს ადამიანის ცხოვრების ყველაზე მნიშვნელოვან აღმოჩენას უწოდებდა.

მეცყველების განვითარება

ბავშვის მიერ ენის დაუფლება საკვირველი პროცესია. ვიფიქრიათ ოდესმე იმ სიადვილეზე და სიჩქარეზე, რომლითაც ბავშვი სულ რაღაც წლინახერის განმავლობაში ეუფლება დედანის ძირითად სტრუქტურებს და საკმაოდ მდიდარ ლექსიკურ ფონდს? მაგალითად, ბავშვმა, რომელმაც წლის და ორი თვის ასაკში თქვა თავისი პირველი სიგყვა “ბვა”, რაც მანქანას აღნიშნავდა, ერთი წლის შემდეგ ამბობს: “ბებია, დაჯექი და მიყურე, მე როგორ ვითამაშებ.” ე.ი. ქმნის რთულ ქვეწყობილ წინადადებას ქართული ენის გრამატიკის წესების დაცვით. მას ხომ არ უსწავლია გრამატიკა!

ბავშვის მიერ დედანის დაუფლების პროცესის ეფექტურობის ახსნას ბიჰევიორისტულად ორიენტირებული ფსიქოლოგები ცდილობდნენ წაბაძვისა და განმტკიცების მექანიზმით. მაგრამ ეს მექანიზმიები არ აღმოჩნდა საკმარისი ბავშვის მეცყველების ფაქტების ასახსნელად. ჯერ ერთი, იმისათვის, რომ მიბაძო რაიმე გამოთქმას, აღქმული უნდა გქონდეს ეს გამოთქმა. ბავშვს რომ წინასწარ მოესმინა თუნდაც 100 სიგყვის ყველა შესაძლო კომბინაცია, მას დასჭირდებოდა მილიონობით წლები. ბავშვები ქმნიან სიგყვათა ისეთ კომბინაციებს, რომლებიც არასოდეს არ მოუსმენიათ. გარდა ამისა, ბავშვი ხმარობს ისეთ სიგყვებს, რომლებიც არც კი არსებობს მოზრდილთა მეცყველებაში, თუმცა ეს სიგყვები იქმნება დედანისთვის დამახასიათებელი წესების შესაგყვისად. მაგალითად, ამბობს “ეუთხრებ” ან “ეთქვამ” “ვიგყვის” მაგივრად, სადაც გამოყენებულია ქართული ზმნებისთვის დამახასიათებელი დაბოლოება. ბავშვი ამბობს: “რსებობს”,

როდესაც მას უნდა დაამტკიცოს რაღაც მოვლენის, მაგალითად თოელის პაპის არსებობა; აცილებს ნაწილსაც "არ", თითქოს იცოდეს, რომ "არ" უარყოფის ნაწილაკია.

რაც შეეხება განმტკიცებას, რომელიც ბიჰევიორისგულად ორიენტირებული ფსიქოლოგების მიერ დასწავლის ძირითად მექანიზმებადაა აღიარებული, არც ეს ხსნის ენის დაუფლების ფაქტებს. ამის საპირისპიროდ არსებობს სპეციალური გამოკვლევები, სადაც ნათლადაა ნაჩვენები, რომ მშობლები ბავშვს ძირითადად უსწორებენ ფაქტობრივ და არა გრამატიკულ შეცდომებს. მაგალითად პატარა თანამედროვე ამერიკელი დედას ეუბნება: "ხვალ ჩამოვა დისნეი". წინადადება სწორადაა აგებული, მაგრამ დედა პასუხობს: "რა სისულელეა, დისნეი დიდი ხანია მოკვდა". და, პირიქით, არასწორად აგებულ წინადადებაზე დედა აბლევს დადებით რეაქციას, როდესაც ის გამოხატავს სწორ ფაქტობრივ ვითარებას.

ბიჰევიორისგებისაგან სრულიად საპირისპირო შეხედულებას გამოთქვამს გამოჩენილი ლინგვისტი ნოამ ხომსკი. ბიჰევიორისგების შესუღულებას მეტყველების განვითარების შესახებ ის აღარებს ცარიელ ბოთლში სითხის ჩასხმას. თვით მას კი მიაჩნია, რომ "ენის განვითარება ნიშნავს დაეხმარო ყვაეილს გაიზარდოს, როგორც საჭიროა". აღამიანს აქვს თანდაყოლილი უნარი, ამეტყველდეს გარკვეულ დროს, მაგრამ კონკრეტულად რა ენაზე ამეტყველდება, დამოკიდებულია ენობრივ გარემოზე. ეს უნივერსალური უნარი გულისხმობს გარკვეულ უნივერსალურ გრამატიკასაც. ასე, მაგალითად, ხუთივე ათასი არსებული ენა აუცილებლად შედგება არსებითი სახელებისაგან და გზნებისაგან, აქვს მხოლობითი და მრავლობითი, უარყოფისა და კითხვის ფორმები და სხვა. უნივერსალურია ის თანმიმდევრობაც, რომლის შესატყვისად ბავშვი ეუფლება დედაენას, თუმცა მშობლები ბავშვთან ურთიერთობაში არასოდეს არ იცავენ არავითარ თანმიმდევრობას: არაეინ არ ცდილობს ბავშვს მიაწოდოს ჯერ სახელობითი ბრუნვა, შემდეგ ნათესაობითი და ა.შ.

ბავშვის მიერ მეტყველების დაუფლება გარკვეულ საფეხურებს გაიულის: გიგინის, ერთსიგყვიანი წინადადების ეტაპი, შემდეგ საფეხურზე იქმნება პირველი უფორმო ორსიგყვინი წინადადებები (სადაც სიგყვები ერთმანეთის გვერდითაა მოთავსებული

ყოველგვარი შეთანხმების გარეშე. მაგალითად, “ჩუსტი ბაბუ”, რაც ბაბუას ფეხსაცმელებს აღნიშნავს). მეორე წლის ბოლოს იწყება მეტყველების გრამატიკა – ბავშვი თანდათანობით ეუფლება დედაენის გრამატიკულ სტრუქტურებს, სიტყვათა შორის შეთანხმებას, იმატებს ლექსიკური მარაგი, რომელიც მეორე წლის ბოლოს დაახლოებით სამას სიტყვას აღწევს, სამი წლისთვის – ათასამდე, ხოლო ხუთი წლისთვის – ათიდან თხუთმეტ ათას სიტყვამდე. ეს საფეხურები ასახავენ ზოგად კანონზომიერებას, რომელიც ელინდება ბავშვის ნორმალურ ენობრივ გარემოში განვითარების პირობებში. ნორმალურ პირობებში მეორე წელი მიჩნეულია ყველაზე მგრძობიარე ე.წ. სენზიტიურ პერიოდად პირველი სიტყვების გამოსათქმელად (თუმცა არსებობს გამონაკლისები, როდესაც აბსოლუტურად ნორმალური ბავშვი იწყებს მეტყველებას შესამე წელში).

ისმის კითხვა, თუ ამეტყველება გენეტიკურად წინასწარ დაპროგრამებული პროცესია, რა შეიძლება მოხდეს, თუ ბავშვს პირველი წლების განმავლობაში არ აქვს ენობრივი გარემო? არსებობს ცხოველების მიერ გაზრდილი ბავშვების შემთხვევები. მათგან ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი ფაქტი ეხება ინდოეთში ნაპონი ორი გოგონას, რომლებიც იზრდებოდნენ მგლების ოჯახში. როდესაც ისინი იპოვეს ერთი იყო რვა წლის, მეორე – ორის. მათი ქცევა მთლიანად ბაბაედა მგლების ქცევას. უმცროსი მალე გარდაიცვალა, რაც შეეხება უფროს დას, რომელმაც 18 წლამდე იცოცხლა, მან შეიძინა ადამიანთა ჰიგიენური ჩვევები, მაგრამ სიცოცხლის ბოლომდე სულ რამდენიმე სიტყვა ისწავლა. ასეთი ფაქტები მოწმობს, რომ თუ ენის ათვისების კრიტიკულ, სენზიტიურ პერიოდში არ არსებობს სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, შემდგომ კონტაქტს არ ძალუძს აანამლაუროს ეს დეფიციტი. ენობრივი ფორმების (როგორც მორფოლოგიური, ისე სინტაქსური) მიმართ სენზიტიურია 3-5 წლის ასაკი (იხ. თავი IV).

ბავშვის მეტყველების შესწავლის პრობლემების განხილვა ბუნებრივად უკავშირდება ცხოველთა “ენის” პრობლემას. რა გზით ახერხებენ ცხოველები ურთიერთობას და რამდენად შესაძლოა მათთვის ადამიანური ენის დაუფლება? უდავოა, რომ ცხოველები ახერხებენ ურთიერთობას – იქნება ეს გველის სისინი, დელფინების ტაკუნნი ან მაიმუნთა საკმაოდ დიფერენცირებული

სიგნალები. მეოცე საუკუნის ერთ-ერთი საინტერესო აღმოჩენაა ფუტკრის ე.წ. "ცეკვის" მნიშვნელობის გამიფრვა. მშვერავი ფუტკრები მუშა ფუტკრებს აწოდებენ ინფორმაციას ყვავილების ზუსტი მდებარეობისა და მანძილის შესახებ განსაკუთრებული მოძრაობების, ცეკვის საშუალებით. ინფორმაციის გადაცემის აღწერილი ფაქტი უდავოდ შთამბეჭდავია, მაგრამ ფუტკრების "ენა" ინსტინქტურ ხასიათს აგარებს და, ამდენად, მოქნილობისა და სირთულის მიხედვით ვერ შეედრება ადამიანის ენას (იხ. თავი III).

ისმის კითხვა, შესაძლებელია თუ არა ვასწავლოთ ენა ყველაზე მაღალგანვითარებულ ცხოველებს, ჩვენ უახლოეს ნათესაებს – პრიმატებს? იმის რწმენის საპირისპიროდ, რომ მხოლოდ ადამიანს შეუძლია გამოიყენოს ენა ურთიერთობისა და აზრდების ფუნქციით, მეოცე საუკუნის სამოციან წლებში ალენ და ბე-აგრის გარდნერებმა სცადეს ესწავლებინათ ქესგების ენა ყრუ შიმპანზესთვის. ოთხი წლის ინტენსიური მუშაობის შედეგად ვაშუმ (ეს იყო მაიმუნის სახელი) აითვისა 132 ქესგი, სიცოცხლის ბოლოსთვის – 240 და შეძლო მათგან მარტივი წინადადებების აგება. ინფორმაცია ამ და ანალოგიური ექსპერიმენტების შესახებ დიდ სენსაციად იქცა. მიუხედავად ამისა, ფსიქოლოგების უმრავლესობას მიაჩნია, რომ სიმბოლოთა აზრიანი თანმიმდევრობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს ადამიანურ ენას. ვაშუმს "ენა" ორი წლის ბავშვის დონეზე დარჩა და მეგად აღარ განვითარდა. მიუხედავად ამისა, პრიმატების საოცარი შემეცნებითი პოტენციალი ნამდვილად პატივისცემას იმსახურებს (იხ. თავი III).

ენა და აზროვნება

ენისა და აზროვნების მჭიდრო კავშირი ეჭვს არ იწვევს, მაგრამ ისმის კითხვა: მხოლოდ აზრის გამოხატვას ემსახურება ენა, თუ მას აქვს სპეციფიკური ფუნქცია აზრის ჩამოყალიბებაში? ასევე საინტერესოა, ერთნაირად აზროვნებენ თუ არა სხვადასხვა ენებზე მოლაპარაკე ადამიანები? განსხვავებულ ენებს ხომ განსხვავებული ლექსიკა და სტრუქტურა აქვთ.

ლინგვისტებმა ეღვარდ სეპირმა და ბენჯამენ უორფმა ჩამოაყალიბეს შეხედულება, რომლის თანახმად ენის სტრუქტურა მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიან-

თა აღქმასა და აზროვნებას (ლინგვისტური დეგერმინიზმის ჰიპოთეზა). არსებითად მსგავს თეაღლაზრისს გამოთქვამდნენ გამოჩენილი გერმანელი ლინგვისტები ჰუმბოლდტი და ვაისგერბერი, როდესაც დედაენას უკავშირებდნენ სამქაროს გარკვეულ ხელეას. ამის დამადასტურებელი კლასიკური მაგალითია ესკიმოსთა ენაში სიგყვა "თოელის", არარსებობის ფაქტი. ესკიმოსებს თოელის აღსანიშნავად მრავალი სიგყვა აქვთ (ზოგიერთი მტკიცებით სამასამდე): თოელი, რომელიც დნება, მკრივი, რბილი თოელი და ა.შ. ითვლება, რომ ეს სამუქალებას აძლევს მათ უფრო მრავალფეროვანი და ფაქიმი განსხვავებები აღნიშნონ და მოიაზრონ თოელის სხვადასხვა სახეობებს შორის, ვიდრე სხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებმა. თანამედროვე ფსიქოლინგვისტიკაშიც არაერთი ფაქტია მოყვანილი იმის საილუსტრაციოდ, თუ რა გავლენას ახდენს ენის სტრუქტურა ადამიანის მიერ სამყაროს აღქმაზე. მაგალითად, თურქულ ენაში ერთ-ერთი სუფიქსი ასახავს მოქმედებას, რომლის თვითმხილველია ადამიანი, ამიგომ თურქი ბავშვები, სხვა ენებზე მოლაპარაკე ბავშვებისაგან განსხვავებით, ბურთის სროლის სიგუაციას სხვადასხვანაირად აღწერენ იმის მიხედვით, თვითონ არიან ამ სიგუაციის თვითმხილველები თუ არა. ქართველ და რუს ბავშვებზე ჩაგარებული ექსპერიმენტში ბავშვები განსხვავებულად აჯგუფებდნენ საგნებს იმის გამო, რომ ქართულ ენაში განსხვავებულია წერილი და თხელი საგნები, რუსულ ენაში ორივეს მიმართ იხმარება ერთი სიგყვა. ცნობილია აგრეთვე, რომ სხვადასხვა ენებში განსხვავებულადაა ასახული სექტრის ფერები. უკიდურესი მაგალითის სახით ჩვეულებრივ იხილავენ ახალი გვიჩეის ერთ-ერთი გომის ენაში მსოლოდ ორი სიგყვის არსებობას ფერების აღსანიშნავად: ბნელი და ნათელი. თუმცა, ექსპერიმენტულმა კვლევამ არ დაადასტურა ფერთა აღქმის განსხვავება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ადამიანებთან.

მკლევართა უმრავლესობას მიაჩნია, რომ უორფის მტკიცება ლინგვისტური დეგერმინიზმის შესახებ ვადაჭარბებულია, რაძლენადაც იგი ამტკიცებდა, რომ ენა პირდაპირი მნიშვნელობით განსაზღვრავს იმას, თუ რა იდეების შესახებ შეუძლია ადამიანს ფიქრი. მაგალითად, ერთ-ერთი პოლინეზიელი ხალხის ენაში არ არსებობს ზმნის წარსული დრო, რაც, მისი აზრით, განაპირო-

ბებს იმას, რომ ამ ხალხს არ შეუძლია ადვილად იფიქროს წარსულზე. ეს და მსგავსი მტკიცებანი აშკარა ვადაჭარბებაა. ამავე დროს, ენების თავისებურებების გარკვეული გავლენა კოგნიტურ პროცესებზე, როგორც ჩანს, მაინც არსებობს, თუმცა არა იმდენად ძლიერი, როგორც ამას უორფი ვარაუდობდა. განსხვავებულ ენებზე მოლაპარაკე ადამიანები მეტ-ნაკლებად მგრძნობიარენი არიან სამყაროს გარკვეული ასპექტების მიმართ (სივრცითი მიმართებები, დროში განთავსება და ა.შ.).

მეტყველების სახეები

გრადიციულ ფსიქოლოგიაში არსებული კლასიფიკაცია გამოყოფს მეტყველების შინაგან და გარეგან – წერით და ზეპირ სახეებს. ამრი, სმამალა გამოთქმამდე, მეტყველების საშუალებით ყალიბდება. მეტყველების ამ ფორმას შინაგანი მეტყველება ეწოდება. მას თავისებური სტრუქტურა აქვს: იგი შემოკლებულია, ფრაგმენტურია, პრედიკატურია და, ძირითადად, მოქმედების აღმნიშვნელი სიტყვებით სარგებლობს. თავისთვის ამროვნების პროცესში ადამიანი იყენებს სიტყვებს იმის გააზრებისთვის და დაგეგმვისთვის, რაც მისთვის უნდა გასდეს ნათელი, ხოლო იმას, რაც თავისთავად ცხადია, შინაგან მეტყველებაში გამოტოვებს ხოლმე.

წერითი მეტყველება სტრუქტურულად ყველაზე გაშლილია. მას არ ახლავს არავერბალური საშუალებები: ინტონაცია, პაუზები, შესატყვისი ქესტიკულაცია. იგი ნაკლებად არის სიტუაციაზე დამოკიდებული და, ამიტომ, ამრის მთლიანად გაშლას მოითხოვს.

ზეპირი მეტყველება სარგებლობს არავერბალური საშუალებებით. იგი დამოკიდებულია კონტექსტზე და სიტუაციაზე. წარმოიდგინეთ, რომ შესვენების დროს მიემართებით უნივერსიტეტის სასადილოსკენ, შემხვედრი ნაცნობი გეუბნებათ: "ჯერ არ არის ღია". თქვენ ადვილად ხვდებით ნათქვამის შინაარსს. ეს გამოთქმა გაუგებარი იქნებოდა სიტუაციის გათვალისწინების გარეშე. როგორც წერითი, ისე ზეპირი მეტყველება თავის აღრესაგს გულისხმობს. ნებისმიერ შემთხვევაში საუბრისას (ღიალოგი) ან ლექციის დროს (მონოლოგი) უნდა გავეითვალისწინოთ, ვინ არის

თქვენი მსმენელი და რა სახისაა ინფორმაცია, რომელიც უნდა მივაწოდოთ მას. არსებობს ოთხი ზოგადი წესი (მაქსიმა), რომლებიც მოლაპარაკემ უნდა გამოიყენოს, თუ უნდა რომ მისი ნათქვამი ადეკვატურად იყოს გაგებული. ეს მაქსიმები შემდეგნაირად არის ფორმულირებული:

1. რაოდენობა: შეგყობინება უნდა შეიცავდეს იმდენ ინფორმაციას, რამდენიც საჭიროა მსმენელისთვის. ნუ მიაწოდებთ იმაზე მეტს, ვიდრე მოგეთხოვებათ.

რჩევა მოსაუბრისთვის: თქვენ უნდა ეცადოთ განსაზღვროთ რეალურად რა რაოდენობისაა ინფორმაცია, რომელიც ესაჭიროება თქვენს მსმენელს. აქედან გამომდინარე, სასარგებლოა და ზოგჯერ აუცილებელიც წინასწარ განისაზღვროს ის, თუ რა იცის მსმენელმა.

2. ხარისხი: შეეცადეთ ილაპარაკოთ სიმართლე. არ თქვათ ისეთი რამ, რაც მცდარი ჰგონიათ და რისი დამადასტურებელი ფაქტებიც არა გაქვთ.

რჩევა მოსაუბრისთვის: როდესაც თქვენ ლაპარაკობთ, მსმენელი ელოდება თქვენს მიერ მიწოდებული ინფორმაციის დადასტურებას. თითოეული გამონათქვამის დაგეგმვის დროს მოუიქრებული უნდა გქონდეთ მისი დამადასტურებელი ფაქტები.

3. მიმართება: ილაპარაკეთ თანმიმდევრულად, რომ ყოველ ახალ ნათქვამს კავშირი ჰქონდეს წინა ნათქვამთან.

რჩევა მოსაუბრისათვის: როდესაც რაიმეს ამბობთ, დარწმუნებული უნდა იყოთ, რომ მსმენელისთვის გასაგებია კავშირი თქვენს მიერ მიწოდებულ შეგყობინებასა და მანამდე არსებულ ინფორმაციას შორის.

4. სტილი: ილაპარაკეთ ზუსტად და გარკვევით. მოერიდეთ ორაზროვანი ფრაზების გამოყენებას. გექსტი უნდა იყოს აგებული მოკლე და გამართული წინადადებებით.

რჩევა მოსაუბრისთვის: თქვენ ვალდებული ხართ ილაპარაკოთ შეძლებისდაგვარად გარკვევით, თუმცა დაზღვეული არა ხართ შეცდომებისაგან. როგორც ყურადღებიანი და გულისხმიერი მოსაუბრე, უნდა დარწმუნდეთ, რომ მსმენელებმა სწორად გაიგეს რისი თქმაც გსურდათ.

ასეთივე გიჟის რჩევები შეიძლება ჩამოყალიბდეს მსმენელის მიმართ. მსმენელი არა მხოლოდ ისმენს თუ რა უთხრეს,

არამედ ცდილობს გაიგოს, თუ რაგომ და როგორ იყო ნათქვამი, ამისთვის:

- განსაზღვრეთ მიზანი. განეწყეთ ყურადღებით მოსასმენად.
- გონება მოიკრიფეთ, ნუ გადაიგანთ ყურადღებას სხვა ობიექტებზე.
- მოისმინეთ ინტერესით და ნუ ჩქარობთ ნაადრევი დასკვნების გამოტანას.
- გაიმეორეთ მოსმენილი სხვა სიტყვებით, დაამუსტეთ, რამდენად სწორად გაიგეთ ნათქვამი.

სხვისი მეტყველების სწორი აღქმა ხელს უწყობს არა მხოლოდ ახალი ინფორმაციის მიღებას, არამედ გაძლევთ მეტ შანსს, რომ თქვენ სიტყვებსაც ყურადღებით მოისმენენ. სწორედ ზემოთ დასახელებული მაქსიმები და მოთხოვნები მსმენელისადმი ხელს უწყობენ ადამიანთა შორის თანამშრომლობას. დავამატებდით, რომ უნდა შეეცადოთ ნაკლებად იხმართოთ სიტყვა-პარაზიტები, კალკა, ეულგარიზმები. მეტყველების სტილი უნდა ითვალისწინებდეს, თუ რა მიზანს ისახავს მოლაპარაკე: უნდა დაარწმუნოს აუდიტორია თუ უბრალოდ მიაწოდოს გარკვეული ინფორმაცია.

უმნიშვნელოვანეს ფაქტორს ზეპირი მეტყველების აღეკავატური გაგებისთვის წარმოადგენს მსმენელთა წინასწარი მოლოდინი და შექმნილი განწყობა. ცნობილია მოსკოვის უნივერსიტეტში ჩატარებული ექსპერიმენტის შედეგები, რომლის განმავლობაშიც სტუდენტთა ორ ჯგუფს ერთი და იგივე საერთაშორისო მიმოხილველი უკითხავდა იდენტურ ლექციას. ერთ შემთხვევაში აუდიტორიის უკანა რიგებში იჯდა ფსიქოლოგის ასისტენტი, რომელიც გარშემო მყოფ სტუდენტებს ეუბნებოდა რომ ლექცია იქნება უინტერესო, ძველ ინფორმაციაზე აგებული, მეორე ჯგუფში კი წინასწარ აწვდიდნენ საწინააღმდეგი ინფორმაციას ლექტორის შესახებ. ლექციის შემდეგ, შეამოწმეს, თუ რამდენად კარგად გაიგეს სტუდენტებმა ლექცია. შედეგი საგრძნობლად განსხვავებული აღმოჩნდა. მეორე ჯგუფის სტუდენტებმა ბევრად უკეთ გაიგეს და დაიმახსოვრეს ლექციის შინაარსი.

თავი XV. სოციალური ბავლენა

ადამიანი, როგორც საზოგადოებრივი არსება, სხვადასხვა სახის სოციალურ აქტივობაშია ჩართული. საზოგადოების სრულყოფილებიან და ღირსეულ წევრად ჩამოყალიბება სოციალიზაციის პროცესის შედეგია. პიროვნების შემოქმედებითი, ესთეტიკური და მნეობრივი თვისებები მის სოციალურ ქცევაშიც ვლინდება. სოციალური ქცევის შესწავლისადმი დიდი ინტერესი იმითაც არის გაპირობებული, რომ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა ყაიდის ხალხთან გვიწევს ურთიერთობა: ზოგი მათგანი ოჯახის წევრია, ახლო მეგობარია, კოლეგაა, თანამდებობით უფროსია, ხელქვეითია, ზოგი კი უცნობია. აღსანიშნავია, რომ ადამიანთა მიერ საზოგადოებრივი აქტივობის განხორციელება მათივე მატერიალურ, სოციალურ და სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას განაპირობებს. ადამიანს ბოლო ერთ კვირაში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენების გახსენებას თუ ეთხოვთ, სავარაუდოა, რომ ძირითადად ის ვითარებები დასახელებდა, რომლებიც სხვა ადამიანებთან ურთიერთობას უკავშირდება. ადამიანის სოციალური ქცევები ადამიანთა ურთიერთობაში ყალიბდება, რომელშიც გადამწყვეტია სოციალური გავლენები. ადამიანთა ურთიერთობას უფრო ხშირად თან სდევს რაიმეგვარი გავლენის მოხდენა – ადამიანის ქცევა სხვა ადამიანების თანდასწრებით, როგორც წესი, იცვლება. სოციალური ფსიქოლოგია – ესაა ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ადამიანთა ურთიერთობას და ამ დროს ცალკეული პიროვნების ან მთელი ჯგუფის ფსიქიკაზე ანდა ქცევაზე მომხდარ გავლენებს.

§ 1. ჯგუფში მიმდინარე პროცესები

ჯგუფში მიმდინარე პროცესების გააზრება მოიცავს ჯგუფის თვისებების, მასში გადაწყვეტილების მიღების თავისებურების, ადამიანის საქმიანობაზე მისი ეფექტების და ე.წ. სოციალური სიზარმაცის საკითხების განხილვას. ჯგუფი ორი ან მეტი ადამიანი-საგან შემდგარ ერთობლიობად განიხილება, რომლის წევრები ერთმანეთთან ურთიერთობენ. ოჯახები, სხვადასხვა შრომითი ორგანიზაციები, სასწავლო და სამეცნიერო დაწესებულებები, სპორტული გუნდები, რელიგიური გაერთიანებები და ა. შ. საზო-

გაღობაში არსებული ჯგუფების მაგალითებია. ჯგუფის წევრების სოციალური ქცევის მარეგულირებელ წესებს ჯგუფის ნორმებს უწოდებენ. მაგალითად, ორკესტრის წევრების ჩაცმულობას, გარკვეული მუსიკალური ნაწარმოების შესრულებას და მსმენელთა მიერ გაშის დაკვრას გარკვეული ნორმები განსაზღვრავს. ნორმების ერთობლიობა, რომელიც ჯგუფში გარკვეული პოზიციის მქონე ადამიანების ქცევას არეგულირებს – სოციალური როლი ეწოდება. ზემოთა მაგალითში სოციალური როლის მიხედვით ორკესტრის დირიჟორს მუსიკოსების შეწყობილი მოქმედების წარმართვა ევალება, ხოლო დამკერვლებმა კი დირიჟორის წარმართველ მოქმედებას მხარი უნდა აუბან. ადამიანის ქცევაზე სოციალური ნორმების და როლის გავლენის საილუსტრაციოდ ორ ცნობილ გამოკვლევას აღვწერთ.

ადამიანის ქცევაზე იმ ჯგუფის სოციალური ნორმები ახდენს ყველაზე მეტ გავლენას, რომელსაც ადამიანი თავის თავს მიაკუთვნებს. ამგვარ ჯგუფებს ეგალონურს უწოდებენ. ეგალონური ჯგუფების გავლენის კანონზომიერებათა შესწავლის კლასიკური ნიმუშია გ. ნიუკომბის გამოკვლევა. მან აშშ-ს ქალაქ ბენინგტონში მდიდარი კონსერვატორული ოჯახებიდან გამოსული მღერობითი სქესის სტუდენტების შეხედულებები შეისწავლა. ეს ოჯახები პირველკურსელთათვის ეგალონური ჯგუფები იყვნენ და ამის შესაბამისად მათი შეხედულებებიც კონსერვატიულობით გამოირჩეოდა. მოულოდნელი არც ის იყო, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში პირველკურსელების უმრავლესობამ (62%) უპირატესობა კონსერვატორ კანდიდატს მიანიჭა. მოულოდნელი კი ის იყო, რომ კონსერვატორ კანდიდატს იმავე ყაიღის ოჯახებიდან გამოსული უფროსკურსელების მხოლოდ 15%-მა დაუჭირა მხარი. რამ განაპირობა ეს შედეგი? გ. ნიუკომბის აზრით, პროფესორ-მასწავლებლები, რომლებიც მის მიერ გამოკვლეულ სტუდენტებს ასწავლიდნენ, ლიბერალური შეხედულებებით გამოირჩეოდნენ; მათი სტუდენტებზე სოციალური გავლენა აშკარად სწორედ უფროსკურსელებთან გამოუღწინდა. უფროსკურსელებისთვის ეგალონური ჯგუფი მათი პროფესორ-მასწავლებლები და არა ოჯახები გახდა. საგულისხმოა ისიც, რომ იგივე ადამიანები გ. ნიუკომბმა 25 წლის შემდეგ ხელმეორედ შეისწავლა. აღმოჩნდა, რომ უმრავლესობას ლიბერალური შეხედულებები არ შეუცვლია. ისიც აღსანიშნავია,

რომ მათ ურთიერთობა ძირითადად. ლიბერალურ შეხედულებათა ხალხთან კქონდათ (ქორწინების, საზოგადოების სხედასხვა წარმომადგენლებთან ურთიერთობის, ორგანიზაციებისადმი საქველმოქმედო დახმარების მანქენებლები).

ადამიანის ქცევაზე მძღაერ გავლენას არა მხოლოდ სოციალური ნორმები, არამედ სოციალური როლებიც ახლენს; ამის კლასიკური ნიმუში უ. ზიმბარდოს ცნობილი გამოკვლევაა. გამოკვლევაში მამრობითი სქესის სგულენგები მონაწილეობდნენ. ისინი შემთხვევითი არჩევანის წესის, ჭაფუქველზე “მეცხოვნეთა” და “პაგიმართა” ჯგუფებად გაყვეს. ექსპერიმენტი ორი კვირის განმავლობაში უნდა ჩაგარებულებო. “მეცხოვნებს” უნიფორმა ჩააცვეს, ისინი მათი როლით გათვალისწინებული წესებით მკაცრად ხელმძღვანელობდნენ. “პაგიმრები” კი სათანადო საკნებში მოათავსეს. მკვლევარი იძულებული გახდა, ექსპერიმენტი 6 დღეში შეეწყვიტა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ორიოდღე დღეში “მეცხოვნეები” და “პაგიმრები” მათთვის შეთავაზებულ როლებში იმდენად შეიჭრნენ, რომ მათ შორის არა მარგო დაძაბული ურთიერთობა დამყარდა, არამედ ამკარა კონფლიქციც დაიწყო. “მეცხოვნეებმა” ბილწსიგყვაობა და უხეში გამოთქმების გამოყენება დაიწყეს, აგორიგარული და ძალზე აგრესიული მოქმედება გამოამქლავნეს. თავის მხრივ “პაგიმრების” ერთი ნაწილი საკმაოდ დათრგუნული ჩანდა, მეორე კი საოცრად აგრესიულ მოქმედებებს მიმართავდა. მაგალითად, ერთ-ერთმა “პაგიმარმა” საჭმლის მიღებაზე უარი თქვა, “მეცხოვნემ” კი ის ამის გამო გამოლანძდა; შელაპარაკება რეალურ ჩხუბში გადაიმარდა. “მეცხოვნეებმა” ურჩი “პაგიმარი” კარცერში მოათავსეს, რამეც სხვა “პაგიმრებმა” პროტესტის ნიშნად საჭმლის მიღებაზე უარი თქვეს და ა. შ. აგორის ამრით, ამ დაუმთავრებელმა ექსპერიმენტმაკ კი ადამიანთა ქცევაზე სოციალური როლების (“მეცხოვნე”, “პაგიმარი”) გავლენა სრულიად ნათლად დაგვანახა. ამ გამოკვლევამ ხელოვნურად გათამაშებული როლების მძღაერი ეფექტები გვიჩვენა; აქედან გამომდინარე, ადელი წარმოსადგენია ის, გავლენა, რომელსაც ამა თუ იმ პროფესიის წარმომადგენლებმა მათ მიერ მიღებული როლების, თანამდებობებისა თუ სოციალური სგატყსის გამო რეალურ ცხოვრებაში განიცდიან. ადამიანთა უმრავლესო

ბის ქცევას განაპირობებს არა იმდენად პიროვნული თვისებები, რამდენადაც სოციალური როლები.

ეს ყოველივე ბუნებრივია, თუკი გავითვალისწინებთ კოლბერგის თეორიას (იხ. თავი III). ადამიანების მხოლოდ უმცირესობა (არაუმეტეს 10-20 %-ისა) თუ იქნება პოსტკონვენციური მორალის დონეზე, ხოლო ახალგაზრდებში ასეთების წილი კიდევ უფრო ნაკლებია (ზიმბარდოს ექსპერიმენტი სომ სტუდენტებზე გარდებოდა). ამიგომ ახალგაზრდების უდიდესი უმრავლესობა იქცევა უპირატესად არა საკუთარი მნეობრივი პრინციპების მიხედვით, არა სინდისის ჩუმი ხმის მიხედვით, არამედ სირცხვილისა და სოციალურ-კონვენციური ნორმების შესაბამისად, უფრო მარტივად: ისე, როგორც ამას მოითხოვს გარემომცველი საზოგადოება და სოციალური როლი.

ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება

როგორც ჯგუფის წევრებს, ყველა ჩვენგანს სშირად სხვადასხვა სახის გადაწყვეტილების მიღება გვიწევს. ოჯახის წევრები მანქანის შეძენის შესახებ მსჯელობენ, სასწავლო პროგრამების შედგენის დროს პედაგოგიური კოლექტივი ახალი საგნების შემოგანის შესახებ მართავს დისკუსიას, პარლამენტში წლის ბიუჯეტის განხილვა მიმდინარეობს. ეს ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების მაგალითებია. ჯგუფში გადაწყვეტილების მიღებას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. ქვემოთ ზოგიერთ მათგანზე შეეჩერდებით.

აღრე ითვლებოდა, რომ სამრეწველო და სახელმწიფო სექტორის ორგანიზაციებში ძირითადად არა უკიდურეს და სარისკო, არამედ ფრთხილ, კომპრომისულ გადაწყვეტილებებს იღებენ. ორგანიზაციებთან შედარებით ცალკეულ ინდივიდების მიერ უფრო შემოქმედებითი და ინოვაციური გადაწყვეტილებები ახასიათებთ. 60-იან წლებში მკვლევართა შორის ეს გავრცელებული შეხედულება ეჭვის ქვეშ დადგა. ამ პერიოდის კვლევების შედეგები გვიჩვენებს, რომ ჯგუფში მიღებული გადაწყვეტილებები უფრო ღიდი რისკის ხარისხით გამოირჩევა, ვიდრე იმავე პირების გადაწყვეტილებები, რომელთა მიღება ინდივიდუალურად წარმოებდა. ინდივიდუალურთან შედარებით ჯგუფურ ვითარება-

ში უფრო სარისკო გადაწყვეტილებების მიღების მოვლენას მკვლევარებმა რისკის გადანაცვლება უწოდეს. ახალი გამოკვლევების თანახმად, ინდივიდუალურად მიღებულ გადაწყვეტილებებთან შედარებით, ჯგუფში მიღებული გადაწყვეტილებები ან უფრო სარისკო, ან უფრო ფრთხილია. ინდივიდუალურ გადაწყვეტილებასთან შედარებით ჯგუფის მიერ უკიდურესი (ან უფრო სარისკო, ან უფრო ფრთხილი) გადაწყვეტილების მიღების გენდენცია ჯგუფის პოლარიზაციის გენდენციის გამოვლინებაა. მაგალითად, ერთ-ერთი გამოკვლევა გვიჩვენებს: რასობრივ შეხედულებათა (დადებითობა-უარყოფითობის თვალსაზრისით) მაღალი და დაბალი მაჩვენებლების ჯგუფებში რასობრივი საკითხების განხილვის შედეგად უფრო მცირე რასობრივი გენდენციურობის მაჩვენებლის მქონე ჯგუფის წევრებს ეს მაჩვენებელი უფრო შეუმცირდათ, ხოლო მაღალი რასობრივი გენდენციურობის მქონე ჯგუფის წევრებს კი პირიქით – გაეზარდათ.

ჯგუფის პოლარიზაციის მოვლენის განმსაზღვრელ ორ ძირითად ფაქტორს გამოყოფენ. პირველში დამარწმუნებელი არგუმენტირება იგულისხმება – ჯგუფის წევრებს, რომლებსაც რაიმე მოვლენის მიმართ თავიდან საშუალო დამოკიდებულება ანუ პოზიცია გააჩნიათ, დამარწმუნებელი არგუმენტების მიწოდების შედეგად საწყისი დამოკიდებულება ყველაზე დამაჯერებელი არგუმენტების შინაარსის მიმართულებით ეცვლება. თვით დამარწმუნებელი არგუმენტები ჯგუფს ან სარისკო, ან ფრთხილი გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებს. მეორე ფაქტორის როლში სოციალური შედარება გამოდის. ჯგუფის წევრებს სურთ, რომ სხვებისთვის ისინი სოციალურად მიმზიდველი იყვნენ, რაც თავის მხრივ, ჯგუფთან თანხმობის გენდენციას განსაზღვრავს. როდესაც ჯგუფის წევრი რაიმე საკითხის შესახებ მთლიანად ჯგუფის დამოკიდებულებას აცნობიერებს, მაშინ ის უკიდურესი პოზიციის დაკავებას ცდილობს, პოზიციის, რომელიც ჯგუფისთვის მისაღები და სასურველია. ჯგუფის ცალკეული წევრების ამ გენდენციას, საბოლოოდ, ჯგუფის მიერ ან ძალზე სარისკო, ან ძალზე ფრთხილი გადაწყვეტილების მიღებამდე მიჰყავართ.

ჯგუფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება ხშირად მცდარია. ამგვარი გადაწყვეტილების თავისებურება და შეცდომების გამოწვევი მიზეზები ი. ჯენისმა გაანალიზა. ასეთი შეცდომების საფუძ-

ვლად მდებარე პროცესს მან ჯგუფური ამროვნება უწოდა. ჯგუფურ ამროვნებაში მცირე, შეჭიდული ჯგუფის მიერ ერთსულოვანი, ნაჩქარევი და უკრიგიკო გადაწყვეტილების მიღების ტენდენცია იგულისხმება. ჯგუფურად მცდარი გადაწყვეტილების მიღების ძირითადი მიზეზია ჯგუფის წევრების მიერ კოლექტიური თანხმობის, ჰარმონიის მიღწევის მიზნით მათ შორის არსებული შინაგანი, ფარული უთანხმოების უგულებელყოფა. შრომითი ჯგუფის წევრებს შორის არსებული მეგობრული, მჭიდრო ურთიერთობა ხშირად ჯგუფის მაღალი პროდუქტულობის საფუძველი ხდება. მაგრამ, გადაწყვეტილებათა მიღების ვითარებაში, ჯგუფის წევრებს შორის არსებულმა სოლიდარობამ შეიძლება მნიშვნელოვანი უარყოფითი შედეგი გამოიღოს. უარყოფითი შედეგის მიზეზია ჯგუფის მაღალი შეჭიდულობა, მის წევრებს შორის ამრთა შესაძლო განსხვავების იგნორირება და ჯგუფის ლიდერის დირექტიული მართვის სტილი (ხელმძღვანელი ხელქვეითებს მისთვის სასურველი გადაწყვეტილების მიღებისკენ უბიძგებს, ხოლო ჯგუფის წევრები, თავის მხრივ, ლიდერის მოლოდინს სიამოვნებით ამართლებენ). ჯგუფური ამროვნების ნათელი მაგალითია ფიდელ კასტროს დამხობის მიზნით აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს მიერ 1400 კუბელი ემიგრანტის 1961 წელს კუბაში შეჭრის შესახებ აშშ-ს ადმინისტრაციის მიერ მიღებული გადაწყვეტილება. ეს აქცია მარცხით დამთავრდა, რის გამოც იმ პერიოდში აშშ-ს პოლიტიკური პრესტიჟი საგრძნობლად დაეცა. აღნიშნული გადაწყვეტილება ჯონ კენედის მიერ თავის უახლოეს მრჩეველებთან მოთათბირების შედეგად იქნა მიღებული. ამ ბედნაფსი გადაწყვეტილების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამერიკის ახლადრჩეული პრეზიდენტის გუნდი ბედმეტად შეჭიდული, დარამბული აღმოჩნდა; გადაწყვეტილების მიღების პროცესში ყოველი კრიტიკული შენიშვნის უგულებელყოფა ან მისი მიჩუმათება ხდებოდა. ამას კი, საბოლოოდ, კუბაში შეჭრის შესახებ ბრძანებაზე პრეზიდენტის ხელმოწერა მოჰყვა.

ლიდერობა

სოციალურ ჯგუფში გადაწყვეტილებებს ხშირად ჯგუფის ლიდერი იღებს. ჯგუფის ეფექტური მოქმედების თვალსაზრისით,

ლიდერის როლია კონკრეტული სამოქმედო მიზნების დასახვა, მათი მიღწევის შესაბამის მოქმედებათა დაგეგმვა და წარმართვა. ამდენად, ლიდერია ის, ვინც ყველაზე ძლიერ ზემოქმედებას ახდენს ჯგუფის წევრებზე და მათ ქცევაზე.

ბუნებრივად ისმის კითხვა: რა განაპირობებს იმას, რომ ჯგუფების წევრთა შორის მხოლოდ კონკრეტული პიროვნებები ხდებიან ლიდერები? ამ კითხვაზე პასუხი, თავდაპირველად, ე.წ. “დიდი პიროვნების” შესახებ შექმნილმა და საკმაოდ პოპულარულმა თვალსაზრისმა გასცა. ამ შეხედულების თანახმად, იმ პიროვნებებისთვის, რომლებიც ლიდერები ხდებიან, იმთავითვე მყარი და ნათლად გამოკვეთილი ინდივიდუალურ-სოციალური თვისებებია დამახასიათებელი (ვინებრივი განვითარების ღონე, თვალთახედვისა და ინგერესების სიფართოვე, მჭევრმეტყველება, სქესი, ასაკი, სიმაღლე, წონა, საკუთარი თავის წარმოჩინების შესაძლებლობა, ემოციების გამოვლენის ფორმა და ხარისხი და ა.შ.). ივარაუდება, რომ ლიდერის ფორმირებას კონკრეტული პიროვნებისთვის ბუნებრივად “მინიჭებული” ამ თვისებათა თავისებური ერთობლიობა განაპირობებს. მაგალითად, ამ კონცეფციის მიხედვით, სხვას რომ თავი დაეანებოთ, ლიდერი საშუალო სიმაღლეზე უფრო მაღალი და, ამავე დროს, მამაკაცი უნდა იყოს. რეალურ ცხოვრებაში ეს ზოგადი მოთხოვნა ხშირად ირღვევა, მრავალი მაგალითი სწორედ საწინააღმდეგოზე მიგვანიშნებს (ნაპოლეონი საშუალოზე დაბალი იყო, ხოლო დიდ ბრიგანეთს პრემიერ-მინისტრის თანამდებობაზე საკმაოდ ეფექტურად მართავდა ქალბატონი მარგარეტ ტეტიერი). ცდისეული მონაცემები შემდეგზე მეტყველებს: მიუხედავად იმისა, რომ ქალის მიერ მენეჯერის ფუნქციების შესრულების მიმართ უარყოფითი შინაარსის მიკერძოებული დამოკიდებულება არსებობს, იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფის წევრები დაიჯერებენ, რომ მდელრობითი სქესის წარმომადგენელი საკმაოდ კომპეტენტური პიროვნებაა, მაშინ მას ლიდერის როლისთვის სავსებით შესაფერისად ჩათვლიან. მაგალითად, ერთ-ერთ გამოკვლევაში, რომელშიც ოთხი წევრიდან (ორი მამაკაცი და ორი ქალი) შემდგარი ჯგუფები იღებდნენ მონაწილეობას, ცდისპირებს სხვადასხვა სახის პრობლემების გადაწყვეტა ევალებოდათ. როდესაც ცდისპირებს ჯგუფის წევრების შესახებ არავითარ ინფორმაციას არ აწვდიდ-

ნენ, მაშინ მათთვის მიცემული დავალების შესრულებაში წამყვან როლს მამაკაცები ასრულებდნენ. იმ შემთხვევაში კი, როდესაც ცდისპირებს შეატყობინეს, რომ გამოკვლევაში მონაწილე ქალები, მათთვის მიცემული დავალების თვალსაზრისით, საჯებოთ კომპეტენტურები და მაღალი ინტელექტის მქონენი არიან, მაშინ ჯგუფის ლიდერის წარმოქმნაში მონაწილეთა სქესს არავითარი მნიშვნელობა აღარ აღმოაჩნდა.

ლიდერის ინდივიდუალურ ნიშან-თვისებებზე ორიენტირებული თეორიული მიდგომა, როგორც მრავალი კვლევითი მონაცემი გვიჩვენებს, მთლიანობაში უნაყოფო აღმოჩნდა. დღეს მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრს იზიარებს, რომ ლიდერის მიერ გამოყენებულ ხელმძღვანელობის სტილს და მისი მოქმედების ეფექტურობას არსებული ვითარების თავისებურება განსაზღვრავს. ჯგუფის ლიდერი ის პიროვნება ხდება, რომლის ქცევა მოცემული სიტუაციის სპეციფიკურ მოთხოვნებს შეესაბამება და აკმაყოფილებს. მაგალითად, მეორე მსოფლიო ომის კრიზისულ ვითარებაში დიდი ბრიტანეთის ლიდერის როლი უინსტონ ჩერჩილს ერგო. ამავე დროს, საგულისხმოა, რომ ომამდე და ომის შემდეგ ანუ მშვიდობის პერიოდში ბრიტანელებს ის თავის ლიდერად არ აურჩევიათ. ინდივიდუალურმა ნიშან-თვისებებმა, რომლებიც ამ პიროვნებას ჰქონდა, იგი მხოლოდ ომიანობის ვითარებაში წარმოაჩინა წარმატებულ ლიდერად.

გასული საუკუნის 40-იან წლებში მკვლევართა ყურადღება ლიდერობის სტილზე გამასვილდა (ჯგუფის წევრებზე ლიდერის გემოქმედების ფორმა). ამ კვლევებს საფუძველი კ. ლეინმა ჩაუყარა. მის ერთ-ერთ კლასიკურ გამოკვლევაში ცდისპირები (ათი წლის ბიჭები) შემთხვევითი არჩევანის წესით სამ ჯგუფად დაყვეს. მრომის გაკვეთილზე ბიჭები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ნაკეთობებს ამზადებდნენ (სადღესასწაულო ცერემონიალისთვის კოსტიუმების კერვა და ნიღბების კეთება). პედაგოგის მიერ მოსწავლეთა საქმიანობის წარმართვის ფორმა სხვადასხვაგვარი იყო. ერთ შემთხვევაში საქმიანობასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებს ერთპიროვნულად მასწავლებელი იღებდა (ავტორიტარული მართვის სტილი); მეორე შემთხვევაში ის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჯგუფის ყველა წევრს რთავდა და საბოლოო არჩევანს ჯგუფი აკეთებდა (დემოკრატი-

ული მართვის სტილი); მესამე შემთხვევაში პედაგოგი მოზარდების საქმიანობაში თითქმის არ ერეოდა და ისინი ფაქტობრივად “ბედის ანაბარა” იყვნენ მიგოვებული (ლიბერალური მართვის სტილი). მონაცემებმა შემდეგი აჩვენა. ავტოკრატიული სტილით მართვის დროს ცდისპირთა საქმიანობა მაღალპროდუქტიული აღმოჩნდა, ხოლო საკუთრივ საქმიანობით მოზარდები ნაკლებად იყვნენ კმაყოფილი. დემოკრატიული სტილით მართვის შემთხვევაში, სხვა ჯგუფის წევრებთან შედარებით, მოზარდებმა საქმიანობისადმი მეტი დაინტერესება გამოავლინეს, ისინი უფრო კმაყოფილებიც იყვნენ და პროდუქციის ხარისხიც უკეთესი იყო. ლიბერალური მართვის სტილით წარმართულმა საქმიანობამ შედეგიც უარესი გამოიღო და ცდისპირთა აშკარა უკმაყოფილებაც გამოიწვია.

ლევინის მიერ გამოყოფილი ლიდერობის ფორმებისა და სათანადო მონაცემების გათვალისწინების საფუძველზე, მისმა მიმდევრებმა მრავალმხრივი კვლევა-ძიება განახორციელეს მრეწველობის სფეროში. პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირებით სავსებით კონკრეტული კითხვა ჩნდება: რა განაპირობებს ლიდერობის ქმედითობას? პასუხი შემდეგია: ჯგუფის ფუნქციონირების ეფექტურობას განაპირობებს ხელქვეითებთან ლიდერის ურთიერთობასა და მოცემული ვითარების ოპტიმალური შესაბამისობა. ამ მიდგომის გამზიარებელთა აზრით, ლიდერობის ორი ფორმა უნდა გამოიყოს. საქმიანობაზე ორიენტირებული ლიდერი, ძირითადად, მომუშავეთა შრომითი საქმიანობის დაგეგმვას, ორგანიზებას, ხელმძღვანელობასა და გაკონტროლებას ცდილობს. ამ შემთხვევაში საკითხი ლიდერის მიერ თავისი თანამდებობრივი მოვალეობის შესრულებას ეხება. საქმეზე ორიენტირებული ლიდერობის სტილი შრომითი და საორგანიზაციო მიზნების განხორციელებაზეა მიმართული. ურთიერთობაზე ორიენტირებული ლიდერი ხელქვეითების მიმართ გულახდილობის, პატივისცემის, მზრუნველობისა და ნდობის გამოვლენას ანიჭებს უპირატესობას. ამგვარი ფორმით ლიდერის მოქმედება, რასაკვირველია, ხელქვეითებთან მისი “ძმობიჭური” დამოკიდებულების არსებობას სრულიადაც არ ნიშნავს. ამ შემთხვევაში ლიდერის მიერ ჯგუფის წევრების მიზნებისა და მოთხოვნილებების გათვალისწინებასთან, გადაწყვეტი-

ლებათა მიღების პროცესში მათ აქტიურ ჩართუასთან და მჭიდრო კომუნიკაციასთან გვაქვს საქმე.

ამ თვალსაზრისის თანახმად, საქმეზე ორიენტირებული ლიდერი უფრო ეფექტურად მაშინ მოქმედებს, როდესაც შრომითი ვითარება მისთვის ან ძალზე ხელსაყრელია ან პირიქით – საკმაოდ არახელსაყრელი. ხოლო ურთიერთობებზე ორიენტირებული ლიდერის მოქმედება უფრო ეფექტურია საშუალო დონის ხელსაყრელ სამუშაო სიგუაციაში.

ჯგუფის გავლენა საქმიანობის ეფექტურობაზე

სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენების პირველივე კვლევებმა ნათლად დაგვანახა, რომ ინდივიდუალური საქმიანობის ვითარებასთან შედარებით, ადამიანი მაშინ მოქმედებს უკეთ, როდესაც ის სხვებს ეჯიბრება. შემდგომში ფ. ოლპორტის მიერ ჩატარებულმა გამოკვლევებმა გვიჩვენა, რომ ადამიანები სხვადასხვა შინაარსის დავალებებს უკეთ არა ცალ-ცალკე ოთახებში, არამედ ერთ საერთო ოთახში ყოფნის დროს ასრულებენ. არა მხოლოდ შეჯიბრი და კონკურენცია, არამედ სხვათა უბრალო თანდასწრება ადამიანის მიერ დავალების შესრულების გაუმჯობესებას განაპირობებს. ამ მოვლენას სოციალურ ფასილიტაციას (ხელის შეწყობას) უწოდებენ. სოციალური ფასილიტაცია სხვათა თანდასწრების გამო ადამიანის მიერ დავალების შესრულების გაუმჯობესებას ნიშნავს.

მომდევნო ემპირიულმა კვლევამ საქმიანობის ეფექტურობაზე ჯგუფის გავლენის არა მხოლოდ დადებითი, არამედ უარყოფითი შედეგებიც გამოავლინა. უკანასკნელს სოციალური ხელისშემშლის მოვლენა უწოდეს. აღმოჩნდა, რომ ჯგუფის გავლენით ადამიანის მოქმედების გაუმჯობესება შედარებით მარტივი დავალებების შესრულების დროს ხდება; საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ადამიანი შედარებით რთულ დავალებებს ასრულებს. გარდა ამისა, სხვათა თანდასწრება ადამიანის მიერ შედარებით კარგად ათვისებულ ანუ დასწავლილ დავალებათა (მოქმედებათა) შესრულებაზე დადებითად მოქმედებს, ხოლო ნაკლებად ან ცუდად დასწავლილ დავალებათა (მოქმედებათა) შესრულებაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

სოციალური უსილიგაციის და საქმიანობის ეფექტურობას შორის არსებული კავშირის ახსნის დროს შეიძლება ექსპერიმენტული ფსიქოლოგიის ცნობილ პრინციპს დავეყრდნოთ, რომლის თანახმად, ღომინირებულ რეაქციას ადამიანში მიმდინარე ავზნება უფრო მეტად აძლიერებს. გაზრდილი ავზნება მარტივი ამოცანების გადაჭრას აუმჯობესებს, რომლის დროსაც სწორი ამოხსნა ღომინირებული რეაქციის როლში გამოდის; მაგალითად, მარტივ ანაგრამებს ადამიანები ადვილად ხსნიან, როდესაც ისინი ავზნებული არიან. რთული ანაგრამების შემთხვევაში, რომელშიც სწორი პასუხები უშუალოდ, თავისთავად არ ჩანს, ავზნება არასწორ რეაქციებს იწვევს. აღნიშნული პრინციპის თანახმად, სავარაუდოა, რომ სხვათა თანდასწრება ალაგზნებს ადამიანს ან მის დაძაბულ მდგომარეობას აძლიერებს. აუდიტორიის წინაშე გამოსვლა ადამიანთა უძრავლესობაში მღელვარების და დაძაბულობის განცდას იწვევს. თუ სოციალური დაძაბულობის განცდა ღომინირებულ რეაქციებს აძლიერებს, მაშინ მან ადამიანის მიერ მარტივი დაეალების შესრულებას ხელი უნდა შეუწყოს, ხოლო იგივე მდგომარეობა რთული დაეალების შესრულებისთვის ხელშემშლელი უნდა იყოს. ეს ყოველივე ექსპერიმენტულად იქნა დადასტურებული.

სოციალური სიზარმაცე

XX საუკუნის დასასრულს ცნობილი გახდა, რომ ჯგუფის კოლექტიური შრომისუნარიანობა მისი ცალკეული წევრის შრომისუნარიანობათა ჯამის ნახევარს არ აღემატება. ამ შედეგის თანახმად, “ძალა ერთობაშია” დევიზის საწინააღმდეგოდ, ინდივიდუალურ ძალისხმევასთან შედარებით ერთიანი მოქმედების შემთხვევაში ჯგუფის ცალკეულმა წევრებმა მოქმედების ნაკლები მოტივაცია შეიძლება გამოამჟღავნონ. ეს, თავის მხრივ, ჯგუფის ფუნქციონირების ეფექტურობაზეც ახლენს გავლენას. ინდივიდუალურ აქტივობასთან შედარებით ჯგუფური მოქმედების ნაკლები პროდუქტიულობის მოვლენას სოციალური სიზარმაცე ეწოდება. სოციალური სიზარმაცის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა ღღესაც მკვლევართა დიდ ინტერესს იწვევს. ამგვარი კვლევის კლასიკურ ვარიანტში ბაგირის გადაძლევის სპე-

ციალური დანადგარი გამოიყენება. თვალეხახვეული ცდისპირები ამ დანადგარის პირველ პოზიციას იკავენ. ბაგირის თავისკენ გადაძლევის მიზნით ცდისპირებს ევალებათ, ამ მცდელობაში რაც შეიძლება მეტი ძალისხმევა გამოავლინონ. საგულისხმო ისაა, რომ როდესაც ცდისპირებს აჯერებენ მათი ძალისხმევის ინდივიდუალურ და არა კოლექტიურ ხასიათში, მაშინ მათ მიერ გამოყენილი ძალისხმევის მაჩვენებელი 18%-ით იზრდება. მსგავსი შედეგია მიღებული ე.წ. იმიტაციურ გამოკვლევებში, მაგალითად, ველოგრენაეორის პედალებს ცდისპირები უფრო ინტენსიურად აგრიანებენ მაშინ, როდესაც სჯერათ, რომ მათ არა კოლექტიური, არამედ ინდივიდუალური მოქმედების პირობებში აკვირდებიან.

სოციალური სიზარმაცის საფუძვლად მდებარე სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების თვალსაზრისით ორი პრინციპია აღსანიშნავი. პირველი პრინციპის თანახმად, რომელსაც პასუხისმგებლობის განაწილებას უწოდებენ, სოციალური სიზარმაცის მოვლენას ადვილი აქვს მაშინ, როდესაც რაიმე აქტივობის დროს ჯგუფის წევრები საერთო საქმეში თავისი წვლილის ანონიმურობას განიცდიან, როდესაც მათ სჯერათ, რომ კოლექტიური მოქმედების საბოლოო შედეგში მათი წვლილი უცნობია. ასეთ ვითარებაში ადამიანი განსორციელებულ საქმიანობაში ძალისხმევას ანუ მოტივაციას მნიშვნელოვნად ამცირებს. პასუხისმგებლობის განაწილების პრინციპი იმაზეც მიგვანიშნებს, რომ სოციალური სიზარმაცის თავიდან აცილება ჯგუფის წევრებისთვის იმ ინფორმაციის მიწოდებით შეიძლება, რომლის თანახმად საერთო საქმიანობაში ყოველი მათგანის ინდივიდუალური წვლილი დამკვირვებლისთვის იქნება ცნობილი და ის მას შეაფასებს. სოციალური სიზარმაცის ამხსნელი მეორე თვალსაზრისის თანახმად, რომელსაც თანასწორობის ანუ სამართლიანობის პრინციპი ეწოდება, ეს მოვლენა დაკავშირებულია ჯგუფის წევრების ძალისხმევის განაწილების რაგვარობასთან. ჯგუფის კონკრეტული წევრის სუბიექტური ვარაუდით, აქტივობაში ჩაბმული ჯგუფის სხვა წევრები მასზე ნაკლებ ძალისხმევას ახორციელებენ; ის ე.წ. შრომის სამართლიანი განაწილების პრინციპით ხელმძღვანელობს. მაგალითად, ოფიციანტი, რომელსაც მიაჩნია, რომ სხვა ოფიციანტები მასთან შედარებით უფრო

ნაკლებ მაგიდებს ემსახურებიან, შრომის სამართლიანი განაწილების პრინციპის დაცვის მიზნით, ნაკლებ ხალხს მოემსახურება. იმ ვითარებაში კი, როდესაც სამართლიან ადამიანს მიაჩნია, რომ ჯგუფის სხვა წევრებიც ისეთივე აქტიურები არიან, როგორც თვითონ, ის თავის მოქმედებაში სოციალური სიზარმაცის გაქტიკას აღარ გამოიყენებს.

§ 2. პიროვნებათშორისი ურთიერთობებით გამოწვეული ბავშვუნა

კონფორმულობა, დამთმობლობა და მორჩილება ადამიანებზე პიროვნებათშორისი ურთიერთობების გავლენის ფორმებია. სოციალური გავლენის ამ ფორმებს ქვემოთ ცალცალკე განვიხილავთ.

კონფორმულობა

კონფორმული ქცევის ხაგოვანი მაგალითია შემდეგი: “უცხრად ვილაყ ადგილიდან მოწყდა და გაიქყა. შესაძლოა, ამ ადამიანს უბრალოდ გაახსენდა, რომ მას ცოლთან შეხვედრაზე ძალზე აგვიანდებოდა. რა მიზეზიც უნდა ყოფილიყო, ის ბროუდ-სტრიტით აღმოსავლეთის მიმართულებით გაქანდა (შეიძლება რესტორან “მრამორის” მიმართულებით, რომელშიც, ჩვეულებრივ, ცოლს ჰაემანს უნიშნავენ). მალე მას კიდეე ერთი მორბენალი – ეტყობა მეგაბეთე ბიჭი – შეუერთდა. შემდეგ კი კიდეე ერთმა წარმოსადეგმა, საქმიანი გარეგნობის ჯენტლმენმაყ უცხრად მოქუსლა... მოკლედ, ათი წუთის შემდეგ გარბოდა ყველა, ვინც კი ჰაი-სტრიტზე დეჰოს და სასამართლოს შენობას შორის იმყამად იმყოფებოდა. თანდათანობით შეუწყობელ მრავალხმიანობაში საშინელი სიგყვა “კაშხალი” გამოიკვეთა. უცნობია ის, თუ პირველმა ვინ დაიყვირა: “კაშხალი გაირღვა!” – გრამეაიში მყოფმა უსუსურმა მოხუცმა ქალმა, ან მოძრაობის მარეგულირებელმა პოლიციელმა, ან რომელიმე ბიჭუნამ, ამას ხომ მნიშვნელობა არცა აქვს. ორი ათასი ადამიანი უმიზეზოდ ერთი მიმართულებით გარბოდა. ხალხში გაისმა: “აღმოსავლეთისაკენ!”, ანუ შორს მდინარისაგან, უსაფრთხო ადგილისკენ...”. ეს მაგალითი ადამიანის კონფორმულობის ბუნებას კარგად გამოხატავს. ერთი თუ ორი ადამიანი, მხოლოდ მათთვის გასაგები მიზეზის გამო, გარკ-

ვეული მიმართულებით გაიქცა და ეს საესეებით საკმარისი აღმოჩნდა იმისთვის, რათა დროის მოკლე მონაკვეთში მათ ყველა ასლევნებოდა. რაგომ მოხდა ეს? იმიტომ, რომ ყველა გარბოდა!

კონფორმულობის ექსპერიმენტული კვლევა ს. ეშის სახელთან არის დაკავშირებული. მის მიერ ჩატარებული კვლევების კლასიკური ვარიანტი შემდეგია. სტუდენტების ჯგუფს (7-9 ადამიანი) მიწოდებული საზღვრის სიგრძის შეფასება ევალებათ. ერთ ნახაგზე სამი განსხვავებული სიგრძის ხაზია ნაჩვენები, ხოლო მეორეზე – ერთი. ცდისპირებს სამი ხაზიდან იმ ხაზების ამორჩევა ევალებათ, რომლებიც, მათი აზრით, ცალკე მოცემული სწორი ხაზის გოლია. ექსპერიმენტი ორ ვარიანტად – ინდივიდუალურად და ჯგუფურად გარდება. ექსპერიმენტის ინდივიდუალურ ვარიანტში სწორი პასუხების რაოდენობა ფაქტობრივად ას პროცენტს უდრიდა. ექსპერიმენტის ჯგუფური ვარიანტი ე.წ. “ცრუმაგიერი” (ყალბი, ანუ ექსპერიმენტატორთან “შეკრული”) ცდისპირების გამოყენებით გარდებოდა. “ცრუმაგიერი” ცდისპირები, რომელთა რაოდენობა შეიღკაცთან ჯგუფში ექვსს უდრიდა, განგებ მცდარ პასუხებს იძლეოდნენ. მხოლოდ მათი შეფასებების შემდეგ ერთი “გულუბყვილო” ცდისპირი მოცემულ ხაზებს თავის შეფასებას აძლევდა. მრავალმხრივმა და მრავალწლიანმა კვლევამ აჩვენა, რომ “გულუბყვილო” ცდისპირთა 37% “ცრუმაგიერი” ცდისპირების მცდარ შეფასებებს იმეორებდა, რაც კონფორმულობის მაჩვენებელია. ემპირიულმა კვლევამ ისიც გვიჩვენა, რომ კონფორმულობის ორი სახე, გარეგანი და შინაგანი კონფორმულობა არსებობს. პირველ შემთხვევაში ადამიანი უმრავლესობის აზრს მხოლოდ მათ დასანახად ანუ გარეგნულად ეთანხმება, ისე, რომ მას შინაგანი თანხმობის განცდა არა აქვს. მეორე შემთხვევაში კი ადამიანი რეალურად ეთანხმება ჯგუფის წევრების შეფასებას და მას იშინავს. ზოგადად კი კონფორმულობა შეიძლება განვმარტოთ, როგორც ჯგუფის რეალურ ან წარმოსახული ბეწოლის შედეგად ადამიანის აზრის და ქცევის გარეგანი ან რეალური შეცვლა.

კონფორმიზმის განმსაზღვრელი ფაქტორების შესწავლა გვიჩვენებს, რომ ეს მოვლენა ჯგუფის მახასიათებლებით არის განპირობებული. ყველაზე დიდ კონფორმულობას ადამიანი ავლენს მაშინ, როდესაც იგი მისთვის მიმზიდველ და დიდი სტატუ-

სის მქონე ჯგუფის სამი ან მეტი წევრის ამრს უპირისპირდება. კონფორმულობის ღიდი მაჩვენებელი ვლინდება მაშინაც, როდესაც ადამიანი პასუხებს (შეფასებებს) საჯაროდ (ჯგუფის წევრების თანდასწრებით) იძლევა.

დამთმობლობა

ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს მის გარშემო მყოფნი მრავალი სახის თხოვნით მიმართავენ. ახლობელი – ფულის სესხებას, მეგობარი – მისი მანქანით სადმე წასვლას, გამყიდველი – რაიმე პროდუქციის შეძენას. პროცესს, რომლის დროსაც ადამიანი სხვების უშუალო თხოვნის შესაბამისად იჭყევა, ისე, რომ ამ ქცევის განუხორციელებლობის შემთხვევაში მას დასჯის ან დანაკარგის შიში არ გააჩნია, დამთმობლობა ეწოდება.

ამ შემთხვევაში მსჯელობა ისეთ ვითარებას ეხება, როდესაც რაიმე რთულად შესასრულებელ საქმეში ადამიანს ვინმეს მხარდაჭერა ესაჭიროება; ამავე დროს იმის დაყოლიება, ვისაც ამგვარი მხარდაჭერის უნარი და შესაძლებლობა აქვს, ძალზე ძნელი და შეუძლებელიც კი შეიძლება იყოს. რა უნდა მოიმოქმედოს ასეთ ვითარებაში ადამიანმა? ერთ-ერთი შესაძლებლობაა ჩაფიქრებულ ღონისძიებაში ადამიანის თანდათანობით ჩართვა ანუ “ჩათრევა”. როგორც კი ადამიანი მცირე დათმობაზე წაეა, ამის შემდეგ მეგის მოთხოვნის შემთხვევაში, მისი დათანხმების ალბათობაც მნიშვნელოვნად იზრდება. დათანხმების ეს ხერხი, რომელსაც “კარში ფეხის ჩადგმა” ეწოდება, ემპირიულად მრავალმხრივ იქნა შესწავლილი. ერთ-ერთ გამოკვლევაში ავგორები შეეცადნენ სახლის პაგრონები იმაში დაერწმუნებინათ, რომ მათ საკუთარ სახლთან გაეკრათ უმარმაზარი პლაკატი წარწერით “საჭესთან ყოფნის დროს ფეხიზღად იყავით!”. იმის გამო, რომ პლაკატი ძალზე უხეირო და პრიმიტიულად პროპაგანდისტული იყო, მაცხოვრებელთა უმრავლესობამ ამ თხოვნაზე უარი განაცხადა, თანხმობა მაცხოვრებელთა მხოლოდ 17%-მა გამოთქვა. ამავე დროს, სახლის პაგრონების მეორე ჯგუფს ექსპერიმენტატორმა წინასწარ “გული მოუღბო”, მან, ასე ვთქვათ, მასპინძლების “კარში ფეხი ჩადგა” – მანქანის უსაფრთხო მართვის მხარდამჭერ პეტიციაზე ხელის მოწერა სთხოვა. რამოდენიმე

კვირის შემდეგ იმავე პლაკატის გაკერის თხოვნით იგივე ხალხი მეორე ექსპერიმენტგაგორმა ჩამოიარა. შედეგებმა აჩვენა, რომ ამ თხოვნას მაცხოვრებელთა 55% დაეთანხმა. ადამიანის დათმობაზე წასვლის ეს ხერხი ეფექტურია იმის გამო, რომ ადამიანის მიერ ვინმესადმი მცირე სამსახურის გაწევა მასზე იმთავითვე გავლენას ახდენს რათა მან შემდგომში უფრო მნიშვნელოვან თხოვნაზე თანხმობა განაცხადოს. ისმის კითხვა: რა განაპირობებს “კარში ფეხის ჩადგმის” ეფექტურობას? ახსნის ერთ-ერთი ვარიანტის თანახმად, ადამიანი საკუთარი სოციალური და ფსიქოლოგიური მახასიათებლების შესახებ ცოდნას თავისივე განხორციელებული ქცევების საფუძველზე იღებს. თუ ადამიანი მცირე დათმობაზე ნებაყოფლობით მიდის, ამ შემთხვევაში ის თავის თავს სხვების დამხმარე პიროვნებად განიხილავს. საკუთარ “მე”-ს შესახებ მისი წარმოდგენა თანამიმდევრული რომ იყოს, ამისთვის ის შემდგომში სხვა თხოვნებსაც უნდა დაეთანხმოს.

მორჩილება

სოციალური გავლენის ფორმათა შორის მორჩილების მოვლენა ამჟამად მკვლევართა ყველაზე დიდ ინტერესს იწვევს. მორჩილებას უწოდებენ ადამიანის ქცევას, რომელიც ავტორიტეტის (გარკვეული ძალაუფლების მქონე პირის) ბეწოლის გამო ხორციელდება. ადამიანთა ამგვარი მოქმედების ნიმუში ძალიან ბევრია. ფაშისტურ გერმანიაში კაცობრიობის საწინააღმდეგო უამრავი დანაშაული იქნა ჩადენილი. ცნობილია ისიც, რომ ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გუშაგად მომუშავე მრავალი ადამიანი ომამდე და მის შემდეგ ცხოვრების წუნდაუღებელ წესს მისდევდა. ამ ადამიანების ფაშისტურ დანაშაულებებში თანამონაწილეობის გაგებისთვის საჭიროა თავისებური სოციალური ვითარების არსებობის დაშვება, რომელიც ჩვეულებრივ ადამიანებს არაჩვეულებრივი დანაშაულებებისკენ უბიძგებს. ანდა გავიხილოთ სოციალური გავლენის ის ფორმები, რომლებიც ასი ათასობით ადამიანს სხვადასხვა რელიგიურ სექტებში აერთიანებს. ამ სექტების დამაარსებლები მათი მიმდევრების მიმართ ხელმძღვანელობენ პრინციპით “ჩემი სურვილი თქვენი სურვილი უნდა იყოს”. ამგვარ სექტებში გაწევრიანება ხშირად უამრო და

საშინელი შედეგებით მთავრდება; მაგალითად, ერთ-ერთი მათგანის 900-ზე მეტმა წარმომადგენელმა სექტის ლიდერის ბრძანება შეასრულა და ჯგუფურად მოიკლა თავი.

ასეთ შემთხვევებში სოციალური ზეწოლის გამო ერთი ადამიანი მეორეს ან საკუთარ თავს შეგნებულად ზიანს აყენებს, რაც სავალალო შედეგით მთავრდება. მორჩილების ფენომენის ყველაზე ცნობილი გამოკვლევა ს. მილგრემის მიერ იყო ჩატარებული. ცდისპირებს ინფორმაციას აწვდიან იმის შესახებ, რომ ისინი მონაწილეობას იღებენ ადამიანის მესხიერების და დასწავლის პროცესების შესწავლაში. ცდისპირების ერთი ნაწილი ექსპერიმენტში “მასწავლებლის”, ხოლო მეორე “მოსწავლის” როლს ასრულებს. ამ უკანასკნელს მაჯებზე ელექტროდებს უკეთებენ და სკამზე სარკველებით ამაგრებენ. “მოწაფეს” ევალება მიწოდებული სიტყვების წყების დამახსოვრება. “მასწავლებელი” კი პულტთან ზის და “მოსწავლის” პასუხებს აღნუსხავს. მცდარი პასუხების შემთხვევაში “მასწავლებელი” პულტის სათანადო დოლაკზე დაჭერით ელექტროდების დარტყმით “მოსწავლეს” არასწორი პასუხისთვის სჯის. ამასთან, “მოსწავლე” “ცრუმაგიერი” ცდისპირია (მსახიობი, რომელიც “დასჯის” სხვადასხვა სიძლიერებზე განსხვავებულ განცდებს გამოხატავს). კვლევაში საკითხი შემდეგნაირად იყო დასმული: ავტორიტეტის (ამ შემთხვევაში ექსპერიმენტატორი) ზეწოლის გამო “მასწავლებელი” (გულუბრყვილო ცდისპირი) რა ინტენსივობის დასჯაზე შეიძლება წავიდეს; იგყვის თუ არა ის უარს ექსპერიმენტის გაგრძელებაზე და ამას როდის გააკეთებს? “მოსწავლის” დასჯის სიძლიერე 15-დან დაწყებული 450-ვოლტამდე მერყეობდა.

აღსანიშნავია კიდევ ერთი გარემოება: მილგრემმა კვლევის დაწყებამდე საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლების გამოკითხვა ჩაატარა, რომლის დროსაც რესპონდენტებს ეკითხებოდა, თუ როგორ მოიქცევიან ისინი აღწერილ ექსპერიმენტულ სიტუაციაში. გამოკითხულთა უმრავლესობის აზრით, არა მხოლოდ ისინი, არამედ სხვა ადამიანების უმრავლესობაც, “მოსწავლის” მიერ ტკივილის განცდის შემთხვევაში ექსპერიმენტის გაგრძელებაზე უარს იგყვის, ხოლო 450 ვოლტით დასჯის გამოყენებას მხოლოდ ამკარა პათოლოგიური ფსიქიკის ადამიანი თუ დაეთანხმება. კვლევის შედეგებმა კი საწინააღმდეგო გა-

მოაქვლინა – ცდისპირთა (“მასწავლებლები”) 2/3-მა მიუხედავად იმისა, რომ “მოსწავლისთვის” განჯეის მომგვრელი ტკივილი უნდა მიეყენებინათ, ექსპერიმენტში მონაწილეობის გავრძელებაზე უარი არ თქვა. მომდევნო გამოკვლევებმა მსგავსი შედეგი სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლებშიც დაადასტურა.

მიღწერების თანახმად, ცდისპირების უმრავლესობის შეცდომა იმით იწყება, რომ ისინი ექსპერიმენტულ ვითარებას “ზნეობრივი არჩევანის სიგუაყიად” არ აღიქვამენ; მინდობილნი არიან რა ავტოროგეტს (ექსპერიმენტგატორი), ეს ადამიანები ავტოროგეტის “აგენტის” ანუ დეპერსონირებული წარმომადგენლის როლში გვევლინებიან. თავისი ცდისპირების “მორალურ ღაცუემას” მკვლევარი შემდეგნაირად აღწერს: ადამიანებს სურთ არა მხოლოდ სხვის, არამედ საკუთარ თვალშიც კარგად გამოიყურებოდნენ. პიროვნების “იდეალური მე” შინაგანი შემაკავებელი რეგულაციის მნიშვნელოვანი წყარო შეიძლება იყოს. უღმობელი საქციელის ჩადენის ცდუნების შემთხვევაში, ადამიანმა თავისი “მე-ხატისათვის” საქციელიდან გამომდინარე შედეგები შეიძლება შეაფასოს და ამგვარი საქციელისაგან თავი შეიკავოს. მაგრამ როდესაც პიროვნება აგენტის ღონებზე დაყვანილი, მაშინ შეფასების ეს მექანიზმი აღარ არსებობს; რადგან მოქმედება უკვე თვით პიროვნების მოტივებიდან აღარ გამომდინარეობს, ამიტომ იგი მის “მე-ხატში” არ აისახება და საკუთარი თავის შესახებ წარმოდგენაზე გავლენას არ ახდენს. ამდენად, როდესაც ადამიანი რაიმეს მხოლოდ ბრძანების გამო ასრულებს, მაშინ, მნეობრივი თვალსაზრისით, მას მოქმედება ნეიტრალურად მიაჩნია და საკუთარი თავიდან მომდინარედ აღარ განიცდის.

§ 3. აბრჰსია

ავრესია ადამიანის ანგისოციალური ქცევის უკიდურესი ფორმაა. სხვისი გაღიზიანება, ცემა და ომი ადამიანის ავრესიული მოქმედების მაგალითებია. ამჟამად ჩვენ მძიმე ღროში ვცხოვრობთ – პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და ეთნიკურ საფუძველზე აღმოცენებული ღოკალური ომები ადამიანთა შორის სასტიკი სიძულვილით და განადგურების მისწრაფებით არის აღსაყესე. ომი სიძულვილის და ფიზიკური განადგურების მკაფიო ნიმუშებს იძლევა. ომი ავრესიის გამოვლენის საშინელი

ფორმაა. აგრესიაში სხვისთვის ზიანის ან გკივილის მიყენების განზრახვით განხორციელებული ფიზიკური ან სიგყვიერი ქმედება იგულისხმება. როდესაც ადამიანი გარკვეული მიზნის მიღწევის დროს თვითდაჯერებულ, ენერგიულ მოქმედებას ასორციელებს, ეს მისი შეუპოვრობის მაჩვენებელია. ხოლო როდესაც ვინმე სხვისთვის გკივილის მიყენების მიზნით რაიმეს მოიმოქმედებს, მაშინ საქმე აგრესიასთან გვაქვს. როგორც ვხედავთ, აგრესიული ქცევის განსხვავებული ხარისხები არსებობს. ექპერიმენტულ ვითარებაში აგრესიის დონე სხვისთვის მიყენებული ზიანის ხარისხით ვლინდება, რომელსაც ცდისპირი “დასასჯელ” სუბიექტს აყენებს.

გამოყოფენ აგრესიის ორ სახეს – მგრულ და ინსტრუმენტულ აგრესიას. მგრული აგრესია ადამიანის ბრამის, შურის, ღვარძლის გრძნობებითაა განპირობებული, მისი ერთადერთი მიზანი სხვისთვის ზიანის მიყენებაა. ხოლო ინსტრუმენტული აგრესიის შემთხვევაში ადამიანი ან ჯგუფი აგრესიას რაიმე მიზნის მისაღწევად მიმართავს, აგრესია მხოლოდ საშუალებაა. პოლიტიკოსები (და არა მარტო ისინი) ომს გარკვეული მიზნის მიღწევით ამართლებენ (ქვეყნის განთავისუფლება, წართმეული ტერიტორიების დაბრუნება, აგრესიაზე აგრესიით პასუხი და ა.შ.).

მეცნიერთა შორის აგრესიის ბუნების შესახებ ორი განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს. პირველის მიხედვით, აგრესია თანდაყოლილი, ინსტინქტური მოვლენაა; ხოლო მეორის მიხედვით, ადამიანის გარემოსთან ურთიერთობის ანუ დასწავლის შედეგია.

თანდაყოლილი აგრესია

ფსოქოანალიზის დამაარსებელი ზ. ფროიდი მიიჩნევდა, რომ ადამიანის აგრესიის მიზეზია ინდივიდის სიკედილისკენ ანუ დესტრუქტივისკენ მიმართული პირველადი ლტოლვა, რომ აგრესიული ენერგია რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა გამოვლინდეს, საწინააღმდეგო შემთხვევაში ის თანდათანობით დაგროვდება და ავადმყოფობის მიზეზი შეიძლება გახდეს. თუ აგრესია არ გამოვლინდა, მაშინ ის ფიზიკური აფეთქების მსგავსად ფსიქიკის დანგრევას გამოიწვევს. ფროიდის აზრით, საზოგადოების ძირითადი ფუნქცია სწორედ ისაა, რომ ეს ადამიანური ინსტინქტი

შებლუდოს, მისი დამანგრეველი ძალა სოციალურად სასარგებლო მოქმედების მიმართულებით წარმართოს. კ. ლორენცი, რომელიც ცხოველთა ქცევას იკვლევდა, აგრესიას უპირატესად როგორც შეგუებით ქცევას და არა როგორც დამანგრეველ ძალას განხილავს. ამ ორ გამოჩენილ მეცნიერს ის აერთიანებს, რომ, მათი აზრით, ადამიანში არსებული აგრესიული ენერჯია ინსტინქტური ბუნებისაა; რომ თუ აგრესია არ განიმუხგა, მაშინ ის ორგანიზმისთვის “დამანგრეველი” გახდება.

ფროიდი თვლის, რომ ადამიანის ქცევის რეგულირებაში აგრესია არა მხოლოდ უარყოფით, არამედ დადებით როლსაც თამაშობს. ადამიანმა მასში დაგროვილი აგრესია რომ არ გამოაუღინოს, მაშინ მასში დაძაბულობა გაიზრდება, დაგროვილი ენერჯია გამოსავლის ძიებას დაიწყებს, რაც უკიდურეს ძალადობაში შეიძლება აისახოს ან ადამიანის ფსიქიკური დაავადების სიმპტომებად მოგვევლინოს. აგრესიული ენერჯიის განმუხგვის ანუ კათარსისის მრავალი ხერხი არსებობს; მათ შორის უფრო ხშირად შემდეგს ასახელებენ: ენერჯიის დახარჯვა და ბრძოლა სოციალურად მისაღებ მოქმედებაში, როგორც, მაგალითად, სპორტული შერკინებაა (ფეხბურთი, პოკეი, რაფი, კრივი და ა.შ.); მეორე, დაგროვილი აგრესიის არადესტრუქციული ფორმით განმუხგვა, კერძოდ, წარმოსახული აგრესია (მაგ., როდესაც ადამიანი წარმოიდგენს იმას, თუ როგორ სცემს ვინმეს); მესამე, პირდაპირი აგრესიული ქცევის განხორციელება, როდესაც ადამიანი ვინმეს ლანძღავს, მას უსიმოვნებას აყენებს, რაიმე სისაძაგლეს ეუბნება.

შეძენილი აგრესია

დღეს მკვლევართა უმრავლესობა იმაშია დარწმუნებული, რომ ადამიანის აგრესია, ცხოველებისაგან განსხვავებით, თავისი არსით არაჯანსაღი გარემოს, უარყოფითი გამოცდილების ანუ დასწავლის შედეგია. საზოგადოდ კი ადამიანის აგრესია ადამიანის თანდაყოლილი და შეძენილი მახასიათებლების ურთიერთმოქმედების რთულ კომპლექსად უნდა მივიჩნიოთ. გამომდინარე აქედან, სწორია ის აზრი, რომ ცხოველთა უმრავლესობა მათ გერიგორიაზე შეჭრილ “უცხოს” თავს დაესხმება, მაგრამ ადამიანის მიმართ ამგვარი მსჯელობა საკითხის ზედმეტ გამარტივებად უნ-

და მივიჩნით. ადამიანთა თანდაყოლილი რეაქციების სტრუქტურა ძალზე მოქნილია და ღრთა განმავლობაში ის არსებითად იცვლება. სწორედ ამიგომაა, რომ აგრესიული ქსევეების გამოვლენის მიხედვით სხვადასხვა კულტურის წარმომადგენლები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავებიან. მაგალითად, ერთსადაიმავე პირობებში ველურად მცხოვრები გომებიდან ზოგი გამორჩეულად მშვიდობისმოყვარე და მხიარულია, აქვს მრავალი დღესასწაული, დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სექსს და მათ რელიგიაში მთავარია ნაყოფიერების დედაღვთაების კულტი; ხოლო ზოგი გამორჩეულად აგრესიულია და მათ კულტურაში მთავარია საბრძოლო იარაღი და ოსტატობა, ხოლო რელიგიაში – ომის მამლეთაების კულტი. ისგორიულად პირველ გიჟს განეკუთვნებოდნენ უძველესი წინააზიის კულტურები: შუმერები, ეგვიპტელები, კავკასიელები, ბასკების წინაპრები და სხვანი; აგრეთვე უძველესი ჩინელები და ინდოელები. მეორე გიჟს განეკუთვნებოდნენ სემიტები (განსაკუთრებით ასირიელები, ფინიკიელები, არაბები), ინდოევროპული (ხეთები, ირანელები, ბერძნები, ლათინები, გერმანიკული და სლავური გომები) და თურქულ-მონღოლური გომები. თანამედროვე ცივილიზებულ სახელმწიფოთა შორისაც ინდუსტრიულად ყველაზე განვითარებულნი სამხედრო ბიუჯეტის სიდიდის გამო პირდაპირ “წელში წყლებიან”; ამ ქვეყნებში ადამიანთა ხოსცვა-ჟლეტა ხომ ჩვეულებრივი რამ ვახდა.

უფრო მეგის მთქმელი ის გარემოებაა, რომ თვით ერთ კულტურაში მომხდარი სოსიალური ძვრები მათი წარმომადგენლების აგრესიულ ქსევაში არსებით ცვლილებებს იწვევს. მაგალითად, ინდიელი იროკეზები ასწლეულების განმავლობაში მშვიდობიანად ცხოვრობდნენ. მათი ძირითადი საქმიანობა ნადირობა იყო. მაგრამ XVII საუკუნეში მათ გერიგორიაზე ჩასულ ევროპელებთან გამალეებულმა ეაჭრობამ მემობელ გურონების გომთან დაპირისპირება გამოიწვია. ამ ორ გომს შორის გასაყოფი ვახდა ცხოველთა ძვირუასი ქურქის მოპოვება, რასაც საომარი შეტაკებები მოჰყვა. აგრესიის მიმეში მათი თანდაყოლილი აგრესიულობა კი არ იყო, არამედ სოსიალური ძვრები, რომლებმაც გომებს შორის დაპირისპირება გამოიწვია. ასევე, გამოკვეთილად მშვიდობისმოყვარე შუმერები, უძველესი ეგვიპტელები და კავკასიელები მომთაბარე დამპყრობელთა შემოსე-

ვების შემდეგ გახდნენ იძულებულნი, ნაწილობრივ მაინც გადასულიყვნენ საბრძოლო ცხოვრების წესზე.

ამკამინდელ მეცნიერებაში ყველაზე აღიარებული შესეღულება შემდეგია: აგრესიულ ქსევათა უდიდესი ნაწილი ინსტრუმენტულია (ქონების თუ გერიგორიის დასაუფლებლად, შურისძიებისთვის ანდა სხვა მიზნების მისაღწევად); თუმცა არსებობს თვითმიზნური ანუ მტრული აგრესიულობაც (მაგ., სადიგმში გამოვლენილი სექსუალური აგრესია). ეს უკანასკნელი შეიძლება თანდაყოლილი იყოს, მაგრამ საქმე ისაა, რომ თანდაყოლილი მტრული აგრესიულობა არის გადახრა და ამიგომ ძალიან იშვიათია – ისევე როგორც ძალიან იშვიათია სხვაგვარი გადახრები: ადამიანის კუდი, ოთხი თითი, გონებაჩამორჩენილობა ან, პირიქით, გენიოსობა, გამორჩეული ღონე და სხვა. მაშ თვითმიზნური აგრესიულობა უპირატესად შეძენილია და შედეგია გარემოს დამთრგუნველ-შემზღუდავი ზეგავლენისა. ცხოველების აგრესიულობა მკვეთრად იმაგებს, თუკი მათ არ ჰყოფნით ბუნებრივად საჭირო სივრცე ან საკვები, ანდა თუკი სქესობრივ მოთხოვნილებას ვერ იკმაყოფილებენ. ასევე ადამიანთა უდიდეს უმრავლესობას მხოლოდ მაშინ უგროვდება მტრული აგრესიულობა, თუკი არ ჰყოფნის „სივრცე“ ფართო აზრით, იზღუდება ბუნებრივი შინაგანი მისწრაფებები და ვერ კმაყოფილდება ძირითადი მოთხოვნილებანი, უპირველესად კი – აქტივობისა, თვითდამკვიდრებისა და თვითგანხორციელებისა.

შეძენილი აგრესიულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეობაა სხვა ადამიანების გაცნობიერებული ან გაუცნობიერებელი მიბაძვით შეძენილი აგრესიულობა, რასაც მომდევნო ქვეთაეში განვიხილავთ.

გელევიზია და აგრესიული ქსევა

აგრესიული ქსევის ე.წ. სოციალური დასწავლის კონცეფციის ავტორს ა. ბანდურას მიაჩნია, რომ ადამიანი აგრესიულ ქსევას იმიგომ კი არ ეუფლება, რომ ის მისთვის სასარგებლოა, არამედ იმიგომ, რომ ის სხვების მოქმედების დაკვირვების საფუძველზე საკუთარი ქსევის “მოდელირებას” ახდენს. როგორც სხვა სოციალურ ჩვევებს, ისე აგრესიულ ქსევას, ადამიანი მის გარშემო

მყოფების მოქმედებათა და მათგან გამომდინარე შედეგების დაკვირვებით და გათვალისწინებით ეუფლება. მის ერთ-ერთ კლასიკურ გამოკვლევაში ბავშვი იატაკზე ზის და ქალაღლისაგან ან პლასტელინისაგან რალაცის გაკეთებას ცდილობს. ერთ-ერთ მომენტში ქალი-ექპერიმენტატორი ბავშვის დასანახად და გასაგონად 10 წუთის განმავლობაში ჩაქუჩით თოჯინის გამეგებით "ცემას" იწყებს და ბოლოს მას ძირს ანარცხებს. გარკვეული დროის შემდეგ ბავშვს იმავე ოთახში გასვლის უფლებას აძლევენ, მაგრამ აფრთხილებენ, რომ სათამაშოებს უნდა გაუფრთხილდეს. მაგრამ ბავშვი ზუსტად იმეორებს უფროსის ქეყვას და თოჯინას გამეგებით ურგყამს და ლანძღავს. ბანდურას მიხედვით, ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება აგრესიული მოქმედების ამგვარი მოვლენების მოდელებს ანუ ნიმუშებს გვთავაზობს. ისინი ოჯახში, სუბკულტურაში და ინფორმაციის მასობრივ საშუალებებში გვეძლევა.

ქეყვის მოდელირების შესწავლაზე შემდეგი სანიმუშო გამოკვლევა ჩატარდა. თავდაპირველად გამოკვლევაში რვაწლიანმა ბიჭებმა მიიღეს მონაწილეობა. აღმოჩნდა, რომ გელევიზით ნანახ ძალადობის კადრებსა და რეალურ აგრესიულ ქეყვებს შორის მაღალი კორელაციაა. თორმეტი წლის შემდეგ იგივე ცდის პირები ხელმეორედ გამოიკვლიეს. მონაცემებმა აჩვენა, რომ ცდისპირები, რომლებმაც რვა წლის ასაკში ძალადობის მრავალი ეპიზოდი ნახეს გელევიზიით, ცხრამეტი წლის ასაკშიც უფრო აგრესიულები იყვნენ იმათთან შედარებით, ვინც თავის დროზე გელევიზიით ნაკლები ძალადობა იხილა. გარდა ამისა, ნათლად გამოვლინდა ის, რომ აგრესიულ ქეყვას საგელევიზიო გადაცემების ნახვა განაპირობებდა და არა პირიქით – აგრესიული ყმაწვილები, რომლებმაც მრავალი ძალადობის ეპიზოდი ნახეს შემდგომში, სხვებთან შედარებით, ამგვარი გადაცემების ყურებას უპირატესობას არ ანიჭებდნენ; მოკლედ რომ ვთქვათ, რვა წლის ასაკში ძალადობის ამსახველი გადაცემების ნახვის სიხშირე ახალგაზრდების მიერ შემდგომში აგრესიული ქეყვის გამოვლინების პროგნოზირების კარგ შესაძლებლობას იძლევა. აღნიშნული კავშირი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში კვლევებმაც დაადასტურა. ეკრანის ზეგაულებნა კიდევ უფრო გაძლიერდა კომპიუტერისა და ინტერნეტის გავრცელების შედეგად.

აღსანიშნავია, რომ დღეს არსებული მომაცემები აგრესიული ქცევის განმუხტვის ან კათარსისის ფსოქოანალიზური კონცეფციის სასარგებლოდ არ მეტყველებს. მიღებულ შედეგებს ე. არონსონი შემდეგნაირად აჯამებს: ყველა მსგავს სიგუაციაში სწორედ კათარსისის საწინააღმდეგო ვითარებასთან გვაქვს საქმე. კენგის უნივერსიტეტის აჯანყებულ სტუდენტებს როგორც კი გყვიას ვესერი, იმ წუთშივე დაეიწყებ საკუთარი თავის დარწმუნებას იმაში, რომ ისინი ამის ღირსი ნამდვილად იყენენ, ხოლო საპროტესტოდ გამოსულ სტუდენტებს უფრო მეტად შევიჯავრებ, ვიდრე ეს საბედისწერო გასროლამდე იყო. საკმარისია, სოფელ მაი-ლაის ბავშვების და ქალების ამოუღებელში მონაწილეობა მივიღო, რომ აზიელების არაადამიანობა უფრო მეტად ვირწმუნო. საკმარისია, შავკანიანებს რიგიან განათლებაზე უარი ვუთხრა, რომ მე უფრო მეტად დაერწმუნდე იმაში, რომ კარგი განათლებით ისინი ვერაფერ სარგებელს ვერ მიიღებენ. შემთხვევათა უმრავლესობაში ძალადობით ძალადობის გენდენცია არ იხსნება – ძალადობა მომდევნო ძალადობას ბადებს.

§ 4. პროსოციალური ძეგვა

ადამიანთა ურთიერთობისთვის არა მხოლოდ აგრესიული მოქმედებაა დამახასიათებელი, არამედ აგრეთვე, პროსოციალური (ალტრუისტული) საქციელიც, ანუ სხვებისადმი თანადგომის გამოვლენა და დახმარების აღმოჩენა. მიჩნეულია, რომ ალტრუისტული ქცევის მამოძრავებელი არის არა საკუთარი ინტერესებისთვის, არამედ სხვების კეთილდღეობაზე უანგარო ზრუნვა. ალტრუისტული საქციელის უამრავი მაგალითი არსებობს. აქ მხოლოდ ერთს ავლნიშნავთ: მეორე მსოფლიო ომის დროს შვედეთის მოქალაქემ რაულ ვალენბერგმა, საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად, ოკუპირებული უნგრეთიდან ათასობით ებრაელის გაქცევას შეუწყო ხელი, აიღო რა მათ გათავისუფლებაზე პირადი პასუხისმგებლობა, მისი საქციელი შემდეგ გმირობად შეფასდა.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში მკვლევართა შორის მიმდინარეობს ცხარე კამათი: არის კი ყოველგვარი ვარეგნულად გამოვლენილი სულგრძელობა და უანგარობა ჭეშმარიტად ალტრუისტული საქციელი? როდესაც მათხოვარს ვინმე რაიმე თანხას უწყალობებს, ეს საქციელი მისთვის ნამდვილად დამახა-

სიათიბელი გულკეთილობის გამოზაგველია, თუ მხოლოდ მის მიერ შინაგანად განცდილი უხერხულობის გაქარწყლების ან მოჩვენებითი სულგრძელობის მაჩვენებელი?

ერთ-ერთი თეალსაზრისის თანახმად, ადამიანი პროსოციალური მოქმედების განხორციელების დროს ქვეყნის უანგარობას ამჟღავნებს. ამ შეხედულების წარმომადგენლებს სხვისადმი გულშემატკივრობის გამოვლენა ადამიანის ბუნებრივ, თანდაყოლილ თვისებად მიაჩნიათ. დღეს პოპულარული სოციოპოლოგიური კონსეფციის თანახმად, რომელიც სულ უფრო დამაჯერებელი მონაცემებით ივსება, ადამიანის სოციალურ, კერძოდ ალტრუისტულ ქცევას ევოლუციურ-გენეტიკური ფესვებიც ასაზრდოებს, რადგან თავდაპირველად მისი ფუნქცია მოდემის შენარჩუნება და ურთიერთსასარგებლო დახმარების უზრუნველყოფა იყო. იგულისხმება, რომ თუ ამგვარი რამ არ ხდება, მაშინ ამის მიზეზი მხოლოდ საზოგადოებაში გაბატონებული ანტიკომუნური ნორმების ბეწოლაში უნდა ვეძებოთ. გამოჩენილი ინგლისელი ეკონომისტის ადამ სმიტის აზრით, ადამიანები მხოლოდ საკუთარი ინტერესებით რომ ხელმძღვანელობდნენ, მაშინ მათ თანავარსებობის განცდისა და ალტრუისტული საქციელის ჩადენის ბუნებრივად მიჩნეული უნარი არ მიეცემოდათ. ამ თეალსაზრისის სასარგებლოდ სათანადო ცდისეული მონაცემები მეტყველებს.

მრავალრიცხოვან გამოკვლევებში მოდელირებული იყო “გაუთვალისწინებელი ინციდენტები”; ცდისპირებს შეეძლოთ უბრალოდ გასცლოდნენ უსიამოვნების მომგვრელ სიტუაციას, მაგრამ ისინი, უმეტესწილად, ამჯობინებდნენ პროსოციალური ქცევის განხორციელებას, ანუ “გასაჭირში მყოფის” დახმარებას. სპეციალურ ექსპერიმენტებში შეისწავლეს ის ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანების მზაობაზე, გამოიძახონ სასწრაფოს მანქანა, დაეხმარონ იმას, ვისაც მანქანა გაუჩერდა, ჩააბარონ სისხლი, გაიღონ ფული, დასარჯონ დრო და ა.შ. მაგალითად, ერთ-ერთ გამოკვლევაში 150 ფსიქოლოგმა 1500-ჯერ იმგზავრა ლიფტში დაახლოებით 5000 მგზავერთან ერთად. ლიფტში მათ “შემთხვევით” უვარდებოდათ ხურდა ან ფანქარი. დახმარების მიღების ალბათობა გარკვეულ ფაქტორებზე აღმოჩნდა დამოკიდებული, მაგალითად სქესზე – ქალებს მეტად ეხმარებოდნენ, ასევე მგზავრების რაოდენობაზე – 3 მგზავრის სიტუაციაში

დახმარების მაჩვენებელი 40% იყო, 6 მკზავრის სიგუაციაში კი ორჯერ ნაკლები. მრავალი გამოკვლევის მონაცემის განზოგადების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ადამიანი იმ შემთხვევაში უფრო გაუწევს სხვას დახმარებას, თუ იგი ახლახან იყო ასეთი ქმედების მოწმე, ასევე იმ შემთხვევაში, თუ მას არ ეჩქარება, თუ მსხვერპლი მართლა იმსახურებს შველას, თუ რაიმეთი წააგავს მას, ან, უბრალოდ, თვითონაა კარგ გუნებაზე და ა.შ.

მკვლევართა ერთ ნაწილს შორის ეთიკური ჰელონიზმის შეხედულებაა გაერცელებული. ამ მიდგომის მიხედვით, ალტრუისტული ქცევის საფუძველი იმაშია, რომ ის სუბიექტს სიამოვნებას უნდა ანიჭებდეს, ხოლო უსიამოვნებას თავიდან აცილებდეს. მართლაც, ადამიანებს მრავალი მიზეზი აქვთ საიმისოდ, რომ ევოლუციურად მოიქცნენ. პროსოციალური ქცევა მაგერიალურ და სოციალურ სარგებელთანაა დაკავშირებული (ვთქვათ, დასაჩუქრება, შექება, სხვების თვალში პატივისცემის დამსახურება და ა.შ.). მაგალითად, პროფესიულ საქმიანობაში უფროსის მიერ ხელქვეითის სიგჷიერი წახალისება, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეს თანამშრომლების თანდასწრებით ხდება, მომუშავეს შრომით მოტივაციას აძლიერებს და, შესაბამისად, ხელს უწყობს მისი შრომითი ქცევის ეფექტურობის ამაღლებას. ხელმძღვანელის მიერ ქვეშევრდომის მკვეთრი ფორმით გაკიცხვა საწინააღმდეგო ეფექტს იძლევა. როგორც ვხედავთ, ალტრუისტული ქცევის საფუძველი უფრო ხშირად ადამიანის თანდაყოლილ თვისებებში კი არ უნდა ვეძებოთ, არამედ იგი გამოცდილებითაა მიღებული.

ამ შეხედულებისაგან განსხვავებით, მკვლევართა მნიშვნელოვანი ნაწილი სხვათა მიერ განხორციელებულ ქცევაზე დაკვირვებით მიღებულ გამოცდილებას ანიჭებს განსაკუთრებულ მნიშვნელობას. ივარაუდება, რომ სხვისი ღია ქცევა სუბიექტისთვის მისაბაძი ნიმუში (მოდელი) ხდება, ხოლო ამ ქცევის გამეორება მოდელირების მექანიზმის ამოქმედებას ნიშნავს. პროსოციალური ქცევის ამ სახით დასწავლის ნიმუშად აღეწეროთ გამოკვლევა, რომელშიც ცდისპირთა ორი ჯგუფი მონაწილეობდა. ერთ-ერთი ჯგუფის თანდასწრებით ექსპერიმენტატორის თანამშრომელი ყალბი ცდისპირი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე თანხმდებოდა სისხლის გაღების პროცედურაზე და კიდევ ახორციელებდა ამას. მეორე ჯგუფს ასეთი მაგალითი არ ჰქონდა. აღმოჩ-

ნდა, რომ დონორობაზე პირველი ჯგუფის 67% დათანხმდა, ხოლო მეორე ჯგუფიდან – მხოლოდ 25%.

მიუხედავად იმისა, რომ პროსოციალური ქცევის რაობის შესახებ ურთიერთგანსხვავებული თვალსაზრისებია გაბოთქმული, ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მისი არსებობის ფაქტები იმდენად ხშირია, რომ კრიტიკულ ვითარებაში გასაჭირში მყოფისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამოვლინება საზოგადოებას მართლაც რომ საგონებელში ავლევს. გასაჭირში მყოფი ადამიანი სადმი გაუგონარი გულგრილი დამოკიდებულების გამქაფების შემდეგი მაგალითი თითქმის ყველა სახელმძღვანელოშია მოყვანილი: ნიუ-იორკის ერთ-ერთ გარეუბანში დღისით-მზისით მოძალადემ ახალგაზრდა ქალს მრავალი ჭრილობა მიაყენა, რის შედეგადაც ის გარდაიცვალა. ამ ვერაგული მკვლელობის სცენას მრავალი ადამიანი აღევენება თვალს. მსხვერპლი შეელას ითხოვდა, მაგრამ თვითმხილველთა შორის არცერთი არ აღმოჩნდა ისეთი, ვინც მას დახმარებას აღმოუჩინდა ან, უკიდურეს შემთხვევაში, გაირჯებოდა და პოლიციას აცნობებდა. ადამიანთა მიერ ამგვარი გულგრილობის გამომქაფების მრავალმა ფაქტმა მკვლევართა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. კრიტიკულ სიტუაციაში თვითმხილველთა ჩაურევლობის განმაპირობებელი ფაქტორების მრავალმხრივი შესწავლა ჯ. დარლიმ და ბ. ლატანემ განახორციელეს. მაგალითად, ერთ-ერთ გამოკვლევაში ქალი-ექსპერიმენტატორი სტუდენტებს კითხვარის შევსებას სთხოვდა. შემდეგ ის გვერდით მყოფ ოთახში გადიოდა და სტუდენტებს ჰპირდებოდა, რომ მალევე დაბრუნდებოდა. გასვლიდან რამდენიმე წუთში ექსპერიმენტატორს “გაუთვალისწინებელი” რამ ემართებოდა (სინამდვილეში ეს იყო მაგნიტოფონის ჩანაწერი): სტუდენტებს ესმოდათ, რომ ქალი სკამზე ავიდა, სკამი დაიმგვრა და იგი მკვეთრი შეძახილით იაგაკმე დაეარდა, დაიწყო გირილი და მოთქმა, თითქოს ფეხი მოიგეხა. დაზარალებულის გოდება დაახლოებით ერთი წუთი გრძელდებოდა. მკვლევარებს აინტერესებდათ, დაეხმარებოდნენ თუ არა ცდისპირები ვაჭირვებაში მყოფ ადამიანს. აქ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ოთახში მყოფი ცდისპირების რაოდენობა იყო (მარგო თუ სხვებთან ერთად). აღმოჩნდა, რომ ოთახში მარგო მყოფი ცდისპირების 70% დასახმარებლად გაეშურა, ხოლო სხვებთან ერთად მყოფთაგან მხოლოდ

6%-მა გააკეთა იგივე. შემდგომმა ინტერვიუმ გამოაქვინა, რომ იმ ცდისპირებმა, რომლებიც ოთახში სხვებთან ერთად იმყოფებოდნენ და მომხდარში არ ჩაერივნენ, თავისი საქციელი იმით გაამართლეს, რომ მათმა პარტნიორებმაც (ისინი სინამდვილეში ექსპერიმენტატორის თანამშრომელი ცრუ ცდისპირები იყვნენ) არაფერი მოიმოქმედეს. აქედან ჩანს, რომ სხვების თანდასწრება სუბიექტს გაჭირვებაში მყოფისადმი დახმარების გაწევისკენ კი არ წარმართავს, არამედ, პირიქით, მის მიერ ამგვარი ქცევის განხორციელების ალბათობას ამცირებს.

თვითმხილველის მიერ დაზარალებულისთვის დახმარების აღმოჩენის გადაწყვეტილება შემდეგი საფეხურების გავლით ხორციელდება: კრიტიკულ სიტუაციაზე ყურადღების გამახვილება, მომხდარი ფაქტის სერიოზულობის შეფასება, შექმნილ ვითარებაში ჩარევაზე პირადი პასუხისმგებლობის აღება. ამავე დროს, მუდამ არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ გადაწყვეტილების მიღების ნებისმიერ საფეხურზე თვითმხილველმა ისეთი არჩევანი გააკეთოს, რომელიც მის უმოქმედობას განაპირობებს. სხვების თანდასწრება თვითმხილველის არჩევანზე მნიშვნელოვნად მოქმედებს. თუ სხვა ადამიანები მომხდარს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ, მაშინ თვითმხილველმა შეიძლება მიიჩნიოს, რომ ამეამად არცთუ ისე მნიშვნელოვანი რამ ხდება. მსგავსად ამისა, გადაწყვეტილების მიღების მეორე ეტაპზე, თუ სუბიექტმა ჩათვალა, რომ სხვები შექმნილ ვითარებას როგორც კრიტიკულს აფასებენ, მაშინ მისი შეფასებაც ალბათ ისეთივე იქნება. გადაწყვეტილების მიღების ამ საფეხურზე სხვათა თანდასწრება თვითმხილველისთვის არა მარტო გარკვეული ინფორმაციის მომგანია, არამედ ის მისივე თვითდამშვიდების მიზნით შეიძლება გახდეს. ამდენად, ნაკლებად შესუთოებული სხვა პირების უბრალო თანდასწრებამ თვითმხილველის ვითარებაში ჩარევის ალბათობა შეიძლება შეამციროს. არჩევანის გაკეთების მესამე ეტაპზე სხვათა თანდასწრება თვითმხილველთა შორის პასუხისმგებლობის განაწილებას იწვევს. ეს იმაში გამოიხატება, რომ რაიმე ქცევის განხორციელებისადმი ადამიანს პირადი პასუხისმგებლობის განცდა უმცირება, რადგან მას მიაჩნია, რომ შექმნილი ვითარების შედეგზე პასუხისმგებლები სხვებიც არიან.

თავი XVI. კლინიკური ფსიქოლოგია

§ 1. ფსიქიკური აშლილობები

ფსიქიკური აშლილობის ცნება

აქამდე შევისწავლიდით ნორმალურ ფსიქიკურ ფუნქციონირებას. ახლა განვიხილოთ ანომალური ფსიქიკური მოქმედების გამოვლინებები, ფსიქიკური აშლილობები. ფსიქიკური აშლილობების დროს ხდება არატიპური, სხვებისთვის ხელისშემშლელი, დეზადაპტური და საფუძველს მოკლებული ქცევა. ასეთი ადამიანები ყველა დროში არსებობდნენ. ძველად ანომალური ქცევა, სიგიჟე ავადმყოფობად არ განიხილებოდა. ითვლებოდა, რომ ადამიანში “ბოროტი სული” დამკვიდრდა და “მკურნალობაც” ამ დემონის დაწყნარებაში ან განდევნაში მდგომარეობდა, რაც მკაცრ და ხშირად სასტიკ მოპყრობასაც კი გულისხმობდა. ანდა პირიქით, ვიკი ზემთავონებულ ადამიანად მიიჩნეოდა და მას რიდით ეპყრობოდნენ, ზოგჯერ კი მას ამკითხავებდნენ კიდევ. მედიცინამ ფსიქიკური დარღვევები ავადმყოფობად მხოლოდ XVIII საუკუნეში ცნო. XIX საუკუნეში უკვე აღიწერა სულით ავადმყოფთა ჩივილები, ანუ სიმპტომები და მათი თანმხლები ობიექტური გამოვლინებები – ნიშნები. ერთმანეთთან მყარად დაკავშირებული სიმპტომებისა და ნიშნების ნაკრების, ანუ სინდრომის საფუძველზე გამოიყო დაავადებათა სახეები – ნოზოლოგიები და შემუშავდა მათი კლასიფიკაციის პრინციპები, რაც ყველაზე მეტად გამოჩენილი ფსიქიატრის ე. კრეპელინის სახელს უკავშირდება. ითვლებოდა, რომ დაავადების მიზეზი ორგანულ დარღვევებში უნდა ვეძებოთ, კერძოდ გვინისა და საზოგადოდ ნერვული სისტემის დაზიანებაში, ბიოქიმიურ და გენეტიკურ ფაქტორებში. ბუნებრივია, რომ ამ მოდელის ფარგლებში გამოყენებულია ისეთი საშუალებები, რომლებიც უშუალოდ სხეულზე მოქმედებს (ფარმაკოლოგიური და ქირურგიული).

მალე ამ ბიოსამედიცინო მიდგომასთან ერთად გაჩნდა ფსიქოლოგიური მიდგომა, რომელსაც საფუძველი ფროიდმა ჩაუყარა. ფსიქიკური დაავადების თავდაპირველი გაგება ფროიდმა ნევროზების, უმეტესად ე.წ. კონვერსიული ისტერიის მკურნალო-

ბის გამოცდილებაზე დააფუძნა. ამ დროს ადამიანს აწუხებს მოგორული, სეკრეგორული, სენსორული თუ სხვა ფუნქციების დარღვევები რაიმე ორგანული მიზეზის გარეშე. ეს არის ფსიქოგრაემატული სიგუაციებით გამოწვეული ფსიქოფიზიკური რეაქციები. გიპური შემთხვევაა გამუდმებული მენსტრუალური ციკლის მქონე პაციენტი ქალის მაგალითი, რომელსაც ქმარი არ უყვარდა და მასთან გაყრის შემდეგ ეს სიმპტომი გაუქრა. ფროიდი ზოგჯერ ახერხებდა ასეთი სიპტომების მოხსნას ჰიპნოზში, მაგრამვირებელ შემთხვევებთან დაკავშირებული ემოციების “გამოთავისუფლების” (ე.წ. კათარსის) მეშვეობით. შემდგომში მან შექმნა ფსიქონალიზური მკურნალობის პრინციპები და ხერხები, მიმართული ავადმყოფობის მიზეზის – შინაგანი არაყნობიერი კონფლიქტების გამოვლენასა და მოხსნაზე. ისინი უფრო ხშირად წარმოიქმნება ადრეულ ასაკში, როცა ერთმანეთს უპირისპირდება ინსტინქტური არაყნობიერი ლგოლევები და რეალობასა და მნეობასთან დაკავშირებული შეზღუდვები.

ფსიქოლოგიური მიდგომის ფარგლებში არსებობს ფსიქიკური აშლილობის ბუნების და მკურნალობის სხვაგვარი გააზრებაც, მაგალითად ბიპევიორისტული, კოგნიტივისტური, ჰუმანისტური და ა.შ., რომელთაც უფრო დაწვრილებით ქვემოთ შეეხებით. ყველა მათგანში ანომალური ქცევის ესა თუ ის ფსიქოლოგიური მიზეზი და მექანიზმივა გათვალისწინებული. ამჟამად უფრო გავრცელებული მიდგომის თანახმად, ფსიქიკური აშლილობა ბიოლოგიური, სოციოკულტურული და ფსიქოლოგიური ფაქტორების შეჯერებისა და ურთიერთქმედების შედეგებია.

გრადიციულ კლასიფიკაციაში დაავადებათა რამდენიმე დიდი ჯგუფი გამოიყოფოდა; მათ შორის მაინც უმთავრესი იყო ფსიქოზებისა და ნევროზების გამოიჯნა. ფსიქოზის დროს ავადმყოფს ეკარგება რეალობასთან კონტაქტი, უჭირს რაციონალური აზროვნება და აქვს დამახინჯებული აღქმა. ნევროზის შემთხვევაში ადამიანი იგანჯება, მაგრამ ინარჩუნებს რაციონალური აზროვნებისა და სოციალური ურთიერთობების უნარს. თანამედროვე კლასიფიკაციებში აქცენტი გაკეთებულია დაავადების ნიშნებისა და სიმპტომების უფრო დეტალურ აღწერაზე, რასაც აშლილობების უფრო მრავალრიცხოვანი ჯგუფების გამოყოფა მოჰყვება. მაგალითად, “ფსიქიკურ აშლილობათა და სგაგისტი-

კის ცნობარში” ანუ ე.წ. DSM-IV-ში 230 ფსიქიკური აშლილობა 17 კატეგორიად არის დაჯგუფებული.

შიზოფრენია

შიზოფრენია არის სერიოზული ფსიქოტური დარღვევების ჯგუფის საერთო სახელი, რომელიც ხასიათდება დემორგანიზებული ან ბოღვითი აზროვნებით, დამახინჯებული აღქმით, არაადეკვატური ემოციებითა და ქცევით. დაავადების პროცესი, როგორც წესი, იწყება ჭაბუკობის ასაკში, ერთნაირად შეეხება ქალებსა და მამაკაცებს, გავრცელებულია ყველა კულტურაში და აღენიშნება მოსახლეობის 1%-ს.

შიზოფრენია ფსიქიკური დარღვევების ფართო სპექტრს მოიცავს, მაგრამ პაციენტების უმრავლესობას ყველა დარღვევა არ აღენიშნება. ეს ყოველთვის უქმნიდა სირთულეს დიაგნოსტიკას, ვინაიდან არ იყო დადგენილი, რამდენი და რა სახის სიმპტომი უნდა გააჩნდეს ადამიანს, რომ იგი შიზოფრენიით დაავადებულად ჩაითვალოს. მიუხედავად ამისა, არსებობს შიზოფრენიის ძირითადი სიმკვამები.

შიზოფრენიის უმთავრეს ნიშნად პიროვნების აზროვნების დემინტეგრაციას ასახელებენ. ავადმყოფს დაკარგული აქვს უნარი, შეინარჩუნოს აზრთა წყობა, არალოგიკურად გადადის ერთი მტკიცებიდან მეორეზე, რის გამოც მსჯელობა აბსურდულ სახეს იღებს. დარღვეულია აზროვნების ოპერატიული მხარეც; მაგალითად, განზოგადება არაარსებითი ნიშნების მიხედვით ხდება. ე.წ. პარანოიალური შიზოფრენიის შემთხვევაში აზროვნება ბოღვის ხასიათს იძენს, ე.ი. აღმოცენდება რეალობასთან შეუსაბამო აკვიატებული წარმოდგენები და დასკვნები, რომელთა სიმტკარეში სუბიექტის დარწმუნება შეუძლებელია (მაგ., ღვინის, თვალთვალის ან განდიდების ბოღვა). ბოღვის დროს ირღვევა მთელი კოგნიტური სფერო (მეხსიერების გარდა). ავადმყოფი ქმნის ბოღვით სისტემას და ამყარებს თავის ბოღვით რწმენას ერთ აკვიატებულ “ლოგიკურ კონსეფსიაში” გაერთიანებული მსჯელობებით. ეს ხშირად ჩაირთავს აღქმის სფეროსაც: აღინიშნება ილუზიები – აღქმულ მოვლენებში სუბიექტი თავისი ბოღვიდან გამომდინარე შინაარსს ღებს. ხდება აგრეთვე ჰალუცინაცი-

ები, ანუ აღქმები რეალური სენსორული გამლიზიანებლის გარეშე; პაციენტს ეჩვენება, რომ ესმის სხვადასხვა ხმა, რომელიც აძლევს ბრძანებებს, აშინებს, შეურაცხყოფს, ადანაშაულებს და ა.შ.

ბოღვის სამყაროს შექმნა მას მერე იწყება, რაც თანდათან იკარგება კონტაქტი გარემოცვასთან, ადამიანი იკეცება საკუთარ თავში. ამას აუტიზმი ეწოდება. აუტიზმი უკიდურესი ევოცენგრიზმია. ავადმყოფობის საწყის სტადიას ახლავს ემოციების მკვეთრი გაძლიერება, რასაც მალე მოჰყვება ემოციური გაცივების სიმპტომები ახლობლებისა და უშუალო გარემოცვის მიმართ, ძველი ინტერესების დაკარგვა, აპათია და მოგადი ემოციური დაჩლუნვება.

ემოციურ სფეროსთან ერთად ირღვევა ქცევითი (ნებულობითი) სფერო. ამის გამოვლინებაა აბულია, ანუ ქცევის რეგულაციის პათოლოგიური დაქვეითება: ადამიანი ვერ აიძულებს თავს, მიიღოს გადაწყვეტილება და საჭიროებისამებრ რაიმე გააკეთოს. მძიმე შემთხვევებში მას ელემენტარული თვითმომსახურებაც კი აღარ ძალუძს. ე.წ. კატატონიური შიზოფრენიის დროს თავს იჩენს ქცევის მოტორული ფუნქციის თავისებური შეცვლა – დაწყებული გადაჭარბებული, მოგვიერ ბობოქარი სამომძრავო აქტივობიდან, დამთავრებული სრული დამუსრუტებით, სტუპორით – ერთ პოზაში ხანგრძლივი გაშეშებით. ამ ფორმის შიზოფრენიის სიმპტომებში შედის აგრეთვე ნეგატივიზმი – უაზრო წინააღმდეგობის გაწევა, მოქმედებაზე არამოტივირებული უარის თქმა. ვერბალური ნეგატივიზმი ე.წ. მუტიზმის სახით ვლინდება. ამ დროს ავადმყოფი სულ არ ლაპარაკობს, თუმცა მეტყველების უნარი შენარჩუნებული აქვს.

ე.წ. დემორგანიზებული შიზოფრენიის სიმპტომებია: უთავბოლო მეტყველება და ქცევისა და ემოციის შეუსაგყვისობა. შიზოფრენიის ეს მესამე ფორმა ყველაზე მეტად წააგავს სიგიჟის გავრცელებულ სტერეოტიპს. ავადმყოფი რაღაცას ბურგყუნებს, ხითხითებს, სულელურად იღიმება და იმანჭება, საკვირველ პოზებს იღებს, შეუძლია უცებ ახარხარდეს ან აგირდეს. ე.წ. არადიფერენცირებული შიზოფრენია მოიცავს დაავადების ყველა იმ ფორმას, რომელიც შიზოფრენიის აღნიშნულ სამ სახეობას არ განეკუთვნება.

ავადმყოფობას მოგვიერ პერიოდული შეტევების ფორმა აქვს, მაგრამ დაავადებულები ცხოვრების დიდ ნაწილს სოციალურ იზოლაციასა და საკუთარ სამყაროში ჩაკეტილები ატარე

ბენ. იშეათია, როცა შიზოფრენიას ერთჯერადი ეპიზოდის სახე აქვს. რომელიც “განიკურნება” და აღარ გამეორდება.

შიზოფრენიის ნამდვილი ბუნების, მისი რეალური გამომწვევი მიზეზების შესახებ შეთანხმებული აზრი არ არსებობს. თანამედროვე მკვლევარების უმეტესობა მას აბსოლუტურად სომატოგენურ დაავადებად თვლის და გენის სტრუქტურულ დაზიანებებს ან იქ მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს და გენეტიკურ ანომალიას უკავშირებს. სხვები ამასთან ერთად ფსიქოლოგიური მიზეზების არსებობასაც აღიარებენ. ის, რომ შიზოფრენიის აღმოცენებაში გენეტიკური ფაქტორი მონაწილეობს, ექვს აღარ იწვევს: ალბათობა იმისა, რომ მონოზიგოტური გყუპი შიზოფრენიით დაავადდება, თუ მისი გყუპისცალი ავადაა, თითქმის 50%-ს უტოლდება; დაახლოებით ასეთივე პერსპექტივა აქვს შიზოფრენიით დაავადებული მშობლების შვილსაც. ისევე როგორც სხვა ფსიქიკური თვისებების (მაგ., ინტელექტის) შემთხვევაში, მემკვიდრეობა არც შიზოფრენიას განსაზღვრავს ცალსახად. გარემოს უთუოდ მიუძღვის თავისი წილი, თუმცა ჯერ ვერ მოინახა თუნდაც ერთი ისეთი გარეგანი მიზეზი, რომელიც შეძლებს ამ დაავადების გამოწვევას მასში, ვისაც არ ჰყავს შიზოფრენიით დაავადებული ნათესავი.

აფექტური აშლილობები

შიზოფრენიის დროს, უპირატესად, კოგნიტური სფერო ზიანდება, ხოლო აფექტური აშლილობის შემთხვევაში მთავარი დარღვევა ემოციურ და ნებელობით სფეროზეა. ძირითადად განასხვავებენ ბიპოლარულ აფექტურ აშლილობებს (სხვანაირად მანიაკალურ-დეპრესიულ ფსიქოზს) და დიდ დეპრესიას. ბიპოლარული აშლილობები ხასიათდება ორი ურთიერთსაწინააღმდეგო ემოციური მდგომარეობის — მანიაკალურის და დეპრესიულის მონაცვლობით. დიდი დეპრესიის, ანუ მონოპოლარული დარღვევისას, ემოციური სფერო მხოლოდ ერთი მიმართულებით არის შეცვლილი.

ბიპოლარული აშლილობა მოიცავს შეგვეების ფაზას და ამ შეგვეათა შორის ინტერვალებს (რემისიებს). შიზოფრენიისაგან განსხვავებით, ბიპოლარული აშლილობისას პიროვნება არ იცვლება; აქ მნიშვნელობა არა აქვს გადაგანილი შეგვეების რაოდენობას. ფაზების სისშირე განსხვავებულია: ზოგს შეგვეა ყო-

ველ წელს და, უმეტესად, სემონურად ემართება (განსაკუთრებით შემოდგომა-გაზაფხულზე), ზოგს კი უფრო იშვიათად. ცვალებადია ფაზის სანგრძლიობაც – რამდენიმე დღიდან რამდენიმე თვემდე. ეს დაავადება მოსახლეობის 1%-ს აღენიშნება, უფრო მეტად ქალებს. გაცილებით გავრცელებულია ღიღი ღეპრესია; ზოგიერთი შეფასებით, ამერიკელი მამაკაცების დაახლოებით 10% და ქალების 20% ცხოვრების რაღაც მონაკვეთში გაივლის ღიღი ღეპრესიის პერიოდს.

მანიაკალურ მდგომარეობას ახასიათებს აგზნებულობა, ჰიპერაქტიურობა, ჭარბსიგყვაობა, ზედმეტი ოპტიმიზმი. თავის მსუბუქ ფორმაში (ე.წ. ჰიპომანია) მისი გარჩევა უბრალო ეიფორიისაგან არ არის ადვილი მდგომარეობის დამძიმების შედეგად ყალიბდება საკუთრივ მანია. მაგულობს არაადექვატურობა: პაციენტები ავლენენ უსაზღვრო ენერჯიას, მოქმედებისა და ლაპარაკის დაუოკებელ წყურვილს; ამასთან, ისინი უსასრულოდ გადადიან თემიდან თემამდე, ვერ ახდენენ ერთ შინაარსზე ყურადღების კონცენტრაციას, რაც მკვეთრად აქვეითებს ინტელექტუალურ პროდუქტულობას. ავადმყოფები ვეღარ ერკვევიან, თუ რა არის მისაღები და რა მიუღებელი სოციალურ და პერსონალურ პლანში (მაგ, სექსუალურ სფეროში). ისინი თავს ყოველსშემძლედ თვლიან. თანდათან უქრებათ რეალობის განცდა, ქცევა ხდება ავანტიურისტული და სოციალურად სახიფათო. გამოკვეთილ შემთხვევებში ყალიბდება განდიდების ბოდვა, თუმცა მას არა აქვს ისეთი უცნაური და ახირებული ფორმა, როგორც შიზოფრენიის დროს.

ღეპრესია ბევრი მხრივ მანიის საპირისპირო მდგომარეობაა. იგი ხასიათდება განსაკუთრებულად გამოკვეთილი უარყოფითი ემოციური ფონით, ცვლილებებით მოტივაციურ-ნებელობით სფეროში და საერთო ქცევითი პასიურობით. სუბიექტურად, ღეპრესიაში მყოფი ადამიანი უარყოფითი, ხშირად უაღრესად მძიმე ემოციური მდგომარეობის გყვეობაშია, დაკარგული აქვს ცხოვრების ხალისი, განჯავს დათრგუნულობა, უიმედობა, სევდა, სასოწარკვეთილება. საფუძვლიანად არის შეზღუდული სურვილები; მოშლილია მოტივაციური მექანიზმები (მაგ, ძილი, მადა, სექსუალური ლტოლვა); მკვეთრად არის დაქვეითებული ნებელობა – ადამიანს ძალიან უჭირს აიძულოს თავი რაიმე გააკეთოს, მით უფრო ის, რაც არ სურს, მაგრამ საჭიროა.

დიდი დეპრესიის დროს ხშირად თავს იჩენს კოგნიტური სფეროს ფუნქციონირების ზოგადი დაქვეითება: აზროვნება შენელებულია, ყურადღების კონცენტრაცია გართულებული, დამახსოვრება და გახსენება გაძნელებული დეპრესიისთვის დამახასიათებელია აკვიატებული აზრები საკუთარ პასუხისმგებლობაზე უარყოფით მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებიც მოხდა მისი ან ახლობლების ცხოვრებაში. უსუსურობის გრძნობას ცხოვრებისეული სირთულეების წინაშე თან ერთვის პერსპექტივის უქონლობის მწვავე განცდა. მკვეთრად არის დაწეული, ზოგჯერ თითქმის განადგურებულია სუბიექტის თვითშეფასება. შეცვლილია დროის აღქმა – დრო წარმოუდგენლად ნელა მიიზღაბნება, განსაკუთრებით დილის საათებში, როდესაც სევდა და შუოთვა ახალი ძალით ეუფლება. საღამოს მცირე შეება იგრძნობა. ქცევა ხდება შენელებული და უინიციატივო; ადამიანი დასუსტებულია, მალე იღლება, რაც, საბოლოოდ, მოქმედების პროდუქტულობის შესამჩნევ კლებას იწვევს.

მძიმე და ხანგრძლივი დეპრესიის დროს ავადმყოფს არ გოვებს თვითმკვლელობასთან დაკავშირებული აზრები. როცა სევდა უსაშველო განჯვის სახეს იღებს, სულიერი განჯვისა, რომელიც ფიზიკურ ტკივილზე გაცილებით მძიმეა, ადამიანმა შეიძლება თვითმკვლელობის მცდელობა განახორციელოს.

დეპრესიის მსუბუქ ფორმებს შეიძლება დაწეული ფუნქციონალური მდგომარეობის ხასიათი ჰქონდეს, რასაც პერიოდულად თითქმის ყველა განიცდის. გამოყოფენ აგრეთვე ე.წ. ნევროზულ დეპრესიასაც, რომელიც ნაკლებ მძიმეა და უპირატესად დადლილობის ან სგრესის შედეგად აღმოცენდება. იგი გამოიხატება ადამიანის მიერ ყოველგვარი ქცევის მეგ-ნაკლებად ცნობიერ უარყოფასა და აქტიურობის აზრის დაკარგვაში.

შფოთვითი აშლილობები

შფოთვით აშლილობებს აქვს რამდენიმე ფორმა, რომელთა საერთო სიმპტომებია ირაციონალური შფოთვის ან შიშის გრძნობა და მისგან თავის დაღწევის მცდელობა. ამის მიღწევას ჩვეულებრივი გზით სუბიექტი ვერ ახერხებს, მაგრამ რეალობასთან კავშირი დაკარგული არა აქვს. საზოგადოდ, ამ აშლილობების სიმპტომები პიროვნებას არ ანგრევს, ამიტომ ფსიქოტურად არ

მიიჩნევა. ძველი კლასიფიკაციით მათ ნევროზებს მიაკუთვნებდნენ. შფოთვისა და შიშს შეიძლება კონკრეტული მისამართი ჰქონდეს ან ფართოდ იყოს გავრცელებული. შესაბამისად, პირველ შემთხვევაში საუბრობენ ფობიებზე, მეორეში – გენერალიზებულ შფოთვით აშლილობებზე.

ფობია არის კონკრეტული ობიექტების, ქცევებისა და სიტუაციების ძლიერი და უსაფუძვლო შიში. ე.წ. სპეციფიკური ფობიების ჩამოყალიბება საკმაოდ ადრე, ჩვეულებრივ, გარდამტეხ ასაკში იწყება და ეხება ღია (აგორაფობია) ან დახშულ (კლავსტროფობია) სიერცეს, სიმაღლეს (აკროფობია), ცხოველებს (ზოოფობია) და ა.შ. ამ შიშების უსაფუძვლობა ადამიანს კარგად ესმის, მაგრამ თავს ვერ ერევა და გაურბის მისთვის „სახიფათო“ ვითარებებს, ხშირად წარმატებითაც; მაგალითად, თვითმფრინავის შიშს, ბოლოს და ბოლოს ემეფება, თუ სხვა სახის გრანსპორტს გამოიყენებს. ე.წ. სოციალური ფობიების შემთხვევაში ადამიანს ეშინია, რომ უუნარო ან დამცირებული გამოჩნდება სხვების თვალში. ამიგომ იგი ცდილობს განერიდოს სოციალური უსერსულობის შემცველ სოციალურ სიტუაციებს: ოფიციალურ შეხვედრებს, საჯარო გამოსვლებს, წვეულებებს და ა.შ.

გენერალიზებული შფოთვითი აშლილობების დროს შფოთვა არ არის დაკავშირებული რაიმე კონკრეტულთან – იგი ყოველს მომცველი და უსასრულოა. შფოთვით დარღვევებში ის ყველაზე მეტად არის გავრცელებული. ამ დარღვევის მქონე პირები მუდამ დაძაბული არიან, რაღაც ცუდის მოლოდინი აქვთ, ახასიათებთ ჭირვეულობა, ზემგრძნობელობა, უჭირთ კონსენგრაცია და გადაწყვეტილების მიღება, აწუხებთ უძილობა. მათ აღენიშნება ფიზიოლოგიური გამოვლინებებიც: გაძლიერებული გულისცემა, ოფლიანობა, კუჭის აშლილობა და სხვა.

შფოთვითი აშლილობების პანიკური ფორმის დროს შფოთვა პერიოდულად იღებს ე.წ. პანიკური შეტევების სახეს; ის მოულოდნელად და უცაბედად იწყება, რამდენიმე წუთს გრძელდება და თან ახლავს გამოხატული ფიზიკური სიმპტომები – გახშირებული სუნთქვა, თავბრუსხვევა, კანკალი, გაქიკარდია, გულყრაც კი. ფსიქოლოგიურად ეს არის უძლიერესი შიში იმისა, რომ მოხდება რაღაც საშინელი და დამღუპველი. ეს განცდა იმდენად არაპროვინომირებადი და დამაფრთხობელია, რომ ავადმყოფებს ხში-

რად უვითარდებათ თვით ამ შეტევის ძლიერი შიში, განსაკუთრებით – ხალხმრავალ ადგილებში (რადგან ისინი თავს უხერხულად გრძნობენ) და სასიფათო ვითარებებში (მაგ., მანქანის მართვისას). შედეგად, ადამიანი ერიდება, დატოვოს „უსაფრთხო“ ადგილები (თაეისი ბინა, შესაძლოა ოთახიც კი) და გაეიდეს ქუჩაში, იმოგზაუროს და ა.შ. ყოველივე ამის კერძო შედეგია ე.წ. აგორაფობია ანუ სახლის გარეთ, განსაკუთრებით ხალხმრავალ ადგილებში, მარტო ყოფნის შიში.

აბსცესური და კომპულსური აშლილობების შემთხვევაში ადამიანს აწუხებს აკვიატებული აზრები (აბსცესია) ან რაიმე მოქმედების შესრულების დაუძლეველი სურვილი (კომპულსია), რომელთაც არავითარი რაციონალური გამართლება არა აქვს. აკვიატებული აზრები უფრო ხშირად ეხება გაჭუჭყიანებას და დასნებოვნებას, აგრესიას და ძალადობას, რელიგიას, სექსს, გამოყოფის პროცესს, წონასწორობისა და სიმეტრიის დაცვას (მაგ., ადამიანს შეიძლება აეკვიატოს აზრი, რომ დაეკარება შეილები, ან რომ ვიღაც გაიგანა მანქანით და ვერ შეამჩნია ეს). აბსცესური აზრები ძლიერ შფოთვას იწვევს. კომპულსიების ნაწილი შეიძლება გავიგოთ, როგორც ინდივიდის მცდელობა დაძლიოს შფოთვა ან წინ აღუდგეს მასში ნაგულისხმევ ხიფათს. მაგალითად, გაჭუჭყიანების იდეით შეპყრობილი პირი შეიძლება გამუდმებით იბანდეს ხელებს, ბავშვების დაკარგვის აბსცესიის მქონე – სულ თავისი შეილების თვალთვალში იყოს. ასეთი დაუძლეველი აზრები და მოქმედებები აწუხებს ადამიანს და მნიშვნელოვნად ართულებს მის ცხოვრებას. ხელის დაბანა ნორმალური მოვლენაა, მაგრამ ყოველ ხუთ წუთში ამის კეთება კანის გადაყვლეფამდე – ანომალიაა.

აბსცესური და კომპულსური აშლილობა ბავშვობაში იჩენს თავს და მოსახლეობის 2-3%-ს ახასიათებს. თუ არ ჩაგარდა მკურნალობა, მდგომარეობა ჩვეულებრივ მძიმდება და ამას თან ერთვის დიდი დეპრესიის შეტევები. სხვათა შორის, ამ ფსიქიკური აშლილობის ნევროლოგიური მექანიზმი წააგავს დეპრესიოსას; მასში ჩართულია გარკვეული ნივთიერების (სეროტონინის) დეფიციტი. ამ ნეირომედიატორის დონის ამწვევი პრეპარატები ამცირებენ აბსცესურ და კომპულსურ გამოვლინებებს.

სხვა ფსიქიკური დარღვევების მსგავსად, აქაც მონაწილეობს გენეტიკური ფაქტორი. იგივე ითქმის ფობიებზეც. მაგრამ შუოთვას, კერძოდ კი შუოთვით აშლილობებს, ფსიქოლოგიური მიზეზებიც აქვს. ფროიდი, მაგალითად, ფიქრობდა, რომ შუოთვა ჩნდება მაშინ, როდესაც ძლიერი არააცნობიერი იმპულსები წინააღმდეგობას აწყდება პიროვნების სხვა შიდა სტრუქტურების ან გარე ვითარების მხრიდან. ამეამად გაერცელებული შეხედულების მიხედვით, ფობია უფრო ხშირად დასწავლის შედეგად აღმოცენდება. კლასიკური განპირობების ან პირობითი რეფლექსის სქემის შესაბამისად, მყარდება ახალი კავშირი რაიმე სტიმულსა (ფობიის ობიექტი) და შიშის ქცევის სხვადასხვა გამოვლინებებს შორის (განრიდება, გულისცემის გასშირება და სხვა). ბევრი ფობია მართლაც ასე წარმოიქმნება, მაგალითად ძაღლების შიში იმის შემდეგ, რაც ძაღლი დაგკბენს, სიმაღლის შიში – კიბიდან ჩამოვარდნის შემდეგ. შეძენილი შიში მისი გამომწვევი ვითარების დავიწყების შემდეგაც რჩება. მეტიც, ის შეიძლება სხვა სტიმულებზეც გაერცელდეს, ანუ გენერალიზაცია განიცადოს. მაგალითად, ბავშვობაში ძაღლის მიერ დაკბენილ ადამიანს შესაძლოა ზოგადად ცხოველების შიში განუვითარდეს, კიბიდან ჩამოვარდნის გამო სიმაღლის შიშით შეპყრობილს – თვითმფრინავის შიში და ა.შ. გენერალიზებულ აუქტურ აშლილობათა დროსაც არსებითად იგივე მექანიზმი მოქმედებს, ოღონდ ამ შემთხვევაში შიში სტიმულების ძალიან ფართო წრეზე ვრცელდება.

დისოციაციური აშლილობები

დისოციაციურ აშლილობს ახასიათებს სუბიექტის მთლიანობის დარღვევა – სინდრომების ჯგუფი, რომელიც მოიცავს ფსიქიკური ფუნქციების, მე-ს რეალურობის ან მოგორული ქცევის ინტეგრირებულობისა და ერთიანობის უეცარ დარღვევას, რის გამოც ამ ფუნქციების ნაწილი იკარგება. დისოციაციურ აშლილობათა სახეებია:

ფსიქოგენური ამნეზია, რომლის დროსაც ადამიანს, რაიმე ორგანული მიზეზის გარეშე, ეკარგება უნარი, გაიხსენოს მნიშვნელოვანი ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ. პაციენტს შენარჩუნებული აქვს ახალი ინფორმაციის დამახსოვრების უნარი,

მაგრამ არ ახსოვს ცხოვრების სხვადასხვა, შესაძლოა საკმაოდ დიდი პერიოდები, რომლებიც, სავარაუდოდ, ვარკვეულ ფსიქიკურ ტრავმებს უკავშირდება.

ფსიქოგენური გაქცევა ან დისოციაციური ფუგა. ამ დაავადებისას ადამიანი ვარბის სახლიდან, რათა სხვაგან, ხშირად საკმაოდ შორს, დაიწყოს ახალი ცხოვრება, როგორც სხვა პიროვნებამ. რამდენიმე დღეში, ან შესაძლოა თვეში, იგი უეცრად გააცნობიერებს თავის ნამდვილ მე-ს, იმას, რომ იმყოფება სრულიად სხვა გარემოში, თუმცა ცნობიერებიდან სრულიად წაშლილი აქვს ის, თუ როგორ მოხდა ამ გარემოში, ასევე ყველაფერი, რაც გაქცევასთან არის დაკავშირებული.

კიდევ უფრო ღრამაგულია პიროვნების იდენტურობის დარღვევა, რაც ე.წ. მრავალი პიროვნების სახით იჩენს თავს ამ შემთხვევაში დისოციაცია იმდენად ძლიერია, რომ ერთ სუბიექტში თითქოს ორი და მეტი სხვადასხვა პიროვნება აღმოცენდება და ყოველი მათგანი, თავისი დომინირების პერიოდში, განსაზღვრავს ინდივიდის ქცევებსა და განწყობებს. ორიგინალური პიროვნება ან რეალური სუბიექტი იმ პერიოდში, როდესაც სხვა პიროვნება დომინირებს, ჩვეულებრივ, ამნეზირებულია. ადამიანი მთლიანად აიგივებს თავს სხვა პიროვნებასთან, ხშირად სხვა სახელით და რეალური პიროვნების ყველა მახასიათებლით – სამყაროსა და თავის თავის ინდივიდუალური აღქმითა და შეხედულებათა სისტემით.

დისოციაციურ აშლილობათა კიდევ ერთი სახეა დეპერსონალიზაცია. ეს არის საკუთარი თავის აღქმის დარღვევა იმ ღონემდე, რომ საკუთარი თავის რეალურობის განცდა დროებით ქრება. დეპერსონალიზაციის ძირითადი დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: ა) საკუთარი ფსიქიკური პროცესებისა და სხეულისაგან დაშორებულობის გრძნობა, იმის განცდა, თითქოს ამ პროცესების გარეგანი დამკვირვებელი ხარ და ბ) იმის განცდა, რომ ხარ ავტომატი, მექანიზმი, რომელიც შენი კონტროლის გარეშე მოქმედებს და თითქოს ყველაფერი სიმმარში ხდება.

სომატომორფული აშლილობები

სომატომორფული აშლილობებისას წინა პლანზეა არა ფსიქიკური, არამედ ფიზიკური სიმპტომები. ავადმყოფს აღენიშნება სხვადასხვა სახის სხეულებრივი ჩივილები ისე, რომ არ არსებ

ბობს ავადმყოფობის არავითარი ორგანული ნიშანი, რომელიც შეიძლება მიაკუთვნო მედიცინაში ცნობილი დაავადებას. ამ ანომალიებში შედის:

კონვერსიული აშლილობები, რომელთაც ფროიდმა უწოდა კონვერსიული ისტერია. ზემოთ აღინიშნა, რომ ფსიქოანალიზურ მიდგომას სწორედ კონვერსიულმა აშლილობებმა დაუღო სათავე. ამ შემთხვევაში პაციენტს მართლა აქვს მოშლილი ორგანიზმის ესა თუ ის ფუნქცია, რაც გამოიხატება კიდურების პარალიზებაში, ნერულ გიკებში, მხედველობის, სმენის, ხმის ნაწილობრივ ან სრულ დაკარგვაში და ა.შ. ავადმყოფი ამ სიმპტომებს არ იგონებს, არ სიმულანგობს, თუმცა მათ რაიმე ორგანული საფუძველი არ გააჩნია. ფროიდი თვლიდა, რომ დათრგუნული ენერჯია, რომელიც არაცნობიერ კონფლიქტებს კვებავს, კონვერსირდება ანუ გარდაიქმნება სომატურ სიმპტომებად, იმის მსგავსად, როგორც, ვთქვათ ორთქლის ძრავა გარდაქმნის სითბურ ენერჯიას მექანიკურ ენერჯიად.

იპოქონდრია კონვერსიულ აშლილობებში ყველაზე მეგად არის გავრცელებული. იგი ვლინდება გადამეტებულ წუხილში საკუთარ ჯანმრთელობაზე. პაციენტი დარწმუნებულია, რომ მას სერიოზული და კონკრეტული დაავადება სჭირს, თუმცა სინამდვილეში ორგანულად სრულებით ჯანმრთელია. იგი გამუდმებით დადის ექიმებთან, ეძებს წამლებს, ინფორმაციას ამ დაავადების შესახებ და ა.შ. დაახლოებით იგივე ხდება ე.წ. სომატიზებული აშლილობის დროსაც. პაციენტი უჩივის ტკივილს ან დისკომფორტს სხეულის სხვადასხვა ნაწილში; მისი ჩივილები სომატური მედიცინის არც ერთ ცნობილ სინდრომში არ თავსდება. ავადმყოფი აღწერს ტკივილებს, რომელთაც არა აქვთ არავითარი ფიზიოლოგიური საფუძველი.

ყოველგვარი სომატომორფული აშლილობის მიზეზი ფსიქიკის სფეროშია საძებნელი. ის შინაგან კონფლიქტებში, სხვადასხვა მძიმე განცდებშია ჩანერგილი. ზოგი ადამიანი სულიერ ტკივილს უშუალოდ განიცდის (მაგ., დეპრესია), ზოგი მისგან დისტანტირდება (მაგ., დისოციაცია), ზოგსაც ის სხეულებრივ ჩივილებში გადაუდის. ასეთია სომატური აშლილობათა ყველაზე ზოგადი ახსნა.

პიროვნების აშლილობები

პიროვნების აშლილობა ანუ ფსიქოპათია, არსებითად, ადამიანის ხასიათის თვისებათა პათოლოგიური ცვლილება, ანუ ხასიათის თავისებურების ავადმყოფური გამწვავებაა; ხდება რომელიმე ნიშანთვისების მეგისმეტი გამძაფრება, რომელიც, ნორმის ფარგლებში, მრავალ ჯანსაღ ადამიანს ახასიათებს. ამიგომ პიროვნების აშლილობათა შემთხვევაში გამსაკუთრებით ჭირს ზღერის გაელევა ნორმასა და პათოლოგიას შორის. ფსიქოპათიის დიაგნოსტიკური კრიტერიუმებია: ა) ხასიათის პათოლოგიური ნიშნების გოგალურობა – ისინი ელინდება ყველგან: სახლში, საზოგადოებაში, მუშაობის, დასვენებისას და ა.შ. ბ) ამ ნიშნების სტაბილობა – ბაემვობიდან, უმეგესად მოზარდობიდან მოყოლებული ისინი ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში მიჰყვება.

განასხვავებენ პიროვნული აშლილობის რამდენიმე სახეობას: პარანოიდული პიროვნებისთვის დამახასიათებელია ზღვარგადასული ეჭვიანობა, სხვებისთვის ბოროტი მრახვების მიწერა; შიზოიდურ პიროვნებას არ გააჩნია სოციალური ურთიერთობის სურვილი და ორიენტირებულია თვითიზოლაციაზე; ისტერიულ პიროვნებას ახასიათებს ქცევის თეატრალურობა და ექსპრესიულობა, დემონსტრაციული ემოციურობა, საკუთარი პერსონისადმი ყურადღების მიჰყრობის მუდმივი სწრაფვა; ნარცისული პიროვნება გადაჭარბებულად აფასებს საკუთარი პერსონის მნიშვნელობას და არაფრად აგდებს სხვების უფლებებს; დამოკიდებული პიროვნება უკიდურესად მორჩილია და განიცდის მფარველობის ქვეშ ყოფნის მუდმივ მოთხოვნილებას; განრიდებული პიროვნება არის უაღრესად მორცხვი და მორიდებული, შეჰყრობილია სოციალურ სიგუაცობთან დაკავშირებული შიშებით; პასიურ-აგრესიული პიროვნება არაპროდუქტიულია, უბოზოდ ჯიუგია, ჯიბრიანი, მუდმივად მოკამათე.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ე.წ. ანტისოციალური პიროვნება, ანუ სოციოპათი. მას ფაქტობრივად არ გააჩნია უნარი, მოიქცეს სოციალური ნორმების შესაბამისად, დაამყაროს მტკიცე სოციალური ურთიერთობები, შეასრულოს სოციალური ვალდებულებები, არა აქვს დანაშაულის განცდა. ახასიათებს უაღრესად თავშეუკავებელი, ფიცხი, ფეთქებადი ხასიათი. სოციოპათია უფრო გავრცელებულია მამაკაცებში. ციხეების ბინადართა 75% სო-

ციოპათია. სოციოპათია, ისევე როგორც პიროვნების აშლილობების დიდი ნაწილი, აშკარად არის განსაზღვრული გენეტიკურად. ნაწილობრივ ამიგომაც, ბევრი კლინიკისტი საკმაოდ სკეპტიკურად აფასებს მათი მკურნალობის პერსპექტივებს.

საესებით შესაძლებელია, რომ პიროვნების აშლილობების აღნიშნული ნიშნები შეეცნოთ საკუთარ თავში ან ახლობლებში. ეს გასაგებია, ვინაიდან ყველა ჩვენგანში აქცენტირებულია ესა თუ ის ხასიათობრივი ნიშანი და იგი შეიძლება პიროვნების აშლილობად იქნას კვალიფიცირებული. მაგრამ, მაშინ სად გადის ზღვარი გამობაგული თავისებურებების მქონე ნორმალურ პიროვნებასა და პიროვნულ აშლილობას, ანუ დაავადებას შორის? როგორ გავარჩიოთ ჩვეულებრივი დაშაშავე სოციოპათისაგან? პრინციპში, ანალოგური კითხვები დაისმის DSM-ში მოცემულ სხვა ფსიქიკური აშლილობების მიმართ, როგორცაა ნარკოტიკული დამოკიდებულება, ალკოჰოლიზმი და სხვა არატიპური ან არასამართლებლივი ქმედება. ასეთივე ფსიქიკური დაავადებაა ეს როგორც შიზოფრენია და ძალიან ხომ არ ფართოვდება გერმინ „ფსიქიკური აშლილობის“ მნიშვნელობა, როდესაც იგი მიეყენება ადამიანის ყოველგვარ მავნე ან მტკივნეულ ქცევას? ასე შეიძლება ადამიანის ინდივიდუალობის ყოველგვარი გამოვლინება სიმპტომად ჩაითვალოს, მას დიაგნოზი დაესვას და „ავადმყოფის იარაღი“ მიეკეროს. ეს პრობლემა გადაჭრილი თუ არა, გაცნობიერებულია თანამედროვე ფსიქოპათოლოგიაში.

რაც შეეხება მკურნალობას, ის დამოკიდებულია როგორც თვით დაავადების ხასიათზე, ისე ზოგად თვალსაზრისზე ფსიქიკურ აშლილობათა ბუნების შესახებ. თუ ეს თვალსაზრისი ბიოლოგიურ მიდგომას შეესაბამება, მკურნალობაც ბიოლოგიური მეთოდებით წარიმართება. ამაში ძირითადად იგულისხმება მედიკამენტები, ნეიროქირურგია და ელექტროშოკური თერაპია. თუ დაავადების ბუნება ფსიქოლოგიური თვალსაზრისით არის გააზრებული, მაშინ აქცენტი ფსიქოთერაპიაზე კეთდება. კლინიკური პრაქტიკა და თვით დაავადების „ობიექტური“ ხასიათი, ხან უპირატესად სამედიცინო მეთოდების გამოყენებას გვკარნახობს (მაგ., შიზოფრენია), ხანაც ფსიქოლოგიურის (მაგ., ნევროზები). ისე კი, უმეტეს შემთხვევაში, ეს მეთოდები კომპლექსურად გამოიყენება.

§ 2. ფსიქოთერაპია და ფსიქოლოგიური კონსულტაცია

ზოგადი ნაწილი

XX საუკუნის დასაწყისიდან გაჩნდა პროფესიები, რომელთა ფუნქცია არის პიროვნების და სხვადასხვა გიპის სოციალური ჯგუფების (ოჯახი, ორგანიზაციის კოლექტივი, პარტია, ეთნოსი და ა.შ.) ფსიქოლოგიური პრობლემების კვალიფიცირებული მოგვარება, რომლებიც ადრე (და ხშირად – ახლაც) ინტუიციით წყდებოდა. ესენი პრაქტიკოსი ფსიქოლოგები არიან, რომლებიც შეიძლება მუშაობდნენ ყველგან – საკონსულტაციო ცენტრებში, სკოლებში, საწარმოებში, საავადმყოფოებში და ა.შ.

პრაქტიკული ფსიქოლოგიის ერთერთი მნიშვნელოვანი მიმართულებაა კონკრეტული პიროვნების დახმარება მისი ფსიქოლოგიური პრობლემების გადაჭრაში. როდესაც პიროვნების ფსიქოლოგიური პრობლემები მის სულიერ თუ ფიზიკურ ჯანმრთელობას აზიანებს, როცა პიროვნება ავადაა, გამოიყენება ფსიქოთერაპია. როდესაც პიროვნება ჯანმრთელია, მაგრამ ფსიქოლოგიური სირთულეები ხელს უშლის ცხოვრებისეული ამოცანების გადაწყვეტაში, როდესაც საჭიროა მისი პიროვნული ზრდა, გამოიყენება ფსიქოლოგიური კონსულტაცია. ეს ორი დარგი თავისი ისტორიით, სტრუქტურით, თეორიებით და მეთოდებით იმდენად ახლოსაა ერთმანეთთან, რომ მათ ერთად განიხილავენ ხოლმე. ისტორიულად პრიორიტეტი ფსიქოთერაპიას ეკუთვნის, მისგან ამოიზარდა ფსიქოლოგიური კონსულტაცია (ერთხანს მას არაკლინიკურ ფსიქოთერაპიასაც ეძახდნენ). ხოლო წინა პარაგრაფში განხილულ დაავადებათა შემთხვევაში გამოიყენება უპირატესად ფსიქიატრია.

უკვე ჰიპოკრატეს (ძვ.წ. IV-V ს.) მიაჩნდა, რომ მეკურნალობის სამი საშუალება არსებობს – დანა, ბალახი და სიტყვა. თანამედროვე სამედიცინო პრაქტიკაში ამ საშუალებებს შეესაბამება, ძირითადად, სამი დარგი – ქირურგია, ფარმაკოლოგია და ფსიქოთერაპია. მათში ფსიქოთერაპია, როგორც მედიცინის დარგი, ყველაზე ახალგაზრდაა, ერთ საუკუნეს ცოგათია აცილებული. ამიგომ მრავალ საკითხზე არაა საერთო აზრი, მათ შორის – თვით გერმინის განსაზღვრებაზე. მრავალი სხვადასხვა განმარ-

ტებიდან ზოგად შინაარსს თუ გამოვიგანთ, შეიძლება ითქვას, რომ ფსიქოთერაპია არის ავადმყოფის მკურნალობა ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, კერძოდ – ზემოქმედებითა და ინფორმაციით (რაც ხშირად სიგყვით გადაიცემა), რომელიც ადამიანში იწვევს გამოჯანმრთელებისთვის (ფსიქოთერაპია) ან წარმატებისთვის (კონსულტაცია) ხელსაყრელ რეაქციას.

„დანა“ მკურნალობის მეთოდია, რადგან როცა ავადდება სხეულის ნაწილი, მის ფიზიკური მოკვეთით შეიძლება ავადმყოფობის მოშორება. წამალი („ბალასი“) მკურნალობის მეთოდია, რადგან ავადმყოფობა ცელის ბიოქიმიურ პროცესებს და საჭირო ნივთიერების ორგანიზმში შეყვანამ ისინი შეიძლება ნორმალურ კალაპოტში მოაქციოს. რა არის დაავადებებში ისეთი, რაც მკურნალობის მეთოდად აქცევს ინფორმაციას, „სიგყვას“, სიგყვიერ ზემოქმედებას?

ცოცხალი ორგანიზმი რთული სისტემაა, რომლის ყველა პროცესი (მათ შორის – ფიზიკური თუ ბიოქიმიური) ემსახურება მთლიან ორგანიზმს, რაც მათი მართვით ხორციელდება. ორგანიზმის მიზანშეწონილ მართვას უზრუნველყოფს ინფორმაციის მიმოცვლა ორგანიზმის შიგნით და ორგანიზმის გარემოსთან ურთიერთობაში. ორგანიზმში ინფორმაციის ფიზიკურ გადაცანას ახორციელებს ნერვული სისტემა, ინფორმაციის შინაარსით კი მოქმედებს ფსიქიკა.

ნერვული სისტემის საშუალებით ფსიქიკა იღებს ინფორმაციას გარემოს და საკუთარი მდგომარეობის შესახებ, აფასებს და იმახსოვრებს მას, გადაამუშავებს (გაიაზრებს) და შემდეგ სხეულის ქვესისტემებს სიგნალს გადასცემს (მართავს მათ), თუ როგორ უნდა შეიცვალოს შექმნილ სიტუაციაში. ამგვარი მექანიზმის გარეშე ვერ გაჩნდებოდა მოთხოვნილება, ემოცია თუ ქცევა, რითაც სულიერი განსხვავდება უსულოსაგან. ამდენად, ორგანიზმის სასიცოცხლო საჭიროებაა, რომ სხეული ემორჩილებოდეს ფსიქიკაში მიმდინარე ინფორმაციულ პროცესებს.

რაკი სხეული ემორჩილება ფსიქიკას, ფსიქიკის არასწორი მოქმედების დროს არასწორად მიმდინარეობს პროცესები სხეულშიც, რის მაგალითებსაც ხშირად იძლევა ყველაზე სომატიზირებული ფსიქიკური პროცესი – ემოცია. თუკი პიროვნების ხასიათის ან მისი ცხოვრების თავისებურებათა გამო ფსიქიკა სისტემა-

გურად ამლილია, შეიძლება აღმოცენდეს როგორც ფსიქიკური დაავადება, ისე სომატური (ბერძნ. soma –სხეული). მაგალითად, ზემოთქმული სტრესმა შეიძლება მოშალოს ორგანიზმის ის სტრუქტურები, რომლებიც სტრესში ინტენსიურადაა ჩართული და ჩამოყალიბდეს ფსიქოსომატური, ანუ ფსიქიკური მიზეზით წარმოშობილი სომატური დაავადებები (გულს-სისხლძარღვთა, საჭმლის მომწელებელი და სასუნთქი სისტემების, იმუნური სისტემის, ონკოლოგიური, ინფექციური და ა.შ.) (იხ. თავი XII). ამდენად, ორგანიზმის სომატური დაავადება, სომატური სტრუქტურების პათოლოგიის გარდა, შეიძლება გამოიწვიოს მისი ფსიქოლოგიური მართვის ხარვეზებმაყ. ეს ხარვეზები, შესაძლებელია, გაჩნდეს პიროვნებაში დაფიქსირებული არასწორი ცნობიერი თუ გაუცნობიერებელი სტილის, ჩვევის, შეხედულების, ცხოვრების წესის ან მსოფლმხედველობის გამო. ამ შემთხვევაში საჭიროა ამ ფიქსირებული პათოგენური ფსიქიკური სტრუქტურების კორექცია. იმავე სტრუქტურების კორექციაა საჭირო პიროვნების ფსიქოლოგიური ზრდისთვის კონსულტაციის პროცესში. ფსიქიკური სტრუქტურების კორექცია ფსიქოთერაპევტის ფუნქციაა, თუმც ოდითგან დღემდე ამ ფუნქციას ბევრი სხვაყ ასრულებს (მშობელი, მეგობარი, მოძღვარი, მასწავლებელი, ექიმი და ა.შ.). მათგან ფსიქოთერაპევტს განასხვავებს, ძირითადად, კვალიფიკაცია.

ფსიქოთერაპიის მეცნიერებაზღელი და მეცნიერული პარადიგმები

პარადიგმა (ბერძნ. para-ზემოთ, dieigma-მოვლენა, paradieigma – საფუძველმდებარე ნიმუში, სტანდარტი, წესი) მეცნიერებათმცოდნეობაში და სოციოლოგიაში აღნიშნავს პრობლემის გადაჭრის იმ მოდელს, ინელექტუალურ სტერეოტიპს, რომელიყ გაზიარებულია საზოგადოების მიერ გარკვეულ ეპოქაში. ერთი პარადიგმა, როგორც მიმდინარეობა, აერთიანებს რამდენიმე თეორიას და მეთოდს. მეცნიერებაზღელი შემეცნების და პრაქტიკის აღწერისას ლაპარაკობენ კულტურულ პარადიგმებზე.

ფსიქოთერაპია დღეს რამდენიმე ასეულ სკოლას ითვლის და მათი რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდება. ერთმანეთის მონათესავე სკოლები, რა თქმა უნდა, შეიძლება დავაჯგუფოთ და

ერთად განვიხილოთ, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არაა პარადიგმა. სკოლის პარადიგმულობას განსაზღვრავს ისიც, თუ რამდენადაა იგი გაზიარებული ამ დარგის წარმომადგენელთა უპრაქტისობის მიერ. თუკი ამ მხრივ შევაფასებთ, ფსიქოთერაპიული პარადიგმების რაოდენობა სულ სუთიოდება. ანალოგიური მდგომარეობაა მეცნიერებამდელ (კულტურულ) პარადიგმებში. ფსიქოთერაპიის მეცნიერებამდელი პარადიგმები, ძირითადად, წარმოიშვა რელიგიების წიაღში. ყოველ რელიგიას აქვს ძლიერი ფსიქოთერაპიული ეფექტი, მაგრამ სპეციფიკურ პარადიგმაზე ლაპარაკი შეიძლება მაშინ, როდესაც მოცემულია ფსიქიკაზე ზემოქმედების გარკვეული სისტემა.

ყველაზე ადრეული და მოზაიკური არის სუგესტიური პარადიგმა (ლათ. suggestio – ჩაგონება, მინიშნება). ფსიქოლოგიასა და მედიცინაში სუგესტია ჰქვია ისეთ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას ადამიანზე, რომელიც მასში აჩენს სურვილებს, ემოციებს, განწყობებს და ა.შ. მათ ადამიანი უფრო ხშირად საკუთარ მისწრაფებად განიხილავს, რადგან ვერ აცნობიერებს თავად ზემოქმედების ფაქტს. განასხვავებენ ჰეტეროსუგესტიას (ბერძნ. heteros – სხვა, სხვისგან) და აუტოსუგესტიას (ბერძნ. autos – თვითონ). ასევე, განასხვავებენ სუგესტიას სიფხიზლეში, ჰიპნოზურ ტრანსში და პოსტჰიპნოზურ სუგესტიას.

სიფხიზლეში ჩატარებული სამედიცინო სუგესტიის თვალსაჩინო მაგალითია XVIII საუკუნეში აღმოჩენილი მოვლენა, რომელსაც პლაცებოს ეფექტს უწოდებენ (ლათ. placebo - მოვეწონები). პლაცებო სამედიცინო მხრივ ნეიგრალური ნივთიერებაა, რომელსაც ავადმყოფს აწვდიან როგორც „მოწონებულ“ წამალს. ეს „კეთილი გყუილი“ ხშირად აჯანმრთელებს ადამიანს. პლაცებო დადებითად მოქმედებს, როცა მისი შემთავაზებულ ექიმს დიდი ავტორიტეტი აქვს, როცა წამლის ფასი მაღალია (რაც მის მაღალ ხარისხს გულისხმობს), როცა პრეპარატი სენსორულად თვალში საცემია (მსხვილი ზომა აქვს და ფერადოვანია), როცა მისი მწარმოებელი ფირმა საქვეყნოდაა ცნობილი და ა.შ. ადვილი დასანახია, რომ ჩაგონება გარკვეულ ლოგიკას ეფუძნება – თუ არსებობს ის, რაც მოგადად ხელს უწყობს გამოაჯანმრთელებს, პიროვნებას იჯერებს, რომ გამოაჯანმრთელდება. პლაცებოეფექტის დროს ეს ლოგიკა და რწმენა სჯობნის წამლის ქი-

მიას. პლაცებოს ეუქიტი შეიძლება ახლდეს როგორც წამალს, ისე მკურნალს და სამკურნალო პროცედურებს. „პლაცებო-პროცედურების“, ანუ პროცედურით სუგესტიის მაგალითებს, როცა პროცედურა რეალურად არ შეიცავს სამკურნალო კომპონენტებს და მაინც იწვევს გამოჯანმრთელებას. უხეად იძლევა მცხნიერებამდელი თერაპია (იხ. თავი II).

პირველყოფილ კულტურებში უკვე იყვნენ ადამიანები, რომლებიც მკურნალობდნენ ავადმყოფს – ჯაღოქრები, მისნები, გრძნეულები, მკურნალები, შემლოცეულები და ა.შ. მათ მიეკუთვნებოდა შამანიც (გუნგუსურად, მიახლოებით, ნიშნავს გრანსულ ცოდნას), რომლის სპეციფიკა ის იყო, რომ შეეძლო ექსტაგაზურ გრანსში შესვლა და „სულებთან ურთიერთობა“. შამანიზმის პირველ ნიშნებს პოულობენ 40 000 წლის წინანდელ კედლის მხატვრობაში. როგორც ჩანს, ამავე ასაკისაა სუგესტიური პარადიგმა, რადგან შამანური მკურნალობის ეუქიტურობა სუგესტიით აიხსნება.

შამანიზმი ანიმისგურმა კულტურამ წარმოიშვა (ლათ. anima, animus – სამშვინველი, სული), რომელიც რელიგიის ყველაზე ადრეული ფორმაა და დღესაც ბევრგანაა გავრცელებული. ანიმისმი ეფუძნება რწმენას, რომ ყველაფერს განაგებს სულთა სამყარო და რომ სიკვდილი არის სხეულიდან სულის წასვლა (ენაში შემორჩენილი სიტყვები „სულიერი“, „უსული“, „სული განუგევა“ და მრავალი სხვა ფორმა ამ თვალსაზრისის ანარეკლია). ძილი და ავადმყოფობა სხეულიდან სულის დროებით წასვლად მიაჩნდათ. ავადმყოფი ანდა მძინარე მოკვდება, თუკი წასული სული არ დაუბრუნდა. შამანის მკურნალობის „მეთოდი“ არის ავადმყოფის სულის მიბრუნება პაგრონთან. რადგან ავადმყოფის სული შეიძლება „სულთა ქვეყანაში“ წავიდეს, სადაც მხოლოდ უსხეულო სულმა შეიძლება შეაღწიოს, შამანი გადადის გრანსში, ანუ „ათაეისუფლებს სულს სხეულისაგან“ და „ავგზავნის“ მას ავადმყოფის სულის მოსაძებნად (დღეს ამგვარ აქტიურ გრანსს ეუწოდებთ პიანოზს). გრანსში მყოფი თვალდახუჭული შამანი საკრავების ხმაზე ეკუვავს და თან ხმამღლა წამღერებით პყეება თავის ხილვებს, ანუ იმას, თუ როგორ ებრძვის დემონებს მისი სული ავადმყოფის სულის გამოსახსნელად. ეს შთამბეჭდავი პროცედურა ავადმყოფის საწოლთან 5-6 საათს გრძელდება რამდენიმე ღამის განმავლობა-

ში. როცა შამანის მონათხრობში ღებდა „სულის დაბრუნების“ ეგაპი, ავადმყოფი ჯანმრთელდება ხოლმე. გემოთქმულს თუ გავისხენებთ, უნდა ვიგულისხმოთ, რომ შამანის პროცედურები პლაცებოფუქტს ახდენს და, უმეტესად, ესაა ავადმყოფის განკურნების მიზეზი. საინტერესოა, რომ ამ მკურნალობის შემდეგ უმჯობესდება არა მარტო პაციენტის, არამედ თვით შამანის ჯანმრთელობაც. აქ უკვე სავარაუდოა, რომ შამანზე მოქმედებს ჰიპნოზი, რომლის თერაპიულ ეფექტზე ქვემოთ ვისაუბრებთ.

საკუთრივ ჰიპნოზური სუგესტიის, განსაკუთრებით – აუტოჰიპნოზის (მედიტაციის, აუტოგრენინგის) მიზანმიმართული გამოყენება უფრო განვითარებულ რელიგიებს უკავშირდება. ყველა რელიგია მეგ-ნაკლებად იცნობდა გრანსს. განსაკუთრებით განვითარდა მართული გრანსის კულტურა შამანიზმიდან წამოსულ რელიგიებში – ჩინურ დაოსიზმში და ჩან-ბუდიზმში, ინდურ ინდუიზმსა და ბუდიზმში, იაპონურ ძენ-ბუდიზმში, ირანულ შაზდეანობასა და სუფიზმში. უმეტესად გრანსში რელიგიური მიზნით შედიოდნენ. გრანსში შესვლის უნარის გამომუშავება რელიგიურ მიზნად იყო დასახული, რადგან მიაჩნდათ, რომ ამ მდგომარეობაში სული თავისუფლება სხეულისაგან (გრანსში მყოფი ტკივილს, სიცივეს და სხვა სხეულებრივ შეგრძნებებს ვერ გრძნობს ისევე, როგორც ვერ გრძნობს მოთხოვნილებებს და ემოციებს, თუ ისინი გრანსის სიუქეგით არაა ნაგულისხმევი). იგულისხმებოდა, რომ სხეულისაგან თავისუფალი სული სულთა სამყაროს სწვდება და ღვთაებრივ თვისებებს იძენს, რაც ყველა მორწმუნის სწრაფვის მიზანია. გაცნობიერებული იყო ისიც, რომ გრანსს ახლდა ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის საგრძნობი გაუმჯობესება (თვითრეგულაციის ერთ-ერთი ამგვარი სისტემა – იოგა, ღღეს ცნობილია, როგორც დაავადების პროფილაქტიკის და მკურნალობის ეფექტური საშუალება). ასე მიიყვანა ანიმისტურმა მითებმა შორეული აღმოსავლეთი ჰიპნოზისა და აუტოჰიპნოზის აღმოჩენამდე (იხ. თავი VI).

მითიდან, ოლონდ „ფიზიკური მითიდან“ მივიდა ჰიპნოზამდე ევროპაც. XVIII საუკუნის ენციკლოპედისტგი ფრანც ანტონ მესმერი, პარაცელსის მსგავსად, მაგნიტის სხეულზე გატარებით მკურნალობდა პაციენტებს. მას შემდეგ, რაც მესმერი ნევროზულ არისტოკრატ ქალებს სხეულის გასწვრივ რამდენიმეჯერ გაუტა-

რებდა მაგნიტს, ისინი გრანსში ვარდებოდნენ და გამოუხიზლეს მისი შემდეგ ჯანმრთელდებოდნენ. მოგვიანებით იგივე ეუფქტი მიიღო მესმერმა მსოლოდ ხელის გადაგარებით და მიიჩნია, რომ თავად მას ჰქონდა „ეხოველური მაგნიტიზმი“. საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიამ მესმერში მაგნიტიზმი ვერ აღმოაჩინა და იგი შარლაგანად გამოაცხადა. მოგვიანებით ერთერთი „მაგნიტიზმორის“ სეანსზე ამ მოვლენით დაინტერესდა ინგლისელი ქირურგი ჯეიმს ბრეიდი. 1843 წელს ბრეიდმა გამოაქვეყნა ნაშრომი „ნეიროპინოლოგია“, რომელშიც მესმერისეულ გრანსს უწოდა „პინოზი“ (ბერძნულად – „ძილი“), რადგან იგი ძილის ნაირსახეობად მიიჩნია. ეს იყო პინოსუგესტიის პირველი მეცნიერული ახსნა.

გერმინი „ფსიქოთერაპია“ პირველად იხმარა დ. ტიუკმა წიგნში „სხეულზე გონების გავლენის ილუსტრაციები“, რომელიც გამოქვეყნდა 1872 წელს. მომდევნო წლებში კლინიკაში პინოზის გამოყენება დაამკვიდრეს ფრანგმა ექიმებმა ჟან მარტენ მარკომ და იპოლიტ ბერნჰეიმმა. მათი შემწვობით პინოზი იმხანად ნეუროზების ფსიქოთერაპიული მკურნალობის, პრაქტიკულად, ერთადერთი საშუალება გახდა. ამ პერიოდს „პინოზის ოქროს ხანას“ უწოდებენ, რადგან შეიქმნა პინოტიზაციის მრავალი მეთოდი, დიდი იყო მის მიმართ ინტერესი მკვლევარებს შორის. შარკოსა და ბერნჰეიმის სკოლებს თეორიული დისკუსია ჰქონდათ. შარკოს მიაჩნდა, რომ პინოზი ხელოვნურად გამოწვეული ისტერიული ნევროზია. ბერნჰეიმის მიმდევრებს მიაჩნდათ, რომ პინოზი სხვა არაფერია, თუ არა სუგესტია. მეცნიერებაში დამკვიდრდა ბერნჰეიმის პოზიცია და დღეს პინოზს განიხილავენ ჩაგონების შედეგად და მისი გაძლიერების პირობად.

პინოტიზაციის გეჟნიკის არსი მარტივია – თერაპევტი ადამიანს უქმნის ძილისთვის ხელსაყრელ პირობებს, ჩაგონებს ძილის ფორმულებს („ქუთუთოები მძიმდება, თვალები იხუჭება“) და შემდეგ ჩააგონებს, რომ სძინავს. თუ ჩაგონება შედეგიანია, ადამიანს ძილში შეკყეება პინოტიზმორის ხმა და ორიენტაცია ამ ხმაზე. მის მიმართ ადამიანს კრიტიკა მოხსნილი აქვს და რასაც პინოტიზმორი ეუბნება, ყველაფრისა სჯერა, მათ შორის – ფსიქოთერაპიული ჩაგონებისა. ჩაგონების გავლენით მძინარე აქტიურია – ლაპარაკობს, მოქმედებს, იხსენებს წარსულის დეტალებს და ა.შ.

ჰიპნოტიზირება რომც არაფერი ჩააგონოს დაძინებულს (როგორც ეს იყო მესმერთან), მხოლოდ ჰიპნოზურ ძილსაც კი აქვს მნიშვნელოვანი თერაპიული ეფექტი. თუკი ჰიპნოტიზირება დაძინებულს ჩააგონა რაიმეს გაკეთება გაღვიძების შემდეგ (მაგალითად ბერნჰეიმის ექსპერიმენტში – ქოლგის გახსნა), პაციენტი გაღვიძების შემდეგ ჩავიხსნება შეასრულებს, მაგრამ არ ემახსოვრება საკუთარი მოქმედების რეალური მიზეზი. ამას პოსტჰიპნოზური ჩავიხსნება ჰქვია. ესაა ძირითადი არგუმენტი იმისა, რომ არსებობს არაცნობიერი ფსიქიკური (იხ. თავი VI და VII).

ჰიპნოზს მრავალი სირთულე ახლავს – მას ემორჩილება ადამიანთა მხოლოდ უმცირესობა, პაციენტს უჩნდება თერაპევტზე ძლიერი მიჯაჭვულობა (ხშირად, სექსუალური), გრანსში შეიძლება მოხდეს თანდაყოლილი პათოლოგიების გააქტიურება, ჰიპნოტიზირებს სჭირდება ვირგუომობამდე ასული პროფესიონალიზმი, რადგან მცირე შეცდომამაც კი (რომელიც სხვა შემთხვევაში შეუმჩნეველიც დარჩებოდა) შეიძლება ძალზე ავნოს პაციენტს და სხვა. საჭირო იყო ახალი მეთოდები ამ ხარვეზების გარეშე.

ჰიპნოზის ხარვეზებისაგან ნაწილობრივ დაცულია სუვესტიური პარადიგმის სხვა მიმართულება. 1910-30-იან წლებში ჯერ ე. კუმ, მერე ე. ჯეკობსონმა და ი. შულცმა ჰიპნოტიზაციის მეთოდების და, განსაკუთრებით, იოგას გავლენით შექმნეს ფსიქოლოგიური ვარჯიშები, რომლებშიც ჰიპნოტიზირების მაგივრად თვით პაციენტი ჩააგონებს საკუთარ თავს მოღუნების ფორმულებს. ვარჯიშების ამ ერთნაირ სისტემებს სხვადასხვა სახელი ეწოდა (თვითჩაგონება, სისტემური რელაქსაცია, აუტოტრენინგი). აუტოტრენინგის პრინციპებზე შემდეგ აიგო „ბიოლოგიური უკუკავშირი“ – პაციენტი რელაქსაციისთვის მოიხმარს ფიზიოლოგიური პარამეტრების გასაზომ ხელსაწყოს, რომლის მონაცემებით იგი აკონტროლებს საკუთარ მდგომარეობას. აუტოტრენინგი და ბიოლოგიური უკუკავშირის ტექნიკა ფართოდ გამოყენება დღეს სტრესის მართვისთვის სხვადასხვა პროფილის კლინიკაში, ბიპევიორისტულ ფსიქოთერაპიაში, სპორტში, ყოველდღიურ ცხოვრებაში და სხვაგან.

საკუთრივ ჰიპნოზის მეთოდოლოგიის განვითარებაც გავრძელდა, რაშიც დიდი როლი შეასრულა ცნობილმა ამერიკელმა ჰიპნოთერაპევტმა მილტონ ერიკსონმა. მრავალი საკითხის და-

მუშავეებასთან ერთად XX საუკუნის 40-იან წლებში მან შექმნა ტექნიკა, რომლის დროსაც სუგესტიის ელემენტები ისეა ჩაქსოვილი ჩვეულებრივ მეტყველებაში, რომ პაციენტი ვერც ამჩევს, რომ მისი პიანოტიზაცია ხდება.

XX საუკუნის 70-იან წლებში ერიკსონის ტექნიკის ბაზაზე და სხვა მრავალი მიმართულებიდან აღებული ელემენტებით ლინგვისტმა ჯ. გრინდერმა და ფსიქოლოგმა, პროგრამისტმა რ. ბენდლერმა შექმნეს „ნეიროლინგვისტური პროგრამირების“ (ნლპ) სისტემა. იგი საშუალებას იძლევა, გაუცნობიერებელი სტიმულირებით მოხდეს ფსიქიკის არაცნობიერი სტრუქტურების მართვა. „ნლპ“ ფართოდ გავრცელდა კლინიკაში, რეკლამაში, პოლიტიკურ პროპაგანდაში და ფსიქოლოგიური ზემოქმედების სხვა სფეროებში. ყველა ეს მიმართულება საინგერესოა, მაგრამ სადავოც, რადგან მკაფიოდ ჩანს, რომ სუგესტიურ პარადიგმას აკლია მეცნიერული თეორიები.

დავებრუნდეთ XIX საუკუნეს. 1885-89 წლებში შარკოს და ბერნჰეიმს ეწვია ნევროზებით დაინტერესებული ახალგაზრდა ავსტრიელი ექიმი ზიგმუნდ ფროიდი და აითვისა პიანოზის ტექნიკა. მას ხელს უშლიდა პიანოზის ხარვეზები და საუკუნეთა გასაყარზე შექმნა ახალი მეთოდი, რითაც საფუძველი ჩაუყარა ფსიქოანალიზურ პარადიგმას. ამავე დროს ფროიდიდან იწყება პროფესიონალური ფსიქოთერაპია ისტორია – ფროიდი იყო პირველი, ვინც მუშაობდა მხოლოდ ფსიქოთერაპიული მეთოდით, ანუ იყო ფსიქოთერაპევტი.

ფროიდის მეთოდის საფუძველია მისი კონცეფცია, რომელიც პიანოზის ფაქტების თავისებური განზოგადებაა. ფროიდმა პოსტ-პიანოზური ჩაგონებისას ნახა, რომ ადამიანი ვერ აცნობიერებს საკუთარი მოქმედების რეალურ ფსიქოლოგიურ მიზეზს, რომელიც არაცნობიერშია. ხოლო თუკი ვალეიდებულმა გაიხსენა, როგორ მისცეს დავალება პიანოზში, პოსტპიანოზური ჩაგონების შესრულების იმპულსი ქრება. ფროიდმა განაზოგადა ეს ფაქტები და მიიჩნია, რომ ყველა ადამიანში (!) არის სურვილები, მათ შორის – ნევროზული, რომელთა რეალური მიზეზი ცნობიერებაში არ გვეძლევა (ამგვარმა განზოგადებამ მოგვიანებით საფუძველი ჩაუყარა ფსიქოლოგიური კონსულტაციის ჩამოყალიბებას). ფროიდმა მიიჩნია, რომ თუკი გაუცნობიერებელი სურვილი მოქმე-

დებს, როგორც პოსტკოინომოზური ჩავონება, მისი გაცნობიერებით ადამიანი განთავისუფლდება აკვიატებული გენდენციისაგან. გაცნობიერებას უროიდი აღწევდა პაციენტთან ერთად მისი ბავშვობის მოვონებების, სიმშრების, წამოცდენების და სხვა აუხსნელი მოვლენების გახსენებით (რის წინამორბედად აღსარების კათოლიკურ გრადიციას მიიჩნევენ) და შემდეგ მთელი ამ მასალის ანალიზით. ამიგომ თავის მეთოდს მან „ფსიქონალიზმი“ უწოდა. ფროიდის თეორიის ამ ნაწილს თითქმის ყველა ფსიქონალიტიკოსი იზიარებს.

სადავო ვასდა ფროიდის წარმოდგენა არაცნობიერზე. ფროიდს მიაჩნდა, რომ ყველა ადამიანს იქამდე, სანამ კულტურას გაიშინავნებს (4-5 წელი), აქვს ცხოველური სექსუალური მისწრაფება საწინააღმდეგო სქესის მშობლისადმი და აგრესია მისივე სქესის მშობლის, როგორც კონკურენტის, მიმართ („ოიდიპოსის ან ელექტრას კომპლექსი“). სოციალური ნორმების ინტერიორიზაციის შემდეგ ადამიანს აღარ სურს თავისი „კოლვიანი ფიქრების“ გახსენება, მათი გაცნობიერება, რადგან ისინი ფსიქოლოგიურ გრამვას მიაყენებენ. ფროიდის მისედევით, უარყოფილი ფიქრები არსად არ მიდის და მათგან იქმნება არაცნობიერი ფსიქიკური – პიროვნების „პანდორას ყუთი“ (ბერძნულ მითოლოგიაში პანდორა პირველი ქალია; იგი მიწისა და წყლისგან შექმნა ჰეფესტომ, ხოლო დანარჩენმა ღვთაებებმა დაასაჩუქრეს მომხიბლავი თვისებებით. ბევსის „საჩუქარი“ იყო ცნობისმოყვარეობა და თან ყუთი, რომელშიც ადამიანისთვის უბედურების მომგანი ყველა თვისება იყო ჩაკეტილად ბევსის აკრძალვის მიუხედავად, პანდორამ ყუთი გახსნა და... ადამიანები უბედურები გახდნენ). სექსუალური მისწრაფებებით შექმნილი არაცნობიერი ფსიქიკური ადამიანის სურვილების ძირითადი წყაროა ფროიდისთვის.

ფროიდის გარშემო შეიკრა მიმდევრების წრე – კ. იუნგი, ა. ადლერი, თ. რანკი, ვ. რაიხი, კ. ჰორნი, ჰ. სალივანი და სხვანი. მალე მოწაფეები განუდგნენ მასწავლებელს – აღიარებდნენ რა არაცნობიერი ფსიქიკურის არსებობას, ისინი არ მიიჩნეოდნენ მართებულად მასწავლებლის თეორიის გედმეგ სწორსაზოვნებას, მაგალითად, პიროვნების ახსნას ძირითადად მხოლოდ აღრეული სექსუალური მისწრაფებებით. შემდეგ ყველა თავისებურად ავსებდა არაცნობიერ „პანდორას ყუთს“: იუნგი – არქეტი-

პებით, ალღერი – არასრულფასოვნების კომპლექსით. რაიხი – კუნთური „ჯაეშანი“, ჰორნი – შოთოვით, ფრომი – კონფორმიზმით და ა.შ. გარდა ამისა, ისინი ჰუმანისტური ფსიქოლოგიისკენ გადაიხარნენ, განსხვავებით ფროიდის ბიოლოგიზმისა.

ფსიქონალიზურ თეორიებს, სიმრაელის მიუხედავად, ერთი საერთო აქვს – ისინი არ აღიარებენ ექსპერიმენტულ არგუმენტაციას. ესა და სხვა პრობლემები უბიძგებდა ფსიქოთერაპევტებს, კვლავ ეძებნათ ახალი პარადიგმა (იხ. თავი I, VII, და VIII).

1950-იან წლებში წარმოიშვა მყარი ექსპერიმენტული საფუძვლების მქონე პარადიგმა – ბიჰევიორისტული ფსიქოთერაპია. მისი დამფუძნებლები არიან ჯ. ეოლპე, ა. ლამარუსი, დ. შაპირო, ჰ. აიზენკი, ა. ბანდურა და სხვანი. ბიჰევიორისტული ფსიქოთერაპია ეყრდნობა ბიჰევიორიზმის უზარმაზარ ექსპერიმენტულ მასალას და აღმოჩენილ კანონზომიერებებს. ერთ-ერთი ძირითადი კანონზომიერებაა, რომ ფსიქიკა (რომელიც ბიჰევიორისტისთვის ჩვეუბის სისტემაა) ინარჩუნებს მისთვის სასარგებლოსა და სასიამოვნოს და უკუაგდებს უსარგებლო ან უსიამოვნო ჩვევას. ბიჰევიორიზმისთვის ფსიქიკური აშლილობა არის მავნე, არაადაპტაციური ჩვევის დამკვიდრება პაყინგის ფსიქიკაში. ამ თვალსაზრისის შესაბამისად ბიჰევიორისტული ფსიქოთერაპია ორ გზას ირჩევს მკურნალობისთვის: არაადეკვატური ქცევის (უარყოფითი ჩვევის) შესუსტება ან მოსპობა და ადეკვატური ქცევის ჩვევის ჩამოყალიბება და განმტკიცება. „ცული“ ქვევისაგან გათავისუფლების გავრცელებული მეთოდია ე.წ. დესენსიბილიზაცია: მოღუნებას, ესე იგი უემოციო კომფორტულ მდგომარეობას უკავშირებენ შიშის რეაქციის გამომწვევი სიტუაციების ხილვას ან წარმოდგენას. შედეგად, სამიმ სტიმულზე ყალიბდება ნეიგრალური (მოღუნების) რეაქცია და შიშის რეაქცია სუსტდება. სხვა შემთხვევაში ხდება არასასურველი ქცევისაგან გადაჩვევა რაიმე უსიამოვნო მდგომარეობასთან მისი შეთავსების გზით. ბიჰევიორისტული თერაპიის ადრეულ ეტაპზე ენურეზით (შარდის შეუკავებლობით) დაავადებულ ბავშვებს მცირე ძალის დენსაც კი უგარებდნენ საწოლში, რომლის დასველებისას წრედი იკვრებოდა. მოგვიანებით მეთოდები უფრო ჰუმანური გახდა, სასჯელუბის ნაცვლად წამახალისებელთა სისტემა დამკვიდრდა. „კარგი“ ქცევის წახალისებლად სხვადასხვა ხერხს მიმართავენ, მაგა-

ლითად, პაციენტს აძლევენ „ეგონებს“, რომლებიც სასურველი ნივთების მოპოვების ან სასურველი ქცევის შესრულების სამუალებას იძლევა და სხვა.

ა. ბანდურას გამოკვლევებით, სხეებზე დაკვირება და მიზანდასახვა აღმოჩნდა საკმარისი ქცევის დასწავლისთვის. ეს უკვე გულისხმობდა, რომ მეტი ყურადღება უნდა მიექცეს კოგნიტურ მხარეს, რომელსაც კლასიკური ბიჰევიორიზმი უგულებელყოფდა (იხ. თავი VIII). ამ საზღვარგარეთ კოგნიტურ-ბიჰევიორალური ანუ კოგნიტური ფსიქოთერაპია, რომელიც XX საუკუნის 70-იან წლებში წარმოიშვა ბიჰევიორისტული პარადიგმის წიაღში, მაგრამ შემდეგ იმდენად დაშორდა ბიჰევიორისტულ თერაპიას, რომ დამოუკიდებელ პარადიგმად განიხილება.

ამ მიმდინარეობის ყველაზე გავრცელებული წარმომადგენლები არიან ა. ბეკი და ა. ელისი. კოგნიტური ფსიქოთერაპიის ძალისხმევა მიმართულია იქითკენ, რომ შეასწოროს ის ირაციონალური აზრი, რწმენა თუ განწყობა (სქემა), რომლითაც გაპირობებულია არაადეკვატური ემოცია და ქცევა. ამას აღწევენ ავტომატურად გაჩენილი აზრების და უკრიტიკოდ მიღებულ შეხედულებათა გაცნობიერებით და რაციონალური შეფასებით. კოგნიტური თერაპია მუშაობს ფსიქიკურ აშლილობათა ძალიან ფართე სპექტრში. რაც მთავარია – იგი იძლევა პროგნოზირებად ეფექტს სხვა მეთოდებთან შედარებით მოკლე დროში.

ისევ დაებრუნდეთ ოდნავ უკან. XX საუკუნის 60-იან წლებში ფსიქონალიზმის და ბიჰევიორიზმის ძირითად ალტერნატივად („მესამე გზად“) ჩამოყალიბდა ჰუმანისტური პარადიგმა, მასში გაერთიანდა ფსიქოთერაპიის რამდენიმე მიმართულება (კლიენტზე ცენტრირებული თერაპია, ლოგოთერაპია, გემტალგოთერაპია და ა.შ.). ამ პარადიგმას წარმოადგენენ: ა. მასლოუ, კ. როჯერსი, რ. მეი, ვ. ფრანკლი, დ. ბიუჯენგალი, ე. ფრომი, კ. პორნი, პ. სალივენი და სხვანი.

ჰუმანისტურ მიდგომაზე გავლენა იქონია როგორც დასავლურმა მეცნიერებამ (ეგზისტენციალური ფილოსოფია და თერაპია, სიცოცხლის ფილოსოფია, ა. ადლერისა და, განსაკუთრებით, კ. გ. იუნგის თეორიები), ისე აღმოსავლურმა (დაოსიზმი, ძენ-ბუდიზმი) კულტურამ. ჰუმანისტებს მიაჩნიათ, რომ ადამიანი ხშირად მართლაც ვერ აცნობიერებს მრავალ რამეს, მათ შორის იმას,

რომ მას აწუსებს ეგზისტენციალური (ლათ. *exsistentia* – არსებობა) და საზრისისეული პრობლემები – ვინ ვარ მე? რაშია ჩემი არსებობის ამრი? რისთვის ვცხოვრობ? რა შემიძლია? და ა.შ. ჰუმანისტური ორიენტაციის ფსიქოთერაპევტი ეხმარება კლიენტს (მისთვის პაციენტი არ არსებობს) ამ შეკითხვებზე ისეთი პასუხის მოძებნაში, რომელიც გაზრდის მის პიროვნული პოტენციალს. ჰუმანისტები თვლიან, რომ ადამიანში მთავარია მის ადამიანური თვისებები – ზნეობა, კაცთმოყვარეობა, აზროვნება, შემოქმედება, უნიკალობა. ნევროზები და საზოგადოდ, საზოგადოების უბედურებათა დიდი ნაწილი გამოწვეულია ადამიანის თეოთრეალიზაციის შეზღუდვა-შეფერხებით. ჰუმანისტები აქ და ამეამად არსებულ რეალობას ანაალიზებენ, მიემართებიან მომავლის კენ, ხოლო წარსულს ნაკლებად უღრმავლებიან (ფსიქონალიზმის საპირისპიროდ). ჰუმანისტებისთვის დაუშვებელია ადამიანის გაიგივება ცხოველთან ან მანქანასთან. ისინი ადამიანში სპონტანურობას და თვითრეალიზაციას აღვივებენ ყველაზე მეტად, და არა – ჩვევებს. საამისოდ, კ. როჯერსის მიხედვით, თერაპევტის მიერ კლიენტისთვის უნდა შეიქმნას ისეთი თბილი და მიმღებლური გარემო, რომელშიც კლიენტი სრულ ფსიქოლოგიურ დაცულობას და უპირობო მხარდაჭერას იგრძნობს. თერაპევტი ამქაფებს კეთილმოსურნეობას, გულწრფელი ინტერესით და ემპათიით ცდილობს ჩასწვდეს მეორე ადამიანის შინაგან სამყაროს. ასეთ პირობებში იცვლება კლიენტის დამოკიდებულება საკუთარი თავისადმი. ის ხდება უფრო გულისხმიერი და მიმღებლური თავისი რეალური განცდებისა და თვისებების მიმართ. მას უჩნდება საკუთარი თავის რწმენა, ხდება „მე-კონცეფციის“ პარამონიზაცია და თან რეალობასთან შეხამება (იხ. თავი VIII), მას უძლიერდება თვითკონტროლი, პასუხისმგებლობა, ავტონომიურობა, დამოუკიდებლობა, ანუ ხდება მისი პიროვნული ზრდა. ჰუმანისტების ძირითადი მეთოდია გულახდილი საუბარი თერაპევტთან ან სხვა ადამიანებთან სპეციალურად ჩამოყალიბებულ ჯგუფებში.

ჰუმანისტური პარადიგმა მისაღები იყო კლიენტებისთვის, მაგრამ ბევრ კრიტიკას იმსახურებდა მეცნიერებისგან (ჰუმანისტები არ აღიარებენ ექსპერიმენტულ არგუმენტებს). ჰუმანისტური ფსიქოთერაპიის ნაყოფიერებაც არ იყო კარგი: ადვილ პრობ-

ლემებს აგვარებდა, მაგრამ რთულს – ვერა. ისევ იღვა დღის წესრიგში სრულფასოვანი ფსიქოთერაპიული პარადიგმის ძიება.

ფსიქოთერაპიული სკოლების სიმრავლემ (აქ მხოლოდ ყველაზე გავრცელებულები მოვიხსენიეთ), მათი შეფასების სირთულემ და კლიენტის შენარჩუნების ამოცანამ გააჩინა ეკლექტიკური პარადიგმა, რომელშიც თერაპევტმა, საკუთარი შეხედულებით, შეიძლება ერთდროულად გამოიყენოს სხვადასხვა სკოლის მეთოდები და თეორია, როცა ამას ითხოვს პაციენტის პრობლემა. დღეს ეს ყველაზე გავრცელებული მიდგომაა. ამშ-ში 1990 წელს ჩატარებული გამოკვლევით, კლინიცისტების 68% თავის მიდგომას ეკლექტიკურად მიიჩნევდა. ეკლექტიკში იყენებს სხვადასხვა თეორიას, მაგრამ, ამავე დროს, საჭიროებს მათი გამოყენების თეორიას – მეტათეორიას, რაც თანამედროვე ფსიქოთერაპიის აქტუალური პრობლემაა.

ფსიქოთერაპიის სტრუქტურა და ფორმები

თერაპიის ობიექტი. ფსიქოთერაპიის, როგორც პროცედურების სისტემის, ობიექტი არის რაიმე დაავადების მქონე პაციენტი. ამის მიხედვით კლინიკურ ფსიქოთერაპიაში განასხვავებენ სულით ავადმყოფების და სომატური ავადმყოფების ფსიქოთერაპიას. თითოეულს თავისი სპეციფიკა აქვს. სულით ავადმყოფში თვალსაჩინოა ფსიქიკის ანომალია და ფსიქილოგიური პროცედურები რთულად მიმდინარეობს. სომატური ავადმყოფის ფსიქიკა ნორმაშია, იგი სტაგისტიკური ჯანმრთელი ადამიანის ფსიქიკას უტოლდება და ფსიქოლოგიური პროცედურები მასთან ისევე მიმდინარეობს, როგორც ჯანმრთელ ადამიანთან ფსიქოლოგიურ კონსულტაციაში. ფსიქოლოგიურ კონსულტაციაში მისულ ადამიანს, ჰუმანისტური პარადიგმის გავლენით, უწოდებენ კლიენტს – და არა პაციენტს.

ფსიქოლოგიური კონსულტაცია იმავე პარადიგმებს ეფუძნება და ისეთივე სტრუქტურისაა, როგორც ფსიქოთერაპია. განსხვავება სირთულეშია და რისკის ხარისხში – ავადმყოფის გამოჯანმრთელება უფრო ძნელია და შეცდომა უფრო უპატივებელი, ვიდრე ჯანმრთელი ადამიანისთვის დახმარება პიროვნულ ზრდაში, რაც ფსიქოლოგიური კონსულტაციის ძირითადი ამოცანაა.

თერაპიის სუბიექტი. სუბიექტის მიხედვით განასხვავებენ ბინარულ (თერაპევტი – პაციენტი), აუტოგენურ და ჯგუფურ ფსიქოთერაპიას. ეს დაყოფა, ნაწილობრივ, პირობითია, რადგან თითოეულ ამ ფორმაში ხშირადაა დანარჩენთა ელემენტები.

ბინარულ თერაპიაში, რომელიც ფსიქოთერაპიის კლასიკური ფორმაა, ორი პირია – ფსიქოთერაპევტი და პაციენტი (ფსიქოლოგიურ კონსულტაციაში, შესაბამისად – კონსულტანტი და კლიენტი). ფსიქოთერაპევტი, ძირითადად, ლიცენზირებული ექიმი. კონსულტანტებად გვხვდებიან სხვადასხვა ჰუმანიტარული განათლების ადამიანები, უმეტესად – ფსიქოლოგები, რომლებიც, როგორც წესი, ლიცენზიას არ საჭიროებენ. ბინარული თერაპიის სეანსები გარდება გარკვეული ინტერვალით. დანარჩენ დროს პაციენტი მარტოა საკუთარ თავთან და ამ „აუტოგენურ“ ელემენტზე დიდადაა დამოკიდებული თერაპიის ეფექტურობა. მეორეს მხრივ, ორი ადამიანი უკვე უმცირესი ჯგუფია და ბინარულ თერაპიაში მოქმედებენ სოციალური ფსიქოლოგიის კანონები.

აუტოგენურ თერაპიაში ფსიქოთერაპიულ პროცედურებს ატარებს თავად პაციენტი (კლიენტი). თითქმის ყველა პარადიგმას აქვს თავისი აუტოგენური (აუტოგრენინგი, აუტოპიპნოზი, თვითანალიზი, თვითკონტროლი და ა.შ.). აუტოგენური ფორმა გამოიყენება დაავადების შედარებით ადვილ შემთხვევაში. თუკი ფსიქიკური აშლილობა ძლიერია, იგი არ მისცემს ადამიანს საკუთარ თავზე მუშაობის საშუალებას. ყველა შემთხვევაში საწყის ეტაპზე პიროვნებას აუცილებლად უნდა დაეხმაროს ფსიქოთერაპევტი ბინარული თერაპიის რეჟიმში, მაგრამ გადამწყვეტია თავად პიროვნების თვითრეფლექსიის უნარი და მონღომება.

გარდა ამისა, თერაპიის სუბიექტად შეიძლება განვიხილოთ პაციენტების (კლიენტების) ჯგუფი – ჯგუფურ ფსიქოთერაპიაში, რომელიც ფსიქოთერაპიის ცალკე ფორმად ჩამოყალიბდა. აქ თერაპია გარდება ჯგუფში, რომელშიც თერაპიული პარადიგმით ნაკარნახევ პრინციპებთან ერთად მოქმედებს სოციალური ფსიქოლოგიის კანონები. ფსიქოთერაპევტის მონაწილეობა ჯგუფში აუცილებელია, მაგრამ სპეციფიკური – ის მხოლოდ პროცესის ფასილიტაციას (გაადვილებას) ახდენს. თერაპიულ ეფექტს იძლევა ჯგუფის სოციალური გავლენა და ამიგომ ამ ფორმაში თერაპიის სუბიექტად ჯგუფი უნდა მივიჩნიოთ. თითქმის ყველა პარა-

დიგმას აქვს შესაბამისი ჯგუფური ვერსია (ჯგუფური ჰიპნოზი, აუტოგრენინგი, ფსიქოდრამა ფსიქოანალიზში, სწავლება სოციალურ-ფსიქოლოგიური გრენინგებით, შესვედრის ჯგუფები ჰუმანისტურ ფსიქოლოგიაში და ა.შ.).

არსებითია, რომ ყველა სკოლის ფსიქოთერაპევტმა, სასურველია, პაციენტებთან მუშაობის დაწყებამდე ჯერ თავად გაიაროს კურსი სხვა ფსიქოთერაპევტთან და ეს პროცედურა გაიმეოროს პერიოდულად. საქმე ისაა, რომ თუ ფსიქოთერაპევტი არ განთავისუფლდა საკუთარი პრობლემებისაგან, შეიძლება უნებლიედ პაციენტზე გადაიგანოს ეს პრობლემები და მას მდგომარეობა დაუძიმოს.

ფსიქოთერაპიის პროცესი ძალზე განსხვავებულია თერაპიის სხვა სახეებიდან და უფრო ახლოს დგას ჩვეულ ცხოვრებისეულ რეალობასთან. ფსიქოთერაპიაში ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც ბუნებრივი, კულტურული და სოციალური გარემო, ისე საკუთარი სხეული, ცნობიერების ნაკადი თუ მეხსიერება. აქედან გამომდინარეობს პირველი სპეციფიკა – თერაპიულ ეფექტს ერთდროულად იძლევა დიდი რაოდენობის ცვალებადი ინფორმაცია, ისეთიც, რომელიც ვერ ცნობიერდება ვერც თერაპევტის და ვერც პაციენტის მიერ. ადვილი მისახვედრია, რომ ამ მრავალკომპონენტიანი „ინსტრუმენტის“ აღწერა ისე ადვილი არაა, როგორც ქირურგიული პროცედურის ან ფარმაკოლოგიური საშუალებისა. ამ სპეციფიკის გამო მეცნიერულ ანალიზურ ამროვნებასთან ერთად ფსიქოთერაპევტს ხშირად უწევს მოქმედება ხელოვანივით – ინტუიციით, ემოციით, მთელი პიროვნების ჩართვით. ამიტომ ხშირად ითქმება, რომ ფსიქოთერაპია არის მეცნიერებაც და ხელოვნებაც. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ფსიქოთერაპევტის ფსიქოლოგიურ სიმწიფეს და გამოცდილებას, რომელსაც ეყრდნობა მისი ინტუიცია (იხ. XIII თავის ბოლოს).

მეორე სპეციფიკა ისაა, რომ დიაგნოზისთვის საჭირო პროცედურა (პაციენტის თუ კლიენტის მსჯელობა პრობლემაზე, გესტირება), უკვე იძლევა მნიშვნელოვან თერაპიულ ეფექტს. ამ ეტაპზე თერაპევტს მოეთხოვება ისე მოსმენა, რომ კლიენტს ლაპარაკი სურდეს. ეს თერაპევტის მაღალ პროფესიონალიზმს მოითხოვს, რაც კარგადაა აღწერილი ჰუმანისტურ ფსიქოთერაპიაში.

მესამე სპეციფიკაა, რომ თერაპევტის მიერ პაციენტისთვის გამკლავებული თეორია მოქმედებს როგორც მეთოდი – მასაც აქვს თერაპიული ეფექტი. ისევე, როგორც წამალი, ფსიქოთერაპიული თეორიაც თანდათანობით უნდა მიეწოდოს აღამიანს. ამ მხრივ მდიდარ მასალას იძლევა ფსიქოანალიზი. როგორც ჩანს, თეორიის ეფექტურობისთვის მის ჭეშმარიტებას არა აქვს გადაშვევტი მნიშვნელობა – ურთიერთგამომრიცხავი თეორიები (მამანიზმიდან ფსიქოანალიზამდე) ერთნაირად ეფექტურია. სასურველია, რომ თეორია მიწოდებული იყოს იმ ფორმაში, რომელიც უფრო ახლობელი და გასაგები იქნება კონკრეტული პაციენტისთვის.

თერაპიის პროცესში ანალიზურ მსჯელობასთან ერთად შეიძლება ჩაერთოს პირდაპირი ჩავონება ან პიანოსუგესტია, წარმოსახვის, ქცევითი ან სოციალური გრენინგი, სხვადასხვა ხარისხის მედიტაცია, ფსიქოთერაპიული ღღორები, თამაშები, ლიტერატურის გაცნობა, მასაჟი, ფარმაკოლოგიური დახმარება და ა.შ. ეს ეკლექტიკური ფსიქოთერაპია იქნება.

ეფექტური ფსიქოთერაპიის საშუალო ხანგრძლივობაა 16 საათი (სეანსი). 2 წლის შემდეგ ეფექტს ინარჩუნებს თერაპია, რომელიც გრძელდებოდა 10-დან 20 საათამდე. აღმოჩნდა, რომ მხოლოდ 10 %-ს ესაჭიროება ხანგრძლივი ფსიქოთერაპიის პროცესი, დანარჩენს – პერიოდული მცირე დახმარება დროის დიდი ინტერვალებით. ფსიქოთერაპევტის პროფესიონალიზმის გამოცდაა ფსიქოთერაპიის დროული დასრულება, რადგან სშირად პაციენტს აქვს გენდენცია, რომ მიეჯაჭვოს თერაპევტს.

ფსიქოთერაპიის ეფექტურობა

ფსიქოთერაპიის ეფექტურობის ნაკლებად სანდო, მაგრამ უმარტივესი მაჩვენებელია პაციენტის კმაყოფილება. მეტი სიმუსტისთვის იყენებენ ფსიქოლიაგნოსტიკურ ტესტებს. ფსიქოთერაპიის ეფექტურობის უმთავრესი ინდიკატორია დაავადების სიმკვამების შემცირება. ფსიქოლოგიურ კონსულტაციაში თერაპევტი უნდა დაკმაყოფილდეს მხოლოდ პაციენტის კმაყოფილებით.

გამოკვლევების მეტაანალიზით, რომელსაც დაექვემდებარა 25000 კლიენტის მონაცემი, გაირკვა, რომ ფსიქოთერაპიის შემდეგ 80 %-ით მეტი კლიენტი იყო უკეთესად, ვიდრე საკონტროლო

ჯგუფში. როგორც წესი, ფსიქოთერაპიის ფონზე მკეთებრად იკლებს ეიზიგები სხვა ექიმიებთან, უმჯობესდება ინტერპერსონალური ურთიერთობები, იზრდება მიღწევები პროფესიულ საქმიანობაში, მაგულობს საკუთარი თავით და ცხოვრებით კმაყოფილება.

XX საუკუნის შუა წლებში პ. აიზენკმა სათავე დაუდო ფსიქოთერაპიული ეფექტის შეფასებას ტესტებით. როგორც აიზენკმა, ისე გვიანდელმა მკვლევარებმა დაადასტურეს, რომ თერაპიული ეფექტისთვის უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს თერაპევტის შთამბეჭდავობას, თავდაჯერებულობას, მობილურობას და სხვა თვისებებს, ვიდრე – სკოლას. ყველა სკოლის (პარადიგმის) ეფექტურობა, დაახლოებით, ერთნაირია (მხოლოდ კოგნიტურ ფსიქოთერაპიას ესაჭიროება 2,5 საათით ნაკლები დრო).

ყველა მეთოდი, ზოგადად, ერთნაირად ეფექტურია, მაგრამ მეთოდები ეფექტურობით განსხვავდება კონკრეტულ პრობლემის გადაჭრისას. მაგალითად, მწვავე ისტერიული სიმპტომატიკის დროს მკურნალობის ეადისა და შედეგის ოპტიმუმი მიიღწევა ჩაგონებით; ვეგეტატიური დარღვევებისას – აუტოგენური ვარჯიშით; ცხოვრებისეულ სირთულეთა დროს – მეთოდებით, რომლებშიც საუბრის ტექნიკაა წამყვანი; ფობიებისას – ბიპევიორალური თერაპიით; დეპრესიისას – კოგნიტური თერაპიით; წინასწარი მიღრეკილების ფონზე კომპლექსური დარღვევების დროს – ფსიქონალიზით და სხვა; ამავე დროს უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამგვარი „რეკეპები“ ფსიქოთერაპიაში ძალზე ფარდობითია.

ფსიქოთერაპია, ძირითადად, კლინიციკების მიერ ყალიბდებოდა. ფსიქოლოგიური მეცნიერების მკაცრი მეთოდოლოგიის შესვლა ფსიქოთერაპიაში ყველაზე მეტად სწორედ შედეგის ტესტებით გამოიქვამი გამოისაგა. ამ ნაბიჯმა გარკვეული როლი უკვე შეასრულა დარგის განვითარებაში – მაგალითად, შეამცირა სკოლების ამბიციები და იმპულსი მისცა ეკლექტიზმს. სავარაუდოა, რომ მკაცრი მეთოდებით ეფექტურობის შემოწმება მომავალში ხელს შეუწყობს ახალი, უფრო სრულყოფილი პარადიგმების გაჩენას ფსიქოთერაპიაში.

სარჩევი

წინასიტყვაობა	3
თავი I. უსიძლოობის ზოგადი საფუძვლები	5
§ 1. უსიძლო(ობი)ური მემცნიერების თავისებურებანი	5
რას შეისწავლის უსიქოლოგია	7
ცხოვრებისეული, ხალხური და მეცნიერული უსიქოლოგია უსიქოლოგია და სულიერი სამყაროს ვაგების სხვა ფორმები	11
უსიქოლოგიის კავშირი სხვა მეცნიერებებთან	15
§ 2. უსიძლოობის განვითარება და თანამედროვე მდგომარეობა	18
§ 3. უსიძლოობის დარგები	29
პრაქტიკული უსიქოლოგია	31
თავი II. კვლევის მეთოდები	33
§ 1. უსიძლოობიური კვლევის ზოგადი პრინციპები	33
§ 2. დაკვირვება	37
საუბარი და ანკეტირება	41
ტესტები	43
§ 3. კორელაციური კვლევა	44
§ 4. ექსპერიმენტული კვლევა	48
თავი III. უსიძიების განვითარება ფილმბენეზში	56
§ 1. ცხოველთა უსიძიკური აქტივობის მარტივი და თანდაყოლილი ფორმები	56
§ 2. ცხოველთა უსიძიკური აქტივობის 'შეპნინილი' ფორმები	60
§ 3. ცხოველთა უსიძიკური აქტივობის მაღალი ფორმები	64
თავი IV. უსიძიების ცვალებადობა ონტოგენეზში	75
§ 1. უსიძიკური ონტოგენეზის ზოგადი საკითხები	75
§ 2. ბავშვობა	83
§ 3. ზრდასრულობა	97
§ 4. ხანდაზმულობა	101
თავი V. ცნობიერების უსიძლოობა	107
§ 1. ცნობიერების ზოგადი დახასიათება	107
ცნობიერების პროცესების კლასიფიკაცია	109

§ 2.	ცნობიერების მთავარი თავისებურებანი.....	110
§ 3.	ყურადღების ძირითადი სახეები და თვისებები.....	115
§ 4.	ყურადღების ფაქტორები	120
თავი VI.	ცნობიერების უეცვლილი ედგომარეობები	123
§ 1.	კილი და სიზმარი	123
§ 2.	ოცნება	130
§ 3.	ფსიქოაქტიური ნივთიერებები	132
§ 4.	ჰიპნოზი	136
§ 5.	მედიტაცია.....	138
თავი VII.	არაცნობიერის ფსიქოლოგია	142
§ 1.	არაცნობიერის გამოვლინება ჰიპნოზსა და სიზმარში.....	142
§ 2.	არაცნობიერი მოტივაციის გამოვლინებები	144
§ 3.	არაცნობიერი კოგნიტური პროცესები	150
§ 4.	არაცნობიერი ავტომატიზმები.....	155
§ 5.	არაცნობიერი დისკოზიციები	158
თავი VIII.	პიროვნების ფსიქოლოგია.....	161
§ 1.	პიროვნების განსაზღვრება.....	161
§ 2.	თანდაყოლილი და შექმნილი პიროვნებაში	172
§ 3.	პიროვნების სტრუქტურა.....	175
	პიროვნების ნიშან-თვისებები.....	179
	ხასიათი, გემქერამენტი.....	183
	ინტერესი, ღირებულება, ნიჭი.....	184
§ 4.	პიროვნება და ჯანმრთელობა	186
§ 5.	პიროვნების შესწავლის მეთოდები	189
თავი IX.	ქცევის ფსიქოლოგია.....	193
§ 1.	ქცევის განსაზღვრება	193
	ქცევის შიგნითი დახასიათება	194
§ 2.	ქცევის ბარებანი სტრუქტურა ანუ ფორმა	195
	ჩვევის ფსიქოლოგია.....	197
§ 3.	ქცევის 'მინაბანი სტრუქტურა ანუ 'მინაარსი.....	202
	მოთხოვნილების ფსიქოლოგიური დახასიათება	205
	მოთხოვნილებათა კლასიფიკაცია	209
	კვებითი მოტივაცია და ქცევა.....	211
	სექსუალური მოტივაცია და ქცევა	214
§ 4.	ქცევის სახეები და ფორმები.....	220

თავი X. ემოციები.....	222
§ 1. ემოციური პროცესების ზოგადი დახასიათება.....	222
ემოცია და სხეული.....	228
გამომხატველობა (ექსპრესია).....	233
§ 2. ემოციის თვისებები	237
ემოციის სუბიექტურობა	237
ემოციის პოლარობა და ამბივალენტობა.....	238
ემოციის ინტენსივობა და ხანგრძლივობა	238
ემოციის ექსტენსივობა და სიღრმე.....	239
§ 3. ბრძნობისა და ემოციის ძირითადი სახეები.....	240
ემოცია და გრძნობა.....	240
ემოციათა სახეები	241
შოთოვა	244
ემოციური სტრესი.....	246
თავი XI. შეგრძნება და აღქმა	251
§ 1. შეგრძნება	251
შეგრძნებათა ზოგადი დახასიათება.....	251
შეგრძნების აღმოცენება.....	252
შეგრძნების ორგანოთა მგრძნობიარება (შეგრძნების გღურბლები).....	252
შეგრძნებათა ზოგადი თვისებები ანუ მხარეები.....	255
შეგრძნებათა მოდალობების კლასიფიკაცია.....	256
სენსორული პროცესები.....	258
§ 2. შეგრძნებათა ცალკეული მოდალობები	259
§ 3. აღქმა	268
აღქმა და შეგრძნება.....	268
აღქმის საფუძვრობა	269
აღქმის კატეგორიულობა ანუ ამრინობა	270
აღქმის სტრუქტურული მთლიანობა.....	271
აღქმის კონსტანტობა.....	276
აღქმის პიროვნებისეული ხასიათი.....	278
აღქმის ილუზიები	280
სიერცისა და დროის აღქმა.....	281
თავი XII. მეხსიერება.....	285
§ 1. მეხსიერების ზოგადი დახასიათება.....	285
§ 2. მეხსიერების ფორმები	289
სენსორული მეხსიერება.....	290
ხანმოკლე მეხსიერება	291

	ხანგრძლივი მეხსიერება.....	294
	სემანტიკური და ეპიზოდური მეხსიერება.....	295
	პროცედურული და დეკლარაციული მეხსიერება.....	298
	დასწავლა და მისი ფაქტორები.....	298
	შნემონიკა.....	303
	დასწავლის კანონზომიერებანი.....	305
§ 3.	დავითყიბა.....	307
	დავიწყების მიმდინარეობა.....	307
	დავიწყების თეორიები.....	308
თავი XIII.	აზროვნება, ინტელექტი, კრეატიულობა და ინტუიციი.	311
§ 1.	აზროვნების უსიქ(ო)ლოგია.....	311
	მიმართება ძირითად შექენებით ფუნქციათა შორის.....	311
	აზროვნების ზოგადი დახასიათება.....	314
	ლოგიკური აზროვნება და მისი ფორმები.....	315
	ლოგიკური აზროვნების ძირითადი ოპერაციები.....	320
	პრობლემის გადაჭრა.....	322
§ 2.	ინტელექტი.....	325
	ინტელექტის გაზომვა.....	326
§ 3.	კრეატიულობა და ინტუიციი.....	335
თავი XIV.	კომუნიკაციი და მეტყველება.	343
§ 1.	კომუნიკაციის ზოგადი დახასიათება.....	343
§ 2.	ენა და მეტყველება.....	347
	მეტყველების განვითარება.....	349
	ენა და აზროვნება.....	352
	მეტყველების სახეები.....	354
თავი XV.	სოციალური გავლენა	357
§ 1.	ჯგუფში მიმდინარე კროცესები.....	357
	ჯგუფში გადაწყვეტილების მიღება.....	360
	ლიდერობა.....	362
	ჯგუფის გავლენა საქმიანობის ეფექტურობაზე.....	366
	სოციალური სიზარმაცე.....	367
§ 2.	კიროვნებათმორისი ურთიერთობებით	
	გამოწვეული გავლენა.....	369
	კონფორმულობა.....	369
	დამთმობლობა.....	371
	მორჩილება.....	372
§ 3.	აბრესია.....	374
	თანდაყოლილი აგრესიი.....	375

	421
შეძენილი ავრესია	376
ტელევიზია და ავრესიული ქცევა	378
§ 4. პრ(ოსოცი)ალური ქცევა	380
თავი XVI. კლინიკური ფსიქოლოგია.....	385
§ 1. ფსიქიკური აშლილობები.....	385
ფსიქიკური აშლილობის ცნება.....	385
შიზოფრენია	387
აფექტური აშლილობები.....	389
მფოთვითი აშლილობები.....	391
დისოციაციური აშლილობები	394
სომატომორფული აშლილობები	395
პიროვნების აშლილობები.....	397
§ 2. ფსიქო(ო)თერაპია და ფსიქო(ო)ლოგიური კონსულტაცია.....	399
ზოგადი ნაწილი.....	399
ფსიქოთერაპიის მეცნიერებადელი და მეცნიერული პარადიგმები	401
ფსიქოთერაპიის სტრუქტურა და ფორმები.....	412
ფსიქოთერაპიის ეფექტურობა	415